

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia



Levan Azmaiparashvili, Nodar Ardoteli, Manana Bukia,
Diana Kakashvili, Roman Lolua

**Compound Word Formation of Nouns in the
Caucasian Languages**

(comparative analysis)

Tbilisi

2022

ლევან აზმაიფარაშვილი, ნოდარ არდოტელი, მანანა ბუკია,
დიანა კაკაშვილი, რომან ლოლუა

**არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება
კავკასიურ ენებში**

(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)

თბილისი

2022

პროექტი – **არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)** (№ FR-18-072) – განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – **Compound Word Formation of Nouns in the Caucasian Languages (comparative analysis)** (№ FR-18-072) – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Any idea in this publication belongs to the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში www.ice.ge

The project has been made in TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics www.ice.ge

რედაქტორი – **ლევან აზმაიფარაშვილი**
Editor – **Levan Azmaiparashvili**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა – **თინათინ გაბროშვილი**

Technical editor – **Levan Vashakide**
Layout editor – **Tinatin Gabroshvili**

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|--|-----|
| შესავალი | 7 |
| ნაწილი I | 13 |
| (ავტორი დ. კაკაშვილი) | 13 |
| ქართული ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 13 |
| ნაწილი II | 44 |
| (ავტორი მ. ბუკია) | 44 |
| 1. აფხაზური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 44 |
| 2. ადიღური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 49 |
| 3. ქართული (//ქართველური), აფხაზური და ადიღური ენების კომპოზიტა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი | 55 |
| 4. კომპოზიტა ანალიზი არეალური ლინგვისტიკისა და ეთნო- ლინგვისტიკის თვალსაზრისით | 69 |
| ნაწილი III | 82 |
| (ავტორი დ. კაკაშვილი) | 82 |
| 1. ნახურ (ჩეჩნურ, ინგუშურ, წოვათუშურ) ენათა კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 82 |
| 2. ქართული და ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, წოვათუშური) ენების კომპოზიტა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი | 95 |
| 3. ქართული და ნახური ენების კომპოზიტა სტრუქტურისა და სემანტიკის შედარება კავკასიის სხვა ენებთან, ტიპოლოგიისა და არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით | 108 |
| ნაწილი IV | 118 |
| (ავტორი ლ. აზმაიფარაშვილი) | 118 |
| 1. ხუნძური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 118 |
| 2. ლაკური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 135 |
| 3. ქართული, ხუნძური და ლაკური ენების კომპოზიტა შედარებით- შეპირისპირებითი ანალიზი | 145 |
| [შედარებული და შეპირისპირებული მასალა თემატურ ჯგუფებად: 1) სამყარო, ბუნება, ლანდშაფტი, წიაღისეული; 2) ადამიანი; 3) ოჯახი და ნათესაობა; 4) ყოფა-ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთი- ერთობები, მორალი, რელიგია; 5) ხელობა, პროფესია; 6) ფაუნა; 7) მცენარეები; 8) სხეულის ნაწილები; 9) საცხოვრისი, საშინაო ნივთები; 10) მეურნეობა, სამეურნეო საგნები; 11) ტანისამოსი; | |

| | |
|---|-----|
| 12) იარაღი, აღკაზმულობა; 13) საჭმელ-სასმელი; 14) სამკურნალო სა- შუალებები; 15) გრძნობა და ემოცია; 16) რაობა, თვისება; 17) ფერი; 18) თამაში და გართობა; 19) დრო და სივრცე; 20) საწერი სა- შუალებები; 21) საზომი ერთეული] | 149 |
| 4. კომპოზიტა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზ- რისით | 242 |
| 5. კომპოზიტა ეთნოლინგვისტური ანალიზი | 252 |
| ნაწილი V | 304 |
| (ავტორი ნ. არდოტელი) | 304 |
| 1. დიდოური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 304 |
| 2. ბეჟიტური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 309 |
| 3. ქართული, დიდოური და ბეჟიტური ენების კომპოზიტა შედარებით- შეპირისპირებითი ანალიზი | 316 |
| [შედარებული და შეპირისპირებული მასალა თემატურ ჯგუფებად: 1) ადამიანთა საქმიანობისა და ნათესაობის გამომხატველ სახელთა შემცველი კომპოზიტები; 2) სომატონიმებიანი კომპოზიტები; 3) ცხოველ-ფრინველთა სახელების შემცველი კომპოზიტები; 4) მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტები; 5) მშენებლობის ლექსიკის შემცველი კომპოზიტები; 6) არაცოცხალი ბუნების სახელთა შემცველი კომპოზიტები; 7) იარაღის ლექსიკა; 8) აბსტრაქტული სახე- ლები]: | 330 |
| 4. კომპოზიტა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზ- რისით | 374 |
| 5. კომპოზიტა ეთნოლინგვისტური ანალიზი | 386 |
| ნაწილი VI | 406 |
| (ავტორი რ. ლოლუა) | 406 |
| 1. ლეზგიური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 406 |
| 2. უდიური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება | 414 |
| 3. ქართული, ლეზგიური და უდიური ენების კომპოზიტა შედა- რებით-შეპირისპირებითი ანალიზი | 420 |
| 4. კომპოზიტების აგებულება და სემანტიკა სხვა ლეზგიურ ენებში | 431 |
| 5. კომპოზიტა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზ- რისით | 448 |
| 6. კომპოზიტა ეთნოლინგვისტური ანალიზი | 450 |
| ლიტერატურა | 454 |

შესავალი

მრავალენოვანი კავკასიის მცირე ტერიტორიაზე ერთმანეთის მეზობლად წარმოდგენილია მონათესავე და არამონათესავე ენები, რომელთა მასალის თავმოყრამ და კვლევამ მნიშვნელოვანი ფაქტები უნდა წარმოაჩინოს სიტყვაწარმოების ტიპოლოგიის თვალსაზრისით, რასაც მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ლინგვისტური კავკასიოლოგიის, არამედ ზოგადი ენათმეცნიერებისთვისაც.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ცდა შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით კავკასიაში გავრცელებულ ენათა სიტყვაწარმოების (resp. კომპოზიციის) სტრუქტურისა და სემანტიკის განალიზებისა. ამასთან ერთად, გარკვეული ყურადღება ეთმობა კავკასიურ ენათა მასალის ანალიზს ეთნოლინგვისტური ასპექტით. სიტყვაწარმოება წარმოგვიდგება ენის შინაფორმის (ჰუმბოლდტი 1984: 96, 107, 118-119, 143, 216) ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებად და, ამდენად, იგი გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს ენობრივი მსოფლხედვის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია კოგნიტივისტიკისა და, ასევე, ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება სახელდების (ნომინაციის) პრინციპს, სიტყვის მნიშვნელობის მოტივაციას და სხვ. კომპოზიტებში ასახულია სათანადო ენაზე მეტყველი ეთნოსის კულტურულ-ყოფითი რეალიებიც – მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალურ და გენდერულ ურთიერთობათა ამსახველი ფაქტები.

ენაში ასახული კულტურული და ყოფითი ფაქტების შესწავლა აქტუალურია თეორიული ლინგვისტიკის თვალსაზრისით და უშუალოდ ეხმიანება ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების, ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემატიკას (კულტურა ენაში და ენა კულტურაში, საზოგადოება ენაში და ენა საზოგადოებაში, ადამიანი ენაში და ენა ადამიანში), რაც მოითხოვს, რომ ეს მიმართებები თვალსაჩინოდ იქნეს ნაჩვენები კონკრეტული ფაქტებით. არნ. ჩიქობავა წერს: „ენის ისტორიის შესწავლა – კულტურის ისტორიასა და აზროვნების ისტორიასთან კავშირში (ასევე: ენის შესწავლა კულტურასთან და აზროვნებასთან

კავშირში) – ესაა ენის ენათმეცნიერულ შესწავლაში ყველაზე არსებითი. უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ენის მეცნიერულ შესწავლას არ მოეპოვება“ (ჩიქობავა 1979: 9); ხოლო ჩ. ფ. ჰოკეტის მართებული და მოხდენილი თქმით, „ანთროპოლოგიის გარეშე ლინგვისტიკა არის ბერწი, ლინგვისტიკის გარეშე ანთროპოლოგია არის ბრმა“ (ჰოკეტი 1973: 675).

ვ. თოფურია აღნიშნავს: „კომპოზიცია ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების ოდითგანვე გამოყენებული პროდუქტიული საშუალებაა. ამით აიხსნება, რომ ძველ ქართულში კომპოზიტები, მათ შორის ზმნიანიც, როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ ძეგლებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ბევრი მათგანი უთუოდ ბერძნულის, სომხურის თუ სხვა ენის რთული სიტყვის კალკს წარმოადგენს, მაგრამ საკუთარი უამრავია და, თუ რომელიმე მათგანი შედგენილობის მხრივ მსგავსია ბერძნულისა თუ სომხურისა, ეს მათი საერთო საფუძვლის მაჩვენებელია. ამ მხრივ საჭიროა სხვადასხვა ენის კომპოზიტთა შესწავლა, მათ შორის მსგავსების დადგენა და საერთო საფუძვლის გამორკვევა. ეს საკითხი ზოგადენათმეცნიერული საკითხია და მის გასაშუქებლად ქართველური ენები მდიდარ მასალას იძლევიან“ (თოფურია 1979: 107-108).

ცალკეული კავკასიური ენების კომპოზიტთა სტრუქტურა მეტნაკლებად აღწერილი, გაანალიზებული და შესწავლილია კავკასიოლოგ მკვლევართა მიერ და არსებობს სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურაც, მაგრამ ჯერაც არ მოიპოვება ამ ენათა სიტყვაწარმოების შესახებ განზოგადებული ხასიათის ნაშრომები და არც შედარებით-შეპირისპირებითი კვლევები ჩატარებულა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ამ მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორებასა და კავკასიურ ენათა სიტყვაწარმოების შესწავლაში გარკვეული სიახლის შემოტანას.

ნაშრომში გაანალიზდა მასალა შემდეგი ენებისა: **ქართული, აფხაზური, ადიღური, ჩეჩნური, ინგუშური, წოვათუშური (ბაცბური), ხუნძური, ლაკური, დიდოური, ბეჟიტური, უდიური, ლეზგიური** ენებისა. ეს ენები წარმოადგენენ თვალსაჩინო და დამახასიათებელ წევრებს კავკასიის არეალში გავრცელებულ ავტოქტონურ ენათა ყოველი წრისა – ქართული (ქართველური), აფხაზური და ადიღური (აფხაზურ-ადიღური), ჩეჩნური, ინგუშური და ბაცბური (ნახური), ხუნძური (ნახურ-დადესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიური ჯგუფი), ბეჟიტური და

დიდოური (ნახურ-დადესტნურ ენათა დიდოური ჯგუფი), ლაკური (ნახურ-დადესტნურ ენათა იზოლირებული წევრი), უდიური და ლეზგიური (ნახურ-დადესტნურ ენათა ლეზგიური ჯგუფი), რომელთა მასალის შესწავლაც ამ ეტაპზე ნიადაგს შეამზადებს სამომავლო ფართომასშტაბიანი ენათაშორისი ტიპოლოგიური კვლევებისათვის.

კვლევის გაფართოების პროცესში საჭირო გახდა მოხმობა კავკასიაში წარმოდგენილი დანარჩენი ენების მონაცემებისაც და საგანგებოდ გაანალიზება ამ ენათა შესახებ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურისა. გარდა ამისა, კვლევამ მოითხოვა კავკასიის ფარგლებს გარეთ გავრცელებული სხვა ზოგიერთი ენის მონაცემების მოხმობა, რაც მნიშვნელოვნად გვესახება ტიპოლოგიური კვლევებისა და ლინგვისტური უნივერსალიების შესწავლის თვალსაზრისით, კავკასიის ენათა სპეციფიკური მოვლენების დადგენის პარალელურად.

ნაშრომში მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად უხვად ყოფილიყო თავმოყრილი, აღწერილი და გაანალიზებული სხვადასხვა ენებისა და დიალექტების სათანადო მასალა. გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ შედარებით-შეპირისპირებითი ასპექტით გაანალიზდა დიალექტური მასალა, რაც აქამდე შეუსწავლელი ან ნაკლებად იყო შესწავლილი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. ნაშრომში ყურადღება დაეთმო დიალექტებში შემონახულ დარგობლივ ლექსიკასაც, რომელიც დღეს თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. მოხდა მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, შესაბამისი კულტურულ-ყოფითი კონტექსტების გათვალისწინებით.

სიტყვაწარმოების სფერო მოიცავს საკითხთა მეტად ფართო წრესა და იმდენად ვრცელ მასალას, რომ ერთ მონოგრაფიულ ნაშრომში ყოველივე ამის თავმოყრა ალბათ ვერც მოხერხდება, ამიტომ ჩვენი ნაშრომი შემოიფარგლება სიტყვათა წარმოების მხოლოდ ერთი საშუალების – კომპოზიტიური სიტყვაწარმოების – კვლევით და ისიც ეხება მხოლოდ არსებით სახელთა კომპოზიტიურ წარმოებას ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით. ზმნის სისტემა კავკასიურ ენებში (განსაკუთრებით ქართულში, აფხაზურში, ადიღურში, უდიურში) იმდენად რთულია, რომ ზმნური სიტყვაწარმოება ცალკე მონოგრაფიულ კვლევას საჭიროებს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ზმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი მონაცემის განხილვაც გახდა საჭირო, როდესაც საქმე შეეხებოდა ზმნის გასუბსტანტივებულ ფორმებს, მიმღებებსა და სხვ. კავკასიურ ენებში არც თუ ცოტაა სახელური

კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება ზმნის გარსე-
ბითებული ფორმები ან ზმნური წარმომავლობის ფუძეები. მეტყველე-
ბის სხვა ნაწილთა (ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალ-
სახელი) სიტყვაწარმოების საკითხები და მასალაც საკმაოდ ფართოა,
მითუმეტეს ამდენი ენის ფონზე, და ცალკე შესწავლის საგანი შეიძლე-
ბა გახდეს, თუმცა ცალკეული მაგალითები წინამდებარე ნაშრომშიც
განიხილება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ არსებით სახელთა
ერთმნიშვნელოვნად გამოიჯვნა ზედსართავი სახელებისაგან ყოველ-
თვის ვერ ხერხდება.

ნაშრომი შეეხება უშუალოდ კომპოზიციას, მაგრამ საჭიროების
შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა დერივაციული სიტყვაწარმოე-
ბის, ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის ცალკეული საკითხებიც.

წინამდებარე ნაშრომში დასახულ იქნა შემდეგი მიზნები კონკრე-
ტული კვლევისა:

1) კავკასიურ ენათა (ქართული, აფხაზური, ადიღური, ჩეჩნური,
ინგუშური, წოვათუშური (ბაცბური), ხუნძური, ლაკური, დიდოური,
ბეჟიტური, უდიური, ლეზგიური) კომპოზიტური სიტყვაწარმოების
სისტემათა აღწერა, შედარება-შეპირისპირების მიზნით.

ამისათვის ცალ-ცალკე აღიწერა თითოეული საკვლევი ენის კომ-
პოზიტური სიტყვაწარმოება, მოხდა მასალის სტრუქტურულ-სემან-
ტიკური ანალიზი, კომპოზიტთა ტიპების დახასიათება, კომპოზიტურ
სახელდებასთან (ნომინაციასთან) დაკავშირებული საკითხების გან-
ხილვა. წარმოდგენილ ია ამა თუ იმ კომპოზიტის ეტიმოლოგიის და-
დგენის ცდები.

2) კომპოზიტთა სტრუქტურისა და სემანტიკის საერთო და გან-
სხვავებული ნიშნების დადგენის მიზნით მოხდა საკვლევ ენათა კომ-
პოზიტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.

3) საჭირო გახდა არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისის
შემოტანა და ამის საფუძველზე აღწერა, დახასიათება და გაანალიზება
კავკასიაში გავრცელებულ ენათა სიტყვაწარმოებითი იზოგლოსებისა.
ყურადღებას იქცევს როგორც მონათესავე ენების შიგნით არსებული,
ისე არამონათესავე ენებს შორის გავრცელებული იზოგლოსები.

4) კომპოზიტებში ასახული ენობრივი მსოფლხედვისა და კულ-
ტურულ-ყოფითი რეალიების დასადგენად საჭირო შეიქნა ეთნოლინ-
გვისტური თვალსაზრისის შემოტანა კვლევის სფეროში.

5) კავკასიის ენობრივ სამყაროში არსებული ვითარების შესახებ რამდენადმე მთლიანი სურათის წარმოსადგენად, საკვლევ ენათა მასალის პარალელურად, არაერთ შემთხვევაში შესადარებლად მოხმობილ იქნა კავკასიაში გავრცელებული დანარჩენი ენების ანალოგიური მონაცემები; ესენია **ქართველური** ენებიდან: მეგრულ-ლაზური, სვანური; **აფხაზურ-ადიღური** ენებიდან: ყაბარდოული, უბიხური; **დაღესტნური** ენებიდან: ანდიური ენები (ანდიური, ახვახური, ბაგვალური, ბოთლიხური, კარატაული, ლოდობერიული, ჭამალური), დიდოური ენები (ხვარშიული, ჰინუხური), დარგული ენა, ლეზგიური ენები (არჩიბული, აღლური, ბუდუხური, თაბასარანული, კრიწული, რუთულური, წახური), ხინალულური; **ინდოევროპული** ენებიდან: სომხური, ოსური; **თურქული** ენებიდან: ყუმიკური, ყარაჩაულ-ბალყარული და სხვ.

საკვლევ ენათა სათანადო მონაცემების კვლევა ემყარება შედარება-შეპირისპირებას, რაც ეფექტურია როგორც სხვადასხვა წარმომავლობისა და სტრუქტურის მქონე ენათა შედარებისას, ისე ერთი კონკრეტული ენის კვლევის შემთხვევაშიც. გარდა იმისა, რომ შეპირისპირებითი ანალიზი გამოავლენს მსგავსებებსა და განსხვავებებს სხვადასხვა ენათა მონაცემებში, იგი საშუალებას იძლევა უკეთ განისაზღვროს ენის ის თავისებურებები, რომლებიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ამ ენის მხოლოდ შინაგანი შესწავლის პირობებში. ამასთან ერთად, შეპირისპირებითი ანალიზი მასალას აწვდის ტიპოლოგიას ენობრივ უნივერსალიათა გამოსავლენად (გაკი 1989: 9).

საკვლევ ენათა მასალა შეისწავლება არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც, რაც იძლევა საშუალებას აღიწეროს და დახასიათდეს შესაბამისი მოვლენები, რასაც კავკასიის ენათა სიტყვაწარმოება ავლენს ენათა გავრცელების ამა თუ იმ არეალში. განირჩევა იზოგლოსები, რომლებიც ვითარდებიან გენეტიკურად საერთო წარმომავლობის ენებში და კონვერგენტული იზოგლოსები – წარმოქმნილნი ენათა ხანგრძლივი ტერიტორიული კონტაქტების შედეგად. ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში ამ მხრივ მუშაობა ახალი დაწყებულია. საყურადღებო ვითარებას წარმოგვიდგენს კომპოზიტური სიტყვაწარმოება წოვათუშური (ბაცბური) ენისა, რომელიც ქართულის ძლიერ ზეგავლენას განიცდის ზოგადად. კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაში საინტერესო ფაქტებს გამოავლენს, არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ერთმანეთის უშუალო მეზობლად წარმოდგენილი ენები: აფხაზური და ქართველური; ბეჟიტური და დიდოური ენები ქართული და ხუნძური

ენების მიმართ; ხუნძური, ლაკური და დარგული ენები ერთმანეთის მიმართ. წინამდებარე ნაშრომში ამისი არაერთი მაგალითია მოხმობილი.

კვლევა ჩატარდა ეთნოლინგვისტიკის ფარგლებშიც. ეთნოლინგვისტიკის მიმართულებათაგან ნაშრომში დასახულ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება კოგნიტიურად ორიენტირებული ეთნოლინგვისტიკა, რაც დაკავშირებულია პრობლემატიკასთან „კულტურა ენაში“ / „ადამიანი ენაში“. კომპოზიტიური სიტყვაწარმოების ეთნოლინგვისტური ასპექტით განხილვა გულისხმობს შესწავლას კომპოზიტებში აღბეჭდილი მსოფლხედვისა თუ წარმოდგენებისა გარემოცველი სინამდვილის შესახებ; გარკვევას იმისა თუ რა სახელწოდება მოეპოვება ენაში სათანადო კულტურულ-ყოფით რეალიას და როგორ არის ეს რეალია სახელდებული კომპოზიტის მეშვეობით, რა გავლენას ახდენს ესა თუ ის კონკრეტული ექსტრალინგვისტური რეალია კომპოზიტის სემანტიკაზე და სხვ.

ამრიგად, ნაშრომი ემყარება როგორც სისტემურ-სტრუქტურულ, ისე ანთროპოლოგიურ სამეცნიერო პარადიგმებს, რაც გულისხმობს, ენობრივი მონაცემების სისტემისა და სტრუქტურის კვლევის პარალელურად, ენაში აღბეჭდილი მსოფლხედვისა და კულტურის ფაქტების წარმოჩენას. ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომში გაანალიზებული კონკრეტული საკვლევი ენების (ქართული, აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური, ინგუშური, წოვათუშური, ხუნძური, ლაკური, დიდოური, ბეჟიტური, ლეზგიური, უდიური) მასალა დააინტერესებს როგორც ენათმეცნიერებს, ისე ეთნოლოგებს და სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებსაც.

ნაწილი I

ქართული ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

კომპოზიტური სიტყვაწარმოება უნივერსალური ლინგვისტური მოვლენაა, არ არსებობს ენა მის გარეშე. ბევრ ენაში ის წარმოადგენს სიტყვაწარმოების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას. მკვლევრები მიუთითებენ, რომ იგი უნდა განეკუთვნებოდეს სიტყვაწარმოების ყველაზე ძველ სახეობას და გვიჩვენებს ენის განვითარების ადრეულ საფეხურს (ჯაკენდოფი 2009:55). დიდია ალბათობა იმისა, რომ თხზვა წინ უსწრებდა დერივაციულ წარმოებას, ვინაიდან, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, თხზვის დროს შეზღუდვები თითქმის არ არსებობს ან ძალზე მცირეა და ამდენად, მისი წარმოება უფრო ადვილია (ჯაკენდოფი 2009).

თავისი გამორჩეული ბუნების გამო, სიტყვაწარმოების ეს სახე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ყოველთვის. კომპოზიტები სტრუქტურით მოქცეულნი არიან სიტყვისა და წინადადების, მორფოლოგიისა და სინტაქსის მიჯნაზე. ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ სიტყვებს, მაგრამ მეორე მხრივ, მათ გააჩნიათ ერთგვარი „შინაგანი სინტაქსი“. აქედან გამომდინარე, მათი კვლევისას ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს შესიტყვებისა და კომპოზიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და საამისოდ კრიტერიუმების ჩამოყალიბება წარმოადგენს ხოლმე. რთული არსებითი სახელები აერთიანებენ სინტაგმურ და პარადიგმატულ, ლინგვისტურ და პრაგმატულ ცოდნას.

შესაძლებელია თუ არა, რომ კომპოზიტებისთვის – ამ უნივერსალური ენობრივი მოვლენისთვის – შეიქმნას ერთიანი საკლასიფიკაციო სისტემა, რომლის გამოყენებაც მოხერხებული და გამართლებული იქნება ტიპოლოგიურად განსხვავებული ენებისათვის? ეს კითხვა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაისვა ზოგად საენათმეცნიერო ლიტერატურაში და არაერთი სქემაც იქნა შემოთავაზებული.

კომპოზიტთა სემანტიკური სტრუქტურის კლასიფიკაციისათვის ზოგად ენათმეცნიერებაში

კომპოზიტები მრავალ ენაში გამოიყენება ძველი სიტყვებისაგან ახლის შესაქმნელად. ი. გრიმის დაკვირვებით, კომპოზიტები გვამლევს საშუალებას რთული ცნებები გამოვსახოთ უფრო მარტივად და მოხდენილად, ვიდრე ამას სხვა შემთხვევაში შევძლებდით.

ორი ფუძის შეერთების ტექნიკა მოსაუბრის მიერ ახალი კონცეპტის სხარტად გამოსახატად, როდესაც არ არსებობს შესაბამისი სიტყვა, არის ზოგადი მოვლენა. ადამიანები ამჟღავნებენ ბუნებრივ მიდრეკილებას, რომ შექმნან სიტყვათა ახალ-ახალი კომბინაციები.

ამა თუ იმ ენის თხზულ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი რეგულარულ სემანტიკურ მოდელებს მიჰყვებიან (Dawning, 1977; Warren, 1978). ფსიქოლინგვისტური კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანები ეყრდნობიან სტატისტიკურ ცოდნას, თუ როგორ გამოიყენება უკვე არსებული სახელები ერთმანეთთან კომბინაციაში, რათა გაუადვილდეთ ახალი კომპოზიტის მნიშვნელობის აღქმა.

თანამედროვე ზოგად საენათმეცნიერო ლიტერატურაში კომპოზიტების დამუშავების მინიმუმ სამი განსხვავებული მიდგომა არსებობს: ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი, ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი და გ ე ნ ე რ ა ც ი უ ლ ი (ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ-ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი).

ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი მ ი დ გ ო მ ა. მოცემული თეორიის თანახმად, მხოლოდ ის სიტყვები ხდებიან რთული სიტყვის კომპონენტები, მხოლოდ ისინი შედიან კომბინაციაში და ქმნიან კ ო მ პ ო ზ ი ტ ს, რომლებიც ერთად ყოფნისას გვაძლევენ აღსანიშნს, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ამ კომპონენტების ჯამი. ეს მიდგომა კომპოზიტებს აღწერს ექსტრალინგვისტური ურთიერთობით შინაარსსა და სიტყვის კომპონენტებს შორის.

მეოცე საუკუნეში კომპოზიტების სემანტიკა კიდევ ერთხელ გახდა პოპულარული ლინგვისტური თემა. თავდაპირველად ეს შრომები ორიენტირებული იყო მხოლოდ აღწერაზე. გენერაციული გრამატიკის გამოჩინებამ კი 50-60-იან წლებში შეცვალა ბევრი რამ ამ მხრივ. ტრანსფორმაციული მიდგომით შესაძლებელი გახდა რთული სიტყვების ანალიზი, როგორც უფრო სრული სტრუქტურისაგან წარმოქმნილისა.

წარმომშობი გრამატიკის (ნ. ჩომსკი) თეორიის მიხედვით, ლექსიკონი შეიცავს მხოლოდ მარტივ სიტყვებს. თხზული სახელები კი ახსნილია ტრანსფორმაციული წესებით. ამერიკელი ენათმეცნიერი რ. ლისი (1960) გვთავაზობს ახსნას, რომ ბევრი ტრანსფორმაციის შედეგად სახელური კომპოზიტები (როგორიცაა მაგალითად ინგლისური **man-servant** „კაცი-მსახური“) წარმომშობილია წინადადების საფუძველზე. კომპონენტებს შორის გრამატიკული კავშირი იგივეა, რაც წინადადებაში, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა რთული სიტყვა (მაგ., სუბიექტი და პრედიკატი man-servant-ის მაგალითზე). ზოგიერთი კომპოზიტის ინტერპრეტაცია სხვანაირადაც შეიძლება, რადგან აქვს უფრო ღრმა სტრუქტურა.

აღნიშნულ მოსაზრებას ბევრი კრიტიკა მოჰყვა, რადგან, მაგალითად, იდიოსინკრეტულ კომპოზიტებში ზემოთ ხსენებული კავშირის დანახვა რთულია. Girlfriend, boyfriend და მსგავსნი ამგვარ ახსნას არ ემორჩილება.

კ. ლევი (1978) გვთავაზობს რთული სიტყვების დაწვრილებით ანალიზს. მისი კვლევების თანახმად, ორი არსებითი სახელის შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიტების სემანტიკა შეიძლება გულისხმობდეს შემდეგ ცხრა მიმართებას:

| | |
|--------------------------|--------------------------|
| მიზეზი | მიზეზი |
| ქონა / ყოლა ¹ | ქონა / ყოლა ² |
| კეთება ¹ | კეთება ² |
| გამოყენება / ხმარება | |
| ყოფნა | |
| -ში: | |
| -თვის | |
| -დან | |
| შესახებ | |

შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი შინაარსის მატარებელი პრედიკატები ამოშლილია კომპოზიტების წარმოებისას და შედეგად გვაქვს შინაარსის ბუნდოვანება.

ეს მიდგომაც დაწუნებულ იქნა არაერთი მიზეზის გამო. ერთ-ერთი საკამათო საკითხი ის იყო, რომ კომპონენტებს შორის ურთიერთობა იდენად მრავალგვარია, შეუძლებელია მათი სრულად ჩამოთვლა. მაგალითად, ბ.ზიმერი (1972) მიუთითებს, რომ სჯობს, ის დამოკიდებულებები ჩამოვთვალოთ, რომლებიც არ გვაქვს რთული სიტყვის კომპონენტებს შორის, ვიდრე ის, რაც გვაქვსო.

მეორე საკითხი, რომელმაც კრიტიკა დაიმსახურა, არის ზემოთ მოტანილი სიის მეტისმეტი ზოგადობა და ბუნდოვანება. ხშირად რთულია, განსაზღვრო, რომელ ტიპს მიეკუთვნება ესა თუ ის რთული სიტყვა, ზოგჯერ კი ერთზე მეტი კატეგორია შეესაბამება. ამასთანავე, არაერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს სქემა თხზული სახელების სემანტიკას ძალიან გაღარიბებულად წარმოგვიდგენს. მათი აზრით, უფრო უპრიანია კომპოზიტთა პრაგმატიკის და არა სემანტიკის კუთხით განხილვა.

მოგვიანებით კ. ლევის მსგავსი მიდგომა გამოიყენა ს. ლაუერმა (1995), თუმცა იგი გვთავაზობს წინდებულებზე დამყარებულ კლასიფიკაციას. ეს სქემაც, ლევის მსგავსად, იმავე არგუმენტებით იქნა დაწუნებული მკვლევართა მიერ.

არაერთი ენათმეცნიერი აღნიშნავს, რომ კომპოზიტების სემანტიკური დაყოფა შეიძლება იყოს მხოლოდ ორგვარი, გვაქვს თუ არა მეთაური სიტყვა და სად მდებარეობს ის. მკვლევართა უმრავლესობა სწორედ ამ მიდგომას მიმართავს თხზული სახელების სემანტიკური კლასიფიკაციისათვის.

ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ სემანტიკური მიდგომით საკმაოდ პირობით შედეგებს ვიღებთ, არ არის რეკომენდირებული მხოლოდ ამ კლასიფიკაციით სარგებლობა. უმჯობესია, გრამატიკულისა და სემანტიკური მიდგომის თანადროული გამოყენება. სხვა საკლასიფიკაციო სქემებშიც არის შესული სემანტიკური დაყოფის კომპონენტი, ეგზოცენტრულობა-ენდოცენტრულობა და სხვ. და ისინი უფრო ზუსტ და ნათელ სურათს გვაძლევენ ამა თუ იმ ენის რთულ სიტყვათა ბუნებაზე. თანამედროვე საენათმეცნიერო წრეებში სწორედ ამგვარი დაყოფაა ყველაზე გაზიარებული და მიღებული.

ქართულ ენაში სიტყვაწარმოების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას კომპოზიცია წარმოადგენს. იგი ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის ძირითადი საშუალებაა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე მის დიალექტებშიც. დიალექტური მონაცემები განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური მახასიათებლებით.

კომპოზიცია რომ სიტყვაწარმოების უძველესი საშუალებაა ქართულ ენაში, ამას მოწმობს როგორც ძველი ქართულის წერილობითი ძეგლები, ისე ამა თუ იმ კუთხის ტოპონიმები.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, სიტყვაწარმოების კომპოზიტური საშუალება უფრო სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებელი და მეტად პროდუქტიულიცაა. ეს შეპირობებულია „სალიტერატურო ენაში ახალ ცნებათა გადმოცემის საჭიროებით...განსაკუთრებით დამახასიათებელია კომპოზიცია ტერმინოლოგიური სისტემისათვის“ (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 252, 253). თხზული სახელები ნამდვილად უფრო უხვად გვხვდება სალიტერატურო ენის ლექსიკის გარკვეულ დარგებში და ეს ბუნებრივია, მაგრამ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არანაკლებ აქტიურია უდამწერლობო ენებსა თუ დიალექტებში. განსხვავებას გვაძლევს ლექსიკის სფერო-

ები, სადაც სიტყვაწარმოების ამგვარი სახე სჭარბობს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სალიტერატურო ენაში რთულ სახელთა დიდი წილი ტერმინოლოგიაზე მოდის. დიალექტებში დაცულია ისეთი ერთეულებიც, რომლებიც სალიტერატურო ენას აღარ შემოუნახავს. ამგვარია ძირითადად მცენარეთა სახელწოდებები, სარიტუალო თუ საწესჩვეულებო ტერმინები და ტოპონიმები. ისინი უფრო მეტად მხატვრული ბუნებით გამოირჩევა და ხშირად მეტაფორული ხასიათისაა, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი სალიტერატურო ენისათვის.

დიალექტებში წარმოადგენილი თხზული სახელები, გარდა იმისა, რომ უფრო მრავალფეროვან სტრუქტურულ-სემანტიკურ ტიპებს გვიჩვენებს, უფრო რთულია საანალიზოდ, მეტაფორიზაციისა და ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებებისა თუ თავისებურებების წყალობით.

კომპოზიტთა აღსანიშნავად ქართულენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: რთული სახელი, თხზული სახელი და კომპოზიტი. ეს უკანასკნელი პირველად გამოიყენა გ. ახვლედიანი (ახვლედიანი 1919: 113).

კომპოზიტთა კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. თემის სხვადასხვა ასპექტის შესახებ არაერთი კვლევა შეიქმნა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. თუმცა ამ მრავალრიცხოვან ნაშრომებში ერთგვაროვანი განმარტებების, ანალიზისა თუ დაჯგუფების კრიტერიუმების მოძებნა საკმაოდ ჭირს.

რთული სიტყვების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხებს ყურადღებას უთმობენ თავიანთ ნაშრომებში გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ალ. ღლონტი, ა. კიზირია, თ. ყაუხჩიშვილი, კ. დანელია, ბ. ფოჩხუა, მ. ჭაბაშვილი, თ. ბერიძე და სხვ. საშუალო ქართულის რთული სახელების შესახებ არსებობს თ. ბერიძის დისერტაცია (2006), თუმცა ძველი და ახალი ქართულის ანდა დიალექტების შესახებ მონოგრაფიული კვლევა ჯერ არ მოგვეპოვება.

ქართული ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოების შესწავლის ისტორია და სპეციალური ნაშრომების მიმოხილვა პირველად წარმოადგინა ვ. თოფურიამ (თოფურია 1979: 286-288). ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ კომპოზიტურ სიტყვაწარმოებას ეხებოდნენ ძალზე ძუნწად და თითქმის ერთნაირად ძველი გრამატიკოსები. პირველად იგი ჩამოაყალიბა ა. შანიძემ თავის გრამატიკაში (შანიძე 1930: 66-70). შემდეგ კომპოზიტები შედგენილობისა და მართლწერის მხრივ განიხილეს ვ. თოფურიამ (თოფურია 1933: 2-9), ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი 1933:

3-5), ს.იორდანიშვილმა (იორდანიშვილი 1934: 3-20). მთელი თავი აქვს მიძღვნილი თხზვას (კომპოზიციას) ა. შანიძის ნაშრომში (შანიძე 1953: 149-163; შანიძე 1980: 147-162), სადაც კომპოზიციასთან დაკავშირებით ზოგი სიტყვის საყურადღებო ეტიმოლოგიაა მოცემული და ფონეტიკურ პროცესთა ახსნის შედეგად გარკვეულია რთულ სიტყვათა წარმომავლობა.

კომპოზიტი და მისი სახეობანი, აგრეთვე ინდოელ გრამატიკოს პანინის მიერ (დაახ. V ს. ძვ. წ.-ად.-ისა) დადგენილი ტიპები განხილულია არნ. ჩიქობავას „ზოგად ენათმეცნიერებაში და იქვე გაშუქებულია საკითხები ფუძის რაობისა, ერთი მხრივ, და კომპოზიტის დამოკიდებულებისა ერთფუძიან სიტყვასთან და შესიტყვებასთან, მეორე მხრივ (ჩიქობავა 1939: 187-189; ჩიქობავა 1952: 224-227).

კომპოზიტები ძველ ქართულში შესწავლილი აქვს თ. ყაუხჩიშვილს (ყაუხჩიშვილი 1952: 59-90). მკვლევარი გამოყოფს 1. საკუთრივ ქართულ კომპოზიტებს; 2. საერთო შედგენილობის კომპოზიტებს ქართულსა და სომხურში; 3. საერთო წარმოშობის ქართულსა და ბერძნულ კომპოზიტებს; 4. საერთო წარმოქმნის კომპოზიტებს ქართულსა, ბერძნულსა და სომხურში. ავტორი აღნიშნავს, რომ კომპოზიტის საერთო შედგენილობა კიდევ არ ნიშნავს მის სხვა ენის გავლენით წარმოშობას. ქართულს სრულიად დამოუკიდებლად შეეძლო წარმოექმნა მსგავსი კომპოზიტები, მით უფრო, როცა მას საკუთარი წარმოების რთული სიტყვები ბევრი მოეპოვებოდა. ასეთია ტოპონიმკური სახელები, ცხოველთა, მცენარეთა, თანამდებობის, ხელობის, თვისების, ზნე-ჩვეულებისა და სხვათა სახელები. მაგრამ უდავოა, რომ გადმოღებულია ბერძნულიდან ქრისტიანული რელიგიის ცნებები ქართულშიც და სომხურშიც ისევე, როგორც ბერძნულშია ბევრი ცნება გადმოსული ებრაულიდან.

კომპოზიტის შედგენილობასა და ზმნიან კომპოზიტებს ძველსა და ახალ ქართულში ეხება მ. მრევლიშვილის შრომა (მრევლიშვილი 1957: 165-186). კომპოზიტები და რთული ზმნები სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით თავმოყრილი და გაანალიზებული აქვს ივ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1957: 134-143, 150-171, 196-198, 352-261, 467-472, 539-543).

ვ. თოფურია აღნიშნავს: „კომპოზიცია ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების ოდითგანვე გამოყენებული პროდუქტიული საშუალებაა. ამით აიხსნება, რომ ძველ ქართულში კომპოზიტები, მათ შორის ზმნიანიც, როგორც თარგმნილ, ისე ორიგინალურ ძეგლებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ბევრი მათგანი უთუოდ ბერძნულის, სომხურის

თუ სხვა ენის რთული სიტყვის კალკს წარმოადგენს, მაგრამ საკუთარი უამრავია და, თუ რომელიმე მათგანი შედგენილობის მხრივ მსგავსია ბერძნულისა თუ სომხურისა, ეს მათი საერთო საფუძვლის მაჩვენებელია. ამ მხრივ საჭიროა სხვადასხვა ენის კომპოზიტთა შესწავლა, მათ შორის მსგავსების დადგენა და საერთო საფუძვლის გამორკვევა. ეს საკითხი ზოგადენათმეცნიერული საკითხია და მის გასაშუქებლად ქართველური ენები მდიდარ მასალას იძლევიან“ (თოფურია 1959: 107-108).

სამეცნიერო ლიტერატურაზე თვალის ერთი გადავლევითაც ჩანს, რომ კომპოზიტთა დეფინიცია საკმაოდ მრავალფეროვანია. აკაკი შანიძე ერთგვარად უპირისპირებს ერთმანეთს წარმოქმნასა და თხზვას და გვთავაზობს შემდეგი სახის განსაზღვრებას: „წარმოქმნა გულისხმობს ახალი სახელის გაკეთებას სხვა სახელის ფუძისაგან მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებით (**თავი: თავ-იან-ი, უ-თა(ვ)-ო, სა-თა(ვ)-ურ-ი** და სხვ. *ხაზი ჩვენია*), თხზვა კი გულისხმობს ახალი სახელის წარმოშობას ფუძის გაორკეცვებით (თავ-თავი) ან ორი და მეტი სიტყვის შეერთებით (**ერის-თავ-ი, ასის-თავ-ი, თავის-უფალო-ი** და სხვ. *ხაზი ჩვენია*). თხზულ სახელს (კომპოზიტს) სხვანაირად რთულს ეძახიან“ (შანიძე 1983: 145). თუმცა დაზუსტებისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპოზიციაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს და მოიცავს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ნაწილობრივ ან სრულ ცვლილებას, გადააზრებას, მეტაფორიზაციას და ა.შ. ამდენად, წარმოქმნა და თხზვა ამ ნიშნით ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კომპოზიციაც, დერივაციის მსგავსად, ახალი ცნების შესაქმნელადაა მიმართული. ორივე მათგანი წარმოადგენს სხვადასხვა გრამატიკული ხერხით ახალი სიტყვის დაბადების საშუალებას, განსხვავებულია მხოლოდ შექმნის მექანიზმები.

კომპოზიტის მსგავს დეფინიციასვე გვთავაზობს გიორგი ახვლედიანიც, მისი თქმით, ეს არის ენის მიდრეკილება, რომ რამდენიმე მნიშვნელობა გააერთიანოს ერთ სიტყვად, რაც რთულ სიტყვას იძლევა (ახვლედიანი 1919).

ალ. ლლონტის განმარტებით, კომპოზიტი არის „რთული, ან შედგენილი სიტყვა, რომელიც ორი ან მეტი ძირის შეერთებითაა მიღებული და ერთ ცნებას გამოხატავს“ (ლლონტი, 1988:146). საინტერესოა, რომ ავტორი განარჩევს თხზვის ორ სახეობას, როგორც თავად უწოდებს, ს ი ტ ყ ვ ა თ შ ე რ თ ე ბ ა ს ა და ს ი ტ ყ ვ ა თ წ ა რ მ ო ქ მ ნ ა ს. სიტყვათშეერთების ნიმუშებად ავტორი ასახელებს შემდეგ ერთეულებს: **მთაწმინდა, ჯარგვალი, მზეთუნახავი** და სხვ. სიტყვათწარმოქმნისა კი – **თავპირმოგლეჯილი, სულმდაბალი, თავლაფდასხმული** და

ა.შ. (ხაზი ჩვენია).ამ უკანასკნელთა აღსანიშნავად უცხოენოვან საენათ-მეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი ს ი ნ თ ე ტ ი კ უ რ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ი და გულისხმობს ისეთ რთულ სიტყვებს, რომელთა შემადგენელი ერთი ნაწილი (უმთავრესად მეთაური სიტყვა) ნაზმნარი სახელია.ამგვარად, თხზვასთან ერთად, ერთი სიტყვის ფარგლებში, წარმოდგენილია დერივაციაც. სინთეტიკური კომპოზიტების წარმოება ძალიან პროდუქტიულია როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში. საყურადღებოა, რომ ალ. ღლონტის გარდა, ქართული კომპოზიტების ცალკე სახეობად ისინი არავის გამოუყვია. ისევე, როგორც ა. შანიძე, ისიც განარჩევს კომპოზიტებს ვიწრო და ფართო გაგებით. ერთგნებია-ნი რთული სიტყვები კომპოზიტები ვიწყო გაგებით, ხოლო ორ და მეტგნებია-ნი – ფართო გაგებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი *სიტყვათწარმოქმნა* სახელთა ერთი ჯგუფის აღსანიშნად ნაკლებად მოსახერხებელი და ზუსტი ჩანს, რადგან, ამ გაგებით, შეერთებითი კომპოზიტების საშუალებითაც ისევე *წარმოიქმნება* ახალი სიტყვა, განსხვავებული ფორმა და ახალი შინაარსი, როგორც სიტყვათწარმოქმნად სახელდებული მოვლენის დროს.

არნ. ჩიქობავა კომპოზიტებს რთულ ფუძეებს უწოდებს (ჩიქობავა 1935): „რთული ფუძე ანუ კომპოზიტი შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან, ჩვეულებრივ ორისა, იშვიათად სამი ფუძისაგან; შესაძლებელია კომპოზიტი ორი სიტყვისაგან (და არა ფუძისაგან) წარმოდგარიც აღმოჩნდეს“ (ჩიქობავა 1935:174).

რომ შევაჯამოთ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, კომპოზიტების სტრუქტურის ანალიზი ძირითადად მოიცავდა კომპონენტთა მეტყველების ნაწილების მიხედვით კლასიფიკაციას, მათ შორის არსებულ სინტაქსურ მიმართებათა გამორკვევას და შემადგენელი ნაწილების მიმდევრობის განსაზღვრას. გამოყოფილია შემდეგი სტრუქტურული ტიპები: ა) და კ ა ვ შ ი რ ი თ შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი; ბ) ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი ა ნ ი; გ) მ ა რ თ უ ლ მ ს ა - ზ დ ვ რ ე ლ ი ა ნ ი; დ) ს ხ ვ ა ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი კ ო მ პ ო - ზ ი ტ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ა წ ი ლ შ ი და ე) შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ს ა ხ ე - ლ ე ბ ი, რომლის ქვესახეობებადაც წარმოდგენილია ტ ო ლ ა დ და ა რ - ტ ო ლ ა დ შერწყმული სახელები. ამგვარი მიდგომის კლასიკური ნიმუშია შემოთავაზებული აკაკი შანიძის მიერ.

ქართული ენის თხზული სახელების სემანტიკური ანალიზისას მკვლევრები ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად იყენებენ წარმოქმნილი სახელის ცნებათა რაოდენობას – ერთგნებია-ნია იგი თუ მრ-

ვალცნებიანი: „თხზული სახელი შეიძლება იყოს ერთცნებიანი (**ქინ-მისთავი**), ორცნებიანი (**წყალ-წადებული**) და ორზე მეტი ცნების შემცველი (**ხელ-ფეხ-შეკრული**)“ (შანიძე 1980: 146). აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ორცნებიანად დასახელებული მაგალითებიც, ჩვენი აზრით, ერთცნებიანი უნდა იყოს. ამაზე ეგზოცენტრული კომპოზიტების განხილვისას გვექნება მსჯელობა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ცნებათა რაოდენობა ჩვენთვის არ წარმოადგენს თხზული სახელების საკლასიფიკაციო ნიშანს.

იმავე ნიშნით აჯგუფებს ი. არონია მეგრულ-ლაზურის (და შესაძარებლად მოხმობილი ქართული ენის) კომპოზიტებს: „ცნებიანობის მიხედვით კომპოზიტი არის ერთცნებიანი და ორცნებიანი. ერთცნებიანი კომპოზიტი ერთ ცნებას გამოხატავს, ერთ სემანტიკურ ერთეულს გულისხმობს“ (არონია 2010: 9).

რთული სახელების სემანტიკური სტრუქტურა თუ მოტივაცია სხვა მხრივ არ გამხდარა დაკვირვების საგანი. მხოლოდ არნ. ჩიქობავა იყენებს ქართული ენის (ძველი ქართულის) კომპოზიტთა საკლასიფიკაციო ნიშნად ეგზოცენტრულობასა და ენდოცენტრულობას, რომელიც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან ძალიან პოპულარული იყო დასავლურ ენათმეცნიერებაში და დღესაც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ენათა კომპოზიტების ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად.

არნ. ჩიქობავა აანალიზებს „ვეფხისტყაოსნის“ თხზულ სახელებს და გახაზავს ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კომპოზიტებს შორის არსებულ სხვაობას. მოცემულ წერილში მისი კვლევის ძირითად საგანს ეგზოცენტრული კომპოზიტები წარმოადგენს, რომლებიც, ავტორის დაკვირვებით, ძველ ქართულშივე პროდუქტიული იყო.

ა. კიზირია ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად იღებს კომპოზიტთა ცნებიანობას – ერთცნებიანი და ორ და მეტცნებიანი. მათ შორის არსებულ გრამატიკულ მიმართებებს კი მხოლოდ ქვესახეობებად გამოყოფს (კიზირია 1981).

აუცილებელია ითქვას, რომ ცნებიანობის მიხედვით დაჯგუფებისასაც გამოკვეთილ უნდა იქნეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით, ორ თუ მრავალცნებიანი სიტყვა, თანამედროვე ქართულ ენაში ერთცნებიანზეა დაყვანილი, ანდა შეიძლება ითქვას, ცალსახად ორცნებიანი არ არის. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში თავის დროზე ისინი ორცნებიან სიტყვებშია განხილული, მაგალითად, კოორდინაციული კომპოზიტი **წითელ-ყვითელი**, არ ნიშნავს მაინცდამაინც ამ

ორ ფერს. ის უმთავრესად სიჭრელის, სიკაშკაშის აღმნიშვნელად გამოიყენება და ამდენად, ერთცნებიანია. ამავე სახის მაგალითად შეიძლება დასახელდეს **მთა-ბარი** – უმრავლეს შემთხვევაში ის არა ორ ცნებას, ცალ-ცალკე მთასა და ბარს მოიცავს, არამედ მიანიშნებს სივრცის მასშტაბურობაზე, რომ კონკრეტული სივრცე მოიცავს ყველაფერს, მთასაც და ბარსაც. იგივე შეიძლება ითქვას **ცხვირ-პირი**-ს შესახებ. ცხვირისა და პირის გარდა, იგი მთლიანად სახეს ნიშნავს.

თხზული სახელის ცნებათა რაოდენობის განსასაზღვრად მკვლევართა მიერ შეთანხმებული და მიღებული შემდეგი წესი არსებობს, რომელსაც გვთავაზობს „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაც“: „ორცნებიანი კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ თავ-თავისი მნიშვნელობა, მათ შორის შეიძლება დაისვას და კავშირი. ასეთი კომპოზიტები დეფისით იწერება. ერთცნებიან კომპოზიტში შემავალ წევრებს შორის კი და კავშირი არ იგულისხმება. ისინი დეფისის გარეშე იწერება“ (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 247). ამ წესის მიხედვით, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავს შემთხვევებში გადახედილ უნდა იქნეს კომპოზიტთა მართლწერის საკითხიც და მიუხედავადიმისა, რომ ისინი თავიანთი სტრუქტურით კოორდინაციული, ან ჩვენში მეტად დამკვიდრებული ტერმინებით რომ ვთქვათ, შერწყმულ, შეერთებით სახეობას მიეკუთვნებიან, ერთად, უდეფისოდ უნდა დაიწეროს.

მეოცე საუკუნის ბოლომდე და რიგ შემთხვევაში დღესაც, ზოგად ლინგვისტურ ლიტერატურაში კომპოზიტთა საკლასიფიკაციოდ ხშირად მიმართავდნენ პანინის (ინდოელი გრამატიკოსი, დაახ. V საუკუნე ძვ. წ.-ად.-ისა) მიერ შემუშავებულ საკლასიფიკაციო სქემას. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც კპოვა მან გავრცელება და ხშირად გამოიყენება ქართული თუ ქართველური ენების მასალის ანალიზისას. პანინის მიერ გამოყოფილი სახეობებია:

ა) დვანდვა (composita copulativa) ანუ შეერთებითი კომპოზიტები;

ბ) ტატკურუშა (composita determinativa) ანუ განსაზღვრებითი კომპოზიტები;

გ) ბაჰუვრიჰი (composita possessiva) ანუ კუთვნილებითი კომპოზიტები;

დ) ავდაიბჰავა (composita adverbiala) ანუ ზმნისართოვანი კომპოზიტები.

პანინის სქემას დღეს უფრო და უფრო ნაკლები მეცნიერი მიმართავს ანალიზისას, რაც რამდენიმე მიზეზითაა შეპირობებული. უპირველეს ყოვლისა, იგი შეიქმნა ერთი კონკრეტული ენისათვის – სანსკრიტისათვის და მორგებულია ამ ენის ბუნებასა და გრამატიკულ სტრუქტურას და როგორც მრავალი მცდელობა აჩვენებს, ვერ გამოდგება უნივერსალურ საკლასიფიკაციო სქემად მსოფლიოს ყველა ენის რთული სახელებისათვის. მისი კრიტერიუმები არასაკმარისად ზოგადი და უნივერსალურია ამისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიცია უნივერსალური ლინგვისტური მოვლენაა და მსოფლიოს ყველა ენაში არსებობს, მაინც ძალზე განსხვავებულია მისი წარმოების მექანიზმები, რადგან ის ირეკლავს თითოეული ენის ბუნებასა და გრამატიკულ სტრუქტურას. ყოველი ენა საკუთარ გრამატიკულ ინვენტარს იყენებს ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. სიტყვაწარმოების ყველა საშუალება, განსაკუთრებით კი თხზვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის გრამატიკულ სტრუქტურასთან, სწორედ ესაა, რაც ართულებს საერთო საანალიზო სისტემის შექმნას. ამასთანავე, პანინის სქემაში აღრეულია გრამატიკული და სემანტიკური მახასიათებლები. გამოყოფილი ოთხი ჯგუფიდან ზოგი გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით ანალიზებს კომპოზიტებს, ზოგიც სემანტიკისა. ამაზე მიუთითებს ვ. თოფურია: „ინდოელ გრამატიკოსთა კლასიფიკაციით გარჩეულია ოთხი ძირითადი ტიპი, მაგრამ საკლასიფიკაციო ნიშანი აღრეულია; მხედველობაშია მიღებული კომპოზიტის წარმოების საშუალება, კომპონენტთა ფუნქცია და კომპონენტი რომელი მეტყველების ნაწილია. ამდენად, ესა და მსგავსი კლასიფიკაცია გაუმართლებელია“ (თოფურია 1979: 282). საინტერესოა და ამავდროულად, უცნაურიც, რომ არსებულ მიდგომათაგან უმრავლესის მთავარი ნაკლიც სწორედ საკლასიფიკაციო პრინციპის აღრევასა და არაერთგვაროვნებაშია.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული თემის კვლევას ქართულ ენათმეცნიერებაში საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, მთელი რიგი საკითხებისა საჭიროებს დაზუსტებასა და სიღრმისეულ ანალიზს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მრავალფეროვანია ტერმინოლოგია, რომელსაც ესა თუ ის მკვლევარი იყენებს კომპოზიტთა ანალიზისას, მაგრამ, გარდა იმისა, რომ არ გვაქვს ერთიანი ტერმინოლოგია, თავად რთული სიტყვის განმარტებაც სხვადასხვაგვარია. ესა თუ ის ავტორი თუნდაც ერთი და იმავე სახელდების ქვეშ არ მოი-

აზრებს ერთსა და იმავე ცნებას. ამასთანავე, არ გვაქვს საკლასიფიკაციო სქემა, რომლის საშუალებითაც სრული და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნებოდა ქართული ენის სიტყვაწარმოების მოცემული სახეობის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემდა ენის ბუნების სპეციფიკის გათვალისწინებით სრულად აღგვეწერა როგორც ამ სახელთა გრამატიკული, ისე სემანტიკური სტრუქტურა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თხზულ სახელთა ამა თუ იმ ასპექტის ირგვლივ არსებული კვლევები ქართული ენის მხოლოდ ცალკეულ პერიოდებს მოიცავს, მაგრამ საკითხი შესწავლილი არ არის ენის განვითარების მთელი ისტორიისა და დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

წინამდებარე ნაშრომში ემპირიულ მასალად გამოყენებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსი, დიალექტური კორპუსი, სხვადასხვა ბეჭდური თუ ელექტრონული ლექსიკონი და ლიტერატურულ-ფოლკლორული ტექსტები.

თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურისა და კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ენაში

თხზული სახელების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მათი კლასიფიკაცია ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ საკამათო საკითხად რჩება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავებას ენათა მრავალფეროვანი სტრუქტურა ართულებს. სამეცნიერო სივრცეების მიხედვით, ერთმანეთისგან სხვაობს ტერმინოლოგიაც. არცთუ იშვიათად ერთი და იმავე ტერმინით სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ცნებას აღნიშნავს. საკლასიფიკაციო ნიშნად ზოგიერთი მკვლევარი იყენებს მხოლოდ სემანტიკურ მახასიათებლებს, ზოგი მხოლოდ გრამატიკულს, ზოგი გრამატიკულსა და სემანტიკურს ერთდროულად და სხვ. ყველა ეს მიდგომა ერთი კუთხით წარმოაჩენს კომპოზიტებს და სრულად არ აღწერს მათ მახასიათებლებს. ეს ყოველივე ართულებს სხვადასხვა ენის მონაცემების ერთმანეთთან შედარებასაც. ამგვარად, შედარებითი ნაშრომის პირველ ამოცანას შეძლებისდაგვარად ერთიანი საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავება წარმოადგენს.

თუ ავიღებთ ქართული კომპოზიტების დასამუშავებლად ყველაზე გავრცელებულ, აკაკი შანიძისეულ მიდგომას, დავინახავთ, რომ ამ სქემის მიღმა რჩება არაერთი ლექსიკური ერთეული და ცხადი არ

არის, რომელ ჯგუფში შეიძლება მათი გაერთიანება. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მის მიერ გამოყოფილი სამი ძირითადი ჯგუფიდან – ატრიბუტულ მსაღვრელიანი (**დიდგაქარი, ახალგორი, ზედაპირი** და სხვ.), მართულ მსაზღვრელიანი (**ქინძისთავი, ძმისშვილი, ვაშლისძმარი**) და შერწყმული სახელები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ტოლად და არტოლად შერწყმულ სახელებად (**დედ-მამა, და-ძმა, მთა-ზარი, თავგაბურძნული, კუდამოძუებული** და სხვ.). პირველ ორ შემთხვევაში დაყოფის კრიტერიუმად აღებულია კომპონენტებს შორის არსებული სინტაქსური მიმართება, მესამეში კი შეერთების საშუალება, ხერხი.

„შერწყმულის სახელით აღვნიშნავთ ორისა და მეტი ცნების გადმომცემ სახელებს, რომლებიც ფორმალურად არიან გაერთიანებული“ (შანიძე 1953: 190). თუმცა ამ შემთხვევაში არც ცნებათა რაოდენობა და არც შეერთების საშუალება საკმარისი არ ჩანს რთულ სახელთა ერთ ჯგუფში გასაერთიანებლად.

ქართული ენის ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ჩანს, რომ შერწყმული სახელიც შეიძლება იყოს ატრიბუტული ტიპისა, ამასთანავე, „ფორმალურად“ გაერთიანებულებიც და პირიქით. არტოლად შერწყმული სახელების მაგალითად ა. შანიძეს მოჰყავს **რქათეთრი, კუდმოკლე, ყურმოჭრილი, პურმარილნაჭამი, ფეხმოტეხილი** და სხვ. ავტორისათვის ატრიბუტულ და არტოლად შერწყმულ მსაზღვრელიან კომპოზიტებს შორის არსებული მთავარი განსხვავება ის, არის, რომ პირველ მათგანში კომპონენტები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენენ მსაზღვრელ-საზღვრულს, მეორეში კი ორივე წევრი ერთად განსაზღვრავს სხვას, მესამეს (მაგ., **დიდგაქარი** ატრიბუტულია, **შუბლთეთრი** კი არტოლადშერწყმული). „თუ არსებით სახელს, ფუძის სახით წარმოდგენილს, დაერთო ზედსართავი ან მიმღეობა, მივიღებთ ორ-ცნებიან კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილი პირველს განსაზღვრავს (ზედსართავი ან მიმღეობა არსებითს), ორივე ერთად კი გვიჩვენებს ნიშანს, რომელიც სხვა საგანს ახასიათებს“ – წერს მკვლევარი (შანიძე, 1953:192). საყურადღებოა, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ შორის არსებული ერთადერთი განსხვავება ეს არის და არა შეერთების ტიპი. ორივე მათგანში კომპონენტებს შორის არსებული სინტაქსურ-მორფოლოგიური მიმართება შეიძლება იყოს ერთნაირი, განსხვავებას ქმნის სემანტიკური მახასიათებლები. ამდენად, ისინი ერთ-ერთი სახეობის – ატრიბუტული კომპოზიტების, ორი ქვეჯგუფია – ენდოცენტრული და ეგზოცენტრული.

შერწყმული სახელების ქვესახეობად გამოყოფილი ტოლად შერწყმული კომპოზიტები კი უმეტესწილად თვისობრივად განსხვავებულია. ამ შემთხვევაში ხშირად, მართლაც, ორი ან მეტი ცნება გვაქვს და თითოეული კომპონენტი დამოუკიდებელ, თავისთავად მთლიანობას წარმოადგენს. ასეთებია: **დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა, ბაღ-ბოსტანი** და სხვ. თავად ეს მაგალითებიც ხშირად იძენს განზოგადებულ, შეიძლება ითქვას, ერთ ცნებამდე დაყვანილ შინაარს. მაგალითად, **და-ძმა** შეიძლება გამოიყენებოდეს დედმამიშვილის სინონიმად და სხვ. აქაც გავიმეორებთ, რომ ამ შემთხვევაშიც შეერთების საშუალება არ არის მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფისთვის საკმარისი კრიტერიუმი, რადგან ამგვარადვე, ფორმალურად, უკავშიროდ შეიძლება იყოს გაერთიანებული ორი არსებითი სახელი ან არსებითი და ზედსართავი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულნი არიან (ატრიბუტული კომპოზიტების ჯგუფში), მაგ., **დანაწიერი** „მეჭურჭლის ხელსაწყო, ხის წვრილი ხანჯლისებრი დანა“ (იმერ.); **თავგავი** „პატარა მარხილი“ (რაჭ.) და სხვ.

ტრადიციულად, მართულ მსაზღვრელიან კომპოზიტებში გაერთიანებულია ისეთი სიტყვები, რომლის მსაზღვრელიც, ყოველთვის პირველ კომპონენტად წარმოდგენილი, ნათესაობით ბრუნვაშია: **ცხვირსახოცი, ხელსაქმე, თიხათვე, წყალსადენი** და სხვ. (მაგალითები მოხმობილია ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებიდან“). საანალიზო მასალაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ რთულია ყოველთვის მსაზღვრელად კვალიფიცირდეს ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი პირველი წევრი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ნაზმნარ სახელს ახლავს. თითოეული მათგანი სხვადასხვა წარმოშობისაა და განსხვავებულ სინტაქსურ ურთიერთობას ფარავს თავისი ფორმის შიგნით. სახელურ წყვილებში ის, ცხადია, კუთვნილებას ან მასალას გამოხატავს და სახელური სინტაგმიდან მომდინარეობს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაზმნარ სახელთან ერთად ქმნის კომბინაციას, ის პრედიკატული სინტაგმიდან მოდის, სადაც პირდაპირი, ირიბი ან უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებდა. ამიტომაც არის, რომ ამ შემთხვევაში, კომპოზიტის პირველი წევრი არა მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაშია, არამედ მიცემითშიც, მოქმედებითსა და ვითარებითშიც, მაგალითად, **თავ(ს)სახური, ჯვარ(ს)ცმა, ხელ(ით)ნაწერი, თავ(ს)მჯდომარე, ყურ-ად-ღება** და სხვ. საინტერესოა აგრეთვე **ღმერთმანი** ფორმა, რომელშიც არსებითი სახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ცხადია, სუბიექტს წარმოადგენდა. ასეთი მაგალითები ძალიან იშვიათია. ამგვარად, ვფიქრობთ, ამ ტიპის

კომპოზიტებს სხვაგვარი სახელდება სჭირდება, რომელიც უფრო თვალნათელს გახდის მათ შორის არსებულ სინტაქსურ მიმართებას.

არსებული სქემების ყურადღების მიღმა რჩება სინთეტური ტიპის კომპოზიტებიც, რომლებიც თავისი სტრუქტურით ძალიან ჰგავს სუბორდინაციულს, მაგრამ ყველა სინთეტური კომპოზიტი არ არის სუბორდინაციული. სინთეტური აერთიანებს ისეთ თხზულ სახელებს, სადაც კომპოზიციის თანადროულად დერივაციაც გვაქვს ერთი სიტყვის ფარგლებში. რომელიმე კომპონენტი, უმეტესად მეორე, დაირთავს საწარმოქმნო ელემენტს, მაგ., **კატიცრემლ-ა, თავისმ-ელ-ი** („ტოლუმბაში“ [იმერ.]), **კედლიტილ-ა, ავად-მ-ყოფი, ზედაპირ-ულ-ი, თავგატებ-ილ-ი, სა-თავგადასავლ-ო** და სხვ. ერთიან საკლასიფიკაციო სისტემაში სინთეტური კომპოზიტების გამოტანა დამოუკიდებელ ჯგუფად არც ჩვენ გვესახება ლოგიკურად, რადგან საწარმოქმნო ელემენტების დართვა ხშირად არ იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად რთული სიტყვისა და მისი კომპონენტების გრამატიკული ბუნების შესახებ. იგი შეიძლება ამა თუ იმ სახეობის ქვეჯგუფად გამოიყოს.

ამა თუ იმ ენის მრავალფეროვანი და აურაცხელი კომპოზიტების დასამუშავებლად და დასაჯგუფებლად რომელიმე კონკრეტული მეთოდის შერჩევა ნამდვილად არ წარმოადგენს ადვილ საქმეს.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს კომპოზიტების დამუშავების მინიმუმ სამი განსხვავებული მიდგომა არსებობს: სინტაქსური, სემანტიკური და გენერაციული (სინტაქსურ-სემანტიკური).

სინტაქსური მიდგომით, რთული სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად:

ა) ს ი ნ თ ე ტ უ რ ი კომპოზიტები, სადაც მეორე წევრს დაერთვის დერივაციული მაწარმოებელი და წარმოადგენს ნაზმნარი სახელს;

ბ) პ ი რ ვ ე ლ ა დ ი კომპოზიტები, სადაც ერთიანდება ყველა დანარჩენი კომპოზიტი.

ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი თეორიის თანახმად, მხოლოდ ის სიტყვები ხდებიან რთული სიტყვის კომპონენტები, შედიან კომბინაციაში და ქმნიან კომპოზიტს, რომლებიც ერთად ყოფნისას გვამლევენ აღსანიშნ, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ამ კომპონენტების ჯამი.

გ ე ნ ე რ ა ც ი უ ლ ი (ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ - ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი) მიდგომა ცდილობს, კომპოზიტები განიხილოს, როგორც პირდაპირი მითითება გრამატიკულ ფორმალიზმზე, რადგან გრამატიკას აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს წესები, რომლითაც შეიძლება შეიქმნას ყველა თხზული სიტყვა.

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ყველა ადამიანი, რომლისთვისაც ესა თუ ის ენა მშობლიურია, ფლობს თავისი ენის კომპოზიციის წე-

სებს. აქედან გამომდინარე, თავადაც ადვილად ქმნის და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იგებს კიდევ ახალ ლექსიკურ ერთეულებს. ამის გათვალისწინებით, კომპოზიტების კვლევისას ის კი არაა მთავარი, რომ აღწეროთ ენაში არსებული ყველა რთული სიტყვა და გავაკეთოთ მათი ნუსხა ან დავაჯგუფოთ ისინი ფორმის, შემადგენელი ელემენტებისა თუ ფუნქციების მიხედვით, არამედ ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ აღმოჩენილ და დაფიქსირებულ იქნას წესები, რომლებითაც იქმნება ახალი კომპოზიტები. ის წესები, რომლებიც რეალურად შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ნებისმიერი კომპოზიტის ფორმისა და შინაარსის მიღმა.

გენერაციული მიდგომას თუ ავიღებთ სახელმძღვანელოდ, მაშინ სხვადასხვა ასპექტით უნდა იქნეს გამოკვლეული რთული სიტყვები. დაკვირვების საგანი უნდა გახდეს როგორც გრამატიკული სტრუქტურა, ისე მეთაური სიტყვის არსებობა-არარსებობა. საჭიროა გაანალიზდეს, არა მარტო სიტყვის შექმნის პროცესი, არამედ უნდა ამოიხსნას ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ჩახლართული მიჯნა, რომლებიც ერთად ქმნიან კომპოზიტის საბოლოო ფორმას.

არსებული საკლასიფიკაციო სქემებიდან უფრო სრულყოფილად მიიჩნევა და თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტად გაზიარებულია იტალიელი მეცნიერების ს. სკალიზესა და ა. ბიზეტოს მიერ შემუშავებული სისტემა (ბიზეტო, სკალიზე, 2009). იგი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ოჯახის ენათა რთული სიტყვების აღსაწერად და საანალიზოდ. მასში გრამატიკულთან ერთად გათვალისწინებულია კომპონენტებს შორის არსებული სემანტიკური ურთიერთობა – ენდოცენტრულობა-ეგზოცენტრულობაც. კომპონენტთა შეერთების საშუალებები კი საკლასიფიკაციო ნიშნად არ არის მიჩნეული, რადგან, როგორც დავინახავთ, ფორმოზრევად ერთგვარ თხზულ სახელებს შორის გრამატიკული მიმართება შეიძლება აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითად, **თავისახლი** „გათხოვილი ქალის მშობლიური ოჯახი“ (იმერ.) არის ატრიბუტული, ენდოცენტრული კომპოზიტი, პირველი წევრი განსაზღვრავს მეორეს; **ჟამკარი** „ყოფა, გზა-კვალი“ (ფშაური), კი არის კოორდინაციული ეგზოცენტრული სახელი. ორივეგან ფორმალურად არის გაერთიანებული ორი არსებითი სახელი, მაგრამ მათ შორის გრამატიკული და შინაარსობრივი მიმართება სრულიად განსხვავებულია. ასეთივეა, მაგალითად, **ყინულსაცავი** და **ყინულშაქარი** – პირველი მათგანი სუბორდინაციულ-ენდოცენტრული კომპოზიტია, მეორე კი ატრიბუტულ-ენდოცენტრული; **ბოლომმოვარა** „თმის ავადმყოფობა“, სუბორდინაციუ-

ლია, **ბოლოქანქარა** „გრძელბოლოიანი მონაცრისფრო ჩიტი“, ატრიბუტულ, ეგზოცენტრულ კომპოზიტს წარმოადგენს;

ამასთანავე, კომპონენტების შეერთების საშუალებები იმდენად მრავალგვარი შეიძლება იყოს, რომ მათი სახეობები ძალზე მრავალრიცხოვანი გამოვა. რაც მთავარია, იგი არავითარ მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაწვდის არც ენის შინაგანი ბუნების და არც თავად კონკრეტული სიტყვის წარმოქმნის მექანიზმის შესახებ. არც იმას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელი მეტყველების ნაწილებია აღებული კომპონენტად. მთავარია, რა ფუნქციას ასრულებენ ისინი, რა სინტაქსურ და შინაარსობრივ მიმართებას ამყარებენ მეორე წევრთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში, პანინის გავლენით, ხშირად ცალკეა გამოყოფილი ზმნისართოვანი კომპოზიტები, მაგრამ რადგან ისინი უმეტესად განსაზღვრების ფუნქციას ასრულებენ, ჩვენ მათ ატრიბუტულ ჯგუფში ვათავსებთ: **ზედსიბე, ქვესადგური, ქვეგვარი, ზეკადი** და მსგავსნი.

როგორც ცნობილია, ახალი, თხზული სახელი იმ სემანტიკურ და გრამატიკულ მახასიათებლებს იღებს, რაც მეთაურ სიტყვას გააჩნია. იმაზე დაკვირვება, თუ რომელი მეტყველების ნაწილებისაგან შედგება ესა თუ ის რთული სიტყვა, ამ მხრივ არის საინტერესო.

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ძალიან რთულია ერთი კონკრეტული საკლასიფიკაციო სისტემის შერჩევა თუ შემუშავება და მისი მიხედვით დაჯგუფება მთელი ამ მრავალფეროვანი და ხშირად წინააღმდეგობრივი მასალისა, ჩვენ შევეცადეთ ს. სკალიზესა და ა.ბიზეტოს მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით აღგვეწერა და დაგვეჯგუფებინა ქართული ენის თხზული არსებითი სახელები. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამავე სახით დაჯგუფებული ნახურ ენათა კომპოზიტებიც, ბოლოს კი მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.

მოცემული მიდგომა საკვლევი ენებისთვის ყველაზე მისაღებად კი გვესახება, მაგრამ მას მაინც საცდელი ხასიათი აქვს. ამასთანავე, ბევრი შეკითხვა ღიად, სამსჯელოდ იქნება დატოვებული ან საკითხის დასმის წესით შემოთავაზებული.

სკალიზესა და ბიზეტოს სქემით ცალ-ცალკე ჯგუფდება ს უ - ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი, ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი და კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი - უ ლ ი კომპოზიტები, თითოეულ მათგანში კი გვაქვს ე გ ზ ო ც ე ნ - ტ რ უ ლ ი და ე ნ დ ო ც ე ნ ტ რ უ ლ ი ქვესახეობები.

თხზული სახელის ენდოცენტრულობა და ეგზოცენტრულობა მეთაური სიტყვის არსებობა - არ არსებობით განისაზღვრება. ენდოცენტრულ კომპოზიტებში ერთ-ერთი კომპონენტი

არის ძირითადი შინაარსის მატარებელი, სხვა წევრი კი მხოლოდ განსაზღვრავს მას ან დამატებით ინფორმაციას გვაწვდის, ასეთებია, მაგალითად, **ბჰისკარი/ჰიშკარი, ვაჟიშვილი, დედაქალაქი, ფეხსაცმელი, ქვამარილი, ქობსამკითხველო, შუაღამე** და სხვ.; ყველა მოცემულ სიტყვაში მეორე წევრი წარმოადგენს თხზული სახელის როგორც შინაარსობრივ, ისე გრამატიკულ ცენტრს. დასახელებული მაგალითებიდან, კომპონენტებს შორის არსებული გრამატიკული მიმართების მიხედვით, ზოგი ატრიბუტულია, ზოგი სუბორდინაციული, ზოგიც კოორდინაციული, მაგრამ ყველა მათგანს საერთო ის აქვს, რომ ერთი წევრი არის მთავარი, მეორე კი ან განსაზღვრავს მას, ან კუთვნილებას გამოხატავს ანდა „დამატებას“ წარმოადგენს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური და გრამატიკული მეთაური სიტყვა შეიძლება ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. ის წევრი, რომელიც მთლიანი თხზული სახელის შინაარსს განსაზღვრავს და სემანტიკურ ცენტრს წარმოადგენს, გრამატიკულად შეიძლება მეორეხარისხოვანი წევრი იყოს და წარმოქმნილი სახელის გრამატიკულ მახასიათებლებს ვერ განაპირობებდეს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ენდოცენტრული თხზული სიტყვის მნიშვნელობა თითქმის ყოველთვის უდრის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს და მეტაფორიზაციაც უფრო ნაკლები სიხშირით ხდება.

ეგზოცენტრულ კომპოზიტებში არცერთი შემადგენელი ნაწილი არ წარმოადგენს მეთაურ, ძირითად სიტყვას. არნ. ჩიქობავა თავის წერილში ეგზოცენტრულად განიხილავს მხოლოდ ზედსართავ სახელებს (ჩიქობავა 2011). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეგზოცენტრული არსებითი სახელი წარმოშობით მართლაც გაარსებითებული ზედსართავია, მაინც ვერ ვიტყვით, რომ განსაზღვრებითობა არის მისი ერთადერთი მახასიათებელი.

თუ ენდოცენტრულ სახელებში თხზული სიტყვის შინაარსი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს უდრის, ეგზოცენტრულში პირიქით ხდება. ეს უკანასკნელი, როგორც მთლიანობა, არც გრამატიკულად და არც სემანტიკურად მის რომელიმე კომპონენტს არ უკავშირდება ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათი იგივეობრივი არ არის.ორივე (ან სამივე) კომპონენტი ქმნის რაღაც სხვას, მესამეს (მეოთხეს).

საკამათო არ არის, რომ კომპოზიტები უმთავრესად სინტაქსური წყვილებისაგან არიან წარმოშობილნი. შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული გრამატიკული მიმართება კი შესაძლოა იყოს სამგვარი: ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი , კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი და ა ტ რ ი - ბ უ ტ უ ლ ი .

საზოგადოდ, ქართულ ენაში კომპოზიტური წარმოებისა შეიძლება იყოს არსებითი სახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები და ზმნისართები ანუ ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი, მათ შორის ნაცვალსახელის ზოგიერთი ჯგუფიც. აგრეთვე, რამდენიმე შორისდებული **ვაიმე**, **უიმე** და სხვ. მიჩნეულია, რომ მსოფლიოს ენებში სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, უფრო პროდუქტიულია არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება, ასე უნდა იყოს ეს ქართულშიც.

მთლიანობაში თუ ავიღებთ, ქართულ ენაში თხზული არსებითი სახელი შეიძლება იყოს შემდეგი სტრუქტურის:

[N+N]N ასო-ტანი „სხელი“ (კახ.), **ძმისშვილი**, **პირწყალი** „საქმლის სურვილით მომდგარი ნერწყვი“ და სხვ;

[N+AD]N ბოლოშავი „შაშვისოდენა ჩიტი“ (იმერ.), **დილაზნელი** „ალიონი, გარიჟრაჟი, განთიადი“ (კახ.), **ფეხმძიმე** და სხვ;

[AD]+N]N ახალთავი „ჩიხტა-კოპით თავის დახურვა“ (კახ.), **ბერდედა** „ბებია“ (თუშ.), **დიდბაბუა** „დიდი პაპა“ და სხვ.;

[N+PTCP]N გულსაფარი „წინსაფარი“; **ფეხსაცმელი**, **ქარტეხილი** „ძლიერი ქარი“, **ღვარსადენი** „თხრილი ან გვირაბი ღვარის გასაშვებად“ და სხვ.

[PTCP+N]N აღებლამე „დიდმარხვის, მარიამობისთვის მარხვისა და ქრისტეშობისთვის მარხვის წინა ღამე“ (კახ.) და სხვ.

[ADV+N]N ზედსიძე „სიდედრ-სიძამრის ოჯახში მცხოვრები სიძე“, **ზედაპირი**, **ზედაფენა**, **ზეკაცი** „ადამიანი, რომელსაც ვითომც ახასიათებს ზეადამიანური თვისებები“, **ქვეჯგუფი**, **ქვეტექსტი**, **ქვესადგური** „დანადგარი ელექტროსადგურის დენის ძაბვის (ან ძალის) გარდასაქმნელად“ და სხვ.

[ADV+PTCP] ქვეწარმავალი „ხერხემლიან ცხოველთა კლასი, რომლის წარმომადგენლებიც მიწაზე ხოხვით მოძრაობენ“, **ქვეშევრდომი**, **ზედადგარი**, **ქვეწყობა**, **ზედამხედველი** და სხვ.

[NUM+N]N ერთარსება „თავისი ბუნებით ერთი“; **ორხელი** „თხლის ამოსაღები ხის ჭურჭელი“ (იმერ.); **ორდედაც** „ბატკანი, რომელიც ორ ცხვარს წოვს“ (თუშ.); **სამთავი** „ლურსმნის სალესი რკინა (სამჭედლოში)“ (იმერ.); **ოთხთითდადებია** „სიგრძის საზომი“ (იმერ.);

ნაცვალსახელი და თანდებულები შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთ-ერთ კომპონენტად, მაგრამ არა არსებითი სახელის საწარმოებლად. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ხშირად გვხვდება კომპოზიტური ზეთსართავის ერთ-ერთ ნაწილად: **ჩემგვარი**, **შენგვარი** და სხვ.

შეიძლება თანდებული დაერთოს პირის ნაცვალსახელს: **ჩემდამი** (*ჩემდა მიმართ), **შენდემი** (*შენდა მიმართ), **მისდამი** (*მისდა მიმართ) და სხვ.

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ტიპის კომპოზიტებში პირველი კომპონენტი ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი არსებითი სახელია, მეორე წევრი კი შეიძლება იყოს როგორც ნაზმნარი სახელები – საწყისი და მიმღეობა, ისე არსებითი სახელი. ამგვარად, სუბორდინაციული კომპოზიტების სტრუქტურა შემდეგნაირია: [N+N]N, [N+AD]N, [N+MSD]N, [N+PTCP]N.

იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი წევრი ნაზმნარი სახელია, მეორე კომპონენტი, შეიძლება ითქვას, ზმნის რომელიმე აქტანტს, უმთავრესად, რომელიმე სახის დამატებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში პირველი ნაწილი შეიძლება არა მხოლოდ ნათესაობით, არამედ მიცემით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაშიც იყოს.

[N+N]N ენდოცენტრული

როგორც უკვე აღინიშნა, ენდოცენტრულ კომპოზიტებში ერთი წევრი არის მთავარი, მეორე კი აზუსტებს მის შინაარსს.

ენდოცენტრული რთული სიტყვის სემანტიკა თითქმის ყოველთვის ნათელი და ადვილად შესაცნობია. მთლიანად კომპოზიტი წარმოადგენს მეტაური სიტყვის ჰიპონიმს. ისევე, როგორც მსოფლიოს ენათა უმეტესობაში, ქართულშიც მეტაური, ძირითადი სიტყვა თხზული სახელის ბოლოში, მარჯვნივაა წარმოდგენილი.

ქერხთავი „ეზო“ (თუმ.); **თავთბალიში** „აკვანში თავქვეში დასადები პატარა ბალიში“ (ქართლ.); **ეზოს-მოძღვარი** „სასახლის მთავარი, მწე“ (ძვ. ქართ.); **ლაწვისთავი** „ლაწვის (ლოყის) ძვლის თავი თვალს ქვემოთ“; **ჭირისუფალი** „1. მიცვალებულის პატრონი“, 2. „მზრუნველი, მოამაგე, პატრონი“; **ხელისუფლება** „1. პოლიტიკური ბატონობა, სახელმწიფოში მოქალაქეთა მოქმედების წარმართვის უფლება და შესაძლებლობა“, 2. „მმართველობის წესი, სახელმწიფოებრივი წყობილება“. 3. „ხელისუფლების მქონე პირები“; **სახლიკაცი** „ძმა (კახ.)“; **გუთნისდედა** „მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს გუთანს მისდევდა და ხელით (ერქვნით) აწესრიგებდა მის გეზს“; **პურისპური** „კორკოტი“ (კახ.); **პურისუფალი** „თამადა“ (ძვ. ქართ.) და სხვ.

[N+N]N ეგზოცენტრული

ეგზოცენტრულ კომპოზიტი არის მთლიანობა, რომელიც არ წარმოადგენს თავისი არცერთი კომპონენტის ჰიპონიმს. ამგვარად, მეტაური სიტყვაც არ არსებობს ან კომპოზიტის ფარგლებს გარეთაა.

ორივე (სამივე, ოთხივე) კომპონენტი, როგორც ერთიანობა, სხვა სახელს მიემართება. ზოგიერთი ეგზოცენტრული სიტყვა შეიძლება წარმოშობით ენდოცენტრული იყოს და დროთა განმავლობაში შინაარსი იცვალოს, გაბუნდოვანდეს ან მეტაფორიზაცია განიცადოს და აღარ იყოს წარმოდგენილი სულ მცირე სემანტიკური მეთაური სიტყვა:

ათისთავი „სამაშვლო ფული“ (იმერ.); **ქინძისთავი** „ლითონის პატარა წვრილი ღერი, თავმრგვალი და წვერწვეტი“; **თავიკბილა** „ძირმაგარა“ (ინგილ.); **ძილისგუდა** „1. ბევრი ძილის მოყვარული“; 2. „მოწაბლისფრო პარკი ერთგვარი მწერისა“; **პაპასხილი** „ქლიავის ჯიშია ერთგვარი“ (ქართლ.); **ქონდრისკაცი** „ძალიან დაბალი კაცი, ჯუჯა, ცი-დამტკაველა“; **ძაღლის-ბირკა** „ბოტან. ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა“ და სხვ.

[N+AD]N ენდოცენტრული

მეღვინეთუხუცესი „საქართველოს სამეფო კარის მოხელე, მეღვინეთა უფროსი“; **მანდატურთუხუცესი** „სამეფო სასახლისა და დომენის განმგებელი, მანდატურების უფროსი“ და სხვ.

მოცემული სტრუქტურის ეგზოცენტრული ერთეულები არ დაიძებნა ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში.

ზოგიერთ შემთხვევაში თვალსაჩინოა სიტყვათქმნადობის ის ვრცელი პროცესი და საფეხურები, რომლებიც კომპოზიტმა გაიარა საბოლოო სახის მიღებამდე. ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ ეტაპზე, ორი არსებითი სახელისაგან შემდგარ სუბორდინაციულ კომპოზიტს დაერთო კუთვნილებითი -ა სუფიქსი, შემდეგ კი კვლავ გაარსებითდა. ისინი განსხვავდებიან ეგრეთ წოდებული კუთვნილებითი კომპოზიტებისაგან, რომლებსაც ხშირად აგრეთვე -ა სუფიქსი დაერთვის. ვფიქრობთ, მსგავსი სიტყვები სუბორდინაციულ, ეგზოცენტრულ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს. უმეტესობა მათგანი მცენარეთა სახელწოდებებია, მაგ.:

ქრისტესისხლა „მონარინჯისფრო-ყვითელი წვნის შემცველი მრავალწლოვანი ბალახი ყაყაჩოსებრთა ოჯახისა“; **ბატიფეხა** „სარეველა მცენარეა“ (რაჭ.); **კატიცრემლა** „ერთგვარი ბალახი“ (იმერ.); **თავის-ტომა** „წითელი მოცივი“ (ხევს.); **ტაბლისფეხა** „სამვარსკვლავიანი ხომლია“ (ხევს.), **წიფლისჩიტა** „ბელურისოდენა ჩიტი“ (ჯავახ.); **მამლითვალა** „მაყვალი“ (ჯავახ.) და სხვ.

[N+MSD]N ენდოცენტრული

ღონისძიება „ამა თუ იმ მიზნის შესასრულებლად საჭირო მოქმედება, ცდა“; **მიწისძვრა** „დედამიწის ქერქის ძლიერი რყევა“; **ჯვრისწერა** „საეკლესიო წესით დაქორწინება“; **ქრისტიშობა, ქრისტისშობა** „ქრისტეს შობა“ (ძვ. ქართ.); **ფასდაკლება; შურისძიება** „სამაგიეროს გადახდა“ და სხვ.

[N+PTCP]N ენდოცენტრული

სიტყვსმიმხედელ „დამკითხველი“ (ძვ. ქართ.); **ფეხსაწმენდი** „ფეხის საწმენდი“; **ღვთისმეტყველი** „ღვთისმეტყველების მცოდნე, თეოლოგი“; **ყელსაბამი** „ქალის ყელზე შესაბმელი სამკაული“; **ყმადყოფილი** „ვინც ყმად იყო, ნაყმევი“; **მაფსახვევი** „რაც მაფს ახვევს, ან სადაც მაფს ახვევენ“; **ძმადნაფიცი** „ვინც ძმად გაეფიცა, დაუძმობილდა ვისმე, – ძმობილი, ნაძმობი“; **წიგნთსაცავი** „1.საგანგებო სათავსი ბიბლიოთეკაში, სადაც წიგნები ინახება“. 2. „იგივეა, რაც ბიბლიოთეკა“; **წუნმდებელი** „1.სპეც. ვინც წუნდებას, ბრაკერაჟს ახდენს, პროდუქციის ხარისხის (წუნის) შემმოწმებელი“ და სხვ.

[N+PTCP]N ეგზოცენტრული

თავგადასავლები „ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული, ან რაიმე ნივთი“ (იმერ.); **თავგადაწაყარი** „თავგადასავალი“ (თიან.); **პირისმკრავბ** „ჭირისუფალი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მარხულობს, ხორცს არ ჭამს“ (თუშ.) და სხვ.

ატრიბუტულ კომპოზიტებში ერთი წევრი მეორის განსაზღვრებას წარმოადგენს. ატრიბუტული თხზული სახელების სტრუქტურა შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი. არც სუბორდინაციულ და მით უფრო, არც კოორდინაციულ თხზულ არსებით სახელებში არ მოგვეპოვება ასე მრავალგვარი სტრუქტურა. ატრიბუტულ კომპოზიტებში, ფაქტობრივად, ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი შეიძლება იყოს გამოყენებული მსაზღვრელად: [N+N]N, [N+ADJ]N, [ADJ+N]N, [ADV+N]N, [N+ADV]N, [ADV+MSD]N, [ADV+PTCP]N, [NUM+N]N, [N+PTCP]N, [N+MSD]N.

[N+N]N ენდოცენტრული

აქ არსებითი სახელი წარმოდგენილია მსაზღვრელის როლში, ძირითადი შინაარსის მატარებელი სიტყვა უმთავრესად მარჯვნივაა წარმოდგენილი:

ფოტოასლი „იგივეა, რაც ფოტოპირი“; **ქალბატონი** „თავაზიანი მიმართვა ან ხსენება ქალისა“; **ქალღვთაება** „ქალღმერთი“; **ყმაშილი**

„იგივეა, რაც ვაჟიშვილი“; **ცხე-ზანაკი** „გამაგრებული სამხედრო ზანაკი“; **მელსკამი** „მთლიანი ხისაგან გამოთლილი, სასთუმლიანი სკამლოგინი“; **ძვალკორძი** „ავადმყოფური მაგარი სიმსივნე ცხენის ფეხზე“; **წყალქლიავი** „ერთგვარი ჯიში ქლიავისა; ისხამს ღიაფერის მომცრო, მრგვალ ნაყოფს“; **ხართუთა** „1. თუთის ერთ-ერთი სახეობა; აქვს ხეშეში ფოთლები და მსხვილი ნაყოფი“. 2. „ამ ხის ნაყოფი; მოკლე ყუნწიანია, შავი“; **ხარკამეჩი** „მამალი კამეჩი, კამეჩისხარი“; **ხეკაქტუსი** „ხის მსგავსი დიდი კაქტუსი“; **ღვინო-მასალა** „თავანკარი ღვინო, რომლისგანაც შემდეგ აყენებენ სხვადასხვა სახეობის ღვინოს“; **გველიხე** „ერთგვარი ხე“; **ქვა-კაცი** „კაცის სახედ გათლილი ქვა, აღმართული“ და სხვ.

[N+N]N ეგზოცენტრული

კატაზარდა „ტყეებში ფართოდ გავრცელებული ბუჩქი, რომელსაც გრძელი მცოცხავი ღეროები ახასიათებს“; **ქვაშეშა** „მაგარმერქნიანი, კუნელის მსგავსი ხეა“ (მოხ.); **ხეძუა** „ორკაპიან ჯოხზე გაკეთებული ძუის მარყუჟები ფრინველის დასაჭერად“; **ჭიაფეცხლი** „იგივეა, რაც ცინნათელა“ (ფშ. ხევს.) და სხვ.;

[AD]+N]N ენდოცენტრული

დიდნენე „დიდედა, ბები“ (გურ.); **ცუდკაცა** „კაცის სახედ გამოქანდაკებული თოვლი, თოვლისკაცი“ (გურ.); **ავდარი** „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“; **წვრილშვილი** „1. ბევრი მცირეწლოვანი შვილი“. 2. „მცირეწლოვანი შვილების პატრონი“; **წითელმიწა** „1. თიხისა და რკინის დიდი რაოდენობით შემცველი (ნიადაგი...)“, 2. ასეთი ნიადაგი; **წითელცოცხა** „წითელყვავილა ბალახოვანი მცენარე“ (ლექხ.); **ახალგაზაფხული** „გაზაფხულის დამდეგი, მარტის თვე“ (კახ.); **ბერდედამთილი** „მამამთილის დედა“ (თუშ.); **ბერაჩუჩუა** „ერთგვარი სოკო, ღრუბელივით დაჩვრეტილი, წაწითალო-წაოქროსფრო“ (იმერ.);

[AD]+N]N ეგზოცენტრული

ახალთავი „ჩიხტა-კოპი, ჩიხტა-კოპით თავის დახურვა“ (კახ.); **შავროხა** „ერთწლოვანი მცენარე ლაშქარასებრთა ოჯახიდან“; **შავ-ზარდა** „შავყურძნიანი ვაზისერთ-ერთი ჯიში იმერეთში“; **შავფაფარა** „იგივეა, რაც იელი“;

[N+AD]]N ენდოცენტრული

ცარგვალი „ცისგუმბათი, კამარა“; **მელიცხოველი** „იგივეა, რაც ძელი ჭემმარტი“; **ცა-ლაჟვარდი** „ლაჟვარდი, ლურჯი ცა“;

[N+AD]N ეგზოცენტრული

ქვაკუთხედი, „1. შენობის საძირკველში სიმაგრისათვის ჩატანებული კუთხის ქვა“ 2. „წიგნ. გადატ. სათავე, საფუძველი“; **ძელშავი** „მავურძნიანი ვაზის ჯიში; აქვს დიდი, ოდნავ კუმსი მტევანი, მარცვალი თხელკანიანია, მოგრძო“; **ძირთაფლა** „იგივეა, რაც ძირტკბილა“; **გულავშარა** „აღვირის მეორე წყვილი ტოტები სამკერდულზე მიმაგრებული (კახ.); **გულყვითელია** „მოლალური“ (კახ.); **თავმგვალი** „ბალახი“ (იმერ.); **რქაწითელი** „თეთრყურძნიანი ვაზის ცნობილი კახური ჯიში“; **რძეჭრელი** „ადუღებულ, ცხელ რძეში ჩაყრილი ერბო“ (მოხ.); **თავკვერი**, „შავი ყურძნის ჯიშია“ (კახ.);

[ADV+N]N ენდოცენტრული

ქვეთემა „თემაში გამოყოფილი უფრო ვიწრო თემა“; **ქვედატანი** „ქალის კაბა წელს ქვეით ჩასაცემელი“; **ქესათაური** „წიგნ. მთავარი სათაურის შემდეგ მოყვანილი მეორე, დამატებითი სათაური“; **წინამხარი** „1. ანატ. ადამიანის ხელის ნაწილი იდაყვიდან მაჯამდე“. 2. „ისტ. კახეთ-ქიზიყის ნაწილი ცივ-გომბორსა და ალაზანს შორის“; **წინასიტყვა** „იგივეა, რაც წინასიტყვაობა“; **წინკარი** „1. დერეფანი, საჩეხი“. 2. „ბინაში შესასვლელი პირველი ოთახი“;

[ADV+MSD]N ენდოცენტრული

წინაგანზრახვა „მვ. წინასწარგანზრახვა“; **წინაგრძნობა** „იგივეა, რაც წინათგრძნობა“ და სხვ.;

[ADV+PTCP]N ენდოცენტრული

მოცემული სტრუქტურის კომპოზიტები უმთავრესად ენდოცენტრულია:

ქვეწარმავალი „ხერხემლიან ცხოველთა კლასი, რომლის წარმომადგენლებიც მიწაზე ხოხვით მოძრაობენ“; **ქვეშ(ს)აგები** „ლეიბი, საბანი და ბალიში ერთად, ლოგინი“; **წინამძღვარი** „1. ვინც წინ უძღვის, ხელმძღვანელობს ვისმე ან რასმე, წინამძღოლი“. 2. „მონასტრის უფროსი, გამგე, იღუმენი“; **წინსართი** „ლინგვ. აფიქსი, რომელიც სიტყვაში მარტივ ფუძეს (ძირს) წინ უძღვის, თავსართი, პრეფიქსი“; **წინსაფარი** „1. ქსოვილის და მისთ. საგანგებოდ შეკერილი ნაჭერი, რომელსაც ივარებენ წინა მხრიდან (ტანისამოსის დასაცავად გაჭუჭყიანებისაგან), გულსაფარი“ 2. „ტექ. ლითონსაჭრელი ჩარხის მოძრავი ნაწილი, რომელზედაც მოთავსებულია მოძრობაგადამცემი მექანიზმები“;

[NUM+N]N ეგზოცენტრული

ცხრამეცელა „პატარა მტაცებელი ფრინველი (ბუების ოჯახისა)“;
ცხრაფეხა „იგივეა, რაც კიბორჩხალი“; **ცხრაწიგნა** „მცოხნავი საქონლის
კუჭის მესამე განყოფილება“(იმერ.); **ორღობე** „სოფლის გზა“ (კახ.);

[N+MSD]N ენდოცენტრული

წუთშესვენება „სპორტ. კალათბურთში წუთიანი შესვენება, რომელსაც მოითხოვს გუნდის მწვრთნელი გუნდთან დასათათბირებლად“;

[N+PTCP]N ეგზოცენტრული

ჭირნახული „1.ვინც (რამაც) ჭირი, გაჭირვება ნახა, ჭირ-ვარამი გამოიარა“ 2. „პურის, სიმინდის, ლობიოს და მისთ. მოსავალი“;

[N+ADV]N ენდოცენტრული

პირშელმა „აღმართი“; **პირთავკვე** „თავდაღმართი, თავკვე,ზემოდან ქვემოთ“ (კახ.) და სხვ.;

კოორდინაციული არის ისეთი კომპოზიციები, რომელთა შემადგენელ ნაწილებს შორის იგულისხმება და კავშირის არსებობა. სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო საკითხს წარმოადგენს ამ ტიპის თხზულ სახელებში ენდოცენტრული და ეგზოცენტრული ქვესახეობების გამოყოფის შესაძლებლობა, ვინაიდან, უმეტესად ორ ან მეტცნებიანი სახელებია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მეთაურ სიტყვას და არა რომელიმე ერთი. მაგრამ როგორც სხვა ენათა და ამ შემთხვევაში ქართულის ემპირიული მასალაც გვიჩვენებს, იშვიათობას არ წარმოადგენს ეგზოცენტრული ატრიბუტული კომპოზიციები. ცხადია, ენდოცენტრული ერთეულების ხვედრითი წონა გაცილებით დიდია.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სუბორდინაციული და ატრიბუტული კომპოზიციებისაგან, ამ კოორდინაციული თხზული არსებითი სახელების სტრუქტურა მრავალფეროვნებით არ ხასიათდება, იგი ორი ან მეტი არსებითი სახელის გაერთიანებითაა მიღებული.

[N+N]N ენდოცენტრული

მხატვარ-ილუსტრატორი, მღვდელ-მსახური, მომღერალ-შემსრულებელი, ვაგონ-რესტორანი, სახლ-მუზეუმი და სხვ.


(N+N)N ეგზოცენტრული

ქავ-ციხე „ქავი და ციხე, ციხეგალავანი“; **ქალ-ყრმა** „1. ქალ-ვაჟი“, 2. „ქალი და ბავშვი“; **ქამარ-ხანჯალი**; 3. „კუთხ. (გურ. იმერ. რაჭ.) კანის ავადმყოფობა“; **ასო-ტანი** „სხელი“ (კახ.); **ქორ-შავარდენი** „1. ქორი და შავარდენი“, 2. „პოეტ. გმირ(ებ)ი, ვაჟკაც(ებ)ი“; **ციხე-კოშკი** „ციხე და კოშკი, კოშკებიანი ციხესიმაგრე“; **ღობე-ყორე** „ღობე და ყორე“; **ღორ-ხბო** „ნახირიდან გამოყოფილი წვრილფეხა საქონელი“; **ტყე-ღრე** „ტყე და ღრე“; **ყვავილ-ბატონები** „იგივეა, რაც ყვავილი“; **ყველ-პური** „ყველი და პური“; **შაქარყინული** „შაქრითა და ხილეულის წვნით დამზადებული გამჭვირვალე, კრისტალური ტკბილეული“; **შალ-აბრეშუმბი** „მატყელისა და აბრეშუმის ძაფი თერთად ნაქსოვი ქსოვილი“; **ჩალა-თივა** „ჩალა და თივა“; **ჩხირ-წინდა** „ჩხირები და წინდა“; **ცა-ქვეყანა** „ცა და ქვეყანა“; **ცულ-კაკვი** „კუთხ. (ლექს.) ერთგვარი ნაჯახი“; **ცხენ-უნაგირი** „ცხენი და უნაგირი, შეკაზმული ცხენი, ცხენი თავისი აკაზმულობით“; **ცხვირ-ტუჩი** „ცხვირი და ტუჩი, ცხვირ-პირი; სახე“; **ძაღე-ძმარი** „ძმალისა და ძმრისაგან შემზადებული საწებელი“ (გურ.); **ძვალ-რბილი** „ძვალი და რბილი, ძვალი და ხორცი“ (კუნთი); **ძმარ-წყალი** „წყალში შერეული ძმარი, შენელებული ხახვით, მწვანილითა და მარილით“; **წელ-გული** „წელი და გული; ტანი“; **წეს-ჩვეულება** „რელიგიით ან ტრადიციით დაწესებული მოქმედება“; **ჰყორდულაბი** „დადულაბეული ჰყორი“; **ხატ-ღმერთი** „ხატი და ღმერთი; ღვთაება“; **ჯვარ-ანგელოზი** „ჯვარი და ანგელოზი“; **კოჭყური** „კარის ჩამოსაკიდი კოჭი“ (კახ.); **თავყელაფშარა** „ღორის ხორცი მთლიანად, ფელიკების გარდა“ (ზ. იმერ.); **ლოგინფიცარი** „სიგრძის ლოგინი“ (ზ. იმერ.); **ხაჭო-ერბო** „ერბოში მომწვარი ხაჭო“; **ცხვირ-პირი** „ცხვირი და პირი; სახე“; როდესაც ამ უკანასკნელს განზოგადებული მნიშვნელობა აქვს, ის ეგზოცენტრულ ჯგუფში შევა. **ქარ-ცეცხლი** – „1. ქარი და ცეცხლი“; 2. „გადატ. ცხარე, ფიცხი (ადამიანი)“; **ძელყორე** „1. ძელითა და ქვით (ფენა-ფენა) ნაშენი გალავანი“ 2. „ქვით ამოვსებული მორების ნაგებობა; გამოიყენება ჯებირებად, ბურჯებად“, **ხეკარი** „მცენარეა ერთგვარი“; ვფიქრობთ, აქვე გაერთიანდება ყველა ჰიბრიდული ჯიშის მცენარე თუ ცხოველი, მაგალითად, **ცხენირემი** „დომბა, ლოსი“, **ვაშლატამა** და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორზე მეტკომპონენტის კომპოზიტები, ასეთებია ნათესაობის ლექსიკიდან **დეიდაშვილი**, **მამიდაშვილი**, **პაპიდაშვილი**, აგრეთვე – **მამაწმინდისღელისპირი** „ადგილის სახელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“; **თავკუდმატი** „ცხერის გაპარსვის დროს თავზე, კუდზე და ფეხებზე აჭრილი მოკლე, უხარისხო მატყლი“ (ფშაური);

ცალპურიცომა „გაუახლებელი პურის ცომით გაღვივებული“ (ქართლ.); **ხართავისაზელი** „თოკი, რომელსაც უღელში შესაბმელ ხარებს რქებში მოაბამენ“ (რაჭ.); **ტანიბიძაშვილი** „ნამდვილი ბიძაშვილი“ (რაჭ.); **ოთხთითდადებად** „სიგრძის საზომი“ (თუშ.); **დადიანოღლის-ნაკლავი** „ადგილის სახელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“ (გურ.); **დიდმარხვაშემოედ** „დიდმარხვის დადგომის ღამე“ (თუშ.); **ფიცვერ-ცხლნაჭამი** „ვინც ფიცვერცხლი ჭამა, ძმადშეფიცული“; **ელერთპირად** „მთლიანად, პირწმინდად“ (იმერ.); **ფანტასტიკურ-სათავგადასავლო** „ფანტასტიკური თავგადასავლის შემცველი ლიტერატურული ნაწარმოები“.

ქართული ენის კომპოზიტთა კლასები სქემატურად შეიძლება ასე გამოისახოს:



| | | | | | |
|--------------|---------------|-------------|-------------|----------------------|------------|
| ხელნაწერი | გულის-პირი | ფოტო-ასლი | ახალთა-ვი | ვაგონ-რეს-ტორანი | ვაშლ-ატამა |
| ძმისშვილი | ქრისტე-სისხლა | ქალბა-ტონი | შავბარდა | სახლ-მუზე-უმი | ხეკარი |
| ფეხსაცმე-ლი | ბატიფეხა | ხართუთა | გულაშავ-რა | მხატვარ-ილუსტრა-ტორი | ხაჭო-ერბო |
| თავსაბუ-რავი | პირისა-ნახავი | წითელ-მიწა | გულყვი-თელა | ავტორ-შე-მსრულენე-ლი | ქარ-ცეცხლი |
| გულსაკი-დი | პირის-მკრავი | დიდნენე | ცხრამუ-ცელა | ცხენ-ირემი | |
| პირსაწმენ-დი | თავბანი-ებად | წინკარი | ცხრაწიგ-ნა | | |
| თავდამარ-ხვა | | წინასი-ტყვა | ჭიაცე-ცხლი | | |

ხშირად იმდენად გაბუნდოვანებულია კომპოზიტის როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე სემანტიკური მახასიათებლები, რომ მათი ინტერპრეტირება რამდენიმენაირად შეიძლება და ჭირს კლასიფიკაცია, განსაკუთრებით ეს ეგზოცენტრულ, მეტაფორიზებულ კომპოზიტებზე ითქმის. მაგ.: **ნაცარქათამა** – ერთწლოვანი სარეველა ბალახი; თუნდაც მხოლოდ ამ ერთ მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება გაანალიზდეს მოცემული თხზული სახელი? როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, აღნიშნულ მცენარეს აქვს მონაცრისფრო-მომწვანო შეფერილობა და აქედან შეიძლება მომდინარეობდეს ამ ფერთან ასოცირება, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია რა შინაარსობრივი და გრამატიკული მიმართებაა ორ კომპონენტს შორის. „ნაცრის ქათამი“? „ქათმის ნაცარი“? „ნაცარა ქათამი“? „ნაცრისფერი მცენარე, რომელსაც ქათამი ჭამს“? სავარაუდო ვერსიების დასახელება კიდევ შეიძლება. მსგავსი მაგალითებია **ნაცარბეყვა** „ნაცარში გამომცხვარი პური“ (იმერ.); **მუამაღლა** „ბუსუსი, მრავალფეხა“ (მოხ.); **ეკალმმარა** „კოწახური“ (ფშაურ.); **კვახგულა** „პატარა, ჭრელკანიანი კვახი“; **მკლაგოჭი** „გომურის ჭერი“ (კახ.); **დედაზუზუნი / დედაძუძუნი** „გულითად მეგობრები, ერთმანეთის მესაიდუმლეები“ (კახ.); **გოდორყური** „1. სამელნის მსგავსად კუჭჩაბრუნებული გოდორი“, 2. „კონუსის ფორმის თევზის საჭერი წნული გოდორი“; **კატაბარდა** „მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახიდან“; **თავგარბა** „გიდლის ან გოდორის გადაწნული თავი“ (იმერ.); **ყოჩივარდა** „მცენარე ფურისული-სებრთა ოჯახისა“; **ზაბუასაგმალა** „წითელი კუნელი“ (იმერ.);

როდესაც საქმე ეხება სახელურ კომპოზიტებს [N+N=N], მათი სემანტიკური ინტერპრეტაცია არც მთლად მარტივია. სახელური კომპოზიტების მარტივი სინტაქსური ფორმის მიღმა ხშირად ღრმა კონცეპტუალური მექანიზმია დაფარული.

არის შემთხვევები, როცა კომპოზიტის პირველი წევრი (როგორც ხმოვან, ისე თანხმოვანფუძიანი), წესისამებრ და შინაარსიდან გამომდინარე, ნათესაობით ბრუნვაში უნდა იყოს, მაგრამ ამის ნაცვლად ის ფუძის ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთებია **წყალსადენი** „სისტემა სპეციალური გაყვანილობისა, რომლის საშუალებითაც წყალი ცენტრალური რეზერვუარიდან მიდის მოხმარების ადგილებზე“; **წყალბურთი** „წყალში ბურთის თამაში“; **კატაბალახა** „რთულფოთლებიანი სამკურნალო მცენარე“; **კატახეწვა** „მაგარი, ნაცრისფერი ბალახი, კლდეზე იზრდება“; **წყალკურთხევა** „წყლის კურთხევა ნათლისღების დღეს“; **ენაწკაპია** „ბალახი, ენას წვავს“ (ინგილოური); **ქვამურდულა** „პატარა ქვის

სასროლი შურდული“ (გურ.); **წყალგამტარი** „წყლის გამტარი“; **ბაბუაწვერა** „მრავალწლიანი რძიანა მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა“; ვერცერთ ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ პირველი კომპონენტი ან ატრიბუტული მსახდვრელია ან კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილი.

სინონიმური თუ ასოციაციური წყვილებისაგან შედგენილი კომპოზიტებიც კოორდინაციულ ეგზოცენტრულ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს, რადგან იქ მეთაური სიტყვა არ არის წარმოდგენილი და ერთცნებიანია. ასეთებია **ყმა-გლები**, **ქარ-ბუქი**, **ბედ-იღბალი**, **სვე-ბედი** და სხვ.

ერთ-ერთი თვალსაჩინო თვისება ქართული ენის სიტყვაწარმოებისა არის ის, რომ უხვად გვხვდება იდიომატური შინაარსის კომპოზიტები. ამგვარ კომპოზიტებში ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტის მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია ხოლმე, შეძენილი აქვს მთლიანად ახალი სემანტიკა და ამდენად შეუძლებელია კომპონენტების მიხედვით შინაარსის გამოცნობა. ამგვარი თხზული სახელები განსაკუთრებით უხვად გვხვდება დიალექტებში. მაგალითად, **დედაფუტკარა** „ჭინჭრისდედა, მინდვრის ფხალი“ (იმერული); **თაგვისკპილაი** „ძირმაგარას მსგავსი, მტკივნეული მუწუკი“ (გურული); **თაგვადასაგდები** „ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული ან რაიმე ნივთი“ (იმერული); **თაგვადასახურავი** „მიცვალებულის ჭირისუფლისათვის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან“ (იმერული).

ამგვარი კომპოზიტები წარმოადგენს სირთულეს როგორც ენის შესწავლისას, ასევე მანქანური თარგმანისას.

ხშირად ხდება ისე, რომ თანამედროვე ქართულ ენაში, განსაკუთრებით კი მის დიალექტებში, სუბორდინაციულ კომპოზიტებში წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგულია, მაგ.: **ბატიფეხა** – სარეველა მცენარეა (რაჭ.); **ახორიკარი** „ბოსლის წინა მხარე, წინკარი“ (ჩვენებურების ქართული); **ბალივაშლი** „საგაზაფხულო ვაშლის ჯიშია“ (რაჭ.); **დედაბრიკონკა** „მინდვრის ფხალი“ (იმერ.); **ხელთათმანი** „ნაქსოვი ან შეკერილი ხელზე ჩასაცმელი“; **ბატითვალა** „წინდის ჭრელი სახეა“ (კახ.); **ბზიკიბუდე** „ბრაზმორეული ადამიანის ეპითეტი“ (ჩვენებურების ქართ.); **გველიყლაპია** „გრძელნისკარტა წყლის ფრინველი“ (კახ.); **კედლიტილა** „ბაღლინჯო“ (ლენხ.); **ბედიკვერა** „საახალწლოდ ქალისთვის თონეში გამოცხობილი კვერი“ (კახ.).

დიალექტებში შემორჩენილია ისეთი ფორმები, რომლებშიც პირველი წევრი ნართანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორ-

მითაა წარმოდგენილი, ზოგჯერ ნიშანი მოკვეცილი აქვს, მაგრამ იქი-
 დან გამომდინარე, რომ ფუძეში კუმშვა-კვეცა არ ხდება, სავარაუდებე-
 ლია იქაც ნართანიანი მრავლობითის ფორმა, მაგ., **ხექთქონდარა** „ბალა-
 ხოვანი მცენარე“ (თუშ.); **ქათამყივილ** „გამთენიის დრო“ (თუშ.); **ქალ-
 თამზე** „ლამაზი ქალის ეპითეტია, აგრეთვე, ქალის საკუთარი სახელი“;
ქალთგოროზა „ზამთრის რელიგიურ-გასართობი დღესასწაული“
 (თუშ.); **თაგეთუქმე** „მარხვა, ნამარიამევეს იცოდნენ“ (რაჭ.); **მალათმვა-
 ლი** „კუნკუხო, გავა, სადაც ბარკლის ძვლის თავებია ჩასმული“ (ფშაუ-
 რი); **თავთბალიში** „აკვანში თავქვეშ დასადები პატარა ბალიში“
 (ქართლ.); **ხართაშევა** „სალამო ხანი, ხარების გამოშვების დრო“
 (ქართლ.); თანამედროვე სალიტერატურო ქართულში – **ფერთამცოდ-
 ნეობა** „სწავლება ფერების შეხამების შესახებ“; **ხელოვნებათმცოდნეობა**
 „მეცნიერება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესახებ“, **სულთამ-
 ხუთავი** „ვინც ან რაც სულს უხუთავს ვისმე; ძველ ქართულში ერთმა-
 ნეთის გვერდით იხმარებოდა როგორც ებიან, ისე ნართანიან მრავლო-
 ბითში დასმული პირველი კომპონენტი, მაგრამ ეს უკანასკნელი სჭარ-
 ბობდა“; **ასულთმეულლე** „თავის ასულთა ქმარი“; **ატიანთ-მოდღუარი**
 „მდივანი“; **დედათდიაკონი** „დიაკონი ქალი“; **ვარსკულავთმეტყუელი**
 „ასტროლოგი“; **კრულთ სამეცველო** „საპყრობილე“; **ნათესავთ-ჩამომავ-
 ლობა** „გენეალოგია; **ნაწლევეთმჭრელობა** „მუცლით მეზღაპრეობა“; **ნიო-
 რაკთ-მოდღუარი** „ჯალათთა მეთაური; **საჭეთმპყრობელი** „მენავე“ და სხვ.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეორე (ბოლო) კომპონენტი
 მრავლობითი რიცხვის ფორმით: **ცალფეჯები** „ოჩოფეხები“ (მოხ.); **სა-
 გებ-საფარები** „ლოგინი“ (ფერიედი.); **დელე-ღრანტეებ** „დელეები და
 ღრანტეები“;

რიგ შემთხვევაში ადვილად შეიცნობა დაკარგული ნათესაობითი
 ბრუნვის ნიშანი, ზოგან კი ეს შინაარსი საგრძნობლად დაჩრდილუ-
 ლია, ფორმალური მორფოლოგიური მახასიათებლების დაკარგვასთან
 ერთად, მაგალითად: **ხელკავი** „1. ვისიმე მკლავში ხელის, მკლავის
 გამოდება“; 2. „სიმინდის საფშვნელი ან ღომის საცეხვი მოხრილთავია-
 ნი მსხვილი ჯოხი“; 3. „სახველი იარაღის, ხელნის ტარი“; **ხელკალათა**
 „პატარა კალათა“ (იმერ.); **ხელშეკრულება** „შეთანხმება, პირობა, ურთი-
 ერთვალდებულება“; **აღებლამე** „დიდმარხვის, მარიამობისთვის მარ-
 ხვისა და ქრისტეშობისთვის მარხვის წინა ღამე“ (კახ.); **დანასობია** „თა-
 მაშია, იგივეა, რაც დანაობა“ (იმერ.); **ქვასაწური** „ქვის ფილტრი, საწუ-
 რავი“; **ქვაცხრილი** „კუთხ. (კახ. მესხ.) ხორბლეულის გასაცხავებელი
 ხელსაწყო, ცხავი, ჩხაკვი“.

რიგ შემთხვევებში, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის დაკარგვის შედეგად, თხზული სახელის პირველი კომპონენტი ფორმოზრევად იდენტურად გამოიყენება, მაგრამ თუნდაც სემანტიკური ანალიზის საშუალებით ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში ის წარმოადგენს ატრიბუტული კომპოზიტის ნაწილს, მეორე შემთხვევაში კი სუბორდინაციულს. ასეთებია: **თავგადასახურავი** „მიცვალებულის ჭირისუფლის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან“ (იმერ.); **თავგიდელაი** „უშნოდ გრძელი თავი“ (გურ.). როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში პირველი ნაწილის ფორმოზრევი მახასიათებლები იდენტურია, ისინი სხვადასხვა ბრუნვის ფორმას წარმოადგენენ და სხვადასხვა ფუნქციას ასრულობენ. პირველი კომპოზიტი სუბორდინაციული და ეგზოცენტრულია (ივარაუდება თავის+გადასახურავი), მეორე კი ატრიბუტული და ენდოცენტრული (თავი+გიდელა), თუმცა ისიც ეგზოცენტრული უნდა ყოფილიყო და გაარსებითების შემდეგ შეიძინა ენდოცენტრული შინაარსი.

საინტერესოა, რომ როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე მის დიალექტებში კომპოზიტის პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ სახელობითსა ან ნათესაობითში, არამედ მიცემითსა და მოქმედებითშიც, იშვიათად ვითარებითშიც. ზოგჯერ ბრუნვის ნიშნები დაკარგულია. მაგ., **თავმონაწიერი** „ერთიმეორეზე მიყოლებული წვრილშვილი“ (გურ.), (**თავს** ან **თავზე** უნდა ყოფილიყო ამოსავალი ფორმა); **ალოღლეტია** (ალოს+ღლეტია) „არაფრის მაქნისი“ (ქართლ.); **ხელნაწერი** „რაც ხელით არის ნაწერი, ამგვარად, პირველი კომპონენტი მოქმედებით ბრუნვაშია“; **თავგადასაგდები** „ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული ან რაიმე ნივთი“ (იმერ.), **ყელსაბამი**, **ყელსაბევეი**, **შაქარზომი** „ხსნარში შაქრის პროცენტული შემცველობის გამოსარკვევი ხელსაწყო“, **მმადნაფიცო** „ვინც მმად გაეფიცა, დაუმშობილდა ვისმე“ და სხვ.

არსებითი სახელებით შედგენილი კომპოზიტები განსხვავდება სხვა ტიპის თხზული სიტყვებისგან, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ისინი იძლევა საშუალებას, რომ რთული ცნებები გადმოცემულ იქნას მაქსიმალურად შეკუმშული ფორმით. მთელი წინადადება შეიძლება გადმოცემულ იქნას კომპოზიტის სახით. თუმცა ამ სისხარტესაც აქვს თავისი სირთულე, რადგან სემანტიკური ერთეული ამოღებულია მთელი ფრაზიდან. ხშირად კომპონენტთა მნიშვნელობა კია ცხადი და გასაგები ცალ-ცალკე, მაგრამ მისი საერთო მნიშვნელობა არ უდრის კომპომენტთა ჯამს. მსგავს რთულ სიტყვებს იდიომატურს უწოდებენ.

ნაწილი II

1. აფხაზური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

წარმოქმნის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ნებისმიერი ენისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება მთის კავკასიურ ენებში. სხვადასხვა ენაში კომპოზიციის თავისებური წესები არსებობს, განსხვავებულია კომპოზიტებში კომპონენტების შეერთების საშუალებები, მაგრამ თავად კომპოზიციის პრინციპი თითქმის ყველა სისტემის ენაში ერთია: ხდება ფუძის რედუპლიკაცია, ან ორი ან ორზე მეტი სიტყვის შეერთება. კავკასიურ ენების სახელის კომპოზიცია, მიუხედავად ცალკეული წარმატებული ცდებისა, მონოგრაფიულად, მითუმეტეს შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით არ გამოკვლეულა.

მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რთული სიტყვები აფხაზური და ადიღური ენების ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ პლასტს წარმოადგენს, ის იცვლებოდა და ვითარდებოდა ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად.

აფხაზურ და ადიღურ კომპოზიტურ არსებით სახელებს განიხილავდნენ თავიანთ ნაშრომებში ნ. იაკოვლევი, დ. აშხამაფი, გ. ტურჩანინოვი, მ. ცაგოვი, რომელთა ნაშრომებში საკითხი განხილულია სინქრონიულ ჭრილში. პრობლემის დიაქრონიულ სიბრტყეში განხილვის ცალკეული შემთხვევები გვაქვს გ. როგავას და ქ. ლომთათიძის ნაშრომებში. საკითხს განიხილავს მ. კუმახოვი.

ადიღური კომპოზიტური წარმოების ტოპონიმები ჯერ კიდევ ანტიკურ წყაროებშია დასახელებული (იხ. ქვემოთ). მათ ყურადღება პირველად მიაქციეს ი. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ.

აფხაზურ კომპოზიტებს განიხილავენ თავიანთ კვლევებში პ. ჭარაია, ბ. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟბა, თ. გვანცელაძე, ნ. მაჭავარიანი.

აფხაზურ ენაში კომპოზიტთა რამდენიმე მოდეელი გამოიყოფა:

1) რ ე დ უ პ ლ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი:

რედუპლიცირებულ კომპოზიტებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეები გაორმაგებულია, არ შეიმჩნევა ფონეტიკური პროცესები: **ა-ყ'აყ'ა** „ზურგი“; **ა-ყაფყაფ** „ოჩოფეხი“; **ა-შ'გრშ'გრ** „სასტვენი“; **ა-ც'გც** „ბურბუშელა“; **ა-წ'წ'ა** „ზარი (პატარა)“;

ხუს-ხუს „ხბო“ (ბავშვის ენაზე), **ა-კტკვ** „გუგული“, **ა-ხაჩა-ხაჩა** „შხაპუნი“, **ა-ყგრ-ყგრ** „ხარხარი“ ...

ბ. რედუპლიცირებული კომპოზიტის ერთ კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი: **ა-ხაჭა-მაჭა** „ჭიალუა, მწერი“ (შდრ. **ა-ხაჭა** „ხოჭო“), **ა-ხტკ-მტკ** „წერილმანი“, **ა-მახა-შახა** „ვიდურები“.

გ. რედუპლიცირებულ ფუძეში იცვლება მარცვალი: **ა-მათა-ჯგთა** „ბარგი-ბარხანა“...

დ. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია თანხმოვანი: **ა-ჟმტჟ** „ჯვალო, ძველმანი“...

ე. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია მარცვალი: **ა-რწ-მგრწ** „მწნილი“...

ვ. რედუპლიცირებულ ფუძეს ერთვის მასდარის მაწარმოებელი – რა სუფიქსი: **ა-ბარბარა** „ყბედობა“, **ა-პეიპერა** „პირთამდე ავსება, გაპიპინება“ **ა-ქვზქვზრა** „ქვითინი“, **ა-შგშრა** „გამურვა“ (შდრ. მეგრ. **შირშოლი** „გაბინძურება, გამურვა“), **ა-შგრ-შგრა** „სტვენა“ **ა-ცგრცგრა** „ბრწყინვა, ციმციმი“ (შდრ. ქართ. **ციმციმი**), **ა-ჭვრჭვრა** „ჭიკჭიკი“, **ა-ჭვლჭვლრა** „ფინია ძაღლის ყეფა, წკაწკაწკი“, **ა-ხარხარა** „ჟღარუნი“, **ა-ჰარსჰარსრა** „მსუქანი რამის ან ვინმეს სიარული“... (ამ ქვეჯგუფში ძირითადად ხმაბაძვითი სიტყვები გვხვდება).

ხშირად რედუპლიცირებული ფუძე მრავალგზისობას გამოხატავს: **აყვგყვგვ** „მრავალგზის კაკუნი, ბრახუნი“, **ა-ყვყვ** :ზედიზედ გასროლის ხმა, ბათქა-ბუთქი“.

2) შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa):

კოპულარულ (შეერთებით) კომპოზიტებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა. ერთცნებიანი კომპოზიტები: **ა-პგრპტლჯკვა** „დანაყილი წიწკა საწელელებით“ (ზედ. „პიმპილი + მარილი“); **ა-ჩაქაბალ** „ყურძნის სახეობა“ (ზედმ. „პური-პური“ – **ა-ჩა** „პური“, (ა)ქაბალ ←მეგრ. ქობალი „პური“); **ა-ჩაშ** „ხაჭაპური“ (ზედმ. „პური-ყველი“ – **ა-ჩა** „პური“, **აშ** „ყველი“); **ა-მცაბზ** „ალი“ (←ა-მცა „ცეცხლი“, ა-ბზ „ენა“. შდრ. მეგრ. ნინადაჩხირი „ალი“); **ა-წატამა** „გარგარი“ (**ა-წა** „ვაშლი“, (ა)ტამა „ატამი“, ზედმ. „ვაშლატამა“); **ა-კინოსანა** „კინოსურათი“ (**ა-კინო** „კინო“, (ა)სანა (←ქართ.) „სახე“); **ა-ბლასარკა** || **ა-ლასარკა** „id.“ „სათვალე“ ზედმ. „თვალი-სარკე“. ერთი შეხედვით ეს უკანასკნელი შეიძლება განსაზღვრებით კომპოზიტად წარმოგვედგინა და „თვალის სარკედ“ ჩაგვეთვალა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კომპოზიტს უნდა დართვოდა კუთვნილებითი ელემენტი.

ბ. ტოლადმერწყმული ორცნებიანი კომპოზიტები: **ეიშეი-ეჰშეი** „და-ძმა“, **აბი-ფერ** „მამა-შვილი“, **ხაწეი-ფჰგისი** „ცოლ-ქმარი“... ასეთი სახის რთულ სიტყვებში შემავალი კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია **ი-** („და“) კავშირით.

გ. აბსტრაქტულობის -რა სუფიქსდართული ერთცნებიანი კომპოზიტები: **ანხა-ჰკუნრა** „დედაშვილობა“; **ხაწეი-ფჰგსრეი** „ცოლქმრობა“...

დ. სქესის აღმნიშვნელი **ა-ჟ** („ძროხა, ფური“), **ა-ც** („ხარი“) დართული კომპოზიტები: **ა-ცკამბაშ** „ხარკამეჩი“, **ა-კამბაშც** (ბზ.) „ფურკამეჩი“, **ა-ცბატ** „ხარზაქი“, **ა-ჟკამბაშ** „ფურკამეჩი“; **ა-კამბაშჟ** (ბზ.) „ფურკამეჩი“, **ა-ჟბატ** „ფურზაქი“, **ა-ჟმაყა** „ბებერი ძროხა“, **ა-ჟბატფშა** „ახალდაბადებული ფურზაქი“, **ა-ჟწორგ** „ბერწი ძროხა“, **ა-ჟფგდა** „ბერწი ძროხა“ (ზედმ. „უშვილო ძროხა“, **(ა)ფა** (შვილი) + **და** უარყოფითი სუფიქსი) (კვარჭია 1981: 12, 28).

ე, კოპულარულია პროფესიის აღმნიშვნელი **ა-ხჩა** („მწყემსი“, „მცველი“...) კომპონენტდართული შემდეგი კომპოზიტები: **ა-დგქან-ხჩა** „მედუქნე“ (ა-დგქან „დუქანი“), **ა-ლანჩა** „მეძალღე, კურძალი“ (ა-ლან „ძალი“), **ა-ჟხჩა** „მეძროხე“ (ა-ჟ „ძროხა“), **ა-ჟარდგნჩა** „მეურმე“ (ა-ჟარდგნ „ურემი“), **ა-ძლაგარანჩა** „მეწისქვილე“ (ა-ძლაგარა „წისქვილი“); **ა-ჯმანჩა** „თხის მწყემსი“ (ა-ჯმა „მწყემსი“), **ა-ნგშჩა** „მენავე“ (ა-ნგშ „ნავი“), **ა-მხგნჩა** „მეველე“ (ა-მხგ „მინდორი“)(ჯანაშია 1954: 100, 172, 374, 449) ქართულში პროფესიის აღმნიშვნელი სახელები დერივაციის საშუალებით გადმოიცემა (მედუქნე, მეძროხე, მეწისქვილე...).

ვ. სინონიმური კომპოზიტები: **ა-ჩაქაბალ** „ყურძნის სახეობა“, ზედმ. „პური-პური“, (ა)ქაბალ ← მეგრ. ქობალი „პური“ (მაჭავარიანი 2006: 126); **ა-შთკაკაჰ** „ყვავილი“ (← ა-შთ „ყვავილი“, (ა)კაკაჰ „მინდვრის ყვავილი“.

3) განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa)

აფხაზური ენა გამოირჩევა განსაზღვრებითი კომპოზიტების სიმრავლით. ის ლექსიკის ყველა დარგს მოიცავს.

ბრუნების სისტემის უქონელი აფხაზური ენა განსაზღვრებითი კომპოზიტების გადმოსაცემად სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

გაუფორმებელი განსაზღვრებითი კომპოზიტები:

მრავლად გვხვდება **ა-ხნა** „ტყე“ კომპონენტის კომპოზიტური არსებითი სახელები: **ა-ხნარაჰანა** „ველური რეჰანი“ (მაჭავარიანი 2006: 84); **ა-ხნარას** „ველური თხილი“; **ა-ხნატრურა** „ტევრი“; **ა-ხნაწ** „მაჟალო,

ველური ვაშლი“; **ა-ბნაწ** „ხარირემი“ (ზედმ. „ტყის ხარი“), **აბნაუაგვ** „ტყის კაცი, ქაჯი“ (ჯანაშია 1954: 69).

ხის ჯიშების აღმნიშვნელ აფხაზურ ფორმათა უმრავლესობას და-რთული აქვს ხის აფხაზური სახელწოდება **ა-წლა**: **ა-მჟა-წლა** „თუთის ხე“ (←ა-მჟა „თუთა“, **ა-წლა** „ხე“); **ა-ბაწ-წლა** „ზღმარტლის ხე“, **ა-თა-წლა** „ცაცხვი“; **აბიაწლა** „კომშის ხე“, **ალიმრწლა** „ლიმონის ხე“, **აწაწლა** „ვაშლის ხე“ (აწა „ვაშლი“), **აჰაწლა** „მსხლის ხე“. ქართულში ამ სემანტიკის სიტყვები შესიტყვებით გადმოიცემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ სახის სიტყვები გაუფორმებელი განსაზღვრებითი კომპოზიტებია (ნ. მაჭავარიანი). შინაარსობრივად ასეა, მაგრამ სტრუქტურულად ვთვლით, კოპულარული კომპოზიტებია.

უქონლობის -**და** სუფიქსდართული კომპოზიტი:

ა-ცადაყაბაყ „თხელკანიანი გოგრა“ (←ა-ცა „კანი“, და უქონლობის სუფიქსი, (ა)ყაბაყ „გოგრა“), ზედმ. „უკანო გოგრა“ (მაჭავარიანი 2006: 105).

სხვა განსაზღვრებითი კომპოზიტები:

ა-მშაგნ-ყგზ „გედი“ (← ა-მშაგნ „ზღვა“, (ა)ყგზ „ბატი“), ზედმ. „ზღვის ბატი“;

ა-ყარმაწეს „ბულბული“ (← ა-ყარმა „სვია, ფშატი“, ა-წეს „ჩიტი“), ზედმ. „სვიის, ფშალის ჩიტი“. შდრ. ქართ. **მეფშატიე**, მეგრ. **მაფშალია**;

ა-ცხამგალ „თაფლის მჭადი“ (← ა-ცხა „თაფლი“, (ა)მგალ „მჭადი“;

ა-ცამგ „ცვილის მოხდის შემდეგ დარჩენილი წყალი“ (← ა-ცა „ცვილი“, (ა)მგ წყალი“;

ა-დგკრგნ „ია“ (←ა-დგ „მინდორი“, აკრა „შუქურა“) (მაჭავარიანი 2006: 200).

კუთვნილებით ელემენტდართული კომპოზიტები:

ა-ფეიფა „შვილიშვილი (ვაჟი ვაჟის მხრიდან)“ ← ა-ფა „ვაჟი“, -ი-მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფა „ვაჟი“, ზედმ. „ვაჟი მისი ვაჟი“;

ა-ფეიფა „შვილიშვილი (ასული ვაჟის მხრიდან)“ ← ა-ფა „ვაჟი“, -ი-მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, ა-ფა „ასული“, ზედმ. „ვაჟი მისი ასული“;

ა-ფაალფა „შვილიშვილი (ვაჟი ქალიშვილის მხრიდან)“ ← ა-ფა „ქალიშვილი“ -ლ-მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი ქალის კლასისა, ა-ფა „ვაჟი“, ზედმ. ქალიშვილი მისი ვაჟი“;

პაპენი „ყურძნის ჯიში“ (←პაპენ „მამაკაცის სახელი), -ი- მესამე პირის კუთვნილების გამომხატველი მამაკაცის კლასისა, აჟ „ყურძენი“), ზედმ. „პაპინი მისი ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 129);

ა-ჟარპასკენ „ველური ციკორეა“ (←ა-ჟა „კურდღელი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)პასკენ „ბალახი“) ზედმ. „კურდღლის (მათი) ბალახი“ (მაჭავარიანი 2006: 83).

ა-ჰარპაჰა „მოცვი“ (←ა-ჰა „ღორი“, -რ- მესამე პირის მრავლობითობის კუთვნილების აფიქსი, (ა)პაჰა „ტკიპა“), ზედმ. „ღორი (მათი) ტკიპა“ (მაჭავარიანი 2006: 52).

ზოგ კომპოზიტში ფუძეები ერთმანეთს მაკავშირებელი **o** „და“ ელემენტით უერთდებიან: **აჩე-ო-ჯგა** „პურ-მარილი“ (←ა-ჩა „პური“, ა-ჯგა „მარილი“), **აგე-ო-ჟ** „სხეული“ (←ა-ცა „ტყავი, კანი“, o „და“, ა-ჟე „ხორცი“ (გვანცელაძე 2003: 45), **აბ-ო-ფერ** „მამა-შვილი“...

აფხაზური სახელური კომპოზიტი შეიძლება იყოს¹:

ა. ორკომპონენტიანი:

ალაჰარ-წეს „ბელურა“ (←ა-ლაჰარ „საცეხველი, ჩამური“, ა-წეს ჩიტი“, ზედმ. „საცეხველის ჩიტი“);

ა-მსგრ-ქაად „პაპირუსი“ (←ა-მსგრ „ეგვიპტე“, ა-ქაად „ქალაქი“, ზედმ. „ეგვიპტის ქალაქი“);

ა-ჩეგჰასკენ „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“;

ა-ცეგჰასკენ „კატაბალახა“ (შდრ. ა-ცეგ „კატა“, (ა)ჰასკენ „ბალახი“);

ა-ბჰჰა-წეწნდრა „ხენდრო“ (შდრ. ა-ბჰჰა „ბალი“, (ა)წეწნდრა „ხენდრო“, ზედმ. „ბალის ხენდრო“);

ბ. სამკომპონენტიანი:

აზნჩაგ „ხარირემი“ (←ა-ზნა „ტყე“, ა-ჩაგ „ცხენი“, ა-გ „ხარი“);

აჟარგგე „ყურძნის მარცვალი“ (←აჟ „ყურძენი“, ა-გგე „გული“, აც „მარცვალი“);

აჩეგგაჟ „ყურძნის ჯიში“ (←ა-ჩაგ „ცხენი“, (ა)გგა „ძუძუ“, აჟ „ყურძენი“);

ა-ჟეცემაა „ქალამანი“ (←აჟ „ძროხა“, ა-ცა „ტყავი, კანი“, აიმაა „წულა“);

ა-ჟეკამბაჟურე „ბერწი კამეჩი“ (ა-ჟე „ფური“, (ა)კამბაჟე „კამეჩი“, (ა)წურე „ბერწი“);

ა-ჩაშეგგე-ალ „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეხელი“ (ა-ჩა „პური“, ა-შე „ყველი“, გე-ალ მჭადი“ (შაყრილი 1987: 417);

¹ აფხაზური კომპოზიტის სტრუქტურისთვის იხ. ნ. მაჭავარიანი, 2017.

ა-ბნაჭარდკაკალ (აბჟ.) „ქაცვი“ (←ა-ბნა „ველური“, (ა)ჭარდ „ვარდი“, (ა)კაკალ „მარცვალი“), ზედმ. „ველური ვარდი(ს) მარცვალი“.

გ. ოთხკომპონენტური:

აჭასარბაჭმე „ყურძნის ჯიში“ (←აჭასა „ცხვარი“, ა-ბ^ე „ბორცვი“, ა(გ)ჭ „ყურძენი“, (ა)მ^ე (←შ^ეკ^აკ^ა „თეთრი“) (მაჭავარიანი 2006: 127).

რთული არსებითი სახელის (კომპოზიტის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი (იშვიათად), რიცხვითი სახელი (იშვიათად), მასდარი ან ზმნის ფუძე.

ა. არსებითი + არსებითი:

ა-გარა-შა „იავნანა“ (←ა-გარა „აკვანი“, (ა)შა „სიმღერა“), ზედმ. „აკვნის სიმღერა“; **ა-კინოსანა** „კინოსურათი“ (←ა-კინო „კინო“, (ა)სანა „სახე“), ზედმ. კინოსახე“; **ა-ბერთფე / ა-ბაირთფე** „მონასტერი“ (←ა-ბერ „ბერი“, ა-თფე „ადგილი“), ეტიმოლოგიურად „ბერის ადგილს“ ნიშნავს (ბუკია 2013: 47).

ბ. არსებითი + ზედსართავი:

ამშ-ცვა „უამინდობა“ (←ამშ „დღე“-ცვა „ცუდი“), **აჩაფშ** „ხორბლის სახეობა“ (←ა-ჩა „პური“, (ა)ფშ „წითელი“), **ა-თაჭ** „სავსე ყურძენი“ (ა-თა „სავსე“, აჭ „ყურძენი“).

გ. არსებითი + რიცხვითი სახელი:

ჯგნტგშტრა (აჭატკა) „ორნახადი (არაყი)“ (←ჯ←ტგა „ორი“, ტგ – დანიშნულების სუფიქსი, (ა)შტრა „დუღილი“), ზედმ. ორჯერ მოდულეებული (არაყი); **ჯნგკვრშტრა (აჭატკა)** „ერთნახადი (არაყი)“ (←ჯნგ „ერთხელ“, კ – განუსაზღვრელობის აფიქსი, (ა)შტრა „დუღილი“), ზედმ. ერთნახადი, ერთხელ მოდულეებული (არაყი)“ (მაჭავარიანი 2006: 51).

დ. არსებითი + მასდარი:

ა-შაყარ „ყლორტი“, „ვაზის რქა“ (←ა-შაპე „ფეხი“, ა-ყარა „ქნევა“), ზედმ. „ფეხი ამონაყარი“ (ჯანაშია 2010: 22); **ა-ბჩარამზა** „ოქტომბერი“ (←აბჩარა „ლომის ცეხვა“, (ა)მზა „თვე“), ზედმ. „ლომის ცეხვის თვე“. შდრ. მეგრულში ოქტომბერს **გიმათუთა** აღნიშნავს, ზედმიწევნით ნიშნავს „ლომის ცეხვის თვეს“.

2. ადიღური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

კომპოზიტები ადიღური ენის ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ პლასტს წარმოადგენს, ის იცვლებოდა და ვითარდებოდა ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. ბევრი ადიღური კომპოზიტი ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა დიფერენციაციამდეა შექმნილი.

ადილურში, ისევე, როგორც ყველა ენაში, სპეციალისტები გამოყოფენ კომპოზიტთა შემდეგ სახეებს:

1) რ ე დ უ პ ლ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი:

რედუპლიცირებული კომპოზიტები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე მოდელად ჩამოყალიბდეს:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეთა მარტივი გაორმაგებით მიღებული კომპოზიტები, რომლებშიც არანაირი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. ასეთი კომპოზიტები ადილურში შედარებით ნაკლებია: **ღგრ-ღგრ** „თამაშის სახეობა“ (შდრ. **ღგრ** „ხის ბურთი“), **ჯწრ-ჯწრ** „ნება, სურვილი“, **ფსგ-ფსგ** „მარლა“... (აბრეგოვი 2000: 151).

კომპოზიტთა ასეთი წარმოება დამახასიათებელია ხმაბაძვითი სიტყვებისთვის: **ქგრ-ქგრ** „ინდაური“, **ტგჯ-ტგჯ** „ფეხსაცმელი“ (ბავშვთა ენაში), **მაყ-მაყ** „ცხვარი“ (ბავშვთა ენაში) (იქვე).

ბ. მარტივ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ხშირად ხდება ა/წ ხმოვანთა მონაცვლეობა სემანტიკის ცვლილების გარეშე, მაგ. **ნან/წ/** „დედა“, შდრ. **ნანწ დახწ** „ლამაზი დედა“, **მამ/წ/** „მამა“, შდრ. **მამწ ცგშ** „ჭკვიანი მამა“. ასეთი კომპოზიტები (ა/წ მონაცვლე) უფრო მეტია, ვიდრე მარტივი, ფორმაუცვლელი თხზული სიტყვები. შდრ. **ლალწ** „ხორცი“ (ბავშვთა ენაში) – **ლა-ფსგ** „ბულიონი“ (← *ლწ „ხორცი“), შდრ. თანამ. ლგ „ხორცი“, ფსგ „წყალი“, **ჭაჭწ** „კვერცხი“ (ბავშვთა ენაში), შდრ. **ჭწჭწ** „კაკანი“.

ა/წ მონაცვლე რედუპლიცირებული კომპოზიტები ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებში: **ცაც/წ/** (←*ცწცწ) „ცაცა, **ქაქწ** (← *ქწქწ) „ქვაქვა“, **ძამ/წ/** (←*ძმძმ) „ძაძა“, **ზაზ/წ/** (←*ზწზწ) „ზაზა“.

გ. ხმოვნის შეცვლა რედუპლიცირებულ კომპოზიტებში – ადილურ რედუპლიცირებულ კომპოზიტში ხმოვნის შეცვლა ძალზე იშვიათად ხდება. შეიძლება ძირისეული ა/წ ხმოვანი შეიცვალოს უ ხმოვნით. ამ შემთხვევაში კომპოზიტი გამოხატავს კრებითობას: **ცწსწ-ცწსწ** (←*ცუსწ) „ტკბილეულობა“, შდრ. **ცწსწ** „ტკბილი“.

დ. ხმოვნის ან თანხმოვნის ამოვარდნა რედუპლიცირებულ კომპოზიტში – რედუპლიცირების დროს ადილურ კომპოზიტში შეიძლება ამოვარდეს პირველი კომპონენტის ხმოვანი ან თანხმოვანი (ძირითადად აუსლაუტის ბგერა): **დწდწ** (←*დწდწ) „სათამაშო“ (ბავშვთა ენაში), **ლგლგუ** (←*ლგულგუ) საკუთარი სახელი.

ე. კომპოზიტის პირველი კომპონენტის ანლაუტის თანხმოვნის (ან თანხმოვანთკომპლექსის) შეცვლა მეორე კომპონენტში. ასეთი კომპოზიტები ძირითადად ზედსართავ სახელებში გვხვდება და აღმატე-

ბით ხარისხს გამოხატავს, მაგ. **დგჯგ-რგჯგ** „ძალიან მწარე, უმწარესი“, შდრ. **დგჯგ** „მწარე“, **ჯაბზნ-ძაბზნ** „ძალიან სუფთა“, შდრ. **ჯაბზნ** სუფთა“...

არსებით სახელებში ამ ტიპის რედუპლიცირება გვხვდება კრებით სახელებში: **კალნ-ლალნ/ვ** „ახალგაზრდობა“, შდრ. **კალნ** „ახალგაზრდა“, **ჯაბარ-შაბარ** „სიახლეები, ახალი ამბები“, შდრ. **ჯაბარ** „ახალი ამბავი“ და სხვ.

ხშირად რედუპლიცირებულ კომპოზიტიში პირველი კომპონენტის ბგერა მეორე კომპონენტში იცვლება ზ' თანხმოვნით და კრებითობას გამოხატავს: **მაქგ-ზაქგ** „თივა და მისთ.“, შდრ. **მაქგ** „თივა“, **ჰაქგ-ზაქგ** „ღუმელი და მისთ.“, **ცაფცნ-ზაფცნ** „ნივთები, ხარახურა“, შდრ. **ცაფცნ** „ნივთი“, **ცაჭტობუს-ზაჭტობუს** „ავტობუსი და მისთ. ტრანსპორტი“, შდრ. **ცაჭტობუს** „ავტობუსი“, **შამსეთ-ზამსათ** „შამსათი და მისი ხალხი, შამსათიანნი“, შდრ. **შამსათ** – საკუთარი სახელი.

თუ კომპოზიტის პირველი კომპონენტი იწყება ძ, ზგ, უნ, უა დიფთონგით, მეორე კომპონენტის ზ' იერთებს დიფთონგის ნაწილს, მაგ.: **ძაბზგ-ზაბზგ** „ნაკელი და მისთ.“, შდრ. **ძაბზგ** „ნაკელი“, **ძაჯაწაძა-ზაჯაწაძა** „ეგერუხაი და სხვა აულები“, შდრ. **ძაჯაწაძა** – ეგერუხაი (აულის სახელწოდება)...

როდესაც სიტყვა იწყება ა ხმოვნით, ზ' თანხმოვანი მეორე კომპონენტს ერთვის ყოველგვარი ცვლილების გარეშე: **არტ-ზარტ** „არაყი და მისთ.“ შდრ. **არტ** „არაყი“, **აფრ-ზაფრ** „მინა და მისთ.“, შდრ. **აფრ** „მინა“, **აჩა-ზაჩა** „თხა და მისთ.“, შდრ. **აჩა** „თხა.

ვ. რედუპლიკაციისას პირველი მარცვლის შეცვლა. ამ ტიპის კომპოზიტის წარმოებისას ხდება პირველი მარცვლის შეცვლა. ზედსართავებში ასეთი ტიპის რედუპლიკაცია აღმატებით ხარისხს გამოხატავს, არსებითებში – კრებითობას. მაგ.: **წგკ-სწკ** „წვრილმანი“, შდრ. **წგკ** „პატარა“, **ფგღგ-მგღგ/გ** „მღელვარება“, შდრ. **ფგღგ** „დარდი“ და სხვ.

ამავე ტიპის წარმოებისაა ხმაბაძვითი სახელური კომპოზიტები: **კალნ-კვლნ** „სისულელე, აბდაუბდა“, **კამ-კვრთ** „სისულელე“.

ზ. რითმული რედუპლიკაცია: ცალკე ჯგუფს ქმნის რითმული რედუპლიკაციით შექმნილი კომპოზიტები: **ფცნ-შეცნ** „შიგანი, კუჭმაჭი“, **ცნმნ-ფსგმნ** „ინსტრუმენტი“.

თ. ადიდურ სახელურ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ასევე გამოიყოფა ჯგუფი, სადაც სთული სიტყვის კომპონენტი სემანტიკისაგან დაცლილია და ძირითადად ფონოსემანტიკური ერთეულია: **ჭგმ-სგმ** „სიჩუმე“, **ჭგრლ-სგრლ** „ჭრიალი“, **წგრ-წგრ** „ჭიკჭიკი“.

2) შეერთებითი კომპოზიციები (composita copulativa):

შეერთებითად იწოდება ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული კომპოზიციები, რომლებიც ახალ სემანტიკას იძენენ, მაგ. **ნაფ** „სახე“ (←ნ „თვალი“, ფ „ცხვირი“), **ფჯ-სწლგ** „სხეული“ (← ფჯ „ძვალი“, სწ „ტყავი, კანი“, ლგ „ხორცი“), **მწქ-მწშგ** „სოფლის მეურნეობა“ (←მწქ „თივა“, მწშგ ფეტვი“) (აბრეგოვი 2000: 156).

კოპულარულ (შეერთებით) კომპოზიციებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა. არსებითი სახელების ფუძეების შეერთებით მიღებული კომპოზიციები: **ნაფ** „სახე“ (ნ „თვალი“, ფ „ცხვირი“), **შგლ-პასტ** „პურ-მარილი“ (← შგლ „მარილი“, პასტ „ფაფა“), **ჩწშ-მაჟ** „დღე-ღამე“ (ჩწშ „ღამე“, მაჟ „დღე“), **ფჯ-სწლგ** „სხეული“ (←ფჯ „ძვალი“, სწ „ტყავი, კანი“, ლგ „ხორცი“), **მწქ-მწშგ** „სოფლის მეურნეობა“ (←მწქ „თივა“, მწშგ „ფეტვი“).

ბ. ფუძეშეერთებულ კომპოზიციებზე დართულია უარყოფის აფიქსი: **მგსწ-მგლგ** „ხარახურა“ (ზედმ. „არც ტყავი, არც ხორცი“), **მგც-მგჩწმ** „უგუნური ადამიანი“ (ზედმ. „არც ხარი, არც ძროხა“).

გ. საურთიერთო აფიქსით შეერთებული კომპოზიციები: **ზწლ-ზწსწგზ/გ** „ცოლ-ქმარი“ (ზედმ. ქმარი და ცოლი ერთმანეთისთვის“), **ზწშ-ზწშგზ/გ** „და-ძმა“ (ზედმ. „ძმა და და ერთმანეთისთვის“).

სემანტიკის თვალსაზრისით რთული სიტყვები შეიძლება იყოს როგორც შემდეგი სახის:

ა. სინონიმური:

ბგწგწაწ „ოჯახი“ (←ბგწ „ოჯახი“, გწაწ „ოჯახი“);

ხწტ-ბორწ „ქარბუქი“ (←ხწტ „ქარბუქი“, ბორწ „ქარბუქი“);

ფხწკ-გწაუ „მწუხარება, უბედურება“ (←ფხწკ „მწუხარება“, გწაუ „მწუხარება“);

ზწუწ-ბანწ „შეტაკება, შეხლა“ (←ზწუწ „ომი“, ბანწ „ბრძოლა“);

ნგბჯწლ-სწულ „მეგობრობა“ (←ნგბჯწლ „მეგობარი“, სწულ „მეგობარი“).

ბ. ანტონიმური:

ჩწშ-მაჟ „დღე-ღამე“ (ჩწშ „ღამე“, მაჟ „დღე“);

ლწღწ-წწრწბღაწ „ვაჟკაცობა და სიმხდალე“;

ინგწწ-წკწლწ „სიდიდე, ზომა“ (←ინგწწ „დიდი“, წკწლწ „პატარა“);

ზწღწ-კწლაწ „ასაკი“ (ზწღწ „სიბერე“, კწლაწ „ახალგაზრდობა“).

გ. გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან ახლოს მდგომი კომპონენტები:

- ტვსჴწ-უატზ** „ბზე და თივა“;
- კაზ-ფსფჩათ** „ბატი და იხვი“;
- ჴწზლ-ჴაძმჴ** „ჭილოფი და ჩანთა“.

3) განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa)

ადილური ენის ლექსიკის გამდიდრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს განსაზღვრებითი კომპოზიტები. ადილური სიტყვათწარმოქმნის სისტემაში ასეთი წარმოება განსაკუთრებით პროდუქტულია და დომინანტი პოზიცია უჭირავს.

განსაზღვრებითი რთული სიტყვები ის ფორმებია, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთის მიმართ არიან მსაზღვრელ საზღვრული, ან საზღვრულ-მსაზღვრელი:

- ჭგზგუ** „ჭრიჭინა“ (ჭგ „მიწა“, გზგუ „ჩიტი“, ჴედმ. „მიწის ჩიტი“);
- უაწგ** „დარი“ (←უა „ცა“, წგ „კარგი“, ჴედმ. „კარგი ცა“);
- ცზზაწკა** „კალენდულა“ (←ცზზაწაწა „ფრჩხილი“, კა „თესლი“, ჴედმ. „თესლი, რომელიც ჴგავს ფრჩხილს“);
- უაძ** „ავდარი“, „წვიმა“ (←უა „ცა“, ძ „ცუდი“, ჴედმ. „ცუდი ცა“).

განსაზღვრებით კომპოზიტში, როგორც წესი, მთავარი კომპონენტი არის არსებითი სახელი, რომელიც განსაზღვრულია არსებითით, ჴედსართავით, რიცხვითი სახელით, ჴმნისართით.

„დაკარგულ კომპონენტთან“ ადილური კომპოზიტები:

ადილურში იძებნება დიდი რაოდენობით კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ნაწილი ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ გვხვდება, მხოლოდ თხზული სიტყვის ნაწილია. იშვიათად თავს იჩენს იდიომურ გამოთქმებში.

საანალიზოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს (მასალა აღებულია ა. კვახაძის ნაშრომიდან „ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა შედარებით-სემანტიკური ლექსიკონი“ :

ბლა ელემენტი გვხვდება მინდვრის აღმნიშვნელ **გგ-ბლ** (ადილ.), **გგ-ბლგ** (ყაბარდ.) კომპოზიტებში. თხზულ სიტყვაში **გგ**- მორფემა გულის აღმნიშვნელი უნდა იყოს. უბიხური **გგბლა** „მინდორი“ ადილური ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული. (კვახაძე 2014: 24).

სგ-თხ' ადილეურში (ჭემგურში) „ქვის ბორცვია“. -თხ' „ქედის“ აღმნიშვნელი მორფემაა, სგ ←*სა- „ქვას“ უნდა ნიშნავდეს, თუმცა დამოუკიდებელ სიტყვად არ გვხვდება.

ტგრგ-ზ' ადილეური ენის აბმახურ დიალექტში „გუბეს“ ნიშნავს, -ზ' „ძველის“ აღმნიშვნელი მორფემა უნდა იყოს. ტგრგ-, სავარაუდოდ, – „ტბა, წყალია“. „ძველი წყალი“ ~ „გუბე“ სემანტიკური ჯაჭვი ბუნებრივია. ვინაიდან არაგამდინარე წყალი ქმნის „ძველი წყლის“ = „გუბის“ მნიშვნელობას.

ჯ°გ-ს'ჰჰ (შაფს.); **ჯ°გ-ს'ჰჰ** (ჭემ.); **ყ°გ-ს'ჰჰ** (აბდ.); **ჯ°გ-ს'ჰჰ** (ბჟედ.) „მთა“; კომპოზიტში ს'ჰჰ „თავის“ აღმნიშვნელი მორფემაა. *ჯ°გ- „მთა“ ← „კლდე“ ელემენტი მხოლოდ კომპოზიტის ნაწილად გვხვდება.

შაფს. **ღა-თხ'ზ'**; ჭემ. **ღა-თხ'ზ'**; აბდ. **ღა-თხ'ზ'**; ბჟედ. **ღა-თხ'ზ'** „გაზაფხული“; ყაბ. **ღა-თხ'ზ'**; ბასლ. **ღა-თხ'ზ'** „გაზაფხული“; ფუძე გვხვდება მხოლოდ კომპოზიტის სახით, სადაც ღა- „წელიწადს“, „სეზონს“ აღნიშნავს (იხ. აქვე გვ. 44). *-თხ'ა ელემენტი დამოუკიდებელ, მარტივ ფუძედ არ ჩანს. შესაძლოა ამოსავალი სემანტემა „თბილის“ აღმნიშვნელი იყოს: „გაზაფხული“ = „თბილი სეზონი“.

შაფს. **ფჩანდ-გჟ**; ჭემ. **ფჩანდ-გჟ**; აბდ. **ფშანდ-გჟ**; ბჟედ. **ფჩანდ-გჟ** „დილა“; ყაბ. **ფსანდ-გზ**; ბასლ. **ფჩანდ-გზ** „დილა“; ფუძე გვხვდება კომპოზიტის სახით, სადაც -გჟ / -გჟ / -გზ სეგმენტი „ადრე“ სემანტემის აღმნიშვნელია. ***ფჩანდ-** ელემენტი ჩერქეზულში დამოუკიდებლად არ ჩანს.

შაფს. **ფჩგ-ჰჰ**; ჭემ. **ფჩგ-ჰჰ**; აბდ. **ფშგ-ჰჰ**; ბჟედ. **ფჩგ-ჰჰ** „სალამო“; ყაბ. **ფს'გ-ჰჰ-ს'ჰჰ**; ბასლ. **ფს'გ-ჰჰ-ს'ჰჰ** „სალამო“; უბიხ. **წა-ფსგ-ჯ** „სალამო“; სიტყვა ფიქსირდება მხოლოდ კომპოზიტის სახით. დასავლურ-ადილურ დიალექტებში -ჰჰ „წაღება“ ზმნა უნდა იყოს, აღმოსავლურ-ადილური -ს'ჰჰ კი „თავის“ აღმნიშვნელი ძირია (იხ. აქვე გვ 131). უბიხური ლექსემის პირველი კომპონენტი **წა-** „ცას“ აღნიშნავს, ხოლო ბოლოკიდური მორფემა მხოლოდ „დილის“ და „სალამოს“ აღმნიშვნელ ფუძეებში გვხვდება (შდრ. **ს°გ-ჯ** „დილა“). შესაძლოა ამოსავალი სემანტემა „ღამე“ იყოს: „სალამო“ = „ღამის მომტანი“.

ჭემ. **შანჯან-ღ**; აბდ. **შანჯან-ღ**; ბჟედ. **შანჯან-ღ** „შუადღე“; ყაბ. **შანჯან-ღ**; ბასლ. **შანჯან-ღ** „შუადღე“; ფუძე გვხვდება კომპოზიტის სახით, სადაც -ღ°გ „დროისა“ და „პერიოდის“ აღმნიშვნელი სახელური სუფიქსია. სალიტერატურო ენაში დაკარგულია ***შანჯან** ელემენტი.

ჭემ. **ფცა-ს'ჰ**; ბჟედ. **ფცა-ს'ჰ** „ტყვია (ლითონი)“; ყაბ. **ბძა-მწან / ბძა-პწან**; ბასლ. **ბძა-მწან / ბძა-პწან** „ტყვია, ლითონი“; არქაული ვითარება დაცულია ბჟედულურ დიალექტში. ძირი გვხვდება მხოლოდ კომპოზი-

ტის სახით, სადაც -სწ/ -მწ „შავს“ აღნიშნავს. აღმოსავლურ-ადიღურში დარღვეულია ზგერათშესატყვისობათა სისტემა და მოსალოდნელი -ძე ძირის ნაცვლად დადასტურდა -მწ/ -ჰწ ძირი, რაც ჯერ კიდევ საერთოადიღურ დონეზე ფონეტიკურად განვითარებული ბილაბიალური ხშულის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ. ცოცხალ მეტყველებაში დამოუკიდებელი სახით დაკარგულია *ფცა ელემენტი.

შაფს. ცა-ძე; ჭემ. ცა-ძე; ბჟედ. ცა-ძე „კალა, თუთია“; ყაბ. ძა-ხ^ო; ბასლ. ძა-ხ^ო „კალა, თუთია“; ძირი გვხვდება მხოლოდ კომპოზიტის სახით, სადაც -ძე /-ხ^ო „თეთრს“ აღნიშნავს. დაკარგული *ცა- ნაწილი „კალას, თუთიას“ აღნიშნავდა.

ჭემ. ზზ-ძე „ცაცხვი“; ყაბ. ზზი-იხ^ო „ცაცხვი“; ბასლ. ზზ-იხ^ო „ვერხვი“;

სიტყვა დასტურდება მხოლოდ კომპოზიტის სახით, სადაც -ძე /-ხ^ო „თეთრის“ აღმნიშვნელი უნდა იყოს. დამოუკიდებლად რ ჩანს *ზზ- ელემენტი. უბიხური პარალელი გამოვლენილი არ არის, თუმცა შდრ. უბიხ. ზზ-ღ^{ენ} „კვიპაროსი“.

შაფს. ზაჯ-ს; ჭემ. ზაჯ-ს; აბდ. ზაჟ-ს; ბჟედ. ზაჯ-ს „ტურა“; უბიხ. ზაგა-ს^ჲ „ტურა“;

ძირი დასტურდება მხოლოდ კომპოზიტის სახით, სადაც ზაჯ-ს/ ზაგა- მელიის აღმნიშვნელი უნდა იყოს. არ ჩანს *-ს^ჲ „ტურა“ ელემენტი.

ჭემ. ჰამ-ფლ^ჲ-ჟ; აბდ. ჰამ-ფლ^ჲ-ჟ; ბჟედ. ჰამ-ფლ^ჲ-ჟ „ხვლიკი“; ძირი გვხვდება მხოლოდ კომპოზიტების შემადგენელ ნაწილად: ჰამ-ღგ^ჲ „ჭია“, ჰამ-პგრა-ს^ჲ „პეპელა“. დაკარგული ნაწილი *ჰამ- „ქვეწარმავალს“ აღნიშნავდა.

3. ქართული (//ქართველური), აფხაზური და ადიღური ენების კომპოზიტთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

ქართველთა და აფხაზ-ჩერქეზთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ენობრივ მასალაზე. გარდა საერთო-კავკასიური და ქართველურ-აფხაზურ-ჩერქეზული ფორმებისა, გამოიყოფა ნასესხები ლექსიკა, რომელიც წარმოგვიდგენს ამ ეთნოსთა ისტორიული თუ კულტურული თანაცხოვრების გარკვეულ ასპექტებს.

განვიხილავთ ლექსიკის ერთ კონკრეტულ ნაწილს, კერძოდ, ორენოვან კომპოზიტებს, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი აფხაზურ ენაში და თითქმის მთელი ლექსიკური ფონდი მოიცვა. და მაინც, გვხვდება გარკვეული დარგები, სადაც განსაკუთრებული ინტენსივო-

ბით არის წარმოდგენილი ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ურთიერთობის პერიპეტიები. ეს დარგებია რიტუალური, მწყემსური, ანატომიური, კულინარიული, სამიწათმოქმედო, შრომის, საომარი იარაღების, სამოსლის... აღმნიშვნელი სიტყვები (იხ. ბუკია 2013). ყურადღებას იქცევს ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვები, რომლებიც მთლიანად ქართულიდან / ქართველურიდანაა შეთვისებული, ან ეს ნასესხობა წარმოდგენილია ორენოვან კომპოზიტებში.

კომპოზიტთა ცალკე ჯგუფს ქმნის ის კომპოზიტები, რომელთა ორივე ნაწილი ნასესხებია, მაგრამ გამსესხებელ ენაში (ჩვენს შემთხვევაში ქართულ-ქართველურში) მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი. ჩანს კომპოზიტის წარმოქმნა აფხაზურში შეთვისების შემდეგ მოხდა:

ა-კვცმგალ / ა-კვცხმგალ „კვცზე გამომცხვარი მჭადი“ (კასლანდია, 2005, 517)

კომპოზიტის პირველი კომპონენტი ქართველური **კვც**-იდან მომდინარეობს:

ქართ. **კვცი** „თიხის (ან ქვის) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს“ (ქეგლ, IV, 1153); ძვ. ქართ. **კვცი** (ძვ. ქ.) „თიხა, თიხის ჭურჭელი, გამომწვარი კრამიტი“ (აბულაძე 1973 197); დიალ. **კვეული** (ხევს.) „თხელი პური, ქადა“ (ღლონტი, 1984, 282), მეგრ. **კიცი** „თიხის ან ქვის ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს“ (ყიფშიძე, 1914, 259); ლაზ. **კეცი / კეწი** „კეცი“ (ქუთელია, 2005, 246, 247); სვან. **კეც / კეც** „ქვის კეცი“ (თოფურია, 2000, 347); აფხაზური **ა-კვც** „კრამიტი; კეცი“ (ჯანაშია 1954, 160) ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია, 1912, 10).

კომპოზიტის მეორე კომპონენტიც ქართველური წარმოშობისაა, ამოსავალია ზანურ-სვანური ფორმები:

მეგრ. **დიარა** „დაპურება“ (ყიფშიძე, 1914, 225); ლაზ. **გაარ / ჯარ** „საჭმელი“ (მარი, 1910, 135, 236); სვან. **დიარ / დიარ** „პური“ (თოფურია, 2000, 195)

აფხაზური **ა-მგალ** „მჭადი“ (ჯანაშია 1954, 189) ქართველურიდან (resp. მეგრულიდან) მომდინარეობს. ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება დ → გ პროცესი (**ზიდავს** → **ზიგავს**). იგივე პროცესი მიმდინარეობს ქართველურიდან აფხაზურში სესხების ცალკეულ შემთხვევებში. ერთი ასეთ შემთხვევათაგანი უნდა იყოს **ა-მგალ** „მჭადი“ (ლომთათიძე, 1999-ა, 124), სიტყვა შესულია აზაზურშიც: **მგალ** (აზაზ.) „ფეტვის პური“ (აბრლ, 1967, 277).

სიტყვა ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-ცხამგალ** „თაფლიანი მჭადი“ (შაყრილი, 1987, 318). შდრ. **ა-ცხა** „თაფლი“ (იქვე); **ა-ჩაშ^ეგმგალ** „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (შაყრილი, 1987, 417), სადაც **ა-ჩა** „პურია“, **ა-შ^ე** „ყველი“, **ჯაბრანმგალ** „ჯაბრანის ხმადი“, **ჟაბრანმგალ** „ჟაბრანის ხმადი“ (კვარჭია, 1981, 49).

ა-კცმგალ ა-კცვბმგალ „კეცზე გამომცხვარი მჭადი“ პირველად გვხვდება ვ. კასლანძიას ლექსიკონში (კასლანძია 2005, 517).

ა-მარგვლტამა „ატმის ჯიში“ (კასლანძია, 2005, 664)

კომპოზიტის პირველი კომპონენტი გვხვდება მეგრულსა და სვანურში: მეგრ. **მარგული** „შავი ქლიავი“ (ქაჯაია, 2002, 217), სვან. **მარგული** „შავქლიავი“ (ავალიანი, 1995, 59). **მარგული** გვხვდება აფხაზეთში მდებარე ტოპონიმში **მერკულა** (გვანცელაძე 1997-ა, 199). ეს ოიკონიმი ჯერ კიდევ XIV საუკუნის წყაროებში ჩანს (კვარჭია, 1985, 29).

ქართველურიდანვეა კომპოზიტის მეორე ნაწილი:

ქართ. **ატამი** „საშუალო ტანის ხე“ (ქეგლ, I, 629); ძვ. ქართ. **ატამი persicum** (აბულაძე 1973 11), **ატამი** „ხე“ (საბა, 1991, 71); მეგრ. **ატამა** „ატამი“ (ყიფშიძე, 1914, 197); ლაზ. **ანტამა / ატამზა** „ატამი“ (მარი, 1910, 126); სვან. **ატამა / ატამ** „ატამი“ (თოფურია, 2000, 63)

სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ სიტყვა **ა-ტამ** აფხაზურში ქართველურიდანაა ნასესხები (გვანცელაძე 1997, 58), მეტიც, შესულია აბაზურშიც: **ტამა** (აბაზ.) „გარგარი“ (აბრლ, 1967, 372).

ასეთი კომპოზიტი საკუთრივ მეგრულში და სვანურში არ გვხვდება. ვვარაუდობთ, რომ **ა-მარგვლტამა** გააფხაზურებული კომპოზიტია (ბუკია, 2010, 9).

ა-ჩყ^ეუატალა „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია, 2005-ა, 523)

კომპოზიტის პირველი ნაწილი ქართულია:

ქართ. **ჩიყვი** „1. ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება; 2. კუთხ. (იმერ.) სოკო სიმინდის ღეროზე გაჩენილი“ (ქეგლ, VIII, 518), მეგრ. **ჩიყვი** „ჩიყვი, გამობერილი ყელი ჩიჩახვივით“ (ჭარაია, 1997, 157)

აფხაზური **ა-ჩყ^ე** „ჩიყვი“ (გვანცელაძე 2003, 227) ფონოტაქტიკის სრული დაცვითაა ნასესხები ქართულიდან – ინტერკონსონანტურ პოზიციაში ი → გ, ყვ თანხმოვანთკომპლექსმა კანონიკურად მოგვცა ლაბიალიზებული ყ^ე.

კომპოზიტის მეორე ნაწილი მეგრულიდანაა შეთვისებული:

მეგრ. **ოტოლე / ონტოლე** (მეგრ.) „ჯირკვალი“ (ქაჯაია, 2002, 453); დიალ. **ორტოლა** (გურ.) „ჯირკვალი, რომელიც გრძლად, ორ ზოლად

გადააწვება ადამიანს სიპაში“ (ღლონტი, 1984, 429); სვან. **ღუნტულ** / **ღუნტლა** „ჯირკვალი“ (თოფურია, 2000, 797).

გურულში პოვნიერი ორტოლა ზანურის სუბსტრატია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ოტოლე** / **ონტოლე** ზანური შესატყვისია ქართული **არტალა**-სი (როგავა, 1962, 73).

ა-ჟატალა / **ა-კატალა** „ჯირკვალი“ (ჯანაშია 1954, 266) ბგერათგადაღების სრული შესაბამისობით არის ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე, 1981, 84-85)

აფხაზურ სიტყვაში **ა-ჩგჟატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა, 523) ორივე ინგრედიენტი ქართველურიდანაა შეთვისებული.

ა-ჰათგრ-აპატუ (კასლანძია, 2005-ა, 389)

აფხაზურსა და ქართველურში შეთვისებული **ხათრი** არაბულ-სპარსული სიტყვაა და გავრცელებულია სამსავე ქართველურ ენაში:

ქართ. **ხათრი** (არ.-სპ. ხათირ) პატივისცემა, თავაზი“ (ქეგლ, VIII, 1316); მეგრ. **ხათრი** „პატივისცემა, მორიდება“ (ყიფშიძე, 1914, 396); ლაზ. **ხატირი** „ხსოვნა, პატივისცემა“ (მარი, 1910, 229); სვან. **ხათრ** / **ხათრ** „ხათრი, მორიდება“ (თოფურია, 2000, 867)

ქართული **ხათრი** და აფხაზური **ა-ჰათგრ** შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია, 1912, 11). ის მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, თუმცა შეიძლება დაფუძვან, რომ ორსავე ენაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა შესული – აფხაზურ ფორმაში შენარჩუნებულია ინტერკონსონანტური **o** → **გ**, რაც ქართულში არ ჩანს.

კომპოზიტის მეორე ნაწილი ქართველურია:

ქართ. **პატივი** „1. კარგად მოპყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება. 2. კარგი მოვლა“ (ქეგლ, VI, 148); ძვ. ქართ. **პატივი** (ძვ. ქ.) „დიდება, დიდი სახელი ან ხარისხი“ (აბულაძე 1973 337), **პატივი** „კეთილის მოპყრობა“ (საბა, 1991, 616); მეგრ. **პატი** „პატივი, პატივისცემა“ (ყიფშიძე, 1914, 297); სვან. **პატიჟ** / **პატიჟ** „პატივი“ (თოფურია, 2000, 679)

ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-პატგჟ** „პატივი“ (ჯანაშია 1954, 219), სიტყვა აბაზურშიცაა შესული: **პატუ** (აბაზ.) „ავტორიტეტი, პატივი“ (აბრლ, 1967, 313).

შესაბამისად, **ა-ჰათგრ-აპატუ** (კასლანძია 2005-ა, 389) ქართველურიდან ნასესხობად განიხილება. თუმცა ქართულში ასეთი კომპოზიტი არ ჩანს.

აისგრუნგ “ისლით გადახურული სახლი” (ბლაჟბა 1964: 204)

კომპოზიტის პირველი კომპონენტი **აისგრ** მეგრულიდანაა შეთვისებული: ისირი „ისლი“ (ქობალია 2010: 350). **(ა)გუნგ** აფხაზური „სა-

ხლია“. **ვანი** „ძვ. სადგომი, ბინა“ (ქეგლ IV: 17), **ვანი** (ძვ. ქართ.) „სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი“ (აბულაძე 1973: 153) ახლოს დგას აფხაზურ **ა-ვნე** „სახლი, ოჯახი“ (უსლარი 1887: 126); პ. ჭარაიას აზრით, შესაძლოა, აფხაზურში ქართულიდან იყოს შეთვისებული და ამოსავალი იყოს ქართული **ვანი** (ჭარაია, 1912, 21). ქ. ლომთათიძე აფხაზურ **ა-ვნე** ფორმას უკავშირებს ქართულ **საყუდელ**-სა და მეგრულ **ყუდე**-ს (ლომთათიძე 1955: 824). თ. გვანცელაძეს მიაჩნია საკუთრივ აფხაზურ სიტყვად (გვანცელაძე 2011: 55).

მეგრულში გვხვდება შესიტყვებები: **ისირიშ ფაცხა** ისლის ფაცხა, ისლის სახლი; **ისირიშ ყუდე** ისლის სახლი (ქობალია, იქვე). ვთვლით, რომ აფხაზური კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართველურიდანაა შეთვისებული.

ა-პალ-ვნე (ბზ.) „ძელური“ (ბლაჟბა 1964: 204)

პალო „მოკლე და მსხვილი ჯოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტებული აქვს მიწაში ჩასარჭობად“ (ქეგლ VI: 111), **პალო** „მცირე მანა, პალო ფრანგულია“ (საბა 1991: 614), **პალო** (მეგრ.) „პალო“ (ქაჯაია 2002: 474). ქართულიდან შეთვისებული **ა-პალ** მარტივი ფუძის სახითაც გვხვდება აფხაზურში და „კარის მბრუნავ ძელს“ ნიშნავს (ბლაჟბა 1964: 204).

ა-პალვნე „ძელური“ ჩვენთვის ქართულიდან შეთვისებული კომპოზიტია, თუმცა რთული სიტყვის სახით გამსესხებელ ენაში არ ჩანს. **ა-პალ** ქართულიდანაა შესულად მიაჩნია ა. შაგიროვსაც (შაგიროვი 1989: 144).

ა-ჯარგ'ალვნე (აბჟ.) „ძელური“ (რალ 1964: 61; ბლაჟბა 1964: 204).

ზანური წარმოშობის **ჯარგვალი** ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: **ჯარგვალი** (იმერ.) „საქონლის სადგომი ზემო იმერეთში“ (მაკალათია 1978: 69), **ჯარგვალი** (გურ. აჭარ.) „მრგვალი მორებით აგებული სახლი, ქოხი, ფაცხა“ (ლლონტი 1984: 775); **ჯანგვარი** (ლეჩხ.) „ჯარგვალი“ (იქვე, 774), სალექსიკონო ერთეულად შეტანილი აქვს საბას თავის ლექსიკონში: **ჯარგუალი** (BC რედაქციით **ჯარგვალი**) / **ჯირგვალი** „ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელს-სდებენ B. ესე არს ხე მოჭდობილი სამ-ოთხ კუთხად, ვიეთნი კიდობანს (კიდობანად Cq) უტმობენ (უწოდენ Cq) (საბა 1993: 452, 458).

ჯარგვალი (ზედმ. „მრგვალი ხე“ – აფხაზურში შესულია როგორც მარტივი სახით, ისე კომპოზიტის ნაწილად: **ა-ჯარგ'ალ** / **ა-ჯგრგ'ალ** „მორებით ნაგები სახლი“ (გვანცელაძე 1998: 20); **ა-ჯარგ'ალვნე** „ქოხი“ (რალ 1964: 243), **ა-ჯარგ'ალაანდა** „ხის ღობე“ (კასლანძია 2005-ა: 684),

მაგრამ მეგრულში არ ჩანს **ჯარგვალ[იშ]სუდე** „ჯარგვლის სახლი“, **ჯარგვალ[იშ]დანდა** „ჯარგვლის ღობე“ კომპოზიტიები.

ა-კვცვაჭკ „თხის ნაშიერი ე. წ. ტყის ენაში“ (ლომთათიძე 1991: 49).

ტაბუირებული კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართულიდანაა ნა-სესხები: **ა-კვც** (ქართ.) „კვიცი“, **(ა)გაჭ** (ქართ.) „გოჭი“, მაგრამ გაკომპო-ზიტდა აფხაზურში. აფხაზური **კვც** ფორმა მომდინარეობს ძველი ქარ-თული **კივც**-იდან (ლომთათიძე, 1991, 49) რაც გვაპარაუდებინებს, რომ მეგრულშიც პირვანდელი ფორმა ძველი ქართულის მსგავსად **კივც** უნდა ყოფილიყო.

ქართულში ***კვიციგოჭი** კომპოზიტი არ გვხვდება.

ა-მეააკალ „თუთის ნაყოფი“ (ჯანაშია 1955: 6) – **ა-მეა** (ქართ.) „ბჟოლა“, **(ა)კაკალ** (მეგრ.) „კაკალი“.

ბჟოლა „(დიალ.) იგივეა, რაც თუთა“ (ქეგლ, I, 1120), **ბჟოლა / ჟო-ლა** „თუთა იმერულად“ (ჩუბინაშვილი, 1887, 116, 1029), **ბჟოლი** (მეგრ.-ლაზ.) „თუთა“ (მაყაშვილი, 1991, 143, 146), **ბჟოლა** (იმერ., რაჭ.) „თუთა“ (ჯავახიშვილი, 1989, 52, 58) – **ა-მეა** „თუთა“; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია, 1912, 29). **კაკალი** (ქართ.) „1. მაღალი, ფართოფოთ-ლებიანი ხე; ისხამს მაგარნაჭუჭიან, წენგოიან ნაყოფს; 2. ამ ხის ნაყოფი; 3. პატარა და მრგვალი რამ, რისამე მარცვალი, ბურთულა“ (ქეგლ, IV, 1024), **კაკალი** „ეწოდების ნიგოზთა და ხულთა ხილთა“ (საბა, 1991, 347), **კაკალი** „მრთელი ხილი ნაჭუჭითურთ ნიგვზისა და მისთანათა“ (ჩუბინაშვილი, 1887, 589), **კაკალი** (გურ.) „მარცვალი; ცალი; თესლი“ (იმნაიშვილი, 2006, 332), **კაკალ / კაკალ** (სვან.) „კაკალი“ (თოფურია, 2000, 341).

თუ ჭარაიას შეპირისპირებას მივიღებთ, **ა-მეააკალ** „თუთის ნა-ყოფი“ ქართულიდან შეთვისებული კომპოზიტია. მეგრულში გვაქვს თუთის ნაყოფის აღმნიშვნელი კომპოზიტი **ჯამეაკალი** (მეგრ.) „თუ-თის ნაყოფი“ (ქაჯაია, 2002-ა, 595), მაგრამ რთული სიტყვის პირველი ნაწილი სხვა სიტყვიდან **ჯამში**დან (მეგრ. „თუთა“) მომდინარეობს.

ა-კვხსამხალ „ისრიმის საწებელი“ (კოპეშავიძე 1980: 134)

მეგრული **კოხა** „ტყემლის სიმჟავე, კვანარახი“ (ჭარაია 1997: 82) არის საფუძველი იმავე მნიშვნელობის აფხაზური **ა-კვახა** (აბჟ.) „ტყემ-ლის საწებელი“ (ჯანაშია 1954: 153) ფორმისთვის (შაგიროვი 1989: 150).

კომპოზიტი მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 150) – **ა-კვხ** ← **კოხა** (მეგრ.) „ტყემლის სიმჟავე, კვანარახი“, (ჭარა-ია 1997: 82), **(ა)სგმხალ** მეგრ. „საწებელი“, მაგრამ მეგრულში კომპოზი-ტის სახით **კოხამ სამხელი** არ გვხვდება.

ა-კამბაშგამლა „ერთი წლის კამეჩი“ (კასლანძია 2005: 481).

აფხაზი ენათმეცნიერი ვ. კვარჭია, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს გამოკვლეული აფხაზური მწყემსური ლექსიკა, შენიშნავს, რომ **ა-ქაბლა / ა-გამლა** „ერთი წლის ხბო“ მხოლოდ აბჟურ დიალექტში გვხვდება, გვაქვს აგრეთვე მეზობელ სამეგრელოში **ქაბულა / ქაბულე** „დეკეული“. ძნელია ითქვას, რომელი ენაა გამსესხებელი და რომელმა ისესხა. ჩანს, ამოსავალი სპარ. **გაბილეი** უნდა იყოს, რაც „ჯიშიანს“ ნიშნავს“ (კვარჭია 1981: 84). თუმცა ლექსიკური პარალელები სწორადაა მითითებული, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მეცნიერის თვალსაზრისს სპარსულიდან სესხების თაობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური **ქაბ-ულ-ა** სვანურ **ღაბ-ნ-ა**-სა და ქართულ **კბ-ო**-ს ლექსიკურ ფარდად მიიჩნევა და საერთოქართველურ ტერმინად განიხილება (ჩუხუა 2000-2003: 262).

რაც შეეხება კომპოზიტის პირველ ნაწილს, სპარსულიდან შეთვისებული კამეჩი მთელ ქართულენოვან სივრცეში გვხვდება: **კამბეჩი / კამეჩი** „ხარზე დიდი რქოსანი ცხოველი“ (ქეგლ IV: 1043), **კამბეში**, **კამბეჩი** (ძვ. ქართ.) „კამეჩი, „გამეჩი“ (აბულაძე 1973: 191), **კამბეჩი / კამბეში** (მეგრ.) „კამეჩი“ (ყიფშიძე 1914: 251), **ჯამუში / ჯამიში** (ლაზ. ←თურქ. *camuş*) „კამეჩი“ (მარი 1910: 235; ჯიქია 1975: 67), **კამბეჩ / კამბეშ / კამბეჩ** (სვან.) „კამეჩი“ (თოფურია 2000: 344). ვთვლით, რომ **ა-კამბაშ** ქართულის (მეგრულის) საშუალებით აქვს შეთვისებული აფხაზურს, შესაბამისად, ჩვენთვის მიუღებელია ვ. კვარჭიასეული ვარაუდი სიტყვის სპარსულიდან შეთვისების შესახებ. შესაბამისად, **ა-კამბაშგამლა** „ერთი წლის კამეჩი“ მეგრულიდანაა შესული აფხაზურ ენაში.

ა-კამბაშჯაკალ „ორი წლის კამეჩი“ (კვარჭია 1981: 28)

ა-კამბაშ-ის წარმომავლობაზე ზევით ვისაუბრეთ. კომპოზიტის მეორე ნაწილისთვის ამოსავალია მეგრული **ჯაკელი** „დეკეული“ (ყიფშიძე 1914: 411). იმერული და გურული **ჯაკელი / ჯაკელა** „ძროხა ორიდან სამ წლამდე, დეკეული“ (ღლონტი 1984: 772) ზანიზმად უნდა იქნეს განხილული. საგულისხმოა, რომ ბზიფურში შესაბამისი სემანტიკის საკუთრივ აფხაზური **ა-ზუწგს'** გვაქვს (ბლაჟა 1964: 213).

კომპოზიტის ორივე ნაწილი მეგრულიდანაა შესული, მაგრამ მეგრულში **კამბეშჯაკელი / კამბეშჯაკელა** ფორმა არ ჩანს.

ა-ყანჭ პარკ „აბრეშუმის ჭიის პარკი“ (რალ 1964: 283)

ყაჭი / ცანჭი გვხვდება ძველ ქართულში, ქართულის დიალექტებში, სვანურში: **ყაჭი** „1. ნაცარტუტაში გამოხარშული აბრეშუმის ჭი-

ის პარკი. 2. კუთხ. (იმერ.) აბრეშუმი“ (ქეგლ VII: 516), **ყაჭი** (ძვ. ქართ.) „აბრეშუმი“ (აბულაძე 1973: 465), **ყაჭი** „ბოჟი გამოხარშული“ (საბა 1993: 264), **ყანჭი** (მეგრ.) „აბრეშუმის ჭია“ (ჭარაია 1997: 118), **ყაჭ / ყაჭ** (სვან.) „ყაჭი, აბრეშუმი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 804).

აფხაზური **ა-ყანჭ** „აბრეშუმის ჭიის ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 61) მეგრულიდანაა შესული აფხაზურ რელიგიურ ცნობიერებაში. ის გავრცელებული იყო აბჟუაში მცხოვრებ აფხაზებში. სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-პარკ** „პარკი (აბრეშუმის)“ (ჯანაშია 1954: 218) და კომპოზიტი **ა-ყანჭ პარკ** „აბრეშუმის ჭიის პარკი“ (რალ 1964: 283).

შესიტყვება **ყაჭის პარკი, ყანჭიმ პარკი** ქართველურში არ გვხვდება, ამ მნიშვნელობით გვაქვს **აბრეშუმიშ პარკი** (მეგრ.).

ა-ჯალაკათჰასკან „ძაღლისკბილა“ (მაჭავარიანი 2006: 77)

აფხაზურში ბოტანიზმი „ძაღლისკბილა“ გარდა მარტივი **ა-ჯალაკათ**-ისა გადმოიცემა კომპოზიტით **ა-ჯალაკათჰასკან** (მაჭავარიანი 2006: 77).

კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართველურიდანაა ნასესხები: **ა-ჯალაკათ** გლერტის აღმნიშვნელი მეგრული **ჯოლოკეტი**დანაა მიღებული ადაპტაციის წესების დაცვით (გვანცელაძე 1997: 59), **(ა)ჰასკან** ფორმაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა. შევნიშნავთ, რომ მსგავსი გაფორმების კომპოზიტი მეგრულში არ გვხვდება.

ასეთი კომპოზიტები მრავლად გვხვდება აფხაზურის აბჟურ დიალექტში.

სხვა შემთხვევაში გვაქვს ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიტები“, სადაც ერთი სიტყვა ქართველურია (ან უცხოენოვანი, მაგრამ აფხაზურში ქართველურიდან შესული), მეორე კი აფხაზური:

ა-ჯარჯაბაშა „ნოემბერი“ (კასლანძია, 2005, 280)

კომპოზიტის პირველი ნაწილი ქართულია:

ქართ. **გიორგობა** „1. იგივეა, რაც გიორგობისთვე. 2. წმინდა გიორგის სახელობის დღეობა, დღესასწაული“ (ქეგლ, II, 1454); მეგრ. **გერგება / გერგობა** „გიორგობა“ (ჭარაია, 1997, 48); **ა-ჯარჯაბა** „გიორგობა, წმ. გიორგის დღესასწაული“ (შაყრილი, 1986, 144), „ნოემბერი“ (შაგიროვი, 1989, 145); მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (იქვე).

კასლანძიას მიერ მითითებული **ა-ჯარჯაბაშა** „ნოემბერი“ (კასლანძია 2005, 280) ჰიბრიდული კომპოზიტია: **ა-ჯარჯაბა** ← **გერგობა** (მეგრ.) „გიორგობა“, **ა-შა** (აფხ.) „თვე“ (ჯანაშია 1954, 190); შდრ. **გერგობათუთა** (მეგრ.) „გიორგობისთვე, ნოემბერი“.

ქერსა-მზა „დეკემბერი“.

სიტყვის პირველი ნაწილი **ქერსა** მეგრულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 141), ტერმინიც მეგრულის ანალოგიითაა წარმოქმნილი: მეგრ. **ქირსეთუთა** „ქრისტესთვე“.

ქირსე მეგრულში მაცხოვარსაც აღნიშნავს და „ქრისტეშობის დღესასწაულსაც“ (ყიფშიძე 1914: 344), აფხაზურში **ქერსა** „შობა“ (ჯანაშია 1954: 310); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 168). იმავე მნიშვნელობისაა ჰიბრიდული კომპოზიტით გადმოცემული **ქირსამშ** „ქრისტეშობის დღე“ (გვანცელაძე 2000: 60). შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სალოცავები და რიტუალები (**გოთანუა, ა-გუნგვა**) მიგვანიშნებს, რომ მას ძირითადად წარმართული დატვირთვა ჰქონდა (ბუკია 2013).

ა-ლაფრნა „ფინია“ (კასლანძია, 2005, 618)

კომპოზიტის მეორე ნაწილი (**ა**)**ფინა** წარმოდგენილია ქართველურში:

ფინია „პატარა ძაღლი, – გომია“ (ქეგლ, VII, 114); ძვ. ქართ. **ფინია** „ცუდი ძაღლი“ (საბა, 1993, 351); მეგრ. **ფინია** (მეგრ.) „id.“ (ქარაია, 1997, 135); ლაზ. **ფინო** „1. პატარა ძაღლი; 2. ტანმომცრო“ (კალანდია, 2005, 73); სვან. **ფინიამ / ფინიამ / ფინიამ** (სვან.) (თოფურია, 2000, 761)

აფხაზურში გვხვდება მარტივი **ა-ფრნა** „ფინია“ (ჯანაშია 1954, 276). ვ. კვარჭია მიუთითებს, რომ სიტყვა გვხვდება მეგრულსა და ქართულში, მაგრამ მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს თურქული **ზინა** „კარგადმხედველი, გამჭრიახი“ (კვარჭია, 1981, 102); ვვარაუდობთ, რომ აფხაზური სიტყვა ქართველურიდანაა შეთვისებული. გაუგებარია, რა საერთო აქვს თურქულ და ქართველურ-აფხაზურ სემანტიკას ერთმანეთთან.

ვ. კასლანძიას ლექსიკონში წარმოდგენილი **ა-ლაფრნა** „ფინია“ ფორმას აფხაზურ-ქართულ კომპოზიტად განვიხილავთ, **ა-ლან** აფხაზურად „ძაღლს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954, 162).

ა-რხადგელ „დაბლობი“ (კასლანძია, 2005-ა, 136)

კომპოზიტი ქართულ-აფხაზური სიტყვებითაა წარმოდგენილი:

ადგილი „1. სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო. 2. მამული...“ (ქეგლ, I, 112); ძვ. ქართ. **ადგილი** „საცხოვრისი, სამყოფი“ (აბულაძე 1973 2); მეგრ. **არდგილი** „ადგილი“ (ყიფშიძე, 1914, 196); სვან. **ადგილ / ადგი / ადგილ** (სვან.) „ადგილი“ (თოფურია, 2000, 107).

აფხაზური **ა-დგილ** „ადგილი, მიწა“ ჯერ კიდევ უსლარს აქვს დიქსირებული (უსლარი, 1887, 130); ფორმა **ადგელ** გვაქვს აბაზურშიც (ლომთათიძე, 1976, 60); აფხაზურ-აბაზურში შეთვისებულია ქართუ-

ლიდან (შაგიროვი, 1989, 139); სიტყვები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია, 1912, 12); ხშირად გვხვდება კომპოზიტის კომპონენტად: **აფს-ადგვლ** „სამშობლო“ (ჯანაშია 1954, 247), **აფსადგვლ** (ზზ.) „id.“ (შაყრილი, 1985, 10), ზედმ. „აფხაზეთის ადგილი, ქვეყანა“ ჰიბრიდული კომპოზიტია (ლომთათიძე, 1999, 26); სხვა კომპოზიტები: **ა-დგვლწა** „მიწავაშლა“ (გვანცელაძე 1997-ა, 208); **ა-დგვლზეახა** „კუნძული“ (მიძარია, 1989, 49), **ა-დგვლჩაგ** „ნახევარკუნძული“ (იქვე).

ა-რხადგვლ „დაბლობი“ (კასლანძია 2005-ა, 136) პირველად ვ. კასლანძიას ლექსიკონშია წარმოდგენილი.

ა-შხაკაფკაფ „მთის კაკაბი“ (კასლანძია, 2005-ა, 643) – **ა-შხა** (ავხ.) „მთა“, **ა-კაფკაფ** ← **კაკაბი** „ფრინველი ერთგვარი“.

კაკაბი „ვარიის ტოლა გარეული ფრინველი“ (ქეგლ, IV, 1023); ძვ. ქართ. **კაკაბი** „ფრინველი“ (საბა, 1991, 347); მეგრ. **კაკაბი** „კაკაბი“ (ჭარაია, 1997, 74); სვან. **კაკაბ** (სვან.) „კაკაბი“ (ჩართოლანი, 2003, 192).

ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-კაფკაფ** „მთის კაკაბი, შურთხი“ (ჯანაშია 1954, 144), **ა-კაკაბ** (ჯანაშია 1960, 53), **ა-შხაკაფკაფ** „მთის კაკაბი“ (კასლანძია 2005-ა, 643) კი ჰიბრიდული კომპოზიტია, სადაც **ა-შხა** „მთა“ (იქვე).

ა-ცგჭჰასკენ „კატაბალახა“ (კასლანძია, 2005-ა, 406).

ქართ. **ასკილი** „ეკლიანი ველური მცენარე“ (ქეგლ, I, 612); ლაზ. **ასკილი** „ასკილი“ (ქუთელია, 1982, 38).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური **ა-ჰასკენ** „ბალახი“ (უსლარი, 1887, 138) მიღებულია ქართულიდან სემანტიკური გადაწვევის ნიადაგზე (ლომთათიძე, 1976, 170). ასევე ქართულიდანაა მიღებული **ჰაცკენ** „ბალახი“ (შაგიროვი, 1989, 140). გვაქვს კომპოზიტებში: **ა-ჩაგჭჰასკენ** „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“, **ა-ჟარჰასკენ** „ველური ციკორეა“, ზედმ. „კურდღლის ბალახი“ (მაჭავარიანი, 2006, 83), ვ. კასლანძიას მიერ მითითებული **ა-ცგჭჰასკენ** „კატაბალახა“ (კასლანძია 2005-ა, 406) ქართულ-აფხაზური კომპოზიტია. შდრ. **ა-ცგჭ** „კატა“ (ჯანაშია 1954, 355).

იგივე **ა-ჰასკენ** ფორმა გვხვდება სარეველა ბალახის აღმნიშვნელ აფხაზურ კომპოზიტში **ა-ჰასკენგამ**. ვფიქრობთ, მეორე კომპონენტი (ა)გამ „ნაგავი“ (ჯანაშია 1954: 80) მეგრულიდანაა შესული აფხაზურში. შდრ. **გვამი** (მეგრ.) „ნაგავი“ (ყიფშიძე 1914: 215). ეს უკანასკნელი გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტში: **ა-ჩაგამ** „ხორბლის განაცერი, ქატო“ (შაყრილი 1987: 408). მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური კომპო-

ზიტის ორივე ნაწილი ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში, საკუთრივ გამსესხებელ ენაში მსგავსი კონსტრუქციის კომპოზიტი არ გვხვდება.

ვფიქრობთ, ქართველური ელემენტებია აფხაზურ კომპოზიტში **ა-დ°გაკაკაჰ** „ველის ყვავილი“ (შაყრილი 1986: 217). მისი პირველი ნაწილი **ა-დ°გ** „მინდორი, ველი“ (ჯანაშია 1954: 100) აშკარად უკავშირდება ქართველური **მდელო / დოლო** (მეგრ.) ფორმას, მეტიც, ქ. ლომთათიძე მას ნასესხობად მიიჩნევს აფხაზურში (ლომთათიძე 1981-ა: 7). ა. შაგიროვი თვლის, რომ აფხაზური **ა-კაკაჰ / ა-კაკაჩ** და აბაზური **კაკაჩ** „ყვავილი“ ფორმა ქართული ყაყაჩოდან არის მიღებული აფხაზურ-აბაზურში (შაგიროვი 1989: 139). შდრ. **ა-შ°თკაკაჰ** „ყვავილი, ყვავილის კოკორი“ (შაყრილი 1987: 515), **ა-შ°თ** „ყვავილი“ (იქვე).

ა-ძებგრბგლ „წყლის პიმპილი“ (კასლანძია, 2005, 454)

სპარსული წარმოშობის პიმპილი ფართოდაა წარმოდგენილი ქართველურში: ქართ. **პიმპილი** „1. ტროპიკული მცოცავი ბუჩქი. 2. ამ მცენარის ნაყოფი“ (ქეგლ, VI, 183); ძვ. ქართ. **პილპილი** „piper“ (აბულაძე 1973: 339); დიალ. **პიმპილი / პიმპილა** (იმერ., გურ., ლეჩხ.), **პირპილო** (აჭარ.) „წიწაკა“ (ლლონტი 1984: 437, 439), ლაზ. **პიპერი** „წიწაკა“ (მარი 1910: 179), სვან. **პიმპილაჲ** (სვან.) „წიწაკა“ (მაყაშვილი, 1991, 156).

აფხაზურში **ა-პგრბგლ** „წიწაკა“ (უსლარი 1887: 152) ქართულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 1997-ა, 206). აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში წარმოდგენილი **ა-ძებგრბგლ** „წყლის პიმპილი“ (კასლანძია 2005, 454) ჰიბრიდული კომპოზიტია, **ა-ძგ** (აფხ.) „წყალი“ (ჯანაშია 1954: 376).

ა-ზნაჟარდ (აბჟ.) „ველური ვარდი“ (კასლანძია 2005: 251).

ვარდი „1. ეკლიანი ბუჩქი, რთული ფოთლებითა და ლამაზი, სურნელოვანი ფართოფოთლებიანი ყვავილებით. 2. ამ ბუჩქის ყვავილი“ (ქეგლ IV: 24), **ვარდი** (ძვ. ქ.) „ვარდი, rosa, rosarium“ (აბულაძე 1973: 153), **ვარდი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 234), **ჟარდ** (სვან.) „ვარდი“ (საღლიანი 2005: 28).

არაბული **ა-ჟარდ** (აბჟ.) „ვარდი“ აფხაზურში (აბჟურში) ქართველურიდან შეთვისებულად განიხილება (ჭარაია 1912: 10), ბზიფურში მას თურქულიდან ნასესხები **ა-გგლ** ჩაენაცვლება (ბლაჟბა 1964: 220). კომპოზიტის პირველი ნაწილი აფხაზურად **ა-ზნა** „ტყეს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 69). სიტყვა გვხვდება სამკომპონენტთან კომპოზიტშიც **ა-ზნაჟარდკაკალ** (აბჟ.) „ქაცვი“ (კასლანძია 2005: 251).

ა-ჰაკამა „გვირილა“ (გვანცელაძე 2003: 209).

კამა „ერთწლოვანი სურნელ-სანელებელი მცენარე ქოლგისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ IV: 1039), **კამა** (ძვ. ქ.) „anethumanethum, teniculum,

marathum“ (აბულაძე 1973: 191), **კამა** (მეგრ.) „კამა“ (ციფშიძე 1914: 251), **კამა** (სვან.) „კამა“ (საღლიანი 2005: 18).

აფხაზურში ნასესხობად ითვლება **ა-კამა** „კამა“ (ჯანაშია 1954: 140); გვხვდება კომპოზიტში **ა-ჰაკამა**, სადაც პირველი ნაწილი **ა-ჰა** „ღორია“ (ჯანაშია 1954: 453). სახელდებისათვის შდრ. **ანაგვირილა** მეგრული გადმოიცემა კომპოზიტით **ღეჯიმ ქამენია** „ღორის გვირილა“.

ა-ზნატოურა „ტევრი“ (ჯანაშია 1954: 69).

ტევრი „ხშირი, დაბურული ტყე“ (ქეგლ VI: 1268), **ტეჟრ** (სვან.) „ტევრი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 717). ქართულიდან აფხაზურში შესულია როგორც მარტივი **ა-ტოურა** „ტევრი“ (რალ 1964: 169), ისე რთული **ა-ზნატოურა** „ტევრი“ (ჯანაშია 1954: 69) სახით.

ჰიბრიდულ კომპოზიტში პირველი ნაწილი **ა-ზნა** აფხაზური „ტყეა“, მეორე კი ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 144). აფხაზური ფორმა ქართული **ტევრ**-ისგანაა მიღებული თანხმომავანთმორისი ხმოვნის რედუცირებით და თანხმომავანთა შეჯვრით (ლომთათიძე 1997: 17).

ა-ლზარხ/ ა-ლზარხა „ფიცრის გასახერხი ხერხი“ (კასლანძია, 2005, 330)

ქართ. **ხერხი** „ხის (აგრეთვე ლითონის და სხვ.) საჭრელი, სახერხი იარაღი“ (ქეგლ, VIII, 1427); მეგრ. **ხორხი** „ხერხი“ (ციფშიძე, 1914, 407), ლაზ. **ხერხი** „ხერხი“ (მარი, 1910, 231), სვან. **ხერხ** „ხერხი“ (საღლიანი, 2005, 35).

აფხაზურში ქართულიდანაა შესული **ა-ზარხ / ა-ხარხ** „ხერხი“ (ჯანაშია 1954, 421, 442); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია, 2004, 13). **ა-ზარხ** ქართულიდან, ხოლო **ა-ხარხ** მეგრულიდან (ლომთათიძე, 1956, 138). პირველ შემთხვევაში ქართულმა **ხერხ**- ფორმამ აფხაზურში შეთვისებისას შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა: ხ-ს შემდგომ პოზიციაში ე და ი ხმოვნები დაიკარგა, მაგრამ რეფლექსის სახით დარჩა პალატალიზებულ უკანაენისმიერში: **ხე / ხი** → **ხ**. მეგრული **ხორხ**- სიტყვის შეთვისების შედეგად ხო კომპლექსმა მოგვცა ლაბიალური უკანაენისმიერი **ხ**.

სიტყვა გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტში: **ა-ლზარხ / ა-ლზარხ** „ფიცხის გასახერხი ხერხი“ (კასლანძია 2005: 330), პირველი ნაწილი **ა-ლჯ** აფხაზურია და „ფიცარს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 310).

ა-გაჟარბა „არწივი“ (შაყრილი 1986: 134), **ა-შხაჟარბა** „არწივი“ (შაყრილი 1987: 505).

აფხაზური ორენოვანი კომპოზიტების მეორე ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული: **ორბი** „მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი ქორისნაირთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 36), **ორბი** „ჭანგიანთა და ჯორცთა მჭამელი ფრინველი“ (საბა 1991: 604), **ორბი / ორბი** (მეგრ.) „ორბი, არწივი“ (ჭარაია 1997: 106), **ურბ** / **ურბ** (სვან.) „ორბი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 742).

სიტყვა აფხაზურში შესულია მარტივი **ა-ურბა** (აფხ.) „ორბი“ (ჯანაშია 1954: 265) სახით; სესხების მიმართულებაზე ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიუთითებდა (ჭარაია 1912: 15); **ა-გაურბა** (შაყრილი 1986: 134), **ა-შხაურბა** „არწივი“ (შაყრილი 1987: 505) ჰიბრიდული კომპოზიტია და ზედმიწევნით „ზღვის არწივს“ და „მთის ორბს“ ნიშნავს. შდრ. **ურბა** (აბაზ.) „არწივი“ (აბრლ 1967: 375), რომელიც ასევე ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 140).

ჩერქეზულში ქართველური ლექსიკის შემცველი ორენოვანი კომპოზიტი შედარებით ნაკლებია, განვიხილავთ რამდენიმე ერთეულს:

ადიღურში გვხვდება ოთხშაბათის აღმნიშვნელი **ბარასკაზგი**, პარასკევისა კი – **ბარასკაშ** (შაგიროვი 1977: 75-76). სხვა ჩერქეზულ ენებში: ყაბარდოულში: **ბარგზგი / ბარაზგი** „პარასკევი“ (იქვე, 75), უბიხურში: **ბრასქა / ბრასკა** „ოთხშაბათი“ (ჯანაშია 2015: 93).

ბარასკაზგი და **ბარასკაშ** ფორმებში პირველი ნაწილი **ბარასკა** ქართული „პარასკევი“, მეორე ნაწილი **ზგი** „მცირეს, პატარას“ ნიშნავს, **შ** (შ) კი – „დიდს“. ჩანს, სახელდებისთვის ამოსავალია ოთხშაბათისა და პარასკევის რიტუალური მნიშვნელობა, სახარებისეული სწავლება. **ბარასკაშ** „პარასკევი“ ეტიმ. „დიდი პარასკევი“ ჯვარცმის მისტერიასთან ასოცირდება, **ბარასკაზგი** „ოთხშაბათი“, ეტიმოლოგიურად „პატარა პარასკევი“ – საიდუმლო სერობასთან.

სიტყვები ჯერ კიდევ მაშინაა შესული ჩერქეზულში, როცა ჩერქეზები ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. ქართულიდან ნასესხები სიტყვა იძებნება სხვა კავკასიურ ენებშიც: **პარასკა** (ინგ.), **პერასკა** (ჩეჩნ.) „პარასკევი“, **ბარგსჩი / ბარასკა** (ოს.) „ტრაური, მარხვა“ (შაგიროვი, იქვე).

აბძაზურ დიალექტში ერთგვარი ჩიტის აღსანიშნავად გამოყენებულია კომპოზიტური წარმოების **ზზგუ-ჰაქაქა** (კვახაძე 2014: 94). სიტყვის პირველი ნაწილი **ზზგუ** „ფრინველს“ ნიშნავს. ვვარაუდობთ, რომ კომპოზიტის მეორე, ეტიმოლოგიურად დაუზუსტებელი **ჰაქაქა** ელემენტი უნდა უკავშირდებოდეს ქართულ **ხოხობ**- ფორმას. ე. ლომთათიძის თვალსაზრისით ქართული **ხოხობ-ი**, **კოკობ-ი** არის ამოსავალი აფხაზური **ა-ჰჰჰ** (აფხ.) „მტრედი“ (ჯანაშია 1954: 458) ფორმისთვის (ლომთათიძე 1976: 192).

აფხაზური ფორმა გვხვდება კომპოზიტის ნაწილადაც: **ა-ზნაჰჰჰ** (აფხ.) „ველური მტრედი“ (კასლანძია 2005: 251); **ა-ჰჰჰჰჰ** (აფხ.) „შავი ფერის ველური ყურძენი“ (მაჭავარიანი 2006: 127). სავსებით დასაშვებია, რომ აფხაზურში ქართულიდან შეთვისებული ფორმა აღმოჩენილიყო ჩერქეზული კომპოზიტის შემადგენლობაში.

ადიღეურში ბებერას აღნიშნავს კომპოზიტი **ფსგ-ზგზ** (კვახაძე 2014: 144). ფორმაში **ფსგ-** წყლის აღმნიშვნელი ძირია.

თუ სიტყვის მეორე ნაწილს **ზგზ** ჩერქეზულში ეტიმოლოგია არ დაეძებნება, შეიძლება ჰიბრიდულ კომპოზიტად განვიხილოთ, სადაც **ზგზ** ქართული **ზეზერა**-დან მომდინარეობს. შდრ. **ზეზერა** (ქართ.) „ამო-ბურცული წყალჩამდგარი კანი“ (ქეგლ I: 1009).

ჭიპი ადიღეურში გადმოცემულია **ნგზგ-ჰჰგ-იგ** კომპოზიტით (კვახაძე 2014: 130). **ა-ჰჰჰჰ** ფორმა პოვნიერია აფხაზურში და იგი ქართველურიდან შეთვისებულად განიხილება (ჭარაია 1912: 13; შაგიროვი 1989: 4). ვფიქრობთ, ადიღეური კომპოზიტის **ჰჰგ** ელემენტი იმავე წარმომავლობისაა.

ქართული **კან-ი** „გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ადამიანის, ცხოველის ორგანიზმს, – ტყავი“ (ქეგლ IV: 1046), მეგრ. **კანი** (ყიფშიძე 1914: 251), სვან. **კან** / **კან** (თოფურია, ქალდანი 2000: 344) ჩანს აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებში **კანწგჰჰ** (ადიღ.), **ხამწარაწ** (ყაზარდ.), **კვანწგრა** (აბაზ.) „მეჭეჭი“ (აბდოკოვი 1973: 74), **ა-კან** (აფხ.) „ჭორფლი“ (ჯანაშია 1954: 141), **ა-კაკან** „id.“ (რალ 1964: 78); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 146). აფხაზური **ა-კანწგწგრა** „მეჭეჭი“ (ჯანაშია 1954: 141) ჰიბრიდული კომპოზიტია. პირველი ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე ნაწილში პირველი **წ** არის ფუძეწინდებული, მეორე კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანად **ა-წგწრა** რაღაცადან გამოსვლას, რაღაცადან ამოსვლას ნიშნავს (მეჭეჭიც კანის შიგნიდან ამოდის), **-რა** აბსტრაქტულობის სუფიქსია (ავიძბა 2010: 6). ქართულ-აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტი აფხაზურის მეშვეობით შეთვისებულია აბაზურსა და ჩერქეზულ ენებში.

ჩვენთვის აფხაზური **ა-ტამა** (აფხ.) „id.“ (ჯანაშია 1954: 259) ქართულიდანაა შეთვისებული. შდრ. **ატამი** (ქართ.) „საშუალო ტანის ხე“ (ქეგლ I: 629), **ატამი** (ძვ. ქართ.) persicum (აბულაძე 1973: 11), **ატამი** „ხე“ (საბა 1991: 71), **ატამა** (მეგრ.) „ატამი“ (ყიფშიძე 1914: 197), **ანტამა** / **ატამ-ბა** (ლაზ.) „ატამი“ (მარი 1910: 126), **ატამა** / **ატამ** (სვან.) „ატამი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 63).

ვეარაუდობთ, რომ იგივე ფორმა გვაქვს ადიღეურ კომპოზიტიში **წგ-ტგმ** (ადიღ.) „მხლის სახეობა“, აგრეთვე სხვა ჩერქეზული კომპოზიტების ნაწილად: **ტგმგ-ს** / **ხგრ-ტგმ** (ყაბარდ.) „კვირტების გაფურჩქვნა“, **ტგ'მა** (უბიხ.) „ატამი“ (კვახაძე 2014: 69).

4. კომპოზიტთა ანალიზი არეალური ლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკის თვალსაზრისით

ენის ძველი შრეობრივი პლასტია ტოპონომიკა, მისი ანალიზი არეალური ლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკური კვლევებისათვის არაერთ საინტერესო ცნობას იძლევა.

ადიღეურ და აფხაზურ კომპოზიტური წარმოების სახელებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტოპონიმებს. მათი სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი დამატებით მასალას იძლევა კომპოზიტთა წარმოების შესასწავლად.

ადიღეურ მიკროტოპონიმებში საზღვრულად ხშირად გვხვდება უბნის, დასახლების აღმნიშვნელი ადიღეური **ჰაბლ** (აეგლ 2014: 348):

ადგლ-ჰაბლ – რაიონული ცენტრის უბანი. მომდინარეობს ეთნონიმიდან **ადიღ** და ერთვის დასახლების, უბნის აღმნიშვნელი **ჰაბლ** (აეგლ 2014, 348). ზედმ. „ადიღეველთა უბანი“. დაუარსებიათ 1926 წელს ხაბეზიდან ჩამოსახლებულ ჩერქეზებს. მსგავსადვეა ნაწარმოები აბაზური დასახლება **აბაზა-ჰაბელ**.

ბატჰაბლ – დასახლება. **ბატ** პირსახელია, დასახლების, უბნის აღმნიშვნელი **ჰაბლ** ხშირად გვხვდება ადიღეურ კომპოზიტურ ტოპონიმებში. შდრ. **ბაჯჰაბლ** = ბაჯას სამოსახლო, **ადგლ-ჰაბლ** (იხ. ზემოთ).

ბჟედგლჰაბლ – დასახლება მდინარე ბელის მარცხენა ნაპირზე. სახელდება შერჩეულია დასახლების დამაარსებელთა აღმნიშვნელი ეთნონიმის ბჟედულის მიხედვით, ზედმ. „ბჟედულთა უბანი“.

ერმლჰაბლ – არმავირის ადიღეური დასახლება, ზედმ. „სომეხთა უბანი, დასახლება“. ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით **ჯაურჰაბლ** „ურწმუნოთა, გიაურთა დასახლება“.

საინტერესოა, რომ უბნის აღმნიშვნელი იგივე **ჰაბლ** ელემენტი გვხვდება აფხაზურ ტოპონიმებში: **აპაპ იჰაბლა** ზედმ. „მღვდლის უბანი“ – მცირე უბანი ნაეკლესიართან (აყვარაში, ფოქეჟმის თემი); **ლოგუა რჰაბლა** „ლოგუების უბანი“ – უბანი თომა იკვარის მარჯ. მხარეს (ჯგერიანი); **ლაბახუა რჰაბლა** „ლაბახუების უბანი“ – ერქვა უბანს თომ იკვარის მარჯ. მხარეს (რეკა); **ფაჩულია რჰაბლა** – ფაჩულიების უბანი

პ. ოხუციის საზღვართან (კაციკაბლა); **ხაშა რკაბლა** – ხაშების უბანი ქვალის მარჯ. მხარეს (ურთა); **ჯინჯალა რკაბლა** – ჯინჯოლავების უბანი ქვალის მარჯ. მხარეს (ურთა). ფორმები აღებულია პ. ცხადაიას წიგნიდან „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები“ (ცხადაია 2003). ოღონდ აფხაზური ტოპონიმები სინტაგმებით არის წარმოდგენილი.

ადილეურ კომპოზიტურ ჰიდრონიმებს ხშირად გვხვდება წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ჩერქეზული **ფსგ** (აეგლ 2012: 314):

აჭფს – მდინარე, ყუბანის მდგენელი. ჰიდრონიმის პირველი ნაწილი იმ მთის სახელწოდებაა, საიდანაც მდინარე ჩამოდის, მეორე კი წყლის აღმნიშვნელი სიტყვა (კოკოვი 1974).

შელწფს – მდინარე ფსკეშის შენაკადი. **შელწ** „აბრეშუმი“, **ფსგ** „წყალი, მდინარე“, ზედმ. „აბრეშუმის მდინარე“.

ქრეფს – მდინარე მაიკოპთან. ჰიდრონიმის პირველი ნაწილი ეთნონიმ ქართველის ჩერქეზული დასახელებაა (**ქრჯ** – ადილეურად, **ქრე** – ყაბარდოულად), ხოლო მეორე წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ადიღური **ფს(გ)**. ზედმ. „ქართველის მდინარე“.

ჩწფფს – მდინარე ტუაფსესთან. **ჩწფ(გ)** „ქობი“, **ფსგ** „მდინარე“. ივარაუდება ქობის გასწვრივ ჩამდინარე წყალი.

მდინარის, ლელის აღმნიშვნელი აფხაზური (**ა)კარა** (ჯანაშია 1954: 152) ბუნებრივი კომპონენტია კომპოზიტური ჰიდრონიმებისა:

აგრუაკვარა – ბობოშიაკვარის მარჯ. შენაკადი. ზედმ. „მეგრელის ლელე“. ინფ.: „ლელისპირას ესახლნენ გოგობიები – ჩამოსული მეგრელები“ (საჩინო).

ამუშკვარა – ნიშონის მარჯ. შენაკადი (ზ. გალი, ლეკუმხარა). ზედმ. „დათვის ლელე“ **ა-შშ** „დათვი“ (ჯანაშია 1954: 196).

აშვერკვარა // აშვირკვარა „წიფლნარის ლელე“ (აფხ.) – ოხუცი-წყარის მარჯ. შენაკადი. იწყება საკოზმაში (პ. ოხუცი). **ა-შშ** „წიფელი“ (ჯანაშია 1954: 335)

აშგკვარა „ბზის ლელე“ (აფხ.) – ლელე (ატიშადუ). **აშგც** „ბზა“ (ჯანაშია 1954: 336).

ხოყკვარა // ხოჯკვარა // ხოჭკვარა – ოხოჯის შენაკადი. იწყება ხოჟონში (იხ.). ხოჟონი – ტყე, ხევი სუკის აღმ. კალთაზე (სახახუბიო). **ა-ხტაჟ** „შქერი“ (ჯანაშია 1954:419).

სადგომის, შემოკავებული ადგილის აღმნიშვნელი **გარწ** (ადიღ.), **ა-გარა** (აფხ.) გვხვდება ადილეურ და აფხაზურ ტოპონიმებში:

შეგარწ – ადგილი ყუბანის ნაპირზე. **შეგ** (ბჟედ.) „ცხენი“, **გარწ** „სადგომი, შემოკავებული ადგილი“, ზედმ. „ცხენის სადგომი“. მართა-

ლია, ჯ. კოკოვი კომპოზიტის ორივე ნაწილს საკუთრივ ადიდებურად მიიჩნევს, მაგრამ სადგომის აღმნიშვნელი ელემენტი სავარაუდოდ აფხაზურიდან, ან უბიხურიდან უნდა იყოს შეთვისებული. შდრ. **გაღა** (უბიხ.) „ეზო, შემოღობილი ადგილი“.

აზიგვარა – სოფელი ოჩამჩირის რაიონში – **ა-ჩიგ** „ცხენი“, **(ა)გარა** „ეზო“, ზედმ. „ცხენის ეზო, სადგომი“.

აწანგვარა // **აწამგვარა** – ტყე ჟღერწყარშქაში (მ. გუდავა), **ა-წან** – აფხაზური მითოლოგიის მიხედვით ჯუჯა, ქონდრისკაცი, **(ა)გარა** „ეზო“, ზედმ. „აწანების ეზო“.

ჩამაგვართა – ტყე-საძოვრები აბსთასა და ოჭაკეს შუა (მთა). **ჩამა** (მეგრ.) „მაღალმთის ბოკვი“; **ავგართა** „ჯოგი; ჯოგისა და მწყემსის სადგომი ადგილი“.

აფხაზურ მიკროტოპონიმებში გამოყენებული სხვა ტოპოლექსემები:

აფხაზური **ა-ხ⁰გ** „გორაკი, ბორცვი, ბექობი“ (ჯანაშია 1954: 418):

აბააჟუ(ა)ხუ – 1. სერი ნაცხარ-ნაეკლესიარით ქვადაის მარც. მხარეს (ურთა); 2. გორა ჯუხუს სათავესთან (მ. კოპიტი); 3. ნაეკლესიარი დალიძის მარცხ. მხარეს. **ა-ბაა** „ციხე-სიმაგრე“, **ა-ჟგ** „ძველი“, **ა-ხ⁰გ** „გორაკი, ბორცვი, ბექობი“, ზედმ. „ძველი ციხის ბორცვი“.

აფერმახუ – ბორცვი ოხოჯის მარჯ. მხარეს (ამხიდა, აგუბედიის თემი), ზედმ. „ფერმის ბორცვი“.

აკირახუ || **კირახუ** – სერი, უბანი ოტაფის მარცხ. მხარეს, **ა-კირ** (←ქართ.) „კირი“, ზედმ. „კირის ბორცვი“.

ამუაკვრახუ – ბორცვი ნარჯხეუს საზღვართან (ამხიდა, ტყვარჩელის თემი) ინფ.: ამუა „გზა“ და ახუ „ბორცვი“ აფხაზური სიტყვებია. კვრა არის მეგრული კვრუა „შეკვრა, გადაკეტვა“. გამოდის, ამუაკვრა არის გზის შესაკრავი ადგილი, საყარაულო“.

არაფიხუ // **ხეჯიხუ** – ბორცვი ახუში, სადაც ესახლა ზანგი, სახელად ხეჟ (ფოქვეში). არაფი „ზანგი“ (აფხ.). შდრ. ქართ., მეგრ.: არაბი; ახუ „ბორცვი“ (აფხ.).

აშვრახუ „წიფლის ბორცვი“ – ბორცვები საჩინოსა (ოხურეის მარც. მხარეს) და ჩხორთოლში.

აჰაფშახუ „ქვევრის ბორცვი“ (აფხ.) – ბორცვი აკირახუში (ურთა). **ა-ჰაფშა** (აფხ.) „ქვევრი, ჭური“ (ჯანაშია 1954: 453)

ჩამანუყვაახუ – სოფ. აყვარაში, ფოქვემის საკრ. ზედმ. „ჩამანუყვას ბორცვი“. ჩამანუყვა პირსახელია.

აფხაზური **ა-ძგზ** „წყარო“ (ჯანაშია 1954: 378):

ათვაბაჟმბი – წყარო ათვაბაჟში.

აკანტორამბი – წყარო საკოზმაში (კაციჰაბლა), ზედმ. „კანტორის წყარო“.

ალასამბი – ბებესგრის შენაკადი. სათავეა მაფამ წყურგილი (ობურეი, აჩიგვარის თემი); აფხ. **ა-ლას** მსუბუქი, მჩატე; სწრაფი, ჩქარი“, ზედმ. „ჩქარი წყარო“.

არანამბი – წყარო, ქვალეის ერთ-ერთი სათავე (ნარჯხეუ), ზედმ. „არანას წყარო“.

აჰა(ფ)მბი – წყარო, წყურგილიმ ღალის სათავე აბაჟში (ნარჯხეუ), ზედმ. გამოქვაბულის წყარო“.

ბაქალმბი – წყარო ანარაში, ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა), ზედმ. ბაქალის (პირსახელია) წყარო.

დადალმბი(ი) – წყარო აჩგუქვასა და შიფშხერას შუა, ჩხორთოლ-ანარის გზაზე. იყოფა ორ ნაკადად: ერთი ობარხალაის სათავეა, მეორე – წარჩეწყარისა (მთა).

აქვე შევნიშნავთ, რომ **(ა)ძგზ** „წყარო“ გაცილებით ხშირად გვხვდება აფხაზურ სინტაგმურ ტოპონიმებში.

აფხაზური **ა-ჰაფგ** „გამოქვაბული, მღვიმე“ (ჯანაშია 1954: 454):

აჰაფდუ „დიდი მღვიმე“ (აფხ.) – მღვიმე კლდისძირას, აბაჟუს კალთაზე (ნარჯხეუ).

აჰიჰაფუ // ჰაიჰაფუ „ბატონის მღვიმე“ – სამოვარი ანარაში (მთა).

ბერზო(ჰა)ფუ // ბერზუჰაფუ // ბერძო(ჰ)აფუ – ხეობა, სამოვარი აშთის დასავლეთით (მთა). ბერზო / ბერზუ / ბერძო პირსახელია. „ბერზოს მღვიმე“.

პეპი(შ)აჰაფუ – მღვიმე ოქუმაბსთასა და დიდ აცგდმუას შუა, სადაც პეპის საქონელი ჰყოლია (მთა), ზედმ. „პეპის გამოქვაბული“.

ყულბაჰაჰაფუ – სამოვარი ჭიჭე აკიბოს სამხ.-დასავლეთით (მთა). ზედმ. „ქულბაჰის მღვიმე“.

აფხაზურ კომპოზიტურ ტოპონიმებში ხშირად გვხვდება **(ა)ხუჰგ** „პატარა“ და **ა-დუ** „დიდი“ კომპონენტის ფორმები, ხშირად გვერდივერდ ლოკაციაში არიან წარმოდგენილები:

ალაშარა – ორგან ეწოდება ტყეს აგვავერა-ანარის გზაზე. განარჩევენ: **ალაშარახუჰი** „პატარა ალაშარა“, **ალაშარადუ** „დიდი ალაშარა“ (მთა). ინფ.: „ალაშარა აფხაზური სიტყვაა და სინათლიან, სათვალსაწიერო ადგილს ნიშნავს“.

არხადუ – არხა „ვაკე“ (აფხ.) – ვაკე ღალიძგასა და ამარდას შუა. იყოფა: **არხადუ** და **არხახუჭ** (ფოქვეში, საჩაჩხალია).

(ა)**ქედღრა** – ტყე-ფერდობები წუჰალკერის ხეობაში. იყოფა: (ა)**ქედღრადუ**, (ა)**ქედღრახუჭ** (ათიშადუ). **ა-ქედღ** (აფხ.) „ჯირკვი, მორი, დირე“. შდრ. აქიდრა.

სხვა ტოპონიმები:

(ა)**ხუჭტ** „პატარა“ კომპონენტიანი:

აკვარახუჭ – ღელე გადის ნარჯხეუს სერის აღმ. კალთებიდან (ნარჯხეუ, აძხიდა აგუბედის თემისა).

არხახუჭ – არხა „ვაკე“ (აფხ.) – ვაკე ღალიძგასა და ამარდას შუა (ფოქვეში, საჩაჩხალია).

აღდარახუჭ – ბუჩქნარი აჭირკვატანკვარასა და თევებ იკვარას შუა (ფოქვეში).

აშთახუჭ „პატარა ეზო“ – ტყე აკირახუში (ურთა).

ახერახუჭ „პატარა წიფლნარი“ – ტყე არაგვდში (ქ. ტყვარჩელი).

გალხუჭი „პატარა გალი“ – ბორცვი სახარჩილაოში. ინფ.: „უწინ ერქვა ამჟამინდელ სამქვარს და აქ იყო თემის ცენტრი“ (სამქვარი).

ა-დუ „დიდი“ კომპონენტიანი:

ათ(ვ)ადუ „დიდი ცაცხვი“ – ტყე მორინჯის სათავესთან (აგვავერა).

არადუ „დიდი კაკალი“ – სახნავი ქორომონსა და ერისწყალს შუა (პ. შეშელეთი).

ახაფდუ „დიდი ქვა“ – მთა, სამოვარი ენგურის ხეობისა და ღალიძგის სათავეს წყალგამყოფზე (მთა).

აჰაფდუ „დიდი მღვიმე“ – მღვიმე კლდისძირას, აბაჟუს კალთაზე (ნარჯხეუ).

ადილეურ კომპოზიტიური ტოპონიმების შემადგენელ ნაწილად გვხვდება ნასესხები სიტყვები:

ჯგნაუზგვ – სამარხი მდინარე მაკოფსის მარცხენა სანაპიროზე. მიკროტოპონიმი ჰიბრიდული შედგენილობისაა, **ჯგნ** თურქული წარმომავლობისაა და „სულს, დემონს“ ნიშნავს, **აუზ** „ხეობა“, ხოლო **ვ** „საფლავს, სამარხს“ ნიშნავს. ზედმიწევნით, „დემონის საფლავის ხეობა“ (?).

ჯგნუნ – კასტრული მღვიმე კრასნოალექსეევსკის გარეუბანში. **ჯგნ** თურქულიდან ნასესხები სიტყვაა (იხ. ზემოთ), ხოლო **უნ** (←**უნა**) „სახლს“ აღნიშნავს ადილურად (ჩუხუა 2017: 275). ტოპონიმი ზედმიწევნით „დემონის, ეშმაკის სახლს“ ნიშნავს.

სახლის აღმნიშვნელი სიტყვა გვხვდება კიდევ ერთ კომპოზიტურ ტოპონიმში **ძუნწ თამ** – პლატო ფსეუმხოს ფერდობზე. **ძწ / ძა** „ჯარი, არმია“ (კვახაძე 2014: 115), **უნწ** (←**ტუნა**) „სახლი“, **თამ** „სიმალლე“, ზედმ. „ამალელებული ადგილი, სადაც ჯარის ბანაკი იყო განლაგებული“.

ახსაუტ – მდინარე ზელენჯუკის ერთ-ერთი მდგენელი. ჰიდრონიმის შემადგენელი ნაწილები თურქულიდან მომდინარეობს – **აქ** „თეთრი“, **სუ** „წყალი“, **ათ** „ცხენი“, ზედმ. „თეთრი (სუფთა) წყალი, რომელსაც ცხენები სვამენ“ (კოკოვი 1974), თუმც მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ ჰიდრონიმის მეორე ნაწილის ახსნისას გასათვალისწინებელია ნომენკლატურული ელემენტი **სოუტ (საუტ)** „ტყიანი მთა“.

გაცილებით მეტი ჰიბრიდული კომპოზიტები გვხვდება აფხაზურ ტოპონიმიაში, განსაკუთრებით აბჟუა-სამურზაყანოს ტერიტორიაზე:

აბაბჟარაშდუდი – ტყე-ფერდობი აბაბჟარაში (მ. კოპიტი). აფხაზურენოვან ტოპონიმს დართვია მეგრული დუდი „თავი“ ინდიკატორი.

აბანაამ „აბანოს წყალი“ – სააბაზანო-სამკურნალო წყალი (აყვარაში, ფოქვეშის თემი). ჰიბრიდული (მეგრულ-აფხაზური) ჰიდრონიმია: აბანა (მეგრ.) „აბანო“, ა-ძე (აფხ.) „წყალი“.

აკირძე „კირის წყალი“ – წყარო აკირახუში (ურთა). ა-კერ (აფხ.) ←კირი (ქართ., მეგრ.).

აპაპ(ი)კვარა – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (მთა). ზედმ. „მღვდლის ღელე“ (აფხ., მეგრ.). **პაპა** (მეგრ.) „მღვდელი“ → **ა-პაპ** (აფხ.) „მღვდელი“ (ჯანაშია 1954: 217).

არაზატულალ – ალაჰვარის შენაკადი (ზ. ცხირი). ზედმ. „არაზატუს ღელე“.

აღლამიახაშიზ „სადაც ღლავი მოკლეს“ (აფხ.) – მორევი ღალიძგაზე (კაციჰაბლა). ა-ღლამ (აფხ.) ←ღლამი (მეგრ.) „ღლავი“ ←ქართ. ღლავი.

ახეფორხუ – ტყეს ერქვა სარიგვაში (ოქუმი). ა-ხა (აფხ.) „წაბლი“; ფორხუ, ფორხი (მეგრ.) „დაქცეული, დაჩივებული“.

აჯიოხვამე – სახნავი სააბაშიოში (სამქვარი). ჰიბრიდული სახელწოდებაა აფხ. ა-ჯე „მუხა“, მეგრ. ოხვამე „სალოცავი, ეკლესია“.

აჰვასაბარდ – მინდორი ფაჩულია რჰაბლაში (აყვარაში, ფოქვეშის თემი). აჰვასა (აფხ.) „ალუჩა“, აბარდ (აფხ.) ←ბარდვი (მეგრ.) „ბარდი“.

გუჯიმჩგრა – ჭექყობი ღიტ იკვარის მარჯ. მხარეს (ჩხორთოლი). ჩგრე (მეგრ.) „ღრმა ტლაპო“.

დენფჰალადგილ – მინდორი კაციჰაბლის საზღვართან (ფოქვეში). ინფ.: „დენბა იყო ანჩბაიას ქვრივის გვარი. ეს მიწა მას ეკუთვნოდა“. ა-დგულ (აფხ) „ადგილი, მიწაწყალი, მხარე“ ←(ქართ.-მეგრ.) ადგილი.

ზემოთ ნახსენებ წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ჩერქეზული **ფსგ** კომპონენტთან ჰიდრონიმებთან დაკავშირებით აუცილებლად ვთვლით რამდენიმე განმარტება გავაკეთოთ საქართველოში გავრცელებულ ერთი რიგის ონიმებზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობს გაცხოველებული კამათი საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების გავრცელების თაობაზე. გამოთქმულია მრავალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **-ფსა**, **-ყვა**, **-ფა** სუ-ფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისაა და მიგვანიშნებს ამ ტერიტორიაზე (გურია-სამეგრელო და სვანეთი) ჩერქეზული ტომების ოდინდელი ცხოვრების კვალზე.

ნ. მარი მიიჩნევდა, რომ გურიაში არსებული ჰიდრონი-მი **სუფსა** აფხაზური წარმოშობისა, ამასთანავე აღნიშნავს, რომ გურიის ძველი სახელი შემონახულია ტოპონიმ **სურებ**-ში (მარი 1939: 45).

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ წერდა: „ამ მასალის ანალიზით [ტოპონიმიკის – მ. ბ.] აბზახეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის ძველისძველი მოსახლე-ობის ტომობრივი ვინაობის გაგებაც ხერხდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ გურიის ერთ-ერთ მდინა-რეთთაგანსაც **სუფსა** ეწოდება. ამ სახელის **-ფსა** ბოლო-კიდური მკაფიოდ მეტყველებს მის სადაურობაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ მდინარის მარტო ბოლოკიდური წყლის აღმნიშვნელი **ფსა** კი არ ამჟღავნებს მის ადიდეურობას, არამედ თვით ამ სახელის პირველი **სუფ** ნაწილი“ (ჯავახიშვილი 1950: 43-44).

იმავე აზრს ავითარებდა არნ. ჩიქობავა: „დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში არ არის შემთხვევითი ისეთი ადიდეური ელემენტების არსებობა, როგორცაა **სუფსა**, **აჟყვა**, **მალთაყვა**, **აკამფსისი**: არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ტომებს წინ უსწრებენ აფხაზურ-ადიდეური ტომები“ (ჩიქობავა 1948: 263).

ს. ჯანაშია ყურადღებას მიაქცევს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ **-ფსა** და **-ყვა** დაბოლოებიან ტოპონიმებს (ჰიდრონიმებს) **სუფსა, აგიდაყვა, აჭყვა, მალთაყვა**, იმავე სუფიქსიან სხვა ოიკონიმებს: **ჯურუყვეთი, ზოზოყვათი, მურყვეთი** (გურია-აჭარა), **ზოყვა** (რაჭა), **აყუა, აბყაყვა** (აფხაზეთი), მათ რიგში განიხილავს ანტიკურ წყაროებში დადასტურებულ ჭოროხის ძველ სახელწოდებას **აკამფსისი**, ამ ფორმასთან დაკავშირებით უთითებს სომხურ ანონიმურ წყაროს, სადაც წერია: „[ჭოროხს] ეგრისელები **აკამსის**-ს უწოდებენ, ხალდეები კი – **კაკამარ**-ს. ამის მიხედვით კი ასკვნის, რომ 1. ფორმა **აკამსისი**, ე. ი. **აკამფსისი** ადგილობრივად იხმარებოდა; 2. ამ სახელწოდების ფუძე სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან **(კ)აკამ-ფს-ის-ი** და **კაკამ-არ** ერთი და იგივე ფუძის ნაყარია (ჯანაშია 1952: 119).

კაკამ-არ-ის -არ სუფიქსზე მკვლევარი ვარაუდობს, რომ ის უნდა იყოს ნაშთი ჭანური **წკარ / წარ**-ისა „წყლის“ მნიშვნელობით. ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ **-ფსა** სუფიქსიანი ტოპონიმები თავისი არსით იგივეა, რაც **-წყალ-** კომპონენტდართული ქართული ჰიდრონიმები (**ცხენის-წყალი** და სხვ.).

-ფსა-ზე და **-ფა**-ზე დაბოლოებულ ტოპონიმთა განხილვისას მკვლევარი მიუთითებს ფაზის ჰიდრონიმზე, აღნიშნავს, რომ აღდგენილი ***ფასიდ** ფორმა იგივე ძირია, რაც ქართ. **ფოთი / ფუთი** და სვამს კითხვას – ამ სახელს იგივე ჩერქეზული სიტყვა ხომ არ უდევს ფუძედ, ე. ი. ემთხვევა თუ არა **ფას** და **ფსა** ფუძეები ერთმანეთს (გვ. 122).

საბოლოოდ მკვლევარი ასკვნის, რომ **-ფსა** და **-ყვა**, აგრეთვე **-თა** დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისაა და მიგვითითებს ამ ტერიტორიაზე ჩერქეზული ტომების განსახლებაზე უძველეს დროში.

სხვა ნაშრომში ს. ჯანაშია განიხილავს გურიაში გავრცელებულ გვარსახელებს: **ინგოროყვა, სალუქვაძე, ბოლქვაძე, თალაქვაძე, ჭანუყვაძე, დელეყვა**, მათში გამოყოფს **-ყვა** სუფიქსს, რომელიც ჩერქეზულში „ძე“-ს ნიშნავს. ამასთან **-ყვა** ელემენტს უბიხურში შეესაბამება **-ქუა / -ქვა**. ამის გამო მეცნიერი მიიჩნევს, რომ **სალუქვაძე, ბოლქვაძე** უბიხური წარმომავლობის არის (ჯანაშია 1952: 482-490).

ჩერქეზული წარმოშობის ანთროპონიმებად განიხილავს გ. როგავა საქართველოში გავრცელებულ პირსახელებს: **ზათაყვა, ზოყვა, გეყვა, ჩერეყვა, თემყვა, სესრგყვა, ჯაყვა, შეყვა...** ზოგი მათგანი შედარებით ახალი შეთვისებული ჩანს, მაგ., **თემყვა** თურქული წარმოშობის სახე-

ლიდან უნდა მომდინარეობდეს: **თემგრ** → **თემგრყვა**, მაგრამ სხვა მრავალი უძველესი პერიოდის შენაძენი უნდა იყოს (როგავა 1946: 15).

გ. როგავა მიუთითებს, რომ ჩერქეზული წარმოშობის სახელები იმ დროს უნდა იყოს შეთვისებული ქართველურ ენებში, როცა ფარინგალურ ხშულთა რიგის ბგერები შენახული ჰქონდა ჩერქეზულ დიალექტებს. მკვლევარს ნასესხებად მიაჩნია შემდეგი მეგრული გვარები: **ბაბაღუა, ტაბაღუა, წირღვავა, ფაღავა, ბოხუა, ლაბახუა, ჩუხუა, ვეკუა, რეკვავა, მიგუა, ლოგუა, სიგუა, გაგუა** და სხვ. (როგავა 1946: 16-17).

საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზ-ჩერქეზთა ოდინდელი საცხოვრისის არსებობას ადასტურებს ქ. ლომთათიძეც. სტატიაში „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (ლომთათიძე 1956), რომელიც წარმოადგენს პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ რეცენზიას, მეცნიერი განიხილავს ტოპონიმა ნაწილს, რომელიც მოყვანილი აქვს პ. ინგოროყვას თავის ნაშრომში (იხ. ქვემოთ): **ბზიფი, სოჩა, ლაია / ლია, წურწუხი / წუწახი... -თა და -ფსა** (← **-ფსგ**) სუფიქსიან სახელებს, ეხება პ. ინგოროყვას თვალსაზრისის აფხაზთა საქართველოს ტერიტორიაზე გვიან, მე-17 საუკუნეში ჩამოსახლების შესახებ და მიიჩნევს, რომ ჩერქეზ-აფხაზები დასავლეთ საქართველოში თანაცხოვრობდნენ ქართველებთან. ამის დასტურად, გარდა ტოპონიმიკური მასალისა, მოჰყავს ქართველურ და აფხაზურ ენათა ინტერფერენციის თავისებურება: „რაც უფრო მივიწევთ აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილისკენ, მით უფრო ნაკლებად შეიმჩნევა მეგრულის გავლენა [რაც კარგად ჩანს აბჟურში – მ. ბ.] და თავს იჩენს ქართულის გავლენა“. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითია მოყვანილი: ბზიფურში გავრცელებულია ქართულიდან შეთვისებული **ა-ხარხ** „ხერ-ხი“ ←ქართ. **ხერხი, ა-ჯიქურეი** „სიმინდი“ ←ქართ. **ჯიქურა**, მეტიც, სიტყვები შესულია ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ: **ა-კაპეი** „კოპე“, **ა-ბაღრეი** „ბელურა“... მაშინ, როდესაც აბჟურში მეგრულიდან შეთვისებულია **ა-ხარხ** „ხერხი“ ←მეგრ. **ხორხი**, ან საკუთრივ აფხაზური ფორმა გვაქვს: **ა-ფშ**, „სიმინდი“ (ლომთათიძე 1956: 137-138). გარდა ლექსიკისა, აფხაზურის უდავო გავლენა ჩანს მორფოლოგიის გარკვეულ უბნებში (იქვე : 139).

ვ. თოფურია სტატიაში „ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის“ განიხილავს ენათა და დიალექტთა ინტერფერენციის საკითხს და სუბსტრატულ მასალაზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ გურულ

დიალექტსა და სვანურ ენაში წარმოდგენილი ჩერქეზიზმები (-ფსგ და -ყვა და-ბოლოებიანი ტოპონიმები და ანთროპონიმები) აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა სუბსტრატს წარმოადგენს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ჩერქეზთა დასახლებას ამ ტერიტორიაზე ისტორიული წყაროები არ უჩვენებენ (თოფურია 1965: 173).

საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული მეცნიერთა მეორე ნაწილს.

პ. ინგოროყვა კატეგორიულად უარყოფს ჩერქეზ-აფხაზთა არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ სატომო სახელს **აფხაზი** მიიჩნევს მესხურ ტომად. ფუნდამენტურ ნაშრომს „გიორგი მერჩულე“ მეცნიერი ურთავს „სპეციალურ ექსკურსს – აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქარ-თულ ენობრივ სამყაროსთან“. ამ მონაკვეთში განხილულია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილი 136 გეოგრაფიული ადგილი და მკვლევრის მიერ მიჩნეულია ქართულ სახელებად. მათი უმეტესობა მართლაც ქართულია, მაგ.: **წყურგილი, სათამაშო, ზაგა, ჭანდარი, დალიძგა, ჭალა**. მათ გვერდით ქართულად, ან ქართული წარმოშობისად არის ნავარაუდები **სოჭი, ხოსთა (ხოსტა, ხოშტა), მაწესთა, მიმიტა (მიმიტა), ლაგუმფსა...** ხოლო **-ფსა** სუფიქსს წმინდა ქართულ სიტყვად მიიჩნევს და მიიჩნევს, რომ ქართულიდან არის შეთვისებული ჩერქეზულში (ინგოროყვა 1954: 146-188).

გ. ახვლედიანი პ. ინგოროყვას მიერ მოხმობილ ტოპონიმთა ეტიმოლოგიებზე ამბობს, რომ ყველა მათგანი ერთნაირად დამარწმუნებელი არ არის (ახვლედიანი 1957: 108), ამ სახელთა უმეტესობა მართლაც ქართულია, ან ქართველური წარმოშობისა, თუმცა **-ფსა, -ყვა** სუფიქსებს ქართველურად, ან აფხაზურ-ჩერქეზულთან საზიარო მასალად განიხილავს. გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული **-თა** სუფიქსიც (**ჩხიკვთა, მოწამეთა... მაწესთა, გუდაუთა...**) ქართველურ-აფხაზურ (resp. ჩერქეზულ) მოვლენად მიაჩნია (გვ. 111). გ. ახვლედიანი საკითხის განხილვის დასასრულს ამბობს: „ქართველურ ენებში გეოგრაფიულ სახელთა და გვარების **-ყვა** დაბოლოება უნდა ჩაითვალოს გადმონაშთად და არა ჩერქეზულის ნაკვალევად საქართველოს ტერიტორიაზე (გვ. 114).

პ. ინგოროყვას აზრს იზიარებს ალ. ონიანი. ის განიხილავს ტოპონიმებს, რომლებიც ს. ჯანაშიას დასავლეთ საქართველოში ჩერქეზთა ოდინდელი სახლობის უცილობელ დასტურად მიაჩნია, ეტიმო-

ლოგიურად იკვლევს მათ და ეჭვქვეშ აყენებს ს. ჯანაშიას თვალსაზრისს (ონიანი 1989: 299-309).

ძნელია რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში დადასტურებული ჭოროხის სახელწოდება **აკამფსისი** ჩერქეზული წარმოშობისად განვიხილოთ. მისი დაკავშირება ჭოროხის სხვა სახელწოდებასთან **კაკამარი** დაბრკოლებას აწყდება. ანგარიშგასაწევია თავად ს. ჯანაშიას მიერ წარმოთქმული თვალსაზრისი: „ძველი მწერლები ცდილობენ ეს სახელი (**აკამფსისი**) ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ“ (ჯანაშია 1959: 119).

სიტყვა ფაზისთან დაკავშირებით ალ. ონიანი შენიშნავს, რომ ბერძნული ფაზისის შესატყვისი გვაქვს საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ საფეხურზე, შესაბამისად, მის ჩერქეზულ წარმომავლობაზე უხერხულია.

ქ. სოხუმის (*ცხუმი) აფხაზური სახელი **აყვა** ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნემდე არ დასტურდება. შეუძლებელია ქალაქის უძველესი სახელი ისტორიულ წყაროებში ასე გვიან გამოჩენილიყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალაქი უამრავი ქართველური ტოპონიმის გარემოცვაშია მოხვედრილი.

ალ. ონიანი ასკვნის: „ლიტერატურაში დასახელებულ სხვა ტოპონიმთა ჩერქეზული წარმომავლობა ფაქტადაც რომ მივიჩნიოთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი ტოპონიმების ძალიან მცირე რაოდენობა რჩება. მათი წარმოქმნა კი შეიძლება ჩერქეზთა პატარ-პატარა ჯგუფების ამ ტერიტორიაზე შემთხვევით მოხვედრითაც“ (გვ. 305).

ა. ლლონტი განიხილავს ორივე შეხედულებას -**ფსა** სუფიქსის წარმომავლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ორივე თვალსაზრისს დაჰყვება გარკვეული ცალმხრივობა. ერთი მხრივ, -**ფსა** (**ფსა**) არის ტრადიციული, საერთო-ქართველური ჰიდრონიმი (ვარიანტებით **ფშა**, **ფშავი**, სვან. **ფაშგუა**), მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევია ჩერქეზული მასალაც. აღნიშნული ლექსემა ისტორიულად საერთო ყოფილა ამ ორი სხვადასხვა ენობრივი გარემოსათვის (ლლონტი 1981: 20).

ლ. სულამანიძეც უარყოფს დასავლურქართულ ტოპონიმებში ჩერქეზული ელემენტის კვალს და ქართულ ნიადაგზე ხსნის -**ფსა**, -**ყვა** სუფიქსების ეტიმოლოგიას. კერძოდ, -**ფსა**-ს აკავშირებს სითხის ან ჰაერის ჭავლის მიერ გამოცემული ხმის იმიტაციასთან და საილუსტრაციოდ მოჰყავს პ. ინგოროყვას მიერ მოხმობილი სიტყვები: **ფსია** (მეგრ.) „წყალდიდობა“, **ფშა** „წყარო“, **ფშანი** „დიდი ფშა“, **მრავალფშა** „წყარო“, „მდინარე“, **ფშატალა** „თოვლნარევი წყალი“... -**ყვა** სუფიქსთან დაკავ-

შირებით კი ამბობს, შესაძლოა იყოს მე-გრული **ყვანა**-ს გაცვეთილი ფორმა, მაგ.: **ზადუშ ყვანა** → **ზადუყვა** → **ზადუყვეთი**, **ჯურუმყვანა** → **ჯურუყვა** → **ჯურუყვეთი**, ან უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას **ყვა** „შუბლი“, რომელიც გადატანით აღნიშნავდა მდინარის მუხლს, მოსახარს, ნავმისადგომად ვარგის ადგილს. არ არის გამორიცხული, რომ ანთროპონიმთა ბოლოკიდური **-ყვა** მარცვალის თიკუნში მოსალოდნელი **ყვაგ** ქართული სიტყვის ბოლო მარცვალდაკარგული სახე იყოს. ამის მაგალითად მოყვანილია სავარაუდო **ზობოყვაგი** → **ზობოყვათი**, **დედალუყვაგი** → **დედალუყვათი**, აგრეთვე **ჭანიყვაგი**, რომლისგანაც მომდინარეობს **ჭანუყვაბე** (სულამანიძე 1990: 131-141).

ა. ტულუში საკითხის განხილვისას ყურადღებას მიაქცევს ერთ საჩოთირო გარემოებას – როგორ გაჩნდა ჩერქეზული გვაროვნული სახელები საქართველოს ტერიტორიაზე? თუ ჩავთვლით, რომ ამ რეგიონში ათასწლეულების წინ მოხდა ჩერქეზულ-აფხაზური ტომების ჩანაცვლება ქართველური ტომებით, მაშინ ხომ გვარსახელები საერთოდ არ არსებობდა? შესაბამისად, ჩერქეზული ანთროპონიმების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე გვიანდელი მოვლენაა. მკვლევარს მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა გურიაში აფხაზთა გაბატონების შესახებ: გურიაში „შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდან“ (ვახუშტი 1973: 26). იოანე ბატონიშვილიც გადმოგვცემს, რომ შარვაშიძეები გარდა აფხაზეთისა, „რომელნიმე სახლობენ გურიასა შინა თავადად და სხვანი ქართლსა შინა“.

ა. ტულუში შარვაშიძის გურიაში ჩამოსვლას უკავშირებს ჩერქეზულ-აფხაზური ანთროპონიმების გავრცელებას ამ რეგიონში: „როგორც ჩანს, შარვაშიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთ შტოს აქ, გურიაში, ებოძა მამულები და მათაც ამ მამულში თავიანთი აფხარი ყმები ჩამოსახლეს, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა აქ კომპაქტურად ჩასახლებულ აფხართა მიერ ადგილების სახელდებაც თავის ენაზე და ეს უნდა იყოს მიზეზი გურიაში აფხაზურ-ადილური ტოპონიმების გაჩენისა“ (ტულუში 2007: 150).

მ. ჩუხუამ წარმოადგინა სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ქართულ გვარებში დადასტურებულ **-ყვა** სეგმენტის წარმომავლობაზე.

მკვლევარი **ინგოროყვა**, **როყვა**, **ჭანუყვაბე**... ტიპის გვარებში წარმოდგენილ ელემენტს უკავშირებს ქართულ **-ყმა**- სეგმენტიან გვარებს **მალა-ყმა-ძე**, **ვაშა-ყმა-ძე**, **კეჭა-ყმა-ძე**... სადაც გამოყოფილი ფორ-

მა უკავშირდება ძველ ქართულში კარგად ცნობილ **ყმა** „წული, ქალი, ვაჟი, მართვე“ (აბულაძე 1973: 468) სიტყვას.

ზემოთ მოხმობილ გვარებში სემენტი შვილს ნიშნავს, შესაბამისად, **ვაშა-ყმა = ვაშაძე, მალა-ყმა = მალაძე...** შემდგომ გვარსახელს დაერთო **-ძე** დაბოლოება (მოხდა ორმაგი სუფიქსაცია), ვინაიდან **ყმა** სიტყვის სემანტიკა დაიჩრდილა.

ქართული ყმის შესატყვისი უნდა იყოს ზანური **ყვა**. ქართ. **მ** : ზანური **გ** შესატყვისობა პოსტკონსონანტურ პოზიციაში ზანურისთვის ბუნებრივია. შდრ.: ქართ. **ხმარება** → მეგრ. **ხუარება / ხვარება**; ქართ. **უქმი** → მეგრ. **უქუი / უქვი**; ქართ. **კმახე** → მეგრ. **კუახე / კვახე** (შენგელია 1999: 10-11).

მ. ჩუხუას აზრით, იგივე პროცესი განვითარდა ქართ. **შინაყმა** → (მეგრ.) **შინაყუა / შინაყვა, პატრონყმობა** → (მეგრ.) **პატენყვალა** ფორმებში.

მეგრულ ფორმებში **ყმა** → **ყვა** პროცესის ქრონოლოგიაზე წარმოდგენას გვიქმნის **გუდავა** ტოპონიმის ისტორია. ზაგ-რატ მესამის ქრონიკებში გუდავა მოხსენიებულია **გუდაყვა** ფორმით: „[ზაგრატ მესამემ ბედია] შექმნა საყდრად საეპის-კოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო“ (ქართლის ცხოვრება 1955: 281).

ისტორიულად **გუდა-ყვა** არქეფორმის არსებობა მიუთითებს, რომ **მალთა-ყვა** ტიპის ტოპონიმები წარმოიშვნენ ადამიანთა გვარებისაგან (ჩუხუა 2011: 227-228).

მ. ჩუხუას ეს გამოკვლევა ნათელს ჰფენს ქართულ ტოპონიმებსა და ანთროპონიმებში **-ყვა** ელემენტის წარმომავლობას.

ესაა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ძირითადი შეხედულებები ჩერქეზულ საკუთარ სახელთა პოვნის შესახებ. საკითხი დღემდე არ არის მონოგრაფიულად (resp.) კომპლექსურად შესწავლილი.

ნაწილი III

1. ნახურ (ჩეჩნურ, ინგუშურ, წოვათუშურ) ენათა კომპოზიტიური სიტყვაწარმოება

კომპოზიცია სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ნახურ ენებში. ამ ენათა ლექსიკური ფონდის გამდიდრება სწორედ თხზულ სახელთა მეშვეობით ხდება.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სინქრონიული მონაცემების აღწერისას ნახურ ენათა შორის თავს იჩენს განსხვავებები, რაც მათი გავრცელების არეალითა და სოციოლინგვისტური მდგომარეობითაა შეპირობებული. ამ ენათაგან ორი – ჩეჩნური და ინგუშური – ცოცხალი სამეტყველო და სამწერლობო ენებია, ამიტომ კომპოზიცია დღესაც აქტიურად გამოიყენება ნეოლოგიზმების საწარმოებლად, მათ შორის ტერმინოლოგიაში. წოვათუშური კი გადაშენების პირას მყოფი, უდამწერლობო და არაჯეროვნად დოკუმენტირებული ენაა. ამიტომ, მისი საანალიზო მასალა კიდევ უფრო მწირია და ერთგვარად, განსხვავებულიც, ვიდრე ვაინახური ენებისა.

წოვათუშური, როგორც უკვე ითქვა, დღემდე უდამწერლობო ენაა. ჩეჩნური და ინგუშური კი ახალსამწერლობო. სულ ერთ საუკუნეს ითვლის მათი სალიტერატურო ენებად ჩამოყალიბების ისტორია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამ ენათა ისტორიულ განვითარებას თვალს ვერ ვადევნებთ, თუმცა, რადგანაც ძირითად ლექსიკასა და ონომასტიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება რთული შედგენილობის სახელები, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მართლაც სიტყვაწარმოების ძველი და პროდუქტიული ხერხია ამ ენებში, დერივაციასთან ერთად. ამაზე მიუთითებს კ. ჩოქაევიც თავის მონოგრაფიულ კვლევაში ჩეჩნური სიტყვაწარმოების შესახებ (ჩოქაევი 1968). მას მაგალითად მოჰყავს ჩეჩნეთის მთიანი ნაწილის დასახლებებისა და სხვა ადგილებისა თუ მდინარეების კომპოზიტიური სახელწოდებები.

ჩეჩნური, ინგუშური და წოვათუშური ენები გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან. ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე საუბრობენ ძირითადად ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში (რუსეთის ფედერაცია), წოვათუშურად კი საქართველოში, ისიც მხოლოდ ერთ სოფელში – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ალვანში. ნახსენებ მიზეზთა გამო, ვაინახურ ენებზე მძლავრი გავლენა აქვს

რუსულს, წოვათუმურზე კი –ქართულს. თუმცა ამ უკანასკნელზე ქართულის გავლენა გაცილებით უფრო მასშტაბური და მძლავრია, ვიდრე რუსულისა ჩეჩნურსა და ინგუშურზე. წოვათუმურში ძალიან აქტიურია ენობრივი ინტერფერენცია ენის ყველა იერარქიულ დონეზე, რაც სიტყვაწარმოებაში, კერძოდ კი კომპოზიტებშიც აისახება. გვაქვს ქართულიდან ან ქართულის გავლით სხვა ენებიდან (რუსულიდან, ბერძნულიდან, თურქულიდან) ნასესხები ბევრი რთული სიტყვა. გარდა ამისა, დიდი ადგილი უჭირავს ჰიბრიდულ და კალკურ წარმოებასაც. ჩეჩნურ-ინგუშურში კი, ცხადია, რუსულიდან და არაბულიდან ნასესხები და ჰიბრიდული თხზული სახელები ჭარბობს.

ნახურ ენათა კომპოზიტების ამა თუ იმ ასპექტის ირგვლივ არაერთი გამოკვლევა არსებობს, უმთავრესად ჩეჩენ და ინგუშ ავტორთა მიერ შესრულებული. უნდა დავასახელოთ კ. ჩოქაევი, ი. დემერიევი, ი. ოზდოევი, ო. ჩაპანოვი, ნ. ბარახოევა, ფ. ილიევა, რ. ხაიროვა და სხვ. ქართველ მკვლევართაგან სიტყვაწარმოების აღნიშნულ სახეობას, კერძოდ კი, კომპოზიტთა ერთ-ერთ ტიპს – რედუპლიკაციას წოვათუმურ ენაში სპეციალური წერილი უძღვნა ლ. სანიკიძემ „ფუძის გაორკეცება ზაცბურში“ (1966). იგი ვრცლად მიმოიხილავს რედუპლიცირებულ ძირებს, გაორკეცების თანმხლებ ფონეტიკურ ცვლილებებს და ამგვარი სახელების შინაარსობრივ მახასიათებლებს.

რთული სიტყვების წარმოქმნას, მათ აგებულებასა და სახეობებს, საგანგებო ყურადღებას უთმობს კ. ჩოქაევი ჩეჩნური სიტყვაწარმოების მონოგრაფიულ კვლევაში და იქვე დასძენს, რომ კომპოზიცია ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის უფრო ძველი საშუალებაა, ვიდრე დერივაცია. იგი ცალ-ცალკე მიმოიხილავს კომპოზიციის შედეგად წარმოქმნილ მეტყველების ნაწილებს. მორფო-სინტაქსურად ახასიათებს თითოეულ კომპონენტს და გამოყოფს სამ ჯგუფს – ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ს, კ ო კ უ ლ ა ტ ი უ რ ს და ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მკვლევრის აზრით, პირველი ორი სახეობა მხოლოდ სახელურ კომპოზიტებში გვხვდება, მესამე კი ზმნურში. იგი ნებისმიერ თხზულ სახელს, რომლის პირველი წევრიც არის არსებითი (ამა თუ იმ ბრუნვაში) ან ზედსართავი სახელი, ატრიბუტულ ან მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაზღვრებით კომპოზიტებში აერთიანებს. თუმცა ნათესაობით ან თუნდაც სახელობით ბრუნვაში დასმული პირველი წევრი ყოველთვის არ წარმოადგენს განსაზღვრებას მეორის მიმართ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, საზოგადოდ, სუბორდინაციული კომპოზიტების ყველაზე გავრცელებულ ტიპს

[V+N]N წარმოადგენს, მაგრამ ის შეიძლება იყოს სხვა სტრუქტურისაც – [N+N]N ან [A+N]A. ამდენად, სუბორდინაციული კომპოზიტების მხოლოდ ერთი მეტყველების ნაწილით შემოსაზღვრა არ ჩანს გამართლებული, რასაც განსახილველ ენათა ემპირიული მასალაც ადასტურებს. ამაზე ქვემოთ, შესაბამის ადგილას, ვრცლად გვექნება მსჯელობა.

ო. ჩაპანოვი, რომლის წერილიც ინგუშური ენის თხზულ სახელთა სტრუქტურულ მოდელებს ეხება, საკლასიფიკაციო კრიტერიუმად იღებს კომპონენტთა შორის არსებულ სინტაქსურ მიმართებას და კომპოზიტთა ორ სახეობას გამოყოფს: სუბორდინაციულსა და კოორდინაციულს.

თანამედროვე ინგუშური ენის სიტყვაწარმოებას მიეძღვნა ავტორთა კოლექტივის ვრცელი მონოგრაფია „Современный Ингушский Язык. Морфемика. Словообразование“, რომელიც 2020 წელს გამოიცა. ნაშრომში, დერივაციასთან ერთად, მსჯელობა თხზვასაც ეხება და არაერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია გამოკვეთილი. კომპოზიტების ანალიზისას ავტორები გამოყოფენ ხუთ სტრუქტურულ ტიპს, იმის მიხედვით, რომელი მეტყველების ნაწილებისაგან არის წარმოქმნილი იგი და რომელ ბრუნვაშია ესა თუ ის კომპონენტი. კომპონენტებს შორის არსებული სინტაქსური კავშირის მიხედვით კი ორი ძირითადი ჯგუფია დასახელებული: სუბორდინაციული და კოორდინაციული. ასევე, მოცემულია ის სემანტიკური ჯგუფები, სადაც თხზვა უფრო პროდუქტიული და აქტიურია.

ნახური ენების კომპოზიტებს ეძღვნება მ. სულეიბანოვას დისერტაცია „კომპოზიტები ნახურ ენებში“ (2009). იგი მრავალფეროვანი ემპირიული მასალის მოშველიებით აანალიზებს რთული სახელების სტრუქტურულ ტიპებს როგორც ჩეჩნურ-ინგუშურში, ისე წოვათუშურში და ასახელებს იმ მეტყველების ნაწილებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თხზვაში. ასევე, აჯგუფებს მათ იმის მიხედვით, კომპონენტები ერთმანეთთან რა სემანტიკურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ნაშრომში გამოყოფილია ანტონიმური, სინონიმური და ასოციაციური წყვილები.

წოვათუშური ენის კომპოზიტები (რედუპლიკაციის გარდა) საგანგებო დაკვირვების საგანი აქამდე არ ყოფილა, ის ძირითადად შესაძარებლად არის ხოლმე მოხმობილი ვაინახური ენების შესახებ არსებულ კვლევებში.

წინამდებარე ნაშრომში ნახური ენების ემპირიულ მასალად გამოყენებულია ყველა ხელმისაწვდომი ელექტრონული და ბეჭდური

რესურსი – დამუშავების ეტაპზე მყოფი წოვათუშური ენის კორპუსი, წოვათუშურ-ქართულ-რუსული და წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონები, ლაიფციგის ჩეჩნური ენის კორპუსი, ჩეჩნური და ინგუშური თარგმნითი (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ლექსიკონები. აგრეთვე, ექსპედიციისას ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს სოფელ ზემო ალვანსა და პანკისის ხეობის სოფლებში ჩაწერილი და გადამოწმებული მასალა.

თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურა და კლასიფიკაციის საკითხი ნახურ ენებში. როგორც ქართული, ისე ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშური ენების რთულმა სიტყვებმა არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. არსებობს კვლევები როგორც ნახურ ჯგუფში შემავალი ცალკეული ენისათვის, ისე მათი შედარებითი ანალიზი. როგორც საკითხის შესწავლის ისტორიის ნაწილშიც აღინიშნა, ნახური ენების მონაცემთა აღსაწერად და საანალიზოდ აღებული სქემებიც გარკვეულწილად ნაკლებია, ან მხოლოდ გრამატიკული მიმართებაა აღებული კრიტერიუმად ან მხოლოდ სემანტიკური. უმთავრესად პანინისეული მიდგომაა გამოყენებული, რომელიც, ცხადია, ამ შემთხვევაშიც მოკლებულია სისტემურობას და არ იძლევა საკითხის მკაფიო სურათს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნურ-ინგუშურსა და წოვათუშურს შორის გარკვეული გრამატიკული თუ სემანტიკური სხვაობები არსებობს, სიტყვაწარმოების, სახელდობრ, კომპოზიციის ზოგადი პრინციპები ერთგვარია და რაიმე არსებითი განსხვავება არ იჩენს თავს. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა ფუძე იყოს გამოყენებული, მაგრამ მათი გრამატიკული მახასიათებლები და რთული სიტყვის აგების მექანიზმი ერთნაირია. ჩანს, რომ ჩეჩნურის ზოგიერთ დიალექტს და წოვათუშურს დაუცავს მეტად არქაული გრამატიკული ფორმები. ამასთანავე, საერთო ჯამში, ჩეჩნურსა და ინგუშურს შორის უფრო ნაკლები განსხვავება იჩენს თავს, თუ რომელიმე მათგანში არსებობს ერთი კომპოზიტი, აუცილებლად არსებობს მეორეშიც. წოვათუშურში კი ბევრ ვაინახურ კომპოზიტს პარალელი არ ეძებნება. ისინი ან დაკარგულია ან ჩეჩნურ-ინგუშურში ნეოლოგიზმებია და გასაგებ მიზეზთა გამო წოვათუშურში ისინი არ არის წარმოდგენილი. ამგვარად, მასალის ანალიზისას ეს ასიმეტრიულობა, ცხადია, გამოჩნდება.

სამსავე ნახურ ენაში კომპოზიტური შედგენილობის შეიძლება იყოს ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი, მათ შორის

ნაცვალსახელის ზოგიერთი ჯგუფი, იშვიათად დამხმარე მეტყველების ნაწილებიც. თხზვაში მონაწილეობას კი უმთავრესად სრულმნიშვნელობიანი სიტყვები იღებენ, იშვიათად დამხმარეებიც – თანდებული და ნაწილაკი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ჩეჩნურ-ინგუშურსა და არც წოვათუშურ ენებს არ ახასიათებს რამდენიმეკომპონენტისანი თხზული სახელები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ორი ფუძის შეერთებითაა მიღებული. სამ და ოთხფუძიანი კი, შეიძლება ითქვას, გამონაკლისის სახით გვხვდება. ამასთანავე, როგორც საანალიზო მასალა გვიჩვენებს, სახელურზე მეტად აქტიურია ზმნური კომპოზიცია.

წინამდებარე კვლევაში ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშური ენების მონაცემების აღსაწერად და საანალიზოდ იგივე მიდგომა გამოვიყენეთ, რაც ქართულისათვის. ძირითად საკლასიფიკაციო კრიტერიუმად კომპონენტებს შორის არსებული სინტაქსური მიმართება ავიღეთ და სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით ორ-ორი ქვეჯგუფი გამოვყავით. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ დავინახოთ, როგორც რთული სიტყვის წარმოქმნის გრამატიკული, ისე სემანტიკური მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სამივე ჯგუფში შეიძლება ისეთი მრავალფეროვანი მასალა არ იყოს წარმოდგენილი, როგორც ქართულის შემთხვევაში ან ეგზოცენტრული ქვეჯგუფი ვერ გამოიყოს რომელიმე გრამატიკულ სტრუქტურაში, ვთვლით, რომ ამგვარი მიდგომა მაინც გამართლებულია, რადგან, თუ მაგალითად, კოორდინაციულ კომპოზიტებში არ არის წარმოდგენილი ეგზოცენტრული ქვეჯგუფი, ის საკმაოდ აქტიურია სუბორდინაციულ კომპოზიტებში, ამდენად, ამ საკლასიფიკაციო პრინციპის შემოტანა, მაინც აუცილებელია სემანტიკური დიფერენცირებისათვის. ამასთანავე, შეიძლება მხოლოდ არსებით სახელებში იყოს ეს ქვეჯგუფები ნაკლები, ზედსართავებში კი პროდუქტიული. ეს მეთოდი მეტად მოქნილი და გამართლებულია, ვიდრე მხოლოდ მორფოლოგიური ან სინტაქსური კლასიფიკაცია. აღნიშნული მიდგომის თეორიულ დასაბუთებაზე აქ აღარ შეეჩერდებით, რადგან ქართული ენის ნაწილში მასზე ვრცლად ვისაუბრეთ.

ამგვარად, ნახურ ენათა თხზულ არსებით სახელებში გამოყოფილია ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი, ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი და კ ო ო რ - დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ჯგუფები, თითოეულ მათგანში კი ე გ ზ ო ც ე ნ - ტ რ უ ლ ი და ე ნ დ ო ც ე ნ ტ რ უ ლ ი ქვეჯგუფები.

საზოგადოდ, ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშურ ენებში რთული არსებითი სახელების სტრუქტურა შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

[N+N]N ატყ-წაქი „მშვილდ-ისარი (მშვილდი+ისრები)“ (წოვათუმ.);
და-ნანა „მშობლები (მამა-დედა)“ (ჩეჩნ.); **пхьакоч** „სოფელი+მალ-
ლა,თავი“; სიტყვასიტყვით „სოფლ(ის) თავი“, ტოპონიმია ჩეჩნეთში
(ჩეჩნ.);

[N+AD]N წელტი „ახალი წელი“ (წოვათუმ.);

[AD]+N]N акха-котам „ხოხობი“ (სიტყვასიტყვით „გარეული, ვე-
ლური ქათამი“);

[NUM+N]N ах-бийса „შუაღამე“, სიტყვასიტყვით „ნახევარი ღა-
მე“ (ინგუმ.);

[ADV+N]N пхьарк1ело „ილია, სიტყვასიტყვით „მკლავის
ქვეშ“ (ჩეჩნ.);

[N+MSDR]N мохк-бегор „მიწისძვრა“ (ჩეჩნ.); **лаьтгаагар** (ინგუმ.);

სუბორდინაციული კომპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი პრე-
დიკატული სინტაგმიდან მომდინარეობს. ერთ-ერთი წევრი ნაზმნარი
სახელია, მეორე კი მის დამატებას წარმოადგენდა, ამიტომ იგი არა
მარტო ნათესაობით, არამედ სახელობით ბრუნვაშიც შეიძლება იყოს.

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი

სუბორდინაციული კომპოზიტების პირველ კომპონენტს ნათესა-
ობით, სახელობით ან სხვა ირიბ ბრუნვაში მდგარი სახელი წარმოად-
გენს ანუ, ყველა ბრუნვაში, რომელშიც დამატება შეიძლება იყოს. მათი
დიდი ნაწილი პრედიკატული სინტაგმისაგან მომდინარეობს, ამიტომ
ერთმანეთთან ზმნისა და დამატების მიმართებაში იმყოფებიან.

როგორც ენდოცენტრული, ისე ეგზოცენტრული სუბორდინაცი-
ული კომპოზიტების სტრუქტურა ნახურ ენებში შეიძლება იყოს შემ-
დეგნაირი: [N+N]N; [N+PTCP]N; [N+ADV]N.

[N+N]N ენდოცენტრული

ამ სტრუქტურისაა ნათესაობის ლექსიკის დიდი წილი. ჩეჩნურში
ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს პირველ კომპო-
ნენტს, ინგუმურსა და წოვათუმურში კი მთლიანად ან ნაწილობრივ
დაკარგულია, იშვიათად იკარგება იგი ჩეჩნურშიც, მაგრამ ჭებერლო-
ურ დიალექტში თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია:

стун-йиша „ცოლისდა“ (ცოლი+GEN+და) (ჩეჩნ.), **устийша** (ინგუმ.);

стун-ваша „ცოლისძმა“ (ცოლი+GEN+ძმა), **уст-воша** (ინგუმ.);

стуннана „სიდედრი“ (ცოლი+GEN+დედა) (ჩეჩნ.), **уст-нана** (ინ-
გუმ.), **ფსტუნან** (წოვათუმ.);

стунда „სიამრი“ (ცოლი+GEN+მამა) (ჩეჩნ.), **уст-да** (ინგუმ.), **ფსტუდად** (წოვათუმ.);

йишинкIант „დისშვილი“ (და+GEN+ბიჭი) (ჩეჩნ.); **йишивo1** (ინგუმ.); **იაშვoკ** (წოვათუმ.);

марйиша „მული“ (ჩეჩნ.), სიტყვასიტყვით „ქმრის და“, **маьрйиша** (ინგუმ.), **მადრoაშo** (წოვათუმ.);

марваша „მაზლი“ (ჩეჩნ.), სიტყვასიტყვით „ქმრის ძმა“, **маьр-воша** (ინგუმ.), **მადრoაშo** (წოვათუმ.);

დადo **ფსტუ** „დედინაცვალი“ (წოვათუმ.), სიტყვასიტყვით „მამის ცოლი“.

საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელნი ქართული ენის მთის დიალექტებშიც აღწერთი წარმოებისაა: **ქმრისძმა** (ხევს.), **ქმრისდა** (ხევს.), **მამისცოლი** (ხევს., თუმ.), **მამისძმა** (ფშაურ., გადამაყრ.) და სხვ.

вирбекъ „ჩოჩორი“, სიტყვასიტყვით „ვირი(ს) კვიცი“ (ჩეჩნ.), **вирбакъ** (ინგუმ.);

дахчан-пандар „ბალაღაიკა, ფანდური“, სიტყვასიტყვით „ხის ფანდური“ (ინგუმ.);

машинникъ „რკინიგზა“, სიტყვასიტყვით „მანქანის გზა“ (ინგუმ.), ჩეჩნურშიც იმავე სტრუქტურის კომპოზიტი გვაქვს, მაგრამ აქ უკვე მანქანის ნაცვლად რკინის აღმნიშვნელი ფუძეა პირველ კომპონენტად: **эчиг-некъ**;

пIийннана/хьусамнана „დიასახლისი“ (სახლი+GEN+დედა) (ჩეჩნ.), **фусамнана** (ინგუმ.);

бIарса „მხედველობა“, სიტყვასიტყვით „თვალის სინათლე“ (ინგუმ.), **бIаьрса** (ჩეჩნ.);

даьда „პაპა“, სიტყვასიტყვით „მამის მამა“ (ინგუმ.), **ден да** (ჩეჩნ.), წოვათუმურში კი ქართულიდან ნასესხები **ბაბo** გამოიყენება.

жамотт „ცხვრის ბინა, სადგომი“, სიტყვასიტყვით „ცხვრ(ის) ადგილი“ (ინგუმ.), **меттамотт** (ჩეჩნ.).

берий беш „საბავშვი ბალი“ (ინგუმ.), სიტყვასიტყვით „ბავშვის ბალი“;

делкъхан „შუადღე“, სიტყვასიტყვით „სადილის დრო“ (ჩეჩნ.), **делкъахан** (ინგუმ.), წოვათუმურში კი სამკომპონენტის კომპოზიტი გვაქვს, მაგრამ არა სუბორდინაციული, არამედ ატრიბუტული – **оуь-მათoდე**, სიტყვასიტყვით „შუადღილი დღე“.

гIаш-некъ „ბილიკი“, საცალფეხო გზა, სიტყვასიტყვით „ფეხ(ით) გზა“ (ჩეჩნ.), **гIаш-никъ** (ინგუმ.);

[N+N]N ეგზოცენტრული

стелалад „ცისარტყელა“ (ჩეჩნ.), **селалад** (ინგუშ.); ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებში **стела** ჭექა-ქუხილისა და ელვის ღმერთია. მეორე კომპონენტი კი მშვილდს აღნიშნავს. საინტერესოა, რომ წოვათუშურში თითქმის იგივეობრივი სემანტიკა გვაქვს. ჭექა-ქუხილის ღმერთის სახელის ნაცვლად, აქ **დალ** „ღმერთი“ ფუძე გამოიყენება ნათესაობით ბრუნვაში, მეორე კომპონენტად კი მოცემულია „მშვილდ-ისარი“, –**დალენ^ა ატყ-წაქი** (წოვათუშ.);

б1аьргнег1ар „ქუთუთო“ (თვალი+GEN+სახურავი) (ჩეჩნ.), **б1аьргагног1ар** (ინგუშ.); **ц1ийннана / хьусамнана** „დასახლისი“ (სახლი+GEN+დედა) (ჩეჩნ.), **фусамнана** (ინგუშ.);

хидаха „ონდატრა, ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა“, სიტყვასიტყვით „წყლის თავი“. იდენტური ფორმით დასტურდება ჩეჩნური ენის დიალექტებშიც;

зунанбуц „ბალახის სახეობა“, სიტყვასიტყვით „ზღარბის ბალახი“ (ჩეჩნ.);

вирнехча „სოკოს სახეობა“, სიტყვასიტყვით „ვირ(ის) ყველი“ (ჩეჩნ.), ინგუშურში გვხვდება **вирнахч** ფორმით;

динкхел „მჟაუნა“, სიტყვასიტყვით „ცხენის კბილი“ (ჩეჩნ.), ინგუშურში **динкхал** ფორმითაა წარმოდგენილი;

лаьханмотг ბალახის სახეობა, სიტყვასიტყვით „გველის ენა“ (ჩეჩნ.), წოვათუშურში – **ლაჰი^ანმოტგ**;

цицигц1ога ბალახის სახეობა, სიტყვასიტყვით „კატის კუდი“ (ჩეჩნ.); **циска ц1ога** (ინგუშ.); **კოტმუდ** (წოვათუშ.);

ლაჰი^ანდაყარ „მატიტელა“, სიტყვასიტყვით „გველის საჭმელი“ (წოვათუშ.);

ემმა^აწე „ჭიაკოკონა“, სიტყვასიტყვით ემმაკის ცეცხლი (წოვათუშ.);

хибад „კოკორინა, ფრინველის სახეობა“, სიტყვასიტყვით „წყლის იხვი“;

виршура „რძიანა“, სიტყვასიტყვით „ვირ(ის) რძე“ (ინგუშ.), ჩეჩნურში რძე პირველ კომპონენტადაა წარმოდგენილი **шурба1**.

мехкадаьгта „ნავთობი“ (მიწა+GEN+ერბო) (ჩეჩნ.); **мехкадаьгта** (ინგუშ.).

динберг „მრავალძარღვა“, სიტყვასიტყვით „ცხენ(ის) ჩლიქი“, „ქაჩაჩი“ (ჩეჩნ.), **говбарг // дынбарг** (ინგუშ.).

ж1аленитт „ჭინჭრის სახეობა, რომელიც არ ისუსხება“, სიტყვასიტყვით „ძაღლის ჭინჭარი“ (ინგუშ.), **ნატარი^ა ნან** „ჭინჭრის დედა, შავბალახა“ (წოვათუშ.).

ბაჟაჟომარ „ხენდრო, მარწყვი“, სიტყვასიტყვით „ბალახის კენკრა“ (ინგუშ.), **пхьагалц1азам** „მარწყვი“, სიტყვასიტყვით „უღრდლის მარწყვი“ (ჩეჩნ.).

даьлаетт „ჭიამია“, სიტყვასიტყვით „ღმერთის ძროხა“ (ინგუშ.).

ишалчαι „თხაწართსალა“, მცენარის სახეობა; ჭებერლოულში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით: **ишаленчαι** – სიტყვასიტყვით „ჭაობის ჩაი“; **чайбуц** სიტყვასიტყვით „ჩაის ბალახი“ (ინგუშ.);

дог-уйла „ოცნება, იმედი, განზრახვა“, სიტყვასიტყვით „გული(*ს)-ზრახვა, ფიქრი“ (ინგუშ.), **дог-ойла** „1. ოცნება, 2. გუნება, განწყობა (გულ-ფიქრი) (ჩეჩნ.)“; მცირედ განსხვავებული სემანტიკითაა წარმოდგენილი წოვათუშურში სუბორდინაციული კომპოზიტი **დაკლავარ** „ფიქრი, აზრი“, სიტყვასიტყვით „გულზრახვა, გულ(ის)ხმა“;

[N+ADV]N ენდოცენტრული

пхьарск1ело „ილია“, სიტყვასიტყვით „მკლავის ქვეშ“ (ჩეჩნ.), მსგავსივე წარმოება გვაქვს წოვათუშურში, არსებით სახელს დაერთვის ზმნისართი – **ტოტკიკლა**, სიტყვასიტყვით ხელის ქვეშ.

г1одаюкь „წელი“, სიტყვასიტყვით „ტანი შუა“ (ჩეჩნ.), **г1адаюкь** (ინგუშ.), საინტერესოა, რომ წოვათუშურში მხოლოდ მეორე კომპონენტი (სავარაუდოდ კლასის ნიშანდართული), ზმნისართი გამოიყენება აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად – **ბუყ**.

Букъатехк „ხერხემალი“, სიტყვასიტყვით „წელის უკან“ (ინგუშ.), **букъсурт** (ჩეჩნ.);

[N+PTCP]N ენდოცენტრული

Босбуарг „ფერიმჭამელა“ (ინგუშ.), სიტყვასიტყვით „ფერის მჭამელი“. ეს კომპოზიტი მხოლოდ ინგუშურ ენაში დასტურდება;

г1аьленаштувсарг „საფერფლე“, სიტყვასიტყვით „სიგარეტის (გა)დასაგდები“ (ინგუშ.), ჩეჩნურში პირველ კომპონენტად გამოყენებულია „ფერფლის“ აღმნიშვნელი ფუძე **чимтосург**.

[N+MSDR]N

მოცემულ მაგალითებში პირველი წევრი სახელობით ბრუნვაშია:

мохк-бегор „მიწისძვრა“ (ჩეჩნ.); **лаьттаагар** (ინგუშ.);

малхбузе „დასავლეთი“ (ჩეჩნ.); **малхбузе** (ინგუშ.); წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები ფუძე გამოიყენება მხარეების აღსანიშნავად.

ატრიბუტული კომპოზიტების პირველ წევრად, ისევე, როგორც ქართულში შეიძლება წარმოდგენილი იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნისართი და რიცხვითი სახელი. ამ შემთხვევაშიც უფრო მრავალფეროვანი ფორმალური სტრუქტურა ამ ჯგუფს ახასიათებს.

(N+N)N ენდოცენტრული

ჩო1-sar „გოგონა“, სიტყვასიტყვით „ქალი ადამიანი“ (ინგუმ.);

ნანა-rlala „დედაქალაქი“, იდენტური ფორმები გვაქვს ჩეჩნურშიც და ინგუმურშიც, წოვათუმურში არ დასტურდება აღნიშნული კომპოზიტი.

სამსავე ნახურ ენაში მსგავსი წარმოების კომპოზიტებია გამოყენებული თითების სახელწოდებებად, ჩეჩნურ-ინგუმური საზიარო ფორმა: **ნანა-pielg** „ცერი“, სიტყვასიტყვით „დედა თითი“, წოვათუმური: **ნანტარკ** „ცერი“, სიტყვასიტყვით „დედა თითი“; **ნანაц1a** „სახლის მთავარი, საერთო ოთახი“, სიტყვასიტყვით „დედაოთახი“ (ინგუმ.)

ნაცრისფერის აღსანიშნავად კომპოზიტი მხოლოდ წოვათუმურში გამოიყენება: ორი არსებითი სახელისაგან შემდგარ კომპოზიტს დაერთვის მაზედსართავებელი სუფიქსი **აპყარზასიⁿ** „ნაცრისფერი“, სიტყვასიტყვით „ნაცარფერიანი“.

[N+N]N ეგზოცენტრული

богапхьид „კუ“, სიტყვასიტყვით „კოპი(ანი) ბაყაყი“ (ინგუმ.), **уьнт1апхьид** (ჩეჩნ.);

[AD]+N]N ენდოცენტრული

საინტერესოა, რომ კომპონენტთა მოცემული მიმდევრობა წოვათუმურში ენდოცენტრულ თხზულ სახლს გვაძლევს, ჩეჩნურ-ინგუმურში კი პირიქით:

ყერფსტუ „ქვრივი ქალი“ (წოვათუმ.);

წინუს „პატარძალი, რძალი“, სიტყვასიტყვით „ახალი რძალი“ (წოვათუმ.); **ყანდად, ყანდად** „ბერმამა, პაპა, ბაბუა“, სიტყვასიტყვით „მოხუცი მამა“ (წოვათუმ.);

[AD]+N]N ეგზოცენტრული

მეტაფორიზებული შინაარსის გამო, ვფიქრობთ, ქვემოთ მოცემულმა კომპოზიტებმა შეიძინა ეგზოცენტრული შინაარსი:

1აერჯხაჩ „შავქლიავა“, ქლიავის ერთ-ერთი ჯიში (ინგუმ.),
1აერჯა ხაჩ (ჩეჩნ.) სიტყვასიტყვით „შავი ქლიავი“;

ძ1ელერგ „იორდასალამი, მრავალწლოვანი მცენარის სახეობა“, სიტყვასიტყვით „წითელი ყური“ (ინგუმ.); **ძ1ენლერგ** (ჩეჩნ.);

კ1აბუძ „ჭანგა“, სიტყვასიტყვით „თეთრი ბალახი“ (ინგუმ.);

კ1აილერგ „თეთრი გვირილა“, სიტყვასიტყვით „თეთრი ყური“ (ინგუმ.);

აკხაკოტამ „სავათი, დიდი ზომის ფრინველი სავათისნაირთა რიგისა“, სიტყვასიტყვით „მსუქანი ქათამი“ (ინგუმ.);

1აერჯაბ1აერგ „ფურუნკული, სიტყვასიტყვით „შავი თვალი“ (ჩეჩნ.), ინგუმურში მეორე კომპონენტად სხვა ფუძე გვხვდება **1აერჯაკ1ად** – სიტყვასიტყვით „შავი ხალი“;

[NUM+N]N ენდოცენტრული

კხოკოგ “ზედადგარი“, სიტყვასიტყვით „სამი ფეხი“ (ინგუმ.),
კხოჲკოგ (ჩეჩნ.).

ახ-ბიყსა „შუალამე“, სიტყვასიტყვით „ნახევარი ღამე“ (ინგუმ.), ჩეჩნურში მის შესატყვისად არა კომპოზიტი, არამედ შესიტყვება გვხვდება: **ბუყსანან ჟუკჲ**, ჩეჩნურის მსგავსი ვითარებაა წოვათუმურშიც **აჟყმათ, ბჟისა**;

ბიყსა „დაირა“, სიტყვასიტყვით „ოთხი წახნაგი“ (ჩეჩნ.);

ცჰ-ანდიოხოზ „ნათესავი“ („ერთი(ს)+ხორცი(ანი“) (წოვათუმ.);

ცჰ-ანნაყი „თანამგზავრი, თანამავალი“ („ერთი(ს) გზისა“);

[PRON+N] N ენდოცენტრული

ვაიჩაჲ / **ვეიჩაჲ** – ჩეჩნები და ინგუმები, ვაინახები, სიტყვასიტყვით „ჩვენი ხალხი“ (ჩეჩნ., ინგუმ.).

კოორდინაციული კომპოზიტები, ტრადიციულად, მოიცავს ისეთ ერთეულებს, რომელთა შორის და კავშირი იგულისხმება:

[N+N]N

ქვემოთ მოცემული ატრიბუტული კომპოზიტების უმრავლესობაში ორი მეთაური სიტყვაა წარმოდგენილი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ისევე, როგორც ქართულში, მათი შინაარსი განზოგადებულია და დასულია ერთ ცნებამდე.

კოჩ-მაცა „ტანსაცმელი“, სიტყვასიტყვით „პერანგი-ფეხსაცმელი“ (ჩეჩნ.); **კოჩ-მაყჩი** (ინგუმ.);

кад-1айг „ჭურჭელი“, სიტყვასიტყვით „ფინჯანი-კოვზი“ (ჩეჩნ.), **кад-1аыг** ფორმით არის წარმოდგენილი ინგუშურში, წოვათუშურში არ დასტურდება მსგავსი კომპოზიტი, ჭურჭლის აღსანიშნად მარტივი ფუძე **ბუნაგ** გამოიყენება.

მარ-ფსტუ „ცოლ-ქმარი“, სიტყვასიტყვით „ქმარ-ცოლი“ (წოვათუშ.); **ди-бийса** „დღე-ღამე“ (ინგუშ.), **де-буьйса** (ჩეჩნ.), **დე-ბუისვა** (წოვათუშ.);

да-напа „დედ-მამა“, სიტყვასიტყვით „მამა-დედა“ (ჩეჩნ.), ინგუშურშიც იდენტური ფორმა ფიქსირდება **да-напа**, საინტერესოა, რომ წოვათუშურში შებრუნებული წყობა უფრო ხშირად გამოიყენება – **ნან-დად**, პარალელურ ფორმად გვხვდება **დად-ნან**.

дог-пах „შიგნულობა, შიგანი“, სიტყვასიტყვით „გულ-ფილტვი“ (ჩეჩნ.). ინგუშურში მოცემული სემანტიკის აღსანიშნად არ დასტურდება კომპოზიტი, აქ მარტივი ფუძეა წარმოდგენილი: **чураш** (ინგუშ.). წოვათუშურშიც კოორდინაციული კომპოზიტი გვაქვს, ოღონდ პირველ კომპონენტად ჩეჩნურისაგან განსხვავებით, „ღვიძლია“ გამოყენებული, თანაც, მეორე წევრი მრავლობით რიცხვში დგას: **დჰყე-ფჰათუდ** „ღვიძლ-ფილტვები“.

йиш(а)-ваша (ჩეჩნ.), **йиш(а)-воша** (ინგუშ.), **აშვაშრ** (წოვათუშ.) „და-ძმა“. როგორც ვაინახურ, ისე წოვათუშურ ენაში გვაქვს კომპონენტთა იდენტური მიმდევრობა. საყურადღებოა, რომ უმეტეს შემთხვევებში ის დასულია ერთ ცნებაზე და აღნიშნავს არა მაინცადამაინც დასა და ძმას, არამედ დედმამიშვილს. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ **და-ძმა**-ზე.

წოვათუშურის **დადბუყ** „ჩამომავლობა“ აგრეთვე კოორდინაციული კომპოზიტი უნდა იყოს, პირველი კომპონენტი აღნიშნავს მამას, მეორე კი თაობას.

ц1окъ-лом „ჯიქი“, სიტყვასიტყვით „ვეფხვ-ლომი“ (ინგუშ.).

აღსანიშნავია, რომ წოვათუშური ენის კოორდინაციულ კომპოზიტებში მეორე კომპონენტი ხშირად მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, რაც ნაკლებად გვხვდება ვაინახურ ენებში, მაგალითად, **ბატრ-ბაქი** „ცხვირ-პირი“, სიტყვასიტყვით „ცხვირ-პირები“, **ატყ-წაქი** „მშვილდ-ისარი“, სიტყვასიტყვით „მშვილდ-ისრები“.

ქართულისაგან განსხვავებით, ნახურ ენებში გრამატიკული კლასი არის ცოცხალი მორფოლოგიური კატეგორია. ახალი რთული სიტყვის წარმოქმნისას ერთმანეთს ხშირად სხვადასხვა გრამატიკულ კლასში შემავალი არსებითი სახელები უკავშირდებიან ერთმანეთს.

როგორ განისაზღვრება ამ შემთხვევაში კომპოზიტის გრამატიკული კლასი? რომელი წევრის ნიშანი იქნება გამოყენებული ფუძეთა შერ-თების შემდეგ? საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ მეთაური სიტყვის მო-რფოლოგიური მახასიათებლები არის წამყვანი და გადამწყვეტი, სწო-რედ მისგან იღებს კომპოზიტი თავის მორფოლოგიურ ნიშნებს, მაგრამ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. მით უმეტეს, თუ ავიღებთ ეგზოცენტრულ კომპოზიტებს, სადაც მეთაური სიტყვა წარმოდგენილი არ არის.

ისევე, როგორც, ზოგადად, ყოველთვის ნათელი არ არის სახელე-ბის გადანაწილება გრამატიკულ კლასებში, ასეა ეს კომპოზიტების შე-მთხვევაშიც, თუმცა გარკვეული კანონზომიერების გამოკვეთა მაინც ხერხდება.

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ტიპის კომპოზიტებში, რომლებიც ძირითადად ენდოცენტრულია, თხზული სახელი ყოველთვის იღებს მეთაური, ძირითადი სემანტიკის მატარებელი სიტყვის გრამატიკულ კლასს, მაგალითად, წოვათუშური **დაკ-ილარკ-ი** (გული-GEN-ყური-PL) „გულისყური, მეხსიერება“ მიეკუთვნება **ა** კლასს, ვინაიდან **ლარკ** „ყური“, რომელიც აქ მრ. რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და მოცე-მულ შემთხვევაში მეთაურ სიტყვას წარმოადგენს, მარკირებულია **ა** ნიშნით.

კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ტიპის კომპოზიტებში, რომლებშიც ყველა კომპონენტი უმეტესად თანაბარი მნიშვნელობისაა, განირჩევა რამდენიმე შემთხვევა. უმრავლეს შემთხვევებში რთული სახელი იღებს ბოლო კომპონენტის გრამატიკული კლასის ნიშანს, მაგ., **ბატრ-ბაქ-ი** „ცხვირ-პირი“ (ტუჩი-NOM-პირი-PL), შედის **ა** კლასში, რადგან მეორე კომპონენტი მრ. რიცხვში სწორედ ამ ნიშნითაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ, გვაქვს **ამშ-ვაშო** (წოვათუშ.) „დედმამიშვილი“ და მსგავ-სი ტიპის სახელები, რომლებიც არცერთი კომპონენტის ნიშანს არ იზიარებენ, არამედ მიეკუთვნებიან სხვა, მეოთხე **დ** კლასს. მიზეზი მათი ეგზოცენტრული შინაარსი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვით, ჭირს კოორდინაციული კომპოზიტების ენდოცენ-ტრული ქვეკლასის გამოყოფა **არსებით სახელებში**, მიუხედავად იმი-სა, რომ ზოგიერთი მათგანი განზოგადებულ შინაარსს იძენს კონტექ-სტის მიხედვით. ამგვარ კომპოზიტებში ორივე კომპონენტი თანაბარი მნიშვნელობისაა და მეთაური სიტყვაც წარმოდგენილი არ არის.

2. ქართულ და ნახურ (ჩეჩნურ, ინგუშურ, წოვათუშურ) ენათა კომპოზიციური სიტყვაწარმოების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

კომპოზიცია სიტყვაწარმოების უძველესი და პროდუქტიული საშუალება უნდა იყოს როგორც ქართულში, ისე ნახური ენებში. თითოეული ამ ენის სიტყვაწარმოების, კონკრეტულად კი კომპოზიტების შესახებ არაერთი მონოგრაფია თუ დისერტაცია დაწერილა, თუმცა მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი აქამდე არ ჩატარებულა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა თვალსაზრისი, რომ ქართულ ენას აქვს სიტყვაწარმოების უფრო მრავალფეროვანი სისტემა, ვიდრე ჩრდილო კავკასიურ ენებს, განსაკუთრებით ეს ითქმის დერივაციის შესახებ. ეს განსხვავება ამ ენათა ისტორიითაც უნდა იყოს განპირობებული, ქართულს, როგორც ძველ სამწერლობო ენას ახალ-ახალი ფორმების წარმოების უფრო მეტი საჭიროება ჰქონდა და თარგმანის დროს მეტ ერთეულებს სესხულობდა ან კალკურ თუ ჰიბრიდულ ფორმებს ქმნიდა.

ზოგადსაენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი სიტყვაწარმოების მორფოლოგიური საშუალებებიდან ქართულში გვაქვს შემდეგი:

- ✓ აფიქსაცია (პრეფიქსაცია, სუფიქსაცია და სახელთა ცირკუმფიქსებით წარმოება),
- ✓ რედუპლიკაცია;
- ✓ თხზვა – ძალიან მრავალფეროვანი სტრუქტურისა და შინაარსისა.

ნახურ ენებში გვაქვს მხოლოდ სუფიქსაცია თხზვასთან და რედუპლიკაციასთან ერთად, თუმცა ეს უკანასკნელი ნახურ ენებში ძალზე იშვიათად აწარმოებს არსებით სახელებს, უფრო ხშირად ის გამოიყენება ზედსართავი და რიცხვითი სახელების, აგრეთვე ზმნის, ზმნისართისა და შორისდებულის ფორმირებისათვის.

როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში, კომპოზიციური წარმოებისა შეიძლება იყოს არსებითი სახელები, რიცხვითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები და ზმნისართები ანუ ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი. ქართულში რამდენიმე ნაცვალსახელიც შეიძლება მივათვალოთ მათ რიცხვს.

მიჩნეულია, რომ სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებით პროდუქტიულია არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება. ნახურ ენებში რთული არსებითი და ზედსართავი სახელები თითქმის თანაბარი რაოდენობისაა, წოვათუშურში ზედსართავები მცირედ სჭარბობს კიდევ არსებით სახელებს, თხზვა კიდევ უფრო აქტიურია ნახურ ენათა ზმნებში. ჩეჩნურთან და ინგუშურთან შედარებით კომპოზიცია უფრო ხშირად გამოიყენება წოვათუშურში, რაც შეიძლება ქართულის გავლენითაც აიხსნას.

როგორც ქართული, ისე ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშური ენები აგლუტინაციურ ტიპს განეკუთვნება. მათი ზოგადი მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები, სახელდობრ ის კომპონენტები, რომლებიც თხზვაში იღებენ მონაწილეობას, ერთმანეთისაგან რადიკალურად არ განსხვავდებიან. ყოველ მათგანში გვაქვს განვითარებული ბრუნვათა სისტემა, მეტ-ნაკლებად მსგავსი ფუნქციებით, ამიტომ, სიტყვის წარმოქმნის გრამატიკულ მექანიზმში ბევრი საერთო იძებნება. მაგალითად, სუბორდინაციულ კომპოზიტებში პირველი წევრი ორივე ჯგუფის ენებში უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (ზოგჯერ მთლიანად, ზოგჯერ ნაწილობრივ დაკარგული ბრუნვის ნიშნით). როდესაც ამავე სახეობის მეორე წევრი ნაზმნარი სახელია ანუ პრედიკატული სინტაგმიდან მომდინარეობს, პირველი კომპონენტი სხვადასხვა ბრუნვაშია წარმოდგენილი, იმის მიხედვით, დამატება რა ტიპისაა.

ყველა მათგანისთვის ნიშანდობლივია, რომ მეთაური სიტყვა უმთავრესად მარჯვნივ ანუ მეორე / ბოლო კომპონენტადაა წარმოდგენილი, თუმცა შებრუნებული წყობაც გვხვდება არაგაბატონებული სახით.

ყველა საკვლევ ენაში ატრიბუტული სახეობის კომპოზიტებში მსაზღვრელის როლში შეიძლება მოცემული იყოს არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელი, სულ რამდენიმე შემთხვევაში კუთვნილებითი ნაცვალსახელიც. ქართულ ენასა და მის დიალექტებში ატრიბუტული კომპოზიტები ყველაზე მრავალფეროვანი სტრუქტურით ხასიათდება, გვაქვს, ყველა ის ფორმალური სახე, რაც ნახურ ენებშია და ამასთანავე, შებრუნებული ვარიანტებიც.

ქართული და ნახური ენების კომპოზიტების ფორმალურ-გრამატიკულ სტრუქტურაში სხვაობები თუ ნაკლებად თვალსაჩინოა, ამას ვერ ვიტყვით მათ სემანტიკურ სტრუქტურაზე. ასიმეტრიები ენდოცენტრული კომპოზიტების სასარგებლოდ გაცილებით დიდია ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშურ ენებში, ვიდრე ქართულში. შეიძლება, ით-

ქვას, რომ ნახური ენებში ჩვენ მიერ გამოყოფილი ეგზოცენტრული არსებითი სახელები, ასეთად ჩათვლილია მათი მეტაფორიზებული ბუნების ხარჯზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ეგზოცენტრული კომპოზიტები მეტია ზედსართავ სახელებში. ორივე ჯგუფის ენებში ეგზოცენტრული კომპოზიტების დიდი ნაწილი მცენარეთა სახელწოდებებზე მოდის, რომლებშიც ცხოველთა სახელებია წარმოდგენილი ერთ-ერთ კომპონენტად. ამ მხრივ ბევრი საერთო სემანტიკური მოდელია ქართულ და ნახურ ენებს შორის.

ეგზოცენტრული კომპოზიტების დიდი წილი ქართულში, ისევე და ისევე მისი ისტორიით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, სამწერლობო ენას უფრო ხშირად ჰქონდა მოვლენათა აბსტრაქტირებისა, მეტაფორიზების თუ მხატვრულობის საჭიროება.

ქვემოთ მოცემულია ქართული და ნახური ენების საერთო სტრუქტურულ-ფორმალური მოდელები:

[N+N]_n ოთხსავე ენაში ეს მიმდევრობა ქმნის ყველაზე დიდ ქვეკლასს.

ქ ა რ თ უ ლ ი:

ხევისთავი „სოფლის მიერ არჩეული მოხელე“; **ხელკეტი** „მოკლე კეტი“; **კარმიდამო** „ეზო და სახლი“; **კაცისშვილი** „ადამიანი, ადამიანის-შვილი“; **ფარ-შუბი** „ფარი და შუბი“; **ხელკალათა** „პატარა კალათა“ (იმერული); **ათისთავი** „სამაშვლო ფული“ (იმერული); **ბექთქონდარაყ** „ბალახოვანი მცენარე“ (თუშური); **კუხ-მაყვალი** „კუხისა და მაყვლის წვენი, საწებელი სუნელით შეზავებული“ (იმერული); **ბჰისკარი** „ჭიმკარი“ (ძველი ქართული); **ზადის-პირი** „საბელი“ (ძველი ქართული); **დისიძე** „დის ქმარი“ (ძველი ქართული); **მდდელმემსხუერპლეობა** „მღვდელმსახურება“ (ძველი ქართული); **ნათესავთ-ჩამომავლობა** „გენეალოგია“ და სხვ.

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი:

ატყ-წაქი „მშვილდ-ისარი“; **ბატრ-ბაქი** „ცხვირ-პირი“; **ბმარკა^წ ჩუინ^წ** „წამწამები“ (სიტყვასიტყვით „თვალთა ბეწვები“); **დადეშ^წ** „მამიდა“; **დადეშ^წ** „ბიძა“; **დად-ნან** „დედ-მამა, მშობლები“; **დამ^წ** „ნათესავი“; **დე-ბუდსვა** „დღე-ღამე“; **დე-ხა^წ** „დრო-ჟამი“; **იაშვაშო** „და-ძმა“; **იოჰ-ვოჰ** „ქალ-ვაჟი“; **იოჰქოტ^წ** „პირისახე“ და სხვ.

ჩ ე ჩ ნ უ რ ი:

და-ნანა „მშობლები“; **დე-ბუზ^წსა** „დღე-ღამე“; **ჩაი-ბეპიგ** „ჩაი და პური“; **კლანტ-იო^წ** „ქალ-ვაჟი“; **კოგ-კორტა** „თავი და ფეხი“; **მოტ-გლაზ^წბა**

„საწოლის აქსესუარები“ (სიტყვასიტყვით „საწოლ-ბალიში“); **чаборз** მამაკაცის საკუთარი სახელი („დათვი“ + „მგელი“); **блярг-цлоцкьам** „თვალ-წარბი“; **гlаз-кота** „ბატ-ქათამი“; **стун-ваша** „ცოლისძმა“; **стун-да** „სიმამრი“; **стун-йиша** „ცოლისდა“; **стун-нана** „სიდედრი“ და სხვ.

ი ნ გ უ შ უ რ ი:

уст-воша „ცოლისძმა“; **уст-да** „სიმამრი“ (სიტყვასიტყვით „ცოლის მამა“); **уст-йиша** „ცოლის და“; **уст-нана** „სიდედრი“ (სიტყვასიტყვით „ცოლის დედა“); **цленана** „დიასახლისი, ცოლი, მეუღლე“ (სიტყვასიტყვით „სახლის დედა“);

[AD]+N]N

ქ ა რ თ უ ლ ი:

კაიბიჭობა „სიყოჩაღე, სიმარჯვე, ვაჟკაცობა“; **კაიდლე** „დღეობა, დღესასწაული“; **კარგკაცობა** „კარგი კაცის თვისება“; **კეთილგონიერება** „კეთილგონიერის თვისება“; **კეთილგულობა** „იგივეა, რაც გულკეთილობა“; **კეთილდღეობა** „კარგი, ბედნიერი ცხოვრება“; **კეთილმეზობლობა** „კარგი მეზობლური ურთიერთობა“; **პატარზალ** „პატარძალი“ (ინგილოური); **შავკაბისტონი** „შავყურძნიანი ვაზის ერთ-ერთი ჯიშია“ (რაჭული); **შავსხალა** „ამ სახელით ცნობილია მსხლის სხვადასხვა ჯიშის; (რაჭული) და სხვ.

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი:

წინუს „პატარძალი, რძალი“; **ყანდად, ყანწ დად** „ბერმამა, პაპა, ბაბუა“; **ყანწან, ყანწ ნან** „ბერდედა, ბებია“; **ყერფსტუ** „ქვრივი ქალი“ და სხვ.

ჩ ე ჩ ნ უ რ ი:

ჩაьржа хьач „შავქლიავა“, ქლიავის ერთ-ერთინ სიტყვასიტყვით „შავი ქლიავი“;

ი ნ გ უ შ უ რ ი:

кlабуц „ჭანგა“, სიტყვასიტყვით „თეთრი ბალახი“ (ინგუშ.); **кlайлерг** „თეთრი გვირილა“, სიტყვასიტყვით „თეთრი ყური“;

[N+AD]N კომპონენტთა ეს მიმდევრობა ნახურ ენებში პროდუქტიულია ზედსართავი სახელების წარმოებისას. ძალიან იშვიათად გვხვდება მსგავსი შედგენილობის არსებითი სახელები. ქართულში ასეთი სტრუქტურის არსებით სახელებიც მრავლად გვაქვს და ზედსართავიც, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც სჭარბობს.

ქ ა რ თ უ ლ ი:

მამაბერი „მოხუცი კაცი, ბერიკაცი“; **ხელმწიფე** „სახელმწიფოს უმაღლესი გამგებელი“; **ხეთეთრი** „იგივეა, რაც ხვალო“; **ფებთეთრი** „რასაც თეთრი ფეხი აქვს“; **ფურბერწი** „ბერწიფური“; **ენაწკაპიაი** „ბალახია ერთგვარი, ენას სუსხავს“ (ინგილოური); **ბოლოშავი** „შაშვის ოდენა ჩიტი“ (იმერული); **ბალამწარა** „ველური ბალი“ (ძველი ქართული); **რმეჭრელი** „ადუღებულ, ცხელ რძეში ჩაყრილი ერბო“ (მოხეური); **ცა(მ)რგვალი** „ცის გუმბათი, კამარა“ და სხვ.

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი:

წელი „ახალი წელი“, **კორცმეტ** „ხორცმეტი“; **ბასახ-დ-ახენრ** „ფერწასული, ფერმკრთალი“; **ბაქბელინი** „პირმცინარე, კარგი გუნები-სა“; **დედაცუ** „დღემოკლე“; **ჯორდაწი** „ჯვარდაუწერელი“ და სხვ.

ჩ ე ჩ ნ უ რ ი:

mapna „ახალი წელი“ (სიტყვასიტყვით „წელი ახალი“) და სხვ.

[NUM+N]_N

ქ ა რ თ უ ლ ი:

ათისთავი „სამაშვლო ფული“ (იმერული); **ორმოსავაღე** „ლეღვის ჯიში“ (იმერული); **ორღობე** „სოფლის გზა“ (კახური); **ორღობეთი** „ორ ღობეს შორის მოქცეული გზა“ (იმერული); **სამთავი** „ლურსმნის სალესი რკინა“ (სამჭედლოში) (ზემო იმერული); **ორკელადინი** „ღვინის ჭურჭელი თიხისა“ (კახური); **ორკელა** „გუთნის ნაწილია“ (გუდამაყრული); **ორხელი** „თხილის ამოსაღები ხის ჭურჭელი“ (ზემო იმერული); **ოთხფოთოლაი** „მესამე სტადია აღმოცენებული კიტრისა“ (ინგილოური) და სხვ.

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი:

ცკ.აინდიოხო „ნათესავი“ (სიტყვასიტყვით „ერთხორცი“); **ცკ.აინნაყი** „თანამგზავრი, თანამავალი“ (სიტყვასიტყვით „ერთი გზისა“) და სხვ.

[ADV+N]_N

ქ ა რ თ უ ლ ი:

წინკარი; **ზედსიძე**; **ზედწოდება**, **ზესადგარი** „ურმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია“ (რაჭული); **ზეგაკვეთილი** „ისეთი რაოდენობა, რაც დამტკიცებული განაკვეთით არ არის გათვალისწინებული“; **ზეგანი** „ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობი“ და სხვ.

ნახურ ენებში კი შებრუნებული წყობა უფრო პროდუქტიულია, ზმნისართი მეორე წევრადაა წარმოდგენილი:

пхьарскIелo „იღლია“, სიტყვასიტყვით „მკლავის ქვეშ“ (ჩეჩნ.), მსგავსივე წარმოება გვაქვს წოვათუშურში, არსებით სახელს დაერთვის ზმნისართი – **ტოტკიკლა**, სიტყვასიტყვით „ხელის ქვეშ“.

гIодаюкь „წელი (ანატ.)“, სიტყვასიტყვით „ტანი შუა“ (ჩეჩნ.), **гIадаюкь** (ინგუშ.). საინტერესოა, რომ წოვათუშურში მხოლოდ მეორე კომპონენტი (სავარაუდოდ კლასის ნიშანდართული), ზმნისართი გამოიყენება აღნიშნული სემანტიკის გადმოსაცემად – **ხუყ**.

букьатехк „ხერხემალი“, სიტყვასიტყვით „წელის უკან“ (ინგუშ.), **букьсурт** (ჩეჩნ.);

[N+PTCP]_N

ქართულში ეს მიმდევრობა ბუნებრივია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელების საწარმოებლად, ნახურ ენებში კი უფრო ზედსართავების შემთხვევაში.

ქ ა რ თ უ ლ ი:

კბილანმჭრელი „კბილანების მჭრელი“; **ხედმძებნი** „ფოტოაპარატის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ობიექტის მიმართავენ გადასაღებ ობიექტზე“; **თაყვანისმცემელი** და სხვ.

მხოლოდ ნახურ ენებში გვხვდება ნაცვალსახელი თხზული არსებითი სახელის კომპონენტად ისიც თითო-ოროლა შემთხვევაში [POSS+N]_N **ვანახ** – ვანახები, სიტყვასიტყვით „ჩვენი ხალხი“.

ერთ-ერთი თვალსაჩინო განმასხვავებელი ქართული რთული სიტყვებისა ნახურისაგან არის ის, რომ ქართულში უხვად გვხვდება იდიომატური შინაარსის ისეთი კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტის მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია, შეძენილი აქვს მთლიანად ახალი სემანტიკა და ამდენად შეუძლებელია კომპონენტების მიხედვით შინაარსის გამოცნობა. ამგვარი თხზული სახელები განსაკუთრებით უხვად გვხვდება დიალექტებში. მაგალითად, **დედაფუტკარა** „ჭინჭრისდედა, მინდვრის ფხალი“ (იმერული); **თაგვისკბილაი** „ძირმაგარას მსგავსი, მტკივნეული მუწუკი“ (გურული); **თაგადასაგდები** „ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული ან რაიმე ნივთი“ (იმერული); **თაგადასახურავი** „მიცვალებულის ჭირისუფლისათვის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან“ (იმერული); **გუდაფშუტა** „ნაყოფის თესლი, გაფუჭებული და მტვრად ქცეული“

(კახური); **გუდაფხაკუნა** „ადგილის სახელი მარტყოფში“ (ფერეიდუნ-შაჰინი) (ფერეიდნული); **გულიკმა** „მეხსიერება“ (კახური); **თმისაზდე-ლაი** „ხრტილი“ (ჩვენებურების ქართული); **პირისანახავი** „მოსალოცავი, თავგადასაგდები“ (კახური); **ხელმუხლი** „თოფის სროლა ხელის მუხლზე დაყრდნობით“ და სხვ.

ქართულში კომპოზიტი შეიძლება შედგებოდეს ორი ან ორზე მეტი ნაწილისაგან, ნახურ ენების სახელურ კომპონენტებში კი მხოლოდ ორკომპონენტის რთული სიტყვები გვაქვს. ამასთანავე ჩანს, რომ ნახურ ენებში სახელურზე მეტად აქტიურია ზმნური კომპოზიცია.

ნახურ ენათაგან ჩეჩნურსა და ინგუშურს აქტიური კონტაქტი აქვს რუსულ ენასთან (უფრო ადრე ჰქონდა არაბულთან), წოვათუშურს (ზაცხურს) კი ქართულთან, რის გამოც ძალზე აქტიურია ამ ენებში ინტერფერენციული პროცესები და სიტყვათა სესხება; ძალზე უხვად გვხვდება ე.წ. ჰიბრიდული ნასესხობები, სადაც რთული სიტყვის ერთი კომპონენტი ნასესხებია, მეორე კი საკუთარი. მაგალითად:

წოვათუშური:

დე-ბუისვა „დღე-ღამე“; **წელტი** „ახალი წელი“; **წეს-ზოს** „წეს-ჩვევა“; **ყა - მადელ** „ცოდვა- მადლი“; **ქორთო-ბოლრ** „თავ-ბოლო“; **იუხ-წადმ** „წალმა-უკუღმა“; **ლაჩ-აღმართ** „აღმართ- დაღმართი“ და სხვ.

უფრო ხშირია კომპოზიტის მთლიანად სესხება, ყველა კომპონენტით. მაგ., **დისწულ** „დისწული“; **ერკვერცხ** „ერბოკვერცხი“; **თავ-თავ** „თავთავი“; **კათათ(ვ)** „მკათათვე“; **ნათლდედ** „ნათლიდედა“; **ნათლმამ** „ნათლიმამა“; **ქინძისთავ** „ქინძისთავი“; **ქრიშობ** „ქრისტეშობა“; **ღვთისშობელ** „ღვთისმშობელი“; **ღვთისწყალობ** „ღვთისწყალობა“; **ხელფას** „ხელფასი“; **ხელქვეით** „ხელქვეითი“; **ხელწერილ** „ხელწერილი“; **ხე-ტყ** „ხე-ტყე“ და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში უფრო მოგვიანო პერიოდისაა და კულტურულ ნასესხობებს წარმოადგენს, მაგ.: **ვაქცინოთერაპია**, **ველოდრომი**, **ველოსპორტი**, **ვენდისპანსერი**, **ზოოგეტერინარი**, **კაპელმეისტერი**, **კინოარტისტი**, **კინომსახიობი** და უამრავი სხვა.

ძველ ქართულში კომპოზიტთა უმეტესობა ბერძნულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან ან სომხურიდანაა შეთვისებული, მაგ., **ამირსპასალარი** „მხედართმთავართა უფროსი“; **ასურასტანეთი** „ასურეთი, სირია“; **არქედიაკონი** „პირველდიაკონი“; **გორგ-ასლან** „მგელ-ლომი“; **გურჯი-ბოღაზი** „საქართველოს ყელი“; **ნიორაკთ-მოდლუარი** „ჯალათთა მეთაური“; **მშვილდ-კაზარჭი** „მშვილდი და ისრების ჩასაწყობი ბუდე“ და სხვ.

ჩეჩნურსა და ინგუშურში გვაქვს როგორც არაბულიდან და სპარსულიდან, ასევე რუსულიდან ნასესხები მთლიანი კომპოზიტი ან მისი რომელიმე ნაწილი. მაგალითად:

ჩეჩნური: **салам-маршала** „მისალმება“; **хан-жама** „დრო-ჟამი“; **стол-глант** „ავეჯი“ (სიტყვასიტყვით „მაგიდა-სკამი“) და სხვ.

ინგუშური: **истол-глант** „ავეჯი“ (სიტყვასიტყვით „მაგიდა-სკამი“) და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენდოცენტრულობა, ეგზოცენტრულობა არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი კომპოზიტთა კლასიფიკაციისა, რაც გულისხმობს მეთაური სიტყვის არსებობას ან არარსებობას რთული სიტყვის სტრუქტურაში.

სქემატურად კომპონენტთა შორის არსებული ურთიერთობა შეიძლება ასე გამოისახოს: AB არის (a)B – ენდოცენტრულ კომპოზიტებში. მაგ., **დედააზრი**, მოცემულ სიტყვაში მეთაური სიტყვა არის **აზრი**, ხოლო **დედა** უბრალოდ გასაზღვრავს მას. ასეთივეა **ხელნაწერი**, **ხევისთავი**, **ვაჟიშვილი** და სხვ. ეგზოცენტრულობის შემთხვევაში კომპოზიტის არცერთი კომპონენტი არ წარმოადგენს მეთაურ სიტყვას, არცერთი მათგანი არაა ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი, რთული სიტყვის მნიშვნელობა არ დაიყვანება ცალკეულ კომპონენტთა მნიშვნელობაზე, მაგ., **მამაკალია** „მცენარის სახეობა“; **ათისთავი** „სამაშვლო ფული“ (იმერული); რაც მნიშვნელოვანია, ენდოცენტრულობა და ეგზოცენტრულობა შესაძლოა დამახასიათებელი იყოს კომპოზიტთა ყველა ჯგუფისათვის. მაგ., ატრიბუტული **დედააზრი** ენდოცენტრულია, მაგრამ ატრიბუტული **მამაკალია** ეგზოცენტრული. ხშირად ექვევემ დგება კოორდინაციულ კომპოზიტებში მეთაური სიტყვის არსებობის საკითხი, მაგრამ ქართულში ის ნამდვილად დასტურდება, მაგ., **ზღაპარ-კომედია** არის კომედიად გადაკეთებული ზღაპარი და ერთგნებიანი კომპოზიტია; **ვაგონ-რესტორანი**, **სახლ-მუზეუმი** ამავე, ენდოცენტრული, ტიპისაა. **ვაგარ-ხელოსნები**, **ვენახ-ყანები** კი ეგზოცენტრული და ორცნებიანი. ქართულ კომპოზიტში მეთაური სიტყვა ყოველთვის მარჯვნივ არის განთავსებული, რაც ტიპოლოგიურად ყველაზე ხშირი მოვლენაა მსოფლიოს სხვადასხვა ენაში, თუმცა გამონაკლისის სახით ქართულშიც გვხვდება კომპოზიტის პირველი, მარცხენა კომპონენტი მეთაურ სიტყვად.

საკვლევ ენებთან დაკავშირებულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად რედუპლიკაციას კომპოზიციის ნაირსახეობად განიხილავენ, ზოგჯერ კი, უცხოენოვან ლიტერატურაში ის მიჩნეუ-

ლია დამოუკიდებელ ტიპად. ფუძის გაორკეცება გავრცელებულია ქართულ და ნახურ ენათა როგორც სახელებში, ისე ზმნებში. ფუძის გაორკეცება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: მარტივი, თანხმოვნის დისიმილაციით, თანხმოვნის ჩავარდნით, ხმოვნის შენაცვლებით და დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით. ა. შანიძის თვალსაზრისით, გაორკეცების გზით არის მიღებული ისეთი სახელები, როგორცაა: **მა-მა, დე-და, პა-პა, გო-გო, ძუ-ძუ, წამ-წამი, თავ-თავი**, ფრინველთა სახელები **კაჭ-კაჭი, ლაკ-ლაკი, ყაპ-ყაპი**, ბალახების სახელები: **ია-ია, მყრალა-მყრალა** და სხვ. აგრეთვე, **ობ-ობ-ა, ჯო-ჯო** და მრავალი სხვა. როგორც ემპირიული მასალა გვიჩვენებს, ნახურ ენათათვის ფუძის გაორკეცება უფრო ზმნათა და ზმნისართთა საწარმოებლად გვხვდება, არსებით სახელებთან ძალზე იშვიათად, ისიც ქართულიდან არის ნასესხები. მაგ., წოვათუშური **წამწამ** „წამწამი, წარბი“, **კარკარ** „ნიკაპი“ და სხვ.

ამრიგად, ქართული და ნახური ენების კომპოზიტთა სტრუქტურა მეტწილად ერთგვარია, თუმცა, ქართულში უფრო აქტიურია არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება, ნახურში კი ზედსართავებისა და ზმნების. მთავარ ქვეკლასს ყველა ამ ენაში წარმოადგენს ენდოცენტრული რთული სიტყვები, სადაც კომპონენტთა განლაგება თითქმის იდენტურია.

იდიომატური შინაარსის კომპოზიტები ქართულ და ნახურ ენებში. თხზული სახელების სემანტიკური გამჭვირვალობა ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სფეროა. როგორც საკვლევი მასალის ანალიზი აჩვენებს, კომპოზიტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს სრულად გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე ანდა ბუნდოვანი. შინაარსობრივად ნახევრად ან სრულად ბუნდოვან რთულ სახელებს იდიომატურსაც უწოდებენ ხოლმე. იდიომატურ კომპოზიტებს ეგზოცენტრულის ერთ-ერთ სახეობადაც განიხილავენ ხოლმე, თუმცა ისინი ყოველთვის არ არის იგივეობრივი.

ამერიკელი ლინგვისტი უ. ლებენი გვთავაზობს ამგვარ კომპოზიტთა მნიშვნელობის აქტივაციის სამ შესაძლო გზას:

1. ასეთი სიტყვები მორფოლოგიურად არ იშლება;
2. ბუნდოვანი შინაარსის მქონე რთული სიტყვები არ არის ორგანიზებული იმავენაირად, როგორც გამჭვირვალეები;
3. კავშირი სიტყვის კომპონენტებს შორის მენტალურ სივრცეში არის ძალიან სუსტი, თუკი საერთოდ არის.

კომპოზიტთა უმრავლესობა როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში გამჭვირვალე შინაარსისაა, მოტივირებულია მათი თხზვა და ამდენად, არაიდიომატური შინაარსის მატარებელია. მათი უმეტესობის ში-

ნაარსის მიხედვით ადვილად შესაძლებელი შემადგენელი კომპონენტების სემანტიკის მიხედვით, მაგრამ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შინაარსი სრულად ან ნაწილობრივ გაბუნდოვანებულია და შემადგენელი ნაწილები არავითარ გასაღებს არ გვაძლევს მთლიანი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საბოლოო შინაარსი არ წარმოადგენს კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამს. ზოგიერთის მნიშვნელობა შეიძლება ერთგვარად ალოგიკურადაც კი გამოიყურებოდეს. ასეთ თხზულ სახელებს იდიომატურს უწოდებენ. ეს სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. შესაძლოა კომპოზიტის ერთ-ერთმა ნაწილი გახდეს არამოტივირებული და თანამედროვე ენაში განსხვავებული შინაარსით გამოიყენებოდეს.

როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ამგვარი კომპოზიტები ლექსიკის გარკვეული ჯგუფისთვის მეტად არის დამახასიათებელი. როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში, იდიომატური შინაარსის თხზული სახელები ძირითადად მცენარეთა სახელწოდებებისა და ტოპონიმების სახელდებისათვის გამოიყენება, ნაკლებად სხვა შემთხვევებში. ამასთანავე ბევრი მათგანი გაარსებითებული ზედსართავი სახელია.

ჩვენთვის განსაზილველ ყველა ენაში იდიომატური შინაარსის კომპოზიტები გვხვდება როგორც სუბორდინაციულ, ისე კოორდინაციულ და კოპულატიურ ერთეულებში.

იდიომატური შინაარსის კომპოზიტები ყველაზე პროდუქტიული ქართული ენის დიალექტებში ჩანს, ყველაზე მცირედ კი წოვათუშურ ენაშია წარმოდგენილი, რაც შესაძლოა ენის სპეციფიკური მდგომარეობით იყოს გამოწვეული. როგორც ცნობილია, წოვათუშური უდამწერლობო ენაა, ამასთანავე, გადაშენების პირას მყოფი და მისი ლექსიკური ფონდი ქართულის განუზომლად დიდ გავლენას განიცდის, ბევრი სიტყვა ფიქსირების გარეშე, უკვალოდ გამქრალია.

საერთო სემანტიკურ მოდელები ქართულ და ნახურ ენებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხზვა არის უნივერსალური ლინგვისტური მოვლენა. იგი მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ყველა ენაში გამოიყენება ლექსიკური ფონდის გასამდიდრებლად. ხშირად ვხვდებით უნივერსალურ სემანტიკურ მოდელებსა თუ ტიპოლოგიურ მსგავსებებსაც, განსაკუთრებით კი ერთი რეგიონის, ერთი კულტურული თუ გეოგრაფიული სივრცის ენებში, რომელთა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების ასპექტები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები მეტად ჩამოჰგავს ერთმანეთს დროის გარკვეულ პერიოდში მაინც.

კომპოზიციები, რომლებიც თავიანთი ბუნებით ახლოს დგანან მყარ შესიტყვეებთან და იდიომებთან, განსაკუთრებით ადვილად ირეკლავენ ყოველივე ზემოთქმულს და მდიდარ მასალას იძლევიან საანალიზოდ.

კავკასიური ენებშიც დერივაციის გვერდით, როგორც სახელური, ისე ზმნური კომპოზიცია ძალზე აქტიურია. ერთ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები, ერთი მსოფლადქმის მქონე და კულტურულ-ენობრივად მონათესავე ხალხის მეტყველების ფაქტები, ცხადია, მეტ მსგავსებასა თუ საერთოს ავლენს.

როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ-ინგუშურსა და წოვათუშურ ენებში კომპოზიციის ერთ-ერთ ნაწილად ხშირად გამოყენებულია **დედა**. ყველა ზემოთ დასახელებულ ენეში მას ერთი და იგივე სემანტიკა შემოაქვს. დაერთვის არსებით სახელს და წარმოადგენს მის განსაზღვრებას. აღნიშნავს „ძირითადს“, „არსობრივს“, „მთავარს“. ქართულის მსგავსად, ნახურშიც იგი მოცემულია რთული სახელის მარცხენა, პირველ კომპონენტად, მეორე, მარჯვნივ მდებარე ნაწილი კი მეთაურ სიტყვას წარმოადგენს. მაგალითად:

ქ ა რ თ უ ლ ი:

დედაბოძი „ბანიანი სახლის შუაზე, კერასთან დასმული დიდი დაჭრელებული ბოძი“ (კახური);

დედააზრი „ძირითადი, მთავარი აზრი“;

დედაარსი „მთავარი არსი, არსებითი მხარე“;

დედანერვი „მთავარ, ძირითადი ნერვი“;

დედაქალაქი „სახელმწიფოს მთავარი ქალაქი“;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი დ ა ი ნ გ უ შ უ რ ი: **нанацIа** „საერთო, საოჯახო, ძირითადი ოთახი“; **нанацIелг** „ცერი (დიდი, მთავარი) თითი“; **нанацIаIа** „დედა ქალაქი, მთავარი ქალაქი“;

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი: **ნანატარკ** „ცერი“, სიტყვასიტყვით „დედათითი“.

ამასთანავე, ზოგიერთი კომპოზიტი, რომელიც მეორე კომპონენტად **ნან** („დედა“) სიტყვას შეიცავს, ძველ რწმენა-წარმოდგენათა ამსახველია. ჩეჩნური და ინგუშური: **хиннана** „წყლის დედა“, **латтанана** „მიწის დედა“, **стигалнана** „ზეცის დედა“ და სხვ. შეიძლება შევადაროთ ქართულის **გუთნიდედა** „გამოცდილი მეგუთნე, გუთნის მმართველი“ (კახური), **ადგილის დედა** და სხვ. (ეს უკანასკნელი არაკომპოზიტიური წარმოებისაა, თუმცა სემანტიკა მსგავსია).

თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ მცენარეთა სახელდებისათვის ყველა საკვლევ ენაში ხშირად გვხვდება ისეთი კომპოზიტები, რომელთა ერთი ნაწილი ცხოველის აღმნიშვნელია, მათ შორის ყველაზე ხშირია **ვირი, ცხენი, კატა**; ნახურ ენებში, შესაბამისად, **ვირ, დინ//გოვრ, ძიციტ//ძისკ** ლექსემების შემცველი ერთეულები. არაიშვიათად ისინი ერთსა და იმავე მცენარესაც აღნიშნავს. მაგალითად:

ქ ა რ თ უ ლ ი :

ცხენისკუდა „ფართოდ გავრცელებული ერთწლიანი სარეველა ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა“;

ცხენისტერფა „იგივეა, რაც ვირისტერფა“;

ცხენისკბილა „თეთრყვავილიანი ბოლქვიანი მცენარე; გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტენიან ადგილებში; დეკორაციულია“ 2. სიმინდის ერთ-ერთი ჯიში;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი და ი ნ გ უ შ უ რ ი :

გოვრბუც „ბალახის სახეობა, სიტყვასიტყვით „ცხენის ბალახი“;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი : **გოვრმერვ** „ბალახის სახეობა: შვიტა“, სიტყვასიტყვით „ცხენის ტკბილა“; ი ნ გ უ შ უ რ ი : **მერვბუც** სიტყვასიტყვით „ტკბილი ბალახი“;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი : **დინბერგ** „მრავალპარღვა“, სიტყვასიტყვით „ცხენის ჩლიქა“; ი ნ გ უ შ უ რ ი : **დინბარგ // გოვრბარგ**; ჩ ე ჩ ნ უ რ ი : **დინკხელ** „მჟაუნა“, სიტყვასიტყვით „ცხენის საჭმელი“; ი ნ გ უ შ უ რ ი : **დინკხალ**;

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი : **დონიბუც**, სიტყვასიტყვით „ცხენის ბალახი“.

ქ ა რ თ უ ლ ი :

ვირისკუდა „მცენარეა; იგივე ჯიქა“;

ვირისტერფა „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე“ (რთულყვავილოვანთა ოჯახისა);

ვირისპიტნა „ტენიან ადგილებში გავრცელებული ველური პიტნა“;

ვირისძუა - „ერთგვარი ბალახი, ძაფივით გრძელი და წვრილი“;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი : **ვირნეხჩა** სოკოს სახეობა (სიტყვასიტყვით - ვირის ყველი); ი ნ გ უ შ უ რ ი : **ვირნახჩ**.

ქ ა რ თ უ ლ ი :

კატაბალახა „რთულფოთლებიანი სამკურნალო მცენარე, რომელსაც თეთრი ოდნავ მოვარდისფრო პატარა ზომის ყვავილები აქვს“;

კატაზარდა „ტყეებში ფართოდ გავრცელებული ბუჩქი, რომელსაც გრძელი მცოცავი ღეროები, მოპირდაპირე ფოთლები და თეთრი ან სოსანი ყვავილები ახასიათებს“;

ჩ ე ჩ ნ უ რ ი: **цициганкомар** „მალყურმენა“ (სიტყვასიტყვით „კატის ჟოლო“), ი ნ გ უ შ უ რ ი: **циска комар**; ჩ ე ჩ ნ უ რ ი: **цицигц1ога** „ბალახის სახეობა, სიტყვასიტყვით „კატის კული“, ი ნ გ უ შ უ რ ი: **циска ц1ога**;

წ ო ვ ა თ უ შ უ რ ი: **კოტიმულ** („კატის კული“).

ნათესაობის კომპოზიტიური ლექსიკა თითოეულ განსახილველ ენაში ერთგვარი წარმოებისაა, უმრავლესობა სუბორდინაციული ენდოცენტრული კომპოზიტია.

ქართული და ნახური ენების რთული სიტყვების შემადგენელ ნაწილთა მიმდევრობა რიგ შემთხვევებში არ მიჰყვება ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკა იდენტურია. მაგალითად, შევადაროთ:

ქ ა რ თ უ ლ ი: **ცოლ-ქმარი**, ნ ა ხ უ რ ი: **მარ-ფსტუ, мар-сту** (ქმარი+ცოლი).

ქ ა რ თ უ ლ ი: **დედ-მამა**; ნ ა ხ უ რ ი: **დად-ნან, да-нан** (მამა+დედა)

ქ ა რ თ უ ლ ი: **გულ-ღვიძლი**, ნ ა ხ უ რ ი: **დბეა-დოკი//до1ах-дог** (ღვიძლი+გული);

ქ ა რ თ უ ლ ი: **თვალ-ყური**, ნ ა ხ უ რ ი: **ლარკ-ზჰარკ, лерг-б1аьрг** (ყური+თვალი);

უფრო ხშირად კი კომპოზიტთა კომპონენტების მიმდევრობა იდენტურია:

ქ ა რ თ უ ლ ი: **საკმელ-სასმელი, ჭამა-სმა**; ნ ა ხ უ რ ი: **დაყმაღარ, даყ-მელარ**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **დღე-ღამე**, ნ ა ხ უ რ ი: **де-буьйса**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **და-ძმა**, ნ ა ხ უ რ ი: **ძაშ-ვაშორ, дша-ваша**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **ქალ-ვაჟი**, ნ ა ხ უ რ ი: **აოჰ-ვოჰ; х01-к1ант**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **ქმარ-შვილი**, ნ ა ხ უ რ ი: **მარ-ზადერ, майра-бер**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **ცხვირ-პირი**, ნ ა ხ უ რ ი: **მარლ-ზაქი, мара-барт**;

ქ ა რ თ უ ლ ი: **ხელ-ფეხი**, ნ ა ხ უ რ ი: **ტოტ-ქოკი, куьг-ког**.

როგორც ქართულ, ისე ნახურ ენებში ერთ-ერთ კომპონენტად ხშირად გამოყენებულია სომატური სახელები: **თვალი, გული, ხელი, ფეხი, თავი**, მაგრამ, ქართულისაგან განსხვავებით, ჩეჩნურ-ინგუშურ-

წოვათუშურ ენებში ისინი ნაკლებად ან თითქმის არ მონაწილეობენ არსებითი სახელის თხზვაში, ზედსართავების წარმოებისას კი ძალიან პროდუქტიულია.

3. ქართული და ნახური ენების კომპოზიტთა სტრუქტურისა და სემანტიკის შედარება კავკასიის სხვა ენებთან, ტიპოლოგიური და არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კომპოზიტთა წარმოება, მათი სტრუქტურა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ენის შინაგან ბუნებასთან. იგი აირეკლავს ენის როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ მახასიათებლებს. ამ მხრივ, ქართული და ნახურ-დაღესტნური ენები მეტ საერთოს გვიჩვენებენ, ვიდრე აფხაზურ-ადიღური ენები. არაერთი ავტორი მიუთითებდა დასავლურ-კავკასიური ენების სტრუქტურის თავისებურებებზე სხვა კავკასიურ ენებთან მიმართებით. დასავლურ კავკასიური ენები აღმოსავლურის მსგავსად, აგლუტინაციურია, მაგრამ მკვეთრად გამოხატული პოლისინთეზური ელემენტებით. თვალსაჩინო განსხვავებებია თავად აფხაზურ-ადიღურ ენების შიგნითაც. სახელის მთელი რიგი მორფოლოგიური მახასიათებლები, მაგ., გრამატიკული კლასისა და ბრუნების კატეგორიები, ამ ენებს არაერთგვაროვანი აქვს დღეს.

ცხადია, გვხვდება ბევრი უნივერსალია და ტიპოლოგიური მსგავსებანიც. რაღა თქმა უნდა, იმ ენებში, სადაც მორფოსინტაქსური სიმეტრია გვაქვს, სტრუქტურული მსგავსება უფრო დიდია. საინტერესოა, სახელდობრ როგორ აისახება რთული სიტყვის წარმოქმნაზე ენათა განსხვავებული მორფო-სინტაქსური მახასიათებლები, როგორ აღიბეჭდება ის კომპოზიტის ფორმალურ და სემანტიკურ სტრუქტურაზე.

კომპოზიტთა უმრავლესობა შეკუმშულ სინტაგმას ან წინადადებას წარმოადგენს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათი ანალიზი უფრო რთულია, ვიდრე წინადადების ან ფრაზის, რადგან თხზული სახელის წარმოქმნისას ფრაზიდან ამოშლილია პრედიკატი ან სხვა წევრი. ამის შედეგად რიგ შემთხვევებში გრამატიკული სტრუქტურა გაბუნდოვანებულია, პირვანდელი სემანტიკა კი დაჩრდილული.

კავკასიაში, გარდა ენდოგენურისა, სხვა არაერთი ოჯახის ენაა წარმოდგენილი: ინდო-ევროპული, თურქულ-ალთაური, სემიტური და ა. შ.

მოცემულ ეტაპზე თავად კავკასიურ ენათა სტრუქტურაც განსხვავდება ერთმანეთისაგან ქვეჯგუფების მიხედვით. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ სამ ან ოთხ ქვეჯგუფად ჰყოფენ ხოლმე. ესენია ქართველური, აფხაზური-ადილური, ნახური და დაღესტნური ენები. ამ უკანასკნელთ ხშირად ერთ, ნახურ-დაღესტნურ ქვეჯგუფში ათავსებენ.

მნიშვნელოვანია, რომ ოთხივე ქვეჯგუფის ენები აგლუტინაციურ ტიპს განეკუთვნება ანუ ამა თუ იმ გრამატიკულ მნიშვნელობას უმთავრესად ერთი სათანადო აფიქსი გადმოსცემს. აგრეთვე, როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, გრამატიკული კლას-კატეგორიები ყველა კავკასიური ენისთვის უნდა ყიფილიყო დამახასიათებელი. მათ გააჩნდათ ზმნასთან, მიმღეობასთან, მასდართან, ზედსართავ და რიცხვით სახელებთან შეთანხმების უნარი. „გრამატიკული კლას-კატეგორია უნივერსალური მორფოლოგიური კატეგორია იყო ყველა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენაში; ის გამსჭვალავდა მთელ მორფოლოგიას“ – წერს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1979: 134). სინქრონიულ დონეზე ენათა ნაწილში აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია მოშლილია.

კომპოზიტთა კვლევისთვის რელევანტურია აგრეთვე ბრუნვის კატეგორიაზე და ცალკეულ ბრუნვათა ფუნქციებზე დაკვირვება. ამ შემთხვევაშიც სინქრონიულ დონეზე განსხვავებული ვითარება გვაქვს ქვეჯგუფებს შორის. მაგალითად, ერთი მხრივ გვაქვს დასავლურ კავკასიური – აფხაზური-ადილური ენები, რომლებსაც ბრუნება საერთოდ არ გააჩნიათ ან სუსტად აქვთ განვითარებული და, მეორე მხრივ, გვაქვს ქართველური, ნახური და დაღესტნური ენები მრავალფეროვანი და რთული ბრუნების სისტემით.

ამრიგად, შესიტყვებებს შორის სინტაქსური კავშირი ბრუნვის ან გრამატიკული კლას-კატეგორიის საშუალებით ფორმდება კავკასიურ ენათა უმრავლესობაში, ზოგიერთ მათგანში კი შეიძლება ორივე თანადროულად იყოს გამოყენებული.

საინტერესოა, რა სტრუქტურულ თავისებურებებს ავლენენ სინტაგმები თითოეულ განსახილველ ენაში. შესიტყვების ორი ძირითადი სახეობა გამოიყოფა: სახელებისაგან შემდგარი – ატრიბუტული და სახელისა და ზმნის კომბინაციით მიღებული – პრედიკატული. თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ამ ენებში კომპოზიტთა წარმოქმნაში მხოლოდ სახელები ან ზმნა არ იღებს მონაწილეობას, საკმაოდ პროდუქტიულია ზმნისართოვანი წარმოებაც.

სუბორდინაციული კომპოზიტების ნაწილი პრედიკატული სინტაგმიდან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში ერთმანეთს რომელიმე ბრუნვაში მდგარი არსებითი და ნაზმნარი სახელი უკავშირდებიან. ამგვარი შესიტყვების ხასიათი ზმნის მორფოლოგიურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მასდართან ან მიმღეობასთან დაკავშირებული სახელი იმ ბრუნვაშია წარმოდგენილი, რომელსაც ზმნა მოითხოვს შინაარსის შესაბამისად. როგორც წესი, მოცემული სტრუქტურის სუბორდინაციული კომპოზიტის პირველი კომპონენტი შეიძლება ყველა იმ ბრუნვაში იყოს წარმოდგენილი, რომელიც განკუთვნილია პირდაპირი, უბრალო და ირიბი დამატებისათვის ან სუბიექტისთვის კონკრეტულ ენაში.

სახელურ სინტაგმაში მსაზღვრელი დამოკიდებულია საზღვრულზე. ყველა კავკასიურ ენაში, სადაც ნათესაობითი ბრუნვაა, პროდუქტიულია მისი გამოყენება მსაზღვრელის გასაფორმელად სუბორდინაციული კომპოზიტების ნაწილში. კოორდინაციულ ქვეჯგუფში რთული სიტყვის კომპონენტები მხოლოდ ერთი ბრუნვის, სახელობითის ფორმით არიან წარმოდგენილნი.

ქართული და ნახური ენების თხზულ სახელთა სტრუქტურა მეტსიახლოვეს ამჟღავნებს დაღესტნურ ენებთან, ვიდრე აფხაზურ-ადიღურთან. დაღესტნურ ენათა უმეტესობაში მეტყველების ნაწილები, რომლებიც რთული სიტყვის შედგენაში იღებენ მონაწილეობას, თითქმის იგივეა, რაც ცენტრალურ კავკასიურში, თუმცა მათი პროდუქტიულობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ასევე, განსხვავებულია კომპოზიციით მიღებული მეტყველების ნაწილების რაოდენობა. წამყვანი ადგილი არსებითსა და ზედსართავ სახელებს უჭირავს. დაღესტნური და ქართული უფრო მდიდარ სურათს გვიჩვენებს ამ მხრივ, ზმნისართები და ნაწილაკები (ქართულში) საკმაოდ პროდუქტიულია რთული სიტყვის წარმოქმნის პროცესში.

ხუნძურშიც, ისევე როგორც ქართულსა და ნახურ ენებში სუბორდინაციული კომპოზიტის პირველი ნაწილი ხშირად ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული. ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ სრულად ან ნაწილობრივ მოკვეცილია შესიტყვებიდან სიტყვად ქცევის პროცესში, ფონეტიკური პირობებიდან გამომდინარე. მაგ.,

ფონეტიკური პროცესების შედეგად პირველი ნაწილში ნათესაობითის სუფიქსი დაკარგულია სრულად: ხუნძ. **чыуглигин** „ნიჟარა“ ← **чыуглил глин** „თევზის ყური“, **цидурукъ** „ცხენისმუხლა, ეფედრა“ (მცენარეა) ← **цидул рукъ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „დათვის ბუნავს“. საინ-

ტერესია, რომ კავკასიურ ენათა უმრავლესობაში მცენარეთა სახელწოდებები უმეტესად კომპოზიტური წარმოებისაა და ერთ-ერთ კომპონენტად რომელიმე ცხოველის სახელია გამოყენებული. უფრო ხშირად **ცხენი, დათვი, ძაღლი, ვირი, კურდღელი**. ამ შემთხვევაში ქართულში დათვის ნაცვლად ცხენია გამოყენებული, მაგრამ რიგ შემთხვევებში, საერთო მოდელები ჩნდება.

ხუნძ. **ძირობერალ** „სათვალე“ ← ძიროლ ბერალ სიტყვასიტყვით „შუშის თვალები“.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში მთლიანად დაკარგულია ბრუნვის აფიქსი: ხუნძ. **ჩაჩივეხ** „მწყემსი“ ← ჩაჩივჰულ ვეხ სიტყვასიტყვით „ძროხების მწყემსი“; **ბაიჰრამკხო** „დღესასწაული, ზეიმი“ ← ბაიჰრამალჰულ კხო სიტყვასიტყვით „ზეიმის დღე“.

გარკვეულ შემთხვევებში მთლიანად ნარჩუნდება ნათესაობითი ბრუნვის აფიქსი: ხუნძ. **გველრაჰ** – მცენარის სახეობა ← გველ რაჰ სიტყვასიტყვით „ძაღლის რძე“; **ბაკჰულუნი** „მალარია“ ← ბაკჰულ უნი სიტყვასიტყვით „მზის დაავადება“.

როგორც ნახურ, ისე დაღესტნურ ენებში ძალზე არაპროდუქტიულია სამკომპონენტური კომპოზიტები. შეიძლება ითქვას, სულ თითქმის ჩამოსათვლელია ასეთი სახელები. მაგ., ხუნძური: **ბაკჰანიმეხ** „მზის ამოსვლის დრო“ ← ბაკჰ ანი მეხ (ბაკჰ „მზე“, ანი „თუ იქნა“, მეხ „დრო“). ქართულში კი, როგორც ვიცით, ასეთი წარმოება შედარებით პროდუქტიულია.

კომპოზიცია ლეზგიურ ენაშიც სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ძველ და პროდუქტიულ საშუალებას წარმოადგენს.

ლეზგიურშიც ყველაზე აქტიურია ორი არსებითი სახელის შეერთებით მიღებული თხზული სიტყვა. თუმცა ისეთი წარმოება, სადაც მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია, თანამედროვე ლეზგიურში ნაკლებად პროდუქტიულია: **ძავეკარ** „მებრძოლი, მოჩხუბარი“ (ძავე „ჩხუბი, ომი“ + კარ „საქმე“) (სელიმოვა 2009: 11).

უფრო პროდუქტიულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული პირველი წევრი **ჩასუმჰურ** „ყასუმკენტი“ (ტოპ.) (ჩასუმ(-ან) „ყასუმი(ს)“ + ჰურ „სოფელი“); **ჩუკვატჰურ** „დიდი კოვზი, ჩამჩა“ (ჩუკვა(-დინ) „ქვაბი(ს)“ + ტჰურ „კოვზი“).

ზოგჯერ ნათესაობით ბრუნვაში დასმულ პირველ კომპონენტს დაკარგული აქვს კუთვნილების შინაარსი და ისევე, როგორც ქართულში, მიუთითებს რაიმეს მასალაზე. მაგალითად, **ჩარკჰულუვ** „ღამურა“ (ჩარკჰუ(ნ) „ტყავის, კანის“ + ლუვ „ფრთა“).

ხშირად კი გამოხატავს კუთვნილებას: **ირანდიდე** „სიდედრი“ (ირან//ყრან „მიჯნურის, პატარძლის“ + დიდე „დედა“), **კყულანტარ** „ხერხემალი“ (კყუპან „შუა“ + ტარ „ხე“). ხერხემლის აღმნიშვნელი სიტყვა ნახურ ენებშიც კომპოზიტია და იქაც ზმნისართია გამოყენებული ერთ-ერთ კომპონენტად.

მეთაური სიტყვა როგორც წესი ნახურ-დაღესტნურ ენებში მეორე (ბოლო) ადგილზე დგას. ქართულში იშვიათად მაგრამ შეიძლება პირველ კომპონენტად იყოს იგი წარმოდგენილი. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოხმობილია ლეზგიური სუბორდინაციული კომპოზიტები:

халадхва „დეიდაშვილი“ (халад(ин) დეიდ-ის + хва შვილი)

къизилбалугъ „ორაგული“ (къизил ოქრო + балугъ თევზი).

თანამედროვე ლეზგიურშიც პირველ კომპონენტად უმეტესად გვხვდება არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და მიმღეობა. ყველაზე ხშირი კი ორი არსებითისგან შემდგარი თხზული სახელია: **цIайлапан** „ელვა“ (цIай „ცეცხლი“ + лапан ← алпан „მეტეორიტი“), **къузапад** „ჩრდილის მხარე“ (къуза „ჩრდილი“ + пад „მხარე“).

მეორე კომპონენტი რომ მრავლობითში იყოს მოცემული, ასეთი შემთხვევებიც იშვიათია თანამედროვე ლეზგიურში. ქართულში ასეთი შემთხვევები იშვიათად იძებნება, ნახურ ენებში კი უფრო მეტია ამის მაგალითები. მაგ., **ატყ-წაქ-ი** „მშვილდ-ისრები“, **დმეჟ-დოკო** „ღვიძლ-გულები“, **ტოტ-ქოკი** „ხელ-ფეხები“, **ბატრ-ბაქი** „ცხვირ-პირები“ და სხვ.

როგორც ქართულ და ნახურ-დაღესტნურ ენათა უმრავლესობაში, ლეზგიურშიც ნაკლებად პროდუქტიულია რიცხვითი სახელის გამოყენება თხზული სახელის შესადგენად: **пудрат** „სეზონური გაქირავება“ (пуд „სამი“ + рат „დინება“); **пудфер** „ქელეხი“, სიტყვასიტყვით „სამი ღამე“ (пуд „სამი“ + фер (йифер) „ღამე“).

წოვათუშურში გვაქვს ქართულიდან ნასესხები **დამმ** კომპოზიტი შეცვლილი სემანტიკით; აქ იგი ნათესავს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ლეზგიურში მის ფარდად გვაქვს **хва-стха** „ნათესავი“ (სიტყვასიტყვით „შვილი+ძმა“).

პირველ კომპონენტად ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ძალიან პროდუქტიულია უდიურ ენაშიც. მათი დიდი ნაწილი არის ენდოცენტრული თითქმის ყველა მცენარისა თუ ხის სახელწოდება ასეა ნაწარმოები. მაგ., **yolof=na-xod** „მურყანი“,¹ (მურყანის ხე); **e'f=na-**

¹ = ნიშნით ნაჩვენებია მორფემათა საზღვარი.

xod „ვამლის ხე“; **zid=da-xod** „იფნის ხე“; **tsabul=laxod** „წაბლის ხე“. სხვა ბოტანიკური სახელები ნაკლებად იწარმოება ამ გზით.

ცხოველთა სახელებიც მსგავსი სტრუქტურისაა: **bar=un-nets** „ბაღლინჯო, ხოჭო“, სიტყვასიტყვით „კედლის მწერი, ბუზი“. **bury=o-us** „ხოჭო“; სიტყვასიტყვით „მთა-GEN-ხარი“, **tcajl=in-meq** „მიწის ჭია, მატლი“; სიტყვასიტყვით „ბუმბულის ჭია, მატლი“; **ƒol=la-bo'q** „გარეული ღორი“; სიტყვასიტყვით „ბუჩქის ღორი“; **oxla=n-quf** „ოფოფი“, სიტყვასიტყვით „სავარცხლის ჩიტი“; **u'te=e-ta'** „ფუტკარი“; სიტყვასიტყვით „თაფლის მწერი“.

კომპოზიტთა ეს ტიპი ხშირად გამოიყენება აგრეთვე სხეულის ნაწილების, საჭმლის და ნათესაობის ლექსიკაში. მაგ., **aemik'=un-yar** „ბიძაშვილი“, სიტყვასიტყვით „ბიძის ბიჭი“. **aemik'=un-xinær** „ბიძაშვილი“; სიტყვასიტყვით „ბიძის გოგო“; **aemik'=un-ƒuhux** „ბიცოლა“, სიტყვასიტყვით „ბიძის ცოლი“; **aema-yar** „დეიდაშვილი“; სიტყვასიტყვით „დეიდის ბიჭი“; **aema-xinær** „დეიდაშვილი“ სიტყვასიტყვით „დეიდის გოგო“; **viƒ=e-xinær** „ძმისშვილი“; სიტყვასიტყვით „ძმის გოგო“, **a'm=na-bul** „მხარი“, სიტყვასიტყვით „მკლავის თავი“ და სხვ. (შულცე 2016: 3566).

აღსანიშნავია, რომ ქართულ-ნახურ-დაღესტნური ენებისგან განსხვავებით, აფხაზურ-ადიღურ ენებში უფრო პროდუქტიულია სამი და მეტი ფუძისაგან შედგენილი რთული სიტყვები, თუმცა გარეგნულად ისინი უფრო მოკლეა, რადგან აფხაზურში ბევრია ერთმარცვლიანი ფუძე. მარტივ ფუძეს შეიძლება დაერთოს უკვე გაკომპოზიტებული სახელი, ანდა კომპოზიტს – კომპოზიტი და მივიღოთ რამდენიმეკომპონენტის რთული სიტყვა. ასეთი შემთხვევები ქართულ და ნახურ-დაღესტნურ ენებში უიშვიათესია. მაგალითად:

მარტივ არსებით სახელს + კომპოზიტი: **a-kæta=pxamj'a** „სოფლის მეურნეობა“, სიტყვასიტყვით „სოფელი+კარ-მიდამო“; **abza=lapš** „ადამიანის ბოროტი თვალი“, სიტყვასიტყვით „ცოცხალი=ბოროტი თვალი“; **ax-apæc** „კბილი“, სიტყვასიტყვით „თავი-წინა კბილი“.

კომპოზიტს + მარტივი სახელი: **a-č.a-bya=q'aza** „ჯირითის ოსტატი“, სიტყვასიტყვით „ცხენის ზურგი=ოსტატი“. **a-x.a.č'=sax'a** „სახე, ხატი“, სიტყვასიტყვით „სახე-სურათი“; **a-la.pš=t'h'a** „შელოცვა გათვალვის წინააღმდეგ“, სიტყვასიტყვით „შელოცვა=ავი თვალი“. დასახელებული მაგალითები სუბორდინაციული ტიპისაა და ყველა მათგანში მეთაურ სიტყვას ბოლო კომპონენტი წარმოადგენს.

ვ. ჩირიკბა თავის კვლევაში აფხაზური სიტყვაწარმოების შესახებ ვრცლად მსჯელობს კომპოზიციის შესახებ. კლასიფიკაციისთვის ისიც ბიზეტოსა და სკალიზეს სქემას მიმართავს და შესაბამისად, გამოყოფს სუბორდინაციულ, კოორდინაციულ და ატრიბუტულ რთულ სიტყვებს; ყველა მათგანში კი წარმოდგენილია ენდოცენტრული და ეგზოცენტრული ქვესახეობები.

საყურადღებოა, რომ სუბორდინაციული კომპოზიტები აფხაზურშიც შეიძლება შედგებოდეს როგორც მხოლოდ არსებითი სახელეზისაგან, ისე არსებითი და ნაზმნარი სახელისგან. ამრიგად, სუბორდინაციული კომპოზიტების წარმოქმნა არ არის მხოლოდ ზმნის პრეროგატივა.

სუბორდინაციული N+N კომპოზიტებში მეთაური სიტყვა მარჯვნივაა მოთავსებული. ეს წესი უგამონაკლისოდ მუშაობს როგორც ქართულ, ისე ნახურ-დაღესტნურ ენებშიც.

ვ. ჩირიკბა სუბორდინაციული კომპოზიტების შემდეგ სტრუქტურულ ტიპებს გვთავაზობს: ა) მარტივ არსებით სახელს+მარტივი არს. სახელი; ბ) მარტივ სახელს+კომპოზიტი; გ) მარტივ სახელს+წარმოქმნილი სახელი; დ) კომპოზიტს+მარტივი სახელი; ე) კომპოზიტს+კომპოზიტი; ვ) წარმოქმნილ სახელს+წარმოქმნილი სახელი; ზ) წარმოქმნილ სახელს+კომპოზიტი (ჩირიკბა 2016).

ასიდენტურ კომპოზიტებში მარცხნივაგაა წარმოდგენილი ძირითადი წევრი. რადგან აფხაზურში ბრუნვის კატეგორია არ მოიპოვება. იმ შემთხვევაში, სადაც სხვა ენებში ნათესაობითი ბრუნვაა გამოყენებული, აქ კუთვნილებითი პრეფიქსი ასრულებს აღნიშნულ ფუნქციას. მაგალითად, **a-pa=j-pá** „შვილიშვილი“, სიტყვასიტყვით „ვაჟი=მისი ვაჟი“; **áb=j-ašá** „ბიძა“ (მამის ძმა), სიტყვასიტყვით „მამა=მისი ძმა“; **án=l-a^hwšá** „დეიდა“, სიტყვასიტყვით „დედა=მისი და“ (როგორც მაგალითები, ისე გლოსირება მოგვყავს ვ. ჩირიკბას დასახელებული კვლევიდან). როგორც უკვე ვნახეთ შესაბამის ადგილას, ნათესაობის ლექსიკა ნახურ-დაღესტნურ ენებშიც იმავე სტრუქტურის კომპოზიტებითაა შედგენილი, იმ განსხვავებით, რომ აფხაზურში გენტივის ნაცვლად, კუთვილებითობის შინაარსს სპეციალური სუფიქსი გადმოსცემს.

ეგზოცენტრული კომპოზიტების ხვედრითი წილი ენდოცენტრულზე ნაკლებია. მსგავსი წარმოებისაა უმთავრესად მცენარეთა და ფრინველთა სახელწოდებები. მაგ., **a-dargan-c'á x'a¹** „ბოლოქანქარა“

¹ მოცემულ მაგალითებში ტოლობის ნიშნით მორფემათა მიჯნაა ნაჩვენები.

(ჩიტი), სიტყვასიტყვით „ბრტყელკუდა“; **a-cg**^{wə}=**xǎ** „ჯულაბი“ (ბოტ.), სიტყვასიტყვით „კატის რძე“; **a-d**^{wə}=**yba** „მატარებელი“, სიტყვასიტყვით „ველის, მინდვრის გემი“.

აფხაზურის ახლომონათესავე ჩერქეზულ ენაში ხშირად დერივაცია და კომპოზიცია ერთმანეთისაგან არ არის გარჩეული, რადგან ერთი და იგივე მორფემა შეიძლება ძირადაც იქნას გამოყენებული და დერივატადაც. საყურადღებოა, რომ ეგზოცენტრულ კომპოზიტთა ნაწილში, რომელიც არსებითისა და ზედსართავი სახელების მიმდევრობისაგან შედგება, მეთაური სიტყვა ზედსართავია და არა არსებითი; მაგალითად, **na:səpə-ŝ**^{wə} „ბედნიერი“, **g**^{wə}-**pt** **s**^{wə}:**na** „გულკეთილი“, **tha:k**^{wə}-**m-t** **ʃ**^{wə}**ħa** „კურდღელი“.

ყაბარდოულში კომპოზიტთა დიდი ნაწილი ეგზოცენტრული შინაარსის მატარებელია და აფხაზურ-ადიღურის მსგავსად, მათი შინაარსის გამოცნობა არც ისე მარტივია, მეტაფორიზაციის გამო; მაგალითად, **dʒaŝa-dz** „მკითხავი“ („ლობიო-სროლა“); **śə-dāga** „ნავთობი“ („მიწა-ცხიმი, ქონი“), ჩეჩნურ-ინგუშურშიც მსგავსი სტრუქტურისა და სემანტიკის კომპოზიტია („მიწის ერბო“) ნავთობის აღსანიშნად; **maz-dʒad** „ხობობი“ („ტყე-ქათამი“); **māf**^{wə}-**gw** „მატარებელი“ („ცეცხლი-გული“) (მატასოვიჩი 2010:93).

ქართულისაგან განსხვავებით და ნახური ენების მსგავსად მშობლების აღმნიშვნელ კომპოზიტში გვაქვს შემდეგი მიმდევრობა: **āda-āna** „მამა-დედა“, „მშობლები“.

კომპოზიტთა როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის მხრივ, მსგავსებას გვიჩვენებს არაკავკასიური სომხური ენაც. მიუხედავად, განსხვავებული ბუნებისა, ამ ნაწილში მორფოლოგიური ასიმეტრიები ნაკლებია.

სომხურში, განსაკუთრებით კი ძველ სომხურში, სამკომპონენტური სახელები ძალზე იშვიათია.

რთული სახელის კომპონენტებს შორის სინტაქსური ურთიერთობა შეიძლება იყოს სუბორდინაციული, კოორდინაციული და ატრიბუტული. პირველი წევრი აქაც ხშირად ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და ნათესაობის ლექსიკის დიდი წილი აქაც იმავე სტრუქტურითაა მიღებული: პირველ კომპონენტად მოცემულია არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში, მეორე კომპონენტად კი არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში. მაგალითად, **k'er-ordi** „დისშვილი (ბიჭი)“. ყველაზე ხშირად პირველ კომპონენტად აქაც წარმოდგენილია არსებითი სახელი და ზედსართავი.

სუბორდინაციული კომპოზიტები ძალიან გავრცელებულია ძველ სომხურში. აქაც მეორე წევრი არის ძირითადი შინაარსის მატარებელი ანუ მეთაური სიტყვა, მაგ., **leirnotn** “მთის ძირი“, **ordespan** „შვილის მკვლელი“.

დასახელებულ ენაში წევრად წარმოდგენილია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები და იშვიათად სხვა მეტყველების ნაწილები. უმეტეს შემთხვევებში პირველი წევრი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: **kaysera-zarm** „სამეფო გვარიდან“.

სომხურ ენაში ძირითადად ოთხი მოდელი გვხვდება: სახელი+სახელი, სახელი+ზმნა, სხვა მეტყველების ნაწილები+სახელი, სხვა მეტყველების ნაწილები+ზმნა. ყველაზე პროდუქტიული პირველი და მეორე მოდელებია (ქუსიკიანი 1950).

არაიშვიათად სომხურში კოპულატიური კომპოზიტების პირველ კომპონენტად გვხვდება ნაცვალსახელი. მაგ. **ays-or** „დღეს“ (სიტყვასიტყვით „ეს დღე“); **ays-čar'** „ამდენი“, „იმდენი“ (სიტყვასიტყვით „ეს რაოდენობა“), რაც ქართულში ნაკლებად გვხვდება, ნახურ ენებში უფრო ხშირად.

საზოგადოდ, სამ და მეტკომპონენტიაანი რთული სახელები მსოფლიოს უფრო ნაკლები ენისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე ორკომპონენტიაანი. მაგალითად, გერმანიკული ჯგუფის ენებში, სამ და მეტნაწილიანი კომპოზიტები ძალიან პროდუქტიული და ჩვეული მოვლენაა, კავკასიურ და კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენებში კი ის ნაკლებად პოვნიერია. მათ რიცხვშია ყარაჩაულ-ბალყარულიც. რთულ სიტყვათა უმეტესობა აქ ორკომპონენტიაანია. მათი უმრავლესობა არის არსებითი სახელები, ზედსართავი და ზმნისართი. მაგალითად, **таш макъа эч** „კუ“, **итбурун** „ასკილი“, **книгъач** „ანწლი, დიდგულა“; არსებითი+მიმდებარე: **кѣзкѣрген** „ჰორიზონტი“ (кѣз „თვალი“ + кѣрген „მხედველი“), **кълсүймес** „გავის ძვალი“ (къл „მონა“ + сүймес- „არმსურველი“), **тууартыймаз** „უსაქმური, არაფრის მაქნისი“ (тууар „საქონელი“ + тыймаз „არგამჩერებელი“), **жаннганкѣз** „თვალეზგადმოკარკლული, თვალეზდაჭყეტილი“ (жаннган „დამწვარი, ცხელი“ + „თვალი“) (გიურერი 2017; ულაკოვი, გუზევი 2016).

ამრიგად, ყველა ზემოთ დასახელებული ენის საერთო მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს კომპონენტთა შორის მსგავსი სახის სინტაქსური მიმართებები: სუბორდინაციული, კოორდინაციული და ატრიბუტული. განსხვავებულია კომპონენტთა შეერთების საშუალებები და ასევე მათი წყობა.

სემანტიკურად კი უმეტესი მათგანი ენდოცენტრულია, მეთაური სიტყვა კი მარჯვნივაა მოთავსებული.

შეიძლება დავასკვნათ:

1) ქართულ, ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში კომპოზიტიური წარმოების მეტყველების ნაწილებს შორის, პროდუქტიულობის მხრივ, წამყვანი ადგილი არსებით სახელს უჭირავს, მას მოსდევს ზედსართავი სახელი;

2) ქართულ და ნახურ-დაღესტნურ ენებში სუბორდინაციული კომპოზიტების პირველ ნაწილად ყველაზე ხშირად წარმოდგენილია სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ზოგჯერ მოკვეცილი ბრუნვის ნიშნით), დასავლურ კავკასიურ ენებში მის ადგილას კუთვნილებითი აფიქსია წარმოდგენილი;

3) სუბორდინაციული კომპოზიტის პირველი წევრი ნათესაობითის გარდა, შეიძლება ყველა იმ ბრუნვაში იყოს წარმოდგენილი, რომელიც შემასმენლის აქტანტებისთვისაა განკუთვნილი;

4) ყველა საკვლევ ენაში ატრიბუტული კომპოზიტები უფრო მრავალფეროვანი სტრუქტურისაა, ვიდრე სუბორდინაციული. კოორდინაციული კომპოზიტები კი ერთფეროვანია, ამ ქვეჯგუფში ორი ერთნაირი მეტყველების ნაწილი ერთიანდება;

5) ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილი გამოიყენება რთული სიტყვის კომპონენტებად, მაგრამ წამყვანი ადგილი არსებით სახელს, ზედსართავს და ნაზმნარ სახელებს უჭირავთ;

6) მეთაური სიტყვა ძირითადად სიტყვის მარჯვნივ, ბოლო ნაწილშია განთავსებული, მაგრამ ქართულ და აფხაზურ-ადიღურ ენებში ნაკლებად, მაგრამ მაინც გვაქვს საპირისპირო შემთხვევები;

7) კომპოზიტთა დიდი ნაწილი ენდოცენტრულია. ქართულში და აფხაზურ-ადიღურ ენებში ეგზოცენტრული არსებითი სახელების წილი გაცილებით დიდია, ვიდრე ნახურ-დაღესტნურ ენებში.

8) ყველა საკვლევ ენაში ეგზოცენტრული შინაარსის მატარებელი შეიძლება იყოს არა მარტო ზედსართავი სახელი, არამედ არსებითიც. სწორედ ამგვარი სემანტიკური სტრუქტურისაა მცენარეთა და ფრინველთა სახელწოდებების უდიდესი ნაწილი კავკასიურ ენათა ოთხსავე ჯგუფში.

ნაწილი IV

1. ხუნძური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოების საკითხები საგანგებოდ არ უკვლევია ხუნძური ენის პირველი ვრცელი გრამატიკის ავტორს პ. უსლარს (უსლარი 1889) თუმცა თავის კაპიტალურ ნაშრომში მან გამოთქვა მოსაზრებები ცალკეულ სიტყვათა შედგენილობისა და ეტიმოლოგიის თაობაზე.

ხუნძური ენის სიტყვაწარმოებას სპეციალური სტატია მიუძღვნა ლ. ჟირკოვმა (ჟირკოვი 1948: 19-40). ეს მცირე მოცულობის ნაშრომი წარმოადგენს პირველ გამოკვლევას ამ სფეროში. ავტორი მეტწილად ემყარება პ. უსლარის მასალას. ნაშრომი ძირითადად შეეხება დერივაციულ სიტყვაწარმოებას, ხოლო კომპოზიტური სიტყვაწარმოების შესახებ არსებითად არაფერია ნათქვამი.

ცალკე ადგილი ეთმობა არსებით სახელთა კომპოზიტურ წარმოებაზე მსჯელობას არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის ხუნძური ენის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167-170). ამ მონოგრაფიაში პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ იქნა ხუნძური ენის კომპოზიტთა სტრუქტურული კლასიფიკაცია და მათი დახასიათება. გამოიყო კომპოზიტთა შემდეგი ტიპები: 1) შეერთებითი კომპოზიტები (*composita copulativa*), 2) განსაზღვრებითი კომპოზიტები (*composita determinativa*), დანაწილებული ქვეტიპებად: ა) არსებითი სახელი მსაზღვრელად, ბ) ზედსართავი სახელი მსაზღვრელად, გ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად; 3) ზმნისართიანი კომპოზიტები (*composite adverbialia*).

კომპოზიტთა ტიპების შესახებ მსჯელობა მოცემულია მ. საიდოვის „ხუნძურ-რუსულ ლექსიკონს“ დართულ ხუნძური ენის მოკლე გრამატიკულ ნარკვევში (საიდოვი 1967: 724-725).

ისტორიული სიტყვაწარმოების საკითხებს შეეხება ყ. მიქაილოვის სტატიები (მიქაილოვი 1964: 32-45; მიქაილოვი 1965: 45-50). სალიტერატურო ხუნძური ენის მორფოლოგიის აღწერა დახასიათებას ეძღვნება გ. მადიევას მონოგრაფია, სადაც სპეციალური მონაკვეთი აქვს დათმობილი ფუძეთა შედგენის (კომპოზიციის) შესახებ მსჯელობას (მადიევა 1981: 64-68).

ხუნძური სიტყვაწარმოების შესახებ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ს. ალიხანოვმა (ალიხანოვი 1994). ეს ნაშრომი მოგვიანებით გამოქვეყნდა მ. მაჰომედოვის თანაავტორობით (მაჰომედოვი, ალიხანოვი 2008). უფრო ადრე გამოქვეყნდა მ. ხანგერეევის მონოგრაფია, რო-

მელიც, სამწუხაროდ, მეტად შორსაა სერიოზული მეცნიერული ანალიზისგან (ხანგერევი 2004).

რთულ სიტყვათა წარმოებისას ამოსავალ მასალად გვევლინება სხვადასხვა ტიპის შესიტყვებები. მარტივი შესიტყვების გარდაქმნა რთულ სიტყვად წარმოადგენს ისტორიულ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია კომპონენტთა ძირითად მნიშვნელობათა ნეიტრალიზაციასა და მათ საფუძველზე თვისობრივად ახალი მნიშვნელობის ჩამოყალიბებასთან. ხუნძურ ენაში თვალსაჩინოა ტენდენცია შესიტყვებათა გარდაქმნისა მთლიანობად გაფორმებულ ერთეულებად – კომპოზიტებად – გარკვეულ ლექსიკურ-სემანტიკურ პირობებში. ხუნძური ენის რთულ სიტყვათა დიდ ნაწილს პარალელები შეიძლება მოეძებნოს შესაბამის სინტაქსურ შესიტყვებათა სახით. იმ რთულ წარმონაქმნებსაც კი, რომელთა ცალკეულმა ნაწილებმაც განიცადეს ფონეტიკური ცვლილებები და თითქმის დაკარგეს თავისი მნიშვნელობები, შეიძლება მოეძებნოს ენაში შესაბამისი შესიტყვებები (ალიხანოვი 1994: 10), მაგ., **ჭუყუ** „ქალი“, „ცოლი“ ← ატრიბუტული შესიტყვება **წუაბ ჟო** „მდედრი რამ“, **ყონოლკაჩ** „ღამურა“ ← ატრიბუტული შესიტყვება **ყონოლაბ ლალკაჩ** „ტყავიანი მერცხალი“ და სხვ.

შესიტყვებათა და რთულ სიტყვათა სტრუქტურულ-აზრობრივი სიახლოვე არსებითია რთული სიტყვის სტრუქტურისა და მნიშვნელობის გამორკვევის თვალსაზრისით.

ხუნძური ენის რთულ სიტყვათა მორფემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში პირველ კომპონენტებად ასეთ სიტყვებში წარმოდგენილია ფუძეები (მარტივი ან ნაწარმოები) ან ბრუნვის ფორმები, ხოლო მეორე კომპონენტებად გვევლინებიან მორფოლოგიურად გაფორმებული ლექსემები – სრულმნიშვნელობიანი სიტყვები და არასრულმნიშვნელობიანი ფუძეები (მაგ., შეკვეცილი ზედსართავები და მიმღებები), რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ლექსემებს. ს. ალიხანოვის აზრით, რამდენადაც რთულ სიტყვათა წარმოებისას ყოველთვის არ ხდება ხოლმე სრულმნიშვნელობიან სიტყვათა შეერთება და ხშირად ერთმანეთს უერთდებიან ხოლმე ფუძეები, თანაც სრულმნიშვნელობიანი სიტყვა და ფუძე ხუნძურ ენაში სტრუქტურულად ძირითადად ერთმანეთს, ამდენად მართებული იქნება რთულ სიტყვათა წარმოების პროცესს ეწოდოს ფუძეთა შეერთება (ალიხანოვი 1994: 11).

როგორც ზემოთ ითქვა, ხუნძური ენის კომპოზიტთა კლასიფიკაცია სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად წარმოადგინეს არნ. ჩიქოზავამ და ილ. ცერცვაძემ. მათვე გამოყვეს კომპოზიტთა სტრუქტურულ-

ლი ტიპები მეტყველების ნაწილთა საფუძველზე (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167-170). მ. საიდოვი ასევე მეტყველების ნაწილთა მიხედვით გამოყოფს კომპოზიტთა ტიპებს (საიდოვი 1967: 724-725). მოგვიანებით კომპოზიტთა საკუთარი კლასიფიკაცია წარმოადგინეს გ. მადიევამ (მადიევა 1981: 64-68) და ს. ალიხანოვმა (ალიხანოვი 1994: 10-14). მ. ალექსევისა და ბ. ათაევის ნაშრომში მცირე მონაკვეთი ეთმობა კომპოზიტთა რამდენიმე ტიპს (ალექსევი, ათაევი 1998: 68-69).

არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის კლასიფიკაცია (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167-170):

1) შ ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (composita copulativa):

ასეთ კომპოზიტები ნაწარმოებია ორი სხვადასხვა ან ერთნაირი ფუძის უბრალო შეერთებით (კავშირის ან რაიმე შემაერთებელი ხმოვნის გარეშე). მაგალითად:

ებელ-ემენ „დედ-მამა“, **როს-ლჰადი** „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), **სორდო-ყო** „დედ-ღამე“ (ზედმიწ. „ღამე-დედ“), **ბერ-კალ** „პირისახე“ (ზედმიწ. „თვალ-პირი“; შდრ. ხევსურ. თოლ-პირი), **რონ-მეზერ** „ტყე-მთა“, **ზობ-რატა** „ქვეყანა“, „სამყარო“ (ზედმიწ. „ცა-მიწა“), **ზარაც-მესედ** „ოქრო-ვერცხლი“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), **ტიყუა-მაზ** „ნალ-ლურსმანი“..., **ქჟას-ქჟას** „ბამბა“ (ქჟას „მატყელი“).

2) გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (composita determinativa):

ა) არსებითი სახელი მსაზღვრელად : ა) მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში: **ჟარანი-ჰინჰა** „სირაქლემა“ (ზედმიწ. „აქლემ-ჩიტი [-სირი]“), **მას-ბერ** „გუგა (თვალისა)“ (**მას** „ქალიშვილი“, **ბერ** „თვალი“)...; ბ) მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში (ბრუნვის დაბოლოება -ლ ხშირად იკარგვის): **ჰაქი-ბერ** „ურმის თვალი“ (**ჰოქო**, ნათ. **ჰაქილ** „ურემი“, **ბერ** „თვალი“), **წორო-ბერალ** „სათვალეები“ (ზედმიწ. „შუშის თვალე-ბი“: წერ, ნათ. **წოროლ** „შუშა“, ბერ, მრ. **ბერალ** „თვალი“), **ბიდუ-რინ** „მარღვი“, „სისხლის მილი“ (ბი, ნათ. **ბიდულ** „სისხლი“, **რინ** „მილი“), **განჰი-ტურჩი** „ქვანახშირი“ (ზედმიწ. „ქვის-ნახშირი“: **გამაჰ**, ნათ. **გან-ჰილ** „ქვა“ **ტურჩი** „ნახშირი“)...; ც) მსაზღვრელი ადგილობით ბრუნვაში: **ზაყდეზუსა** „მზესუმზირა“ (**ზაყ** „მზე“, მიმართ. ბრ. **ზაყდე** „მზისკენ“, **ზუსა** „ბრუნია“; შდრ. **ბუსინე** „მობრუნება“), **წოროსა-როლ** „სიმინდი“ (ზედმიწ. „კახეთიდან ანუ კახური ხორბალი“: **წორ** „კახეთი“, დამორებ. ბრ. **წოროსა** „კახეთიდან“, **როლ** „ხორბალი“) და სხვ.

2) ზედსართავი სახელი მსაზღვრელად: **ჰაჰ-ხონო** „ცილა“ (ზედმიწ. „თეთრი კვერცხი“), **ჰეზერ-ჰინჰა** „ჰკა“ (ფრინგ.) (ზედმიწ. „შავი ჩი-

ტი“), **ჭებერ-ჰააჟან**, **ჭებერ-ზოწი** „მსხვილფეხა რქოსანი საქონელი“ (ზედმიწ. „შავი საქონელი“), **ჩარ-ღედო** „კაჭკაჭი“ (ზედმიწ. „ჭრელი ყვავი“), **ტერენ-ჩედ** „ლავაში“ (ზედმიწ. „თხელი პური“), **(ჰი)ტინ-ქი-ლიშ** „ნეკი“ (ზედმიწ. „პატარა თითით“), **ჰაჰილ-ბილ** „ლილა“ (ზედმიწ. „ლურჯი ინა“) და სხვ.

ზედსართავი სახელი კომპოზიტის წევრად გვევლინება ყოველთვის ფუძის სახით: **ჰაჰ-** „თეთრ-“ (და არა: **ჰაჰ-აბ** „თეთრ-ი“)... **ჭებერ-** „შავ-“ (და არა: **ჭებერ-აბ** „შავ-ი“)... **ტერენ-** „წვრილ“, „თხელ-“ (და არა: **ტერენ-აბ** „წვრილ-ი“, „თხელ-ი“)... გაფორმებული ზედსართავი არსებითის მსაზღვრელად კომპოზიტს ვერ მოგვცემს: **ჭებერ-აბ ჰინჭა** აღნიშნავს ყოველ ჩიტს, რომელიც შავია, მაგრამ: **ჭებერ-ჰინჭა** – გარკვეული, კონკრეტული სახეა ჩიტისა; ასევე: **ჭებერ-აბ ჰააჟან** – ყოველი ცხოველი, რომელიც შავი ფერისაა, მაგრამ: **ჭებერ-ჰააჟან** – გარკვეული სახეობა შინაური ცხოველისა, საქონლისა.

ცალკე აღსანიშნავია ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც ზედსართავი სახელი განსაზღვრებად მოსდევს არსებით სახელს: **მიკალ-კოდო** „ულვაშა“, „დიდულვაშებიანი“ (ზედმიწ. „ულვაშებ-დიდი“), **მეგეჟ-კოდო** „დიდწვერიანი“ (ზედმიწ. „წვერ-დიდი“), **მეჭერ-ხაალათ** „გრძელცხვირა“ (ზედმიწ. „ცხვირ-გრძელი“)... **რას-ტერენ**, **რას-ჭერენ** „ნაზმატყლიანი“ (ზედმიწ. „მატყლ-ნაზი“) და სხვ.

ასეთ კომპოზიტებშიც ზედსართავი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

3) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად: **ლ'აბ-შინ** „სამყურა“, **ლ'აბ-ზოკონ** „სამკუთხედი“ (ზედმიწ. „სამკუთხე“), **იჭ-კალ** „მორიელი“ (ზედმიწ. „ცხრა-პირა“), **კი-ღეჟ** „მხარი“ (ზედმიწ. „ორი წინამხარი“), **ანტა-რატა** „ანკრატლი“ (თემის სახელია) (ზედმიწ. „შვიდი მიწა, ადგილი“), **უნყ-რატა** „უნკრატლი“ (თემის სახელია) (ზედმიწ. „ოთხი მიწა, ადგილი“) და სხვ.

რიცხვითი სახელები კომპოზიტებში გვევლინება **-გო** ნაწილაკის გარეშე (როცა დამოუკიდებლადაა აღებული რიცხვითი სახელი, **-გო** ნაწილაკს დაირთავს: **კიგო** „ორი“, **ლ'აბგო** „სამი“ და ა. შ.); **-გო** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი არსებითის მსაზღვრელად კომპოზიტს არ იძლევა; შდრ.: **ლ'აბგო ზოკონ** „სამი კუთხე“ – **ლ'აბ-ზოკონ** „სამკუთხედი“... **ლ'აბგო შინ** „სამი ყური“ – **ლ'აბ-შინ** „სამყურა“ და სხვ

გ) ზ მ ნ ის ა რ თ ი ა ნ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (composita adverbialia): **ზოდო-ნაკა** „ნისლი“ (**ზოდო-** „ძირს“, „დაბლა“, **ნაკა** „ღრუბელი“), **ცაბე-რაში** „წინასიტყვაობა“ (ზედმიწ. „წინ-სიტყვა“), **ნაჰა-რუყ** „საკუჭნაო“

(ზედმიწ. „უკანა ოთახი“), **ნაჯ-ბაკ** „სალათავია“ (თემის სახელია) (ზედ-
მიწ. „უკანა მხარე“), **ტად-ჰობო** „ზედა დოლაბი“ (წისქვილის ქვა, რომე-
ლიც ფქვავს), **ღორტა-ჰობო** „ქვეშა დოლაბი“ (**ღორტა** „ქვევით“), **ცეხე-
ბიდ** „წინსაფარი“, **ცერე-ყად** „გუშინწინ“ (**ცერე** „წინ“, **ყად** „დღით“,
„დღისით“; შდრ. **ყო** „დღე“) და სხვ.

მ. საიდოვის კლასიფიკაცია კომპოზიტებისა ასევე ემყარება მე-
ტყველების ნაწილებს. სიტყვათა შეერთება, მ. საიდოვის მიხედვით,
წარმოებს შემდეგი სახით (საიდოვი 1967: 724):

ა) არსებითი სახელის შეერთება არსებით სახელთან. მაგალი-
თად:

რაჟიფერ „ნიორი“ (← **რაჟი** „ნიორი“ + **ფერ** „ხახვი“);

ჟარანიჰინჰა „სირაქლემა“ (← **ჟარანი** „აქლემი“ + **ჰინჰა** „ჩიტო“,
„ფრინველი“, ძვ. ქართ. **სირი**);

ბერკალ „სახე“ (← **ბერ** „თვალი“ + **კალ** „პირი“);

ქალათჰარაც „ქაღალდის ფული“ (← **ქალათ** „ქაღალდი“ + **ჰარაც**
„ფული“);

ბ) არსებითი სახელის შეერთება ზმნისართთან. მაგალითად:

მაჰქეშეშ „გვირილა“ (← **მაჰ** „სუნი“ + **ქეშეშ** „ცუდად“);

მიჯაჰ „ულვაშქაღარა“ (← **მიჯ** „ულვაში“ + **ჯაჰ** „თეთრად“);

გ) არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შეერთება
არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმასთან:

ბოლნუხ „შარაგზა“, „დიდი გზა“ (← **ბოლ** ნათ. სიტყვისა **ბო** „თე-
მი“, „ხალხი“, საზოგადოება“, **ნუხ** „გზა“);

დ) არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის (ბრუნვის
ნიშნის მოკვეციტ) შეერთება არსებითი სახელის სახელობითი ბრუნ-
ვის ფორმასთან. მაგალითად:

ფურცაიმახა „სახნისი“ (← **ფურცა-ი** ← ნათ. **ფურცა-ი-ლ** „კავისა“,
სახ. **ფურუცა** „კავი“ + **მახა** „რკინა“);

ჰაქიბერ „ბორბალი“ (← **ჰაქ-ი** ← ნათ. **ჰაქ-ი-ლ** „ურმისა“, სახ. **ჰო-
ქო** „ურემი“ + **ბერ** „თვალი“);

ე) არსებითი სახელის შეერთება მასდართან. მაგალითად:

ჰალბინი „გამოცდილება“ (← **ჰალ** „ძალა“ + **ბინი** „ცდა“);

ბეტერბაჯი „ცხოვრება“, „ყოფა“ (← **ბეტერ** „თავი“ + **ბაჯი**
„გა(მო)ყვანა“);

ნუხმალი „ხელმძღვანელობა“, „რჩევა-დარიგება“ (← **ნუხ** „გზა“ +
მალი „სწავლება“);

მინტამი „ყურადღება“ (← **მინ** „ყური“ + **ტამი** „დადება“, „დასმა“);

ვ) არსებითი სახელის შეერთება ზმნის ძირთან. მაგალითად:

ქვერბაწა „ცხვირსახოცი“, „ხელსახოცი“ (← **ქვერ** „ხელი“ + **ბაწა** – ძირი ზმნისა **ბაწა-ი-ნე** „წმენდა“);

გაბურბუზ „ყელსახვევი“, „შარფი“ (← **გაბურ** „კისერი“ + **ბუზ** – ძირი ზმნისა **ბუზ-ი-ნე** „შეშმა“, „დაბმა“);

რაკუკირში „შინაყუდა“, „უქნარა“ (← **რაკუ** „ნაცარი“ + **კირში** – ძირი ზმნისა **კირში-ი-ზე** „ჩიჩქნა“);

ზ) არსებითი სახელის ლოკატიური ბრუნვის ფორმის შეერთება ზმნის ძირთან. მაგალითად:

ბაყდებუსა „მზესუმზირა“ (← ლოკატ. ბრ. I სერ., მიმართ. **ბაყ-დ-ე** „მზისკენ“ ← სახ. **ბაყ** „მზე“ + **ბუსა** – ძირი ზმნისა **ბუსა-ი-ნე** „მობრუნება“);

ქვერდახელ „ხელთათმანი“ (← ლოკატ. ბრ. I სერ. **ქვერდა** „ხელ-ზე“ + **ხელ**);

თ) ზმნისართის შეერთება არსებით სახელთან. მაგალითად:

ზოდონკა „ნისლი“ (← **ზოდო** „ძირს“, „დაბლა“ + **ნაკა** „ღრუბელი“);

ჩარღედუ „კაჭკაჭი“ (← **ჩარ-** „ჭრელი“ + **ღედუ** „ყვავი“).

მ. ალექსევი და ბ. ათაევი ხუნძური ენის სიტყვაწარმოების დახასიათებისას თავის ნაშრომში მოიხმობენ კომპოზიტურ არსებით სახელთა წარმოების ანალოგიურ მოდელებს (ალექსევი, ათაევი 1998: 68-69).

ა) არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში:

ღალბაწ „ლომი“ (← **ღალ** „ნაწნავი“ + **ბაწ** „მგელი“), **ჭარანიჭინჭა** „სირაქლემი“ (← **ჭარანი** „აქლემი“ + **ჭინჭა** „ჩიტ“, „ფრინველი“);

ბ) არსებითი სახელის ირიბი ფუძე + არსებითი სახელი:

ჭაქიხერ „ბორბალი“ (← ირიბი ფუძე **ჭაქ-ი-**, შდრ. ნათ. **ჭაქ-ი-ლ** „ურმისა“, სახ. **ჭოქო** „ურემი“ + **ხერ** „თვალი“); **ღადირაჟი** „ღანძილი“ (← ირიბი ფუძე **ღად-ი-**, შდრ. ნათ. **ღად-ი-ლ** „ყვავისა“, სახ. **ღედუ** „ყვავი“ + რაჟი „ნიორი“);

გ) ზედსართავი სახ.ელი + არსებითი სახელი:

ბეცაბატა „ბრმა ნაწლავი“, „აპენდიქსი“ (← **ბეცაბ** „ბრმა“ + **ბატა** „ნაწლავი“);

დ) რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:

იჭკალ „მორიელი“ (← **იჭ-** „ცხრა“ + **კალ** „პირი“);

ე) ზმნისართი + არს.სახელი:

დანდეყო „ყველაფერი, რაც პურთან ერთად იჭმევა“ (← **დანდე** „პირისპირ“ + **ყო** „რამე“, „ნივთი“); **ნაჯარუყ** „საკუჭნაო“ (← **ნაჯა** „უკან“ + **რუყ** „სახლი“);

ვ) მიმღეობა + არსებითი სახელი:

წურაჩედ „ნამცხვარი რამე შიგთავსით“ (← **წურაბ** „ავსებული“ + **ჩედ** „პური“);

ზ) არსებითი სახელი + ზმნის ძირი:

ღუდრულჭიკ „ქლესა“, „მილიქვნელი“ (← **ღუდრულ** „თეფშები“ + **ჭიკ** – ძირი ზმნისა **ჭიკ-ი-ზე** „ლოკვა“), **ზაყალუჭეკ** „უგუნური“ (← **ზაყ-ლუ** „ჭკუა“, „გონება“, **ჭეკ** – ძირი ზმნისა **ჭეკო** „არ არის“).

ხუნძური ენის სიტყვაწარმოებაში დღეს მიღებულია ს. ალიხანოვის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია რთული სიტყვებისა (ალიხანოვი 1994: 11-14). ეს კლასიფიკაციაა მოცემული კოლექტიურ მონოგრაფიაშიც „თანამედროვე ხუნძური ენა“ (ალექსევეი და სხვ. 2012: 110-116).

ს. ალიხანოვი გამოყოფს რთულ სიტყვათა (კომპოზიტთა) ორ ტიპს:

I ტიპი მოიცავს განსაზღვრებით კომპოზიტებს, რომლებიც შეეფარდება მაქვემდებარებელი ტიპის შესიტყვებებს.

შესიტყვებათა სტრუქტურის (სუბსტანტიური, ზედსართაული, ზმნისართული, ზმნური) მიხედვით ნაწარმოები რთული სიტყვები შეიძლება დაიყოს შემდეგ მოდელებად:

I მოდელი: ლექსიკალიზებულ და არალექსიკალიზებულ მსაზღვრელიან შესიტყვებათაგან ნაწარმოები კომპოზიტები: **ჩაუზილ შინ** „თევზის ყური“ → **ჩაუზილშინ** „ნიჟარა“, **წაოროლ ბერალ** „შუშის თვალები“ → **წაორობერალ** „სათვალე“, **ზაჩიდაზულ ჴენ** „ნახირის მწყემსი“ → **ზაჩიჴენ** „მენახირე“, **ჰჴელ რან** „ძაღლის რძე“ → **ჰჴელრან** „რძიანა (მცენარე)“...

II მოდელი: არსებითი სახელი + მიმღეობა (მოკვეცილი სახით): **მაჰ ბაჩუნებ** „სუნის მომტანი“ → **მაჰზაჩ** „მონადირე ძაღლი“, **ქჴერ ბაწუნებ** „ხელის გასაწმენდი“ → **ქჴერბაწ** „პირსახოცი“, „ხელსახოცი“...

III მოდელი: არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + ზედსართავი სახელი (ბოლოკიდური კლასნიშნის მოკვეცივით): **ანიშა ხალათაჴ** (ანიშა „ოცნება“, **ხალათაჴ** „გრძელი“) → **ანიშახალათ** „მეოცნებე“, **მაჰ ქჴეზაბ** (მაჰ „სუნი“, **ქჴეზაბ** „ცუდი“) → **მაჰქჴეშ** „გვირილა“...

II და III მოდელების კომპოზიტთა მეორე კომპონენტებში მომხდარია დეზაფიქსაცია, ე.ი. მოკვეცილია ზედსართავის -ა(ზ) და მიმღობის -უ-ნ-ე(ზ), -უ-ლ(ებ) აფიქსები.

IV მოდელი: ზმნისართი + არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში: **ტად ჰობო** (ტად „ზედ“, „ზემოთ“, ჰობო „წისქვილი“) → **ტადჰობო** „დოლაბი“, **ყადე ქენ** (ყადე „დღისით“, ქენ „საქმელი“) → **ყადექენ** „სადილი“, **ბოტობ ნაწა** (ბოტობ „ბოსელში“, ნაწა „ტილი“) → **ბოტონაწა** „ძირმაგარა“, **ზოდობ ქარი** (ზოდობ „დაბლა“, „ქვემოთ“, ქარი „თუთა“) → **ზოდოქარი** „მაყვალი“ (ან „ჟოლო“)..

V მოდელი: ზმნისართი + მიმღობა: **ცებებუზ** „წინსაფარი“ (ცებე „წინ“, **ბუზ-უ-ნ-ებ** „საბმელი“), **რელქედაქუნკ** „ციცინათელა“ (რელქედა „საღამოს“, **ქუნკ-უ-ლ-ებ** „მანათობელი“)..

VI მოდელი: ზმნისართი + ნაზმნარი სახელი / არსებითი სახელი + ნაზმნარი სახელი: **ღორტა ჰეი** (ღორტა „ქვეშ“, ჰეი „დგომა“) → **ღორტაჰელ** „ალყა“, **ცეუე თეი** (ცეუე „წინ“, თეი „დატოვება“) → **ცეუეთელ** „მსახური“, **წა ზეი** (წა „ცეცხლი“, ზეი „ზრდა“) → **წაჰელ** „ტალკვესი“..

VII მოდელი: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: **ბეცაბ ბატა** „ბრმა ნაწლავი“ → **ბეცაბატა** „აპენდიქსი“, **ბუჰარაბ ჟო** „ცხელი რამ“ → **ბუჰარაჟო** „ბულიონი“, **ტოკაბ წარ** „ზედმეტი სახელი“ → **ტოკაწარ** „მეტსახელი“, **წეკაბ ჰან** „მჟავე ხორცი“ → **წეკჰან** „კუჭქვეშა ჯირკვავი“..

VIII მოდელი: ნამყოს გერუნდივი + არსებითი სახელი / მიმღობა (ბოლომოკვეცილი): **კუჰან ჩედ** → **კუჰანჩედ** „მაჭკატი“ (კუჰან „გახერხა-რა“, ჩედ „პური“), **ჟუბან ჟო** → **ჟუბანჟო** „ვინეგრეტი“, „აჯაფსანდალი“ (ჟუბან „შეერია-რა“, ჟო „რამე“), **ბუჰუნ ხუტარაბ** (ბუჰუნ „დაიწვა-რა“, ხუტარაბ „დარჩენილი“) → **ბუჰუნხუტ** „ნამწვი“, **ბუჰუნ ჰიკულებ** (ბუჰუნ „გაცხელდა-რა“, ჰიკულებ „სალოკი“) → **ბუჰუნჰიკ** „შეჭამანდი“.

IX მოდელი: რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: **ლზბგო მინ** „სამი ყური“ → **ლზბმინ** „სამყურა (მცენარე)“, **უნყო ბოკონ** „ოთხი კუთხე“ → **უნყობოკონ** „ოთხკუთხედი“..

X მოდელი: სამი სიტყვის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: **მარკ ბაჰუნებ მეხა** „სიბნელის მოსვლის დრო“ → **მარკაჰუმეხა** „ბინდი“, **ბაყ უნებ მეხა** „მზის ჩასვლის („წასვლის“) დრო“ → **ბაყანიმეხა** „დაისი“ და სხვ.

რთულ სიტყვათა II ტიპი მოიცავს შეერთებით (აპოზიტურ) კომპოზიტებს. გვხვდება დიდი რაოდენობის შეერთებითი წარმონაქმნები, რომელთაც აქვთ ფუნქცია დანაწევრებული სახით ერთიანი ცნების გამოხატვისა, მაგ., **ებელგი ემენგი** „დედა და მამა“ – „მშობლები“, შდრ. ქართ. **დედ-მამა; გულლაგი ხერგი** „ტყვია და წამალი“ – „საბრძოლო მასალა“, შდრ. ქართ. **ტყვია-წამალი; სორდოგი ყოგი** „ღამე და დღე“, შდრ. ქართ. **დღე-ღამე** და სხვ.

შეერთებით შესიტყვებათაგან რთულ სიტყვათა წარმოებისას უპირველეს ყოვლისა ხდება მათემატიკური -გი „და“ ნაწილაკოვანი კავშირის ამოვარდნა: **სორდოგი ყოგი** → **სორდო-ყო** „დღე-ღამე“, **ებელგი ემენგი** → **ებელ-ემენ** „მშობლები“ და სხვ.

კომპონენტთა სემანტიკურ დამოკიდებულებათა მიხედვით ამ ჯგუფში შეიძლება გავარჩიოთ შემდეგი სხვაობები: ა) ე.წ. „შემაჯამებელი სემანტიკის შემცველი წყვილი შენაერთები“ (რომელთაც არა აქვთ ერთმანეთთან არც სინონიმური, არც ანტონიმური ურთიერთობები): **ბოხი რატაგი** „ფეხი და თათი“ → **ბოხ-რატა** „კიდურები“, **შეყიგი ყალამი** „მელანი და ფანქარი“ → **შეყი-ყალამ** „საწერი მასალა“; ბ) კომპონენტები წარმოადგენენ სინონიმებს: **რადგი ტალგი** „ომი და ჩხუბი“ → **რად-ტალ** „ომი“, **ქუცი ბეზი** (ქუც „სახე“, ბეზ „იერი“, „სახე“) → **ქუც-ბეზ** „ფიზიონომია“; გ) კომპონენტები წარმოადგენენ ანტონიმებს: **აწალგი ახირგი** „დასაწყისი და დასასრული“ → **აწალ-ახირ**, ქართ. **თავი და ბოლო** (შდრ. ქართ. **უ-თავ-ბოლო**); **ჭამაგი ჭამამი** „წერა და შლა“ → **ჭამა-ჭამამ** „წერილი“, „მწერლობა“; დ) კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტსაც არ გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა და ოდენ ერთიმება პირველ კომპონენტს: **ღუბი** „ხე“ → **ღუბ-მეტი** „ხე და კიდევ რაღაცა“ (* „ხე-მე“), **რაკ** „გული“ → **რაკ-მაკ** „ნუგეში“ (* „გული-მული“), **ხინკ** „ხინკალი“ → **ხინკ-მინკ** „რამე საჭმელი“ (* „ხინკალი-მინკალი“), **ყვი** „დავა“ → **ყვი-მევი** „დავა და კიდევ რაღაცა“ (* „დავა-მავა“), შოდი „ტირილი“ → **შოდი-მოდი** „ტირილი და კიდევ რაღაცა“ (* „ტირილი-მირილი“), **ქუას** „მატყელი“ → **ქუას-მას** და სხვ. ასეთი კონსტრუქციის სიტყვებს აქვთ მიახლოებითი, არაკონკრეტული მნიშვნელობა.

გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული მაგალითებისა, გვხვდება აგრეთვე კომპოზიტები, რომელთაც დაბოლოებად აქვთ -ელ, -ენ სუფიქსები. ეს სუფიქსები წარმოადგენენ ზმნათაგან არსებითი სახელების მაწარმოებელ დერივატებს (მაგ., **ჰეყ-ელ** „სასმელი“ ← ზმნა **ჰეყ-ე-ზე** „სმა“, **ქუ-ენ** „საჭმელი“ ← **ქუ-ი-ნე** „შეჭმა“ და სხვ. მრავ.). ბევრი ამგვარი კომპოზიტის აგებულება რთულია და ამჟამად მთლად გა-

მჭვირვალე არ არის. მათი შედგენილობის გამოსარკვევად სპეციალური ეტიმოლოგიური კვლევა მიება არის ხოლმე საჭირო. ეს სიტყვები შედგენილი ჩანან სახელური და ზმნური კომპონენტებისაგან. მაგალითად:

ხარიცელ „ცელი“. ამ კომპოზიტში გამოსაყოფია ირიბი ფუძე სიტყვისა **ხერ** „ბალახი“ – **ხარ-ი-** (შდრ. ნათ. **ხარ-ი-ლ** „ბალახისა“). სიტყვის მეორე ნაწილი, ასერიგად რომ წააგავს ქართულ **ცელ-** ფუძეს, უნდა დაიშალოს ასე: **ც-ელ**. გვრჩება ძირეული მორფემა **ც**, რომელიც გვაქვს ზმნაშიც ბე-**ც**-ი-ზე „თიბვა“ (გუდავა 1954: 703). სავარაუდოდ, სიტყვა **ხარიცელ** უწინ უნდა ყოფილიყო ამდაგვარი შედგენილობისა: ***ხარ-ი-ლ** ბე-**ც-ელ** და მას ექნებოდა, ალბათ, ასეთი შინაარსი: „ბალახის სათიბი რამ“.

ტოშელ „პურის მარცვალი“, შდრ. ტორ „თავთავი“. ეს სიტყვა შეიძლება იშლებოდეს ასე: **ტო-შ-ელ**. ელემენტი **შ** უნდა მომდინარეობს ზმნისაგან **შე-ე-ზე** „მოსვლა“, „მოღწევა“ ან „მიღება რისამე“. უწინდელი სახე კომპოზიტისა სავარაუდოდ ასეთი იქნებოდა ***ტორ** **შე-ელ**, რაც ნიშნავდა: „თავთავისაგან მოსული (ან „მოწეული“, „მიღებული“) რამ“.

ჰალუცენ „პურის მოსავალი“. სიტყვაში გამოსაყოფია ფუძე **ჰალ** „ძალ-ლონი“, „ჯანი“. ელემენტი **ც** შესაძლოა უკავშირდებოდეს ზმნას ბა-**ც**-ი-ზე „რაიმე შედეგის მიღება“, „გამოსვლა რისამე“; შდრ. ისანა ნეჟედ ქართოშქა ჭემერ ბაჯანა „წლეულს ჩვენ კარტოფილი ბევრი მივიღეთ“ (საიდოვი 1967: 61). ადრინდელი შედგენილობა სიტყვისა, სავარაუდოდ, ასეთი იყო: ***ჰალუცა** **ბაჯენ** „ძალ-ლონით მიღწეული (ან „გამოსული“) რამ“; შდრ. ქართ. **ჭირ-ნახული**. საყურადღებოა, რომ „მოსავლის“ მნიშვნელობით ხუნძურ ენას მოეპოვება სხვა სიტყვაც, რომელიც სწორედ ამ ბა-**ც**-ი-ზე ზმნისგანაა ნაწარმოები **-ელ** სუფიქსით: რა-**ც-ელ**.

ქურნენ „სამაჯური“. ამ სიტყვაში წარმოდგენილი **ქურ-** თითქოს უნდა იყოს ფონეტიკურად სახეცვლილი ფუძე **ქურ** „ხელი“. აღსანიშნავია, რომ „სამაჯურის“ ახვახურ სახელწოდებაში ბ. გიგინეიშვილი გამოყოფს ქურ ელემენტს (ქურ-ყენ) და მას უკავშირებს „ხელის“ აღმნიშვნელ ფუძეებს დადესტნურ ენებში: ხუნძ. ქურ, ჰინუხ. ქუ-ზედ, ბეჟიტ. ქო, დარგ. ქუდ- „ხელში“ (პრევერბი), ლაკ. ქა // ქვა, არჩიბ. ქულ, ხინ. ქულ (გიგინეიშვილი 1977: 80). ხუნძ. **ქურნენ** („სამაჯური“) სიტყვას სხვა დადესტნურ ენებში შეესატყვისება: ახვახ. ქუ^აყე, კარატ. ქურნინ, ტინდ. ქუყან, ჭამალ. ქუყი^ბ, ბაგვალ. ქურყინ, ბოთლიხ. ქურნინ, ლოდობ. ქურყინ, დარგ. ქულეხა, წახურ. ლეხა, თაბას. ჯუ-

ლაც. აღნიშნულია, რომ საერთო ელემენტს წარმოადგენს ქურ, ქუა⁵, ქუარ, ქუა, ქულ, ჯულ (ისტ.-შედ. ლექსიკა 1971: 212). ამ სიტყვაში გამოყოფილ -**წენ** ელემენტში შეიძლება გვექონდეს **წ** ძირი ზმნისა ბ-უ-წ-ი-ნე „დაბმა“, „მიბმა“, „შეკვრა“, რომელსაც დართული აქვს დერივატი-**ენ**. „სამაჯურის“ აღმნიშვნელი ეს სიტყვა შესაძლოა ხუნძური ენიდან იყოს გავრცელებული სხვა დაღესტნურ ენებში, რომლებშიც მან განიცადა ფონეტიკური ცვლილებები.

თავისებურებით ხასიათდება ხუნძურ ენაში არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება **ჟო** „ნივთი“, „რამე“ სიტყვის მონაწილეობით.

არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე ხუნძური ენის სიტყვაწარმოების საკითხთა განხილვისას წერდნენ: „სპეციალური ფორმანტი დანიშნულების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება. საამისოდ აღწერითი წარმოებაა: მიმღეობის ფორმას დაერთვის დამოუკიდებელი სიტყვა **ჟო** „რამე“, „ნივთი“: რახ ტოლებ-**ჟო** „რძის ჩასახმელი რამ“, – „სარძევე“ (რახ „რძე“, ტოლებ აწმყოს მიმღეობა ტეზე „ჩასხმა“ ზმნისა), წან ბალებ-**ჟო** „მარილის ჩასაყრელი რამ“ – „სამარილე“, ჩირაჯ ლოლებ-**ჟო** „სანთლის დასადები რამ“, – „სასანთლე“, ჰომერ ბაწუნებ-**ჟო** „პირის საწმენდი რამ“ – „პირსახოცი“, ჰეყოლებ-**ჟო** „სასმელი რამ“, ქვანალებ-**ჟო** „საჭმელი“ და ა. შ. (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 173). უფრო ადრე წარმოების ამ თავისებურების შესახებ პ. უსლარიც მიუთითებდა (უსლარი 1889: 83).

ასეთი წარმოების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ კიდევ: კუარ ბუგებ **ჟო** „საჭირო რამ (ნივთი)“ (კუარ „საჭიროება“, ბუგ-ებ მიმღ. აწმ. ბუგო „არის“ ზმნისა), ბორჟუნებ **ჟო** „ფრინველი“, ზედმიწ. „მფრინავი რამ“ (არსება) (ბორჟ-უ-ნ-ე-ბ აწმყოს მიმღეობაა ზმნისა ბორჟ-ი-ნე „ფრენა“; შდრ. აწმყო ზოგადის ფორმა ბორჟ-უ-ნა „ფრენს“); წა კუალებ **ჟო** „კვესი“, ზედმიწ. „ცეცხლ _ დასაწერი რამ“ (საგანი) (წა „ცეცხლი“, კუა-ლ-ე-ბ აწმყოს მიმღეობაა ზმნისა კუა-ზე „წერა“, შდრ. აწმ. ზოგ. კუა-ლა „წერს“)...

ამგვარ აღწერით ფორმათაგან ჩვეულებრივ მიიღება ხოლმე კომპოზიტები. ხუნძურს საკმაოდ მოეპოვება თხზული არსებითი სახელები ამ **ჟო** (მრ.რ. **ჟალ** // **ჟოძალ**) ლექსემით. გვხვდება იგი სხვადასხვაგვარ ფუძეთა და ფორმათა საზღვრულად არაერთი რთული სიტყვის შემადგენლობაში. მაგალითები:

ჟო მიმღეობათა საზღვრულად (ნიშანდობლივი მოვლენაა კლასნიშნისანი დაბოლოებისა და მრავლობითის სუფიქსის კვეცა **ჟო**-ს მსაზღვრელად გამოყენებულ მიმღეობურ ფორმებში):

ბიჟარაჟო „ძირმაგარა“ (მრ.რ. **რიჟარაჟალ**) ← ბიჟარაბ ჟო (მრ.რ. რიჟარალ ჟალ), ზედმიწ. „ამოზრდილი რამ“, მსაზღვრელია ნამყო ძირითადი დროის მიმღეობა ბიჟ-ა-რა-ბ ზმნისა ბიჟ-ი-ზე „გაზრდა“, „ამოზრდა რისამე“.

ბუჰარაჟო „წვნიანი“, „ნახარში“ ← ბუჰარაბ ჟო, ზედმიწ. „გაცხელებული რამ“; შდრ. ნამყოს მიმღეობა ბუჰ-ა-რა-ბ ზმნისა ბუჰ-ი-ზე „გაცხელება...“

ტუჰახარაჟო „ბურახი“ ← ტუჰახარაბ ჟო, ზედმიწ. „გამოხდილი რამ“; ტუჰახ-ი-ზე „ბურახის გამოხდა“. ტუჰახ-ა-რა-ბ ამ ზმნის ნამყო ძირითადი დროის მიმღეობაა;

წურაჟო „კუპატი“ (ან „ძეხვი“) ← წურაბ ჟო, ზედმიწ. „გავსებული რამ“; შდრ. მიმღ. ნამ. წურ-რა-ბ ზმნისა წ-ე-ზე „გავსება“; შდრ. აგრეთვე **წურაჟედ** „ხაჭაპური – დატენილი ხორციტ, ხაჭოთი, ჭინჭრით და ა. შ.“; ზედმიწ. „გავსებული პური“ (ჩედ „პური“); **წურახინკ** „ერთგვარი ხინკალი“, ზედმიწ. „გავსებული ხინკალი“ (ხინკ „ხინკალი“)..¹

ჟო ზედსართავ სახელთა საზღვრულად (კლასნიშნიანი დაბოლოება ზედსართავებსაც ჩამოცილებული აქვთ ხოლმე):

ბაჟარჟო „თირკმელი“ ← ბაჟარაბ ჟო, ზედმიწ. „წითელი რამ“ (ბაჟარ-აბ „წითელი“);

ყარახული დიალექტის ტლესერუხის კილოკავში მოიპოვება სიტყვა **ბაჟაჟუ** „არილი“, „განთიადი“ (აგრეთვე „დაისი“), რომელიც ასევე მიღებული ჩანს ზედსართავი სახელისაგან ბაჟარ-აბ „წითელი“ (ბაჟა-ჟუ ← ბაჟარ-ჟუ, აქ **ჟუ** წარმოადგენს **ჟო** ლექსემის ფონეტიკურ ვარიანტს); ანალოგიისათვის შდრ. ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში ბაჟარაბ ნაკა „არილი“, „განთიადი“ (აგრეთვე „დაისი“), ზედმიწ. „წითელი ღრუბელი“..²

ზოგიერთ კომპოზიტში **ჟო**-ს მსაზღვრელად გვხვდება არსებობითი სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

ჩანილჟო „ნანადირევი“, ზედმიწ. „ნადირის რამ“ (ჩან „ნადირი“, ნათ. ბრ. ჩან-ი-ლ);

ჭარულ დიალექტში მოიპოვება სიტყვა **ოლჰოლჟო** „მხეცი“, ზედმიწ. „ველური რამ“. **ჟო**-ს მსაზღვრელად აქ გვევლინება ნათესაობითის ფორმა **ოლჰ-ო-ლ**, რომელსაც სალიტერატურო ხუნძურში შეესატყვი-

¹ მოქმედი ორთოგრაფიითაც **ჟო** კომპონენტის კომპოზიტები იწერება ერთად, დეფისის გარეშე: *бижаражо, сучаражо, кьвахаражо, цIуражо* და ა. შ.

² დიალექტური მასალა აქ და ქვემოთაც ძირითადად მოხმობილია ფ. საილოვას დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან (საილოვა 2008).

სება ნათესაობითის ფორმა ზალხ-უ-ლ სიტყვისა ზალახ „უსიერი ადგილი, ადამიანის მიერ აუთვისებელი ტერიტორია“; შდრ. სალიტ. ხუნძ. ზალხულ ჰადჟან „გარეული ცხოველი“.

ტიზრილჟო ბაწადურ ნარევ კილოში აღნიშნავს „კრაველს“, „ბატკნის ხაოიან ტყავს“, ნათ. ტიზრ-ი-ლ „ბატკნისა“, „კრავისა“ (შდრ. ქართ. კრავ-ელ-ი-); ყარახულსა და ანდალალურში ნათესაობითის -ლ ფორმანტი ამ კომპოზიტში მოკვეცილია: **ტიზრიეო**.

სამხრულ ხუნძურის დიალექტთა (ანდალალური, ყარახული, ანწუხური, ჭარული...) კილოკავ-თქმებში მოიპოვება სიტყვა **ზოხიყალ** „ფეხსაცმელები“. იგი წარმოადგენს მრავლობითის ფორმას. მხოლოობითის ფორმით გვექნება **ზოხიეო**, ზედმიწ. „ფეხის რამ“, რომელიც იხმარება უფრო ნაკლებად; -ყალ აქ დართული აქვს ნათესაობითის ფორმას ზოხი-ი-ლ (ნათესაობითის -ლ ფორმანტი კომპოზიტში მოკვეცილია) არსებითი სახელისა ზოხი „ფეხი“.

ნათესაობითის ფორმაზე შეიძლება იყოს ჟო დართული სიტყვაშიც **ზოგოდეო** „სავახშმოდ განკუთვნილი პროდუქტები“; შდრ. ბოგ „ვახშამი“, ნათ. ბოგ-ო-ლ „ვახშმისა“, ე. ი. „ვახშმის რამ“ (ბოგ-ო-ლ ჟო → ბოგ-ო-დ ჟო)...

არსებითი სახელის ფუძეა მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვებში **ჰილაჟო** „საფრთხოვბელა“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), ზედმიწ. „ემშაკობა რამ“ (არს. სახ. ჰილა „ემშაკობა“, „ცბიერობა“);

გურგუჟუ „მრგვალი ფორმის პური“ (ყარახული დიალექტის ტლესერუხის კილოკავში), შდრ. სალიტ. ხუნძ. გურგა „id.“;

როზორჟო (შულანიზურ ნარევ კილოში), **როზოჟო** (ბაწადურ ნარევ კილოში) „ბაგა“, შდრ. **როზორო** „id.“ (ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში)...

ჟო ადგილობითი ბრუნვის ფორმიან არსებით სახელთა საზღვრულად:

ა) მსაზღვრელი I სერიის ადგილობით ბრუნვაში: **ლ'არატაჟო** ეწოდება ხარის რქებზე დასამაგრებელ სადავეს, ზედმიწევნით ნიშნავს: „რქაზე რამ“. ლოკატ. I. ლ'არ-ა-ტა „რქაზე“, ლ'არ „რქა“...

ზემოყარახულში გვხვდება კომპოზიტი **წადაჟო** „საწვავი“, ზედმიწ. „ცეცხლზე რამ“. ლოკატ. I წა-და „ცეცხლზე“, წა „ცეცხლი“...

ბ) მსაზღვრელი II სერიის ადგილობით ბრუნვაში: **წადაჟო** ანწუხური დიალექტის ტოხურ კილოკავში ეწოდება დროსტარებაზე თავშეყრილთათვის გასამასპინძლებელ სასმელ-საჭმელს, ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „ცეცხლთან რამ“, ლოკატ. II. წად-ა-ჟ „ცეცხლთან“, წა

„ცეცხლი“ (შდრ. სალიტ. ხუნძ. **დასადაქუელ**, რაც იმავე ცნების გამო-
მხატველია, ოღონდ ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „ბუხარზე დასაჭე-
რი“; შდრ. აგრეთვე ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში **წუ-
დუხუელ** „წვეულება, დროსტარება“, ზედმიწ. „ცეცხლთან ჯდომა“; ან-
წუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში **წადაკლი** „id.“,
ზედმიწ. „ცეცხლ-თან-ობა“ და სხვ.). იგივე კომპოზიტი შეიცავს II სე-
რიის ლოკატივიან მსაზღვრელს სამხრული ხუნძურის რიგ დიალექ-
ტებსა და კილოკავ-თქმებში, მაგ., ანდალალური დიალექტის ბუხტი-
ბურ კილოკავში **წუდუჯო**, იმავე დიალექტის სულრათლოურსა და ჭო-
ხურ კილოკავებში **წუდუხუო**, ბაწადურ ნარევე კილოკავში **წადახუო**,
ზედმიწ. „ცეცხლ-თან-რამ“.

კალიტყო „სადღვებლის სარქველი“ (ზემო ყარახულში), ზედმიწ.
„პირთან რამ“, ლოკატ. II. კალ-ი-ჯ „პირთან“, კალ „პირი“...

გ) მსაზღვრელი III სერიის ადგილობით ბრუნვაში: **ქაქიტყო** ნიშ-
ნავს სპეციალურ ნოხს, რომელზედაც ნამაზი სრულდება; შდრ. ქაქ
„ლოცვა“, ლოკატ. III. ქაქ-ი-ტჰ; ე. ი. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა
კომპოზიტისა არის „ლოცვა-ქვეშ რამ“; შდრ. აგრეთვე **ქაქიტატამ** „id.“
(ტამ-ი-ზე „გაშლა“, „დაგება“);

მადატყო „საძუე“, ზედმიწ. „კუდქვეშ რამ“, ლოკატ. III. მად-ა-ტჰ
„კუდის ქვეშ“, მად „კუდი“;

მერგიტყო „თითისტარის შესადგამი“, ზედმიწ. „თითისტარის
ქვეშ რამ“, ლოკატ. III. მერგ-ი-ტჰ „თითისტარის ქვეშ“, მერგო „თითის-
ტარი“...

სამხრული ხუნძურის ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში იმავე სი-
ტყვათა III სერიის ლოკატივიან ფორმებთან **ყო** განიცდის ფონეტიკურ
ცვლილებას, მაგ., **ქიქიჭო** „ნოხი, რომელზეც ნამაზი სრულდება“ (ჰი-
დურ დიალექტში), **მადაჭუ** „საძუე“ (ზემოყარახულში), **მიგრიჭუ** „თი-
თისტარის შესადგამი“ (ჰარულში), **მირგიჭუ** „id.“ (ანწუხური დიალექ-
ტის ანწროსუნჰადურ კილოკავში)... აქ ელემენტი **-ჭო** ← -ტჰ-ყო, **-ჭუ** ←
-ტჰ-ჭუ, ანუ დიალექტებში ლოკატივის **-ტჰ** ფორმანტს შერწყმია **ყო**;
ლატერალურ მკვეთრ **ტჰ** აფრიკატს, თავის მხრივ, მიუმსგავსებია **ჭ** ამ
ლექსემაში, კერძოდ, თავის შესაბამისად მოუხდენია მისი გამკვეთრება
და გააფრიკატება.

საკმაოდ გვხვდება თხზული სიტყვები, უმეტესად დიალექტებ-
ში, რომლებშიც **ყო** ელემენტის წინამავალ კომპონენტთა სემანტიკა, შე-
დგენილობა და წარმომავლობა ნათელი არ არის; ასეთებად შეიძლება
დავასახელოთ, მაგალითად:

ბოკობხო „ნაცარში გამომცხვარი პური“ (ჰიდურ დიალექტში);
წაუნხო „კუნძი“ (იმავე დიალექტში), **ნობილხო** „id.“ (ყელებურ ნარევ კილოში);

მიხიხო „მაყალის ნაცარში გამომცხვარი პური“ (ყელებურ ნარევ კილოში);

მიჭილხო „შემა“ (იმავე კილოში);

ბურდალახო „ბზრიალა“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში);

ჰანქუახო „ყველის შესანახი გუდა“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში), შდრ. ჰან „ყველი“, -ქუა- ელემენტის რაობა გაურკვეველია);

კატკატლახო „წისქვილის ღარზე მიმაგრებული ჯოხი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში, აგებულების მიხედვით რედუპლიცირებული ჩანს და ალბათ ხმაბაძვითიცაა, შდრ. იმავე დიალექტის ტოხურ კილოკავში **კატკატ** „id.“, ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში **კეტერო** „id.“...), ამ მნიშვნელობით ქვემოყარახულში იხმარება **კარხელახო**;

ყარახული დიალექტის ტლესერუხის კილოკავში გვხვდება სიტყვა **ქოდყო** „დიდი ზომის თიხის ჭურჭელი“ (შდრ. ანწუხურში ქუდარი „დოქი“);

ტამჭიტახო „მარწყვი“ (ზემოყარახულში);

ჭოლოჯხო // **ჭოლოხო** (ანდალალურისა და ყარახულის კილოკავ-თქმებში), **წოლოხო** (ყელებურ ნარევ კილოში) „აღვირი“, შდრ. ჩრდ. ხუნდ. **ჭოლო(რ)ჯან** „id.“ (ეს უკანასკნელი დადასტურებულია ზ. ჯაფარიძის მიერ (იხ. ჯაფარიძე 1966: 34). ლ. ჟირკოვის ლექსიკონში წარმოდგენილია მისი ვარიანტები: **ჭოლორჯა**, აგრეთვე **ჭოლოჯჩო** (ჟირკოვი, 1936, 34); აქ **-ჩო** ← **-ხო** წინამავალი ფშვინვიერი **ჭ**-ს გავლენით, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, ანალოგიისათვის შდრ. III სერიის ლოკატივიან ფორმებთან **-ტა-ხო** → **-ჭო** პროცესი ზოგ სამხრულ დიალექტში...

ხო ლექსემა გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ზმნურ ფორმათაგან ნაწარმოებ რიგ კომპოზიტებში, მაგალითად:

აბუნხო „საცოლის მიერ საქმროს ნათესავებისათვის გამზადებული საჩუქრები“ (ანდალალური დიალექტის სალტის კილოკავში), შდრ. ნამყოს გერუნდივის ფორმა აბ-უნ ზმნისა აბ-ი-ზე „თქმა“, შდრ. აგრეთვე ამავე ზმნისგან მიღებული სახელები აბურ-აბ „დანიშნული ქალი“, „საცოლე“, აბურ-აჟ „საქმრო“;

წადალუნყო „საწვავი“, ზედმიწ. „ცეცხლზე დადებული რამ“ (ჰიდურ დიალექტში), კომპოზიტში წარმოდგენილია ნამყოს გერუნდივი ლუნ ზმნისა ლე-ლე, სალიტ. ხუნდ. ლე-ზე „დადება“; წა-და „ცეცხლზე“. ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში ითქმის **ბაქეიყო** „საწვავი“, ზედმიწ. „დასანთებად რამ“, იმავე დიალექტის ბოჰნოდურსა და ტომურულ კილოკავებში **ბოჰზიყო**, ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში – **ბუჰდეყო**, ზედმიწ. „დასაწვავად რამ“; ამ მაგალითებში ამოსავალია ინფინიტივის ფორმები ბაქ-ჟი „დანთება“, ბოჰ-ზი, ბუჰ-დე „წვა“ (სალიტ. ხუნდ. ბაქ-ი-ზე, ბუჰ-ი-ზე);

ბულალაყო (ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში), **რულალაყო** (იმავე დიალექტის თლესერუხის კილოკავში), **ბულაყო** (ზემოყარახულში), **ბულალაყო** (ყელებურ ნარევ კილოში) „ბურღი“ (შდრ. სალიტ. ხუნდ. **ბორლ'-ა-რო** „ბურღი“, ბორლ'-ი-ზე „ბურღვა“);

თირინყო „ბზრილა“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში), შდრ. თირ-ზი (//თირ-ძი) „ტრიალი“, სალიტ. ხუნდ. თირ-ი-ზე;

ქენდეყო (ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში), **ქენყო** (იმავე დიალექტის ჭოხურ კილოკავში) „საჭმელი“, მიღებულია ზმნისაგან ქვენ-დე „ჭამა“ (სალიტ. ხუნდ. ქენა-ზე)...

რიგ კომპოზიტებში **ყო** საზღვრულად მოუდის ზმნისართებს:

ნაჯაყო „საძუე“, ზედმიწ. „უკან რამ“ (ნაჯა „უკან“);

დანდეყო აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც პურთან ერთად იჭმევა, მაგ., კარაქი, ხორცი, რძე... (დანდე „მოპირდაპირედ“, „პირისპირ“); ამავე მნიშვნელობით ჭარულ დიალექტში იხმარება **ცადახყო**, ზედმიწ. „ერთად რამ“ (ცადა-ხ „ერთად“, სალიტ. ხუნდ. ცადა-ჯ).

საჟერუნყო ჰქვია ჯოხს, რომლითაც ტვირთზე თოკს შემოუჭერენ ხოლმე; ზედმიწ. „ირგვლივ რამ“ (საჟერუნ „ირგვლივ“);

ყადანიყო ეწოდება თავქვეშ ამოსადებ რაიმე საგანს (ყადანი-ბ „თავქვეშ“);

პორტოყო – მწყემსების მიერ დასაკლავად განკუთვნილი პირუტყვი. ეს სიტყვა სანაძლეოსაც ნიშნავს, მაგ., შესიტყვებაში ჰორტოყო ბაზე „ნიძლავის დადება“ (ჰორტო-ბ „შუაში“, „მორის“);

ურჰისაყო „თირკმელი“, ზედმიწ. „შიგნიდან რამ“ (ურჰი-სა „შიგნიდან“, ურჰი-ბ „შიგნით“);

ღორტოყო „სარჩული“ (ბათლუხურ დიალექტში), ზედმიწ. „ქვეშ რამ“ (ღორტო „ქვეშ“);

ყასიყუ „ვახშამი“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), ზედმიწ. „სალამოთი რამ“ (ყასი „სალამო“); შდრ. სალიტ. ხუნძ. **ყასიქუნ** „ვახშამი“, ზედმიწ. „სალამოთი საჭმელი“ (ქუნ „საჭმელი“)..

ზმნისართის შემცველია აგრეთვე **ტაჟუ** „შარვალი“; შდრ. ტად „ზევით“, ე. ი. „ზევითა რამ“, „ზედა რამ“ (გუდავა 1954ა: 373). ამ სიტყვას ბოლოში **უ** აქვს და არა **ო** (ტა-ჟუ ← ტად ჟო). ასეთივე დაბოლოებისაა **ხანჟუ** „ფქვილი“ (ჟუ ← ჟო), რომელიც შედგენილია ზმნისაგან ხი-ი-ნე „ფქვა“ (უსლარი 1889, განყ. II: 202).

ტ.გუდავა აღნიშნავს, რომ **ტაჟუ**, **ხანჟუ** სიტყვათა ბოლოში რომ **ო** გადასულა **უ**-ში, ეს სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლანაა (გუდავა 1954ა: 374). მკვლევარს მხედველობაში აქვს ცნობილი ფაქტი, რომ ჩრდილოური ხუნძურის ბოლოკიდური **ო** სამხრულში **უ** ხმოვნად ვიწროვდება ხოლმე, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ორივე ეს სიტყვა (ტაჟუ, ხანჟუ) ჩრდილოურ ხუნძურშიც **უ** დაბოლოების მქონეა, რაც ჩრდილოურისავე ნიადაგზე საჭიროებს ახსნას და არა მხოლოდ სამხრულ დიალექტთა ჩვენებაზე დამყარებას. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ სამხრულ დიალექტებშიც **ჟო** → **ჟუ** ბევრ კომპოზიტში არ ხდება. დამოუკიდებელ სიტყვად ხმარებული **ჟო**, ცხადია, სამხრულშიც ვერ მოგვეცემს **უ** ხმოვნიან ვარიანტს, რამდენადაც იგი ერთმარცვლიანია. სამხრულ ხუნძურის კომპოზიტთა იმ მაგალითებში, სადაც **ჟუ** გვაქვს, **ო** ხმოვნიანი ვარიანტის ნაცვლად, საფიქრებელია, ზოგ შემთხვევებში (მაგრამ არა ყოველთვის) საქმე უნდა გვქონდეს ამ ლექსემის დესემანტიზაციასთან, როცა იგი კომპოზიტში დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე კომპონენტად აღარ აღიქმება და ამიტომ ფონეტიკურ ცვლილებასაც (სამხრული ხუნძურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ფარგლებში) უფრო იოლად ექვემდებარება.

ჩრდილოურ ხუნძურში მოიპოვება **ტაჟუ** („შარვალი“), **ხანჟუ** („ფქვილი“) ლექსემათა მსგავსად დაბოლოებული კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც მეტად საინტერესოა როგორც შედგენილობის მხრივ, ისე ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით; ეს არის **ჭაჟუ** „ქალი“, რომლის ეტიმოლოგიასაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ტ. გუდავამ (გუდავა 1954: 373-376). მის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი (იხ. ქვემოთ განყ. „ქართული, ხუნძური და ლაკური ენების კომპოზიტთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი“).

ხუნძური ენის კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაში აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ თუ კომპოზიტი შედგენილია კლასნიშნიანი

ზმნისაგან მიღებული არსებითი სახელისაგან, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, **რ-** პრეფიქსით არის ხოლმე წარმოდგენილი. მაგალითად:

რუკა-რაცინ „ყოფა-ცხოვრება“; შდრ. მასდარის ფორმა ბ-უ-კ-ი-ნ კლასნიშნიანი ზმნისა ბ-უ-კ-ი-ნე „ყოფნა“; მასდ. ბ-ა-ჯ-ი-ნ კლასნიშნიანი ზმნისა „ადგომა“. შესაბამისად, კომპოზიტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა „ყოფნა-ადგომა“; შდრ. ლაკურ ენაში **ბიზუ-ბიკუ** „ყოფა-ცხოვრება“, ზედმიწ. „ადგომა-ყოფნა“ (← ბ-ი-ზ-უ გასუბსტ. ფორმა ზმნისა ბ-ი-ზ-ან „ადგომა“ + ბ-ი-კ-უ გასუბსტ. ფორმა ზმნისა ბ-ი-კ-ან „ყოფნა“). ლაკურში მოიპოვება, აგრეთვე, კომპოზიტი **ბაჰუ-ბიზუ** „ყოფა-ცხოვრება“, ზედმიწ. „არსებობა-ადგომა“.

რეც-ბაყ „პირფერობა“ ← რეც „ქება“ + ბაყ „მზე“ (ზედმიწ. „ქება-მზე“); შდრ. მასდ. ბ-ე-ც-ი-ი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ე-ც-ი-ი-ზე „შექება“.

წა-რაქი „კომლი“, „მეურნეობა“ ← წა „ცეცხლი“ + რაქი „დანთება“, „გაჩაღება“ (ცეცხლისა); შდრ. მასდ. ბ-ა-ქ-ი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-ქ-ი-ზე „დანთება“ (ცეცხლის).

ტადე-რაცი „ყვავილი“ (სენი) ← ტადე „ზევით“ + რაცი „ამოსვლა“ (ე. ი. „ზედ ამოსვლა“, „ზედ გამოყრა“); შდრ. მასდ. ბ-ა-ჯ-ი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-ჯ-ი-ზე.

მაჰდიდარაი „სამკერდე“ (ცხენის აღკაზმულობის ნაწილი) ← მაჰდი-და „მკერდზე“ (მეჰედ „მკერდი“) + რაი „დაკიდება“; შდრ. მასდ. ბ-ა-ი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-ზე „დაკიდება“, „ჩამოკიდება“. ასევეა ნაწარმოები **ნაჯარაი** „საძუე“ ← ნაჯა „უკან“ + რაი „დაკიდება“, „ჩამოკიდება“.

ბერკალრაწი „პირსახოცი“ ← ბერ „თვალი“ + კალ „პირი“ + რ-აწი-. ეს უკანასკნელი კომპონენტი გამოგვიჩენს **რ-** თავსართს, რამდენადაც წარმოადგენს არსებითი სახელის აღმნიშვნელი კომპოზიტის („პირსახოცი“) წევრს. ეს **რ-ა-წი** წარმომავლობით არის ფუძე კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-წი-ი-ნე „წმენდა“, „გასუფთავება“ და სხვ.

2. ლაკური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

ლაკური ენის სიტყვაწარმოების შესწავლის ისტორია სპეციალურად არის განხილული ზ. შახმანოვას საკანდიდატო დისერტაციაში (შახმანოვა 2005).

3. უსლარის მიერ დაწერილი ლაკური ენის პირველი აღწერითი გრამატიკა (უსლარი 1890), შეიცავს ზოგიერთ ცნობას ცალკეულ რთულ სიტყვათა აგებულების შესახებ. კერძოდ, ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ლაკურში, ისევე როგორც სხვა კავკასიურ ენებში, ნა-

თესაობის აღმნიშვნელი სიტყვების უმეტესობა რთული შედგენილობისაა (ე.ი. კომპოზიტს წარმოადგენს). მაგალითად: **ბუთაჟუსუ** „ბიძა“ (მამის ძმა), **ნითაჟუსუ** „ბიძა“ (დედის ძმა). პ. უსლარი აგრეთვე აღნიშნავს, რომ შინაურ ცხოველთა სქესი აღინიშნება განსაკუთრებული სახელწოდებებით, ისევე როგორც მათი ასაკი და სხვა თვისებები: **თა** „ნერბი“, **ქუ** „ვერძი“, **ჭი** „ბატკანი“. უმეტეს შემთხვევაში კი ცხოველთა სქესის აღსანიშნავად მათ სახელწოდებებს დაერთვის **ბურწნი** / **ბურწნისა** „მამალი“, „ხვადი“ ან **ცუ** / **ცუსა** „დედალი“, „ძუ“. მაგალითად: **თუქუ** „ვირი“ (საერთოდ), **ბურწნითუქუ** „მამალი ვირი“, **ცუთუქუ** „დედალი ვირი“. ნაშიერის აღსანიშნავად გამოიყენება **ურჭ** „ნაშიერი, შვილი, ბიჭი“ : **ცუნლულ ურჭ** „დათვის ბელი“ და ა.შ. (უსლარი 1890: 48).

ამრიგად, პ. უსლარს აღნიშნული აქვს ლაკური ენის სიტყვაწარმოების ის თავისებურებები, რომლებიც თვალსაჩინოდ გამოირჩევა რუსულისაგან.

ლ. ჟირკოვის ნაშრომში „ლაკური ენა“ (ჟირკოვი 1955: 32-33) მხოლოდ გვერდნახევარი ეთმობა სიტყვაწარმოებაზე მსჯელობას და ისიც მხოლოდ ზმნურ დერივაციას, ხოლო კომპოზიციის შესახებ არაფერია ნათქვამი. არსებით სახელთა სიტყვაწარმოების საკითხი ლ. ჟირკოვის ნაშრომში არ არის განხილული.

გარკვეული ყურადღება დაუთმო ლაკური სიტყვაწარმოების საკითხებს ჰ. მურყელინსკიმ, როგორც სპეციალურ სტატიაში (მურყელინსკი 1957), ისე მონოგრაფიაში „ლაკური ენის გრამატიკა“ (მურყელინსკი 1971: 57-62). მაგრამ ამ ნაშრომებში არ არის სიახლე სიტყვაწარმოების თეორიის საკითხებზე. განიხილება მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება სიტყვაწარმოებისა – დერივაცია (ისიც შემოფარგლული მხოლოდ სუფიქსაციით), მიუხედავად იმისა, რომ ავტორს პარაგრაფის დასაწყისში ნახსენები აქვს არსებით სახელთა წარმოების რამდენიმე საშუალების შესახებ (მურყელინსკი 1971: 57). აღნიშნულია იმის შესახებ, რომ **-უ** სუფიქსის მეშვეობით რთული სიტყვები იწარმოება, მაგრამ არ არის მოცემული რთული სიტყვის ცნების განმარტება. ერთგვაროვანი ტიპის წარმონაქმნები იწერება ხან შერწყმით (**ქადაჯუ** „უხელო“), ხან განცალკევებით (**ჩან ბაჯუ** „უფეხო“) (მურყელინსკი 1971: 61).

სიტყვაწარმოების საკითხები უფრო საფუძვლიანად განიხილება ს. ხაიდაყოვის ნაშრომში „ლაკური ენის ლექსიკის ნარკვევები“ (ხაიდაყოვი 1961). ამ ნაშრომში პირველად იქნა მეტნაკლებად დაწვრილებით

განხილული კომპოზიტიური სიტყვაწარმოება. ავტორი სვამს საკითხს რთული სიტყვისა და შესიტყვების ერთმანეთისაგან გამოიჯვინის შესახებ. ამ ორი ერთეულის გამოიჯვინის კრიტერიუმად იგი სემანტიკურ ნიშანს მიიჩნევს: „რთული სიტყვა თავისი სემანტიკური ბუნებით მეტწილად ერთ ცნებას გამოხატავს, ამდენად ყოველი შესიტყვება ვერ იქნება რთული სიტყვა, ვინაიდან ასეთი შეხამება სიტყვებისა უნდა გამოხატავდეს ერთ ცნებას“ (ხაიდაყოვი 1961: 131).

მართებული ჩანს ავტორის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „მარტივი შესიტყვების გარდაქმნა რთულ სიტყვად წარმოადგენს ისტორიულ პროცესს, დაკავშირებულს კომპონენტების ძირითად მნიშვნელობათა ნეიტრალიზაციასთან და მათ ბაზაზე ახალი მნიშვნელობა-ცნების გამომუშავებასთან“ (ხაიდაყოვი 1961: 132). მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სემანტიკური მთლიანობა მყარი შესიტყვების თვისებაც არის, განსხვავებით თავისუფალი შესიტყვებისაგან – სინტაქსური ერთეულისგან.

რთულ სიტყვათა (კომპოზიტთა) წარმოების ს. ხაიდაყოვისეული თეორიის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მის მიერ ლაკური ენის რთულ სიტყვათა ძირითადი სტრუქტურული ტიპების შემუშავება. მკვლევარი გამოყოფს შემდეგი ტიპის არსებით სახელებს:

ა) არსებით სახელთა ორი ფუძის შეერთება: **ვარანიქელმუ** „სირაქლემა“ ← **ვარანი** „აქლემი“ + **ქელმუ** „ჩიტი“, „ფრინველი“; აქვე ავტორი განიხილავს არსებითი სახელის ირიბი ფუძის შეერთებას არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმასთან: **შინახულლუ** „წყალსადინარი თხრილი“, „სარუე“ ← **შინ-ა-** – ირიბი ფუძე სიტყვისა **შინ** „წყალი“ + **ხულლუ** „გზა“;

ბ) არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმის შეერთება - უ დერივატივით ნაწარმოებ გაარსებითებულ ზმნურ ფუძესთან: **წუბიკუ** „სამარილე“ ← **წუ** „მარილი“ + **ბიკ-უ** „ჩასაყრელი“;

გ) ზმნისართის შეერთება არსებით სახელთან: **აღლთუჰუკა** „პერანგი“ ← **აღლთუ** „ზედ“, „ზემოთ“ + **ჰუკა** „პერანგი“;

დ) ლოკატივის ფორმიანი არსებითი სახელის შეერთება არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმასთან: **ნისირააჩათ** „ხაჭოს ნამცხვარი“ ← **ნის-ი-რ-აა** „ხაჭოზე“ + **ჩათ** „პური“.

ავტორი ყურადღებას აქცევს რთულ არსებით სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებებს, კერძოდ რთული სიტყვის გრამატიკულ კლასს, რთული სიტყვის კომპონენტთა ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილებას. აღინიშნება შემთხვევები, როდესაც კომპონენტები ერთ კლასს განეკუთვნებიან, ხოლო კომპოზიტი მთლიანად კიდევ სხვა

კლასისაა. მაგალითად: **შანუ-კარალუ** „ლოგინი“ IV გრამატიკული კლასისაა, ხოლო მისი შემადგენელი კომპონენტები **შანუ** „ლეიბი“ და **კარალუ** „ბალიში“ ორივენი განეკუთვნებიან III კლასს (ხაიდაყოვი 1961: 133).

ლაკური ენის არსებით სახელთა სიტყვაწარმოების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი შრომებით ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2003: 32-37; აბდულაევი, ელდაროვა 2003: 16-35, 64-95; აბდულაევი 2010: 100-125). ავტორი განიხილავს სიტყვაწარმოების ორ საშუალებას – აფიქსაციას (დერივაციას) და ფუძეთა შეერთებას (კომპოზიციას).

არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოების ანალიზისას ი. აბდულაევი გამოყოფს კომპოზიტთა ორ ტიპს: შეერთებით (კოპულატიურ) კომპოზიტებსა და განსაზღვრებით (დეტერმინატიულ) კომპოზიტებს. ყურადღება ექცევა შეერთებით კომპოზიტთა კომპონენტების ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებს. შეერთებით კომპოზიტთა ნაირსახეობად განიხილება სხვადასხვა სახის განმეორებები. განსაზღვრებით კომპოზიტთა შორის გამოვლენილია მამოტივირებელ შესიტყვებათა სტრუქტურული ტიპები. რთული სუფიქსიანი კომპოზიტები განიხილება განსაზღვრებით კომპოზიტთა ნაირსახეობად. სიტყვაწარმოების კერძო საკითხებს ეძღვნება აგრეთვე ლაკური ენის სხვა მკვლევართა შრომები (ჯიდალაევი 1984, ჯიდალაევი 1985, ჯიდალაევი 1986, ჯიდალაევი 1990, ჰაჯიევა 1986, ჯიდალაევა 2003, ელდაროვა 2001, ელდაროვა 2003, შახმანოვა 2001, შახმანოვა 2005 და სხვ.).

ლაკურ ენაში რთული არსებითი სახელები, როგორც უკვე ითქვა, ჯგუფდება ორი ტიპის მიხედვით: კოპულატიურ (შეერთებით) კომპოზიტებად და დეტერმინატიულ (განსაზღვრებით) კომპოზიტებად. ამდენად, კომპოზიტიური წარმოება ლაკური და ხუნძური ენებისა არსებითად იდენტურია.

კოპულატიური კომპოზიტი იწარმოება სხვადასხვა სიტყვათა შეერთებით:

1) ანტონიმების შემცველი კომპოზიტები – კონტრასტულ ან მომიჯნავე ცნებათა დაპირისპირება ახალი, უფრო განზოგადებული ცნების აღსანიშნად. მაგალითები:

ბა-ტამა „საწვავი“ (← **ბა** „წივა“ + **ტამა** „შეშა“, ზედმიწ. წივა-შეშა), **ლას-შარ** „ცოლ-ქმარი“ (← **ლას** „ქმარი“ + **შარ** „ცოლი“), **ლუხჩი-საგ** „სამყარო“ (← **ლუხჩი** „მიწა“ + **საგ** „ცა“, ხუნძ. **ზობ-რატა**, ზედმიწ. „ცამიწა“), **ჰუთრუ-თაილიკ** „გულ-ღვიძლი“, „ლივერი“ (← **ჰუთრუ** „ფილ-

ტვი“ + **თაილიკ** „ღვიძლი“), **სირსი-ჭირი** „მეორეული თმის საფარველი“ (← **სირსი**- შემოკლ. ← **სირსილუ** „ულვაში“ + **ჭირი** „წვერი“, ქართ. **წვერ-ულვაში**), **ქულლა-მანსავ** „საბრძოლო მასალა“ (← **ქულლა** „ტყვია“ + **მანსავ** „თოფის წამალი“, „დენთი“, ქართ. **ტყვია-წამალი**) და სხვ.

2) სინონიმების ან ახლო მნიშვნელობის სიტყვათა შემცველი კომპოზიტები:

იშეი-ჩავუ „სიყვარული“ (← **იშეი** „გატაცება“, „ვნება“, „სიყვარული“ + **ჩავუ** „სიყვარული“), **ადლუ-ნიზამ** „მართლწესრიგი“ (← **ადლუ** „სამართალი“, „სამართლიანობა“ + **ნიზამ** „წესრიგი“), **ბალა-აფატ** „უბედურება“ (← **ბალა** „უბედურება“ + **აფატ** „უბედური შემთხვევა“), **ჭადარ-ყისმათ** „ბედი“ (← **ჭადარ** „ბედისწერა“, „განგება“ + **ყისმათ** „ბედი“) და სხვ.

3) მეზობლად მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ან ეთნიკური სახელწოდებების შემცველი კომპოზიტები:

არჩი-შალ (სოფლების არჩისა და შალის მოსახლეობა), **აღალ-ყუ-შაიმი** „აღულები“ (ხეობათა სახელწოდებების მიხედვით), **ახთი-ქურალ** „ქიურელები, ლეზგები“ (სოფლისა და მაჰალის სახელწოდებების მიხედვით), **ზურ-ზურუკულ** (სოფლების ხურისა და ხურუკრას მოსახლეობა) და სხვ.

მოვიხიშოთ ლაკურ ენაში ყველაზე მეტად გავრცელებულ და დამახასიათებელ შ ე ე რ თ ე ბ ი თ კ ო მ კ ო ზ ი ტ თ ა მაგალითებს:

ნინუ-ფუ „მშობლები“ (← **ნინუ** „დედა“ + **ფუ** „მამა“, ქართ. **დედ-მამა**, ხუნძ. **ეხელ-ემენ**), **ბაკ-შიკ** „შიგნეული, ჯიგარი და თავ-ფეხი“ (← **ბაკ** „თავი“ + **შიკ** „ჩლიქი“, ქართ. **თავ-ფეხი**, ხუნძ. **ჰეტ-ბეტერ** „ფეხი-თავი“), **ტაჰნი-კიჰუ** „ჭურჭელი“ (← **ტაჰნი** „თიხის ნაკეთობა“ + **კი-ჰუ** „ჯამი“), **ფურუნ-ჰულ** „ჭურჭელი“ (← **ფურუნ** „მინა“ + **ჰულ** „ნატეხი“, „ნამსხვრევი“), **შანუ-კარალუ** „ლოგინი“ (← **შანუ** „ლეიბი“ + **კარალუ** „ბალიში“), **ინი-ყალი** „ფქვილეული“ (← **ინი** „ქუმელი“ + **ყალი** „ხის საწყაული“), **ქა-ჩან** „კიდურები“ (← **ქა** „ხელი“ + **ჩან** „ფეხი“, ქართ. **ხელ-ფეხი**), **ლას-შარ** „მეუღლეები“ (← **ლას** „ქმარი“ + **შარ** „ცოლი“, ხუნძ. **როს-ლადი**, ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“, ქართ. **ცოლ-ქმარი**), **აყლუ-კულში** „ჭკუა-გონება“ (← **აყლუ** „ჭკუა“, „გონება“ + **კულში** „ცნობიერება“), **ბას-ჩალ** „შეჯიბრი“ (← **ბას** „დავა“ + **ჩალ** „მეტოქეობა“), **ბჰ-ტამა** „საწვავი“ (← **ბჰ** „წივა“ + **ტამა** „შეშა“, ზედმიწ. „წივა-შეშა“), **ვას-ცახ** „შიში“ (← **ვას** „შიში“ + **ცახ** „შიში“), **ჰუთრუ-თაილიკ** „გულ-ღვიძლი“,

„ლივერი“ (← **ჰუთრუ** „ფილტვი“ + **თილიკ** „ღვიძლი“), **ქულლა-მანსავ** „საბრძოლო მასალა“ (← **ქულლა** „ტყვია“ + **მანსავ** „თოფის წამალი“, „დენთი“, ქართ. **ტყვია-წამალი**), **ქურთა-ჭატარაკ** „მშვილდ-ისარი“ (← **ქურთა** „მშვილდი“, „რკალი“ + **ჭატარაკ** „ისარი“), **ლუხჩი-სავ** „სამყარო“ (← **ლუხჩი** „მიწა“ + **სავ** „ცა“, ხუნდ. **ზობ-რატ**, ზედმიწ. „ცა-მიწა“), **რაჰმუ-წიმი** „მოწყალება“ (← **რაჰმუ** „შეწყალება“, „დანდობა“ + **წიმი** „გულმოწყალება“), **ურთუ-ტუტი** „მცენარეულობა“ (← **ურთუ** „ბალახი“ + **ტუტი** „ყვავილი“), **ურთუ-შინ** „მცენარეულობა“ (← **ურთუ** „ბალახი“ + **შინ** „წყალი“), **უსურ-სუ** „ნათესაობა“ (← **უსუ** „ძმა“ + **სუ** „და“), **იშყი-ჩავე** „სიყვარული“ (← **იშყი** „გატაცება“, „ვნება“, „სიყვარული“ + **ჩავე** „სიყვარული“) და სხვ.

კოპულატიურ კომპოზიტებს უახლოვდებიან აგრეთვე სხვადასხვა სახის განმეორებები, რომლებიც ნაწარმოებია ამა თუ იმ ფუძის გაორკეცებით (რედუპლიკაციით) ანდა შეხამებით ე.წ. ასონირებულ ფუძესთან, რომელიც წარმოადგენს ნაირსახეობას პირველი ფუძისა.

განმეორებები უპირველეს ყოვლისა ნიშანდობლივია ხმაბაძვითი (ე.წ. მიმეო-გამომსახველობითი, სიმბოლური, ონომატოპოეტური) ფუძეებისათვის. რედუპლიცირებული ფუძეები წარმოგვიდგებიან სხვადასხვა სახით:

ა) ჩვეულებრივი გაორკეცება რამე ცვლილების გარეშე: **პარ-პარ** „ყბედობა“, „ლაქლაქი“, **ფარ-ფარ** „კაშკაში“, „ბრწყინვა“, **წა-წა** „ელვარება“, **ჭევ-ჭევ** „ჭიკჭიკი“, **ყვარ-ყვარ** „ყიყინი“;

ბ) გაორკეცება, როდესაც ასონირებული სიტყვა იწყება სხვა თანხმოვნით (**მ, ყ, შ...**) ან იცვლის ფუძის ხმოვანს: **ქაიდ-შაიდ** „ლხინი“, **პლაგ-ჩაღავ** „პანიკა“, **ნაწუ-ყაწუ** „ტკბილეული“, **ყამ-ყუმ** „სხვადასხვა ნივთები“, „ბარგი-ბარხანა“ (ქართ. **რამე-რუმე**), **თურუ-ღურუ** „ღრენა“, „ბუზღუნი“, **წჩ-წჩინჩ** „სურდო“, **პრზა-ფარზა** „ჩივილი“, „საჩივარი“, **ჰილლა-პელლა** „ხრიკი“, „ფანდი“, **წურუ-კურუ** „ბუზღუნი“, **მაშა-ხაშა** „ვაჭრობა“, „ადებ-მიცემა“, **ჭვარ-ჭურ** „გრგვინვა“, „ჭექა-ქუხილი“, „გრუხუნი“, **ჭვარ-ჭურ** „შეხლა-შემოხლა“ (სიტყვიერი) და სხვ.

ხშირად გვხვდება -**უ** დერივატის შემცველი ორი ნახმნარი სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, თუმცა ეს სახელები დამოუკიდებელ სიტყვებად არ იხმარებიან:

ბაჰუ-ბიზუ „ყოფა“ (← **ბაჰ-ან** „დაცემა“, „დავარდნა“ + **ბიზ-ან** „ადგომა“), **ბუხუ-ბუქუ** „ურთიერთვიზიტი“, „ურთიერთმონახულება“ (← **ბუხ-ან** „შესვლა“ + **ბუქ-ან** „გასვლა“, შდრ. ქართ. **მისვლა-მოსვლა**),

დახუ-ლასუ „ვაჭრობა“ (← **დახა-ან** „გაყიდვა“ + **ლას-უნ** „აღება“, „ყიდვა“, ქართ. **აღებ-მიცემა**), **წუხუ-ბუსუ** „დაკითხვა“, „გამოკითხვა“ (← **წუხ-ინ** „კითხვა“ + **ბუსან** „მოყოლა“, „თხრობა“) და სხვ.

ამგვარ შენაერთებში მეორე კომპონენტს – ასონირებულ სიტყვას – ასევე მოეპოვება აუსლაუტში -უ :

აიყუ-შაიყუ „დაუდევრობა“ (← **აიყ-ინ** „შეცდომის მოსვლა“, „გადაცდომა“), **ბითუ-ხითუ** „სროლა“ (**ბით-ან** „გასროლა“), **შუშუ-ყუშუ** „ნარცხი“ (**შუშ-ინ** „გარეცხვა“) და სხვ.

ლაკურ ენაში გამოიყენება ისეთი განმეორებებიც, რომლებშიც მეორე, ასონირებულ ელემენტად გვხვდება შემცვლელი ელემენტი (სიტყვა-ნაწილაკი) -**ზა** („ნივთი“). იგი გადმოსცემს მნიშვნელობას, რომელიც ეფარდება განმეორების პირველ კომპონენტს და აღნიშნავს: „და ისიც რასაც მასთან კავშირი აქვს“, მაგ.: **დექრა-ზა** „საჭმელი-რამე“ („საჭმელი [და] რამე“), **ხაგარ-ზა** „ცნობილი-რამ“ (ცნობილი [და] რამე“), **ურჰ-ზა** „ბავშვები“, ზედმიწ. „ბავშვი-რამ“ („ბავშვი [და] რამე“), **არცუ-ზა** „თანხა“, „სახსარი“, ზედმიწ. „ფული-რამ“ („ფული [და] რამე“).

ლაკური ენის არსებით სახელთა წარმოებაში ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ტიპის განსაზღვრებითი კომპოზიტებიც.

მსაზღვრელის როლში (კომპოზიტის პირველ კომპონენტად შეიძლება გვექონდეს არსებითი სახელები, შეკვეცილი ზედსართავები, რიცხვითი სახელები, ზმნისართები).

განსაზღვრებით კომპოზიტებში მსაზღვრელი არსებითი სახელი გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (სრული ან შეკვეცილი სახით), უფრო ნაკლებად – სახელობითი ან სხვა ბრუნვის ფორმით.

არაერთ განსაზღვრებით კომპოზიტში პირველი კომპონენტი – მსაზღვრელი – წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით (ე.წ. ატრიბუტული არსებითი სახელი). ეს მსაზღვრელები წარმოადგენენ დასახელებებს, რომლებთან შეფარდებითაც ხასიათდება სხვა საგნები. ეს კომპოზიტები გამოხატავენ ზოგ სულიერ არსებათა, ნივთების და სხვ. სახელწოდებებს და გამოიყენებიან სახელწოდება-ტერმინებად. მაგალითები:

ბურხთაუქუ „ციყვი“ (← **ბურხ** „კურდღელი“ + **თაუქუ** „ვირი“), **მაჯარაურვატი** „კუ“ (← **მაჯარა** „ნაჭუჭი“ + **ურვატი** „ბაყაყი“), **ცაგკულუ** „ზღარბი“ (← **ცაგ** „ეკალი“ + **კულუ** „თაგვი“, შდრ. ხუნძ. **ზაზი-მუნკა** „ზღარბი“, ზედმიწ. „ეკლის თაგვი“), **ვარანიჭელმუ** „სირაქლემა“ (← **ვარანი** „აქლემი“ + **ჭელმუ** „ჩიტი“, ფრინველი“), **ხაჯარაჭელმუ** „ლა-

მურა“ (← **ხაჩარა** „აპკი“ + **კელმუ** „ჩიტი“), **ღალბარწ** „ლომი“ (← **ღალ** „ფაფარი“ + **ბარწ** „მგელი“, ხუნძ. **ღალბაწ** „ლომი“, ზედმიწ. „ფაფარი მგელი“), **ჯუსალიჩა** „ბეჭი“ (← **ჯუსა** „კოვზი“ + **ლიჩა** „ძვალი“), **ჩირაჯ-შათა** „ციცინათელა“ (← **ჩირაჯ** „ღამპარი“, „სანათი“ + **შათა** „ჭია“) და სხვ.

მსაზღვრელი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

ა) სრული სახით: **თუქულნის** „სოკო“ (← **თუქულ** „ვირის“ + **ნის** „ყველი“), **ჭუხილჭაპი** „მრავალძარღვა“ (← **ჭუხილ** „მწყემსის“ + **ჭაპი** „ფოთოლი“), **ბუთაღფუ** „პაპა“, ბაბუა“ (← **ბუთაღ** „მამის“ + **ფუ** „მამა“), **ვიჭილუს** „საყურე“ (← **ვიჭილ** „ყურის“ + **უს** „სამოსი“) და სხვ.

ბ) მსაზღვრელი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის შეკვეცილი ფორმით (-ლ ბრუნვის ნიშნის გარეშე):

ნეხამაჟ „მდინარის კალაპოტი“, „ჭალა“ (← **ნეხაღ** „მდინარის“ + **მაჟ** „მდელობი“), **ბუთაღუსუ** „ბიძა“ (← **ბუთაღ** „მამის“ + **უსუ** „მმა“), **ნითაიუსუ** „ბიძა“ (← **ნითაიღ** „დედის“ + **უსუ** „მმა“), **მათაიქაჩი** „ნაგაზი“ (← **მათაიღ** „ცხვრების“ + **ქაჩი** „ძაღლი“), **შინახულღუ** „წყალსადინარი თხრილი“, „სარუე“ (← **შინაღ** „წყლის“ + **ხულღუ** „გზა“), **ხაღაბაკუ** „თივის ზვინი“ (← **ხაღაღ** „თივის“ + **ბაკუ** „ბორცვი“), **წუმუქუტ** „ჭიპი“ (← **წუმულ** „ჭიპლარის“ + **ქუტ** „ხვრელი“), **ურჭაგათა** „საშვილოსნო“ (← **ურჭაღ** „ნაშიერის“, „შვილის“ + **გათა** „სახლი“), **ლიქურამა** „ძვლის ტვინი“ (← **ლიქურაღ** „ძვლის“ + **მა** „ქონი“) და სხვ.

„მოკლე“ ზედსართავებისა და არსებითი სახელების შეერთებით ნაწარმოები განსაზღვრებითი კომპოზიტები:

წუმუმუსი „ვერცხლისწყალი“ (← **წუმუ-** „თხევადი“ + **მუსი** „ოქრო“), **კაღამახ** „თუნუქი“ (← **კაღა-** „თეთრი“ + **მახ** „რკინა“), **დუყრაჰან** „ბოზა“ (ალკოჰოლური სასმელი ერთგვარი) (← **დუყრა-** „სქელი“ + **ჰან** „მათრობელი სასმელი“), **კულაჩაბ** „კვერი“, „ლავაში“ (← **კულა-** „თხელი“ + **ჩაბ** „პური“), **ნაწუმეჟ** „მქაუნა“ (← **ნაწუ-** „ტკბილი“ + **მეჟ** „ჭინჭარი“), **ჭავაუღ** „დეკეული“, „უშობელი“ (← **ჭავა-** „ახალგაზრდა“ + **უღ** „ძროხა“), **ლუჭიკან** „ჭრიჭინა“ (← **ლუჭი-** „შავი“ + **კან** „კალია“), **ლუჭიკელმუ** „შოშია“ (← **ლუჭი-** „შავი“ + **კელმუ** „ჩიტი“), **მურჭიკულუ** „თხუნელა“ (← **მურჭი-** „ბრმა“ + **კულუ** „თაგვი“) და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრებით კომპოზიტებში მსაზღვრელად გვევლინება რიცხვითი სახელი და ზმნისართი:

შანჭაპი „სამყურა“ (← **შან** „სამი“ + **ჭაპი** „ფოთოლი“, „ფურცელი“), **მუყმურწუ** „ოთხკუთხედი“ (← **მუყ** „ოთხი“ + **მურწუ** „კუთხე“), **ვირდაკ** „შიგნეული“ (← **ვირ** „შიგ“ + **დაკ** „გული“), **ლურთაუდანა** „საცვალი“ (← **ლურთაუ** „ქვემოთ“ + **დანა** „თეთრეული“), **ჭარავდუშ** „პატარძლის მხლებელი“ (← **ჭარავ** „გვერდით“ + **დუშ** „გოგო“, „ქალიშვილი“) და სხვ.

დეტერმინატულ კომპოზიტებშივე უნდა განვიხილოთ სუფიქსიანი რთული სიტყვები, რომელთა შემადგენლობაშიც პირველ კომპონენტად გვევლინება არსებითი სახელი და იგი წარმოადგენს დამატებას პირველი კომპონენტისა, რომელიც **-უ** დერივატივით არის ნაწარმოები ზმნისგან (ნაზმნარი სახელია). ეს სიტყვები წარმოადგენენ ან მოქმედ პირთა სახელებს (nomina agentis) ან მოქმედების საგანთა აღმნიშვნელ სახელებს (nomina instrumenta):

კუდუჭუ „გლეხი“ (← **კუ** „ყანა“ + **დუჭ-ან** „თესვა“), **დუქრადუგუ** „მზარეული“ (← **დუქრა** „საჭმელი“ + **დუგუ** „მკეთებელი“ ← **დან** „კეთება“), **მაწლაწუ** „ორატორი“ (← **მაწ** „სიტყვა“ + **ლაწ-ან** „წარმოთქმა“), **სურათრიშუ** „ფოტოგრაფი“ (← **სურათ** „სურათი“ + **რიშ-უნ** „ფოტოს გადაღება“), **აშდუქაუ** „სახაზავი“ (← **აშ** „ხაზი“ + **დუქა-ან** „ხაზის გავლება“), **შაბუქაუ** „უთო“ (← **შა** „ზოლი“ + **ბუქა-ან** „გავლება“), **ლაჩიბუთუ** „ქვასანაყი“, „როდინი“ (← **ლაჩი** „ნიორი“ + **ბუთ-ან** „ნაყვა“), **ჩატშანუ** „ხაზაზი“ (← **ჩატ** „პური“ + **შან-ან** ← **შან-ან** „ცხოზა“), **ნაკრუტუ** „სარძევე“ (← **ნაკ** „რძე“ + **რუტ-ინ** „დასხმა“, „ჩასხმა“), **ქაჩარბიჩუ** „საშაქრე“ (← **ქაჩარ** „შაქარი“ + **ბიჩ-ინ** „ჩაყრა“), **წუბიჩუ** „სამარილი“ (← **წუ** „მარილი“ + **ბიჩ-ინ** „ჩაყრა“) და სხვ.

წარმოების ამ ტიპს ვაწყდებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირველ კომპონენტად ზმნისართი და რიცხვითი სახელია:

წაიჭუხდაჭუ „წინსაფარი“ (← **წაიჭუხ** „წინ“ + **დაჭ-ინ** „შეკვრა“), **იალთაუუქაუ** „ზედამხედველი“ (← **იალთაუ** „ზედ“ + **უქა-ან** „გამოსვლა“), **კივაბითუ** „ორლულიანი თოფი“ (← **კივა** „ორი“ + **ბით-ან** „გასროლა“), **შანზაჭუ** „გზაჯვარედინი“ (← **შან-** „სამი“ + **ზაჭ-ინ** „გაყოფა“) და სხვ.

სუფიქსიან რთულ სიტყვებს წარმოადგენენ არსებითი სახელებიც, რომლებშიც მეორე კომპონენტად გვევლინება **ბ-აჭა-უ** „უქონელი“ (მდრ. ზედსართ. სახ. **ბ-აჭა-სა** „არარსებული“):

ნაჩდაჭაუ „უსირცხვილო“ (← **ნაჩ** „სირცხვილი“ + **დაჭაუ** „უქონელი“), **ჭუთრუბაჭაუ** „ლაჩარი“ (← **ჭუთრუ** „ფილტვი“ + **ბაჭაუ** „უქონელი“) და სხვ.

რთული სიტყვები, როგორც გაფორმებული ლექსიკური ერთეულები, განეკუთვნებიან ამა თუ იმ გრამატიკულ კლასს. მაგალითად, ზოგი რთული სიტყვები, ნაწარმოები არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან და, აგრეთვე, ზმნის ფუძეებისაგან -**უ** სუფიქსით, წარმოადგენენ IV გრამატიკული კლასის სახელებს მიუხედავად იმისა, რომ მათი შემადგენელი კომპონენტები III გრამატიკულ კლასს განეკუთვნებიან დამოუკიდებელ სიტყვებად გამოყენების შემთხვევაში. ლაკურ ენასთან შედარებით, ხუნძური ენის ვითარება ამ მხრივ მარტივია, ვინაიდან ხუნძურში ნივთის კლასი მხოლოდ ერთია (III კლ.), ხოლო ლაკურში ნივთის კლასის სახელები ორ კლასად ნაწილდება (III და IV კლასები). შდრ.:

ლაკ. **წუბიჩუ დურ** „სამარილე არის“. **წუბიჩუ** კომპოზიტი IV კლასისაა, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს **დ**- პრეფიქსი ზმნაში: **დ**-ურ „არის“, მაგრამ **წუ** „მარილი“ III კლასის სიტყვაა და ამას კომპოზიტის შიგნითვე მოწმობს მეორე კომპონენტი ზმნური წარმომავლობისა **ბ**-იჩ-**უ** („ჩამყრელი“, „ჩასაყრელი“), რომელსაც პრეფიქსად აქვს III გრამატიკული კლასის ნიშანი **ბ**- . ამ **ბ**- პრეფიქსს კომპოზიტის შიგნით არ გააჩნია არავითარი ფუნქცია, როგორც მას ექნებოდა თავისუფალი შესიტყვების შემთხვევაში, მაგ., **წუ ბ**-იჩან „მარილის ჩაყრა“, **წუ ბ**-ურ „მარილი არის“.

მსგავსადვე, **ქაჩარბიჩუ დურ** „საშაქრე არის“ , **ქაჩარ** („შაქარი“) III კლასის სახელია; შდრ. თავისუფალი შესიტყვება ქაჩარ **ბ**-იჩან „შაქრის ჩაყრა“, ქაჩარ **ბ**-ურ „შაქარი არის“; **შაბუქუ დურ** „უთო არის“, IV კლ. (**შა** „ზოლი“, III კლ.; **ბ**-უქუ „გამვლები“; შდრ. თავისუფალი შესიტყვება: **შა ბ**-უქან „ხაზის გავლება“, **შა ბ**-ურ „ზოლი არის“ და სხვ.

აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც ერთი კომპონენტი III კლასს განეკუთვნება, დამოუკიდებელ სიტყვად ხმარებისას, ხოლო მეორე კომპონენტი – IV კლასს, მაგრამ ამ სიტყვებით შედგენილი კომპოზიტი IV კლასის იქნება: **ტაჰნიკიკუ** „ჭურჭელი“ – IV კლ.; **ტაჰნი** „თიხის ნაკეთობა“ – IV კლ., მაგრამ **კიკუ** „ჯამი“ – III კლ. მაშასადამე, რთული სიტყვის განკუთვნება გარკვეული გრამატიკული კლასისადმი არ არის დამოკიდებული მის კომპონენტთა გრამატიკულ კლასზე: **შანუ-კარალუ** „ლოგინი“ – IV კლ., სადაც **შანუ** „ლოგინი“ – III კლ. და **კარალუ** „ბალიში“ – აგრეთვე III კლ.; **ბაკ-შიკ** „მიგნეული, ჯიგარი და თავ-ფეხი“ – IV კლ., სადაც **ბაკ** „თავი“ – III კლ. და **შიკ** „ჩლიქი“ – აგრეთვე III კლ. და სხვ.

3. ქართული, ხუნძური და ლაკური ენების კომპოზიტთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

სამსავე საკვლევ ენაში წარმოდგენილია სტრუქტურულად ერთგვაროვანი შეერთებითი (კოორდინაციული) კომპოზიტები:

ქართ.: **დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი, ქვრივ-ობოლი, მიწა-წყალი, ტყე-ველი, მთა-ბარი, დღე-ღამე, ცხვირ-პირი, თვალ-წარბი, წვერ-ულვაში, ხელ-ფეხი, მხარ-ბეჭი, გულ-ღვიძლი, კარ-მიდამო, სახლ-კარი, ოქრო-ვერცხლი, დანა-ჩანგალი, გუდა-ნაზადი, ლეიბ-საზანი, სასმელ-საჭმელი, პურ-მარილი, პურ-ღვინო, მშვილდ-ისარი, ხმალ-ხანჯალი, ტყვია-წამალი, თოფ-იარაღი, ციხე-ქალაქი, საწერ-კალამი, წეს-წყობილება, დაფა-ზურნა** და სხვ. მრავ.

ხუნძ.: **ეხელ-ემენ** „მშობლები“ (ზედმიწ. „დედა-მამა“), **ჰაცა-მაცა** „დედმამიშვილები“ (ზედმიწ. „ძმა-და“), **როსა-ლზადი** „მეუღლეები“ (ზედმიწ. „ქმარი-ცოლი“), **ზობ-რატა** „ქვეყანა“, „სამყარო“ (ზედმიწ. „ცამიწა“), **როსუ-რატა** „მამული“ (ზედმიწ. „სოფელი-მიწა“), **როზ-მეზერ** „ტყე-მთა“, **სორდო-ყო** „დღე-ღამე“ (ზედმიწ. „ღამე-დღე“), **ზობა-ქჟერ** „კიდურები“ (ზედმიწ. „ფეხი-ხელი“), **ბერ-კალ** „პირისახე“ (ზედმიწ. „თვალი-პირი“), **ტულ-რავ** „შიგნეული“ (ზედმიწ. „ღვიძლი-გული“), **ზარაც-მესედ** „ძვირფასეულობა“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), **ურგუყანდალ** „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-ბალიში“), **კორ-ბუტ** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), **ტიყუა-მამ** „ნალ-ლურსმანი“, **გულლა-ხიერ** „საბრძოლო მასალა“ (ზედმიწ. „ტყვია-წამალი“), **ზურმაყალი** „მუსიკალური საკრავები“, „ქორწილის თანმხლები მუსიკა“ (ზედმიწ. „ზურნა-დოლი“), **ზიშყუ-როტაი** „ძლიერი სიყვარული“ (ზედმიწ. „ვნება-სიყვარული“) და სხვ.

ლაკ.: **ნინუ-ფუ** „მშობლები“ (ზედმიწ. „დედა-მამა“), **უსურ-საუ** „ნათესაობა“ (ზედმიწ. „ძმები-და“), **ლას-შარ** „მეუღლეები“ (ზედმიწ. „ქმარი-ცოლი“), **ლუხჩაი-სავ** „სამყარო“ (ზედმიწ. „მიწა-ცა“), **ქა-ჩან** „კიდურები“ (ზედმიწ. „ხელი-ფეხი“), **ჰუთრუ-თაილიკ** „შიგნეული“ (ზედმიწ. „ფილტვი-ღვიძლი“), **ზაკ-შიკ** „შიგნეული, ჯიგარი და თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „თავი-ჩლიქი“), **არცუ-მუსი** „ძვირფასეულობა“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), **ტაჰნი-კიჭუ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „თიხის ნაკეთობა-ჯამი“), **შანუ-კარალუ** „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-ბალიში“), **ქურთა-ჭატარაკ** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „მშვილდი-ისარი“), **ქულლა-მანსავ** „საბრძოლო მასალა“ (ზედმიწ. „ტყვია-თოფისწამა-

ლი“), **ზუნაგ-დაკუ** „მუსიკალური საკრავები“, „ქორწილის თანმხლები მუსიკა“ (ზედმიწ. „ზურნა-დოლი“), **იშყი-ჩავე** „მღიერი სიყვარული“ (ზედმიწ. „ვენება-სიყვარული“) და სხვ.

მიუხედავად სტრუქტურულად ერთგვაროვან კომპოზიტთა არსებობისა, ამავე დროს, სამივე ენა ავლენს თვალსაჩინო განსხვავებებსაც ერთმანეთის მიმართ. თითოეული ენა გამოირჩევა სპეციფიკით, კომპოზიტური სახელდებისა და სემანტიკის თვალსაზრისით, და წარმოგვიდგენს მნიშვნელოვან თავისებურებას. განსხვავებები და თავისებურებები, ამ მხრივ, თავს იჩენს არა მარტო ენებს, არამედ ერთი ენის დიალექტებს შორისაც – ნიშანდობლივია ერთი და იმავე დენოტატის სხვადასხვაგვარად სახელდება და სემანტიკური სხვაობა.

სახელდების (ნომინაციის) თვალსაზრისით, ქართულ ენაში არ არის რეალიზებული, შეერთებითი კომპოზიტების სახით, სახელწოდებები (კრებითი მნიშვნელობისა), როგორცაა, მაგალითად, ხუნძური **ჰაჟა-ბაყ** „ამინდი“, ზედმიწ. „ჰაერი-მზე“; **ჰური-ქჰარ** „ქარი-სიცივე“; **წა-ქან** „ტემპერატურა“, „სიცხე“, ზედმიწ. „ცეცხლი-კვარი“; **მაზუ-წად** „ნალექები“, ზედმიწ. „თოვლი-წვიმა“; **მაზუ-წერ** „თოვლი-ყინული“; **ნაკა-წა** „ღრუბლები“, ზედმიწ. „ღრუბელი-ცეცხლი“; **გოკ-შოზ** „ბორცვი-ქედი“, **ახ-ხურ** „ბაღი-ყანა“; **ხურ-ხერ** „სოფლის მეურნეობის სავარგულები“, „სახნავ-სათიბი მიწები“, ზედმიწ. „ყანა-ბალახი“; **ულქა-რატი** „ქვეყანა-მიწა“; **ჯიზან-რუყ** „ოჯახი“, „სახლი“, ზედმიწ. „ოჯახი-სახლი“; **ჯიზან-ლიმალ** „ცოლ-შვილი“, ზედმიწ. „ოჯახი-ბავშვები“; **ებელ-ლიმალ** „ნათესაობა“, „ახლო ნათესავები“, ზედმიწ. „დედა-ბავშვები“; **როსა-რუყ** „ქალის ოჯახი“, „ქალის საოჯახო ყოფა-ცხოვრება“, ზედმიწ. „ქმარი-სახლი“; **ებელ-მას** „დედა-ქალიშვილი“; **ლიმალ-ჩაჭი** „ბავშვები“, ზედმიწ. „ბავშვები-კაცები (// ადამიანები)“; **ლიმერ-ბეტერ** „შვილები“, ზედმიწ. „ბავშვი-თავი“; **ადა-დაცაი** „დეიდა(//მამიდა)-ბიძა“; **მადუ-ჰალ-ყედ** „მეზობლები“, ზედმიწ. „მეზობელი-კედელი“; **ჰობოლ-ჩი** „სტუმრები“, ზედმიწ. „სტუმარი-კაცი“; **ღუეტ-ხერ** „მცენარეულობა“, „ფლორა“, ზედმიწ. „ხე-ბალახი“; **ბუჭა-როლ** „ქერი-ხორბალი“ (თავთავიანი კულტურული მცენარეების კრებითი სახელწოდება), **გენი-შერ** „ხილი“ (კრებ.), ზედმიწ. „მსხალი-ვამლი“; **ფერ-ხერ** „ბოსტნეული“, ზედმიწ. „ხახვი-ბალახი“; **ჰუტ-ჰუმურ** „ცოცხალი არსებები“, ზედმიწ. „ჭია-მგელი“; **მანკ-ცერ** „ნადირი“, „ნანადირევი“, ზედმიწ. „კურდღელი-მელა“; **დედუ-ჰინჭა** „გარეული ფრინველები“, ზედმიწ. „ყვავი-ჩიტა“; **ტინჭ-ყედ** „ნაშიერები“, ზედმიწ. „ნაშიერი-კედელი“; **მაქა-ჰამა** „შინაური პირუტყვი“, ზედმიწ. „ძროხა-ვირი“; **ში-წანი** „წვრილი რქო-

სანი პირუტყვი“, ზედმიწ. „ცხვარი-თხები“; **ხუხა-ბურუტ** „ბატკანი-თიკანი“; **ზალა-თაბ** „ჭაკი-კვიცი“, **ზანკუ-ჭელექო** „შინაური ფრინველები“, ზედმიწ. „ქათამი-მამალი“; **ტუტ-კარა** „მწერები“, „ჭიალუა“, ზედმიწ. „ბუზი-კოლო“; **ზინ-ქუჭ** „სხეულის ნაწილები“, ზედმიწ. „ყური-თათი“; **ქუერ-ბერ** „ხელი-თვალი“, **ლაგა-შუქ** „სხეულის ნაწილები“, ზედმიწ. „ორგანო(//ტანი)-ჩხირი“; ლაგა-სან „ორგანოები“, „სხეულის ნაწილები“, ზედმიწ. „ორგანო(//ტანი)-ორგანო“; **ლაგა-ჩერხ** „ფიგურა“, „სხეულის აგებულება“, ზედმიწ. „ტანი-სხეული“; **ლაგა-შუათ** „ტანადობა“, „წარმოსადგობა“, ზედმიწ. „ტანი-სიმაღლე“; **ჟალ-რაჭა** „ფაფარი-კული“; **შუათ-ქუერ** „ტანი-ხელი“; **ცა-კალ** „კბილები“, ზედმიწ. „კბილი-პირი“; **ღუარი-მეჭედ** „ცური-მკერდის ნაჭერი“ (საქონლისა); **ჩენ-ბატა** „შიგნეული“, ზედმიწ. „მუცელი-ნაწლავი“; **ღუეს-კუარშა** „ექსკრემენტები“, ზედმიწ. „განავალი-შარდი“; **წარმა-წა** „ჭურჭლეულობა“, ზედმიწ. „ჭურჭელი-ცეცხლი“; **დადარო-სურკა** „ჭურჭელი“, ზედმიწ. „თეფში-ჯამი“; **რეტელ-წით** „ტანისამოსი-ფეხსამოსი“; **როკუნ-ქუნ** „ნემსი-ძაფი“; **ტიყუა-მაშ** „ნალი-ლურსმანი“; **ქურნენ-ბარდიჩ** „სამკაულები“, ზედმიწ. „სამაჯური-ბეჭედი“. მისი ვარიანტია **ქურნენ-კილიკ**, ზედმიწ. „სამაჯური-საყურე“; **ხანყუ-წამ** „ფქვილის პროდუქტები“, ზედმიწ. „ფქვილი-მარილი“; **ფანყ-ჩედ** „პური არსობისა“, ზედმიწ. „კვერი-პური“; **ჰან-ნახ** „ხორცისა და რძის პროდუქტები“, ზედმიწ. „ხორცი-ერბო“; **ნისუ-ნახ** „რძის პროდუქტები“, ზედმიწ. „ხაჭო-ერბო“; **ხაბარ-კალ** „საუბარი“, ზედმიწ. „ამბავი-პირი“; **ჰეყელ-ბაყ** „ლხინი“, ზედმიწ. „სასმელი-მზე“; **ზიგარა-ბაყ** „კვნესა“, „გოდება“, „ჩივილი“, „ვაება“ (ავადმყოფისა, დაჭრილისა), ზედმიწ. „კვნესა-მზე“. მისი ვარიანტია **ზიგარა-წა**, ზედმიწ. „კვნესა-ცეცხლი“ და სხვ.

ქართულ, ხუნძურ და ლაკურ ენებს შორის გარკვეული სტრუქტურული მსგავსება არსებობს **გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი ც**; მაგ., ქართულის მსგავსად, ხუნძური და ლაკური ენების კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაშიც ნიშანდობლივი მოვლენაა და სტაბილურობით ხასიათდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმიან მსაზღვრელად გამოყენებულ კომპონენტში ბრუნვის ნიშნის (-ლ) მოკვეცა:

ხუნძ. **ჰაქიბერ** „ურმის თვალი“ (← ჰაქილ „ურმის“ + ბერ „თვალი“), **წაორობერალ** „სათვალე“ (ზედმიწ. „შუშის თვალები“ ← წაოროლ „შუშის“ + ბერალ „თვალები“), **ბიდურინ** „მარღვი“, „სისხლის მილი“ (← ბიდულ „სისხლის“ + რინ „მილი“), **ფურცაიმახა** „სახნისი“ (← ფურცილ „კავის“ + მახა „რკინა“), **დადირაჟი** „დანძილი“ (← ლადილ „ყვავის“ + რაჟი „ნიორი“) და სხვ. მრავ.

ლაკ. **ბუთაჟუსუ** „ბიძა“ (← ბუთაჟ-ლ „მამის“ + უსჟუ „ძმა“), **ნითაიუსჟუ** „ბიძა“ (← ნითაილ „დედის“ + უსჟუ „ძმა“, შდრ. ქართ. [დიალ.] **დედიძმა**); **ათაიქაჩი** „ნაგაზი“ (← ათაილ „ცხვრების“ + ქაჩი „ძალი“), **შინახულლუ** „წყალსადინარი თხრილი“, „სარუე“ (← შინალ „წყლის“ + ხულლუ „გზა“), **ხალაბაკუ** „თივის ზვინი“ (← ხალალ „თივის“ + ბაკუ „ბორცვი“), **წუმუქუტ** „ჭიპი“ (← წუმულ „ჭიპლარის“ + ქუტ „ხვრელი“) და სხვ. მრავ.

ანალოგიური აგებულების კომპოზიტები ქართულში უხვად მოიპოვება: **მამიდა** (← მამის და), **დეიდა** (← დედის და), **შვილიშვილი** (← შვილის შვილი), **ოჯახიშვილი** (← ოჯახის შვილი), **მამულიშვილი** (← მამულის შვილი), **ბატონიშვილი** (← ბატონის შვილი), **დედინაცვალი** (← დედის ნაცვალი), **მამინაცვალი** (← მამის ნაცვალი), **ტანისამოსი** (← ტანის სამოსი), **წუთისოფელი** (← წუთის სოფელი) და სხვ. მრავ.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ანალოგიური (ან სულაც იდენტური) სტრუქტურისა და სემანტიკის კომპოზიტები დაიმუშნება არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს არაერთ ენაშიც, თანაც სრულიად სხვადასხვა წარმომავლობისა და გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან მეტად დაცილებულ ენებში, რამდენადაც კომპოზიტური სიტყვაწარმოება ზოგადად წარმოადგენს უნივერსალურ ლინგვისტურ მოვლენას. ჯერ კიდევ ძველ ინდოელ გრამატიკოს პანინის მიერ (დაახ. ძვ. წ.-აღის V ს.) სანსკრიტი ენაში დადგენილი კომპოზიტთა ტიპები, ინდოევროპული ოჯახის ენების გარდა, პოვნიერია სხვა ენობრივ ოჯახებშიც და, მათ შორის, კავკასიაში გავრცელებულ ენებშიც. სანსკრიტის უძველესი გრამატიკიდან ცნობილი კომპოზიტთა ტიპების შესატყვისი ქართული მასალა განხილულია არნ. ჩიქობავას მიერ (ჩიქობავა 1939: 187-189; ჩიქობავა 1952: 224-227):

1) დ ვ ა ნ დ ვ ა (სანსკრიტი ენის ტერმინოლოგიით) ანუ შ ე ე რ - თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (ლათ. composita copulativa): **სახლკარი**, **ცოლ-შვილი**, **ქართლ-კახეთი**, **საჭმელ-სასმელი**... კომპოზიტის მნიშვნელობა შემადგენელ ფუძეთა მნიშვნელობის ჯამს წარმოადგენს: **ცოლ-შვილი** ← ცოლი და შვილი, **ქართლ-კახეთი** ← ქართლი და კახეთი, **საჭმელ-სასმელი** ← საჭმელი და სასმელი...

2) ტ ა ტ პ უ რ უ შ ა (სანსკრ.) ანუ გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (ლათ. composita determinativa). ეს ტიპი შედგება სამი ქვეტიპისგან: ა) კომპოზიტის პირველი კომპონენტი უდრის რომელსამე ბრუნვას; მაგ., **ციხისძირი**, **ციხისთავი**, **ქინძისთავი** და სხვ. ეს ქვეტიპია საკუთრივ ტატპურუშა; ბ) კომპოზიტის პირველი კომპონენტი ზედსართავი სახელი ან ზმნისართია და განსაზღვრავს მეორე კომ-

პონენტს, მაგ., **მარტორქა**. ამ ქვეტიპს ეწოდება კ ა რ მ ა დ³ ა რ ა დ ა ; გ) პირველი კომპონენტი რიცხვითი სახელია, მაგ., **სამყურა, ასფურცელა**. ამ ქვეტიპს დ ვ ი გ უ ეწოდება.

3) ბ ა ჰ უ ვ რ ი ჰ ი (სანსკრ.) ანუ კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი კ ო მ - პ ო ზ ი ტ ე ბ ი (ლათ. composita possessiva) მქონეს აღნიშნავენ და ზედსართაული მნიშვნელობით იხმარებიან, მაგ., **ლურჯთვალეზა**.

4) ა ვ დ ა დ ბ ა ვ ა (სანსკრ.) ანუ ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ა ნ ი კ ო მ - პ ო ზ ი ტ ე ბ ი (ლათ. composita adverbialia): კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფორმალურად სიტყვაა, ხოლო მეორე კომპონენტი არსებითი სახელია, მაგ., **მარადყამს, მუდამდღე** და სხვ.

კომპოზიტა ყველა ეს ტიპი, როგორც ვნახეთ, დაიძებნება ხუნძურ და ლაკურ ენებშიც.

ქვემოთ წარმოვადგენთ კონკრეტულ მაგალითებს ქართული, ხუნძური, ლაკური ენების იმ კომპოზიტებისა, რომლებიც მეტნაკლებად ავლენენ ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებასა და სიახლოვეს როგორც სტრუქტურის, ისე სახელდებისა და სემანტიკის თვალსაზრისით. აღნიშნულია მათ შორის არსებული განსხვავებებიც. მოხმობილია მონაცემები სხვა ენებიდანაც. შედარებული და შეპირისპირებული მასალა წინამდებარე ნაშრომში დანაწილებულია თემატური ჯგუფების მიხედვით: 1) სამყარო, ბუნება, ლანდშაფტი, წიაღისეული; 2) ადამიანი; 3) ოჯახი და ნათესაობა; 4) ყოფა-ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობები, მორალი, რელიგია; 5) ხელობა, პროფესია; 6) ფაუნა; 7) მცენარეები; 8) სხეულის ნაწილები; 9) საცხოვრისი, საშინაო ნივთები; 10) მეურნეობა, სამეურნეო საგნები; 11) ტანისამოსი; 12) იარაღი, აღკაზმულობა; 13) საჭმელ-სასმელი; 14) სამკურნალო საშუალებები; 15) გრძნობა და ემოცია; 16) რაობა, თვისება; 17) ფერი; 18) თამაში და გართობა; 19) დრო და სივრცე; 20) საწერი საშუალებები; 21) საზომი ერთეული.

1) სამყარო, ბუნება, ლანდშაფტი, წიაღისეული

ქართ. **ცა** და **დედამიწა** : ხუნძ. **ზობ-რატე** „სამყარო“ (← ზობ „ცა“ + რატე „მიწა“, „დედამიწა“) : ლაკ. **ლუხჩი-საავ** „id.“ (← ლუხჩი „მიწა“, „დედამიწა“ + საავ „ცა“) : დარგ. **მუსნი-ზუბრი** „id.“ (← მუსნი „მიწა“ + ზუბრი „ცა“).

ხუნძური, ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევი (აბდულაევი 2013: 78, აბდულაევი 2015: 36, 64).

ქართულში **ცა** და **დედამიწა** სიტყვათა ბუნებრივი და სტაბილური წყვილია, რომელიც კომპოზიტს არ ქმნის, მაგრამ ეს სიტყვები წარმოადგენენ ერთიმეორის მიმართ ანტონიმებს, რომელთა დაპირისპირებასაც აქვს რეგულარული ხასიათი. გარდა ჩვეულებრივი გაგებისა (სამყაროს ორი ნაწილი), სიტყვათა ეს წყვილი გამოიყენება ხოლმე რაიმე ორი საგნის მეტად დიდი განსხვავებულობის, მათი მკვეთრი დაპირისპირების გამოსახატავად; მაგ., როგორც **ცა** და **დედამიწა** ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ასეთი შედარება, გარდა ქართულისა, სხვა ენებისთვისაც არ არის უცხო); ეს ორი სიტყვა მონაწილეობს, აგრეთვე, ადამიანის ასეთ დახასიათებაში (იდიომატურ გამოთქმაში): **ცა** ქუდად არ მიაჩნია და **დედამიწა** ქალამნად.

სამყაროს აღსანიშნავად ქართულში იხმარება, აგრეთვე, სიტყვათა წყვილი **ცა** და **ქვეყანა**.

ლაკურ კომპოზიტში სიტყვათა რიგი განსხვავებულია.

ქართ. **მზე** და **მთვარე** : ხუნძ. **ბაყ-მოწა** „მნათობები“ (კრებითი მნიშვნელობით) (← ბაყ „მზე“ + მოწა „მთვარე“).

ქართულ ენაში სიტყვათა ეს წყვილი კომპოზიტს არ ქმნის. გვხვდება იდიომატურ გამოთქმაში **მზე** და **მთვარე** ამოსდის მასზე.

ქართ. **მთა-ბარი**, **მთა-ველი** : ხუნძ. **მეჭერ-ჭალახ** „მთა და ბარი“, „მთა და დაბლობი“ (← მეჭერ „მთა“ + ჭალახ „ველი“, „მიყრუებული, აუთვისებელი ადგილი“, „სამოვარი“).

ქართულში **მთა** და **ბარი**, **მთა** და **ველი** წარმოადგენს ანტონიმურ წყვილებს სიტყვებისა, რომელთა დაპირისპირებასაც ქართულ ენაში აქვს რეგულარული ხასიათი. ამ სიტყვათაგან არის შედგენილი შეერთებითი კომპოზიტი **მთა-ბარი**, **მთა-ველი** და ცირკუმფიქსის (**მო-ე**) მეშვეობით ნაწარმოებია, აგრეთვე, კომპოზიტი **მო-მთა-ბარ-ე**. ლაკურ ენაში ანალოგიური შეერთებითი კომპოზიტი არ დასტურდება.

ქართ. **ქარ-წვიმა** : ხუნძ. **ჰური-წად** (← ჰური „ქარი“ + წად „წვიმა“).

ქართ. **დარ-ავდარი** „ამინდი“ : ხუნძ. **როწენ-ტერხენ** „ამინდი“ (← როწენ „დარი“ + ტერხენ „ავდარი“).

ხუნძურში ეს კომპოზიტი გვხვდება კომპონენტთა შებრუნებული წყობითაც: **ტერხენ-როწენ**, ზედმიწ. „ავდარი-დარი“.

ქართ. **ოქრო-ვერცხლი** : ხუნძ. **ზარაც-მესედ** „ძვირფასეულობა“ (← ზარაც „ვერცხლი“ + მესედ „ოქრო“) : ლაკ. **არცუ-მუსი** „id.“ (← არცუ „ვერცხლი“ + მუსი „ოქრო“).

ხუნძურ ენაში ფაკულტატიურად იხმარება კომპოზიტი კომპონენტთა ქართულისებური წყობითაც: **მესედ-ზარაც** „ძვირფასეულობა“, ზედმიწ. „ოქრო-ვერცხლი“.

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 56; აბდულაევი 2015: 45).

ხუნძ. **სინუჰატ** „თიხა“ (← სინუ „წებო“ + ჰატ „თიხა“) : ლაკ. **სინარში** „თიხა“, თიხნარი“ (← სინა „წებო“ + არში „მიწა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 85, აბდულაევი 2015: 69).

ქართ. **ცისარტყელა** (← ცის სარტყელ-ა) : მეგრ. **ცაშ ორტყაფუ** „id.“ : ლაზ. **ცაშ ოტყაფუ** „id.“ (ცაშ „ცის“ + ორტყაფუ, ოტყაფუ „სარტყელი“) : სვან. **დეცეშ** **ლარტყ** „id.“ (← დეცეშ „ცის“ + **ლარტყ** „სარტყელი“ : ხუნძ. (დიალ.) **ზუდულ რაკიჩ** „ცისარტყელა“ (← ზუდულ „ცის“ + რაკიჩ „სარტყელი“); ანალოგიური სახელწოდებაა დიდოურ ენაშიც: **ასოს აშუნი** „ცისარტყელა“ (← ასოს „ცის“ + აშუნი „სარტყელი“).

ხუნძური ენის ჭარული დიალექტი ერთადერთი ჩანს, რომელშიც „ცისარტყელა“ ქართველურ ენათა ზემოაღნიშნული სახელწოდებების ანალოგიურად არის სახელდებული (ზუდულ რაკიჩ, ზედმიწ. „ცის სარტყელი“), მაგრამ ხუნძურის სხვა დიალექტებში არსებული სახელწოდებები მრავალფეროვან და რთულ სურათს წარმოგვიდგენენ როგორც აგებულების, ისე სემანტიკის თვალსაზრისით. სხვაობა სახელდებამი თავს იჩენს ამ ენის კილოკავ-თქმათა დონეზეც. ვითარება არ არის ერთგვაროვანი ქართველურ ენათა დიალექტებშიც. მაგალითად:

ქართ. (დიალ.) **მშვილდ-ისარა** „ცისარტყელა“ (ფშაურში), **მშვილდ-ისარანი** „ცისარტყელა“ (ხევსურულში) (შანიძე 1984: 368) : ხუნძ. (დიალ.) **ბულ-ჰორ** „ცისარტყელა“ (ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში) (← ბულ „მშვილდი“ + ჰორ „ისარი“), **ჰორ-ბუტ** „ცისარტყელა“ (ანწუხური დიალექტის თაშურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში, ქვემო ყარახულში) (← ჰორ „ისარი“ + ბუტ „მშვილდი“); **ჰორ** „ცისარტყელა“ (ამწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში), შდრ. ჰორ „ისარი“. ეს უკანასკნელი სახელწოდებაც, როგორც ჩანს, იყო შეერთებითი კომპოზიტი („ისარი-მშვილდი“), რომელიც გამარტივდა

მეორე კომპონენტის (ბუტ „მშვილდი“) ჩამოცილებით, ელიფსის ნიადაგზე (ხუნძური დიალექტური მასალა აქ და ქვემოთაც მეტწილად მოხმობილია ფ. საიდოვას დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან; იხ. საიდოვა 2008).

მსგავსი სახელწოდება აქვს „ცისარტყელას“ წოვათუშურში (ზაც-ბურში): **დალე^წ ატყ-წაქი** (ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ. 1984), ზედმიწ. „ღვთის მშვილდ-ისარნი“ (← ცატყ „მშვილდი“ + წაქი „ისრები“). ეს სახელწოდება, ჩანს, უკვე დავიწყებულია. ბ. კომრისა და მ. ხალილოვის ლექსიკონში ერთადერთ მაგალითად ამ ენისათვის წარმოდგენილია ქართულიდან ნასესხები **ცისარტყელ** (კომრი, ხალილოვი 2010: 55). ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში „ცისარტყელის“ სახელწოდება წოვათუშურისაგან განსხვავდება ჯერ იმით, რომ პირველ კომპონენტად მასში წარმოდგენილია **სთიელა** (ჩეჩნ.), **სიელა** (ინგუშ.) – წვიმის, ცეცხლისა და კერიის ღვთაების სახელი: ჩეჩნ. **სთიელაყად**, ინგუშ. **სიელაყად** „ცისარტყელა“, სიტყვასიტყვით: „სთიელას / სიელას მშვილდი“ (ყად „მშვილდი“). ამასთანავე, ჩეჩნურ და ინგუშურ სახელწოდებაში მეორე კომპონენტად პოვნიერია ოდენ „მშვილდი“ და არა „მშვილდი და ისრები“, როგორც ეს არის წოვათუშურში.

ჩეჩნურ-ინგუშური თეონიმი **სთიელა / სიელა** წარმომავლობით თვითონაც კომპოზიტი ჩანს. მასში წარმოდგენილი **იელა** ელემენტი ეტიმოლოგიურად მართებულად არის დაკავშირებული ელია წინასწარმეტყველის სახელთან: ჩეჩნ. **სთიელა** (← *სთაგ-ელა „კაც-ღვთაება“, ზედმიწ. „კაც-ელია“), ინგუშ. **სიელა** (← *საგ-ელა „id.“) (არდოტელი 2021: 90), მაგრამ ვფიქრობთ, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ამ თეონიმის თავკიდურში გამოყოფილი **სთ / ს** ელემენტები დაუკავშირდებოდა არა „კაცის“ აღმნიშვნელ **სთაგ** (ჩეჩნ.), **საგ** (ინგუშ.) სიტყვებს, არამედ, „ცის“ აღმნიშვნელ სიტყვებს **სთიგალ** (ჩეჩნ.), **სიგალ** (ინგუშ.). შესაბამისად, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ამ თეონიმის მნიშვნელობა უნდა იყოს „ზეციური ელია“.

ამ მხრივ საინტერესოა „ცისარტყელის“ სახელწოდება ხუნძური ენის ყელებურ ნარევე კილოში **ილიიასულ ჭორბუტა**, რომელშიც მეორე კომპონენტი ნიშნავს „მშვილდ-ისარს“ (ჭორ-ბუტა ← ჭორ „ისარი“ + ბუტა „მშვილდი“), ხოლო პირველ კომპონენტად უნდა გვქონდეს **ელია**. ამ წინასწარმეტყველის სახელი არაბულად არის **’ილიას** და იგი გავრცელებული ანთროპონიმაცაა ისლამურ სამყაროში. ამრიგად, „ცისარტყელის“ სახელწოდება ყელებურში, როგორც ჩანს, არის „ელიას (ილიასის) მშვილდ-ისარი“.

ასევე საყურადღებოა „ცისარტყელის“ სახელწოდება შულანიზის ნარევი კილოში – **ზინასაულ ბულყ**, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“ (შდრ. ბაცბ. **დაღე წატყ-წაქი** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ღვთის მშვილდ-ისარნი“). ყარახულ დიალექტში კი სახელდება სრულიად საპირისპიროა – **ილბისბუტ** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ემმაკი-მშვილდი“ (← ილბის „ემმაკი“, „სატანა“, „იბლისი“ + ბუტ „მშვილდი“).

„ცისარტყელის“ ერთ-ერთ დიალექტურ სახელწოდებად ხუნძურში დასტურდება, აგრეთვე, უბრალოდ **ზოდილ ბუტ**, ზედმიწ. „ცის მშვილდი“ (ხუნძ.-რუს. ლექს.: 2006: 447), რომელიც აგებულია იტაც და მნიშვნელობითაც ანალოგიურია ლაკური სახელწოდებისა **სურულ ქურთა** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ცის მშვილდი“. ასეთივე სახელწოდება მოიპოვება მეგრულშიც, კომპოზიტის სახით: **ცაშქვილი** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ცის მშვილდი“.

„ცისარტყელას“ სახელწოდებათა მოტივაციის ანალიზი ქართველური, კავკასიური და მსოფლიოს არაერთი ენის უხვი მონაცემების საფუძველზე ვრცლად არის წარმოდგენილი ნ. ხახიაშვილის სპეციალურ სტატიაში (ხახიაშვილი 2009: 268-280).

ქართ. **წყაროსთავი** (კომპოზიტის სახით ტოპონიმად უფრო გვევლინება, ვიდრე არს. სახელად) : ხუნძ. **იცუბეტერ** „წყაროს სათავე“ (← იცა-უ-ლ [ნათეს. ბრუნვის ფორმა არს. სახელისა იცა „წყარო“] + ბეტერ „თავი“) : ლაკ. **ბაკ-შარაში** „სათავე“ (← ბაკ „თავი“ + შარაში „წყარო“) : დარგ. **ბეკ-შინიზ** „id.“ (← ბეკ „თავი“ + შინიზ „წყარო“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 36).

ქართ. **ვერცხლისწყალი** : ხუნძ. **ლამამესედ** „ვერცხლისწყალი“ (← ლამა „თხევადად“ + მესედ „ოქრო“) : ლაკ. **ხჷმუმუსი** „id.“ (← ხჷმუ-„თხევადი“ + მუსი „ოქრო“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

მიუხედავად სხვაობისა, შეიძლება მაინც აღვნიშნოთ გარკვეული კავშირი ქართულ და დაღესტნურ (ხუნძურ, ლაკურ) კომპოზიტურ სახელდებათა შორის: „ძვირფასი ლითონი – ვერცხლი“ ~ „ძვირფასი ლითონი – ოქრო“ : „წყალი“ ~ „თხევადი რამ“.

ხუნძ. **ბოლნუხ** „შარაგზა“, ზედმიწ. „ჯარის გზა“ (← ბო „ჯარი“, „თემი“, „საზოგადოება“; ნათ. ბრ. ბო-ლ + ნუხ „გზა“) : ლაკ. **არახულ-ლუ** „id.“ (სიტყვა შემორჩენილია ფოლკლორში), ზედმიწ. „ჯარი[ს]გზა“ (← არა- „ჯარი“ + ხულლუ „გზა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 58; აბდულაევი 2015: 47).

ხუნძ. **ჯაჭრატ** „თეთრი თიხა შესაღესად“ (← ჯაჭ- „თეთრი“ + რატ „მიწა“): ლაკ. **კვლაარში** „id.“ (← კვლა- „თეთრი“ + არში „მიწა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 76; აბდულაევი 2015: 62).

ხუნძურში მოიპოვება, აგრეთვე, კომპოზიტი **ჭეჭერატ** „შავმიწა მიადაგი“ (← ჭეჭერ-აბ „შავი“ + რატ „მიწა“).

ხუნძ. **ჯაჭმახ** „თუნუქი“ (← ჯაჭ- „თეთრი“ + მახ „რკინა“) : ლაკ. **კვლამახ** „id.“ (← კვლა- „თეთრი“ + მახ „რკინა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 76; აბდულაევი 2015: 62).

ხუნძ. **ბაჭარმესედ** „ბაჯაღლო ოქრო“ (← ბაჭარ- „წითელი“ + მესედ „ოქრო“) : ლაკ. **მატულმუსი** „id.“ (← მატულ- „წითელი“ + მუსი „ოქრო“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 95; აბდულაევი 2015: 78).

2) ადამიანი

ქართ. **ქალ-ვაჟი** : ხუნძ. **ჟას-მას** „შვილები“ (← ჟას „ვაჟი“, „ბიჭი“, „ძე“ + მას „ქალიშვილი“, „გოგო“, „ასული“) : ლაკ. **არს-დუმ** „შვილები“, „შთამომავლობა“ (← არს „ძე“ + დუმ „ასული“, „გოგო“, „ქალიშვილი“), აგრეთვე, **ურჭ-დუმ** „შვილები“, „შთამომავლობა“ (← ურჭ „ბიჭი“, „ვაჟი“, „ძე“ + დუმ „გოგო“, „ქალიშვილი“, „ასული“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 56; აბდულაევი 2015: 45).

ხუნძურ და ლაკურ კომპოზიტებში კომპონენტთა მიმდევრობა ქართულისაგან განსხვავებულია: პირველ ადგილზეა მამაკაცის აღმნიშვნელი სიტყვა („ვაჟი“, „ძე“...). დენოტატივ სხვადასხვაა. ხუნძური

და ლაკური კომპოზიციები გამოიყენება კრებითი მნიშვნელობით, ხოლო ქართულში გვაქვს კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ორი ფუძის შეერთებით (**და** კავშირის ჩავარდნით) მიღებული კომპოზიტი.

ხევსურულ დიალექტში კომპოზიტი **ქალ-ვაჟობა** გვევლინება სწორფრული ურთიერთობის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სიტყვადაც (ბალიაური 1991: 189, ჭინჭარაული 2005).

ქართულში გვაქვს სიტყვათა წყვილი **ბიჭი** და **გოგო**, მაგრამ იგი კომპოზიტს ვერ ქმნის. აღსანიშნავია კომპოზიტი **გოგო-ბიჭები**, რომლის თავისებურებასაც წარმოადგენს ის, რომ არ გააჩნია მხოლოობითის ფორმა.

მსგავსი კომპოზიტი მოიპოვება ანდიურ ენაშიც: **ჟომო-ში** (← ჟომო-დომი ← ჟომო „ვაჟი“ + დომი „ქალიშვილი“) (ცერცვაძე 1965: 180). ამ ენაში ზოგიერთი კომპოზიტისათვის ნიშანდობლივია მეორე კომპონენტის ფონეტიკური ცვლილება (თავკიდური მარცვლის მოკვეცა), რაც ხუნძურსა და ლაკურს არ ახასიათებს.

ქართ. **მამაკაცი** : ხუნძ. **ბისინჩი** „მამაკაცი“ (← ბისინ- „მამრი“ + ჩი „კაცი“, „ადამიანი“) : ლაკ. **ბურნჩიუვ** „მამაკაცი“ (← ბურნჩი- „მამრი“ + ჩუვ „კაცი“).

ქართულ კომპოზიტში მსაზღვრელად გამოყენებულ **მამა** სიტყვას შენარჩუნებული აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მას დამატებით ჰქონდა ძველ ქართულში – „მამრობითი სქესის ადამიანი“ (შდრ. „შუშანიკის წამებიდან“ ცნობილი ფრაზა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“), ხოლო საზღვრულად გამოყენებული **კაცი** კომპონენტი ნიშნავს ზოგადად „ადამიანს“ (human). ხუნძურ ენაში ასეთივე მნიშვნელობისაა სიტყვა **ჩი** – „კაცი“, „ადამიანი“, „human“, თუმცა, ქართულის მსგავსად, ისიც ჩვეულებრივ ხშირად გამოიყენება ხოლმე კონკრეტულად „მამაკაცის“ მნიშვნელობითაც. ლაკურ ენაში **ჩუვ** სიტყვის მნიშვნელობა, ქართულისა და ხუნძურისგან განსხვავებით, უფრო ვიწროა და კონკრეტულად „მამაკაცის“ აღმნიშვნელ სიტყვად გვევლინება.

საგანგებო განხილვას საჭიროებს „მამაკაცის“ სახელწოდებაში წარმოდგენილი კომპონენტი **ჩი** (ბისინ-**ჩი**).

ხუნძურ ენაში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ლექსემები, რომელთაც აუსლაუტში მოუდის **-ჩი**. იგი დამახასიათებელია ისეთი სიტყვებისათვის, რომლებითაც აღინიშნება ადამიანის პროფესია-საქმიანობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა თუ სხვადასხვაგვარი თვისებები:

ზაკმათ-**ჩი** „მშრომელი“ (ზაკმათ „გარჯა“, „შრომა“), ჯულუჯ-**ჩი** „მოსამსახურე“ (ჯულუჯ „სამსახური“), ფასტან-**ჩი** „მეზოსტენ“ (ფასტან „ბოსტანი“), ჩაქმა-**ჩი** „მეჩექმე“ (ჩაქმა „ჩექმა“), თოქენ-**ჩი** „მედუქენე“ (თოქენ „დუქანი“), ჰოქო-**ჩი** „მეურმე“ (ჰოქო „ურემი“), ქუმექ-**ჩი** „დამხმარე“, „თანაშემწე“ (ქუმექ „დახმარება“), ღალაა-**ჩი** „მკალავი“ (ღალაა „კალა“), შაშტი-**ჩი** „ჯალათი“ (შაშტი „ცული“, „ნაჯახი“), ამრუ-**ჩი** „მბრძანებელი“ (ამრუ „ბრძანება“), შაყლუ-**ჩი** „მრჩეველი“ (შაყლუ „ჭკუა“, „გონება“), ანიშ-**ჩი** „მეოცნებე“ (ანიშ „ნატვრა“, „ოცნება“), ღალმადირ-**ჩი** „შფოთის ამტეხი“ (ღალმადირ „შფოთი“, „აურზაური“), ჟას-ჟას-**ჩი** „სკეპტიკოსი“ (ჟასჟას „ეჭვი“, „უნდობლობა“), ღაღლა-**ჩი** „ფარი-სეველი“ (ღაღლა „ლოცვა, რომლის დროსაც რამდენჯერმე იმეორებენ სიტყვებს „ღაღლა ილღალაჰ“; იხ. საიდოვი 1967: 310), ბაჰარ-**ჩი** „ვაჟკაცი“ (ბაჰარ- „ახალგაზრდა“, „ჯეელი“), მისქინ-**ჩი** „ღარიბი“ (მისქინ- „საწყალი“)..

ამასთან ერთად, **ჩი** წარმოადგენს დამოუკიდებელ სიტყვასაც და „კაცს“, „ადამიანს“ ნიშნავს. ჯერ კიდევ პ.უსლარი აღნიშნავდა, რომ ხუნძურ ენაში მრავალი არსებითი სახელი ბოლოვდება ამ **ჩი** („კაცი“) სიტყვით, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც გერმანულ Mann-ს სიტყვაში Kaufmann, ინგლისურ man-ს სიტყვაში tradesman (ვაჭარი“) და ა.შ. მრავლობითში ასეთი სახელების დაბოლოებაა **ჩაში** („კაცები“, „ადამიანები“), მაგ., **ნიზამჩი** „ჯარისკაცი“, მრ. რ. **ნიზამჩაში** „ჯარისკაცები“; **ჰოიჩი** „არამზადა“ (ზედმიწ. „ძალი კაცი“), მრ. რ. **ჰოიჩაში** „არამზადები“; **დუშაჩი** „მლოცველი“, მრ. რ. **დუშაჩაში** „მლოცველები“ და ა. შ. (უსლარი 1889, § 40: 44).

თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში „მამაკაცის“ აღმნიშვნელ სიტყვას **ბიხინ-ჩი** (ამოსავალი ფუძე **ბიხინ** „მამრი, ხვადი“) მრავლობითი რიცხვის ფორმანტად აქვს **-ალ: ბიხინ-ალ** „მამაკაცები“, ანუ არ მოეპოვება **ჩაში** „კაცები“, „ადამიანები“. ეს იმიტომ, რომ ვიდრე მხოლოობითში **-ჩი** დაუმკვიდრდებოდა ფუძეს, მანამდის იგი I კლასის **-აჟ** ნიშანს დაირთავდა სუფიქსად. ამ მხრივ საყურადღებო ფაქტია, რომ პ.უსლარს „მამაკაცის“ სახელწოდებად სწორედ **ბიხინაჟ** ფორმა აქვს დადასტურებული (უსლარი 1889, განყ. II: 53). ამჟამად ეს **ბიხინ** ფუძე უპირატესად III კლასის **-აბ** სუფიქსით გვხვდება ხოლმე გაფორმებული, მაგ., **ბიხინ-აბ** ჰოა „ხვადი ძალი“. თუ ამ ფუძეს II კლასის **-აჟ** სუფიქსსაც დავურთავთ, გვექნება **ბიხინ-აჟ** „მამაკაცური თვისებების მქონე ქალი“.

სიტყვა **ბიხინ-აჟ** მრავლობითში იძლევა ისეთსავე ფორმას, როგორც ჩვეულებრივ დამახასიათებელია **-აჟ**, **-აჟ**, **-აბ** სუფიქსებით

დაბოლოებულ სახელთა მრავლობითისათვის, ბიხინ-ალ; შდრ. მაგ., ზედსართავი სახელი ლჷკ-აჷ (I კლ.) „კარგი“ – მრ. რ. ლჷკ-ალ „კარგები“.

-აბ სუფიქსიანი ფორმა ბიხინ-აბ მსაზღვრელად უძღვის ხოლმე III კლასის სულიერ არსებათა (ცხოველთა, ფრინველთა...) სახელებს და მამრობითი სქესისადმი მათ მიკუთვნებულობას გამოხატავს:

ბიხინ-აბ ჰოდ „ხვადი ძაღლი“ (ჰოდ „ძაღლი“), **ბიხინ-აბ ბაწ** „ხვადი მგელი“ (ბაწ „მგელი“), **ბიხინ-აბ ჰამა** „მამალი ვირი“ (ჰამა „ვირი“), **ბიხინ-აბ თაჰი** „მამალი კვიცი“ (თაჰი კვიცი“), **ბიხინ-აბ ლაღბაწ** „მამალი ლომი“ (ლაღბაწ „ლომი“), **ბიხინ-აბ ცი** „მამალი დათვი“ (ცი „დათვი“), **ბიხინ-აბ ტეჷჷერ** „მამალი კრავი“ (ტეჷჷერ „კრავი“), **ბიხინ-აბ ჰანკ** „მამალი კურდღელი“ (ჰანკ „კურდღელი“), **ბიხინ-აბ ჰაზ** „მამალი ბატი“ (ჰაზ „ბატი“) და ა. შ.

მაგრამ ამდაგვარი შესიტყვებები ხუნძურში სავსებით თავისუფლად შეიძლება აიგებოდეს ბიხინ ფუძეზე -აბ სუფიქსის დაურთველად: **ბიხინ ჰოდ**, **ბიხინ ბაწ**, **ბიხინ ჰამა**, **ბიხინ თაჰი**, **ბიხინ ლაღბაწ**, **ბიხინ ცი**, **ბიხინ ტეჷჷერ**, **ბიხინ ჰანკ**, **ბიხინ ჰაზ** და ამათ გარდა კიდევ: **ბიხინ ბეჩე** „მამალი ხბო“, „მოზვერი“ (ბეჩე „ხბო“), **ბიხინ ბოღონ** „მამალი ღორი“: „ტახი“ (ბოღონ „ღორი“), **ბიხინ გამჷშე** „ხარკამეჩი“ (გამჷშე „კამეჩი“), **ბიხინ ხჷხე** „მამალი ბატკანი“ (ხჷხე „ბატკანი“), **ბიხინ ბურჷტ** „მამალი თიკანი“ (ბურჷტ „თიკანი“), **ბიხინ გურგურ** „მამალი ინდაური“ (გურგურ „ინდაური“), **ბიხინ ჰოროლო** „მამალი მწყერი“ (ჰოროლო „მწყერი“) და სხვ.

ზოგი შესიტყვება უკვე გაკომპოზიტებულიცაა და ერთად იწერება მოქმედი ირთოგრაფიის მიხედვით; მაგ., **бихинкету** (ბიხინქეთუ) „ხვადი კატა“, მრ. რ. **бихинкутул** (ბიხინქუთულ); **бихинбече** (ბიხინბეჩე) „მამალი ხბო“, მრ. რ. **бихинбачал** (ბიხინბაჩალ); **бихинкьегӀер** (ბიხინტეჷერ) „მამალი კრავი“, მრ.რ. **бихинкьегӀи** (ბიხინტეაჷი) „მამალი კრავები“ (საიდოვი 1967: 92). შესიტყვება რომ ყოფილიყო, მაშინ გვექნებოდა **бихинал кутул** (ბიხინალ ქუთულ); **бихинал бачал** (ბიხინალ ბაჩალ) **бихинал кьегӀи** (ბიხინალ ტეაჷი).

სწორედ ასეთ კომპოზიტთა თუ შესიტყვებათა ანალოგიურადაა შედგენილი ხუნძურში **ბიხინჩი**. მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის „მამრი ადამიანი“; შდრ. აგრეთვე ბიხინ ჰაჰაბა „მრუში, გარყვნილი კაცი“ (უსლარი 1889, განყ. II, 120), ზედმიწ. „მამრი კახა“.

ხუნძურის ახლო მონათესავე ანდიურ ენაში ასეთივე მნიშვნელობისა ნაწარმოები სიტყვა **ქუნტაკა** „მამაკაცი“ (← ქუნტა „მამრი“, მამალი“, „ხვადი“ + ჰეკა „კაცი“, „ადამიანი“). აქ ფონეტიკური ცვლილებაა

მომხდარი კომპოზიტის მეორე კომპონენტში (მოკვეცილია თავკიდური მარცვალი), რაც ანდიურის კომპოზიტური სიტყვაწარმოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა; შდრ. ამავე ენაში **ჰორჭუკა** „დედაკაცი“, „ცოლი“ (← ჰორჭი „მდედრი“, „დედალი“, „ძუ“ + ჰეკა „კაცი“, „ადამიანი“) (ცერცვაძე 1965: 175). ანდიურში საყურადღებოა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის (ჰეკა „კაცი“, „ადამიანი“) სადერივაციო სუფიქსად (-ეკა/ -კა) ჩამოყალიბების ფაქტიც.

ანალოგიურად შედგენილი კომპოზიტური სახელწოდებები **ბურწნი** („მამალი“, „ხვადი“) მსაზღვრელით, მოიპოვება ლაკურ ენაშიც:

ბურწნიჯაზ „მამალი ბატი“ (ჯაზ „ბატი“), **ბურწნითუქუ** „მამალი ვირი“ (**თუქუ** „ვირი“), **ბურწნიჩითუ** „ხვადი კატა“ (ჩითუ „კატა“) და ა.შ. ლაკურის თავისებურებას წარმოადგენს **ბურწნი** სიტყვის მსაზღვრელად გამოყენება მცენარეთა კომპოზიტურ სახელწოდებებშიც, როგორცაა **ბურწნიჭურუ** „ნარშავი“, ზედმიწ. „მამალი ბრტყელეკალა“ (ბურუ „ბრტყელეკალა“); **ბურწნიმეჭ** „ჯინჭრისდედა“, ზედმიწ. „მამალი ჭინჭარი“ (მეჭ „ჭინჭარი“). ხუნძურისათვის ამგვარი სახელწოდებები დამახასიათებელი არ არის. თავისებურია ლაკურში, აგრეთვე, კომპოზიტი **ბურწნიდიკ** „მამრობითი სქესი“, ზედმიწ. „მამალი ხორცი“ (დიკ „ხორცი“). ყურადღებას იქცევს მისი ანტონიმი **ცურიც** „მდედრობითი სქესი“, რომელშიც ცუ „მდედრს“, „დედალს“ ნიშნავს, ხოლო მეორე კომპონენტია **რ-იკ** (← დიკ „ხორცი“), გაფორმებული **რ-კლასის** ნიშნით (← **დ-**).

ხუნძურ ენაში **ხინწინ** სიტყვა მსაზღვრელად გვხვდება, აგრეთვე, დიალექტურ კომპოზიტში **ხინწინქილიმ** „შუა თითი“, ზედმიწ. „მამალი თითი“ (ყელებურ ნარევ კილოში)¹. ამგვარი სახელდება, ალბათ, იმით არის შეპირობებული, რომ შუა თითი სიგრძით აღემატება დაწარჩენ თითებს. ჩვეულებრივ, ამ თითით გამოსახება ხოლმე უშვერი უესტიც.

ლექსემა **ჩი** სალიტერატურო ხუნძურ ენაში, როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება ზოგადად „ადამიანის“ (human) და არა მხოლოდ „მამაკაცის“ მნიშვნელობით, მაგ., ჩი ჭემერლი „ხალხმრავლობა“ (ზედმიწ. „ადამიანის სიმრავლე“), ჩი ჭემერაბ როსო „ხალხმრავალი“ (ზედმიწ. „ადამიანი ბევრი“) სოფელი“, ჩი-დ-ა-ყ-ლი „უკაცრიელობა“ (ზედმიწ. „უადამიანობა“), ჩი-დ-ა-ყ-აჟ (I კლ.), ჩი-დ-ა-ყ-ად (II კლ.) „მარტოხელა“

¹ დიალექტური მასალა აქ და ქვემოთაც მეტწილად მოხმობილია ფ. საიდოვას ხუნძური ენის დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან (საიდოვა 2008).

(ზედმიწ. „უადამიანო“); ცო დასაღ ბიცანა ბერცინაზ რაჰი, ჩი ტიჟარაზ მუჟალ დიჯე შაჟადილან „ერთმა გოგომ მითხრა ლამაზი სიტყვა, ხალხს რომ ეძინება იმ დროს მოდიო“ (ხუნძური სიმღერები 1971: 163) და სხვ. ამ ლექსიკური მნიშვნელობითაა იგი დამკვიდრებული „მამაკაცის“ კომპოზიტურ სახელწოდებაშიც **ბიხინ** ფუძის საზღვრულად.

ანწუხური დიალექტის თაშურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში **ბიხინჩი** სიტყვას აქვს ერთადერთი კონკრეტული მნიშვნელობა – „ქმარი“ (სალიტ. ხუნძ. როსა „ქმარი“), ხოლო საკუთრივ „მამაკაცის“ აღსანიშნავად გამოიყენება **ჩი**, რომელიც „კაცის“, „ადამიანის“ ზოგადი მნიშვნელობით იხმარება სალიტერატურო ხუნძურში.

ჭარულ დიალექტში, აგრეთვე ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავებში **ჩი** სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობაა „ქმარი“, განსხვავებით სხვა დიალექტებისა და კილოკავ-თქმებისაგან, რომლებშიც იგივე სიტყვა აღნიშნავს „კაცს“, „ადამიანს“, „მამაკაცს“. ჰიდურ დიალექტში **ჩი** პოლისემიურია და ნიშნავს „ადამიანსაც“, „მამაკაცსაც“ და „ქმარსაც“. ამავე დიალექტში „ქმარს“ ეწოდება აგრეთვე **ბეტერჰანჩი**, რომლის მნიშვნელობაც სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) არის „ბატონი“, „პატრონი“. იგივე სიტყვა გამოიყენება „ქმრის“ მნიშვნელობით ყაჭიბურ ნარევ კილოსა და ბათლუხურ დიალექტშიც. თავის დროზე პ.უსლარიც აღნიშნავდა, ჩრდილოური ხუნძურის მაგალითზე, რომ ცოლი თავის ქმარზე ამზობსო დირ ბეტერჰანჩი „ჩემი ბატონი“ (უსლარი 1889, განყ. II: 52).

წარმოვადგენთ ზოგიერთ სხვა საყურადღებო ნიმუშსაც ხუნძური **ჩი** ლექსემის („კაცი“, „ადამიანი“) მეშვეობით არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოებისა:

ჰოიჩი (მრ.რ. ჰოიჩაჩი) კომპოზიტია და მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა „ძალი კაცი“ (ჰოი „ძალი“). ასე უწოდებენ არამზადა, ნამირალა ადამიანს. ხუნძურ ენაში ჰოი-ლი „ძაღლობა“ ზოგადად გადმოსცემს ყოველგვარი ადამიანური სისამაგლის, სიმდაბლის სემანტიკას და ისევე, როგორც სხვა მრავალ ენაში, იგი სალანძღავ სიტყვად გამოიყენება¹.

ჩი-ს შემცველია აგრეთვე კომპოზიტია **ლჰაჟი** „მეგობარი“, „მმკაცვი“. აქ მოცემულია ზედსართავი ლჰიკ-აჟ „კარგი“, „კეთილი“, რომელიც ითქმის ხოლმე ასეთი სახითაც: ლჰიკ-აჟ. ზედმიწევნითი მნიშვნელობით ლჰაჟი-ჩი არის „კარგი კაცი“; შდრ. ქართ. მო-კეთ-ე.

¹ კონკრეტულად ქალის სალანძღავ სიტყვად ხუნძურში იხმარება გუაჟი „მუკნა“ (იხ. უსლარი 1889, განყ. II, 64).

ასეთივე შედგენილობისაა შორისდებული **ლახი!** „ყოჩაღ!“ (← ლიდაჲ ჩი! „კარგი კაცი!“).

ეგვევ **ლახი** გამოიყენება მამაკაცისადმი მიმართვის ფორმად – „ეი [კაცო]!“; მაგ., ჰანიჭუხუნ ჟუსა, ლახი „აქეთ მობრუნდი (მოიხედე), კარგო კაცო!“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 452) = ქართ. „მოიხედე ერთი აქეთ, ჯიგარო!“, „მოიხედე შენ, ეი, კაცური კაცი!“

ზოლოჯანი „ყმაწვილი კაცი“, „ჯეელი“ მიღებულია -**ჯან** სუფიქსით ნაწარმოები ლექსემისაგან **ზოლო-ჯან** „მოზვერი“. მისგან **ჩი**-ს დართვით ახალი სემანტიკის სიტყვაა მიღებული და ამდაგვარად ადამიანის სახელწოდება გარჩეულია ცხოველთა სამყაროსადმი განკუთვნილი სიტყვისაგან. ამ ზოლოჯან ფორმას შეიძლება დაერთოს კლასის ნიშნებიც და მაშინ ზედსართავი სახელი გვექნება: ზოლოჯან-**აჲ** ჩი „ახალგაზრდა კაცი“, ზოლოჯან-**აი** ჭუჭუ „ახალგაზრდა ქალი“, ზოლოჯან-**აბ** შუმრუ „ახალგაზრდული ცხოვრება“ (შუმრუ „ცხოვრება“).

სიტყვა **ბაჰარი** „ვაჟკაცი“, „გმირი“ წარმოებულია ზედსართავი სახელის ფუძისაგან **ბაჰარ**- „ახალგაზრდა“; შდრ. ლაკ. ვირიჲ „გმირი“, „გულადი“ (← ვირი- „ახალი“, „ახალგაზრდა“ + ჩუ „კაცი“).

ერთ სიტყვაში **ჩი** დართული აქვს ადგილობით ბრუნვათა II სერიის ელატივის (დაშორებითის) ფორმას: **ინსუჯაჩი** „ნათესავი მამის მხრიდან“. ამოსავალია ფორმა ინს-უ-ჯ-ა „მამისაგან“ (ზედმიწ. „მამასთან-ით-გან“). ინს-უ- ირიბი ფუძეა სიტყვისა ემენ „მამა“; შდრ. ერგ. ინს-უ-ცა „მამამ“, ნათ. ინს-უ-ლ „მამისა“ და ა. შ.

უჩვეულო შედგენილობისაა **ებელდაჯაჩი** „ნათესავი დედის მხრიდან“. აქ თითქოს წარმოდგენილი უნდა იყოს I სერიის ლოკატიური ბრუნვის ფორმანტი -**და**, მაგრამ ხუნძური ენისათვის ამ ბრუნვაში ბუნებრივია ფორმა **ებელ-ალ-და** (← ებელ-ალ-და) და არა **ებელ-და**. ელემენტი -**ჯა**- აქაც II სერიის ელატივის (დაშორებითის) ფორმა უნდა იყოს, იმავე ფუნქციით გამოყენებული, რასაც იგი ასრულებს კომპოზიტში ინს-უ-ჯ-ა-ჩი. როგორც ჩანს, სხვადასხვა ფორმანტთა თავმოყრამ (-ალ-და-ჯ-ა), რაც **ჩი**-ს დართვამ კიდევ უფრო გაართულა და მეტყველების პროცესში გააჩინა საჭიროება მათი გამარტივებისა, რაც მოხდა კიდევ ფონეტიკურ ნიადაგზე: **ებელალდაჯაჩი** → **ებელდაჯაჩი** (ანუ ფუძისეულმა **ლ** თანხმოვანმა სიტყვაში განდევნა იმავე თანხმოვნის შემცველი ფორმანტისეული მარცვალი **ალ**). **ინსუჯაჩი** და **ებელდაჯაჩი** სიტყვები ერთმანეთის მიმართ ანტონიმებს რომ წარმოადგენენ, ამას მოწმობს ხუნძური ანდაზაც: **ინსუჯაჩი ქაქუგე, ებელდაჯაჩი ჴიცუგე** „მამის მხრიდან ნათესავს ნუ აძაგებ, დედის მხრიდან ნათესავს ნუ აქებ“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 865).

რთული შედგენილობისაა **ჭუჭბუზული**. ასე ეწოდება ჩვეულებითი სიმართლის მცოდნე პირს, ადგილობრივი ადათის (და არა მუსულმანური შარიათის) წესებით საქმის გამრჩევ მოსამართლეს. მრავლობითის ფორმაა **ჭუჭბუზულჩაზი** ან **ჭუჭბი**. პ.უსლარი აღნიშნავს, რომ ამ პირებს დიდი გავლენა ჰქონდათ მთიელებში შარიათის გავრცელებამდეო (უსლარი 1889, განყ. II, 222-223).¹

ამ სიტყვაში **ჩი** უშუალოდ აქვს დართული მრავლობითის **ჭუჭბი** ფორმის ნათესაობით: მრ.რ. **ჭუჭ-ბი** (**-ბი** რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტია), ნათ. ბრ. **ჭუჭბ-უზ-ულ**. როგორც პ. უსლარი ვარაუდობს, ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ზმნას **ჭუჭ-ი-ზე** „ამაყოზა“ (უსლარი 1889, განყ. II, 223); შდრ., აგრეთვე, **ჭუჭ-ა-რა-ჟი** ჩი „ამაყი კაცი“.

აზუნჩი „მაჭანკალი“ ნაწარმოებია აბ-ი-ზე („თქმა“) ზმნის ნამყოს გერუნდივის ფორმისაგან **აბ-უნ** (ზედმიწ. „თქვა-რა კაცი“). ამავე ფორმისგანაა ნაწარმოები **-დაჩ** დერივატით **აზუნ-დაჩ** „სალალობო ამბავი“, „ანეკდოტი“, ხოლო **ჩი** სიტყვის დართვით ამ უკანასკნელისაგან მიღებულია **აზუნდაჩჩი** „ხუმარა“, „ოხუნჯი“, „ანეკდოტების თხრობის მოყვარული“.

ჟიტუნჩი „შიკრიკი“, „მაჭანკალი“ ნაწარმოებია კლასნიშნიანი ჟ-ი-ტ-ი-ზე („გაგზავნა“) ზმნის ნამყოს გერუნდივის ფორმისაგან **ჟ-ი-ტ-უნ** (ზედმიწ. „გაგზავნა-რა კაცი“).

წალუნჩი „სწავლული“ ნაწარმოებია წალ-ი-ზე „სწავლა“ ზმნის ნამყოს გერუნდივის ფორმისაგან **წალ-უნ** (ზედმიწ. „ისწავლა-რა კაცი“).

ჭანდაჩი „ყბედი“ კომპოზიტისათვის ამოსავალია ზმნა **ჭანდ-ე-ზე** „ღეჭვა“; შდრ. აგრეთვე **ჭანდ-ი-რო** „ყბა“; ქართ. ყბ-ედ-ი.

ხუნძურს მოეპოვება აგრეთვე კომპოზიტები, რომლებშიაც **ჩი** ლექსემის მსაზღვრელებად გვევლინებიან ზმნისართები. ასეთებია, მაგალითად:

ცეჟეჩი „წინამძღოლი“, ზედმიწ. „წინ კაცი“ (ცეჟე „წინ“). პარალელურად გვხვდება **-ჯან** სუფიქსიანი ფორმაც ამავე მნიშვნელობით: **ცეჟე-ჯან**;

კომპოზიტი **ცადაჯჩი** ნიშნავს „თანამგზავრ კაცს“, იგი მიღებულია ზმნისართისაგან **ცადაჯ** „ერთად“;

ხადუჩი შედგება ზმნისართისაგან ხადუბ „შემდეგ“, „მერე“, ე. ი. „შემდგომი კაცი“, „მომდევნო კაცი“. ძველად ასე ეწოდებოდა რაიმე დანაშაულში ბრალდებული კაცის თავმდებ პირს, ჩვეულებისამებრ –

¹ იგულისხმება ის დრო, როდესაც შამილისა და მის წინამორბედ იმამთა (ღაზი მუჰამადი, ჰამზათ ბეგი) ძალაუფლება ჯერ არ იყო დამყარებული დაღესტანში.

ნათესავს, რომელსაც ფიცით უნდა დაედასტურებინა, რომ ექვმიტანილი უბრალო იყო. სალიტერატურო ხუნძურში ეს სიტყვა ამჟამად აღნიშნავს „თანაშემწეს“, „დამხმარე მუშახელს“, აგრეთვე „ხელქვეითს“ (საიდოვი 1967: 509) და სხვ.

ხუნძურში საყურადღებოა, აგრეთვე, კრებითი შინაარსის მქონე შეერთებითი კომპოზიტები **ჩი** სიტყვის მონაწილეობით:

ჰობოლ-ჩი „სტუმრები“ (← ჰობოლ „სტუმარი“ + ჩი „კაცი“, „ადამიანი“); **ჭადან-ჩი**, ზედმიწ. „ადამიანი-კაცი“ შესიტყვეებაში **ჭადან-ჩი ჰეკებ ზაკ** „უკაცრიელი (ზედმიწ. „ადამიანი-კაცი არ მყოფი“) ადგილი“.

მრავლობითის ფორმა **ჩი** სიტყვისა **ჩაჭი** წარმოდგენილია კრებით კომპოზიტში **ლ'იმალ-ჩაჭი** „ბავშვები“ (← ლ'იმალ „ბავშვები“ + ჩაჭი „ადამიანები“).

ლაკურ ენაში, ხუნძურის მსგავსად, პროდუქტიულია კომპოზიტთა წარმოება „მამაკაცის“ აღმნიშვნელი **ჩუ(ვ)** სიტყვით (წარმოადგენს ხუნძური **ჩი**-ს კანონზომიერ შესატყვისს):

ლაკ. **ღანჩუ** „ნათესავი კაცი“, ზედმიწ. „ახლო კაცი“ (ღან-სა „ახლო“, „ახლობელი“); **ჭახუვჩუ** „მეზობელი კაცი“, ზედმიწ. „მეზობლად კაცი“ (ჭახუვ „მეზობლად“); **აჭალჩუ** „ნეფის ნათესავი კაცი“, „ხელის-მომკიდე ქორწილში“, ზედმიწ. „ერთად კაცი“ (აჭალ „ერთად“); **ჭალ-მახჩუ** „ამხანაგი კაცი“ (ჭალმახ „ამხანაგი“, ხუნძ. ჰალმალ „ამხანაგი“); **ჭამალიჩუ** „სტუმარი კაცი“ (ჭამალ „სტუმრები“); **ჭუხჩუ** „მწყემსი კაცი“ (ჭუხ „მწყემსი“), **აღლიმჩუ** „სწავლული კაცი“, „მეცნიერი“ : ხუნძ. **ჭალიმჩი** „id.“ (აღლიმ „მცოდნე“); **ლაქუჩუ** „ლაკი კაცი“ (ლაქ „ლაკები“, ლაქუ „ლაკური“) და სხვ. (აბდულაევი 2010: 115-116; აბდულაევი, ელდაროვა 2003: 32).

სალიტერატურო ხუნძურში **ჩი** სიტყვის მნიშვნელობა, როგორც უკვე ვნახეთ, უფრო ზოგადია და „ადამიანს“ ნიშნავს, მაგრამ კონკრეტულად „მამაკაცის“ მნიშვნელობითაც რომ შეიძლება გაიგებოდეს, ამას მოწმობს კომპოზიტური წარმოებაც, როდესაც **ჩი**-ს ამა თუ იმ კომპოზიტში რეგულარულად ენაცვლება ხოლმე „ქალის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ჭუყუ**. მაგალითად:

ზაჭმათჩი „მშრომელი კაცი“ – **ზაჭმათჭუყუ** „მშრომელი ქალი“ (ზაჭმათ „შრომა“, „გარჯა“), **ამრუჩი** „მბრძანებელი კაცი“ – **ამრუჭუყუ** „მბრძანებელი ქალი“ (ამრუ „ბრძანება“), **შაჭარჩი** „მოქალაქე კაცი“ – **შაჭარჭუყუ** „მოქალაქე ქალი“ (შაჭარ „ქალაქი“), **ბუსურმანჩი** „მუსულმანი კაცი“ – **ბუსურმანჭუყუ** „მუსულმანი ქალი“ (ბუსურმან „მუსულმანი“), **მისქინჩი** „ღარიბი კაცი“ – **მისქინჭუყუ** „ღარიბი ქალი“ (მისქინ

„ღარიბი“, „საწყალი“), **ჰობოლჩი** „სტუმარი კაცი“ – **ჰობოლჭუყუ** „სტუმარი ქალი“ (ჰობოლ „სტუმარი“, „ყონალი“), **ლაღჩი** „მონა კაცი“ – **ლაღჭუყუ** „მონა ქალი“ (ლაღ „მონა“, „ტყვე“), **ანიშჩი** „მეოცნებე კაცი“ – **ანიშჭუყუ** „მეოცნებე ქალი“ (ანიშ „ნატვრა“, „ოცნება“), **ჟასჟასჩი** „სკეპტიკოსი კაცი“ – **ჟასჟასჭუყუ** „სკეპტიკოსი ქალი“ (ჟასჟას „ექვი“, „უნდობლობა“), **ჰერესაჩი** „მატყუარა კაცი“ – **ჰერესაჭუყუ** „მატყუარა ქალი“ (ჰერესა „ტყუილი“), **ზაყლუჩი** „მრჩვეელი კაცი“ – **ზაყლუჭუყუ** „მრჩვეელი ქალი“ (ზაყლუ „ჭკუა“, „გონება“), **მასხარაჩი** „ხუმარა კაცი“ – **მასხარაჭუყუ** „ხუმარა ქალი“ (მასხარა „ხუმრობა“, „მასხრობა“)...

ანალოგიური წარმოებაა ლაკურ ენაშიც, სადაც „მამაკაცის“ აღმნიშვნელ **ჩუ** სიტყვას კომპოზიტებში რეგულარულად ენაცვლება ხოლმე **შარ** (← შარსა „ქალი“). მაგალითად:

ღანჩუ „ნათესავი კაცი“ – **ღანშარ** „ნათესავი ქალი“; **ჭახუეჭუ** „მეზობელი კაცი“ – **ჭახუშარ(რ)** „მეზობელი ქალი“; **აჰალჩუ** „ნეთესავი კაცი“, „ხელისმომკიდე ქორწილში“ – **აჰალშარ** „პატარძლის ნათესავი ქალი“ „პატარძლის ხელისმომკიდე“; **ჰალმახჩუ** „ამხანაგი კაცი“ – **ჰალმახშარ** „ამხანაგი ქალი“; **ჯამალიჩუ** „სტუმარი კაცი“ – **ჯამალუშარ** „სტუმარი ქალი“; **ალიმჩუ** „სწავლული კაცი“, „მეცნიერი“ – **ალიმშარ** „მეცნიერი ქალი“; **ლაქუჩუ** „ლაკი კაცი“ – **ლაქუშარ** „ლაკი ქალი“ და სხვ.

ქართ. **დედაკაცი** : ხუნძ. **ჭუყუ** „ქალი“ (← წუ „მდედრი“ + ჟო „ნივთი“, „რამ“).

ქართულ კომპოზიტში მსაზღვრელად გამოყენებულ **დედა** კომპონენტს შენარჩუნებული აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ამ სიტყვას დამატებით ჰქონდა ძველ ქართულში – „მდედრობითი სქესის ადამიანი“, ხოლო **კაცი** კომპონენტი ნიშნავს ზოგადად „ადამიანს“ (human). ანალოგიური აგებულებისაა კომპოზიტი **მამაკაცი** (იხ. ზემოთ).

ქართ. (დიალ.) **ადამიანი** „ქალი“, „დედაკაცი“ : ხუნძ. (დიალ.) **ზადამ** „ქალი“.

სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) სიტყვა **ზადან** ნიშნავს „ადამიანს“ ზოგადად (human), ხოლო ანდალალური დიალექტის სულრათლურ კილოკავში **ადან**, აგრეთვე ბაწადურ ნარევ კილოსა და სოფელ თივის (კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი) მკვიდრ ანწუხელთა მეტყველებაში **ზადამ** სიტყვის მნიშვნელობა არის „ქალი“.

ანალოგიის თვალსაზრისით ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ქართული ენის ზოგიერთ მთის კილოში (ფშაურში, მთიულურში, გუდა-

მაყრულში, მოხეურში) **ადამიანი** ითქმის „ქალის“, „დედაკაცის“ მნიშვნელობითაც (შანიძე 1984: 277).

სალიტერატურო ხუნძურის (ჩრდილოლოური ხუნძურის) **ზადან** სიტყვასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაა საყურადღებო: მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად „ადამიანს“ (human) ნიშნავს, იგი მამაკაცის კლასს (I კლასს) განეკუთვნება და, შესაბამისად, იბრუნვის I ტიპის ბრუნების მიხედვით (-**ას** დაბოლოებით ერგატივში), ისევე, როგორც ჩვეულებრივ იბრუნვიან ხოლმე მამაკაცის კლასის სახელები: ერგ. ზადამ-**ას** „ადამიანმა“, ნათ. ზადამ-**ას**-ულ „ადამიანისა“, მიც. ზადამ-**ას**-ე „ადამიანს“.

ანწუხურში (სოფ. თივის მეტყველებაში, კერძოდ) „ქალის“ მნიშვნელობით გამოყენებული ფუძე **ზადამ** იცვლება II ტიპის ბრუნების მიხედვით (-**აღ** დაბოლოებით ერგატივში), ქალის კლასის (II კლასის) სახელთა ბრუნების შესაბამისად: ერგ. ზადამ-**აღ** „ქალმა“, ნათ. ზადამ-**აღ**-ულ „ქალისა“, მიც. ზადამ-**აღ**-ი-ბ-ე „ქალს“... ხოლო თუ იგივე სიტყვა გულისხმობს „ადამიანს“ ზოგადად (human-ს), მაშინ აქაც იგი იცვლება I ტიპის ბრუნებით (-**ას** დაბოლოებით ერგატივში): ერგ. ზადამ-**ას** „ადამიანმა“, ნათ. ზადამ-**ას**-ულ „ადამიანისა“, მიც. ზადამ-**ას**-ი-ბ-ე „ადამიანს“.

სალიტერატურო ხუნძურში „ადამიანის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ზადან**, ბუნებრივია, გულისხმობს მამაკაცსაც და ქალსაც, ხოლო კონკრეტულად თუ რომელი მათგანის შესახებ არის საუბარი ეს კონტექსტით ირკვევა; მაგალითად, წინადადებაში:

დოჟ ლიკაჟ ზადან ჟუგო „ის კარგი ადამიანი არის“ (საუბარია მამაკაცზე)

დოი ლიკაი ზადან იიგო „ის კარგი ადამიანი არის“ (საუბარია ქალზე)

ამ მაგალითებში მნიშვნელობის დაკონკრეტება ხდება სინტაქსური საშუალებით: სიტყვა **ზადან** კლასში ითანხმებს მასთან სინტაქსურად შეკავშირებულ ნაცვალსახელს, ატრიბუტივსა და ზმნას; მაგრამ განყენებულად აღებული იგივე სიტყვა (ზოგადად „ადამიანის“ მნიშვნელობით გამოყენებული) მაინც მამაკაცის კლასს განეკუთვნება და, შესაბამისად, იცვლება ბრუნების I ტიპის მიხედვით (-**ას** დაბოლოებით ერგატივ-ნათესაობით-მიცემითში), მაგ., **ზადამასულ ზამალ** „ადამიანური (ზედმიწ. „ადამიანის“) ხასიათი“, **ზადამასულ ლაგა-ჩერბ** „ადამიანის სხეულის ნაწილები“, **ზადან ზადამასე – მატუ** „ადამიანი ადამიანისათვის (ზედმიწ. „ადამიანს“) სარკვა“ (ანდაზა)...

ძირითადად ასეა ანწუხურშიც, ოღონდ სალიტერატურო ხუნძურისაგან განსხვავებით, სიტყვა **ზადამ** ამ დიალექტზე მეტყველის ცნობიერებაში, უპირველეს ყოვლისა, მაინც „ქალის“ ცნებასთან არის უფრო მჭიდროდ დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ანწუხელ სალიტერატურულ მაცოდროვას (1976 წ. დაბ., სოფ. თივი) ვთხოვე ანწუხურად ეთარგმნა არნ. ჩიქობავას და ი.ცერცვამის წიგნიდან ამოღებული სალიტერატურო ხუნძურის წინადადება: ღოტოდა ზადან ჟუგეჟილან ქუნ, ლ'უთანილა ბაწ „ხეზე ადამიანი არისო ეგონა, გაიქცა მგელი“ (ჩიქობავა, ცერცვამე 1962: 361), რომელიც მან თარგმნა ასე: ღოტოტა ზადამ აულამინ ხო... სალიტერატურო ხუნძურის **ჟუგეჟილან** („არის-ო“) მამაკაცის კლასის ფორმაა, მაგრამ რაკი წინადადებაში **ზადან** სიტყვა იყო, ანწუხურად თარგმნისას ინფორმატორმა სალიტერატურო ზმნური ფორმა შეცვალა ქალის კლასის ანწუხური **აულა**-მინ ფორმით და წინადადება გამოვიდა ასეთი შინაარსისა: „ხეზე ქალი არისო ეგონა...“ ანუ ინფორმატორმა ინტუიციით ბუნებრივად მიიჩნია, რომ **ზადამ** სიტყვასთან გამოეყენებინა სწორედ ქალის კლასის ზმნური ფორმა **აულა**-მინ, ნაცვლად მამაკაცის კლასის **ჟულა**-მინ („არისო თურმე“) ფორმისა და ეს მოხდა იმიტომ, რომ ანწუხელისათვის სიტყვა **ზადამ** უპირატესად მაინც „ქალთან“ არის ასოციაციურად დაკავშირებული.

სემანტიკური გადასვლა „ადამიანი“ → „ქალი“ არ იქნება რთული ასახსნელი, თუ გავითვალისწინებთ ხუნძური ენის სხვა დიალექტთა მონაცემებს. საქმე ისაა, რომ ანწუხურში (სოფ. თივის მეტყველებაში, კერძოდ), აგრეთვე სულრათლურ კილოკავსა და ბაწადურ ნარევე კილოში „ქალის“ სახელწოდებისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო შესიტყვება **წუ ზადამ**, ზედმიწ. „მდედრი ადამიანი“ (**წუ** „მდედრი, ძუ“), როგორც ამჟამად ითქმის ზემოყარახულში (წუჲ ზადამ „ქალი“), ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავსა (წუჲ ზადან „ქალი“) და ჭარულ დიალექტში (წუჲ ზადამ „ქალი“). სოფ. თივის ანწუხურ თქმაში, სულრათლურსა და ბაწადურში მსაზღვრელი **წუ** („მდედრი, ძუ“) დაიკარგა **ზადამ** სიტყვასთან, რამაც გამოიწვია „ქალის“ და „ადამიანის“ სახელწოდებათა დამთხვევა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხუნძურ ენაში არ გვხვდება „ქალის“ აღმნიშვნელი სიტყვა მარტივი ფუძის სახით. სხვადასხვა დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში იგი ყოველთვის წარმოგვიდგება მყარი ატრიბუტული შესიტყვების ან კომპოზიტის სახით, მაგ., სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) „ქალის“ აღმნიშვნელი კომპოზიტური სიტყვაა **ჭაუყუ**, რომელიც შედგება **ჭუ** (← წუ „მდედ-

რი, ძუ“) და **ჟუ** (← ჟო „ნივთი“, „რამ“) კომპონენტებისაგან. მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა არის „მდედრი რამ“ (გუდავა 1954: 374). ტ. გუდავა წერს: „წუ-ს ჭუ-ში გადასვლა ხუნძურ ნიადაგზე უნდა აიხსნას: „გემინირებული“ სისინა აფრიკატ **წ**-ს „გემინირებულ“ შიშინა **ჭ** აფრიკატად შეცვლა უნდა გამოეწვია მომდევნო შიშინა **ქ**-ს, რომელმაც მიიმსგავსა წინამავალი **წ** (ასიმილაცია), ამგვარად ჭუჟუ ← წუჟუ ← წუჟო“ (გუდავა 1954: 374). ავტორს მართებულად აქვს შენიშნული, რომ ამ სიტყვაში დადასტურებული მაგალითი თანხმოვნის დისტანციური, ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციისა (**ჭ** ← **წ**) არ არის ხშირი მოვლენა ხუნძურ ენაში, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს (გუდავა 1954: 376). ასევე საყურადღებოა ამის საპირისპირო მოვლენა, კერძოდ, ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც დასტურდება ბათლუხური დიალექტის ამავე სიტყვაში: წუზუ ← წუჟუ; შდრ. „ქალის“ ბათლუხური სახელწოდება **წუზუ ზადან**, ზედმიწ. „მდედრი რამ ადამიანი“. პროგრესული ასიმილაცია (**ქ** → **წ**) აქ უკვე, პირიქით, გამოწვეულია თავკიდური სისინა **წ**-ს მიერ.

ანალოგიური შედგენილობისაა „ქალის“ სახელწოდება სხვა დიალექტებსა და კილოკავ-თქმებშიც. სამხრული ხუნძურის ზოგ დიალექტში, კერძოდ, ყელბურ ნარევ კილოში „ქალის“ სახელწოდებად დადასტურებულია შესიტყვება, რომელშიც **ჟო** („ნივთი“, „რამ“) კომპონენტის მსაზღვრელი **წუ** გაფორმებულია III კლასის (ნივთის) -**აბ** ნიშნით: **წუ-ა-აბ ჟო** „ქალი“, ხოლო ჰიდური დიალექტის ურადულ კილოკავში ეს -**აბ** ნიშნიანი ფორმა მსაზღვრელად მოუდის „ადამიანის“ აღმნიშვნელ **ზადან** სიტყვას: **წუ-ა-აბ ზადან** „ქალი“, „ცოლი“, ზედმიწ. „მდედრი ადამიანი“. მიუთითებენ, რომ ყელბურსა და ურადულში „ქალი“ III კლასს (ნივთისას) განეკუთვნება. მათგან განსხვავებით, ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავს ანალოგიურ შესიტყვებაში **წუ** მსაზღვრელად გამოყენებული აქვს II კლასის (ქალის) ნიშნიანი ფორმით: **წუ-ა-აი ზადან** „ქალი“ (ჰარუნოვა 1985: 29).

ამრიგად, „ქალის“ სახელწოდებისათვის დიალექტებისა და კილოკავ-თქმების დიდ ნაწილში საერთო ფუძედ გვევლინება **წუ** („მდედრი, ძუ“), რომელიც ამა თუ იმ დიალექტსა თუ კილოკავ თქმაში გვხვდება II კლასის ნიშნით (მაგ., ანწროს-უნჰადურში: **წუ-ა-აი**, ჭოხურში: **წუ-ა**, ჭარულში: **წუ-ეი**, **წუ-ა...**), III კლასის ნიშნით (მაგ., ყელბურსა და ურადულში: **წუ-ა-აბ**) ან გაუფორმებელი ფუძის სახით (**წუ** → **ჭუ** ჩრდილოურ ხუნძურში, ანდალალურის ზოგ კილოკავ-

თქმაში, ყარახულში, ჰიდურში, ყაჰიბურში). ამ საერთო წუ („მდედრი, ძუ“) ფუძეს ამა თუ იმ დიალექტსა და კილოკავ-თქმაში საზღვრულად დაერთვის ფუძე **ზადან** // **ზადამ** („ადამიანი“) ან **ჟო** (→ ჟუ „ნივთი“, „რამე“), მაგ., ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში – წუჲ ზადან (შეიძლება იხმარებოდეს საზღვრულის გარეშეც: წუჲ), ზემოყარახულში – წუჲ **ზადამ**, ჰიდური დიალექტის ურადულ კილოკავში – წუჲ**აბ ზადან**, ჭარულში – წუჲ **ზადამ** ... სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) – **ჰუჟუ** (← წუჲ ჟო, ზედმიწ. „მდედრი რამ“) , ჰიდურში – **ჰუ ჟო** // **წუ ჟო**, ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში – **ჰუ ჟუ** (← წუჲ ჟო), ყაჰიბურში – **ჰუ ჟუ** (← წუჲ ჟო), ყელებურში – **წუჲაბ ჟო**...

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს „ქალისა“ და „მამაკაცის“ სახელწოდებათა შედარება-შეპირისპირება:

ჰუჟუ ← წუჲ ჟო „ქალი“, ზედმიწ. „მდედრი რამ“

ბინჩი „მამაკაცი“, ზედმიწ. „მამრი ადამიანი“ (← ბინ „მამრი“, „ხვადი“ + ჩი „კაცი“, „ადამიანი“).

როგორც ვხედავთ, ხუნძურში ადამიანი დახასიათებულია თავისი ბუნებითი სქესის მიხედვით: „მამაკაცის“ სახელდებისათვის გამოყენებულია **ბინჩი** („მამრი“), ხოლო ქალისათვის – **წუ** („მდედრი“). ამ ნიშნით (სქესი) ადამიანი დანარჩენ სულიერ არსებებთანაც (ცხოველებთან, ფრინველებთან) არის გაერთიანებული; შდრ. მაგ., **ბინჩი-ჰამა** „მამალი ვირი“ – **წუ-ჰამა** „დედალი ვირი“ (ჰამა „ვირი“), **ბინჩი-ცი** „მამალი დათვი“ – **წუ-ცი** „ძუ დათვი“ (ცი „დათვი“), **ბინჩი-ბეჩე** „მამალი ხბო“ – **წუ ბეჩე** „დედალი ხბო“ (ბეჩე „ხბო“), **ბინჩი-ჰაზ** „მამალი ბატი“ – **წუ-ჰაზ** „დედალი ბატი“ და ა.შ. მაგრამ თვითონ მამაკაცსა და „ქალს“ შორის საგულისხმო სხვაობა ვლინდება იმ მხრივ (და ეს უკვე გენდერული თვალსაზრისია ენით გამოხატული), რომ „მამაკაცის“ აღმნიშვნელ კომპოზიტში (**ბინჩი**) წარმოდგენილი **ჩი** „ადამიანს“ ნიშნავს, ხოლო „ქალის“ სახელწოდებაში (**ჰუჟუ** ← წუჲ-ჟო) მოცემული **ჟო** (→ ჟუ) „ნივთის“ სემანტიკას შეიცავს და იგი III კლასის არაერთი სახელისთვისაცაა ნიშანდობლივი.

ერთ საინტერესო თავისებურებასაც ავლენს **ჟო** გამოყენების მხრივ: ჯერ კიდევ პ.უსლარი მიუთითებდა, რომ ეს სიტყვა „ნივთს“, „საგანს“ ნიშნავს, ზოგჯერ კი გონიერ არსებებზეც ითქმის, ოღონდ ამ შემთხვევაში მას საძულველი, აგდებული ან სახუმარო მნიშვნელობა ეძლევაო; მაგ., **ჰევ ჟოდას** (ან: **ჟოცა**) **ჰაბუნა ჰებ** „მაგ კაცმა (აგდებ., ზიზღ.) ქნა ეგ“ (უსლარი 1889: 50, 57; განყ. II: 81). მ.საიდოვის განმარ-

ტებითაც, **ყო** აგდებულ დამოკიდებულებას გამოხატავს ადამიანის მიმართ: **ჰევ ჟოდასა ჰაზუნა ნეჟედე აჟარა** „მაგ ტიპმა შეგვიშალა ჩვენ ხელი“ (საიდოვი 1967: 227); ასევე: **ჰაბ ჟოგი ბუგო ჰანიზე ბაჰუნ** „ეს ტიპიც მოვიდა აქ“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 307)...

მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება მამაკაცი, ხოლო ქალთან დაკავშირებით იგივე **ყო** ერთობ განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენს. საყურადღებოა, რომ რაიმე უარყოფითი ან დამცირებითი კონოტაცია ქალის მიმართ გამოყენებისას ამ სიტყვას არ შეემჩნევა. იგი ამ მხრივ ნეიტრალურობას იჩენს. მაგალითად:

კარტენ ბაზარამ ჟო „ლოყაწითელი რამ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 117);

ბეცენამ ჟო „მსუქანი რამ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 50);

ნეჩარამ ჟო იიგო ჰამ მას „მორცხვი რამ არის ეს გოგო“ (უსლარი 1889, განყ. II: 138);

წაყ ბაზინამ ჟო იიგო ჰამ მას „ძალიან ნაზი რამ არის ეს ქალიშვილი“ (უსლარი 1889, განყ. II: 46);

დირ რეკელამ ჟო იიგო მუნ „ჩემი გულის რამ ხარ შენ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 169);

დიდე მუნ იოტაულა ტეჟერ ზადამ ჟო! „მე შენ მიყვარხარ, კრავის მსგავსო რამევე!“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 234);

მაღზანასეი ჟო „თითისტოლა“ ზედმიწ. „ფრჩხილის მსგავსი რამ“ [გოგონა] (მაჰომედხანოვი 1993: 209);

ზოლემ ჟო „ყმაწვილი ქალი“, ზედმიწ. „მოზარდი რამ“ (მაჰომედხანოვი 1993: 115);

ზიმაჟენასა ჟინდიდე ზადამ ჟო იის'ულინ ჰეიან, ჰუჟულუნ მაჩუნ იიგო ჰეი „ცხვრის მწყემსმა თავისი მსგავსი რამ რომ ნახა იგი [ქალი], ცოლად მოიყვანა“ (ზღაპრები 1990: 171)...

როგორც ამ მაგალითებიდანაც ვხედავთ, ქალის მიმართ **ყო** სავსებით ნეიტრალურია რაიმე შეფასების გამოხატვის თვალსაზრისით, რაც თავისებურად წარმოაჩენს ქალისადმი ხუნძური ენის დამოკიდებულებას მამაკაცთან შედარებით. ხუნძურისათვის თითქოსდა სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივია ქალის მოხსენიება „ნივთის“ აღმნიშვნელი ამ სიტყვით, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მაინც ცალსახა ენობრივი ფაქტია და მხოლოდ ამის მიხედვით, ცხადია, არ შეიძლება კეთდებოდეს მარტივი, გაუბრალოებული დასკვნა ისეთ რთულ და მრავალწახნაგოვან მოვლენაზე, როგორიცაა ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში. დალესტნის ძველი ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიუ-

ლი მონაცემები და, მით უფრო, თანამედროვე სოციალური სინამდვილე არ იძლევა ასეთსავე ერთმნიშვნელოვან სურათს ქალის მდგომარეობისა და სტატუსის, მისდამი დამოკიდებულებისა და გენდერულ ურთიერთობათა სხვა ასპექტების თაობაზე.

„ქალის“ ზოგ დიალექტურ სახელწოდებაში **ჟო** („ნივთი“, „რამე“) კომპონენტს **ზადან** // **ზადამ** („ადამიანი“) სიტყვა რომ ცვლის, ამ მოვლენის საფუძველი ევფემიზმი უნდა იყოს: როგორც უკვე ითქვა, ხუნძურ ენაში **ჟო** („ნივთი“, „რამე“) საერთოდ დამამცირებელ, აგდებით ელფერს შეიცავს და ამ სიტყვით მოხსენიება შეურაცხყოფელია, მაგალითად, მამაკაცისათვის. რაც შეეხება ქალს, მის მიმართ გამოყენებისას **ჟო** სიტყვას, როგორც ვნახეთ, ასეთივე ნეგატიური კონოტაცია არ გააჩნია (ქალთან მიმართებით იგი ნეიტრალურია), მაგრამ დიალექტთა და კილოკავ-თქმათა გარკვეულ ნაწილში იგი ადვილად შეცვალა **ზადან** („ადამიანი“) სიტყვამ. აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ხუნძური ამჟამად განარჩევს „ქალის“ ორგვარ სახელწოდებას: **ჭუჟუ** სიტყვის მნიშვნელობაა „ქალი“, „ცოლი“, მაგრამ გამოიყენება აგრეთვე თავაზიანი ელფერის მქონე შესიტყვება **ჭუჟუ ზადან** „მანდილოსანი“. ანალოგიური მოვლენა შესამჩნევია ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც, სადაც სიტყვა **ძუდ** (სალიტ. ჩეჩნ. **ზუდ** „ქალი“, „ცოლი“) საზღვრულად დაირთავს ხოლმე **საგ** („კაცი“, „ადამიანი“) სიტყვას: ქისტ. **ძუდ საგ** „მანდილოსანი“, ზედმიწ. „ქალი ადამიანი“.

ანდიურ ენებშიც „ქალი“, როგორც მდედრობითი სქესის არსება ზოგადად, აღინიშნება **ჰეკუა** / **ჰეკა** („კაცი“, „ადამიანი“) სიტყვის (უფრო ზუსტად, მისგან ფონეტიკური ცვლილებით მიღებული -**კუა** / -**კა** ელემენტების) მიმატებით სათანადო ფუძესთან; მაგ., საკუთრივ ანდიურ ენაში არსებობს ხუნძური **ჭუჟუ** („ქალი“) კომპოზიტის ანალოგიურად შედგენილი სიტყვა **ჰორჭუკა** „ქალი“, „დედაკაცი“, „ცოლი“; ზედმიწ. „მდედრი ადამიანი“ (← ჰორჭი „მდედრი“, „დედალი“, „ძუ“ + ჰეკა „კაცი“, „ადამიანი“). ბოთლიხურში **იეშიკუა** „ქალი“ (← ძაში ჰეკუა), ანდიურში **იოშკა** (← იოში ჰეკა); **იეში**, **იოში** ფუძეები კი წარმოადგენენ კანონზომიერ შესატყვისებს ხუნძური სიტყვისა **იას** „ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი“, „ქალიშვილი“, „გოგო“ (გუდავა 1954: 375). მამასადამე, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა „ქალისა“ (მდედრობითი სქესის ადამიანისა ზოგადად) ანდიურ ენებში გამოდის „ქალიშვილი ადამიანი“, „გოგო ადამიანი“.

სოფელ თივის ანწუხელთა ხუნძურ მეტყველებაში, აგრეთვე ბაწადურ და სულრათლურ კილოკავ-თქმებში ასევე ევფემიზმის ნიადაგზე უნდა დაკარგულიყო „ქალის“ სახელწოდებაში მსაზღვრელად ხმა-

რებული **წუ** („მდედრი, ძუ“), რის შედეგადაც შესიტყვებისაგან დარჩა მხოლოდ **ჭადამ** („ადამიანი“) ფუძე და „ქალის“ აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. ევფემიზმის გარდა, არ გამოირიცხება ელიფსის მოქმედებაც, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა შესიტყვების (**წუ** **ჭადამ** „მდედრი ადამიანი“) გამარტივება ერთ სიტყვად (**ჭადამ** „ადამიანი“ → „ქალი“). მსგავსი მოვლენა შეინიშნება ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში, ოღონდ შესიტყვება **წუმი ჭადან** („ქალი“, ზედმიწ. „მდედრი ადამიანი“) აქ საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს: შესიტყვებიდან ამოვარდება ხოლმე არა მსაზღვრელი (**წუმი** „მდედრი, ძუ“), არამედ „ადამიანის“ აღმნიშვნელი ფუძე, რომელიც შესიტყვებაში საზღვრულად არის გამოყენებული (**ჭადან** „ადამიანი“). ამრიგად „ქალის“ სახელწოდებად ჭოხურში გამოიყენება მხოლოდ **წუმი** („მდედრი, ძუ“) ფუძეც, პარალელურად შესიტყვებისა **წუმი ჭადან**, ზედმიწ. „მდედრი ადამიანი“.

ადამიანთან დაკავშირებული სახელებიდან, „ქალის“ გარდა (**ჭუჟუ** „ქალი“ ← **წუ** **ჟო** „მდედრი რამ“), **ჟო**-ს („ნივთი“, „რამ“) შემცველი ჩანს აგრეთვე ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ერთი კომპოზიტური სიტყვა **ჭურუნჟო** „გარე ბიძაშვილი“, უფრო ზუსტად „четвероюродный брат“ ან „четвероюродная сестра“ (განურჩევლად სქესისა). ეს სიტყვა დადასტურებულია ყელებურში (ჭარუნოვა 1985: 25), ჩრდილოურ ხუნძურში მას მნიშვნელობით ეფარდება მონო-ჭალ. ნათელი არ არის **ჭურუნ** კომპონენტის სემანტიკა.

დანარჩენ ცოცხალ არსებათა სახელებში **ჟო** ლექსემის შემცველია, მაგალითად, **ჭოლო-ჟო** „მოზვერი“ (ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში), შდრ. სალიტ. ხუნძ. **ჭოლო-ჯან**. საინტერესოა, რომ ყარახული დიალექტის თლესერუხის კილოკავში სიტყვა **ჭოლ-ჟუ** ნიშნავს „ულაყ ცხენს“ (შდრ. ზემოყარახულში **ჭოლაბ** ჩუ „ულაყი“, ჩუ „ცხენი“); ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში „მოზვერის“ სახელწოდებად გვაქვს **კილაბ-ჟო**, ხოლო ამავე დიალექტის ტომურულ კილოკავში – **კილ-ჟუ**... გაურკვეველია კილ- კომპონენტის სემანტიკა. ასევე უცნობია ზედმიწევნითი მნიშვნელობა კომპოზიტისა **ფარკალა-ჟო** „პეპელა“ (ყელებურ ნარევ კილოში, ლიტ. კალკუქ)...

აღსანიშნავია **ჟო**-ს გამოყენების ერთი თავისებურებაც: იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია „ცხვრის“ სხვადასხვაგვარ სახელწოდებათათვის. შეიძლება ითქვას, რომ ხუნძურ ენას არც ერთი სულიერი არსების სახელი არ უწარმოებია **ჟო** ლექსემით ისე უხვად, როგორც ამ პირუტყვისა. მაგალითად:

ჰორ-ჟო ითქმის ბერწ ცხვარზე (ჰორ-აბ „ბერწი“). იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მსაზღვრელადაც ცხვრის სხვა სახელწოდებებთან: ჰორჟო ქუდ „მამალი ცხვარი 9 თვიდან ერთ წლამდე“, ჰორჟო შორკენ „დედალი ცხვარი 9 თვიდან ერთ წლამდე“ (ჯაფარიძე 1966: 257; ჯაფარიძე 1975: 230, 231; ჰარუნოვა 1988: 147). ქუდი „ვერძი“, შორკენ „დედალი ცხვარი“ (1 წლისა).

„დედალი ცხვრის“, „ნერბის“ სახელწოდებად ხუნძურში გამოიყენება **შიაღა-ჟო**, რომელშიც პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ცხვრის სიმრავლის გამომხატველი კრებითი სიტყვა **ში**.

ტასა-ჟო, ზედმიწ. „ზევიდან რამ“ ჰქვია მწყემსისათვის წლის ბოლოს გასამრჯელოდ მისაცემ ცხვარს (← ზმნისრთ. ტა-სა „ზევიდან“);

ჭეჭერ-ჟო, ზედმიწ. „შავი რამ“ (ჭეჭერ-აბ „შავი“), მსაიდოვის ცნობით, ეწოდება შავ ცხვარს, რომელსაც გვალვიანობის დროს ნათესებისა და სოფლის ირგვლივ შემოატარებენ ხოლმე წვიმის გამოწვევის მიზნით (საიდოვი 1967: 584). გვალვისა და სხვა უბედობისაგან ყანისა და ნათესების დაცვის ამ წეს-ჩვეულებას ჰქვია ჭეჭერ **ჟო** სვერი, ზედმიწ. „შავი რამის შემოვლა“; სხვა ვარიანტით – მელ სუერუნ **ჟო** ბაჩიზე, ზედმიწ. „ყანის ირგვლივ რამის [არსების] ტარება“ (ამ წეს-ჩვეულების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ნიკოლსკაია 1959: 324).

ანწუხურში (სოფ. თივის მკვიდრ ანწუხელთა მეტყველებაში, კერძოდ) „ცხვრის“ მნიშვნელობით მოიპოვება სახელწოდება **ბოწულ-ჯო**, სადაც **ჯო** არის **ჟო**-ს ფონეტიკური ვარიანტი: ჯ ← ჟ შეპირობებულია პოზიციურად, კერძოდ, სონორი **ლ**-ს გავლენით. როგორც ცნობილია, სამხრულ ხუნძურში (ანწუხურში, ჭარულში...) „თუ ჟო ელემენტი სონორ თანხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის, იგი ჯო-ს სახეს იღებს: **ქვენ-ჯო** „საჭმელი“ (← ქვენ „საჭმელი“ + ჯო „რამე“), **ხანჯო** // **ხანჯუ** „ფქვილი“ (← ხან + ჯო ← ჟო)...“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 45). ამის კიდევ ერთი მაგალითია ხსენებული ანწუხური სიტყვაც (← ბოწულ ჟო), რომლის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „საქონლის რამ“ (არსება); შდრ. ბოწი „საქონელი“ (პირუტყვი), ნათ. ბრ. ბოწ-უ-ლ „საქონლისა“ და სხვა.

რთული გამოსარკვევია „ცოლის“ აღმნიშვნელი სიტყვის აგებულებისა და წარმომავლობის საკითხი სამხრული ხუნძურის ზოგ დიალექტსა და კილოკავ-თქმაში; მაგ., ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში – **რუჩაბა** „ცოლი“, ამავე დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში – **რუცაბა** (სალიტ. ხუნძ. **ლზადი** „ცოლი“). ბოლოკიდური -ა თაშურ და ჭადაქოლოურ სიტყვებში წარმოადგენს II კლასის (ქალის კლა-

სის) -**აი** ფორმანტის ფონეტიკურად სახეცვლილ გამარტივებულ ვარიანტს (-ა ← -აი), რომელიც სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში შეიძლება საერთოდაც მოსცილდეს ხოლმე ფუძეს: რუჩაბ, რუცაბ.

საინტერესო ის არის, რომ ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატუროშიც) „ცოლის“ აღმნიშვნელ ამ დიალექტურ ლექსემათა შესატყვისი არის **რუჩაბი**, რომელიც ჩრდილოურში ამჟამად წარმოადგენს მრავლობითის ფორმას სახელისა **ჭუყუ** („ქალი“) და მისი მნიშვნელობაა „ქალები“. მრავლობითის ამ ფორმაში გამოიყოფა ფუძე **რუჩა**, ხოლო **-აბი** მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტს წარმოადგენს. ხუნძურის **რუჩა** ფუძესთან არნ. ჩიქობავამ დააკავშირა ქართული **რუმ** (მ-რუმ-ე, მე-მ-რუმ-ე) და სხვა დადესტნურ ენებში „ქალიშვილის“, „გოგოს“ აღმნიშვნელი ფუძეები: ლეზგ. **რუმ**, დარგ. **რურსი**, წახურ. **იჩაჲ**, თაბ. **რიშ**, რუთ. **რგშ**; მკვლევრის აზრით, **რუმ** ფუძე დადესტნური ენებიდან უნდა იყოს ქართულში ნასესხები (ჩიქობავა 1942: 149-150).

ანწუხური დიალექტის ზოგ კილოკავში, როგორცაა ანწროს-უნ-ჰადური, ბოჰნოდური, ტომურული, **რუჩაბაი** ნიშნავს „ქალს“, „მანდილოსანს“. ამავე მნიშვნელობისაა შულანიზურ ნარეგ კილოში **რუჭაბაი**, რომელშიც წარმოდგენილია ინტენსიური აზრუპტივი **ჭა** ანწუხურის ინტენსიური ფშვინვიერი **ჩა**, **ცა** აფრიკატების შესატყვისად.

სემანტიკური გადასვლა „ქალი“ → „ცოლი“ სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში და ნიშანდობლივია არა მარტო ხუნძურისათვის. მხოლოდ გაურკვეველი რჩება, თუ რატომ არის გამოყენებული სამხრულ დიალექტებში „ცოლის“ მნიშვნელობით ჩრდილოური ხუნძურის მრავლობითის ფორმა **რუჩა-აბი** („ქალები“). სამხრულ დიალექტებში იგი მრავლობითის ფორმად რომ არ აღიქმება, კარგად ჩანს იმ ფაქტითაც, რომ ჩვეულებრივად დაირთავს ხოლმე მრავლობითის **-ალ** ფორმანტს: თაშ. რუჩაბ-**ალ**, ჰად. რუცაბ-**ალ**, შულან. რუჭაბ-**ალ** „ცოლები“. ისიც აღსანიშნავია, რომ სამხრულ ხუნძურში არ მოიპოვება მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტი **-აბი**, რომელიც ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) საკმაოდ პროდუქტიულია.

ლაკურ ენას არ ახასიათებს „ქალის“ აღმნიშვნელ სახელწოდებათა წარმოების მრავალფეროვნება და სირთულე, როგორცაა ვხედავთ ხუნძურში. ლაკურში „ქალის“ აღსანიშნავად მოიპოვება მარტივი (არაკომპოზიტიური) სიტყვა **შარსა**, რომელიც ნიშნავს, აგრეთვე, „ცოლს“. ეს არსებითი სახელი **შარსა** გვევლინება ზედსართავთა (და მიმღობათა) მაწარმოებელი **-სა** სუფიქსით გაფორმებული სახით (შარ-სა), ხო-

ლო თვითონ ფუძე **შარ** წარმოადგენს კანონზომიერ შესატყვისს ხუნძური სიტყვისა **ლადი** „ცოლი“.

სიტყვაწარმოების თავისებურებიდან ლაკურ ენაში საინტერესოა კრებითი მნიშვნელობის შეერთებითი კომპოზიტი **ხურსნი-ცუ** „მამაკაცები და ქალები“, ზედმიწ. „მამრი-მდედრი“, რომლის ანალოგიც ხუნძურში არ მოიპოვება (არც ქართულში). ხუნძურ ენაში, მართალია, არსებობს ერთი შეხედვით თითქოს მსგავსი აგებულების სიტყვა **ბისინწუ** (← ბისინ „მამრი“ + წუ „მდედრი“), მაგრამ ეს უკანასკნელი განსაზღვრებითი კომპოზიტია და ნიშნავს „ჰერმაფროდიტს“.

3) ოჯახი და ნათესაობა

ქართ. **დედ-მამა** „მშობლები“:

შენიშნულია, რომ კავკასიის არაერთ ენაში „მშობლების“ აღმნიშვნელი სიტყვა აგებულია კომპოზიციის საერთო მოდელის მიხედვით – „დ ე დ ა + მ ა მ ა“. მაგალითად:

ქართ. **დედ-მამა** : სვან. **დნ-მუ** : აბაზ. **ანი-აზი**, ყაზარდ. **ანგ-ადგ** : ბაცბ. **ნან-დად** : ხუნძ. **ეხელ-ემენ** : ანდ. **ილა-იმა** : ახვ. (ჩრდ.) **ილჷმა** (← ილა-იმა) : ბაგვ. **ილა-იმა** : ბოთლ. **ილა-იმა** : ლოდობ. **ილა-იმა** : ტინდ. **ილა-იმა** : ჭამალ. **ილა-იმა** : დიდ. **ოზუ-ენიჷ** : ბეჟიტ. **იამ-აზო** : ლაკ. **ნი-ნუ-ფუ** : დარგ. **ნემ-დუდემ** : ლეზგ. **დიდე-ზუზა...**

მაგრამ კავკასიის ბევრი ენისათვის ასევე არ არის უცხო „მშობლების“ აღმნიშვნელი შეერთებითი კომპოზიტების წევრთა პირიქითი მიმდევრობაც: „მ ა მ ა + დ ე დ ა“. მაგალითად:

ძვ. ქართ. **მამა-დედა** : ადიღ. **ათგ-მანგ-ხერ** : ახვ. (სამხრ.) **იმა-ილა** : კარატ. **იმაღლა** : რუთულ. **დიდ-ნინ** : ჩეჩნ. **დნ-ნანა** : ინგ. **და-ნანა** : უდ. **ბავა-ნანა** : ხინალ. **ბაბა-დადა** : აზერბ. **ათა-ანა** : ყუმცი. **ათა-ანა** : ნოღ. **ათა-ანა** : სომხ. **ჰამრიკ-მამრიკ...**

(კლიმოვი, ხაიდაყოვი, შაგიროვი 1978: 23; კლიმოვი, ხალილოვი 2003: 62; კომრი, ხალილოვი 2010: 81-82; აბდულაევი 2013: 82, აბდულაევი 2015: 67, არდოტელი 2021: 20-21).

სემანტიკის თავისებურებით გამოირჩევა „მშობლების აღმნიშვნელი“ კრებითი კომპოზიტი თაბასარანულ ენაში: **აზი-ბაზარ** „მშობლები“ (← აზი „პაპები“ + ბაზარ „ბებიები“) (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 62).

ბაცბურ (წოვათუშურ) ენაში კომპონენტთა რიგი „დედა + მამა“ შეიძლება ქართულის გავლენით იყოს ჩამოყალიბებული; შდრ. ჩეჩნურსა და ინგუშურში „მამა + დედა“.

ქართ. **დედ-მამობა** : ხუნძ. **ზაზა-დადალი** „ოჯახური მოვალეობები (მაგ., მშობლებისა შვილების მიმართ)“, ზედმიწ. „დედა-მამობა“ (← ბაზა „დედა“, „დედილო“ + დადალი „მამობა“; დადა „მამა“, „მამილო“). გვხვდება შებრუნებული წყობითაც: **დადა-ზაზალი**, ზედმიწ. „მამა-დედობა“.

სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) საალერსო მნიშვნელობა აქვს სიტყვებს **ზაზა** („დედილო“), **დადა** („მამილო“), განსხვავებით ზოგიერთი სამხრულ ხუნძური დიალექტისაგან, რომლებშიც ეგევე სიტყვები გვევლინებიან საზოგადო არსებით სახელებად („დედა“, „მამა“) და აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) სიტყვებს **ებელ** („დედა“), **ემენ** („მამა“).

ქართ. **და-ძმა** : ხუნძ. **დაცა-ჟაცა** „დაა და ძმა“ (← დაცა „და“ + ჟაცა „ძმა“), პარალელურად: **ჟაცა-დაცა** „ძმა და დაა“ (← ჟაცა „ძმა“ + დაცა „დაა“) : ლაკ. **უსურ-სუ** „ნათესავები“ (← უსურ-რ- „ძმები“ + სუ „დაა“) : დარგ. **უზი-რუზი** „ნათესავები“ (← უზი „ძმა“ + რუზი „დაა“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 26).

ხუნძურ ენაში ორივეგვარი წყობა კომპონენტებისა („და-ძმა“//„ძმა-და“) თანაბრად არის შესაძლებელი. ორივე წყობა ფაკულტატიურია. ქართულშიცა და ხუნძურშიც გვაქვს კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ორი ფუძის შეერთებით (**და** კავშირის ჩავარდნით) მიღებული კომპოზიტები, რომლებიც სტრუქტურითაც და სემანტიკითაც ერთმანეთის იდენტურია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომპონენტთა შებრუნებული წყობის შესაძლებლობას ხუნძურ კომპოზიტში (ქართული ამ მხრივ მკაცრად სტაბილურია). სხვაგვარ ვითარებას წარმოგვიდგენს ლაკური კომპოზიტი, რომელიც, ქართულისა და ხუნძურისაგან განსხვავებით, კრებითი მნიშვნელობისაა და აქვს განსხვავებული სემანტიკა („ნათესავები“). პირველი კომპონენტის **-რ-** ელემენტი (უსურ-**რ-**) უნდა იყოს დანაშთი მრავლობითის მაწარმოებელი ფორმანტისა, რომელიც ამ კომპოზიტში მოკვეცილ იქნა: უსურ-რ- ← უსურვალ „ძმები“ (მხ.რ. უსურ „ძმა“).

ხუნძურის ახლო მონათესავე ანდიურ ენაში არსებობს კომპოზიტი **ჟოცა-ოცაი**, ზედმიწ. „ძმა-და“. მეორე კომპონენტი ამ კომპოზიტისა ფონეტიკურად სახეცვლილია: ოცაი ← ოოცაი „და“ (ცერცვაძე 1965: 180).

ქართ. **და-ძმობა** : ხუნძ. **მაცა-ჟაცლი** „და-ძმობა“.

ქართ. **ცოლ-ქმარი** : ხუნძ. **როსა-ლადი** „მეუღლეები“ (← როსა „ქმარი“ + ლადი „ცოლი“) : ლაკ. **ლას-შარ** „id.“ (← ლას „ქმარი“ + შარ „ცოლი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 78, აბდულაევი 2015: 64).

ქართ. **ცოლ-შვილი** : ხუნძ. **ჭუყუ-ლიმალ** „ცოლ-შვილი“, „შინაურები“, „ოჯახი და შვილები“ (← ჭუყუ „ქალი“, „ცოლი“ + ლიმალ „ბავშვები“, „შვილები“) : ლაკ. **ჯამი-ურჭ** „id.“ (← ჯამი „ქალები“ + ურჭ „ბავშვი“, „შვილი“, „ნაშიერი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ქართ. **დედა-წული** „ცოლ-შვილი“ (ქეგლ) : ხუნძ. **ებელ-ლიმალ** „ნათესაობა“, „ახლო ნათესავები“ (ერთი გვარის შიგნით) (← ებელ „დედა“ + ლიმალ „ბავშვები“, „შვილები“); ებელ-ლიმალ დანდელუნ რუკანა „ნათესავები (ზედმიწ. „დედა-ბავშვები“) შეიკრიბნენ“ (საიდოვი 1967: 599); ებელ-ლიმალაზდა ჰორტობ ჰუცინლი რეყარაბ ბუგო „ნათესავებს შორის სიტკბოება სუფევს“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 866).

ხუნძ. **ლიმერ-ბეტერ** „შვილები“ (← ლიმერ „ბავშვი“, „შვილი“ + ბეტერ „თავი“) : ლაკ. **ურჭ-ბაკ** „შინაურები“, „ოჯახის წევრები“, „ჯალაბობა“, „დედაწული“ (← ურჭ „ბავშვი“, „ნაშიერი“, „შვილი“ + ბაკ „თავი“).

ხუნძ. **ჯიზან-ყა** „ოჯახი“, „ოჯახის წევრები“, „შინაურები“, „ოჯახობა“, „სახლობა“, „ოჯახი და შვილები“ (← ჯიზან „ოჯახი“ + ყა „ნივთები“, „რამერუმე“) : ლაკ. **ხიზან-ყა** „საოჯახო ნივთები“, „ოჯახის ქონება“, „ოჯახის მეურნეობა“ (← ხიზან „ოჯახი“ + ყა „რამერუმე“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 87, აბდულაევი 2015: 71).

ქართ. **დიდედა** : ხუნძ. (დიალ.) **კუდაეხელ, კუდეხელ** „ბებია“ (← კუდა-ა- , კუდე- „დიდი“ + ეხელ „დედა“) : ლაკ. **კუნნაზავა** „ბებია“ (← კუნნა- „დიდი“ + ბავა „დედა“) : დარგ. **ხალანემ** „ბებია“ (ხალა „დიდი“ + ნემ „დედა“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 37).

სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) „ბეზის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **კოდო**, რომელიც ფორმოზრივ ემთხვევა ვითარებით ზმნისართს **კოდო** „დიდად“ (ეგვე ფუძეა წარმოდგენილი ზმნაში კოდო-ლ-ი-ზე „გადიდება“). ამოსავალია კუდ-ო (უ → ო ბოლოკიდური მახვილიანი ო-ს გავლენით: კუდო' → კოდო'), შდრ. ზედსართავი სახელი კუდ-ი- „დიდი“. რაც შეეხება ბოლოკიდურ - ო-ს „ბეზის“ აღმნიშვნელ სიტყვაში, იგი შეიძლება იყოს იშვიათი (არაპროდუქტიული) დერივატი, რომელიც წარმოდგენილია სიტყვაშიც მესედ-ო (// მესედ-უ) „მშვენიერი ქალი“, „მზეთუნახავი“ (ქალის საკუთარი სახელიცაა, შდრ. მესედ „ოქრო“).

ხუნძურის დიალექტებში „ბეზის“ სახელწოდება, ზედმიწევნითი მნიშვნელობით „დიდი დედა“, გვხვდება შესიტყვების ან კომპოზიტთა სახით: **კუდაა ბაზუ** ან **კუდაზუ** (შულანიზის ნარევი კილოში) ← კუდაა „დიდი“ + ბაზუ „დედა“; **კუდაბელ** ან **კუდებელ** (ყელების ნარევი კილოში), ებელ „დედა“; **კუდებელ** (ჰიდურ დიალექტსა და აგრეთვე, ანდალალური დიალექტის რუდჟაბულ კილოკავ-თქმაში), **კუდიბელ** (ყაზბურ ნარევი კილოში), **კუდიბა** (ქულაბის ნარევი კილოში); **კუდება** (სოფ. თივში [კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი] მოსახლე ანწუხელი ხუნძების თქმაში) ← კუდ-ე ← კუდ-აა „დიდი“ + ბაზა „დედა“.

სხვა დიალექტებსა თუ კილოკავ თქმებში „ბეზის“ სახელწოდებები გვხვდება რამდენადმე განსხვავებულად („მოხუცი დედა“): **ჰერეზელ** (ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავ-თქმასა და ქუდალიზის კილოკავ-თქმაში, ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში) ← ჰერ- „მოხუცი“ + ებელ „დედა“; **ჰეზაზუ** (ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავშივე და ყარახული დიალექტის ბაწადურ კილოკავში) ← ჰერ- „მოხუცი“ + ბაზუ „დედა“; **ჰერზაზა** (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში); **ჰეზაზა** (ზემო ყარახულში), ბაზა „დედა“.

ამავე სახელწოდებამ ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება განიცადოს ისეთი ცვლილებაც, რომ კომპოზიტად აღარც აღიქმებოდეს და მარტივ ფუძეს მიემსგავსოს, მაგ., **ჰაზა** „ბეზია“ (ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში), **ჰეზა** (ყარახული დიალექტის თლესერუხულ კილოკავში).

ზოგიერთ დიალექტსა თუ კილოკავ-თქმაში კომპოზიტს ეკარგება საზღვრული და „ბეზის“ სახელწოდებები გვევლინება მარტოდენ ზედსართავის (გასუბსტანტივებული) ფორმით: **ჰერაა** „ბეზია“ (ანდა-

ლალური დიალექტის ბუხთიბურ და ქუიადურ კილოკავებში, ქვემო ყარახულში) ← ჰერაჲ [ებელ] „მოხუცი [დედა]“ ; ჰერი „ბებია“ (სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში) ← ჰერ-ე ← ჰერ-აჲ [ბაბა] „მოხუცი [დედა]“.

ხუნძ. (დიალ.) **კუდაჟემენ** „პაპა“, „ბაბუა“ (← კუდ-აჟ „დიდი“ + ემენ „მამა“) : ლაკ. **ჯუნხუთა** / **ჯუნმამმა** „პაპა“, „ბაბუა“ (← ჯუნ- „დიდი“ + ბუთაჲ / მამმა „მამა“ : დარგ. ხალაათაჲ „პაპა“, „ბაბუა“ (← ხალა „დიდი“ + ათაჲ „მამა“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 37).

სალტერატურო ხუნძურში „პაპის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **კუდა-და** (← კუდ-ი-ჲ-აჟ „დიდი“ + დადა „მამილო“).

ხუნძურის დიალექტებში შედგენილია „ბების“ სახელწოდებათა (იხ. ზემოთ) ანალოგიურად („დიდი მამა“): **კუდაჟემენ** (ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში), **კუდაიმენ** (ქვემოყარახულში); **კუდე-მენ** (ანდალალური დიალექტის რულჯაბულ თქმაში); **კოდონსო** (ჰიდურ დიალექტში), ჰიდ. ენსო „მამა“. ასევე დასტურდება სახელწოდებები, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით „მოხუცი მამა“: **ჰერემენ** „პაპა“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში, ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში) ← ჰერ- „მოხუცი“ + ემენ „მამა“; **ჰერდადა** „პაპა“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში) ← ჰერ- „მოხუცი“ + დადა „მამა“. დასტურდება ფონეტიკურად სახეცვლილი სახელწოდებები, რომლებიც მარტივ ფუძეს წააგავს და კომპოზიტად უკვე შეიძლება აღარც აღიქმებოდეს: **ჰედე** (ანწუხურ და ჭარულ დიალექტებში) ← ჰერ- „მოხუცი“ + დედე „მამა“; **ჰადა** (ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში) ← ჰერ- „მოხუცი“ + დადა „მამა“. გვხვდება სახელწოდება, რომელსაც დაკარგული აქვს საზღვრული და მარტოდენ ზედსართავის ფორმაღაა დარჩენილი (გასუბსტანტივებული): **ჰერაჟ** „პაპა“ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ, ქუიადურ, ბაწადურ კილოკავ-თქმებში) ← ჰერაჟ [ემენ] „მოხუცი [მამა]“ და სხვ.

ხუნძ. **დაჰაბაბა** „ბებია“ (სალერსო სახელი) (← დაჰალ- „ლამაზი“, „ალერსიანი“, „კარგი“, „კეთილი“ + ბაბა „დედა“) : ლაკ. **თამბავა** // **თამდადა** „id.“ (← თამ „ლამაზი“ + ბავა // დადა „დედა“). ანალოგიური სტრუქტურისა და სემანტიკისაა: ხუნძ. **დაჰადადა** „პაპა“ (სალერსო სახელი) (← დაჰალ- „ლამაზი“, „ალერსიანი“, „კარგი“, „კეთილი“ + და-

და „მამილო“, „მამა“) : ლაკ. **თამამამა** „id.“ (← თამ „ლამაზი“ + მამამა „მამა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 87, აბდულაევი 2015: 71).

ამ კომპოზიტთა თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კომპონენტებად შეიცავენ „დედისა“ და „მამის“ აღმნიშვნელ სიტყვებს (უფრო რომ დავაზუსტოთ, წარმოდგენილია საალერსო ფორმები – „დედილო“, „მამილო“), თუმცა ამ კომპოზიტთა დენოტატებია „ბებია“, „პაპა“ (ზედმიწ. „ლამაზი დედა“, „ლამაზი მამა“). გამოიყენებიან როგორც მიმართვის ფორმებად, ისე საზოგადო არსებით სახელებად (საალერსო მნიშვნელობით). ხუნძურში პირველ კომპონენტად გვევლინება ზედსართავი სახელი **დაჰალ/-აჟ,-ამ,-აბ/**, რომლის ფუძეც უნდა უკავშირდებოდეს არსებით სახელს **დაჰა** „ლამაზი ყვავილი“.

ხუნძ. **დაცაი** „ძია“ (საალერსო სახელი მშობლის ძმისა. ამგვარადვე მიმართავენ ხოლმე უმცროსები ასაკით თავისზე უფროს მამაკაცებს) : ლაკ. **ბუთაუსუ** „ბიძა“, „ძია“ (← ბუთა-ლ „მამის“, ნათ. ბრუნვის ფორმა სიტყვისა ფუ „მამა“ + უსუ „ძმა“).

ხუნძური **დაცაი** სიტყვის ეტიმოლოგიის გამორკვევა არ არის რთული. იგი დაიშლება ასე: და-ცაი. თითოეული ამ ელემენტის წარმომავლობა ნათელია: **და-** მომდინარეობს ფუძისაგან **დადა** „მამა, მამილო“, ხოლო ელემენტი **ცაი-** – ფუძისაგან **ჴაცა** „ძმა“ (← ჴ-ა-ცაი). მთლიანად სიტყვა **დაცაი** წარმოდგარია შესიტყვებისგან ***დადალ ჴაცაი**, ზედმიწ. „მამის ძმა“, რომელიც ჯერ გაკომპოზიტდა, ხოლო შემდგომ შეიკუმშა ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე. აღსანიშნავია, რომ ხუნძური ენის დიალექტებში მოიპოვება შესიტყვების ამგვარივე შეკუმშვით მიღებული სხვა სიტყვებიც, მაგ., **ჴედე** „პაპა, ბაბუა“ (ანწუხური დიალექტის ტოხურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში) ← **ჴერა დედე**, ზედმიწ. „მოხუცი მამა“; შდრ. **ჴადა** „id.“ (ამავე დიალექტის ანწროს-უნჴადურ კილოკავში); ანწუხ. **ჴაბა** „ბებია“ (ანწროს-უნჴადურ კილოკავში), **ჴება** „id.“ (ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში) ← **ჴერა ბაბა**, ზედმიწ. „მოხუცი დედა“, შდრ. ქართ. **დიდედა...** სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) აღდგენილი ***დადალ ჴაცაი** (→ დაცაი „ძია“) არ არის მხოლოდ მოსაზრება, ასეთი ფორმები ფაქტობრივ დასტურდება სამხრულ დიალექტებში, მაგ., კომპოზიტები **დადაჴაცაი** „ბიძა“, ზედმიწ. „მამის ძმა“ (ანწუხური დიალექტის ბოჴნოდურ კილოკავში), **დედელჴაცა//დელჴაცა** „id.“ (კახეთში მოსახლე ანწუხელთა მეტყველებაში) და სხვა.

სამხრული ხუნძურის ზოგ კილოკავ-თქმაში მარტოდენ ჴაცო ფუძეც გამოიყენება „ბიძის“ სახელწოდებად; მაგალითად, – ყარახული დიალექტის რისიზულ კილოკავში, ხოლო ამავე დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში „ბიძის“ მნიშვნელობით ითქმის ჴუცი. მიზეზი ის არის, რომ შესიტყვება „მამის ძმა“ (ან „დედის ძმა“) ხსენებულ კილოკავებში გამარტივებულია სუბსტანტიური მსაზღვრელის („მამის“, „დედის“) ჩავარდნით. საკუთრივ „ძმის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან ამ კილოკავებში ჴაცო („ბიძა“) ფუძეს განასხვავებს ბოლოკიდური **ი**, რომელიც ამაჟამად საერთოდ დაკარგული აქვს საკუთრივ „ძმის“ (აგრეთვე „დის“) აღმნიშვნელ ფუძეს ხუნძური ენის ყველა დიალექტსა და კილოკავ-თქმაში (ხუნძ. ჴაცო „ძმა“, აცო „და“; შდრ. ბოთლიხ., ლოდოზ., კარატ., ტინდ., ახვახ. ჴაცო**ი**, აცო**ი**; ანდ. ჴოცო**ი**, ზოცო**ი** „ძმა“, „და“), მაგრამ „ბიძის“ („მშობლის ძმის“) სახელწოდებებში იგი შემონახულია.

დაცო („ძია“) სიტყვასთან დაკავშირებით საინტერესოა, აგრეთვე, მისგან მიღებული საალერსო მიმართვის ფორმა **დაცილ**, ზედმიწ. „ბიძისავ“ (წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას სიტყვისა **დაცო**). ასე მიმართავს ბიძა თავის ძმისშვილებს, აგრეთვე, – უფროსი მამაკაცი ასაკით თავისზე უმცროსებს. ანალოგიურია ფორმა **დადალ**, ზედმიწ. „მამისავ“ (ნათ. ბრუნვის ფორმა სიტყვისა **დადა** „მამილო“), რომელიც წარმოადგენს საალერსო მიმართვას შვილისადმი. ¹მიმართვის ფორმად გამოიყენება, აგრეთვე, **ბაზალ** (ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა **ბაზა** „დედილო“), მაგ., **ბაზალ ხაზინა**, ზედმიწ. „დედის საგანძურო!“; **ბაზალ მუჰამა** „დედიკოს ბიჭი“ (ირონიით), ზედმიწ. „დედიკოს მუჰამადი“².

¹ აღსანიშნავია. აგრეთვე, დიალექტური ფორმები **დადალა** „ბეზია“ (მამის დედა), ზედმიწ. „მამისაჲ“; **ბაზალა** „ბეზია“ (დედის დედა), ზედმიწ. „დედისაჲ“. ეს სიტყვები ასევე ნაწარმოებია ნათესაობითი ბრუნვის ფორმათაგან, II კლასის (ქალის) - **აი** სუფიქსის დართვით.

² აქ საინტერესოა, რომ ანთროპონიმი **მუჰამა** „მუჰამადი“ განზოგადებულია და სწორედ ეს სახელი ხუნძურში გავრცელებულია საკუთარი ბავშვის (ბიჭის) საალერსო ფორმადაც; მაგ., ერთ-ერთ აკუნის სიმღერაში ვკითხულობთ:

| | |
|------------------------|-----------------------------|
| ჭალი ჳამე, ბოჰოლო, | „ალი მოიტაცე, ბუა, |
| დირ მუჰამად ტეელარო. | ჩემ მუჰამადს არ მოგცემ, |
| ფატი ჳამე, ჳამალო, | ფატი მოიტაცე, ტაციავ, |
| დირ ხირად დუჲ ტეელარო. | ჩემ ძვირფასს შენ არ მოგცემ“ |

(ოქროს მარცვლები 1985: 23).

როგორც ვხედავთ, საკუთარი ბავშვისათვის გამოყენებულია სახელი **მუჰამად**, ხოლო სხვისი (უცხო) ბავშვისათვის ხმარებულია სხვა ანთროპონიმები (ჭალი, ფატი).

4) ყოფა-ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობები,
მორალი, რელიგია

ქართ. **კარის მეზობელი, კარის მეზობლები** : ხუნძ. **მადუჰალ-ყედ** „მეზობლები“, „მეზობლობა“ (მრ. რ., კრებ.) (← მადუჰალ „მეზობელი“ + ყედ „კედელი“).

აღნიშნული კომპოზიციის ანალოგიურადაა შედგენილი ხუნძურში კრებითი მნიშვნელობის მქონე შეერთებითი კომპოზიციებიც **ტინჰ-ყედ** „ბავშვები“, „ნაშიერები“ (← ტინჰ „ნაშიერი“ + ყედ „კედელი“), **ჰინჰ-ყედ** „გარეული ფრინველები“ (← ჰინჰ „ჩიტი“, „ფრინველი“ + ყედ „კედელი“; შდრ. იმავე მნიშვნელობის სხვა კომპოზიტი ხუნძურშივე: **ღედუ-ჰინჰ**, ზედმიწ. „ყვავი-ჩიტი“), **ნოჯო-ყედ** „თავშესაფარი“ (← ნოჯო „გამოქვაბული“ + ყედ „კედელი“). ბოლო მაგალითის გარდა, არ არის ნათელი, თუ რა დანიშნულებისაა კომპონენტი **ყედ** („კედელი“) დასახელებულ კომპოზიციებში და რა ცნებას გამოხატავს იგი. „მეზობლების“ აღმნიშვნელ **მადუჰალ-ყედ** კომპოზიტი (ზედმიწ. „მეზობელი-კედელი“) შესაძლებელია „კედელი“ იმავე მნიშვნელობისა იყოს, რაც ქართულში აქვს **კარ-ი** სიტყვას: **კარის მეზობე ლი**.

ხუნძ. **აჰჟალ-ჰალ** „მდგომარეობა“, „ვითარება“, „ყოფა-ცხოვრება“ (← აჰჟალ „მდგომარეობა“, „ვითარება“, „ყოფა-ცხოვრება“ + ჰალ „ძალა“, „შეძლება“): ლაკ. **აჰვალ-ჰალ** „id.“

კომპოზიციებში შემავალი ორივე ეს სიტყვა ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

ხუნძ. **რუჟა-რაჯინ** „ყოფა-ცხოვრება“, ზედმიწ. „ყოფნა-ადგომა“ (← რ-უ-კ- სუბსტანტივად ქცეული მასდარი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-უ-კ-ი-ნე „ყოფნა“ + რ-ა-ჯ-ი-ნ სუბსტანტივად ქცეული მასდარი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-ჯ-ი-ნე „ადგომა“): ლაკ. **ბიზუ-ბიკუ** „id.“, ზედმიწ. „ადგომა-ყოფნა“ (← გასუბსტ. ფორმა ზმნისა ბ-ი-ზ-ან „ადგომა“ + გასუბსტ. ფორმა ზმნისა ბ-ი-კ-ან „ყოფნა“). პარალელურად ლაკურში მოიპოვება, აგრეთვე, კომპოზიტი **ბაჰუ-ბიზუ** „ყოფა-ცხოვრება“, ზედმიწ. „არსებობა-ადგომა“.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 62; აბდულაევი 2015: 50).

ხუნძ. **ჭადლუ-დივან** „მართლწესრიგი“, „სამართლიანობა“ (← ჭადლუ „წესრიგი“, „დისციპლინა“ + დივან „სასამართლო“) : ლაკ. **აღლუ-დივან** „id.“

კომპოზიტივში შემავალი ორივე ეს სიტყვა ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

ხუნძ. **ჭადლუ-ნიზამ** „წესრიგი“, „მართლწესრიგი“ (← ჭადლუ „წესრიგი“, „დისციპლინა“ + ნიზამ „წესწყობილება“, „რეჟიმი“) : ლაკ. **აღლუ-ნიზამ** „id.“ (აღლუ „სამართლიანობა“, „მართლმსაჯულება“ + ნიზამ „დისციპლინა“, „მართლწესრიგი“, „წესწყობილება“, „რეჟიმი“).

კომპოზიტივში შემავალი ორივე ეს სიტყვა ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

ხუნძ. **ყულჰუ-ალჰამ** „სულის მოსახსენიებელი ლოცვები“ : ლაკ. **ყულჰუ-ალჰამ** „id.“.

ორივე კომპონენტი ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან, წარმოადგენენ სახელწოდებებს ყურანის სურებისა, რომელთაც კითხულობენ მიცვალებულის დაკრძალვის წესის აღსრულებისას.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 75; აბდულაევი 2015: 61).

ქართ. **ღირსება** და **ნამუსი** : ხუნძ. **იაჰ-ნამუს** „პატიოსნება“, „ღირსება“, „წესიერება“ (← იაჰ „პატიოსნება“, „ღირსება“, „მოთმინება“ + ნამუს „ნამუსი“) : ლაკ. **იაჰ-ნამუს** „id.“

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 95, აბდულაევი 2015: 78).

ხუნძ. **ლად-თარჯან** „გათავისუფლებული მონა“, „აზატი“ (← ლად „მონა“ + თარჯან „აზატი“) : ლაკ. **ლად-თარჯან** „id.“

ი. აბდულაევის განმარტებით, „ტერმინი ორსავე ენაში შეიძლება ზოდა წარმოქმნილიყო, მაგრამ მისი გავრცელება ხუნძურის დიალექტებსა (სალათაურში) და რიგ ანდიურ ენებში გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი ხუნძურში გაჩნდა და იქიდან შევიდა სხვა ენებში, მათ შორის

ლაკურშიც. ფუძე **თარჯან-**, რომელიც წარმოადგენს ხუნძურ-ლაკურ იზოგლოსას, თავდაპირველად ნიშნავდა „მონების ფენისაგან გათავისუფლებულ, გააზატებულ ადამიანს“ და დაღესტანში მისი გაჩენა დაკავშირებულია საქართველო-დაღესტნის ურთიერთობებთან. ამ ტერმინმა დაღესტანში შეაღწია ქართულიდან, როგორც ჩანს, ლეკიანობის ეპოქაში XV-XVIII სს. ქართულ ენაში თარხანი ცნობილია უკვე XIV საუკუნიდან და წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (XVII ს. – XVIII ს.-ის დასაწყისი). მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მკვლევარი მას თურქიზმად მიიჩნევს (მაგრამ ვ. აბაევი მას ძველ ირანიზმად თვლის), დაღესტანში (ხუნძურსა და ლაკურში), იგი შეიძლება მხოლოდ საქართველოდან შემოსულიყო, ხოლო სემანტიკის მხრივ („გათავისუფლებული მონა“) ხუნძ.-ლაკ. სიტყვა **თარჯან** (უფრო ზუსტად – **ლალ-თარჯან**) წარმოადგენს ზუსტ შესატყვისს ქართული **თარხანი**-სა . ამგვარი ტერმინის გავრცელება სწორედ ხუნძურსა და ლაკურში განპირობებულია იმით, რომ საქართველოზე თავდასხმა-თარეშებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ ხუნძახისა და ლაზი-ლუმუქის მმართველები, ე.ი. ხუნძები და ლაკები. **ლალ-თარჯან** („გათავისუფლებული მონა“) ტერმინის გაჩენა ხუნძურსა და ლაკურში დაკავშირებულია საქართველოზე თავდასხმისას ხელში ჩაგდებული ტყვეების (მონების) გათავისუფლების (ან გამოსყიდვის) პროცესებთან. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ხუნძური გამოთქმა **ლალ თარჯანა** „მონა გაათავისუფლეს“ (ხუნძურ-რუსულ ლექსიკონში), რომელშიც ფინიტურ ზმნადაა წარმოდგენილი ნამყო დროის **-ანა** სუფიქსით, მიღებული ზმნისაგან *თარჯ-ი-ზე „გათავისუფლება“, ე.ი. ფუძისაგან (ლალ)-**თარჯან(ა)** „გამოყვანილ იქნა“ ზმნა ინფინიტივის ფორმით თარჯ-ი-ზე „გათავისუფლება“ და ხუნძური ზმნური ლექსიკონი გამდიდრდა ახალი ლექსიკური ერთეულით, ინფინიტივის სახით; ლაკურ ენაში კი **ლალ-თარჯან** ტერმინის საფუძველზე წარმოიქმნა სხვა ტერმინი – **თარჯან-მაჩალავ** (ან **მაჩალავ**) „(გათავისუფლებული) მონანათესავი“, ვისაც ჰქონდა საკუთრების გარკვეული უფლებები და მოვალეობები და როგორღაც გათანასწორებული იყო ნათესავებთან (ა. ყადაევი, ლექსიკონი, გვ. 313). **მაჩალავ** სიტყვას საფუძველად უდევს ლაკ. **მაჩა-** „ნათესაური“, რომლისგანაც **-ლავ** (ხუნძურიდან შემოსული) სუფიქსით ნაწარმოებია არსებითი სახელი, გენეტიური კუთვნილების შერქმეულ სახელთა ტიპის მიხედვით, რომელიც **თარჯან**-ს („გათავისუფლებული, თავისუფალი“) დაერთო. აღსანიშნავია, რომ სხვა დაღესტნურ და ჩრდილოკავკასიურ ენებში ტერმინი **თარჯან** ასეთი სემანტიკით არ მოიპოვება. დარგული **თალჯან** „მმართველი, ხე-

ლისუფალი, თავადი“ და ოსური **თარხონ** „სასამართლო“ უკავშირდება ბულგარულ-ხაზარულ გავლენას, თუმცა ისინიც, როგორც ძველი რუსული Тарханы, საბოლოო ჯამში გამომდინარეობენ ერთი ამოსავალი ვარიანტიდან“ (აბდულაევი 2013: 76-78, აბდულაევი 2015: 62-63; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

ხუნძ. **ლაჰმაჰარი** „დროებითი ფიქტიური ქორწინება ვინმესთან, რათა ქალს შეძლებოდა კვლავ დაბრუნებოდა ქმარს, რომელთანაც გაყრილი იყო“ : ლაკ. **ლაჰმაჰარ** „id.“ : დარგ. **რუჰმაჰარ** „id.“

ი. აბდულაევის განმარტებით, გამჭვირვალე სემანტიკის მქონე ლაკური **ლაჰმაჰარ** (← ლაჰ „გარდამავალი“, „промежуточный“ + მაჰარ „ქორწინება“) ხუნძურ ენაში შევიდა და აქ იგი გადააზრიანებულ იქნა ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე როგორც „შავი ქორწინება“, შდრ. ხუნძ. **ლაჰ** „ჭვარტლი“ (ვითომცდა „ჭვარტლივით შავი ქორწინება“). დარგული **რუჰმაჰარ** განუყოფელია ლაკური და ხუნძური ფორმები-საგან (აბდულაევი 2013: 79, აბდულაევი 2015: 64-65).

ხუნძ. **ლაჰმოწა** „სამთვიანი მარხვა (ეს სამი თვეა ისლამში: რაჯაბ, შაბან, რამაზან)“ (← ლაჰ- „სამი“ + მოწა „თვე“, „მთვარე“) : ლაკ. **შან-ბარზ(რუ)** „id.“ (← შან- „სამი“ + ბარზ „თვე“, „მთვარე“; მრ. რ. ბარზრუ).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 76).

ქართ. **სახელდება** „სახელწოდება“, „სახელის დარქმევა“ (ქეგლ) : ხუნძ. **წარ ლ'ეზე** „სახელის დარქმევა“ (წარ „სახელი“ + ლ'ეზე „დადება“) : ლაკ. **წა რიშუნ** „სახელის დარქმევა“ (წა „სახელი“ + რიშუნ „დადგმა“, „ჩასობა“).

მკვლევართა მიერ აღნიშნულია, რომ კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფში (ქართველურში, აფხაზურ-ადიღურში, ნახურ-დაღესტნურში) „სახელის დარქმევის“ მნიშვნელობით ფართოდ არის გავრცელებული საერთო ფრაზეოლოგიური მოდელი „სახელი + დადება“; მაგ., ძვ. ქართ. **სახელის დებაი** („დასდვა მას სახელი იორდანე“), მეგრ. **სახელი-ში გედვალა**, ლაზ. **ჯოხოში გედვალუ**, სვან. **ყახე ლიდქსგ** (პარალელურად იხმარება უფრო გავრცელებული **ლი-ყხინ-ე** „დარქმევა“). ქართველურ ენათა ეს ფრაზეოლოგიზმი სტრუქტურითაც და სემანტიკითაც სავსებით ემთხვევა სათანადო ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ენებში; მაგ., აფხ. **ანგმ-წა-რა** „სა-

ხელის დარქმევა“, ზედმიწ. „სახელის დადება“; მსგავსადვე: ადილ. **წაჭაშენ**, ჩეჩნ. **წე თილლან**, ხუნძ. **წარ ლეზე**, ბეჟიტ. **წა გილალ**, ხინალ. **წუგაში**, უდ. **წი ლაქსუნ** (კლიმოვი, ხაიდაყოვი, შაგიროვი 1978: 26).

კონკრეტული მაგალითისათვის მოვიხმოთ ხუნძური ენა. აქ „სახელის დარქმევის“ აღსანიშნავად ჩვეულებრივ გამოიყენება ფრაზეოლოგიური შესიტყვება **წარ ლეზე**, ზედმიწ. „სახელის დადება“.

ხუნძ. **დუდა წარ შიბ** „რა გქვია?“, ზედმიწ. „შენზე სახელი რა [არის]?“ – ამ წინადადებაში ნაცვალსახელი „შენ“ (ხუნძ. **მუნ**) გვევლინება I სერიის ადგილობრითი ბრუნვის ფორმით (**დუ-და** „შენზე“), რასაც იმპლიციტურად განაპირობებს სწორედ „დადების“ აღმნიშვნელი ზმნა **ლეზე**. უფრო სრული სახე ამ წინადადებისა იქნებოდა ასეთი: **დუდა [ლურაბ] წარ შიბ [ბუგებ] „შენზე [დადებული] სახელი რა [არის]?“**. ასევე იქნება სხვა წინადადებებშიც, მაგ., **დიდა წარ ბუგო ჭუმარ** „მე მქვია უმარი“, ზედმიწ. „ჩემზე სახელი არის უმარი“ (**დუნ** „მე“, მაგრამ **დი-და** „ჩემზე“). სრული სახით: **დიდა [ლურაბ] წარ ბუგო ჭუმარ „ჩემზე [დადებული] სახელი არის უმარი“**.

ამრიგად, ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია შესიტყვებები **სახელის დება** „სახელის შერქმევა“, **სახელ-დება** „წოდება“, „სახელის დარქმევა“; აგრეთვე, კომპოზიტები: **სახელდებული** „წოდებული“, **სახელდებულება-ა** „სახელის შერქმევა“, **სახელისმდებელ-ი** „სახელის შემრქმევი“ (სარჯველაძე 2001: 507). თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც არის შემონახული კომპოზიტი **სახელდება**, თუმცა იგი უპირატესად წარმოადგენს მეცნიერებაში (ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია) ხმარებულ ტერმინს (შეესატყვისება ლათინურ ტერმინს *nominatio*) და არ არის გავრცელებული ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში. ამავე შესიტყვებიდან (**სახელის დება**) არის დარჩენილი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უდეტერი **სახელ-დ-ობრ** (იხმარება უპირატესად წიგნურ მეტყველებაში).

ქართული ენის მთის კილოებში გვხვდება შესიტყვება **სახელის დადება** (/ **სახელის დება**), ოღონდ არსებითი თავისებურება ისაა, რომ მთის კილოებში ამ შესიტყვებას მოეპოვება სარიტუალო დანიშნულება, კერძოდ, დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან; მაგ., ხევსურულში მისი მნიშვნელობაა „მიცვალებულისთვის სუფრის დალოცვა“; ფშ. **სახელის შადება** „id.“, ხევს. **სახელის დამდებელ** „ი“ „შენდობის მთქმელი“, **სახელს დაზდებს** „მიცვალებულის სულის მოსახსენებლად აკურთხებს“, **სახელს დაუდებს** „სუფრას (სასმისს) დალოცავს (მიცვალებულისათვის)“. ამ შესიტყვებისაგან მთის კილოებში ნაწარმოებია

კომპოზიციებიც: **სახელდაუდებ¹ელ¹**ი „ვისაც სუფრა არ დაულოცეს“, **სახელსადები** „მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ნამცხვარი“, **სახელდებობა** „მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღე“ და სხვ. (ვაჟა-ფშაველა 1964:15, ბალიაური, მაკალათია 1940: 38, 54, 57; ოჩიაური 1980: 22, 23, 38, 53, 64, 65, 158; შანიძე 1984: 399, მაკალათია 1984: 200-202, მაკალათია 1985: 167, ბოძაშვილი 1988: 86, ჭინჭარაული 2005, ხორნაული 2000, გოგატიშვილი 2006: 224).

როგორც ვხედავთ, მთის დიალექტებში არსებული ამ შესიტყვეების სემანტიკა საგრძნობლად განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რაც ვნახეთ ძველ ქართულსა და დანარჩენ ქართველურ, აგრეთვე, სხვა კავკასიურ ენებში. სავარაუდოდ, მთის კილოებში უნდა მომხდარიყო საკრალიზაცია ამ შესიტყვეებისა, რამდენადაც იგი რეგულარულად იხმარებოდა რიტუალის შესრულებისას, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით, და ამას თანდათანობით უნდა გამოეწვია სემანტიკური გადახრა. სავარაუდოდ, მნიშვნელობის განვითარება შეიძლებოდა მომხდარიყო, ალბათ, ასეთი თანმიმდევრობით:

„სახელის დარქმევა“ → „სახელის ხსენება“ → „სახელის მოხსენიება“ → „მიცვალებულის სახელის მოხსენიება“¹ / „მიცვალებულის სულის მოხსენიება“ → „მიცვალებულის სახელზე ტაბლის დადგმა“ → „მიცვალებულის სახელზე დადგმული ტაბლის („სუფრის“) დალოცვა“².

თვითონ სახელის დარქმევა მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში) გამოიხატება ზმნით **დაქვივნება**: ხევს. „ის არვის არ დაანებებსაჲ ამ ვაჟისად **სახელის დაქვივნებასაჲ**“ (ოჩიაური 1980 22; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.); **ქვივნებულა**, **ქვივნილა** „რქმევია“, „ერქვა თურმე“ (ჭინჭარაული 2005); ფშ. **ქვივნილა** „რქმევია (სახელი)“ (ხორნაული 2000); შდრ. სალიტ. ქართ. **ჰ-ქვ-ი-ა**, **ე-რ-ქვ-ა**. ადამიანისათვის (ბავშვისთვის) სახელის დარქმევა მთაში თვითონაც რიტუალს წარმოადგენდა (იხ., მაგ., ოჩიაური 1980: 22-24, მაკალათია 1984: 186-188).

ხევსურულში აღსანიშნავია **სახელი** სიტყვასთან რეგულარულად გამოყენება სიტყვისა **სირცხვილი**. სიტყვათა ამ წყვილისაგან მიღებულია შეერთებითი კომპოზიტი **სახელ-სირცხვილი**. სალიტერატურო

¹ საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას განმარტება: „შასდებს სახელს“ ანუ მოიგონებს მკვდარს“ (ვაჟა-ფშაველა 1964).

² შდრ. ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“: ხევს. **სახელის დადება** „ტაბლის შანდობის თქმა მიცვალებულისად“, „ტაბლას სახელს დაზდებენ“ (ბესარიონ გაბუურის განმარტებები) (ა.შანიძე 1984).

ქართულში ხსენებულ სიტყვათა ამდაგვარი მიმართების ფაქტები არ შეინიშნება.

ხევს. „ს ი რ ც ხ ვ ი ლ ს ი რ ც ხ ვ ი ლ ა დ უ ნ და ი ც ვ ა ს, ს ა ხ ე ლ - ს ა ხ ე ლ ა დ“; „სიყვარულ სხვა შვილი ას, ბევრს დააცილ ს ა ხ ე ლ - ს ი რ ც ხ ვ ი ლ“; „მაიკვეთეთ ქალი. მაიშორეთ თავზეით მაგის ს ა - ხ ე ლ - ს ი რ ც ხ ვ ი ლ“; „ქალს ვიკვეთა, ვიშორებ თავზეით იმის ს ა - ხ ე ლ - ს ი რ ც ხ ვ ი ლ თ“; „ეეხლანდელეებ თხა-ვაცებივით არიან ერთუცს დარეულები, ს ა ხ ე ლ - ს ი რ ც ხ ვ ი ლ დაკარგულები“; „შენი-დ ჩემ ქალობა ერთვერ არ ას, უ ს ა ხ ე ლ ს ი რ ც ხ ვ ი ლ ო ო!“ (ბალიაური 1991: 47, 50, 92, 119, 159; ხაზგასმა ყველგან ჩემია – ლ.ა.).

ხუნძურ და ლაკურ ენებში „სახელის“ აღმნიშვნელი **წარ** (ხუნძ.), **წა** (ლაკ.) მონაწილეობს არაერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასა თუ გამოთქმაში; მაგალითად:

ხუნძ. **წარ ინე** „სახელის განთქმა“, ზედმიწ. „სახელის წასვლა“ (შდრ. ქართ. **სახელის გავარდნა**); **წარ არაჟ** „ცნობილი“, „გამოჩენილი“, ზედმიწ. „სახელ-წასული“; **წარ რაშიზე** „სახელის განთქმა“, „პოპულარობის მოპოვება“, ზედმიწ. „სახელის გაგონება“; **წარ რაშარაჟ** „სახელოვანი“, ზედმიწ. „სახელ-გაგონილი“; **წარ ბუკინე** „სახელგანთქმულობა“, „პოპულარობა“, ზედმიწ. „სახელის ქონა“; **წარ ბუგეჟ ჩი** „ცნობილი (ზედმიწ. „სახელის მქონე“) კაცი“; **წარ ბოსიზე** „სახელის მოხვეჭა“, ზედმიწ. „სახელის აღება“;

ლაკ. **წა დურქსა** „ცნობილი“, „გამოჩენილი“, ზედმიწ. „სახელ-გასული“; **წა ლარგსა** „id.“, ზედმიწ. „სახელ-წასული“ (შდრ. ხუნძ. **წარ არაჟ**); **წა ჰან** „სახელის განთქმა“, ზედმიწ. „სახელის წასვლა“ (შდრ. ხუნძ. **წარ ინე**); **წა დუქან** „id.“, ზედმიწ. „სახელის გასვლა“; **წა დან** „სახელის განთქმა“, „ქება დიდების შესხმა“, ზედმიწ. „სახელის ქმნა“; **წა უჟი** (/ ყუყინ) „სახელის შერცხვენა“, „სახელის გატეხა“, „ჩირქის მოცხება“, ზედმიწ. „სახელის ცუდად (/მდაბლად) ქმნა“...

ქართულ ენაში **სახელ-** სიტყვას „ცნობილის“, „პოპულარულის“ გარდა მოეპოვება, აგრეთვე, „ღირსების“ კონოტაცია: ქართ. **სახელოვანი**-ი („განთქმული“), მაგალითად, მნიშვნელობით არ არის სავსებით იდენტური ფორმისა **სახელ-**იანი-ი („ღირსეული რეპუტაციის მქონე“, „ავტორიტეტი“). მსგავს ვითარებას წარმოგვიდგენს ხუნძური ენა **წარ** („სახელი“) სიტყვასთან მიმართებით, რასაც პარემიოლოგიური მასალაც თვალნათლივ დაგვიმოწმებს:

ბორხათაბ მემერ რიკადასანგო ბინულა, ბაჰარჩიდასულ წარ ქიბეგო რაშულა „მაღალი მთა შორიდანვე ჩანს, ვაჟკაცის სახელი ყველ-

გან ისმის“; **დაღბაწალ ნაკე წოქო თოლებ, ბაჰარჩიდასა წარ თოლებ** „ლომი ტყავს ტოვებს, ვაჟკაცი სახელს ტოვებს“; **როს-რუყ აჟადან ჰაბი ლადულ ჰუნარ-წარ ჰქალებ** „ქმრეულთ სახლის სიკეთე და სიხარული ცოლის სიმარჯვე და სახელია“; **ქეშაჟ ჟასასა ინსულ წარ ხეზაბულა** „ცუდი ვაჟიშვილი მამის სახელს აფუჭებს“; **ცო ყადარაჟ ჩიდასა ბოდაგო ყადარაბ წარ ჰქალებ** „ერთი უვარგისი კაცი მთელ თემს უვარგისის სახელს უმკვიდრებს“ და სხვა (მაგალითები მოხმობილია ს. ალიხანოვისა და ზ. ალიხანოვის მიერ შედგენილი ანდაზების კრებულებიდან; იხ. ალიხანოვი 1974, ალიხანოვი ზ., ალიხანოვი ს. 2012). ლაკური ენის პარე-მიოლოგიური მასალა ამ თვალსაზრისით შესასწავლია.

ქართ. **მეტსახელი** : ხუნძ. **ტოკწარ** „მეტსახელი“ (← ტოკ- „ზედ-მეტი“ + წარ „სახელი“) : ლაკ. **ჩულიმწა** „id.“ (← ჩულიმ „გვერდულად“ + წა „სახელი“).

ხუნძ. **წარბერცინ**, ზედმიწ. „სახელლამაზი“; **წარლზიკ**, ზედმიწ. „სახელკარგი“ – მამაკაცის საკუთარი სახელები (← წარ „სახელი“ + ბერცინ- „ლამაზი“, ლზიკ „კარგი“) : ლაკ. **წახუმი**, ზედმიწ. „სახელკარგი“, „სახელლამაზი“ – მამაკაცის საკუთარი სახელი (← წა „სახელი“ + ხუმი- „კარგი“, „ლამაზი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, ეს ანთროპონიმები „სტრუქტურითა და მნიშვნელობით ემთხვევიან თურქ. (აზერბ.) სახელს **ადგგზხალ** (ადგ „სახელი“ + გზხელ „ლამაზი“) და შეიძლებოდა ლაკური და ხუნძური სახელები მიგვეჩნია აზერბაიჯანულის გავლენით, ე.ი. კალკირების გზით მიღებულად. მაგრამ ლაკურ და ხუნძურ სიტყვაწარმოებაში ცნობილია მოდელი „არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის მოკლე ფორმა“, გამოყენებული საკუთარ სახელთა, მეტსახელთა, თიკუნთა წარმოებისას (როგორცაა წახუმი და წარბერცინ, წარლზიკ). ასეთი სახელები წარმოიქმნებიან ხოლმე როგორც ცალკეულ პირთა მახასიათებლები მათი რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით, ცნობილნი არიან ვიწრო წრეში და ვერ ჰპოვებენ ფართო გავრცელებას (როგორც ჩანს, გამონაკლისია სახელები წახუმი, წარბერცინ, წარლზიკ). ლაკურ ენაში კომპოზიტის მეორე ელემენტად გამოყენებულია **ხუმი(სა)** მოკლე ფორმით, შდრ. **მარუ-ხუმი** „თვალე-ლამაზი“ – მეტსახელი ღუმუქში, **ამალ-ხუმი** „ზნე-ლამაზი“, **ტულ(ლუ)-ხუმი** „ჩვევებ-ლამაზი“, **ბაკ-ხუმი** „თავ-ლამაზი“ (ლამაზი ქალის ეპითეტი), **ჰანტი-ხუმი** „კულულ-ლამაზი“ (შდრ. ნასესხობაც თურქულ ენათაგან: **თუქ** „თმა“ – **თუქ(რუ)-ხუმი**

მნიშვნელობით „კულულებ-ლამაზი“, **ბუმი-ხუი** „სიარულ-ლამაზი“. გვხვდება, აგრეთვე, **ბაკ-ჟუნ** „თავ-დიდი“, **არცუ-ჭარუ** „ფულ-ბევრი“ (მეტსახელი ქალისა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დიდი ფული ირანში გარდაცვლილი ნათესავებისაგან XX ს.-ის 40-იან წლებში). ხუნძურ ენაში ასეთი წარმოება უფრო გავრცელებულია პრესაში და მას ყურადღება მიაქცია ა. ბოკარიოვა (ბოკარიოვი 1949: 154-155), შდრ. **ფერო-ხალათ** „კალამ-გრძელი“ (ფსევდონიმი გაზეთებში), **ჭამალ-ბერცინ** „ზნე-ლამაზი“, **ბერ-ჭეჭერ** „თვალ-შავი“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ასეთ კომპოზიციტა შორის ორსავე ენაში გვხვდება სავსებით იდენტურებიც: ლაკ. **ამალ-ხუი** – ხუნძ. **ჭამალ-ბერცინ** („ზნე-ლამაზი“). ლაკ. **მარუ-ხუი** – ხუნძ. **ბერალ-ბერცინ** („თვალეზ-ლამაზი“), ლაკ. **ბუმი-ხუი** – ხუნძ. **რილ-ბერცინ** („სიარულ-ლამაზი“) (აბდულაევი 2013: 90-91, აბდულაევი 2015: 74; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

5) ხელობა, პროფესია

ხუნძ. **ჰალტი-ფიმა** „პროფესია“, „საქმიანობა“, „ხელობა“ (← ჰალტი „სამუშაო“ + ფიმა „პროფესია“, „ხელობა“) : ლაკ. **ჰალტი-ფიმა** „საქმიანობა/ხელობა/პროფესია/სამუშაო, დაკავშირებული საშოვრის საძიებლად სამუშაოდ სხვაგან წასვლასთან“ (← ჰალტი „გარესამუშაო“ + ფიმა „პროფესია“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

ზმნა **ჰალტი** ლაკურში საყურადღებოა იმით, რომ მისი მნიშვნელობა ასახავს ლაკებში ძველად ფართოდ გავრცელებულ საქმიანობას – საშოვრის საძიებლად უცხო მხარეში სამუშაოდ წასვლას (ხშირად სხვადასხვა ქვეყნებშიც), რაც ხუნძებისათვის ასერიგად არ ყოფილა დამახასიათებელი.

ხუნძ. **ჭაჩი-ჟენ** „მენახირე“, „მეჯოგე“ (← ჭაჩი „ძროხები“ + ჟენ „მწყემსი“) : ლაკ. **ჟულლაჰუხჩუ** „id.“ (← ჟულლა- „ძროხების“ + ჰუხჩუ „მწყემსი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 84, აბდულაევი 2015: 69).

ხუნძ. **შიდა-ჟენ** „მეცხვარე“ (← ში-მ-ა-ლ ნათ. ბრუნვის ფორმა სიტყვისა ში „ცხვარი“ [კრებითი მნიშვნელობით] + ჟენ „მწყემსი“) : ლაკ.

აათიჰუხჩუ „id.“ (← აათი-ი-ლ ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა აათი(უ) „ცხვარი“ [კრებითი მნიშვნელობით] + ჰუხჩუ „მწყემსი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 95, აბდულაევი 2015: 78).

6) ფაუნა

ქართ. **ცხვარ-ბატკანი** : ხუნძ. **ტეჰერ-ჰი** (← ტეჰერ „ბატკანი“, „კრავი“ + ჰი „ცხვრები“).

ქართ. (დიალ.) **ცხვარ-საქონელი** : ხუნძ. **ჰი-ბოწი** „შინაური რქოსანი პირუტყვი“ (კრებითად) (← ჰი „ცხვარი“ [კრებითი მნიშვნელობით] + ბოწი „საქონელი“) : ლაკ. **აათუ-ლათარა** „id.“ (← აათუ „ცხვარი“ [კრებითი მნიშვნელობით] + ლათარა „საქონელი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 95, აბდულაევი 2015: 78).

ხუნძ. **ჰაქა-ბეჩე** „შინაური პირუტყვი“ (← ჰაქა „ძროხა“ + ბეჩე „ხბო“) : ლაკ. **ჰულ-ყუნჩა** „id.“ (← ჰულ „ძროხა“ + ყუნჩა „ხბო“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 84, აბდულაევი 2015: 69).

ქართულში მოიპოვება **ფური** და **ხბო** სიტყვათაგან შედგენილი თავისებური კომპოზიტები ფშაურ დიალექტში, რომლებიც საინტერესოა სემანტიკური თვალსაზრისით : „**ფურ-ჭბუები** – 1. ძროხები და ხბორები ერთურთში დარეული, ერთად მყოფნი; 2. გადატ. ქალები და ბავშვები, დედა-შვილები“. აგრეთვე: „**ფურ-ჭბუანი** – ქეიფის დროს მაგიდასთან მსხდომთათვის შეწყვილებული დიდი და პატარა ჭიქები: დიდი – ლუდისათვის, პატარა – არყისათვის. არყით სადღეგრძელოს იტყვიან, „ლუდითაცაო“ – დააყოლებენ“ (ხორნაული 2000: 241, გოგატიშვილი 2006: 167).

ხუნძ. **ჰამა-ჩუ** „მეურნეობისა და მგზავრობა-გადაადგილებისათვის საჭირო შინაური პირუტყვი“ (კრებითად) (← ჰამა „ვირი“ + ჩუ „ცხენი“) : ლაკ. **თუქუ-ჩუ** „id.“ (← თუქუ „ვირი“ + ჩუ „ცხენი“) : დარგ. **ურჩი-ემჰე** „id.“ (← ურჩი „ცხენი“ + ემჰე „ვირი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 86, აბდულაევი 2015: 37, 70).

ხუნძურ ენაში სიტყვა **ჰამა** („ვირი“) გვხვდება, აგრეთვე, კრებითი შინაარსის შეერთებით კომპოზიტებში **ჰამა-ნჷანი** (← ჰამა „ვირი“ + ნჷანი „ცხენები“), **ჰაქა-ჰამა** „შინაური პირუტყვი“ (← ჰაქა „ძროხა“ + ჰამა „ვირი“).

ქართ. **ცხენ-კაცი** („ცხენი და კაცი“) : ხუნძ. **ჩიგი ჩუგი** „კაცი და ცხენი“.

„ვეფხისტყაოსანში“ შეერთებითი კომპოზიტის სახით გვხვდება **ცხენ-კაცი** („ცხენი და კაცი“):

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ც ხ ე ნ - კ ა ც ი ს ა დავდგი გორი.

შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: „**ცხენ-კაცი-ი** (ცხენ-კაცისა) 1. ცხენი და კაცი. *შუაზე გაჭრა ცხენ-კაცი, შამშს კოცნის ხმლისა წვერია (ვაჟა)*. 2. **მითოლ.** იგივეა, რაც კენტავრი“. განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია, აგრეთვე კომპოზიტური ზმნისართი **ცხენიან-კაციანად**.

ხუნძურ ენაში ანალოგიური კომპოზიტი არ დასტურდება, მაგრამ საყურადღებო მოვლენაა რეგულარულად ხმარება სიტყვებისა **ჩი** („კაცი“) და **ჩუ** („ცხენი“) ერთმანეთის გვერდით, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა, მაგალითად, პარემიებში:

ჩ ი ლაღა რაჟუდასჷან, ჩ უ ლაღა რიღადასჷან „კ ა ც ი იცნობა სიტყვით, ც ხ ე ნ ი იცნობა სვლით“;

ჩ ი ჴუხუგე – მაღჷ, ჩ უ ბუხუგე – კალწი ბად „კ ა ც ი არ გალახო – ასწავლე, ც ხ ე ნ ი არ გალახო – საკვები დაუყარე“;

ჩ ი ჴიხუნ ქჷენ ტჷურალ, ჩ უ ბიხუნ ხერ ტჷურალ „კ ა ც ს ნახავენ საქმელს აძლევენ, ც ხ ე ნ ს ნახავენ თივას აძლევენ“;

ლიკაჷ ჩ ი დ ა ს ო ე ცო რაჟი, ლიკაბ ჩო დ უ დ ე ცო წაღ „კარგი კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს ერთი სიტყვა [საკმარისია], კარგი ც ხ ე ნ ი ს ა - თ ვ ი ს მათრახის ერთი გადაკვრა[საკმარისია]“;

მაღარუნ ჩ ი ლჷუჴუნარეჷ, ბუხუნ ჰამიღ ჩ უ ლჷუჴუნარეზ „ჴკუის სწავლებით კ ა ც ი არ გამოვიდა, ცემით ვირისაგან ც ხ ე ნ ი არ გამოვიდა“;

რეტელ ბიხუნ – ჩ ი , ჩ უ ბიხუნ – ბაჰარჩი „ტანისამოსს დაინახავ – კ ა ც ი („ადამიანი“), ც ხ ე ნ ს დაინახავ – ვაჟკაცი“;

აჴლულჷუნ ჴეჴეჷ ჩ ი ბეტერლჷნგი თოგე, ჴუნარ ჴეჴეზ ჩ უ რეკუნ ჩაბჴადგი უნგე „უთვისტომო კ ა ც ს მეთაურად ნუ დააყენებ, უუ-ნარო ც ხ ე ნ ზ ე ამხედრებული სათარემოდ ნუ წახვალ“;

უნიჭოგო ჩიგი ლალარო, რეკინჭოგო ჩუგი ლალარო „უნა-
ხვად კაცს ვერ გაიცნობ, თუ არ შეჯექი ცხენს ვერ გაიცნობ“;

ღალატ ქოლარეუ ჩი უუკუნარეუ, მალ კუტულარებ ჩუ ბუკუნა-
რებ „უმეცდომო კაცი არ არსებობს, ფლოქვის დაურტყმელი ცხე-
ნი არ არსებობს“;

ჩუგი ჭუჭოგო, ჩიგი ჭუჭოგო ჯალა ბაჯულარებ „ცხენი
თუ არ მოიკლა, კაცი თუ არ მოიკლა ციხე არ აიღება“;

ჩუ ბერცინ ჰაბულა ტილიდალ, ჩი ბერცინ ჰავულა ზაჰმათალ
„ცხენს ალამაზებს უნაგირი, კაცს ალამაზებს შრომა“;

ჩუ ლალა ტოლოტეე ქედალ, ჩი ლალა ტალდე ქედალ
„ცხენი შეიცნობა აღვირის ქვეშ რომ მოხვდება, კაცი შეიცნობა
ბრძოლაში რომ მოხვდება“;

ფურდადალ – ჩუ, იშალ – ჩი „იორღობით – ცხენი, საქმით –
კაცი“;

ჭადან რეკინჭებ ჩუგი ჩი კალაჭედ მასგი რუკუნარელ „ადამი-
ანი რომ არ ამხედრებულა [ისეთი] ცხენი და კაცს რო არ დალაჰა-
რაკებია [ისეთი] გოგო არ არსებობენ“;

ტარალანი ჩუგი ლიკაბ, ბეჩელანი ჩიგი ლიკაბ „თუ გასუქდა
ცხენი ცკარგია, თუ გამდიდრდა კაცი ცკარგია“;

ჩანგით ბარაბშინაბ ჩუ ბუკუნარო, ჩუჯა რეტანშინაუ ჩი უუკუ-
ნარო „ავშარა დადებული ყველა ცხენი არ არის ხოლმე, ჩოხით
შემოსილი ყველა კაცი არ არის ხოლმე“;

ჭაუუუ მაჩე ჩი მადე ინჭედ, ჩუ ბოსე ჩი მაცა რეკინჭებ „ქა-
ლი მოიყვანე კაცთან არ წასული („გაუთხოვარი“), ცხენი იყიდე
[მასზე ჯერ] კაცი არ ამხედრებული“ და სხვ. (მაგალითები მოხმობი-
ლია ს. ალიხანოვისა და ზ. ალიხანოვის მიერ შედგენილი ანდაზების
კრებულებიდან; იხ. ალიხანოვი 1974, ალიხანოვი ზ., ალიხანოვი ს.
2012).

„კაცი“ და „ცხენი“ სიტყვების ერთმანეთის გვერდით ასე რეგუ-
ლარულად გამოყენება ანდაზებში, როგორც ჩანს, გარკვეულწილად
ეფუძნება ალიტერაციას – სიტყვათა ფონეტიკურ მსგავსებას (ჩი „კაცი“
// ჩუ „ცხენი“).

ქართულ ენაში კომპოზიტი **ცხენ-კაცი** გამოყენების მხრივ არაპ-
როდუქტიული ჩანს. ხევსურულ დიალექტში მოიპოვება **ცხენ-მწე-
დარ[ნი]**, **ცხენ-მწედრები**. საინტერესო კომპოზიტია ხევსურულშივე
ცხენკა „კარგი ცხენის პატრონი“ (← ცხენ-კარგი) (ჭინჭარაული 2005).

ხევსურულისათვის სპეციფიკურ კომპოზიტს წარმოადგენს **ცხენ-დოღ[ვ]ი** („ცხენი და დოღი“). განსხვავებით სალიტერატურო ქართულისაგან, რომელშიც **დოღი** ნიშნავს „ცხენების შეჯიბრს“, ხევსურულში **ცხენ-დოღი** სარიტუალო მნიშვნელობითაც იხმარება, კერძოდ, დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან; მაგ., „ხევსურეთში არის ასეთი წესი, რომლის მიხედვითაც ყველა მოკეთეს ევალება მიცვალებულის დასატირებლად წასვლა მისი სიკვდილის გაგებისთანავე. თუ მკვდარი ახალგაზრდაა, აუცილებლად ცხენთურბოლებენ (დოღი). დოღში ნათესავების ცხენებს ურევენ (ბალიური 1991: 120. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

უნდა ითქვას, რომ ხევსურულში საკმაოდ მოიპოვება დაკრძალვის სათანადო რიტუალის ამსახველი კომპოზიტები თუ მყარი შესიტყვებები, რომლებშიც ფიგურირებს კომპონენტი **ცხენი**; მაგალითად: **ცხენ-დოღი, ცხენ-მკედარნი, ცხენ-ტაბლა, ცხენთ ტაბლა, სულისცხენი** // «ცხენი» **სულისა, ცხენნი, ცხენთა, ცხენთაჩი გასარევი** «ცხენი», **ცხენის გამკეთებელი, ტაბლის ცხენი, სახლის ცხენი**, «ცხენი» **სახლისკაცებისა, ცხენი ნარეგთა, ცხენი სუდრის ჩამცმელისა, ცხენი მმოზილისა, ცხენი დედულთა, ცხენი ცოლეულთა, ცხენი მამისახლისა, ცხენი ქმრეულთა, ცხენი მამიდასი, ცხენი დედიდასი** და სხვ. (ბალიური, მაკალათია 1940: 25-31).

ხუნძ. **ჭანკო-ჰელექო** „შინაური ფრინველები“ (← ჭანკო „ქათამი“ + ჰელექო „მამალი“): ლაკ. **აწაკი-აყარი** „id.“ (← აწაკი „ქათამი“ + აყარი „მამალი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

შინაურ ფრინველთა ამ კომპოზიტური სახელწოდების („ქათამი-მამალი“) ანტონიმს წარმოადგენს ხუნძურში:

ლედუ-ჰინჭა „გარეული ფრინველები“ (← ლედუ „ყვავი“ + ჰინჭა „ჩიტი“. ლაკურ ენაში მსგავსი კომპოზიტი არ დასტურდება.

ქართულში **ყვავი** სიტყვის შემცველი ერთადერთი შეერთებითი კომპოზიტია, ალბათ, **ყვავი-ჩხიკვი** და ისიც გვხვდება მხოლოდ იდიომატურ გამოთქმაში **ყვავი-ჩხიკვის მამიდა**. ასე ეწოდება ირონიულად ძალიან შორეულ და უცნობ ნათესავს. **ყვავი** კომპონენტის შემცველია ზოგიერთი მცენარის კომპოზიტური სახელწოდება: **ყვავისფრჩხილა, ყვავისხმალა, ყვავტყემალი** (მაცაშვილი 1961: 77). ხუნძურ ენაში აღსანიშნავია სახელწოდება **ღადირაჟი** „ღანძილი“, ზედმიწ. „ყვავის ნიორი“.

ლაკურში გვხვდება თავისებური შეერთებითი კომპოზიტი **ქაჩა-ჯატრალ** (← ქაჩალ „ძაღვები“ + ჯატრალ „ყვავები“), ოღონდ მხოლოდ გამოთქმაში **ქაჩა-ჯატრალ ზუქივუი!** ზედმიწ. „ძაღვებმა-ყვავებმა, დე, შე[გ]ქამონ!“ (ასე ამბობენ წყრომით პირუტყვზე). „ყვავის“ შემცველია, აგრეთვე, განსაზღვრებითი კომპოზიტი **ლუჭიჯატუ** „ყორანი“, ზედმიწ. „შავი ყვავი“ (← ლუჭი- „შავი“ + ჯატუ „ყვავი“).

ქართ. **ჭია-მატლი** : ხუნძ. **ჭაფარა-ჭუტ** „ჭია-ლუა“ (ჭაფარა „მატლი“, „ჭია“ + ჭუტ „ჭია“).

ქართ. **ხარ-ირემი, ფურ-ირემი** : ხუნძ. **ოც** („ხარი“), **ჭაქა** („ძროხა“, „ფური“) „ირმის“ აღმნიშვნელ კომპოზიტურ სახელწოდებებში.

ხუნძურ ენაში ჩვეულებრივია **ოც** („ხარი“), **ჭაქა** („ძროხა“, „ფური“) სიტყვათა გამოყენება „ირმის“ აღმნიშვნელ კომპოზიტურ სახელწოდებებში, სქესის დასაკონკრეტებლად, ისევე, როგორც ქართულ ენაში:

ჩანაოც „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ნადირის ხარი“ (← ჩან-ა-ლ „ნადირის“ + ოც „ხარი“). ეს კომპოზიტი გამოიყენება სალიტერატურო ხუნძურში, სადაც სიტყვა **ჩან** აღნიშნავს ზოგადად „ნადირს“ (შდრ. ჩან-ა-ჯან „მონადირე“), ხოლო საკუთრივ „ირმის“ სახელწოდებად სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) სხვა ფუძე გამოიყენება – **რიტუჭ**. აღსანიშნავია, რომ „ირმის“ კონკრეტული მნიშვნელობა ამავე **ჩან** სიტყვას მოეპოვება კახეთში მოსახლე ანწუხელთა მეტყველებაში (სოფ. თივი, ყვარლის მუნიციპალიტეტი). „ფურ-ირმის“ სახელწოდებად დიალექტებში იხმარება კომპოზიტები, რომლებიც შეიცავენ „ძროხის“/„ფურის“ აღმნიშვნელ **ჭაქა** ფუძეს, საპირისპიროდ „ხარ-ირმის“ აღმნიშვნელი ანალოგიურადვე აგებული კომპოზიტებისა, რომლებშიც წარმოდგენილია „ხარის“ აღმნიშვნელი **ოც** ფუძე; მაგ., ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში **რუჭდუოს** „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ირმისხარი“ (← რუჭ-დ-უ-ლ „ირმის“ + ოს ← ოც „ხარი“), მის საპირისპიროდ: **რუჭდუჭაქა** „ფურ-ირემი“, ზედმიწ. „ირმისფური“ (← რუჭ-დ-უ-ლ „ირმის“ + ჭაქა „ძროხა“, „ფური“); იმავე დიალექტის ბოკნოდურ კილოკავში **რუჭდუოც** „id.“, **რუჭდუჭაქა** „id.“; ანწუხურისავე თაშურ და ანწროსუნჰადურ კილოკავებში **რიჭოს** „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ირემი ხარი“ (← რიჭ „ირემი“ + ოს ← ოც „ხარი“), **რიჭაქა** „ფურ-ირემი“ (← რიჭ „ირემი“ + ჭაქა „ძროხა“, „ფური“); ამავე დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **რიჭომ** „id.“ (ჭად. ოშ „ხარი“), **რიჭაქა** „id.“; ჭარულ დიალექტში **რუჭოც** „ხარ-ირემი“, **რუჭაქა** „ფურ-ირემი“ და სხვა.

„ირმის“ აღმნიშვნელ კომპოზიტურ სახელწოდებათა გარდა, ხუნძურ ენაში არ დასტურდება მაგალითები „ხარი“ და „ფური (// ძროხა)“ სიტყვების გამოყენებისა სხვა რომელიმე პირუტყვის სქესის დასაკონკრეტებლად; ქართულში კი, **ირემი** სიტყვის გარდა, **ხარი** და **ფური** სიტყვების გამოყენება განსაზღვრებით კომპოზიტებში ჩვეულებრივია გარკვეული სახეობის ზოგიერთი სხვა რქოსანი პირუტყვის სახელთანაც: **ხარ-კამეჩი**, **ფურ-კამეჩი**, **ხარ-ზაქი**, **ფურ-ზაქი**, **ხარ-ჯიხვი**.

ხუნძურ ენაში საყურადღებოა, აგრეთვე, **ოც** („ხარი“) და **ჭაქა** („ძროხა“, „ფური“) სიტყვებით შედგენილი შეერთებითი კომპოზიტები, რომლებითაც აღინიშნება შინაური პირუტყვის კრებითობა; მაგ., **ოც-ჭაქა** „მსხვილი რქოსანი პირუტყვი“, ზედმიწ. „ხარი-ძროხა“ (შდრ. ქართ. **ხარ-კამეჩი**); **ჭაქა-ჭამა** „შინაური პირუტყვი“, ზედმიწ. „ძროხა-ვირი“; **ჭაქა-ხეჩე** „ძროხა-ხბო“ (კრებითი მნიშვნელობით).

სპეციფიკურობით გამოირჩევა ხუნძურში კომპოზიტური სახელწოდება **ოცჭუტ** „ხოჭო“, ზედმიწ. „ხარი ჭია“. ფუძე **ოც** („ხარი“) წარმოდგენილია „მორიელის“ დიალექტურ სახელწოდებებშიც; მაგ., ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში **ტ'ულუოც** „მორიელი“, ზედმიწ. „კლდის ხარი“; ამავე დიალექტის თაშურ კილოკავში **ტოროოს** „id.“ და ჭადაქოლოურ კილოკავში **ტურუომ** „id.“ (← ტურუ „კლდე“, ნათ. ბრ. ტურუ-ლ „კლდისა“ + **ოც** → **ოს** → **ომ** „ხარი“).

ოხცერ „კიტრი“ ← **ოც-ხერ**, ზედმიწ. „ხარი-ბალახი“ (გუდავა 1954: 73). ნ. არდოტელის შენიშვნით, „თუ ეს დაკავშირება (ოხცერ ← **ოც-ხერ**. – ლ.ა.) სწორია, მაშინ ანალოგიურ მოვლენას (მეტათეზის – ლ.ა.) უნდა ჰქონდეს ადგილი სხვა ახლომონათესავე ენებშიც, მაგ., ჭამ. **ოხცელ** (← ***ოცხელ**), საკ. დიდ. **ოჯცერ** (← ასახ. **ოხცერ** ← ***ოცხერ**, შდრ. ხვარშ. **ოცხერ**) „კიტრი“, ზედმიწ. „ხარბალახი“ (არდოტელი 2009: 137).

„ძროხის“ აღმნიშვნელი **ჭაქა** ფუძის შემცველია დიალექტური კომპოზიტი **ზუზუჭაქა** „კელა“, „ბზიკი“ (ყაპიბურ ნარევ კილოში). **ზუ-ზუ** კომპონენტი წარმოადგენს ხმაბადვით ფუძეს, შდრ. ზმნა **ზუზუ-დ-ი-ზე** „ბზულილი“ („ბზიკი“ ანუ „ბზულილა ძროხა“?). სახელდების მოტივი გაუგებარია; შდრ., მანც, ქართ. **ხარაბუზა**.

აღსანიშნავია, რომ იგივე **ჭაქა** („ძროხა“) ფუძე გამოიყოფა კომპოზიტშიც **ჭუბჩიჭაქა** „გირჩი“ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში), ზედმიწ. „ფიჭვის ძროხა“ (← დიალ. **ჭუბუჩ** „ფიჭვი“, ნათ. ბრ. **ჭუბჩ-ი**-ლ „ფიჭვისა“ + **ჭაქა** „ძროხა“).

ქართ. **სირაქლემა** (← ძვ. ქართ. სირ-ი „ფრინველი“ + აქლემ-ი) : ხუნძ. **ჟარანიჰინჰა** „სირაქლემა“ (← **ჟარანი** „აქლემი“ + **ჰინჰა** „ჩიტი“, „ფრინველი“) : ლავ. **ვარანიჰელმუ** „id.“ (← ვარანი „აქლემი“ + ჰელმუ „ჩიტი“, „ფრინველი“) : დარგ. **ჟალრიჩაჰა** „id.“ (← ჟალრი „აქლემი“ + ჩაჰა „ჩიტი“, „ფრინველი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, დადესტნური ენებში არსებული „სირაქლემის“ სახელწოდება წარმოადგენს კალკს თურქული ენების შესაბამისი სახელწოდებისა: **დევე-ცუშუ**, ზედმიწ. „აქლემი-ფრინველი“ (აბდულაევი 2013: 52; აბდულაევი 2015: 42).

ხუნძ. **ღალბარწ** „ლომი“ (← ღალ „ფაფარი“, „ნაწნავი“ + ბარწ „მგელი“) : ლავ. **ღალბარწ** „მამაცი“, „ვაჟკაცი“ (← ღალ „თხის ბეწვი“ + ბარწ „მგელი“) : დარგ. **ღალბარწ** „ჯიქი“ (← ღალ „ფაფარი“ + ბარწ „მგელი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, ამჟამად ლაკურში „ლომის“ სახელწოდებად გამოიყენება **ასლან**, ხოლო დარგულში – **არსლან**, თურქული წარმომავლობის სიტყვა. XVI-XVII სს. ლაკურ წერილობით ძეგლში არაბული **ასად** („ლომი“) თარგმნილია, როგორც **ღალბარწ**. ამჟამად ლექსემა **ღალბარწ** ლაკურში საგრძნობლად დესემანტიზებულია და, ჩვეულებრივ, გამოიყენება „მამაცის“, „ვაჟკაცის“ მნიშვნელობით; მაგ., ღალბურწილ დაკ „მამაცი (ლომის) გული“. **ღალ** ფუძე უკავშირდება თურქულ ენათა სიტყვას **ღალ** „ფაფარი“, რომელიც რიგ დადესტნურ ენებში გვხვდება **ჟალ** (ხუნძურში) და **ღალ** (დარგულში) სახითაც, მაგრამ „ლომის“ სახელწოდებაში იგი მხოლოდ **ღალ** სახით გვაქვს. „ლომის“ სახელწოდების წარმოებისას დადესტნურ ენებში სწორედ ეს სიტყვა (**ღალ** ← **ღალ**) იქნა გამოყენებული და იგი უცვლელად შემორჩა კიდევ (აბდულაევი 2013: 63-64; აბდულაევი 2015: 51-52).

ხუნძ. **შურუნყერყ** „კუ“ (← შურუნ „ხის ჯამი“ + ყერყ „ბაყაყი“) : ლავ. **მყარაურვატი** „id.“ (← მყარა „ნაჭუჭი“, „ქერქი“ + ურვატი „ბაყაყი“). ი. აბდულაევის ცნობით, „კუს“ სახელწოდება მეტნაკლებად მსგავსი გაფორმებებით გვხვდება ერთმანეთის მეზობლად გავრცელებულ არაერთ ენასა თუ დიალექტში, მაგ., ლავ. (დიალ.) **ყალაყი-ურვატი** (ქულის კილოკავში), ზედმიწ. „სახურავი-ბაყაყი“. ლაკურიდან მომდინარეობს არჩიბული **ყალაყ-ურვატი**. ხუნძ. (დიალ.) **გელ-ყერყ**, ზედმიწ. „ქვაბი-ბაყაყი“; ხუნძ. (დიალ.) **ტალა-ყერყ**, ზედმიწ. „ბრტყელი ქვა-ბაყაყი“; ტინდ. **რეტაილზ ყოყუ**, ზედმიწ. „ძვლიანი ბაყაყი“ და სხვ. (აბდულაევი 2013: 82, აბდულაევი 2015: 67); ანალოგიისათვის შდრ., აგრეთვე, გერმანული **Schild-Kröte** „კუ“, ზედმიწ. „ფარი გომბეშო“.

ხუნძ. (დიალ.) **ჰამანა** „მამალი ფუტკარი“ (ჰიდურ დიალექტსა და ყელეზურ ნარევ კილოკავში) (← ჰამა „ვირი“ + ნა „ფუტკარი“) : ლაკ. **თუქუნა** „id.“ (← თუქუ „ვირი“ + ნამ „ფუტკარი“).

ორსავე კომპოზიტში პირველ კომპონენტად (მსაზღვრელად) წარმოდგენილია „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვა, რომლის გამოყენებაც კომპოზიტურ სახელდებაში, სავარაუდოდ, შეიძლება მოტივირებული იყოს შემდეგნაირად: „ვირი“ → „ჯიუტი/ცუდი ხასიათისა“ → „უმაქნისი“ → „უსარგებლო“.

„ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვა გვხვდება სხვა კომპოზიტთა შემადგენლობაშიც. მაგალითად:

ხუნძ. (დიალ.) **ტუნცურა-ჰამა** „მერქნიჰამია პეველა“. ეს მწერი თითქოს მართლა შეიძლება კაცმა ვირს მიაღწეოს მისი შეფერილობით. კომპოზიტში გაურკვეველია **ტუნცურა** კომპონენტის რაობა, თუმცა მასში ყურადღებას იქცევს დაბოლოება **-რა**, რომელიც რეგულარულად იჩენს თავს მწერთა და სხვადასხვა წვრილ სულდგმულთა სახელწოდებებში, მაგ., **წუნწა-რა** „ჭიანჭველა“, **ჰაფა-რა** „ჭია“, „მატლი“, **ჟინჟ-რა** „ბაღლინჯო“, **ცანლა-რა** „მუცლის ჭია“, **კანჯ-რა** „ობობა“ (ნიშნავს „აბლაბუდასაც“) და სხვ.

საინტერესოა ანალოგიური აგებულების დიალექტური კომპოზიტი ხუნძურში **ტორცო-ჰამა**, რომელსაც აქვს განსხვავებული მნიშვნელობა – „ნაკელის ხოჭო“. აქაც უცნობია **ტორცო** კომპონენტის რაობა, ხოლო რაც შეეხება „ვირის“ აღმნიშვნელი **ჰამა** ფუძის გამოყენებას ამ სახელდებაში, ეს ალბათ განაპირობა „ვირის“, როგორც მზიდავი პირუტყვის მნიშვნელობამ, რომლის მიხედვითაც ხოჭოს გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ამ კონკრეტული კომპოზიტის შედგენისას **ჰამა** („ვირი“) კომპონენტი გამოყენებულ იქნა მნიშვნელობით „ნაკელის მზიდავი“.

რთულ ვითარებას გვიჩვენებს ლაკურ ენაში „ციყვის“ აღმნიშვნელი კომპოზიტური სახელწოდება **ბურხ-თუქუ**, ზედმიწ. „კურდელი-ვირი“. სახელდების მოტივაცია გაუგებარია. ხომ არ შეიძლება მისი საფუძველი ასე წარმოვიდგინოთ: „ვირი“ → „მომუშავე პირუტყვი“/„ტვირთის მზიდავი პირუტყვი“ → „კურდელი, რომელიც რაღაცას (მაგ., გირჩებს) ეზიდება“ ანუ „ციყვი“?

ხუნძ. **წადალჰამა** „ლოკოკინა“ (← წად-ა-ლ „წვიმის“ + ჰამა „ვირი“) : ლაკ. **ბაჟანათუქუ** „id.“ (← ბაჟანა (?) + თუქუ „ვირი“).

ლაკურ კომპოზიტი უცნობია **ბაენა** კომპონენტის რაობა.

ბუნძურ ენაში **წადალჰამა** („ლოკოკინა“) ეწოდება, აგრეთვე, წვიმის გამოსაწვევ რიტუალში მონაწილე პირს, რომელსაც გვალვის დროს გახდიდნენ სამოსს, შემდეგ მწვანე ტოტებითა და ბალახით მორთავდნენ ისე, რომ მთლიანად ყოფილიყო იგი ასეთი შესამოსელით დაფარული თავიდან ფეხებამდე, ხოლო წელზე თოკს შემოაკრავდნენ. ასეთნაირად შემოსილს ახალგაზრდები თოკით კარდაკარ დაატარებდნენ სოფელში, სადაც მოსახლეობა მას წყლით წუწავდა (ნიკოლსკაია 1959: 181; ომარაშვილი 2001: 76; დალესტნის ხალხები 2002: 69-70; სეფერბეკოვი 2002: 76; ხალიდოვა 2004: 246-247; ალიჰაჯიევა 2008: 13,15; სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009: 56; დადაევი, სეფერბეკოვი 2012: 72; ანთელავა 2017: 834-835; მაჰომედოვა 2020: 93).

თუ რატომ უკავშირდება ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში წვიმის წამოსვლა სწორედ ლოკოკინას, ეს საკვებით გასაგებია და ბუნებრივი და საგანგებო ახსნა-განმარტებას თითქოს არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეთნოლოგიურ ნაშრომებში ეს თავისთავად ნათელი ფაქტი მეტად ბუნდოვნად იქნა წარმოჩენილი იმ მიზეზის გამო, რომ კომპოზიტი **წადალჰამა** რატომღაც სიტყვასიტყვითი იქნა მხოლოდ გაგებული და ეთნოლოგიურ ლიტერატურაშიც ასეთი პირდაპირი თარგმანით დაფიქსირდა: «дождевой осёл», «дождевой ишак», „წვიმის ვირი“. უცნაურია, რომ ეს უზუსტობა რეგულარულად გვხვდება თვითონ დალესტნელ მკვლევართა ნაშრომებშიც. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ამგვარი კურიოზული გაუგებრობა არაერთი მცდარი ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს ეთნოლოგიაში; მაგალითად, ასეთისა:

„ინტერესს იწვევს რიტუალის ცენტრალური ფიგურა – „წადალჰამა“ („წვიმის ვირი“). როგორც ცნობილია, უძველეს ადამიანთა, კერძოდ, ეგვიპტელთა იდეოლოგიურ წარმოდგენებში ვირი გვევლინებოდა ტოტემურ ღვთაებად (sic!). სახე შებორკილი ვირისა, რომელიც მზეს განასახიერებს, შევიდა სხვადასხვა ხალხების რელიგიურ ტრადიციებში. ამ წარმოდგენათა გამოძახილი ვლინდება განხილულ რიტუალშიც“ (ხალიდოვა 2004: 246-247).

ზოგ ნაშრომში **წადალჰამა** წვიმის წარმართული ღვთაების სახელადაც კია რატომღაც მიჩნეული, ხოლო წვიმის გამოსაწვევ რიტუალში მონაწილე მთავარი პირი (ტოტებითა და ბალახებით მორთული) – ამ ღვთაების პერსონიფიკაციად (სეფერბეკოვი 1998: 167; სეფერბეკოვი 2002: 76; ალიჰაჯიევა 2008: 13; სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009: 56; დადაევი, სეფერბეკოვი 2012: 72 და სხვ.).

ლაკებში წვიმის გამოწვევის ანალოგიური რიტუალის სახელწოდებები განსხვავებულია სოფლების მიხედვით: სოფ. ღუმუქში მას ეწოდებოდა **ურთაილ სისუ** („ბალახის თოჯინა“), სოფ. შოვკრაში (ლაკ. შავკულ) – **ურთაილ ჩითუ** („ბალახის კატა“), სოფ. ვიხლიში (ლაკ. ვინულ) – **ურთაილ თუქუ** („ბალახის ვირი“), სოფ ხოსრეხში (ლაკ. ჯუსრაში) – **ურბიცუ**, სოფ. ქულიში (ლაკ. ქული) – **ვორფახუ**, სოფ. თურჭიში (ლაკ. თურჭი) – **კარშიჯულა** და სხვ. ბალახებით საგანგებოდ შემოსილი ბიჭის მონაწილეობით ეწყობოდა სარიტუალო მსვლელობა, რომლის დროსაც ყველა ცდილობდა წყლით გაეწუნა ბალახებით შემოსილი (ხალილოვი 2004: 23-25). ხუნძურისაგან განსხვავებით, ლაკურში არ დასტურდება „ლოკოკინის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება რიტუალთან დაკავშირებულ სახელწოდებად.

სალიტ. ხუნძ. **წადალჰამა** („ლოკოკინა“) კომპოზიტს მნიშვნელობა დავიწროვებია ყელებურ ნარევ კილოში, სადაც იგი აღნიშნავს „ლოკოკინის ნიჟარას“, ხოლო თვით „ლოკოკინას“ ამ კილოში ეწოდება **ჰამაჰუტ**, ზედმიწ. „ვირი-ჰია“. აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ხუნძურშიც სრულიად განსხვავებულადაა სახელდებული „ლოკოკინის ნიჟარა“ – **ბორნიყალი**, ზედმიწ. „გველის კოლოფი“ (მდრ. ბორონ „გველი“, ნათ. ბორნი-ი-ლ „გველისა“, ყალი „კოლოფი“). საინტერესოა ერთ-ერთი დიალექტური (ხუნძახური) კომპოზიტური სახელწოდებაც „ლოკოკინისა“ – **ჰამადანყ** (← ჰამა „ვირი“ + დანყ- ძირი ზმნისა დანყ-ი-ზე „დახრჩობა“), რამდენადაც იდენტური სტრუქტურისა და სემანტიკის კომპოზიტი სალიტერატურო ხუნძურში სრულიად სხვა დენოტატის ამსახველია – **ჰამადანყ** „ველური მსხალი“, ან „მსხლის“ აღმნიშვნელი **გენი** სიტყვის საზღვრულად დამატებითაც – **ჰამადანყ გენი**. ქართულად რომ სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ, დაახლოებით იქნება „ვირიხრჩობია მსხალი“. არ არის გასაგები რატომ გამოიყენება ეს კომპოზიტი დიალექტში „ლოკოკინის“ სახელწოდებადაც.

ანდალალური დიალექტის ერთ-ერთ მცირე თქმაში, ჰინდახურში, „ლოკოკინისათვის“ მოიპოვება ასეთი სახელწოდებაც – **თაჩალჰამა**. აქ აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება მომდინარეობს ხუნძურ ენაში ფართოდ გავრცელებული კომპოზიტური სიტყვისაგან **თაჩალჰამა** „ანტიქრისტეს სახედარი“. ხუნძ. **თაჩალ** ← არაბ. **დაჯალ** „მაცდური“, „ცრუ მესია“. ისლამური ესქატოლოგიური სწავლებით, დაჯალი საცდუნებლად და დასამორჩილებლად მოევლინება ადამიანებს სამყაროს აღსასრულისა და განკითხის დღის დადგომამდე, მაგრამ მისი ბატონობა დიდხანს არ გასტანს. თავს გაასაღებს ისა (იესო)

წინასწარმეტყველად და მოახდენს ცრუ სასწაულებს ადამიანთა შესაცდენად. იგი სამყაროს აღსასრულამდე აღმოსავლეთიდან მოველინება ამ ქვეყნიერებას, უზარმაზარ ვირზე შემჯდარი.

ხუნძურ ენაში **თაჟალჰამა** „დაჯალის ვირი“ გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც, კერძოდ, აღნიშნავს ძველ და დანჯღრეულ (ან გაფუჭებულ) ტრანსპორტს; მაგალითად ამ სახელს წყრომით უწოდებენ ხოლმე ნელა მიმავალ გაუმართავ ავტომობილს. ანდალალურის თქმაში იგივე კომპოზიტი გადატანილ იქნა ლოკოკინაზეც, ალბათ, ამ არსების მეტისმეტად ნელი მოძრაობის გამო. ამგვარი სახელდება უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებას, რომ „ლოკოკინის“ სახელწოდებად სიტყვა **ჰამა** („ვირი“) ხუნძური ენისათვის სავსებით ჩვეულებრივია.

ხუნძ. (დიალ.) **ჩაუში(ლ)შინ** „ზღვის ნიჟარა“ (← ჩაუშ-ი-ლ „თევზის“ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჩაუშა „თევზი“] + შინ „ყური“; სალიტ. ხუნძ. მუკუჭი „ზღვის ნიჟარა“) : ლაკ. **ჰაველულ ვიჭი** „id.“ (← ჰავ-ლ-ულ „თევზის“ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჰავა „თევზი“] + ვიჭი „ყური“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

ხუნძ. **ფურციჰინჭა** „ყვითელი ბოლოქანქალა“, „წივწივა“ (ჩიტი) (← ფურც-ი-ლ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ფურუც „სახვნელი, კავი“] + ჰინჭა „ჩიტი“, „ფრინველი“) : ლაკ. **ჭურსულდაკი** // **ჭურსუბიკუ** (დიალ.) „id.“ (← ჭურსულ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჯარას „სახვნელი, კავი“] + ბ-იკ-უ „მყოფი“, ბ-იკ-ან „ყოფნა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ხუნძ. (დიალ.) **ზაზიშუნკა** „ზღარბი“ (← ზაზ-ი-ლ „ეკლის“ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ზაზ „ეკალი“] + შუნკა „თავი“) : ლაკ. **ცაბკულუ** „id.“ (← ცაბც „ეკალი“ + კულუ „თავი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

ხუნძ. **ყონ'ოლ'ალკარ** „ღამურა“ (← ყეხ' „ტყავი“, „ცხვრის ტყავი“, „კანი“; ნათ. ბრ. ყონ'-ო-ლ + ლ'ალკარ) : ლაკ. **ხაჩარაჰელმუ** „id.“ (← ხაჩარა „გამოქნილი ტყავი“, „ცხვრის ტყავი“, „აპკი“ + ჰელმუ „ჩიტი“, „ფრინველი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ხუნძურ ენაში მოიპოვება „ღამურის“ რამდენიმე სახელწოდება; ერთ-ერთი მათგანია **ყონ ოქ**, რომელიც ნაწარმოებია -ქ დერევატით სიტყვისაგან **ყენ** „ტყავი“. უფრო ზუსტად, საწარმოებელი ფუძეა **ყონ-ო** (*ყენ-ო-), ე.ი. ის ფუძე, რომელიც გამოიყენება ხოლმე III ტიპის მიხედვით ბრუნებისას (ე.წ. ირიბი ფუძე): ერგ. ყონ-ო-ცა „ტყავმა“, ნათ. ყონ-ო-ლ „ტყავისა“, მიც. ყონ-ო-ე-ე „ტყავს“. „ღამურის“ კომპოზიტურ სახელწოდებაში ამ **ყონ-ო**- ფუძესთან -ქ დერევატის ნაცვლად წარმოდგენილია ფუძე **ლალკარ** (ყონ-ო-ლალკარ).

სალიტერატურო ხუნძურში ფუძე **ლალკარ** დამოუკიდებელ სიტყვად აღარ იხმარება, თუმცა იგი შემონახულია „ღამურის“ აღმნიშვნელ კომპოზიტში **ყონ-ო-ლალკარ**.

ხუნძური ენის ყაპიზურ ნარევი კილოს მოეპოვება სიტყვა **ლალკარ**, რომლის მნიშვნელობაა „პეპელა“¹. კახეთში მოსახლე ანწუხელი ხუნძების მეტყველებაში ამ სიტყვას ფონეტიკურად სავსებით კანონზომიერად შეესატყვისება **თელკარ**. ლატერალურ ლ სპირანტს ანწუხურში **თ** რომ ეფარდება (**თ** ← **ლ**), ეს კარგადაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში (უსლარი 1889: 14, ცერცვაძე 1948: 135, მიქაილოვი 1959: 57; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 60), მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანწუხურში **თელკარ** სიტყვის მნიშვნელობა არის არა „პეპელა“, როგორც ეს ყაპიზურშია, არამედ „მერცხალი“.

ანწუხურის მონაცემი ნათლად მიანიშნებს, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა „ღამურის“ კომპოზიტურ სახელწოდებაში შემონახულ **ლალკარ** ფუძეს. ამ კომპოზიტისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი შესიტყვება *ყონ-ო-ლ-აბ ლალკარ, ზედმიწ. მნიშვნ. „ტყავიანი მერცხალი“. აღსანიშნავია, რომ ლაკურ ენაშიც ამ მფრინავი ძუძუმწოვარი არსების სახელდებისათვის გამოყენებულია სწორედ „ფრინველის“, „ჩიტის“ აღმნიშვნელი ფუძე: ლაკ. **ხაჩარა-ჰელმუ** „ღამურა“ (**ჰელმუ** „ჩიტი“, „ფრინველი“).

მაშასადამე, შედარება არკვევს, რომ დაღესტნური ენებისათვის ღამურა იგივე ჩიტია, ოღონდ, ენობრივი მსოფლხედვის მიხედვით, ფრინველისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ტყავით არის შემოსილი და არა ბუმბულით. ანალოგიისათვის შდრ. აფხაზურ-ადიღურ

¹ დიალექტური მასალა ძირითადად მოხმობილია ფ. საიდოვას ლექსიკონიდან (საიდოვა 2008).

ენათა კომპოზიციებიც: აფხაზური **ახ⁰გლფ-წეს** „ლამურა“, ზედმიწ. „სა-
ლამო-ჩიტი“; ადიღეური **ჩგს-ზზგჟ** „id.“, ზედმიწ. „ლამე-ჩიტი“; უბიხუ-
რი **სგსგ-ღ⁰გნდ⁰** „id.“, ზედმიწ. „ლამე-ჩიტი“ (კლიმოვი, ხალილოვი
2003: 233-234).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხუნძური ენისათვის ჩვეულებრი-
ვია ერთი რომელიმე სულდგმულის (ცხოველის, ფრინველის, მწე-
რის...) სახელდებისათვის სხვა სულიერი არსების აღმნიშვნელი ფუძის
გამოყენება. ამდაგვარად შედგენილი სახელწოდებებით (კომპოზიცი-
ებით) დაღესტნური ენები საკმაოდ მდიდარია, მაგ., ხუნძ. შურუნ-
ყჷერყ „კუ“, ზედმიწ. „ჯამი ბაყაყი“; წადალ-ჰამა „ლოკოკინა“, ზედმიწ.
„წვიმის ვირი“; ოც-ჰუტ „ხოჰო“, ზედმიწ. „ხარი ჭია“; ტურუ-ოც „მო-
რიელი“, ზედმიწ. „კლდის ხარი“; რალ⁰დალ-გარწ „კიბო“, ზედმიწ.
„ზღვის კალია“; ბეცა-ჰუნკა „თხუნელა“, ზედმიწ. „ბრმა თაგვი“ და
სხვა.

ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში **ლ⁰ალკარ** ფუძეს კა-
ნონზომიერად შეესატყვისება **ჰალაკარ** (სოფ. ქუდალიბის თქმაში), **ჰა-
ლიკარ** (სოფ. ხინდახის თქმაში), ხოლო ბათლუხურ დიალექტში –
ჰორკორ. ცნობილი ფაქტია, რომ ლატერალური სპირანტი **ლ⁰** სამხრუ-
ლი ხუნძურის ზოგ კილოში **ჰ** რეფლექსს იძლევა სიტყვის თავკიდურ-
ში, მაგ., ანდალალურსა და ყარახულში (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 60-
61); ამდენად, ფონეტიკური მიმართების მხრივ, ხსენებულ ფუძეთა შო-
რის სრული შესაბამისობაა, ისევე, როგორც „მერცხლის“ აღმნიშვნელი
ანწუხური **თელკარ** ფუძის შემთხვევაში, მაგრამ საგულისხმო ფაქტი
ისაა, რომ **ჰალაკარ**, **ჰალიკარ**, **ჰორკორ** ფუძეთა მნიშვნელობა ანდალა-
ლურის თქმებსა და ბათლუხურში „მერცხალი“ კი არ არის, როგორც ეს
ანწუხურშია, არამედ „პეპელა“, მსგავსად ყაპიბურისა.

ამრიგად, ხუნძურ ენაში თვალსაჩინოა სემანტიკური კავშირი
„მერცხალი“ ~ „ლამურა“ ~ „პეპელა“. ესენი სრულიად სხვადასხვა არ-
სებებია, მაგრამ მათთვის მაინც საერთოა ფრენის უნარი და, როგორც
ჩანს, ენამაც ეს თვისება მიიჩნია არსებით ნიშნად ამ სულდგმულთა გა-
ერთიანებისათვის, მიუხედავად აშკარა განსხვავებებისა. სავარაუ-
დოდ, აქ საქმე უნდა გვექონდეს დაახლოებით იმგვარ ვითარებასთან,
როგორსაც ადგილი ჰქონდა საშუალო ზემოგერმანულ ენაში (გერმ.
Mittelhochdeutsch, დაახ.XI-XV სს.), სადაც სიტყვა Vogel აერთიანებდა
ყველა მფრინავ სულდგმულს (ფრინველებს, პეპლებს, ფუტკრებს, ბუ-
ზებს...), განსხვავებით თანამედროვე გერმანული ენისაგან, რომელშიც
ეს სიტყვა „ჩიტს, ფრინველს“ ნიშნავს (ვაისგერბერი 1950: 39). ხუნძურ
ენაში „ფრინველსა“ და „პეპელას“ შორის სემანტიკურ სიახლოვეზე გა-

რკვეულწილად მიუთითებს აგრეთვე ერთ-ერთი დიალექტური სახელწოდება „პეკლისა“ – **მაქლა-ჰინჭა** (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), რომელშიც წარმოდგენილია სწორედ „ფრინველის, ჩიტის“ აღმნიშვნელი ფუძე **ჰინჭა**.

დიალექტებში დასტურდება „მერცხლისა“ და „ღამურისათვის“ საერთო სხვა ფუძეებიც, ოღონდ ამ შემთხვევაში უკვე საქმე უნდა გვექონდეს ფონოსემანტიკის მოვლენასთან; მაგ., **ბეზეჩუ** „მერცხალი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავსა და ჭარულ დიალექტში), **ბეზეჩ** „id.“ (ანწუხური დიალექტის ტომურული კილოკავის სოფ. მაზადას თქმამი); ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში კი იგივე **ბეზეჩ** ნიშნავს „ღამურას“. მოცემულ სიტყვებში უნდა გამოიყოფოდეს **ბეზ-** ძირი (**ბეზ-**ე-ჩუ, **ბეზ-**ე-ჩ), რომელიც ბგერწერითი ჩანს (-**ჩუ**, **-ჩ** დერივატებია); ანალოგიისათვის შდრ., ქართ. **პეპ-ელ-ა**, ბეჟიტ. **პიმპალა-პაპი** „ღამურა“ და სხვ.

ხუნძ. **ბეცაზუნკა** „თხუნელა“ (← ბეცა-აზ „ბრმა“ + ზუნკა „თავი“) : ლაკ. **მურჭიკულუ** „id.“ (← მურჭი- „ბრმა“ + კულუ „თავი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 82, აბდულაევი 2015: 67).

ხუნძ. **ჭეზერჰაძან** „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი“ (← ჭეჭერ- „შავი“ + ჰაძან „ცხოველი“, „საქონელი“), **ჭეზერბოწი** „id.“ (← ჭეჭერ- „შავი“ + ბოწი „საქონელი“) : ლაკ. **ლუჰიჰეძან** „id.“ (← ლუჰი- „შავი“ + ჰეძან „ცხოველი“, „საქონელი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, კომპოზიტი ხუნძურშიცა და ლაკურშიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს კალკს თურქულ ენათა სიტყვისა **ყარა-მალ** (აბდულაევი 2013: 79, აბდულაევი 2015: 64).

სიტყვა **ჰაძან** („ცხოველი“) არაბულიდან არის ნასესხები. კახეთში მოსახლე ანწუხელი ხუნძების მეტყველებაში, აგრეთვე ანდალალური დიალექტის სულრთლურ კილოკავში გამოიყენება ამ სიტყვის მრავლობითი ფორმა **ჰაძანალ** უფრო ვიწრო მნიშვნელობით – „მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ნახირი“ (საიდოვა 2008: 81).

„შავი“ ატრიბუტივის გამოყენებას („შავი საქონელი“) გარკვეული მიზეზი უნდა ჰქონდეს როგორც თურქულ, ასევე დაღესტნურ ენებშიც. როგორც ჩანს, მსხვილი რქოსანი პირუტყვი ენამ ამ ნიშნით („შავი“) შეუპირისპირა სხვა შინაურ პირუტყვს – ცხვარს (ე.ი. „თეთრს“) მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურ სინამდვილეში მსხვილფეხა საქონელი არ არის ხოლმე აუცილებლად შავი ფერისა. თვითონ ცხვრისათვის

ხუნძურ ენას არ მოეძევა ხსენებულ კომპოზიტა (ჭეჭერჰაჟან, ზედმიწ. „შავი საქონელი“) ანალოგიურად შედგენილი ისეთი სიტყვა, რომელშიც გამოყენებული იქნებოდა ზედსართავი სახელი **კაკაბ** („თეთრი“), მაგრამ მის ნაცვლად მოიპოვება კომპოზიტები ზედსართავით **ბანინ-აბ** („თეთრი“, „ქათქათა“); მაგ., **ბანინში** „თეთრი ცხვრები“ (← ბანინ- „თეთრი“, „ქათქათა“ + ში „ცხვარი [კრებითი მნიშვნელობით]“), **ბანინტეჭერ** „თეთრი კრავი“ (← ბანინ- „თეთრი“, „ქათქათა“ + ტეჭერ „კრავი“), **ბანინხუხა** „თეთრი ბატკანი (ერთი წლისა)“ (← ბანინ- „თეთრი“, „ქათქათა“ + ხუხა „ბატკანი [ერთ წლისა]“).

ხუნძური ენის ყელეზურ ნარევ კილოში მოიპოვება კომპოზიტი **კაკაბოწი** (საიდოვა 2008: 272), ზედმიწ. „მსხვილი საქონელი“; შდრ. რუს. крупный рогатый скот „მსხვილი რქოსანი პირუტყვი“.

ქართულ ენაში ცნობილი ტერმინია **მსხვილფეხა საქონელი**, **მსხვილფეხა პირუტყვი**, რომელიც გაჩენილი უნდა იყოს უფრო ადრინდელი და ქართულისათვის ბუნებრივი **წვრილფეხა**, **წვრილფეხო-ბა** სიტყვათა ანალოგიით. კრებითი შინაარსის სიტყვა **წვრილ-ფეხ-ობა**, მსხვილფეხას საპირისპიროდ, გულისხმობს არსებებს, როგორცაა ცხვარი, თხა, ღორი, შინაური ფრინველები. ამავე სიტყვით აღინიშნება ხოლმე ბავშვების სიმრავლეც (ითქმის უფრო „ლაწირაკის“ მნიშვნელობით).

ხუნძ. **ჭეჭერჰინჭა** „ჭილყვავი“ (← ჭეჭერ- „შავი“ + ჰინჭა „ჩიტი“, „ფრინველი“): ლაკ. **ლუჰიჭელმუ** „შოშია“ (← ლუჰი- „შავი“ + ჭელმუ „ჩიტი“, „ფრინველი“).

ხუნძ. **მეხსაჯურშა** „Amphipoda, კიბოსებრი არსებაა ერთგვარი“; აგრეთვე „მცურალა“ (ხოჭო) (← მეხსა „განივ“ + ჯურშა- ძირი ზმნისა ჯურშა-ი-ზე „ცოცვა“): ლაკ. **ჩულიმშათა** „thomisidae, ერთგვარი ობობა“ (← ჩულიმ „გვერდულად“ + შათა „ჭია“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 92, აბდულაევი 2015: 75).

7) მცენარეები

ქართ. **ეკალ-ბარდი**: ხუნძ. **ზაზ-ჯარაჯ** „ეკალბარდი“ (← ზაზ „ეკალი“ + ჯარაჯ „ბუჩქი“).

ხუნძ. **ტეკ-ხერ** „მცენარეები, მცენარეულობა“ (← ტეკ „ყვავილი“ + ხერ „ბალახი“) : ლაკ. **ურთუ-ტუტი** „id.“ (← ურთუ „ბალახი“ + ტუ-ტი „ყვავილი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 87, აბდულაევი 2015: 71).

ხუნძ. **გენი-ჭერ** „ხილი“ (← გენი „მსხალი“ + ჭერ „ვაშლი“) : ლაკ. **ჰივრ-ჯურთ** „ხილი“ (← ჰივრ „ვაშლი“ + ჯურთ „მსხალი“) : დარგ. **ჰინც-ჯარ** „id.“ (← ჰინც „ვაშლი“ + ჯარ „მსხელი“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 36).

ქართულ ენაში **ვაშლი** და **მსხალი** კომპოზიტს არ ქმნიან, მაგრამ გარკვეული ასოციაციური კავშირი ამ ორ სიტყვას შორის ხელშესახებია.

ხუნძ. **ჭეჭერპოლო** „ცერცვი (შავი მარცვლებით)“ (← ჭეჭერ- „შავი“ + პოლო „ცერცვი“) : ლაკ. **ლუჰიტურუ** „id.“ , ზედმიწ. „შავი ბარდა“ (← ლუჰი- „შავი“ + ჯურუ „ბარდა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 79, აბდულაევი 2015: 64).

ხუნძ. **ჰამილწამ** „ბეგქონდარა“ (← ჰამა „ვირი“, ნათ. ბრ. ჰამ-ი-ლ „ვირის“ + წამ „მარილი“) : ლაკ. **თუქულ წუ** „id.“ (← თუქუ „ვირი“ , ნათ. ბრ. თუქუ-ლ + წუ „მარილი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 86, აბდულაევი 2015: 70).

ხუნძ. **ჰამირას** „რძიანა“ (← ჰამა „ვირი“, ნათ. ბრ. ჰამ-ი-ლ „ვირის“ + რას „რძე“) : ლაკ. **თუქულ ნაკ** „id.“ (← თუქუ „ვირი“ , ნათ. ბრ. თუქუ-ლ + ნაკ „რძე“).

„ვირის“ აღმნიშვნელი **ჰამა** ფუძე ხუნძურ და ლაკურ ენებში დამახასიათებელია მცენარეთა სხვა არაერთი კომპოზიტური სახელწოდებისთვისაც. ამგვარ სახელწოდებათა სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა ხუნძური ენა¹.

ხუნძურში: **ჰამაგაგა** „ბაბუაწვერა“ (← ჰამა „ვირი“ + გაგა „კურკა“); **ჰამადანყ** „ველური მსხალი“ (← ჰამა „ვირი“ + დანყ-, ძირი ზმნისა

¹ საანალიზო მასალა მოხმობილია ხუნძური ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან (საილოვი 1967; ხუნძ.-რუს. ლექს. 2006, საილოვა 2008).

ლანყ-ი-ზე „დახრჩობა“); **ჰამამიჭა** „შავბალახა“ (← ჰამა „ვირი“ + მიჭა „ჭინჭარი“); **ჰამანაკა** „მუხა“ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში, ← ჰამა „ვირი“ + ნაკა „ფიჭვი“), შდრ. ლიტ. ხუნდ. **ჰამანაკილუეტ** „კედარი“ (← ჰამა „ვირი“ + ნაკილუეტ „ფიჭვი“); **ჰამაწიბილ**, ზედმიწ. „ვირიყურძენი“ (← ჰამა „ვირი“ + წიბილ „ყურძენი“); **ჰამიზაზ** „ბრტყელეკალა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ზაზ „ეკალი“); **ჰამიკილკალ** „დეზურა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + კილკალ „საყურეები“); **ჰამიხინკ** „საჭმელი ბალახი ერთგვარი“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ხინკ „ხინკალი“); **ჰამიოხცერ** „ენოთერა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ოხცერ „კიტრი“); **ჰამირაჭა** „ეფედრა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + რაჭა „კუდი“) და სხვ.

ლაკურში: **თუქუყაყა** (← თუქუ-ლ „ვირის“ + ყაყა „ნაცარქათა-მა“), **თუქუბურუ** (← თუქუ-ლ „ვირის“ + ბურუ „ბრტყელეკალა“), **თუქუჯურთ** „მაგარი, უხეში ჯიშის მსხალი“ (← თუქუ „ვირი“ + ჯურთ „მსხალი“), **თუქულ მამაქუ** (← თუქუ-ლ „ვირის“ + მამაქუ „დაჯირა“) (აბდულაევი 2018: 678-679; აბდულაევი 2015: 70), **თუქულ ნის** „სოკო“ (კომრი, ხალილოვი 2010: 420), ზედმიწ. „ვირის ყველი“; შდრ. ჩეჩნურში **ვირნეხჩ** „ერთგვარი სოკო“ (← ვირ „ვირი“ + ნეხჩ „ყველი“) (მაციევი 1961: 88, ფარეულიძე 2003: 45) და სხვ.

შდრ. სხვადასხვა ველურ მცენარეთა სახელწოდებები ქართულ ენაში, რომლის დიალექტებშიც საკმაოდ გვხვდება კომპოზიტები თუ შესიტყვებები, როგორიცაა **ვირიკუდა, ვირიძუა, ვირიბალახი, ვირისტერფა, ვირიგვერდა, ვირიმოლოქა, ვირიპიტნა, ვირისკვერცხა, ვირისყვერა, ვირის ბალბა, ვირის ბუარა, ვირის იონჯა, ვირის ლობიო, ვირის საკვანტელა, ვირის ქუჩი, ვირის ჯიმლაი** და სხვ. (მაყაშვილი 1961: 28, 112); აგრეთვე, მეგრული **ვირინიში ძია** „ჩალამძივი“ (მაყაშვილი 1961: 155), ზედმიწ. „ვირის მძივი“; სვანური **წელი შდიმ** „ვირისყურა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 852) და სხვ.

ქართ. (დიალ.) **ვირვაშლა** „ვაშლის ჯიში ერთგვარი. თეთრი ვაშლი იყო ვირვაშლა, უფერული, დიდი, მომყავო წვნიანი“ (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981: 209), **ვირგლა** „ზამთრის მსხალი ერთგვარი. ვირგლა მაგარი სხალია კარქა ინახება“ (მესხიშვილი 2006) : ლაკ. **თუქუჯურთ** „მაგარი, უხეში ჯიშის მსხალი“ (აბდულაევი 2018: 679) (← თუქუ „ვირი“ + ჯურთ „მსხალი“).

ქართულში ყურადღებას მიიქცევს სიტყვა **ვირგლა** „დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ვინმე“ (ქეგლ), რომლის ეტიმოლოგიაც გაურკვეველია (უცნობია **-გლა** ელემენტის რაობა: ვირ-იკ-ელ-ა → ვირ-კ-ლ-ა → ვირ-გ-ლ-ა?). ღირსსაცნობია, რომ ეს სიტყვა მსაზღვრელად გვხვდე-

ბა ზოგიეთი მცენარის სახელწოდებაშიც თითქოს „დიდის“, „მსხვილის“ მნიშვნელობით: **ვირგლა კამა** „დიდი კამა“, **ვირგლა ლობიო** „ალისლობიო“ (მაყაშვილი 1961: 112).

ლაკურ ენაში აღსანიშნავია „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება „დიდის“, „მოზრდილი რამის“, „მსხვილის“ მნიშვნელობითაც, რაც ასახულია სიტყვაში **თუქუ-ქ-სა**, მაგ., **თუქუქსა წუნუ ურ** „გაიზარდა (ვაჟი)“ (აბდულაევი 2018: 678), ზედმიწ. „ვირ გადაიქცა“; შდრ. ქართ. გა-ვირ-დ-ა (= „გაიზარდა“; მოფერებით ითქმის ბავშვზე, უფრო – ბიჭზე).

ლაკურისაგან განსხვავებით, ხუნძურ ენაში არ შეიმჩნევა **ჰამა** („ვირი“) სიტყვის გამოყენება „დიდის“, „მოზრდილის“, „მსხვილის“ მნიშვნელობით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ამგვარი რამ სახელდებაში არ გამოირიცხება, მაგ., „მუხის“ სახელწოდება ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში არის **ჰამანაკ**, ზედმიწ. „ვირი ფიჭვი“ (ე.ი. „მსხვილი ფიჭვი“?).

ქართულ ენაში არ არის ფართოდ გავრცელებული ისეთი სახის კომპოზიტიური წარმოება, როგორცაა **ვირთაგვა**, სადაც **ვირ-** კომპონენტი თითქოს უნდა იყოს „დიდის“, „მოზრდილის“, „მსხვილის“ მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელი (აგებულების მხრივ შდრ. **ვირთევაზა**, **ვირვაშლა**). აღნიშნულ კომპოზიტში ასეთი გაგება („დიდი“, „მოზრდილი“, „მსხვილი“) **ვირ-** კომპონენტს გვიან უნდა ჰქონდეს შეძენილი, თუ ეს კომპოზიტი საკუთრივ ქართული **ვირ-ი** სიტყვით კი არ შედგენილა, არამედ მას საფუძვლად დაედო ოსურიდან ნასესხები სიტყვა **უგრგ** „ვირთხა“, მრ. რ. **უგრგთა** (→ ქართ. **ვირთხა**, იხ. ახვლედიანი 1960: 199-200).

ბ. გიგინეიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ამ სიტყვის ეტიმოლოგიის სხვაგვარად ახსნასაც: „**ვირთაგვა**-ში **ვირ** უნდა იყოს „დიდი“-ს მნიშვნელობით. რაც შეეხება ვირთხა-ს, რომელიც აგრეთვე კომპოზიტია, აქ სხვა მნიშვნელობათა შეხამება უნდა გვექონდეს („დიდი + მხოლოელი?“)“ (გიგინეიშვილი 2016: 163). ამგვარი ახსნა არ არის დამაჯერებელი, თუმცა მაინც საყურადღებოა ქართულ ენაში არსებული იმ ტენდენციის თვალსაზრისით, რომ სიტყვა **ვირი** გაგებულ იქნეს „რადაცა დიდის, მოზრდილის“ მნიშვნელობითაც, რის ერთგვარ ასახვასაც წარმოადგენს აღნიშნული შეხედულება **ვირთაგვა**, **ვირთხა** სიტყვების ეტიმოლოგიის შესახებ.

ქართ. **კატაბალახა** „valeriana“ : ხუნძ. **ქათიხერ** „id.“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ხერ „ბალახი“).

სახელდების მოტივაცია („კატის ბალახი“) ქართულშიცა და ხუნძურშიც ნათელია.

ხუნძ. **ქათიქუაჭ** „ბუსუსტანა“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ქუაჭ „თათი“) „id.“ : ლაკ. **ჩაითულ ხაჭა** „მდოგვი“ (მცენარე) (← ჩაითულ-ლ „კატის“ + ხაჭა თათი“). ანალოგიისათვის შდრ. რუს. **Кошачьи лапки** „ბუსუსტანა“, ზედმიწ. „კატის თათები“.

სახელწოდებათა სტრუქტურა და სემანტიკა ხუნძურსა და ლაკურში იდენტურია, დენოტატი სხვადასხვაა.

„კატის“ აღმნიშვნელი ფუძე მსაზღვრელად გვხვდება, აგრეთვე, მცენარეთა სახელწოდებებში, როგორცაა ხუნძ. **ქათიზაზ** „გლერძი“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ზაზ „ეკალი“), **ქათირაჭა** „ფარსმანდუკი“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + რაჭა „კუდი“), **ქითიჰან** „სოკო“ (ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში), ზედმიწ. „კატის ყველი“ (შდრ. ლაკ. **თუქულ ნის** „სოკო“, ზედმიწ. „ვირის ყველი“); ლაკ. **ჩაითულ მარხა** „ერთგვარი მცენარე“, ზედმიწ. „კატის ფესვი“.

ქართ. **სამყურა** (მცენარე) : მეგრ. **სუმყუჯა** „id.“ (← სუმი „სამი“ + ყუჯი „ყური“) : სვან. **სამყურ** „id.“ (მაცაშვილი 1961: 61) : ხუნძ. **ლ'აზჰინ** „id.“ (← ლ'აზ- „სამი“ + ჰინ „ყური“) : ლაკ. **შანჭაპი** „id.“ (← შან- „სამი“ + ჭაპი „ფოთოლი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 76).

ქართული, მეგრული და ხუნძური კომპოზიტები სტრუქტურითაც და სემანტიკითაც თითქმის იდენტურია (მცირე განსხვავებას ქმნის ქართულსა და მეგრულში ბოლოკიდური -ა დერივატი: სამყურა, სუმყუჯა-ა). სვანური სახელწოდება ქართულიდან არის ნასესხები. მეგრულის მონაცემიც ეჭვს იწვევს: ხომ არ არის იგი ქართულის კალკი? ლაკური სახელწოდება ქართველურისა და ხუნძურისაგან სემანტიკით განსხვავებულია და ემთხვევა ამ მცენარის სახელწოდებებს რიგ ენებში; მაგ., ბერძნ. τριφύλλι, ზედმიწ. „სამი ფოთოლი“ → ლათ. trifolium; რუს. трилистник და სხვ.

ხუნძ. **ჭურჩინხურ** „მწვანე ბალახი“ (გაზაფხულზე ახლად ამობიბინებული) (← ჭურჩინ- „მწვანე“ + ხურ „ბალახი“) : ლაკ. **შაჟლიურთუ** „id.“ (← შაჟლი- „მწვანე“ + ურთუ „ბალახი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 77).

ხუნძ. **ჭურჩინფერ** „მწვანე ხახვი“ (← **ჭურჩინ-** „მწვანე“ + **ფერ** „ხახვი“): ლაკ. **შაჟლიჩიმუს** „id.“ (← **შაჟლი-** „მწვანე“ + **ჩიმუს** „ხახვი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 94, აბდულაევი 2015: 77).

ზოგიერთი სიტყვა სალიტერატურო ხუნძურში კომპოზიციური წარმოშობისაა, თუმცა ისეთი ცვლილება განუცდიათ, რომ კომპოზიტებად მათი აღქმა ამჟამად გამწვანებულია და სათანადო დიალექტურ მონაცემებთან შედარებით თუ ხერხდება მათი რაობის დადგენა.

მაგალითად, ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) გვაქვს სიტყვა **ბაზარ** „გირჩი“, რომელიც თითქოს დაუშლელი ჩანს, მაგრამ დიალექტურ მონაცემებთან შედარება არკვევს, რომ ისტორიულად იგი კომპოზიტს წარმოადგენდა და მის შემადგენლობაში გამოსაყოფია კომპონენტი **ჭერ** „ვაშლი“. ასე, მაგალითად, ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში მოიპოვება ფორმები **ბეჭე-ჭერ** „გირჩი“, **გუქუ-ჭერ** „id.“. ყარახული დიალექტის ზოგიერთ კილოკავ თქმაში დადასტურებულია **ბაზა-ჭი** („გირჩი“), სადაც **-ჭი**- ელემენტი ასევე მიღებული უნდა უნდა იყოს „ვაშლის“ აღმნიშვნელი **ჭერ/ჭირ** ფუძის ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად. ნათელი არ არის პირველ კომპონენტთა (**ბაზა-**, **ბეჭე-**, **გუქუ-**) წარმომავლობა, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებად ხუნძურ ენაში არ იხმარება, თუმცა დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს დერივატივით გაფორმებულიც, მაგ., ყაზიბურში **ბეჭე-ქო** „გირჩი“, სადაც **-ქო** წარმოადგენს დერივატს, ხოლო ანწუხური დიალექტის თაშურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში გვხვდება ფორმა **ბაზა-ნიკ** („გირჩი“), სადაც **-ნიკ**- ელემენტის წარმომავლობაც გაურკვეველია.

„ვაშლის“ აღმნიშვნელი **ჭერ** ფუძე, როგორც ჩანს, გამოყენებულია „მცენარეული ნაყოფის“ ზოგადი მნიშვნელობით, რომლის ანალოგიურ მაგალითადაც შეიძლება დავასახელოთ სხვა მცენარეთა აღმნიშვნელი დიალექტური კომპოზიტებიც: **წონო-ჭერ** „ქაცვი“ და **ღერწილ-ჭერ** „id.“ (ანდალალური დიალექტის ზოგიერთ კილოკავ-თქმაში), რომელთა შემადგენლობაშიც მეორე კომპონენტად აშკარად გამოიყოფა „ვაშლის“ აღმნიშვნელი იგივე ფუძე; შდრ. **წონო** „ღვია“ (შულანიბის ნარევი კილოში), კომპოზიტი **წონო-ღუეტ** „ღვის ბუჩქი“ (ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურსა და თაშურ კილოკავებში. აქ მეორე კომპონენტად წარმოდგენილია **ღუეტ** „ხე“), სალიტ. ხუნძ. **ღარწი** „ქაცვი“. „ვაშლის“ აღმნიშვნელი იგივე ფუძე გვაქვს კომპოზიტშიც **ჭაუა-ჭერ**

„კომში“ (პირველი კომპონენტი აქ წარმოადგენს თურქულიდან ნასესხობას: თურქ. *ajva* „კომში“).

მეორე მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ „გირჩის“ აღმნიშვნელ დიალექტურ სიტყვებში „ვაშლის“ აღმნიშვნელი ფუძე მოგვიანებითაც შეიძლება გაჩენილიყო, ანუ შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ **ზაზაჩ** („გირჩი“) სიტყვა იმთავითვე კომპოზიტს კი არ წარმოადგენდა, არამედ სულაც დაუშლელი სიტყვა იყო, ხოლო **ჭეჩ** („ვაშლი“) ფუძის გამოცალკეება დიალექტურ სიტყვებში მოხდა ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო ფონეტიკურ მსგავსებას (ზა-ჭაჩ → ჭეჩ).

8) სხეულის ნაწილები

ქართ. **თავ-კისერი** : ხუნძ. **გაზურ-ბეტერ** (კრებითი მნიშვნელობით) (← გაზურ „კისერი“ + ბეტერ „თავი“).

ქართ. **თავ-ფეხი** : ხუნძ. **ჰეტ-ბეტერ** „კიდურები და თავი გატყავებული და გამოშიგნული საქონლისა“ (← ჰეტე „ფეხი“ + ბეტერ „თავი“). ხუნძურში კომპოზიტი **ჰეტე-ბეტერ** წარმოდგენილია შესიტყვებაშიც **ჰეტე-ბეტერ ჰაზიზე** „აფრენა“, ზედმიწ. „ფეხი-თავის ქმნა“.

ხუნძ. (ანწუხურ დიალექტში) **ბეტ'ერ-ჭიმიჭ** „კიდურები და თავი გატყავებული და გამოშიგნული საქონლისა“ (← ბეტ'ერ „თავი“ + ჭიმიჭ „ჩლიქი“) : ლაკ. **ბაკ-შაიკ** „id.“ (← ბაკ „თავი“ + შაიკ „ჩლიქი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 61; აბდულაევი 2015: 49).

ანალოგიური კომპოზიტები დასტურდება დიდოურ და ბეჟიტურ ენებშიც: დიდ. **ყიმ-ჯოშო** (← ყიმ „თავი“ + ჯოშო „ფეხი“), ბეჟ. **ყამ-ხაზა** (← ყამ „თავი“ + ხაზა „ფეხი“) (არდოტელი 2020: 57).

ლაკურ ენაშივე მოიპოვება ანალოგიური სტრუქტურის კომპოზიტი **ბაკ-ჩაან**, ზედმიწ. „თავი-ფეხი“, ოღონდ დენოტატი სრულიად განსხვავებულია – „ტერფს“, „ფეხისგულს“ აღნიშნავს. ასეთივე კომპოზიტი დასტურდება დარგულშიც: **ბეკ-ყაშ** „ტერფი“, ზედმიწ. „თავი-ფეხი“ (აბდულაევი 2015: 36).

ქართ. **თავი** და **ბოლო** : ხუნძ. ხუნძ. **ბეტერ-მად / ბეტერ-რაჭა** „დასაწყისი და დასასრული“, „თავი და ბოლო“ (← ბეტერ „თავი“ + მად // რაჭა „კუდი“) : ლაკ. **ბაკ-მად** „id.“ (← ბაკ „თავი“ + მად „კუდი“).

სამსავე ენაში სომატონიმებია გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით.

სალიტერატურო ქართულში **თავი** და **ბოლო** უპირატესად იხმარება განცალკევებულ სიტყვათა სახით, მაგ., **თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს ამას კაცი**. გვაქვს ამ სიტყვათაგან შედგენილი კომპოზიტური ზედსართავი სახელი – **უ-თავ-ბოლო**. საყურადღებოა **ბოლო** სიტყვის გამოყენება ქართულში ფრინველის კუდის სახელწოდებადაც, მაგ., ზოგიერთი ფრინველის აღმნიშვნელ კომპოზიტებში **ბოლობეჭედა**, **ბოლოქანქარა (ბოლოქანქალა)**.

ლაკურში გვხვდება კომპოზიტის წევრთა შებრუნებული წყობაც შესიტყვებაში **მალ-ზაკ დაჯასა** „გაუგებარი (საუბარი, ლაპარაკი)“, ზედმიწ. „კუდი-თავი უქონელი“.

ქართ. **უ-თავ-ბოლო-დ** : ხუნდ. **ხეტერ-მად (/რაჰ) ჰეჰოგო** „აბნეულად“, „არეულ-დარეულად“, „გაუგებრად“; ზედმიწ. „თავ-კუდის გარეშე“ : ლაკ. **ზაკ-მალ დაჯასა** „აბნეული“, „არეულ-დარეული“, „გაუგებარი“; ზედმიწ. „თავი-კუდი უქონელი“.

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 60, 80; აბდულაევი 2015: 48, 65).

ქართ. **ხელ-ფეხი** : ხუნდ. **ჰეტე-ქჰერ** „კიდურები“ (← ჰეტე „ფეხი“ + ქჰერ „ხელი“) : ლაკ. **ქვა-ჩან** „id.“ (← ქვა „ხელი“ + ჩან „ფეხი“), მრ. რ. **ქჰარუ-ჩანნუ** .

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 72; აბდულაევი 2015: 59).

ქართულ და ლაკურ კომპოზიტებში კომპონენტთა წყობა იდენტურია. ანალოგიური შედგენილობისაა ანდიურ ენაში კომპოზიტი **რე-ლა-რედილ** (← რელა „ხელი“ + რედილ „ფეხი“) (ცერცვაძე 1965: 179).

ხუნძურის ანალოგიური კომპოზიტი არსებობს დიდოურ ენაში: **ცოლ-რეტა** (← ცოლ „ფეხი“ + რეტა „ხელი“) (არდოტელი 2020: 57).

ქართ. **ხელ-მხარი** „ხელი და მხარი“ (ქეგლ) : ხუნდ. **ლექ-ქჰერ** (← ლექ „მხარი“ + ქჰერ „ხელი“)

ქართ. **თვალ-წარბი** : ხუნდ. **ტენსჰერ-ბერ** (← ტენსჰერ „წარბი“ + ბერ „თვალი“).

ქართ. **თვალი** და **პირი** → **თვალ-პირი** → **თოლ-პირი** // **თორპილი** „სახე“, „ლოყა“ (დიალ.); **პირ-სახე** // **პირი-სახე**, **ცხვირ-პირი** : ხუნდ.

ბერ-კალ „სახე“ (← ბერ „თვალი“ + კალ „პირი“); **ჰუმეკალ** „სახე“ (დიალ.) (ჰუმერ „სახე“ + კალ „პირი“), **ჰომერ-კალ** „ცხვირ-პირი“ (დიალ) (← ჰომერ „ცხვირი“ + კალ „პირი“).

ხუნძურში გვხვდება სამკომპონენტის კომპოზიციც **ბერკალ-რაწა** „პირსახოცი“ (← ბერ „თვალი“ + კალ „პირი“ + რ-აწა- ფუძე კლას-ნიშნისანი ზმნისა ბ-ა-წა-ი-ნე „წმენდა“, „გასუფთავება“).

ხუნძური კომპოზიტი **ბერ-კალ** წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებშიც: **ბერ-კალ ჩურიზე** „სახის დაბანა“, ზედმიწ. „თვალ-პირის დაბანა“ (შდრ. ქართ. *ხელ-პირის დაბანა*); **ბერ-კალ ჰაბი-ზე** „სახის დამანჭვა“, აგრეთვე „თვალის ჩაკვრა“, ზედმიწ. „თვალ-პირის ქმნა“. ამ კომპოზიტის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს ანდიურ ენაში **ჰარკუ-კოლ** „პირისახე“ (← ჰარკუ „თვალი“ + კოლ „პირი“) (ცერცვაძე 1965: 179).

ეგვე კომპოზიტი დასტურდება კომპონენტთა შებრუნებული წყობითაც: **კალ-ბერ** „სახე“, ზედმიწ. „პირ-თვალი“

„სახის“ მნიშვნელობით ხუნძურ ენაში ფართოდ არის გავრცელებული მეორე სიტყვაც – **ჰომერ** // **ჰუმერ**. აღსანიშნავია, რომ ყელეზურ ნარევ კილოში **ჰომერ** სიტყვას სემანტიკური გადასვლის ნიადაგზე განვითარებია მნიშვნელობა „ცხვირი“¹, ხოლო თვითონ „სახის“ მნიშვნელობით ამ კილოში გამოიყენება თხზული სახელწოდება **ჰომერ-კალ**, ზედმიწ. „ცხვირ-პირი“. ანალოგიურად შედგენილი კომპოზიტი გვხვდება ანწუხური დიალექტის თაშურ-კილოკავშიც: **ჰუმეკალ** (← ჰუმერ-კალ) „სახე“, ზედმიწ. „სახე-პირი“; შდრ. ქართ. **ცხვირ-პირი** („სახის“ მნიშვნელობით), აგრეთვე – **პირ-სახე** // **პირი-სახე**.

ხუნძური **ბერ-კალ** „სახე“ (ზედმიწ. „თვალი-პირი“) კომპოზიტს გარკვეული ანალოგი ეძებნება ქართული ენის მთის დიალექტებში (ფშაურში, ხევსურულში), თუმცა ხევსურულში კომპოზიტი ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც რამდენადმე გადასხვაფერებულია: ხევს. **თორპილი** „ლოყა“ ← **თოლ-პირი** ← ფშ. **თვალ-პირი** „სახე“. ხევსურული კომპოზიტის სემანტიკური გადააზრიანება და მნიშვნელობის დავიწროება ნ. არდოტელს ასე აქვს წარმოდგენილი: **თვალ-პირი** (თვალი და პირი) → **თოლ-პირი** (პირისახე) → **თორპილი** (ლოყა, ღაწვი) (არდოტელი 2020: 56).

¹ ანდალალური დიალექტის ზოგიერთ კილოკავ-თქმაში სემანტიკური გადასვლის პროცესი კიდევ უფრო შორს არის წასული: **ჰომერ** „ცინგლი“ (სოფ. ქუდალიბის თქმაში), **ჰუმერ** „ცინგლი“ (სოფ. რუღვაბის თქმაში), ანუ ამ თქმებში ადგილი ჰქონია სემანტიკურ პროცესს „ცხვირი“ → „ცინგლი“.

ხუნძური სიტყვა **ჰუმერ** („სახე“) გვხვდება აგრეთვე კომპოზიტში **ჰუმერ-წარ** „პიროვნება“, ზედმიწ. „სახე-სახელი“, შდრ. რუს. личность (← лицо „სახე“). ინტერესს იწვევს ქართულში **პირ**- ფუძის გამოყენება ადამიანთან, ინდივიდთან მიმართებით: **პირ**-ი, **პირ**-ოვნ-ებ-ა, **პირ**-ად-ი... ამ თვალსაზრისით, თუ ადამიანს შევუპირისპირებთ სხვა არსებებს, ვნახავთ ერთობ საგულისხმო ვითარებას:

პირი – ქართულში გულისხმობს ადამიანს, ინდივიდს.

სული – გულისხმობს ცხოველს, ძირითადად შინაურ პირუტყვს (შდრ. **სულ**-იერ-ი, **სულ**-დგმულ-ი), თუმცა ითქმის ადამიანის შესახებაც. გამოიყენება ცოცხალ არსებათა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: „ასი სული ძროხა“, „ასი სული ცხვარი“ და ა.შ., შდრ. რუს. поголовье „პირუტყვის სულადობა“ (← голова „თავი“), сто голов овец „ასი სული (ზედმიწ. „თავი“) ცხვარი“.

ფრთა – გულისხმობს ფრინველს. გამოიყენება შინაურ ფრინველთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: „ასი ფრთა ქათამი“ და ა.შ.

ქართულში უხვად მოიპოვება მაგალითები, **პირი** სიტყვის გამოყენებისა „ადამიანის სახის“ მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ ასეთი მნიშვნელობა **პირი** სიტყვას აქვს ხოლმე იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს კომპოზიტის ან მყარი შესიტყვების წევრს, ხოლო თავისუფალ შესიტყვებათაგან შედგენილ წინადადებებში გამოიყენება ხოლმე სიტყვა **სახე**.

მაგალითად, კომპოზიტებში: **პირ**-ბადე, **პირ**-საბანი, **პირ**-სახოცი, **პირ**-ჯვარი, **პირი**-მზე, **პირ**-და-**პირი**, **პირ**-ნათელი, **პირ**-მშვენიერი, **პირ**-შავი, **პირ**-ქუში, **პირ**-ოფლიანი... ძვ. ქართ.: **პირის**-საფარველი, **პირ**-დაბურვილი, **პირ**-ბედნიერი, **პირ**-მხიარული, **პირ**-კეკლუცი, **პირ**-მწყაზარი, **პირ**-მრგული, **პირ**-ფართოფ, **პირ**-ჭორფლიანი, **პირ**-მსივანი (სარჯველაძე 2004: 492-493)...

სალიტერატურო ქართულში კომპოზიტი **პირსაბანი** სავსებით ჩვეულებრივი სიტყვაა, მაგრამ საინტერესოა, რომ ხევსურულში სრულიად სხვა დენოტატი აქვს სიტყვას **პირისაბანი**, კერძოდ, „ჯვართ ენა-ზე“¹ ასე ეწოდება საკლავს, სანათლავს (ცხვარს, ბატკანს) (ჭინჭარაული

¹ **ჯვართ ენა** „ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრება, რომელსაც ადგილობრივნი „ჯვართ ენას“ ეძახდნენ. ხალხის წარმოდგენით ღვთაებათა წმინდა ენა იყო, რომელსაც ქადაგი ამა თუ იმ მოვლენისა, საგნისა თუ სხვათა გამოსახატავად ხმარობდა“ (ოჩიაური 1954: 128). ბ. ფოჩხუას დახასიათებით, „ლინგვისტისათვის „ჯვართ ენა“ საინტერესოა იმითაც, რომ ჩვეულებრივი ლექსიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით (და ჟარგონთა მსგავსად) აქ მკაფიოდ ჩანს სახელდების ნებისმიერობა“ (ფოჩხუა 1974: 210).

2005). ხევსურულში დასტურდება ერთი თავისებური კომპოზიტიც – **პირისერი** „პირისახე“, აგრეთვე შესიტყვება **პირისერს შაურევს** „სახეზე დაჭრის“. ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტად გამოიყოფა სიტყვა **სერი** „შესახედაობა, სახე, გარეგნობა“. ეგვე სიტყვა გვაქვს ხევსურული-სავე კომპოზიტებში **სერ-ფერი**, **სერ-ნაწ[ე]რი** „შესახედაობა“, **სერკორციანი** „კარგი, ლამაზი (კაცზე, ქალზე, უფრო სახეზე ითქმის“ (ჭინჭარაული 2005).

ხევს. დიალ. კომპოზ. **პირშასამყრელო** „მოსისხლეთა შესარიგებლად გამართული ცერემონიალი“ (ჭინჭარაული 2005).

საყურადღებოა **პირ** ფუძის პოვნირება ზმნისართებში **პირ-ის-პირ**, **პირ-და-პირ**, **პირ-იქით**, **პირ-აქეთ**, **პირ-უკუ**, რომლებშიც **პირ-**ეტიმოლოგიურად „სახეს“ უკავშირდება; ადამიანის „სახე“ აქ გვევლინება ორიენტირად.

სიტყვა **პირი** „სახის“ მნიშვნელობით ფრიად ნიშანდობლივია იდიომატური გამოთქმებისათვის:

მზე პირს იბანს, პირს მოჰბანს, პირს იბრუნებს, პირს (ა)არიდებს (მოარიდებს), პირი ერცხვინება, (ცხვირ-)პირი-ჩამოსტირის, პირი ქვისკენ მიქნია, პირი ქნა (საითკენმე), პირს აქნევინებს (საითკენმე), პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებული, პირი პაპაჩემისკენ მიაქვს, პირს შეაქვევს, პირს უქვევს, პირს მიიქვევს, კარგი (ცუდი..) პირი უჩანს, პირს უჩვენებს, პირს კატა ეცემა, პირზე აენტება, პირში აფურთხებს, პირში თქმა, პირზე მური ჩამოსვს... (სახოკია 1979: 488-503, ონიანი 1966: 125-129, ბეროზაშვილი 2010: 74-75).

ეთნოგრაფიული რეალიების ამსახველ შესიტყვებებში:

პირის ნახვა „ქალის გასინჯვა, სათხოვნელად მისვლა“; **პირის სა-ნახავი** „მოსაკითხი, საჩუქარი ქალის გასინჯვისას (თუ მოეწონათ); ახლად გათხოვილი ან მშობიარე ქალისათვის“ (ქეგლ).

[პირის გაშავება] → კომპოზ. **პირშავი** „დამნაშავე, მტყუანი, უნამუსო, უსინდისო, უსირცხვილო, უპირწყლო, სახელგატეხილი, უპირული“ (სახოკია 1979: 499). თ. სახოკიას ცნობილი განმარტებით, „ძველად საქართველოში (ქართლში მეოცე საუკუნის დასაწყისამდე) ერთ-ერთი სახე დამნაშავის დასჯისა – პირისახეზე საჯაროდ მურის წასმა ანუ პირის გაშავება იყო. მოსამართლეებად სოფლის თავი კაცები იყვნენ. ესენი დამნაშავეს (ქურდობა, მემავობა) მურით ან ნახშირით პირის სახეს გაუშავებდნენ; თუ ქურდი იყო, ყელზე ნაქურდალს ჩამოჰკიდებდნენ და ისე ჩამოატარებდნენ სოფელში კარდაკარ. დამნაშავე ყველას წინაშე აღიარებდა თავის დანაშაულს, თავის „პირშავობას“ და „პირნათელებში“ (უდანაშაულობებში) ვერ გაერეოდა... დღეს, როცა

ვინმეს რისამე გაკეთებას დავპირდებით და სრულებით დაგვაგვიწყდება დანაპირები, მოყვასი რომ შეგვხვდება, მოსაბოდიშებლად ვეტყვით: შენთან პირშავადა ვარო, ე.ი. დამნაშავე ვარ, მაპატიეო. პირშავის მეტოქე სიტყვაა **პირნათელი**, ხოლო პირშაობისა – **პირნათელობა**“ (სახოკია 1979: 499; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

ქართ. **პირშავი** „პირობის, ფიცის გამტეხი, – უპირო, შერცხვენილი; უსინდისო, უნამუსო“ (ქეგლ.) : ხუნძ. **ჰომერჭეზერლი** „უპატიოსნობა“, „დამნაშავეობა“, ზედმიწ. „სახესიშავე“ (← ჰომერ // ჰუმერ „სახე“ + ჭეზერლი „სიშავე“) : ლაკ. **ლაჟინ ლუჭისა** „დამნაშავე“, „უნამუსო“, „შერცხვენილი“ (რამაზანოვა 2005: 140, აბდულაევი 2018: 457); ზედმიწ. „სახე შავი“ (← ლაჟინ „სახე“ + ლუჭისა „შავი“); **ლაჟინ ლუჭი დან** „თავის შერცხვენა“ (რამაზანოვა 2005: 140), ზედმიწ. „სახის შავად ქმნა“; **ლაჟინ – ლუჭირ, მაზ – ქუტარ** „სახე შავი, ენა მოკლე“ (რამაზანოვა 2005: 140), ე.ი. როდესაც ადამიანი უნამუსო და შერცხვენილია, მას ხმა აღარ ამოელდება.

ქართ. **პირნათელი** „კეთილსინდისიერი, მართალი, პატიოსანი“ : ხუნძ. **ჰომერჯაკლი** „პატიოსნება, უდანაშაულობა“, ზედმიწ. „სახესითეთრე“ (← ჰომერ // ჰუმერ „სახე“ + ჯაკლი „სითეთრე“), **ჰუმერჯაკგო** „კეთილსინდისიერად, პატიოსნად“, ზედმიწ. „სახეთეთრად“, **ჰომერჯაკლი ჰაბიზე** „სიკეთის ქმნა“, ზედმიწ. „სახესითეთრის ქმნა“ : ლაკ. **ლაჟინ კალასა** „პატიოსანი“, ზედმიწ. „სახე თეთრი“; **ლაჟინ კალა ულ ქუნ(მ)ა** „თეთსახიანი ძროხასავით“ (რამაზანოვა 2005: 141), ე.ი. „ვითომ პატიოსანი“.

ქართ. **ცხვირ-ტუჩი** „ცხვირ-პირი“, „სახე“ (ქეგლ.) : ლაკ. **მაჟ-მურჩი**, „სახის ქვედა ნაწილი“, ზედმიწ. „ცხვირტუჩი“ (← მაჟ „ცხვირი“ + მურჩი „ტუჩი“, „ბაგე“).

ხუნძურ ენაში ანალოგიური კომპოზიტი არ დასტურდება.

ქართ. **ენა-პირი** : ხუნძ. **კალ-მაწი** „ენა“, „მეტყველება“ (← კალ „პირი“ + მაწი „ენა“).

ქართ. **ტუჩ-პირი** : ხუნძ. **კუეტ-კალ** „სახის ნაწილი პირის ირგვლივ“ (← კუეტ „ტუჩი“, „ბაგე“ + კალ „პირი“).

ქართ. **ხელ-პირი, ხელ-პირის დაბანა** : ლაკ. **ლაჟინ-ქა** (← ლაჟინ „სახე“ + ქა „ხელი“), **ლაჟინ-ქა შუშინ**, ზედმიწ. „სახე-ხელის დაბანა“.

ხუნძურში მოიპოვება შეერთებითი კომპოზიტი **ქუერ-ბერ**, ზედმიწ. „ხელი-თვალი“; მაგ., შესიტყვებაში **ქუერ-ბერ ჩურიზე** „ხელ-პირის (ზედმიწ. „ხელ-თვალის“) დაბანა“.

ქართ. **გულ-მკერდი** : ხუნძ. **ქერენ-რაკ** (← ქერენ „მკერდი“ + რაკ „გული“).

კომპონენტთა სხვაგვარი თანმიმდევრობის გარდა, ხუნძური კომპოზიტი სემანტიკითაც განსხვავდება ქართულისაგან, კერძოდ, ხუნძურში იგი გამოხატავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, ხოლო ქართულში მას ოდენ ანატომიური გაგება აქვს; მაგ., ხუნძ. **ქერენ-რაკ ყუარილანა** „დამწუხრდა“, „დანალვლიანდა“, ზედმიწ. „მკერდ-გული დაუვიწროვდა“ (შდრ. ქართ. **გული მოეწურა**); **ქერენ-რაკ რაჰუნ ანა** „გუნება-ხასიათი გამოუკეთდა“, „გახალისდა“, ზედმიწ. „მკერდ-გული გაეხსნა-რა წავიდა“ (შდრ. ქართ. **გულზე მოეშვა**).

სტრუქტურულად ხუნძურის ანალოგიურია დიდოურ ენაში კომპოზიტი **ჰამო-როკუ** „გულმკერდი“ (← ჰამორი „მკერდი“ + როკუ „გული“) (არდოტელი 2020: 58-59), აგრეთვე ბოთლიხურსა და კარატაულში – **ნიხი-რაკუა** (← ნიხი „მკერდი“ + რაკუა „გული“), ბაგვალურში – **ნიჰ-რაკუა** (← ნიჰ „მკერდი“ + რაკუა „გული“) და სხვ. (არდოტელი 2021a: 21).

ლაკურ ენაში ანალოგიური კომპოზიტი არ დასტურდება.

ხუნძ. **ჰან-ჰარცოლ ქერენ** „ქალის ლამაზი მკერდი“ (უსლარი 1889: განყ. II: 96), ზედმიწ. „ყველ-ვერცხლის მკერდი“ (← ჰან „ყველი“ + ჰარცოლ „ვერცხლისა“ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჰარაც „ვერცხლი“], ქერენ „მკერდი“); **ჰარცულ ქერენ**, ზედმიწ. „ვერცხლის მკერდი“; **ქერენ ჰარცულაი**, ზედმიწ. „მკერდ ვერცხლისა[ქალი]“; **ჰანილ ქერენ**, ზედმიწ. „ყველის მკერდი“ : ლაკ. **არცულ ჯაზამ** „ქალის ლამაზი მკერდი“, ზედმიწ. „ვერცხლის მკერდი“; **კალა-არცულ ჯაზამ** „id.“, ზედმიწ. „თეთრ-ვერცხლის მკერდი“; **წუნისირალ ჯაჰრუ** „მამაკაცის ლამაზი მხრები“, ზედმიწ. „ახალი ყველის (/„ახალი ხაჭოს“) მხრები“ (← წუნი-სირალ [ნათ. ბრ.-ის ფორმა სიტყვისა წუნის „ახალი ყველი“, „ახალი ხაჭო“ ← წუ- „ახალი“ + ნის „ყველი“, „ხაჭო“] + ჯაჰრუ „მხრები“, მხ. რ. ჯაჰ „მხარი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, ლაკურში არის „მამაკაცის მხრები“, ხუნძურში – „ქალის მკერდი“, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ისინი შედარებულია „(ახალ) ცხვრის ყველთან“ (აბდულაევი 2013: 91, აბდულაევი 2015: 75).

„ვერცხლის მკერდი“ გავრცელებულ ეპითეტს წარმოადგენს პოეზიაში; მაგ., ერთ-ერთ ხუნძურ ხალხურ სიმღერაში:

| | |
|------------------------------------|---|
| ჟოტულესულ ებელ ტეიდან აქანი | „სატრფოს დედა სათხოვნად თუ მოვიდა |
| ტააში რასანდულა შარცულ ქარანდა. | კრავები დაკუნტრუმებენ ვერ- ცხლის მკერდზე“ (ჰაიბულაევი, ჰაიბულაევა 2004: 176). |

შედარებაში **ჰან-შარცულ ქერენ**, ზედმიწ. „ყველ-ვერცხლის მკერდი“, „ყველი“ გვევლინება შემადგენელ ნაწილად **ქერენ** („მკერდი“) სიტყვასთან მსაზღვრელად ხმარებული კომპოზიტისა **ჰან-შარცულ** („ყველ-ვერცხლის“) და მეტაფორულად გულისხმობს „თეთრს“ (ე.ი. „თეთრი მკერდი“); ანალოგიისათვის შდრ. ლაკურ ფოლკლორში გავრცელებული მყარი შესიტყვება-ეპითეტი **ქაჩარ ჩურხ**, ზედმიწ. „შაქარი ტანი“; ასევე: **ქაჩარდანულ ჩურხ**, ზედმიწ. „შაქრის ტანი“ (აბდულაევი 2018: 345) ან **ქაჩარუნნილ ჩურხ** „id.“, რომელშიც „შაქარი“ ასევე „თეთრს“ აღნიშნავს მეტაფორულად და ადამიანის სილამაზის გამომატველად გვევლინება. მაგალითად:

| | |
|--------------------------------------|--|
| თულ აზიზ ჰალმადალ ქაჩარუნნილ ჩურხ | „საყვარელი სატრფოს [ვაჟის] შაქრის ტანი |
| ცუ ცუმურ მურხირადნ ბურწილ ლავსრივავ? | რომელ ხესთან მიათრიეს ნეტავ მგლებმა?“ (ლაკური სიმღერები 1969: 163). |

ასეთი შედარება არც ხუნძურისთვისაა უცხო; მაგალითად, ერთ-ერთ სიმღერაში:

| | |
|-------------------------------------|---|
| ჩაქარულაბ დირ ჰან ყოტიზე- დილან, | „ჩემი შაქარა ხორცის დასაჭრელად, |
| ჩარხიდე ქუნ რუგო ლეზალალ ნუსალ. | სხეულს ჩამასვეს ბასრი დანები“ (ხუნძური სიმღერები 1971: 166). |

გარდა იმისა, რომ ყველი თეთრია, იგი იჭმევა და ხუნძურ ხალხურ პოეზიაშიც არის ეს ასახული:

უად დურ ჭუჭიგო შიბ, დურ
ჭუჭიგო შიბ!
დირ ჰანჰარცულ ქერენ ქინ
ქჷანალარებ?
დურ ბახილლიგო შიბ, ბა-
ხილლიგო შიბ!
მესედილ ქარანდა ქჷერ შაად
ლოლარებ?

„ვაი, რა ამპარტავანი ხარ, რა ამ-
პარტავანი!
ჩემ ყველვერცხლის მკერდს რო-
გორ არ ჭამ?
რა ძუნწი ხარ, რა ძუნწი!
ოქროს მკერდზე ხელს რატომ არ
მადებ?“
(ჰაიზულაევი, ჰაიზულაევა 2004: 176).

ხუნძური ენისათვის სპეციფიკური იდიომატური გამოთქმა **ქე-
რენ ქჷინე** „მკერდის შეჭმა“, პოეზიაში გამოხატავს სატრფიალო ვნებებ-
თან დაკავშირებულ გრძნობებს; მაგ.:

ცოგი მატეილ ბინანა
მადილ ჭუჭაბ ჭოროლო,
ჭჷან ჰინალ რაკ ბაჯულებ,
ჰანილ ქერენ ქჷანალებ.

„ერთხელ სიზმრად ვიხილე
ყანაში კოხტა მწყერი,
მომკვლელი, გულის ამომგლეჯი,
ყველის მკერდის მჭამელი“.
(ჰაიზულაევი, ჰაიზულაევა 2004: 168).

ამრიგად, ქალის მკერდი ხუნძურ ენაში შედარებულია „ყველ-
თან“, „ვერცხლთან“ და, ასევე, მეორე, უფრო ძვირფას ლითონთანაც –
„ოქროსთან“ (ეს უფრო იშვიათად). აღსანიშნავია, რომ ამ ენაში „ოქრო“
გამოყენებულია, აგრეთვე, სხეულის სხვა ნაწილის – კისრის – სილამა-
ზის გამოსახატავად. ქალის ლამაზი კისერი დახასიათებულია ასე – **მე-
სედილ გაბურ** „ოქროს კისერი“; მაგალითად, ხალხურ სიმღერაში:

ალაზან რაჭალდა ჭარაც ბათა-
აჷ,
ჭარცულ დირ ქარანდა ქჷერ
ლოუნ ინარი?
ქორალჷულ რატანდა მესედ ბა-
თადაჷ,
მესედილ გარბიდა ყჷალ ბან
ინარი?

„ალაზნის პირას ვერცხლი გემო-
ვოს [ვაჟო],
ვერცხლის მკერდზე ხელს არ და-
მადებ?
მტკვრის სათავესთან ოქრო გემო-
ვოს [ვაჟო],
ოქროს კისერზე არ მომეხვევი?“
(ხუნძური სიმღერები 1971: 129).

ასე მიმართავს სიმღერაში ქალი თავის სატრფოს – გზას ულოცავს ვაჟს, რომელიც ემზადება საქართველოს წინააღმდეგ მძარცველურ ლაშქრობაში გამგზავრებისათვის, ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩასაგდებად.

ქართ. **გულ-ღვიძლი** : ხუნძ. **ტულ-რაკ** „შიგნეულობა“ (← ტულ „ღვიძლი“ + რაკ „გული“) : ლაკ. **დაკ-თაილიკ** „შიგნეულობა“ (← დაკ „გული“ + თაილიკ „ღვიძლი“).

ქართულსა და ლაკურში კომპონენტთა თანმიმდევრობა იდენტურია. ანალოგიური კომპოზიტი დასტურდება ბეჟიტურ ენაში: **აკო-შეზო** (← აკო „გული“ + შეზო „ღვიძლი“) (არდოტელი 2020: 57).

ხუნძურ ენაში ეგვევ კომპოზიტი გამოხატავს ადამიანის სულიერ მდგომარეობასაც, მაგ., ტულ-რაკ ტუჟატუნ ქანა ჰარი მესედუ „გული (ზედმიწ. „ღვიძლ-გული“) გაუსკდა ჰარი მესედუს“ (ხუნძური სიმღერები 1971: 285), ტულ-რაკ ბეჟულეზ ბუგო „შიგანი (ზედმიწ. „ღვიძლ-გული“) იწვის“.

ქართ. **ძვალ-რბილი** „ძვალი და ხორცი, მთელი სხეული ერთიანად“ (ქეგლ) : ხუნძ. **რატა-ჰან** „ძვალი და ხორცი“ (← რატა „ძვალი“ + ჰან „ხორცი“).

გვაქვს ძირითადად იდიომატურ გამოთქმებში: *სიცივე ძვალ-რბილში ატანს, ძვალ-რბილს გაურთიანებს.*

ხუნძურში გვხვდება სხვაგვარ კონტექსტში: *ჟეგი რატა-ჰან ყაჭეჟ შოლილაჟ „მოუძწიფარი ყმაწვილი“, ზედმიწ. „ჯერ ძვალ-ხორც გაუმაგრებელი ყმაწვილი“; შდრ. ქართ. ძვალგაუმაგრებელი „ვისაც ჯერ კიდევ ძვალი არ გამაგრებია, ზრდა არ დაუმთავრებია, მოზარდი“ (ქეგლ).*

ქართ. **ძვალი** და **ტყავი** : ხუნძ. **რატა-კაჩა** „ჩონჩხი“, ზედმიწ. „ძვალი-ტყავი“.

ქართულში სიტყვათა წყვილი **ძვალი** და **ტყავი** გამოხატავს მეტისმეტ სიგამხდრეს, სიმჭლევეს; მაგ., *ცარიელი ძვალი და ტყავია ის.* სიტყვათა ამ წყვილისაგან ნაწარმოებია კომპოზიტური ზმნა **გა-ძვალ-ტყავ-ებ-ა** „მეტისმეტად გახდომა, დამჭლევება“ და, აგრეთვე, „გადატაკება“. მისი მიმღეობაა **გა-ძვალ-ტყავ-ებ-ულ-ი** „მეტად გამხდარი, მჭლე“, აგრეთვე „გადატაკებული“.

ანალოგიური მნიშვნელობა დასტურდება ხუნძურში: *რატა-კაჩა ხაუტუნ ბუგო დოსაულ „ჩონჩხად იქცა ის“, ზედმიწ. „ძვალ-ტყავი დარჩა მისგან“.*

ქართ. **თმა-წვერი** : ხუნძ. **ბეტერ-მეგეჟ** „თავი და წვერი“ (კრებითი მნიშვნელობით) (← ბეტერ „თავი“ + მეგეჟ „წვერი“ : ლაკ. **ბაკ-ჭირი** „თავი და სახე“, „თავისა და სახის თმიანი საფარველი“.

ხუნძურ და ლაკურ კომპოზიტებში „თავის“ აღმნიშვნელი კომპონენტები **ბეტერ** (ხუნძ.), **ბაკ** (ლაკ.), როგორც ჩანს, გამოხატავენ „თმის“ მნიშვნელობას.

ქართულში გვაქვს სამკომპონენტის კომპოზიტიც – **თმაწვერულვაში**.

ხუნძურში შესაძლებელია კომპონენტთა პირიქითი წყობაც: **მეგეჟ-ბეტერ**, ზედმიწ. „წვერი-თავი“.

ქართ. **წვერ-ულვაში** : ხუნძ. **მიჯ-მეგეჟ** (← მიჯ „ულვაში“ + მეგეჟ „წვერი“) : ლაკ. **საირსაი-ჭირი** (← საირსაილუ „ულვაში“ + ჭირი „წვერი“).

ხუნძ. **ლადიჰოდ** „კისრის პირველი მალა, ატლანტი“, ზედმიწ. „მონის მალა“ (← ლად „მონა“, ნათ. ბრ. ლად-ი-ლ + ჰოდ „კისრის მალა“). დიალექტური ვარიანტებია: **ლადჰოდ**, ზედმიწ. „მონა ატლანტი“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში; იხ. საიდოვა 2008: 231), ან მხოლოდ **ლად** „id.“, ზედმიწ. „მონა“ (საიდოვა 2008: 231) : ლაკ. **ჯალიკუ** „id.“

ი. აბდულაევის ცნობით, „ლაკი ხალხის ჩვეულებათა თანახმად, ატლანტი (ანუ კისრის პირველი მალა – ლ.ა.) მიიჩნეოდა „მონურ ძვლად“ და მეჩეთებში როცა მრევლს ურიგებდნენ ხოლმე მეჩეთების შემოსავლებით მიღებულ ხორცს, ამ ძვლის შემცველ ნაწილს ხშირად აძლევდნენ („ჩამოაცილებდნენ“ – ამას ერქვა **ჯალიკუ დუჰან** „ატლანტის ჩამოჭრა/ჩამოცილება“) მონათა ფენისგან წარმომავალ ადამიანს. ამის გამო, დროდადრო აყალმაყალი ხდებოდა. არც თუ იშვიათად იყო ხოლმე, რომ ატლანტს თუ შეაძლევდნენ ვინმეს, ეს უკანასკნელი აღშფოთებით იტყოდა: „მაშ მე ვარ ის, ვისთვისაც ჩამოჭრიან, ჩამოაცილებენ მონურ ძვალსა?“ და სახეში მიახლიდა ამ ნაჭერს იმას, ვინც მისცემდა. ასეთი შემთხვევებისა და თვითონ წეს-ჩვეულების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით წერს ალი ყადაევი¹ (იხ. მისი „მასალები ლაკური ენისა და ისტორიის შესახებ“, გვ. 3010). ამგვარი ეპიზოდი აღწერილია მწერალ ა. მუდუნოვის რომანში „სისხლში გზნებული ცეცხლი“. მიუ-

¹ **ალი ყადაევი** (1878-1943) – ლაკი განმანათლებელი, მეცნიერი და მოაზროვნე. ავტორი ნაშრომებისა ლაკური ენის გრამატიკისა და ლექსიკოგრაფიის, ლაკი ხალხის ისტორიის შესახებ (ლ.ა.).

ხედავად იმისა, რომ ხუნძ. **ლადიპოდ** „კისრის პირველი მალა“ (სიტყვასიტყვით „მონის მალა“) და ლაკ. **ჯალიკუ** (ალბათ უნდა ნიშნავდეს: „ის, რაც არ ეთავსება სხვა ნაწილს“. ხომ არ წარმოდგება იგი ჯა „არა“ ნაწილაკისა და ზმნისაგან ლიკ-უ ← ლიჭ-ინ „ძნელად მოთავსება, ჩატენვა“?) არც ეტიმოლოგიურად, არც მასალობრივ ერთიმეორეს არ ეფარდებიან, სახელწოდების ხუნძური ფორმის გამჭვირვალეობა როგორღაც ნათელს ჰფენს ლაკური ძველი ჩვეულების მოტივებს. სავსებით აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორივე ხალხის საზოგადოებრივ-ყოფითი წყობისა და ჩვეულებათა ურთიერთგავლენის ფაქტთან, ამ ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფორმირებულ ერთგვაროვან მოვლენებსა (წარმოდგენა-შეხედულებებსა) და ქცევის სტერეოტიპებთან“ (აბდულაევი 2013: 72-73; აბდულაევი 2015: 59-60; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

ხუნძ. **ბუჰნალაგა** „ბეჭი“ (← ბუჰუნ „ხის ნიჩაბი მარცვლეულის გასანიავებლად ან სახურავის თოვლისაგან გასაწმენდად“. მისი დიალექტური მნიშვნელობა არის, აგრეთვე, „კოვზი“; ნათ. ბრ. ბუჰნ-ა-ლ + ლაგა „სხეულის ნაწილი“, „ორგანო“) : ლაკ. **ჯუსალიჩა** „ბეჭი“ (← ჯუსა „კოვზი“ + ლიჩა „ძვალი“) : დარგ. **კატა-ყულსა** „ბეჭი“ (← კატა „ნიჩაბი“ + ყულსა „კოვზი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 73-74; აბდულაევი 2015: 60).

ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **ბუჰუნ** აღნიშნავს „ბეჭის ძვალს“, ხოლო სალიტერატურო ხუნძურში – როგორც „ბეჭის ძვალს“, ასევე „ხის ნიჩაბს“ (საიდოვა 2008: 82). ამ ენის ყარახულ დიალექტში და, აგრეთვე, ბაწადურ, ქულაბურ, შულანიბურ ნარევ კილოებში **ბუჰუნ** სიტყვის მნიშვნელობაა „კოვზი“ (საიდოვა 2008: 113).

სახელდების ანალოგიის თვალსაზრისით, შდრ. რუს. лопатка „ბეჭი“, лопат-ка „პატარა ნიჩაბი“, лопата „ნიჩაბი“.

ხუნძური ენის ჰიდურ დიალექტში გამოიყოფა -**ლა** ელემენტი ნაწარმოებ სიტყვებში **ბუჰნა-ლა** „ბეჭის ძვალი“, **რუხი-ლა** „მენჯის ძვალი“ (საიდოვა 2008: 82, 85), ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **ჰანდა-ლა** „ყბა“ (საიდოვა 2008: 408), ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) **ურჰისა-ლა** „თირკმელი“.

როგორც სხვა დიალექტთან მონაცემებთან შედარება გვიჩვენებს, ეს -**ლა** მომდინარეობს დამოუკიდებელი სიტყვისაგან **ლაგა** „სხეულის ნაწილი, ორგანო“, რომელსაც აღნიშნულ სიტყვებში მოკვეცია ბოლო-

კიდური მარცვალი; შდრ. ჩრდილოური ხუნძური (სალიტერატურო ხუნძური) **ბუჰნა-ლაგა** „ბეჰი“ (→ ჰიდ. ბუჰნა-ლა), რომელიც წარმოადგენს განსაზღვრებით კომპოზიტს მნიშვნელობით „ბეჰის ორგანო“ (ბუჰნა ← ნათ. ბრ. ფორმა ბუჰნ-ა-ლ + ლაგა „სხეულის ნაწილი“, „ორგანო“).

მსგავსადვე, ჰიდური **რუზი-ლა** „მენჯის ძვალი“ ← რუზი-ლაგა, შდრ. ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში **რუზი-ლაგა** „id.“, ხოლო ყარახულში – **ნუზი-ლაგა** „id.“. **ნ** და **რ** ბგერათა ანალოგიური მონაცვლეობა გვაქვს, მაგალითად, სიტყვაშიც **რაჟი** „ნიორი“ (ჩრდ. ხუნძ.); შდრ. სამხრულ დიალექტთა **ნიჟი** „id.“. რაც შეეხება **რ**- თავსართს, იგი უნდა იყოს IV გრამატიკული კლასის ნაშთი; შდრ. ანდალაური **ბურზი-ლაგა** „მენჯის ძვალი“, რომელშიც თავსართად წარმოდგენილი **ბ**- არის III გრამატიკული კლასის ნიშანი.

ჩრდ. ხუნძ. (სალიტ. ხუნძ.) **ურჰისა-ლა** „თირკმელი“ არის **ურ-ჰისა** („შიგნიდან“) ზმნისართისაგან წარმოებული განსაზღვრებითი კომპოზიტი. მისთვის ამოსავალია ფორმა **ურჰისა-ლაგა** ზედმიწევნითი მნიშვნელობით „შიგნიდან ორგანო“.

ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ დიალექტში **ჰანდა-ლა** („ყბა“) სიტყვისათვის ამოსავალი უნდა იყოს ფორმა ჰანდა-ლაგა მნიშვნელობით „ღეჭვის ორგანო“, შდრ. **-რო** დერივატით ნაწარმოები იგივე სიტყვა ჩრდილოურ ხუნძურში: **ჰანდ-ი-რო** „ყბა“ ← ზმნა ჰან-დ-ე-ზე // ჰამ-დ-ე-ზე „ღეჭვა“.

სავარაუდოდ, ხუნძურ **ლაგა** სიტყვას კომპოზიტებში ისეთივე დამაკონკრეტებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აქვს ქართულ **თით-ი** სიტყვას, მაგ., **ცერა თითი** (შდრ. **ცერი**), **ნეკა თითი** (შდრ. **ნეკი**).

-ლა ელემენტი პოვნიერია, აგრეთვე, ჰიდური დიალექტის სიტყვაში **რუჰ-ლა** „ნაცარი“ (საიდოვა 2008: 302), შდრ. ზმნა ბ-უჰ-ი-ზე „წვა“. **რ**- თავსართი (**რ-უჰ-ლა**) აქ წარმოადგენს მასუბსტანტივებელ პრეფიქსს, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება ხოლმე ზმნათაგან წარმოებულ სახელებში, კლასის ცვალებად ნიშანთა ნაცვლად; მაგ., **რ-ოტი** „სიყვარული“ (← **ბ-ოტ-ი-ზე** „ყვარება“), **რ-ოხა-ელ** „სიხარული“ (← **ბ-ოხა-ი-ზე** „გახარება“). ეს **-ლა**, ჩანს, დერივატია და იგი არ უკავშირდება არსებით სახელს **ლაგა** „სხეულის ნაწილი“, „ორგანო“.

ხუნძ. **ტონჰორუყ** „საშვილოსნო“ (← ტინჰ „ნაშიერი“, ნათ. ბრ. ტონჰ-ო-ლ + რუყ „სახლი“) : ლაკ. **ურჰაჰათა** „id.“ (← ურჰ „ნაშიერი“, „ბავშვი“, ნათ. ბრ. ურჰ-ა-ლ + ჰათა „სახლი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 84, აბდულაევი 2015: 69).

საინტერესოა, რომ ანწუხური დიალექტის ზოგიერთ კილოკავში „საშვილოსნოს“ სახელწოდება შეიცავს **ხიზან** ფუძეს, მაგ., ტომურულ კილოკავში – **ხიზანალჷულ ბაკ** „საშვილოსნო“; ანწროს-უნჰადურ და თაშურ კილოკავებში – **ხიზანალჷულ როყ**, ჭადაქოლოურში – **ხიჯანალჷულ როყ**. ამ შედგენილ სახელწოდებათა ზედმიწევნითი მნიშვნელობა არის „ბავშვის სახლი“ (ანწუხ. როყ „სახლი“) (საიდოვა 2008: 334).

აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) **ჯიზან** სიტყვის მნიშვნელობა არის „ოჯახი“, აგრეთვე – „ცოლი“, ხოლო ანწუხურ დიალექტში იგივე **ჯიზან** (ამ დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში – **ჯიჯან**) ნიშნავს „ბავშვს“. ჭარულ დიალექტშიც სიტყვა **ხიზან** გამოიყენება შვიდ-რვა წლამდე ასაკის ბავშვის მნიშვნელობით (საიდოვა 2008: 239). ანწუხურის კილოკავებში ყურადღებას იქცევს ფონეტიკური ცვლილებაც **ჯ** → **ხ**, ანუ „საშვილოსნოს“ სახელწოდებაში **ხიზან**, **ხიჯან** ფუძეთა გამოყენების ფაქტი, ნაცვლად **ჯიზან**, **ჯიჯან** ფუძეებისა.

სალიტერატურო ხუნძურის (ჩრდილოური ხუნძურის) **ლ'იმერ** („ბავშვი“) ფუძის კანონზომიერი შესატყვისია ანწუხურში **თიმერ**, რომელიც დადასტურებული აქვს შ. მიქაილოვს (მიქაილოვი 1959: 57). კახეთში (ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. თივი) მოსახლე ანწუხელი ხუნძების მეტყველებაში იგი საერთოდ არ გვხვდება და შემორჩენილია მხოლოდ მისი მრავლობითის ფორმა **თიმ-ალ** (შდრ. სალიტ. ლ'იმ-ალ „ბავშვები“), რომელიც გამოიყენება რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით: იგივეა, რაც ქართული **ყმაწვილები** ან რუსული **пестяга**; მაგ., რეჰი ლჷახ, თიმალ „მოდით აქ, ბიჭებო (ყმაწვილებო)“, რეჰი, ჴო თიმალ, ყელდი ლჷარ რუგუზულ სადთი „მოდით, ბიჭებო, დავლიოთ აქ მყოფთა სადღეგრძელო“... „პატარა ბავშვების“ მნიშვნელობით სოფ. თივის მეტყველებაში იხმარება **ჯიზან-ალ**, **ჯიჯან-ალ** ფორმები, მაგ., მისინალ ჯიზანალ „თოთო ბავშვები“, ჯიჯანალ რუგუს დურ „ბავშვები გყავს შენ?“...

სპარსული სიტყვა **ხიზან** (მომდინარეობს ზმნისგან **ხიზიდან** „ადგომა, წამოდგომა“, „ხტომა“; ამ ზმნის აბსოლუტივის ფორმაა ხიზან) ფართოდ გავრცელდა არაერთ ენაში, რომლებშიც შეიძინა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობები: ქართ. **ხიზანი** „დროებით სხვას შეკედლებული პირი“, „მძევალი“, დიალექტებში – „ოჯახი“, „ოჯახის წევრები“; სომხ. **ხიზან** „მწირი“, „მოსული“, „გადამთიელი“; თურქ. **ჰიზან** „სა-

წყალი, უბედური“; ქურთ. **ხეზან** „ოჯახი“ („ცოლ-შვილი“), აზერბაიჯანის ქურთებში – „შვილები“, „ბავშვი“; თალიშ. **ხეზან** „ოჯახი“, „ცოლი“; თათ. **ხიზან** „ოჯახი“, აზერბ. (დიალექტური) **ხიზან** „ბავშვი“, აზერბ. (სალიტ.) **ხიზან** „მრავალი“ (შდრ. **ხიზან ქუღღეთ** „დიდი ოჯახი“, „მრავალშვილიანი ოჯახი“)... დაღესტნურ ენებში: ხუნძ., ანდ., დიდ. **ჯიზან** „ოჯახი“, დარგ. (ხაიდაყ. დიალ.) **ხიზან** „ოჯახი“, ლაკ. (ბალხ. დიალ.) **ხიზან** „ოჯახობა“, „შინაურები“, **ხიზან-ყაჷ** „საოჯახო ნივთები“... ი.აბდულაევის აზრით, სემანტიკური სხვაობები **ხიზან** სიტყვისა აიხსნება მნიშვნელობათა ურთიერთგანპირობებულობით, რამდენადაც ეს მნიშვნელობები დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორცაა „ლტოლვილი“, „მწირი“, „უბედური“, „დახმარების (მზრუნველობის) საჭიროების მქონე“, „ბავშვი“, „ოჯახის წევრი“, „ოჯახი“ (აბდულაევი 2007: 285-286, აბდულაევი 2015: 281-282).

ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის კილოკავებში **ხიზან** სიტყვას, როგორც ვხედავთ, აღმოაჩნდა „ნაშიერის“ დამატებითი მნიშვნელობაც „საშვილოსნოს“ სახელწოდებაში – **ხიზანალჟულ ბაკ**, ზედმიწ. „ბავშვის (/ნაშიერის) ადგილი“; **ხიზანალჟულ როყ**, ზედმიწ. „ბავშვის (/ნაშიერის) სახლი“; შდრ. სალიტ. ხუნძ. **ტონჰორუყ** „საშვილოსნო“, ზედმიწ. „ნაშიერის სახლი“ (← ტინჰ „ნაშიერი“, ტონჰ-ო-ლ „ნაშიერისა“, რუყ „სახლი“). ამრიგად, დიალექტური მონაცემები წარმოგვიდგენენ სემანტიკურ პროცესს „ოჯახი“ → „ბავშვი“ → „შვილი“ → „ნაშიერი“.

ლაკური **ურჰ** წარმოადგენს კანონზომიერ შესატყვისს ხუნძური სიტყვისა **ტინჰ** (← ტინჰ) „ნაშიერი“, „ბარტყი“. ლაკურში ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ფართოა: „ნაშიერი“, „ბავშვი“, „ბიჭი“, „ყმაწვილი კაცი“, „ვაჟი“. გვხვდება არაერთ ნაწარმოებ სიტყვასა თუ შესიტყვებაში; მაგ., **ურჰ-ბაკ** „შინაურები“, „ოჯახის წევრები“, „დედაწული“ (კრებითი მნიშვნელობის კომპოზიტი) (← ურჰ „ბავშვი“ + ბაკ „თავი“); **ურჰ-კარჰ** „ბავშვები“, „შვილები“ (კრებითი მნიშვნელობით) (← ურჰ „ბავშვი“ + კარჰ (?), ე.ი. „ბავშვი-ბუშვი“?; შდრ. ხუნძ. **ტინჰ-ყედ** „ბავშვები“, „ნაშიერები“, ზედმიწ. „ნაშიერი-კედელი“); **ურჰ-დუშ** „შვილები“, „შთამომავლობა“ (← ურჰ „ბიჭი“, „ვაჟიშვილი“ + დუშ „გოგო“, „ქალიშვილი“); **ურჰბაკჟუ** „უშვილო“ (← ურჰ „ბავშვი“ + ბაკჟუ „უქონელი“); **ურჰადი-მინა** „ჭაბუკი“, „ყმაწვილი“, „ჯეელი“, „ახალგაზრდა კაცი“ (15-25 წლისა), ზედმიწ. „ბიჭი-კაცი“, „ვაჟი-კაცი“ (ადიმინა „კაცი“, „ადამიანი“, „მამაკაცი“); **ურჰვირ(იჩუ)** „ვაჟკაცი“, „გმირი“ (← ურჰ „ვაჟი“, „ბიჭი“ + ვი-

რი- „ახალგაზრდა“ + ჩუვ „მამაკაცი“); **ბუცაიურქ** „საქმრო“, „სასიძო“, „ნეფე“ (← ბუცაი- „მოყვანილი“ + ურქ „ვაჟი“, „ბიჭი“; ამის საპირისპიროა **ბუცაიდუმ** „საცოლე“, „პატარძალი“; დუმ „გოგო“, „ქალიშვილი“); **ჯაზაჯურქ** „შინამოსამსახურე“ (ჯაზაჯ „მსახური“ + ურქ „ბიჭი“); **იჭუვაურქ** „შინამოსამსახურე“ (იჭუვა „შინ“ + ურქ „ბიჭი“; ამის საპირისპიროა **იჭუვადუმ** „შინამოსამსახურე გოგო“; დუმ „გოგო“, „ქალიშვილი“); **ჯამალურქ** „სტუმარი (ბიჭი)“; **ჯახუფურქ** „მეზობელი (ბიჭი)“; **ურქზამანა** „ბავშვობის დრო“ (← ურქ „ბავშვი“ + ზამანა „დრო“, „ხანა“), **ურქშივეუ** „ბავშვობა“; **ივსა ურქ** „მოწიფული, მოზრდილი ყმაწვილი“, ზედმიწ. „მოსული ბიჭი“; **ქელმულლულ ურქ** „ბარტყი“, ზედმიწ. „ჩიტის ნაშიერი“; **ანაკულ ურქ** „წიწილა“, ზედმიწ. „ქათმის ნაშიერი“; **ჯატულ ურქ** „ბახალა“, ზედმიწ. „ყვავის ნაშიერი“; **ჩითულ ურქ** „კნუტი“, ზედმიწ. „კატის ნაშიერი“; **ცუნლულ ურქ** „ბელი“, ზედმიწ. „დათვის ნაშიერი“; **ვარანთულ ურქ** „კოზაკი“, ზედმიწ. „აქლემის ნაშიერი“; **ურვატულ ურქ** „თავკომბალა“, ზედმიწ. „ბაყაყის ნაშიერი“ და სხვ. თავისებურებით გამოირჩევა კომპოზიტები, რომლებშიც მსაზღვრელად გამოყენებული ურქ კომპონენტი „სინორჩეს“ გამოხატავს: **ურქაჟარი** „ყვინჩილა“ (აჟარი „მამალი“, შდრ. ხუნძ. **ტინჭჳელექო** „ყვინჩილა“ ← ტინჭ „ნაშიერი“ („წიწილა“) + ჳელექო „მამალი“); **ურქაანაკი** „ვარია“ (ანაკი „ქათამი“), **ურქჯაანუ** „ნორჩი კაკაბი“ (ჯაანუ „კაკაბი“), **ურქჯირლუ** „ნორჩი ქორი“, „ქორის მართვე“ (ჯირლუ „ქორი“, „ძერა“)..

ხუნძურ ენასა და ლაკურში არ მოიპოვება ცალკე სიტყვებად ნაშიერთა სახელები, როგორცაა „ბარტყი“, „წიწილა“, „ბახალა“, „ჭუკი“, „ჭუჭული“, „ბაჟია“, „ბელი“, „კნუტი“, „გოჭი“, „ზაქი“, „კოზაკი“, „ბოკვერი“ და სხვ.¹ შესაბამისი დენოტატების სახელდებისათვის ამ ენებში გამოყენებულია შესიტყვებები, რომლებშიც საზღვრულად გვევლინება **ტინჭ** (ხუნძურში), **ურქ** (ლაკურში). ასეთი მაგალითები ლაკურში უკვე დავასახელებთ. ხუნძურ ენაში ასეთივე ტიპის შესიტყვებებია, მაგ.,

¹ ამავე დროს ცალკე ლექსემებად მოიპოვება „ხბო“, „ბატკანი“, „კრავი“, „თიკანი“, „კვიცი“, „ჩოჩორი“, „ლეკვი“. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, შინაურ ცხოველებს უპირატესობა ეძლევა, ხოლო გარეულ ცხოველთა თუ ფრინველთა ნაშიერები ენას თითქოს არც აინტერესებს და ისინი არ წარმოადგენენ ღირებულებას. მაინც არ არის ნათელი, თუ რატომ არ არის საკუთარი სიტყვით სახელდებული, მაგალითად, წიწილა – ნაშიერი მეტად მნიშვნელოვანი შინაური ფრინველისა. შინაური ცხოველია კატაც, მაგრამ მისი ნაშიერი (კნუტი), ენობრივი მსოფლხედვის მიხედვით, ჩანს, არ მიიჩნევა ღირებულ არსებად, განსხვავებით ძაღლის ლეკვისაგან.

ბაწილ ტინჭ „მგლის ლეკვი“, ზედმიწ. „მგლის ნაშიერი“¹; **ბოლონილ ტინჭ** „გოჭი“, ზედმიწ. „ღორის ნაშიერი“; **გურგურალჭულ ტინჭ** „ინდაურის ჭუკი“, ზედმიწ. „ინდაურის ნაშიერი“; **ღადილ ტინჭ** „ბახალა“, ზედმიწ. „ყვავის ნაშიერი“; **ჭანკილ ტინჭ** „ბაჭია“, ზედმიწ. „კურდღლის ნაშიერი“; **ჭანკოდულ ტინჭ** „წიწილა“, ზედმიწ. „ქათმის ნაშიერი“; **ყუნყრადულ ტინჭ** „წეროს ბარტყი“, ზედმიწ. „წეროს ნაშიერი“; **ორდექალჭულ ტინჭ** „იხვის ჭუჭყული“, ზედმიწ. „იხვის ნაშიერი“; **ცარალ ტინჭ** „მელიის ლეკვი“, ზედმიწ. „მელიის ნაშიერი“; **წუდულ ტინჭ** „არწივის მართვე“, ზედმიწ. „არწივის ნაშიერი“, **ყორყოტინჭ** „თავკომბალა“ (← ყორყ-ო-ლ „ბაყაყის“ + ტინჭ „ნაშიერი“) და სხვ.

ხუნძური **ტინჭ**, განსხვავებით ლაკური **უარჭ** სიტყვისაგან, ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებთან არაპროდუქტიულია და უპირატესად გვხვდება ცხოველთა, ფრინველთა და სხვა სულდგმულთა სახელებთან (შესიტყვებაში ან კომპოზიტი). გამონაკლისად შეიძლება დავასახელოთ მაინც კრებითი მნიშვნელობის შეერთებითი კომპოზიტი **ტინჭ-ყედ** „ბავშვები“, „ნაშიერები“ (← ტინჭ „ნაშიერი“ + ყედ „კედელი“), აგრეთვე საალერსო მიმართვის ფორმები საკუთარი შვილებისადმი: **ღირ ტანჭი** „ჩემო ბარტყებო!“, **დადალ ტინჭ** „მამის ბარტყო!“ და სხვ.

ერთ-ერთი სომატონიმი კომპოზიტი გამოყენებულია მეტაფორულად, მაგალითად:

ხუნძ. **ჭუელროცა** „არამზადა“, „ვიგინდარა“ (← ჭუე-ლ „ძაღლის“, ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჭუე „ძაღლი“ + როცა „უკანალი“) : ლაკ. **ქაჩილქუტ** „id.“ (← ქაჩილ „ძაღლის“, ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ქაჩი „ძაღლი“ / ქაჩი + ქუტ „უკანალი“, „anus“).

ჩრდილოური ხუნძური **როცა** „უკანალი, საჯდომი“, „ცხენის გავა“. გვხვდება „კონდახის“ მნიშვნელობითაც; მაგ., როცა ჯაჭილაბ ჯირიმ, ზედმიწ. „კონდახ-ცისფერი ხირიმი“ (უსლარი 1889: განყ. II, 19). აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ხუნძურში ეს სიტყვა არ ითვლება ისეთსავე უცნაურად, როგორც, მაგალითად, ქართულში და სხვა არაერთ სამწერლო ენაში; შეიძლება იხმარებოდეს მხატვრულ ნაწარმოებებშიც კი, როგორც სხეულის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა; მაგალითად, რ.ჰამზათოვის თხზულებაში „ჩემი

¹ ხუნძურ ენაში თუმცა კი არსებობს „ძაღლის ლეკვის“ აღმნიშვნელი ცალკე დამოუკიდებელი ლექსემები, მაგრამ ისინი არ გამოიყენება „მგლის ლეკვის“ აღსანიშნავად, განსხვავებით ქართულისაგან.

დადესტანი“ ვკითხულობთ: ტადფუსალჴულ ჰულაბალჴ ბუგებ ჰელექო ზადინ ხუტუნ ჴუგო ფოეთ. ხადურ ჴელ ჰულალგი ღუნ რუგო ღარი-მასდასა. რუჴუნლიჴებ რ ო ც ა ღ დ ა ტაჴუ რეყოლარელჴულ „ფარშე-ვანგის ბუმბულეებით მორთულ მამალს დაემსგავსა პოეტი. შემდეგ ის ბუმბულეებიც გასცვივდა საწყალს, მიუჩვეველ ს ა ჯ დ ო მ ზ ე შარვა-ლი რაკილა ვერ მოიხდინა“ (ჴამზათოვი 1975: 203). გვხვდება ანდაზებშიც: *როცა უნთიჴოგო, ჴანკუდალჴ ხონოგი ჴაბულარებ* „უკანალის აუტკივებლად ჴათამი კვერცხს არ დებს“ და სხვა.

სხვაგვარი ვითარებაა ანწუხურში (კერძოდ, კახეთში მოსახლე ანწუხელთა მეტყველებაში), სადაც ამ სიტყვას აქვს განსხვავებული მნიშვნელობა – vulva, ხოლო „უკანალის“ მნიშვნელობით გამოიყენება სხვა ფუძე – ჴატალაბ.

ი. აბდულაევის განმარტებით, ლაკური სიტყვა **ჴუტ** („ხვრელი“, „უკანალი“, „anus“) სალიტერატურო ენაში უხამსობას წარმოადგენს, მაგრამ ფართოდ გამოიყენება ყოფაში, იდიომებში, ზოგჯერ ლიტერატურაშიც. გვხვდება ზოგიერთი სომატონიმის შემადგენელ ნაწილად; მაგ., **ჴუტნილ ჴაპი** „დუნდულები“, ჴედმიწ. „უკანალის ფოთოლი“; **ჴუტნილ ჴურჴიმაი** „სწორი ნაწლავი“, ჴედმიწ. „უკანალის ნაწლავი“ და სხვ. (აბდულაევი 2018: 373).

სომატონიმებში ცალკე აღსანიშნავია ისეთი შედგენილი სიტყვები, რომელთა ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობაც ამჴამად გაუგებარია და ეს გარემოება ართულებს სათანადო კომპოზიტის შინაარსის სიტყვასიტყვით გაგებას; მაგალითად, „თავის ჴალის“ აღმნიშვნელ ლაკურ კომპოზიტში **ნწრწათა** მეორე კომპონენტად გამოიყოფა „სახლის“ აღმნიშვნელი სიტყვა **წათა**, მაგრამ უცნობია **ნწრა** კომპონენტის რაობა. შედგენილი სიტყვა ჩანს „თავის ჴალის“ აღმნიშვნელი ხუნძური სახელწოდებაც **ზადაზო**, რომელშიც აშკარად გამოსაყოფია ელემენტი **ზო**. პირველ კომპონენტად მოცემულია **ზადა**, რომელიც ხუნძურ ენაში ცალკე სიტყვად ამჴამად არ იხმარება, მაგრამ გვხვდება რამდენსამე სიტყვა-ფორმასა და შესიტყვებაში „თავის“ მნიშვნელობით, მაგ., **ზადა-ტა** „თავზე“, **ზადა-ლ** „თავში“ (მაგ., შესიტყვებაში **ზადა-ლ ბაზე** „თავში ჩართყმა“), **ზადა-წ** „თავთან“ (შესიტყვებაში **ზადა-წ ბოსიზე** „ყურადღების მიპყრობა“, ჴედმიწ. „თავთან აღება“); **ზადა-ლ ნახ** „ტვინი“, ჴედმიწ. „თავის ჴონი“ (**ნახ** „ჴონი, ცხიმი“); **ზად-ხაი** „თავბრუ“, ინფ. **ზად-ხაზე** „თავბრუს ხვევა“; კომპოზიტში **ზად-ხოჴ** „დაცინვა, აბუჩად აგდება“, შდრ. **ხოჴ** „გართობა“, „ლაყაფი“; **ზადა-ჴ-რუ** „ტილის კვერცხი, წილი“

(ზემო ყარახულში). „თავის ქალის“ აღმნიშვნელ სიტყვაში გაურკვეველია **ზო** მორფემის რაობა. ფონეტიკურად მსგავსი ელემენტი **ზ**-ს სახით პოვნირია სიტყვაში **წედ-ე-ზ** „ციცინათელა“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში) რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს „ცეცხლის“ აღმნიშვნელი **წა** სიტყვის ირიბი ფუძე **წა-დ**- (→ წე-დ).

ხუნძურში ცალკე სიტყვად აღარ გვხვდება, აგრეთვე, **როხა**, რომელიც ამჟამად შემორჩენილია კომპოზიტში **როხა-ყოტი** „ბარდაყი“. ამ ფუძის ოდინდელ მნიშვნელობას ნათელს ჰფენს ხუნძურშივე არსებული მეორე სიტყვა, რომელიც სავსებით კანონზომიერად ეფარდება მას. ეს არის „ფეხის“ აღმნიშვნელი ლექსემა **ზოხა**, რომელშიც III კლასის **ზ**-ნიშანია წარმოდგენილი (ზ-ოხა). რაც შეეხება „ბარდაყის“ სახელწოდებაში დაცულ **როხა** ფუძეს, ყ. მიქაილოვის მოსაზრებით, იგი ისტორიულად IV კლასს (ამჟამად აღარ არსებულს) განეკუთვნებოდა, რაზეც მიანიშნებს ანლაუტში წარმოდგენილი **რ**- (რ-ოხა) (მიქაილოვი 1964: 38). შესაბამისად, კომპოზიტი **როხა-ყოტი** („ბარდაყი“) ასეთი სიტყვასიტყვითი შინაარსის შემცველი შეიძლება ყოფილიყო: „ფეხის განაკვეთი ნაწილი“, „ფეხის ნაკვეთი“; შდრ. ყოტ-ი-ზე „ჭრა“, „კვეთა“, მასდ. ყოტ-ი.

როგორც უკვე ვნახეთ, ხუნძური ენის კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაში ბუნებრივი მოვლენაა ერთი რომელიმე საგნის სახელდებისათვის სხვა საგნის აღმნიშვნელი ფუძის გამოყენება ერთ-ერთ კომპონენტად. ამდგვარად შედგენილი სახელწოდებები (კომპოზიტები) დამახასიათებელია არა მარტო ხუნძური, არამედ სხვა დადესტნური ენებისთვისაც.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, მაგალითად, „ვირის“ აღმნიშვნელი ფუძის მონაწილეობა ხუნძური ენის ზოგიერთ კომპოზიტურ სომატონიმში, რაც ქართული და ლაკური ენებისათვის უცხოა:

ხუნძ. **ჰამარატა** „ბეჭის ძვალი“ (ბათლუხურ დიალექტში), ზედმიწ. „ვირი-ძვალი“ (← ჰამა „ვირი“ + რატა „ძვალი“). „ბეჭის ძვლის“ მნიშვნელობით ოდენ **ჰამა** ფუძეც გამოიყენება როგორც ბათლუხურში, ასევე ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში, ხოლო ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) იმავე **ჰამა** ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის, აგრეთვე, „ქვედა ყბა“. ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში: **ნილჰადოლჰამა** / **ნილჰადულჰამა** „ქვედა ყბა“, ზედმიწ. „ნიკაპის ვირი“.

სახელდების ამგვარი მოტივაცია შეპირობებული უნდა იყოს „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის სემანტიკის გაფართოებით, რაც, სავა-

რაუდოდ, უნდა განვითარებულიყო ასეთი თანმიმდევრობით: „მზი-
დავი პირუტყვი“ → „პირუტყვი, რომელსაც ზედ ადებენ რალაცას (მაგ.,
ტვირთს)“ → „რალაცის ზედ დასადები რამ“ → „რალაცის სადგამი“ →
„რალაცის საყრდენი (მაგ., ძ ვ ა ლ ი)“. შესაბამისად, „ქვედა ყბის“ სა-
ხელწოდება შესაძლებელია მოტივირებული იყოს ამგვარად: „ვირი“ →
„რალაცის საყრდენი“ → „ნიკაპის საყრდენი ძვალი“. მსგავსადვე: „ბეჭის
ძვალი“ ← „ბეჭის საყრდენი ძვალი“ ← „რალაცის საყრდენი“ ← „ვირი“.
ეს ალბათ იმიტომ, რომ ზურგზე მოკიდებისას რამე ტვირთი (მაგ., ტო-
მარა) ბეჭის ძვალს ეყრდნობა.

ძვლის სახელდების თვალსაზრისით, საინტერესოა ანატომიაში
ცნობილი საერთაშორისო ტერმინი **ატლანტი** „კისრის პირველი მალა“
(ბერძნ. ατλας, ნათ. ბრ. Ατλαντος; ლათ. atlas). იგი ადამიანის თავს სხე-
ულზე აკავებს. ძველი ბერძნული მითოლოგიური წარმოდგენით, ტი-
ტანი ატლანტი თავითა და ხელებით იკავებს ცის თაღს. სახელდებისა-
თვის ამოსავალია კისრის პირველი მალის ფუნქცია: საყრდენი მნიშ-
ვნელობა ადამიანის ხერხემლისა და ჩონჩხისთვის (ზექალაშვილი
2020: 205). ხუნძურ ენაში ამდაგვარი საყრდენი აღმოჩნდა ვირი
(„ძვლის“ სახელწოდებად).

ხუნძურში საყურადღებოა **ჰამა** („ვირი“) სიტყვის გამოყენება
სწორედ „სადგამის“, „საყრდენის“ მნიშვნელობით სხვადასხვა უსულო
საგნების სახელწოდებებში; მაგალითად:

ჩრდ. ხუნძ. (// სალიტ. ხუნძ.) **ჰამა** „კერაზე ქვაბის დასადგმელი
ქვა“, აგრეთვე – „ხარაჩო“;

მრ. რ. **ჰამულ** „ვირები“, **ქინიდულ ჰამულ** „აკვნის ფეხები“, ზედ-
მიწ. „აკვნის ვირები“;

ტარმულ ჰამა „ფანდურის სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედ-
მიწ. „ფანდურის ვირი“; შდრ. ლაკურ ენაში: **თუქრი** „ვირები“ (მხ. რ.
თუქუ „ვირი“), **ჩუგურდანულ თუქრი** „ჩონგურის საქცევები, ладьи“
(აბდულაევი 2018: 678), ზედმიწ. „ჩონგურის ვირები“; შდრ., აგრეთვე,
ოსური **ხარანგ** „სიმების ქვესადგამი ფირფიტა“ (← **ხარანგ** „ვირი“, იხ. ახ-
ვლედიანი 1960: 200); ფრანგ. **chevalet** „ჯორა“ (დაფქვიაშვილი 1955: 38),
„სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ცხენუკა“ (← cheval „ცხე-
ნი“); რუს. **кобылка** „ჯორა, სიმების ქვესადგამი ფირფიტა“ (← кобыла
„ჭაკი“).

ქართულ ენაში **ჯორ-ა**, **ჯორ-აკ-ი** „სიმებიან საკრავზე სიმების
გადასაჭიმი ქვესადგამი ფირფიტა“ (ქეგლ); „ქართული ენის განმარტე-
ბით ლექსიკონში“ ფიქსირებულია, აგრეთვე, **ხარაკ-ი** [სპარს. ხარაკ]
„სიმების დასამაგრებელი მოწყობილობა თარის ქვემო ნაწილში“; შდრ.

სპარს. ხარ „სახედარი“, „ვირი“ (გიუნაშვილი 1987: 309), ოს. ხარაგ „ვირი“ (და, აგრეთვე, „სიმების ქვესადგამი ფირფიტა“). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავკასიის ენებში სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის დეტალის ასეთი სახელწოდება („ვირი“) სპარსულის გავლენით უნდა გაჩენილიყო? მეორე მხრივ, ხუნძური ენისათვის მეტად ნიშანდობლივია „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება „რადაცის საყრდენის“ მნიშვნელობით, რაც მხოლოდ ერთი მაგალითით არ ამოიწურება და ამიტომ არ გამოირიცხება, რომ ასეთი მნიშვნელობა („ფანდურის ვირი“) ხუნძურში სხვა ენისაგან დამოუკიდებლად იყოს გაჩენილი. ისიც შესაძლებელია, რომ ქართულში ჯორ-ა, ჯორ-აკ-ი უკავშირდებოდეს ჯვარ- ფუმეს (მაგ., ჯვარ-ედ-ინ-ი) და არა უშუალოდ პირუტყვის სახელწოდებას (ჯორ-ი), რომელიც თვითონაც ჯვარ- ფუძისაგან არის წარმომდგარი (ნა-ჯვარ-ი, შე-ჯვარ-ებ-ა).

საინტერესოა სვანური ენის ფაქტი, რაც გარკვეულწილად მსგავსია ხუნძურ, ლაკურ და ოსურ ენებში არსებული ვითარებისა: სვან. წელ („ვირი“) სიტყვის კნინობითი ფორმებია წელ-რდ (ბალსზემოურში), წელ-ილდ (ბალსქვემოურში), წელ-რლ (ლაშხურში), წელ-ოდ-ილ (ლენტეხურში), რომელთა მნიშვნელობაც არის „ჭუნირის ჯორი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 852), „ჭუნირის სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ვირუკა“. საყურადღებოა ისიც, რომ წელ ფუძე სვანურში გვხვდება, აგრეთვე, მნიშვნელობით „კიბორჩხი (წისქვილის ნაწილი)“. სვანურ ლექსიკონში ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ცალკე ლექსემად, დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიის სახით (თოფურია, ქალდანი 2000: 852), ვინაიდან იგი, როგორც ჩანს, მიჩნეულ იქნა „ვირის“ აღმნიშვნელი წელ სიტყვის ომონიმად და არა ამავე სიტყვის დამატებით მნიშვნელობად. არ არის გამორიცხული, რომ „კიბორჩხის (წისქვილის ნაწილის)“ სახელდებისათვის სწორედ „ვირის“ აღმნიშვნელი იგივე წელ სიტყვა იყოს გამოყენებული. ამისი ანალოგიური მაგალითი გვაქვს ხუნძურ ენაში, კერძოდ, აწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში: ყუალა-ჰამა „ფქვის რეგულატორი წისქვილში“, „კიბორჩხი“ (ხუნძ. ჰამა „ვირი“, დაუდგენელია ყუალა კომპონენტის რაობა). მნიშვნელობის განვითარება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „მუშა პირუტყვი“ → „მომუშავე საგანი“ → „კიბორჩხი (წისქვილის ნაწილი)“.

საფიქრებელია, რომ „ვირს“ რადაცის საყრდენის, სადგამის, მომუშავე საგნის დამატებითი მნიშვნელობები არაერთ ენაში უნდა გასჩენოდა მეტნაკლებად, ოღონდ ზოგ ენაში ეს აისახა მკრთალად, სხვა ზოგიერთ ენაში კი (მაგ., ხუნძურში) – შედარებით უფრო თვალსაჩინოდ.

ჰამა სიტყვა ხუნძურში იხმარება ადამიანთან დაკავშირებითაც და აქვს ერთობ თავისებური, ქართულისათვის უჩვეულო მნიშვნელობაც – „ხელისმომკიდე“, „მდადე“ (ქორწილში), მაგ., **ზაჰარასულ ჰამა** „ხელისმომკიდე“, ზედმიწ. „ნეფის ვირი“ (ვაჟი); **ზაჰარალულ ჰამა** „მდადე“, ზედმიწ. „პატარძლის ვირი“ (ქალი). ამ შემთხვევაში სემანტიკის განვითარება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „საყრდენი“ → „თანამდგომი, თანაშემწე“ → „ხელისმომკიდე“.

9) საცხოვრისი, საშინაო ნივთები

ქართ. **ეზო-კარი** „ეზო და სახლ-კარი, კარ-მიდამო“ (ქეგლ) : ხუნძ. (დიალ.) **ნუწა-კალ** „ეზო“ (← ნუწა „ეზო“ + კალ [← კალტუ „ზღურბლი“]).

სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) სიტყვა **ნუწა** „კარს“ ნიშნავს, მაგრამ დიალექტებში მისი გვხვდება „ეზოს“ მნიშვნელობით; მაგ., სოფ. თივის (კახეთი, ყვარლის მუნიციპალიტეტი) მკვიდრ ანწუხელთა თქმაში **ნუწა** „ეზო“. ეგვე სიტყვა გვხვდება „ეზოს“ აღმნიშვნელი არაერთი დიალექტური კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად: ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **ნუწა-კალ**, თაშურ კილოკავში **მუწა-კალ**, რომლებშიც მეორე კომპონენტად წარმოდგენილი **კალ** უნდა მომდინარეობდეს „ზღურბლის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან **კალტუ**. შესაბამისად, „ეზოს“ კომპოზიტური სახელწოდების ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უნდა იყოს „კარ-ზღურბლი“. **კალ** კომპონენტი რომ უნდა უკავშირდებოდეს **კალტუ** („ზღურბლი“) სიტყვას, ამას მოწმობს ყაპიბურ ნარევ კილოში „ეზოს“ მნიშვნელობით გამოყენებული **კალტა**; შდრ. სალიტ. ხუნძ. (ჩრდ. ხუნძ.) კალ-ტა „ზღურბლზე“. საინტერესოა ბათლუხურ დიალექტში **ქაწუ** სიტყვის გამოყენება „ეზოს“ მნიშვნელობით, რამდენადაც ეგვე სიტყვა სალიტერატურო ხუნძურში ნიშნავს „ჭიშკარს“. შესაბამისად, თვალსაჩინოა სემანტიკური მიმართება „ეზო“~ „კარი“~ „ჭიშკარი“. შულანიბის ნარევ კილოში გვხვდება სიტყვა **რაჰ** „ეზო“, შდრ. სალიტ. ხუნძ. **რაჰუ** „კარი“, „შესასვლელი“ (← ზმნა რაჰ-ი-ზე „გაღება“, ნუწა რაჰ-ა-ნა „კარი გაიღო“). ქულაბის ნარევ კილოში აღსანიშნავია კომპოზიტი **რაჰდაბაკ** „ეზო“, ზედმიწ. „კარზე ადგილი“ (← რაჰ-და „კარზე“, „შემოსასვლელზე“ + ბაკ „ადგილი“); შდრ. ანდალალური დიალექტის ხინდახურ თქმაში **რაჰდუხბაკ** „ეზო“, ზედმიწ. „კართან ადგილი“ (← რაჰ-დუ-ხ „კართან“, „შესასვლელთან“ + ბაკ „ადგილი“). მსგავსადვე, ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში – **ნუწაყაბაკ** „ეზო“ (← ნუწა „კარი“ ← ნუწაყა ← ნუწა-ტა + ბაკ „ადგილი“). ჰიდურ დია-

ლექტში გვხვდება შემოკლებული ფორმით **ნუწაყა** „ეზო“ (← ნუწა-ტა „კარზე“). ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში დასტურდება შეერთებითი კომპოზიტი **ნუწა-ყებეც** „ეზო“ (ნუწა „კარი“, მეორე კომპონენტის მნიშვნელობა უცნობია).

ქართ. **კარ-ფანჯარა, კარ-ფანჯრები** : ხუნძ. **გორდალ-ნუწაზი** „ფანჯრები და კარები“ (კრებ.) (← გორდალ „ფანჯრები“ + ნუწაზი „კარები“).

ხუნძ. **ფეჩ-რუყ** „თბილი ბუხრიანი ოთახი“ (← ფეჩ „ბუხარი“ [← რუს. печь] + რუყ „სახლი“, „ოთახი“) : ლაკ. **ფაჩ-ჯათათა** „id.“ (← ფაჩ „ბუხარი“ + **ჯათათა** „სახლი“, „ოთახი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 84, აბდულაევი 2015: 69).

ხუნძ. **რაქ-წულ** „სათბობი“, „საწვავი“ (← რაქ „წივა“, „პატივი“ + წულ „შეშა“) : ლაკ. **ბა-ტამა** „id.“ (← ბა „წივა“ + ტამა „შეშა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 63; აბდულაევი 2015: 51).

ხუნძ. **ქეერბაწა** „ხელსახოცი“, „პირსახოცი“ (← ქეერ „ხელი“ + ბაწა - , ძირი ზმნისა ბაწა-ი-ნე „წმენდა“) : ლაკ. (დიალ.) **ქვალისწუ** „id.“ (ქვა „ხელი“ + ლისწუ „საწმენდი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 71; აბდულაევი 2015: 58).

ხუნძ. **ჭუჭალტამ** „კედელზე დამაგრებული ყუთი, რომელშიც ინახება კოვზები, ჩანგლები, დანები“ (← ჭუჭ „ჩანგალი“, მრ. რ. ჭუჭალ + ტამ- ძირი ზმნისა ტამ-ი-ზე „დაწყობა“) : ლაკ. **ჯუსრიდიჩუ** „id.“ (← ჯუსა „კოვზი“, მრ. რ. ჯუსრი + დიჩ-უ „დასაწყობი რამ“, დიჩ-ი-ნ „დაწყობა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 74; აბდულაევი 2015: 60).

ხუნძ. **ყედაბილ** „ფარდა“ (← ყედა „კედელზე“ + ბილ- ფუძე ზმნისა ბილ-ი-ნე „ჩამოკიდება“) : ლაკ. **ჭირაიხდაჭუ** „კედლის ხალიჩა“ (← ჭი-რაიხ „კედელთან“ + დაჭუ „მიბმული რამ“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 76).

ხუნძ. **ურგუ-ყანდალო** „ლოგინი“ (← ურგუ „ლეიბი“ + ყანდალო „ბალიში“) : ლაკ. **შანუ-კარალუ** „id.“ (← შანუ „ლეიბი“ + კარალუ „ბალიში“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 76).

10) მეურნეობა, სამეურნეო საგნები

ქართ. **ხარ-ურემი** : ხუნძ. **ჰოქო-ოცალ** (← ჰოქო „ურემი“ + ოცალ „ხარები“).

ხუნძ. **ხურ-ხერ** „ყანა და სათიბი“ (← ხურ „ყანა“ + ხერ „ბალახი“) : ლაკ. **ჰუ-ლუხჩი** „სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ადგილი, სვარგული“ (← ჰუ „ყანა“ + ლუხჩი „მიწა“, „სათიბი“, „სამოვარი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ხუნძ. **წა-რაქი** „მეურნეობა“, „კომლი“ (← წა „ცეცხლი“ + რაქი „დანთება“, „გაჩაღება“ ← მასდარის ფორმა ბ-ა-ქ-ი კლასნიშნიანი ზმნისა ბ-ა-ქ-ი-ზე „დანთება“) : ლაკ. **ჰათა-წუ** „მეურნეობა“ (← ჰათა „სახლი“ + წუ „ცეცხლი“) : დარგ. **ჰალი-წა** „id.“ (← ჰალი „სახლი“ + წა „ცეცხლი“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 36).

ხუნძ. **რაქიბუხ** „ნივრის სანაყი“ (← რაქი „ნიორი“ + ბ-უ-ხ- ფუძე კლასნიშნიანი ზმნისა ბ-უ-ხ-ი-ზე „ცემა“) : ლაკ. **ლაჩიბუთუ** „id.“ (← ლაჩი „ნიორი“ + ბ-უ-თ-უ „მცემელი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 78, აბდულაევი 2015: 64).

ხუნძ. **ფურციმახა** „სახნისი (სახვნელის რკინის ნაწილი)“ (← ფურც-ი-ლ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ფურუც „სახვნელი, კავი“] + მახა „რკინა“) : ლაკ. **(ჰურსულ) მახ** „id.“ (← ჰურსულ [ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ჯარას „სახვნელი, კავი“] + მახ „რკინა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ხუნძ. **ჯარში-წულ** „ხე-ტყე“, „ხე-ტყის მასალა“ (← ჯარში „დაფა“ + წულ „შეშა“) : ლაკ. **თახთა-ტამა** „id.“ (← თახთა „დაფა“ + ტამა „შეშა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 86, აბდულაევი 2015: 70).

11) ტანისამოსი

ქართ. **შარვალ-ხალათი** : ხუნძ. **გორდე-ტაჟუ** „ზედა ტანისამოსი“ (← გორდე „პერანგი“ + ტაჟუ „შარვალი“) : ლაკ. **ჰუჟა-ჰაჟაქ** „id.“ (← ჰუჟა „პერანგი“ + ჰაჟაქ „შარვალი“) : დარგ. **შალჟარ-ჰეჟა** „id.“ (← შალჟარ „შარვალი“ + ჰეჟა „პერანგი“).

ხუნძური, ლაკური, დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 64; აბდულაევი 2015: 52).

ხუნძ. **ბეტერბუზ** „თავშალი“, „ლეჩაქი“ (← ბეტერ „თავი“ + ბუზ-ძირი ზმნისა ბუზ-ი-ნე „შეკვრა“) : ლაკ. **ბაკბაჰუ** „id.“ (← ბაკ „თავი“ + ბაჰ-ი-ნ „შეკვრა“, ბოლოკიდური -უ ფორმაში ბაჰ-უ წარმოადგენს მასუბსტანტივებელ დერივატს). ხუნძურში მოიპოვება, აგრეთვე, კოორდინაციული (შეერთებითი) კომპოზიტი **ჩობტო-კაზ** „ქალის თავსაბურავი“, „ჩიხტიკოპი“ (← ჩობტო / ჩუხტუ „ქალის ერთგვარი თავსაბურავი დაღესტანში“ + კაზ „თავშალი“, „ლეჩაქი“).

აღსანიშნავია ამ კომპოზიტთა შემცველი შესიტყვებებშიც: ხუნძ. **ჩობტო-კაზ ბაჯიზე** „ჩიხტიკოპის მოხდა“, ე.ი. „შერცხვენა და დამცირება ქალისა“ : ლაკ. **ბაკბაჰუ ლიქან (ლასუნ)** „ლეჩაქის მოხდა (აღება)“; შდრ. ქართ. **ლეჩაქის ახდა, ლეჩაქის მოხდა** „შერცხვენა ქალისა, მისი სახელის გატეხვა, ნამუსის ახდა“.

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 60; აბდულაევი 2015: 48).

ქართ. **წინსაფარი** : ხუნძ. **ცეხებუზ** „წინსაფარი“ (← ცეხე „წინ“ + ბ-უ-ნ- ფუძე ზმნისა ბ-უ-ნ-ი-ნე „შეკვრა“) : ლაკ. **წაიჭუხდაჰუ** „id.“ (← წაიჭუხ „წინიდან“ + დ-ა-ჰ-უ „შესაკრავი“, ზმნა დ-ა-ჰ-ინ „შეკვრა“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

12) იარაღი, აღკაზმულობა

ქართ. **მშვილდ-ისარი** : ხუნძ. **ჭორ-ბუტ** (← ჭორ „ისარი“ + ბუტ „მშვილდი“) : ლაკ. **ქურთა-ჭატარაკ** (← ქურთა „მშვილდი“ + ჭატარაკ „ისარი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 72; აბდულაევი 2015: 59).

ქართ. **ტყვია-წამალი** : ხუნძ. **გულლა-ხიერ** „საბრძოლო მასალა“ (← გულლა „ტყვია“ + ხიერ „ბალახი“, „წამალი“, „საწამლავე“, „თოფის-წამალი“, „დენთი“) : ლაკ. **ქულლა-მანსავ** „საბრძოლო მასალა“ (← ქულლა „ტყვია“ + მანსავ „თოფისწამალი“, „დენთი“) : დარგ. **მანსაჟ-ჰარჰა** „id.“ (← მანსაჟ „თოფისწამალი“ + ჰარჰა „ტყვია“).

ლაკური და დარგული მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2015: 36).

ქართ. **ქმარ-ხანჯალი** : ხუნძ. **ხანჟარ-რაჩელ** (← ხანჟარ „ხანჯალი“ + რაჩელ „ქმარი“).

ხუნძ. **ლალიტანუს** „დანა (ხანჯლის ქარქაშის უკანა ნაწილში)“ (← ლალ-ი-ტო „ქარქაშის ქვეშ“ [ლოკატივის ფორმა სიტყვისა ლელ „ქარქაში“] + ნუს „დანა“) : ლაკ. **ხუდლულუჭილა** „id.“ (← ხუდლულ-ლუ „ქარქაშების ქვეშ“ + ჭილა „დანა“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 88, აბდულაევი 2015: 72).

ხუნძ. (დიალ.: ყარახ., ჰიდ.) **ჰოტოქელ** „ქვესადგამი“, „საყრდენი“ : ლაკ. **ჩარმუზი** „უზანგი“ (← ჩან ბიზან „ფეხის დადგმა“).

ი. აბდულაევის განმარტებით, „ლაკ. **ჩარმუზი** ეტიმოლოგიურად ბუნდოვანია, თუმცა შესაძლებელია ვარაუდი, რომ აქ გვაქვს ჩარ ← ჩან „ფეხი“ და მუზი ← (ბ)იზან „დადგმა“ : *ჩან-ბიზუ → *ჩანმიზუ → ჩარმიზუ → ჩარმუზი. ხუნძური ფორმის წარმოების გამჭვირვალობა (← ჰეტე „ფეხი“ და ჭუზუ „დადგმა“) გამოამჟღავნებს ანალოგიურ სტრუქტურას ლაკურ სახელწოდებაშიც“ (აბდულაევი 2013: 92, აბდულაევი 2015: 76; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

13) საჭმელ-სასმელი

ქართ. **საჭმელ-სასმელი** : ხუნძ. **ქჷენ-ყელ** (← ქჷენ „საჭმელი“ + ყელ [← ჰეყელ] „სასმელი“).

ქართ. **ერბო-ყველი** : ხუნძ. **ჰან-ნახ** „რძის პროდუქტები“ (← ჰან „ყველი“ + ნახ „ერბო“).

ხუნძ. **რაჟიხინკ** „ნივრის ხინკალი“ (← რაჟი „ნიორი“ + ხინკ „ხინკალი“) : ლაკ. **ლაჩიხუნკ** „id.“ (← ლაჩი „ნიორი“ + ხუნკ „ხინკალი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 78, აბდულაევი 2015: 64).

ხუნძ. **წიჰან** „ახალი ხორცი“ (← წი- „ახალი“ + ჰან „ხორცი“) : ლაკ. **წუდიკ** „id.“ (← წუ- „ახალი“ + დიკ „ხორცი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 91, აბდულაევი 2015: 74).

ხუნძ. **ტერენჩედ** „თხელი პური“, „ლავაში“ (← ტერენ- „თხელი“ + ჩედ „პური“) : ლაკ. **კჷლაჩატ** „id.“ (← კჷლა- „თხელი“ + ჩატ „პური“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 76; აბდულაევი 2015: 62).

ხუნძ. **ტერენხინკალ** „კვადრატული ფორმის თხელი ხინკალი“ (← ტერენ- „თხელი“ + ხინკალ „ხინკალი“) : ლაკ. **კჷლაჰავქური** „id.“ (← კჷლა- „თხელი“ + ჰავქური „ლაკური ხინკალი ერთგვარი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 76; აბდულაევი 2015: 62).

ხუნძ. **წურახინკ** „გატენილი, შიგთავსიანი ხინკალი“, „ქურზე (ხინკლისმაგვარი ერთგვარი კერძი დაღესტანში“ (← წურ-აბ „სავსე“ + ხინკ „ხინკალი“) : ლაკ. **ბუვწუხუნკ** „id.“ (← ბუვწუ- „ავსებული“ + ხუნკ „ხინკალი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 62; აბდულაევი 2015: 50).

ხუნძ. **ბეთარაზ** „მჟავე რძე (ცხვრისა)“, „მაწონი“ (← ბეთ-არ-აზ „შედედებული“, ნამყოს მიმღეობა ზმნისა ბეთ-ი-ზე „შედედება“ + რაზ „რძე“) : ლაკ. **თართნაკ** „id.“ (← თართალა „შენადედი“, „ლაბა“ + ნაკ „რძე“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 85-86, აბდულაევი 2015: 70).

ხუნძ. **ბაყუაჭაჭა** „ბოზა (შესქელებული მათრობელი სასმელია ერ-თგვარი)“ (← ბაყუა „სქლად“ + ჭაჭა „ბოზა“) : ლაკ. **დუყრაჰან** „id.“ (← დუყრა „სქლად“ + ჰან „მათრობელი სასმელი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 68; აბდულაევი 2015: 55).

14) სამკურნალო საშუალებები

ხუნძ. **დარუ-დარმან** „სამკურნალო საშუალებები“ (← დარუ „წამალი“ + დარმან „წამალი“) : ლაკ. **დარუ-დარმან** „id.“ (← დარუ „წამალი“ + დარმან „წამალი“).

ხუნძურ და ლაკურ კომპოზიტებში სინონიმებად წარმოდგენილი ორივე სიტყვა ნასესხებია არაბულიდან.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 67; აბდულაევი 2015: 55).

15) გრძნობა და ემოცია

ხუნძ. **ჭაზაზ-ჭაყუბა** „ტანჯვა-წამება“ (← ჭაზაზ „ტანჯვა“, „წამება“ + ჭაყუბა „id.“) : ლაკ. **აზავ-აყუვა** „id.“

კომპოზიტებში შემავალი ორივე ეს სიტყვა ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

ქართ. **შიმშილი და წყურვილი, მშიერ-მწყურვალი** : ხუნძ. **რაცი-ყერ** „გაჭირვება“, „მძიმე ცხოვრება“ (← რაცი „შიმშილი“ + ყერ „წყურვილი“) : ლაკ. **ქაში-მყ** „id.“ (← ქაში „შიმშილი“ + მყ „წყურვილი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 72; აბდულაევი 2015: 59).

ქართ. **სირცხვილ-ნამუსი** : ხუნძ. ნიჩ-ჰააა „id.“ (← ნიჩ „სირცხვილი“ + ჰააა „ნამუსი“, სინდისი“ : ლაკ. ნაჩ-ჰააა „id.“

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 82, აბდულაევი 2015: 67).

მსგავსადვე: ქართ. **სირცხვილ-ნამუსი** : ხუნძ. ნიჩ-ნამუს (← ნიჩ „სირცხვილი“ + ნამუს „ნამუსი“). ხუნძურში შესაძლებელია კომპონენტთა შებრუნებული წყობაც: **ნამუს-ნიჩ** .

ხუნძ. **შიშყუ-როტი** „ძლიერი სიყვარული“ (← შიშყუ „ვნება“ + როტი „სიყვარული“) : ლაკ. იშყი-ჩავეუ „id.“ (← იშყი „ვნება“ + ჩავეუ „სიყვარული“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 94, აბდულაევი 2015: 77).

16) რაობა, თვისება

ქართ. **ავ-კარგი** : ხუნძ. ქჷემ-ლჷკ „ავკარგი“ (← ქჷემ- „ცუდი“ + ლჷკ- „კარგი“), **ქჷემაზ-ლჷკაზ** „ავი-კარგი“, **ქჷემაზ-ლჷკალჷკ ბალაჰიზე** „ყურება, თვალთ გასინჯვა (ვინმეს ან რამის) ავისა და კარგის გასარჩევად“ : ლაკ. უჷი-ხჷდ „id.“ (← უჷი- „ცუდი“ + ხჷდ- „კარგი“), **უჷი-ხჷდშივეუ** „ხარისხიანობა“, „ავკარგიანობა“, „ღირსება-ნაკლი რამის ან ვინმესი“.

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 84, აბდულაევი 2015: 68).

ქართული ენის სიტყვაწარმოებაში **კარგი** ზედსართავ სახელთან რეგულარულად ხმარებულ ანტონიმად გვევლინება სწორედ **ავი** და არა **ცუდი**, რომელიც ამ თვალსაზრისით არაპროდუქტიულია. **ავი** ზედსართავის მონაწილეობით ქართულში ნაწარმოებია კომპოზიტები **ავ-კარგი**, **ავკარგიანი**, **ავკარგიანობა**, **ავკარგობა**, ხოლო **ცუდი** ზედსართავის შესახებ იმავეს ვერ ვიტყვით.

ქართ. (დიალ.) **დღიანი** „მოსაწონი, სახელიანი, კარგი ავტორიტეტის მქონე“ (ჭინჭარაული 200) : ხუნძ. ასჷ-ყო „დიდგვაროვნობა“, „კეთილშობილობა“, „გვარიშვილობა“ (← ასჷ „ავტორიტეტი“, „სოლიდურობა“, „ღირსება“, „პატივი“ + ყო „დღე“, აგრეთვე: „ღირსება“, „სახელი“, „პატივი“) : ლაკ. ყინი „დღე“, აგრეთვე: „სოციალური სტატუსი“, „საზოგადოებრივი მდგომარეობა“.

ხუნძურ ენაში შეერთებითი კომპოზიტი გვაქვს; მაგ., ასა-ყო ბაწადაჟ ნუცაღი „დიდგვაროვანი (ე.წ. „ცისფერსისხლიანი“) ადამიანი“, „ზეპური“; ზედმიწ. „ავტორიტეტი//ღირსება//პატივი-დღე წმინდა თავადი“. მისი პირველი კომპონენტი დამოუკიდებელ სიტყვადაც იხმარება: ასა ზუგეჟ ჩი „ავტორიტეტის მქონე კაცი“, „პატივსაცემი კაცი“, „ღირსეული კაცი“, „სახელიანი კაცი“.

ხუნძ. ყო, ლაკ. ყინი („დღე“), როგორც ვნახეთ, გვხვდება სხვა მნიშვნელობებითაც: ხუნძურში – „ღირსება“, „სახელი“, „პატივი“; ლაკურში – „სოციალური სტატუსი“, „საზოგადოებრივი მდგომარეობა“; მაგ., ხუნძ. ინსულ ყო „მამის ღირსება“ (ზედმიწ. „მამის დღე“), ინსულ ყოაღდა ჭა „გაუფრთხილდი მამის ღირსებასა და სახელს!“ (ზედმიწ. „მამის დღეზე იდექ!“), ყო ზოდოზეჰანლილარო „ღირსება („დღე“) არ დაკნინდება“;

ლაკ. ყინი დუსა ინსან „დიდგვაროვანი ადამიანი“ (ზედმიწ. „დღე მქონე ადამიანი“), ყინი მარწსა „დიდგვაროვანი“ (ზედმიწ. „დღე წმინდა“), ყინი დაჯასა „მდაბიო“ (ზედმიწ. „დღე უქონელი“); ცავემნალ ჯუს დიკედ, ცავემნალ ყინი დიკედ „ზოგიერთებს სიმდიდრე აქვთ, ზოგიერთებს – გვარიშვილობა („დღე“), ყინილულ ზალლუჯრუ „დიდგვაროვნები“ (ზედმიწ. „დღის პატრონები“)¹.

სალიტერატურო ქართულში ანალოგის დამებნა ძნელია, მაგრამ ხევესურულ დიალექტში მოიპოვება ერთობ საყურადღებო სიტყვა – **დღიანი**.

ნ. ბალიაური წერს: „ხევესურეთში სიტყვა „დღიანი“ ორ შემთხვევაში იხმარება: ქალ-ვაჟობის დროს (ე.ი. სწორფრულ ურთიერთობაში – ლ.ა.) ან მხოლოდ დაკაცებულ მამაკაცზე (40-50 წლის), თუ იგი კარგი კაცია, მის სიტყვას გავლენა აქვს მის გარშემო მყოფ ხალხზე, მისი სიტყვა მოსწონს უმრავლესობას. როდესაც იტყვიან: „იმ კაცს სიტყვა უჯდებოდა, ხალხში დღე ხქონდა, ის კაცი თავისას გაიტანს“-ო, იგი ძალით კი არ აწონებს ხალხს თავის სიტყვას, მის ძალასა და აზრს, არამედ თვით ხალხს მოსწონს. მისი სიტყვა შეიძლება სხვის სიტყვაზე ნაკლები იყოს, მაგრამ ხალხს მაინც ის მოსწონდეს. ასევე იტყვიან ქალ-ვაჟზედაც, მაგ., ის ქალი ძალიან დღიანია. შეიძლება არ იყოს ლამაზი არც ქალი, არც ვაჟი, მაგრამ დღიანი იყოს. დღიანობა ქალს შერჩება მხოლოდ გათხოვებამდე. გათხოვების შემდეგ შეიძლება საოჯახოდ არც კი გამოდგეს. ასევე ვაჟი: შეიძლება იგი როგორც ვაჟკაცი დიდი

¹ საილუსტრაციო მასალა მოხმობილია ხუნძური და ლაკური ენების ლექსიკონებიდან (საიდოვი 1967, ხუნძ.-რუს. ლექს 2006, აბდულაევი 2018).

არაფერი იყოს, მაგრამ ქალები მაინც დღიანად თვლიდნენ“ (ბალიაური 1991: 19-20).

განსხვავება თვალსაჩინოა იმ მხრივ, რომ ხუნძურ და ლაკურ ენებში „დღიანი“ ითქმის ზეპური საზოგადოების წარმომადგენელ ადამიანზე. ლაკურში ცალსახად ასეა, მაგრამ ხუნძურში **ყო** („დღე“) სიტყვა ნიშნავს, აგრეთვე, „ღირსებას“, „სახელს“, „პატივს“. ხევსურულ დიალექტში კი **დღიანი** გულისხმობს პიროვნებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია რაღაც შინაგანი ქარიზმატული თვისება თუ თვისებები.

ხუნძურ და ლაკურ ენებში ამგვარ მნიშვნელობათა განვითარება შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგნაირად: „დღე“ → „ბედნიერი დღის მქონე / დღებდნიერი ვინმე“ → „ზეპური“ და ამ უკანასკნელიდან, ალბათ, დამატებითი მნიშვნელობებიც ხუნძურში: „ღირსება“, „სახელი“, „პატივი“.

ქართულში (კერძოდ, ხევსურულ დიალექტში) უნდა გვეჩვენოს ადამიანის თვისების უბრალო შედარება დღის სინათლესთან, ანუ **დღიანი** = „ნათელი პიროვნება“.

ხუნძ. -**ჰეჰ** (← ჰეჰო „არ არის“, მიმდ. ჰეჰ-ებ „უქონელი“) : ლაკ. **(ბ)აჯუ** „უქონელი“.

ი. აბდულაევის განმარტებით, ლაკ. **(ბ)აჯუ** „მეორე კომპონენტია რთული წარმოების არსებით სახელებში. წარმოადგენს სუფიქსოიდს, ახასიათებს ჩვეულებრივ სადერივაციო ელემენტად ქვევის ტენდენცია. ნაწარმოებია არსებით სახელთა მაწარმოებელი -**უ** სუფიქსის მეშვეობით მიმღობის მოკლე ფორმისაგან **(ბ)აჯა-(სა)** – **(ბ)აჯა** „უქონელი“: **(ბ)აჯუ** „ის, ვისაც არ გააჩნია რამე; არ ჰყავს ვინმე“: **აყლუ-ბაჯუ** „გიჟი“, „უგუნური“; შდრ. **აყლუ ბაჯა(სა)** „ჭკუა-გონება უქონელი“, **იაჰ-ბაჯუ** „ლაჩარი“, **ადაგ-დაჯუ** „თავხედი“, **ნაჩ-დაჯუ** „უსირცხვილო“, **აჟალ-ბაჯუ** „უკვდავი“, **ქა-დაჯუ** „უხელო“ და სხვ. ხუნძ. **ჰეჰ** (მიმღობისაგან ჰეჰ-ებ „უქონელი“): **ადაბ-ჰეჰ** „უზრდელი“, **ზაყლო-ჰეჰ** „გიჟი“, „უგუნური“, **ალლაჰ-ჰეჰ** „უღმერთო“ და სხვ. ხუნძური -**ჰეჰ** სადერივაციო სუფიქსია, მიღებული მიმღობის ფორმაში დაბოლოების მოკვეციტ და გვევლინება არსებით სახელთა მაწარმოებელ სუფიქსად (ისევე, როგორც ლაკ. -(**ბ)აჯუ**), ე.ი. ასეთი ელემენტის შესაქმნელად ორსავე ენაში გამოყენებულ იქნა მიმღობის მოკლე ფორმა: ხუნძურში წმინდა ფუძის სახით, ხოლო ლაკურში – არსებით სახელთა მაწარმოებელი -**უ** სუფიქსის გამოყენებით“ (აბდულაევი 2013: 60, აბდულაევი 2015: 49).

17) ფერი

ქართ. **ცისფერი** : ხუნძ. **ზობალჷულ ტჷერაბ** „ცისფერი“ (← ზობ „ცა“, ნათ. ბრ. ზობ-ალჷ-ულ + ტჷერ-აბ ატრიბუტიული ფორმა არს. სახელისა ტჷერ „ფერი“), ლაკ. **საენილ რანგსა** „id.“ (← საენ „ცა“, ნათ. ბრ. საენ-ნი-ლ + რანგსა ატრიბუტიული ფორმა არს. სახელისა რანგ „ფერი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 85, აბდულაევი 2015: 69).

18) თამაში და გართობა

ქართ. **ჩილიკა-ჯოხი, რიკ-ტაფელა** : ხუნძ. **ბურდი-ტილ** „ჩილიკა-ჯოხი“, „რიკტაფელა“ (← ბურდი „ჩილიკა“ + ტილ „ჯოხი“ : ლაკ. **კილ-თარს** „id.“ (← კილ „ჩილიკა“ + თარს „ჯოხი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 75; აბდულაევი 2015: 61).

ქართ. **დაფა-ზურნა** : ხუნძ. **ზურმა-ყალი** „მუსიკალური თანხლება რამე ღირსშესანიშნავი დღისა, ორკესტრი (მაგ., ქორწილში)“ (← ზურმა „ზურნა“ + ყალი „დოლი“) : ლაკ. **ზჷნნავ-დაჷუ** „id.“ (← ზჷნნავ „ზურნა“ + დაჷუ „დოლი“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 70; აბდულაევი 2015: 57).

ხუნძ. **მახსარა-ხოჷ** „ხუმრობა“, „გართობა“, „სეირი“ (← მახსარა „ხუმრობა“, დაცინვა“ + ხოჷ „გართობა“, „ლაცაფი“) : ლაკ. **მახსარა-ჯარჩ** (/ **ჯარჩ-მახსარა**) „id.“

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 81, აბდულაევი 2015: 66).

19) დრო და სივრცე

ქართ. **დღე-ღამე** : ხუნძ. **სორდო-ყო** „დღე-ღამე“ (← სორდო „ღამე“ + ყო „დღე“) : ლაკ. **სჷუ-ყინი** „id.“ (← სჷუ „ღამე“ + ყინი „დღე“).

ხუნძური და ლაკური მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 89, აბდულაევი 2015: 73).

ხუნძ. **აჟალ-ახირ** „დასაწყისი და დასასრული“ (← აჟალ „დასაწყისი“ + ახირ „დასასრული“, „ბოლო“) : ლაკ. **ახირ-ავევალ** „id.“ (← ახირ „დასასრული“, „ბოლო“ + ავევალ „დასაწყისი“).

კომპოზიტებში შემავალი ორივე ეს სიტყვა ხუნძურშიცა და ლაკურშიც ნასესხებია არაბულიდან.

კომპონენტთა მიმდევრობა ლაკურში ხუნძურისაგან განსხვავებულია.

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 57; აბდულაევი 2015: 46).

20) საწერი საშუალებები

ხუნძ. **შაყი-ყალამ** „საწერი საშუალებები“ (← შაყი „მელანი“ + ყალამ „კალამი“) : ლაკ. **შეყი-ყალამ** „id.“ (← შეყი „მელანი“ + ყალამ „კალამი“).

მონაცემები შეაპირისპირა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013: 93, აბდულაევი 2015: 76).

21) საზომი ერთეული

ლაკ. **არულნაკ** „რამე გროვის (მაგ., ჩელხის) საზომი ერთეული, შედგება შვიდი „იდაყვის“ სიგრძე თოკისაგან“ (← არულ- „შვიდი“ + ნაკ „იდაყვი“) : ხუნძ. (ანდალალური დიალექტის სულრათლურ კილოკავ-თქმაში) **ანტ** „id.“ (← ანტ- „შვიდი“).

ი. აბდულაევის განმარტებით, „როგორც ჩანს, ლაკური და ხუნძური (სულრათლ.) სახელწოდებები ურთიერთდაკავშირებულია. ლაკურში იგი შედგება გაუფორმებელი რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან „შვიდი“ და არსებითი სახელისაგან „იდაყვი“ (სიგრძის საზომი, დაახ. 50 სმ.). ხუნძურ ენაში საგნის სახელწოდებად გვევლინება თვითონ რიცხვითი სახელი. შესაძლებელია, ხუნძ. (სულრათლ.) ფორმა წარმოადგენდეს ნაწილობრივ კალკას ლაკური რთული სიტყვისა („შვიდი იდაყვი“), კერძოდ კი, მისი პირველი კომპონენტისა: ლაკ. **არულ** „შვიდი“ – ხუნძ. **ანტ** „შვიდი“, რომელიც იქცა საგნის სახელწოდებად (არსებით სახელად). ლაკურის გავლენაზე მიანიშნებს ამ სახელწოდების („გროვის საზომი ერთეული“) არარსებობაც ხუნძურის სხვა დიალექტებში. ანდალალურ დიალექტზე (რასაც სულრათ-

ლელთა კილოკავ-თქმაც განეკუთვნება) მეტყველთ ძველთაგანვე ჰქონდათ ლაკებთან მრავალმხრივი ინტენსიური კავშირები“ (აბდულაევი 2013: 56, აბდულაევი 2015: 45; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

4. კომპოზიტთა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით

კავკასიაში გავრცელებულ ენათა არეალური ურთიერთობანი და კონვერგენციის პროცესები ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ სფეროს. ბოლო პერიოდში ამ პრობლემას, დადესტნურ ენათა მასალის ანალიზის საფუძველზე, სპეციალური ნაშრომები უძღვნა ი. აბდულაევმა (აბდულაევი 2013, აბდულაევი 2015). ნაშრომებში მკვლევარი იძლევა მასალის კომპლექსურ ანალიზს კომპარატივისტული, ისტორიულ-ეტიმოლოგიური, ტიპოლოგიური, არეალოგიური, ეთნოლინგვისტური (ე.წ. „ლინგვოკულტუროლოგიური“) ასპექტით. დამუშავებულია საკითხები, როგორცაა საერთოკავკასიური ლექსიკური ფონდი, ენობრივი კონტაქტები (კონვერგენცია), ვაინახურ-დადესტნური და ალანურ-დადესტნური ენობრივი ურთიერთობები, ლაკური ენის მიმართება და ურთიერთობა დანარჩენ დადესტნურ ენებთან (კომპარატივისტული და არეალური ასპექტით). მოხმობილია ვრცელი მასალა კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ გავრცელებული ენებიდან, როგორცაა ქართული, ლაკური, დარგუული, ხუნძური, ანდიურ-დიდოური ენები, ლეზგიური ენები, ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური, ირანული ენები (ოსური, სკვითურ-სარმატული, ალანური, სპარსული, ქურთული, თათური, თალიშური...), სომხური, თურქული ჯგუფის ენები (თურქული, აზერბაიჯანული, ყარაჩაულ-ბალყარული, კუმიკური, ნოღაური, ყაზახური, ყირგიზული, უზბეკური, თურქმენული, თათრული, ბაშკირული, ჩუვაშური, ალთაური, უიღურული, ხაზარული...), არაბული და სხვ. ამგვარი მასშტაბით ჩატარებული კვლევა და ენობრივ მონაცემთა ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯს ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შემოიფარგლებოდა ამა თუ იმ კავკასიური ენის მარტოოდენ ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლით და ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ამ ენათა სემანტიკას, ეტიმოლოგიას, არეალურ ურთიერთობებს, ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკას (ენებში ასახულ მსოფლხედვასა და კულ-

ტურას). უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს დადესტნურ ენათმეცნიერებაში ვითარება ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა.

არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა ხარისხით ვლინდება სიტყვაწარმოებითი პარალელები სხვადასხვა ენებში როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად; როგორია ამ პარალელების გავრცელების არეალი; რომელი ლექსიკური ჯგუფებისთვისაა უფრო მეტად დამახასიათებელი ამგვარი პარალელები სხვადასხვა ენებს შორის და სხვ.

ი. აბდულაევმა წარმოადგინა ნათელი დახასიათება დადესტნურ ენათა არეალური ურთიერთობის რთული სურათისა და შემოგვთავაზა სათანადო მასალის შესწავლის მეთოდოლოგია. იგი წერს: „ხუნძურ-ლაკური ენობრივი კავშირების შესწავლის მხრივ საინტერესოა ორსავე ენაში წარმოდგენილი სტრუქტურულად და სემანტიკურად ერთგვაროვანი ტიპის მყარი შესიტყვებები (ლექსიკალიზებული ანდა ერთმანეთთან შერწყმის ტენდენციისაკენ მიდრეკილნი), რთული სიტყვები, განსაკუთრებით რთული შედგენილი ზმნები, აგრეთვე, სემანტიკურად იდენტური ფუძეებისა და სიტყვა-ფორმებისაგან წარმოებული რიგი სიტყვებისა, რომლებიც გადმოსცემენ ერთნაირ გადატანით მნიშვნელობებს. ყველა ასეთი მოვლენა აიხსნება ცალმხრივი მიმართულების რიგი პროცესებით ორივე ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში. ეს განპირობებულია, ჯერ ერთი, ურთიერთგავლენით, უფრო ზუსტად – გარემომცველი სამყაროს თუ მსოფლხატის აღქმისას ელემენტთა და გრამატიკულ-სემანტიკური აზროვნების ურთიერთშეღწევით ერთი ენიდან მეორეში; მეორეც, ორსავე ენაზე მესამე სხვა ენის (ენების) ერთნაირი ზემოქმედებით, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც ასეთი ერთგვაროვანი მოვლენები ენის სემანტიკური სტრუქტურისა გვხვდება მთელ რიგ დადესტნურ ენებში, უპირველეს ყოვლისა – ერთმანეთის მეზობელ ენებში, კერძოდ, დარგულში. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს უცხო (არადადესტნური) ენიდან მომდინარე სახელწოდებების კალკირებასთან; შდრ., მაგ., ლაკ. **ვარანი-ქელმუ**, ხუნძ. **ჟარანი-ჰინჰა** და დარგ. **ჟალრი-ჩაქა** „სირაქლემა“, რაც არის თარგმანი-კალკა თურქული ენებიდან: **დევე-ქუშუ**; ლაკ. **დარვან ზიშუნ**, ხუნძ. **გაბურ ჰჟაზე**, დარგ. **კაზლა ჟაქეს**, ლეზგ. **გარდან მალუნ**, თაბას. **გარდან იიჟუბ** „თავის მოკვეთა“ (ზედმიწ. „კისრის დარტყმა“) ანალოგიურია სპარსულისა: გარდან ზადან „თავის მოკვეთა“ (ზედმიწ. „კისრის დარტყმა“); ლაკ. **მიკირამ თაუქუ ქუნა**, ხუნძ. **წერტა ჰამა ზადინ**, დარგ. **მიცლიჩიბ დაგალაჟან** „გასაჭირში ყოფნა“ (ზედმიწ. „როგორც ვირი ყინულზე“); შდრ. სტრუქტურითაც და სემანტიკითაც იდენტური

გამოთქმა ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში **ეშექ ბუზდა თერელგენჩა**. ამგვარი ტიპის ერთგვაროვანი წარმონაქმნები, რომლებიც შეინიშნება სრულიად განსხვავებულ და ერთმანეთისაგან დაშორებულ ენებში, შეიძლება წარმოადგენდნენ სემანტიკური უნივერსალის (ან, ბ. სერებრენიკოვის ტერმინოლოგიით, ფრეკვენტალის) გამოვლენას რიგ ენობრივ ჯგუფებში, სინამდვილის ცალკეულ მოვლენათა ნომინაციისას“.

„ზოგიერთ ასეთ მოვლენასთან დაკავშირებით არ არის გამორიცხული, რომ ისინი წარმოადგენდნენ საერთოდადესტნური ვითარების მემკვიდრეობას, თუმცა ამგვარ რთულ სიტყვათა და მყარ შესიტყვებათა („ანალიტიკურ სიტყვათა“) განსაკუთრებული სიახლოვე, მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფენა ორსავე ენაში, აგრეთვე ურთიერთქმედებათა სხვა ფაქტორები, ექსტრალინგვისტური რიგისა, ორივე ხალხის სიტყვიერ და ხალხურ-პოეტურ სფეროებში, საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ სწორედაც რომ ურთიერთშედწევის (და ერთმანეთთან მიმსგავსების) პროცესებზე მათ ენობრივ ცხოვრებაში. სხვადასხვა რთული ცნებებისა და გარემომცველი სინამდვილის რეალიათა სახელდების ლოგიკური სისტემა (ლექსიკურ სემანტიკური სტრუქტურის ცნებათა სისტემა) ორსავე ენაში ბევრი რამით ერთი ტიპისა და იდენტური ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამგვარი ერთგვაროვანი ტიპის ხუნძურ-ლაკური წარმონაქმნი საზიაროა სხვა დადესტნური ენებისთვისაც და თითქოს ისინი უნდა განიხილებოდნენ საერთოდადესტნურ ასპექტში, მეთოდოლოგიურად გამართლებული ჩანს შემოთავაზებებული მიდგომა, რაც გულისხმობს დიდი პრობლემის დამუშავების საწყის ეტაპზე ამგვარ მოვლენათა გამოვლენასა და შესწავლას კონკრეტულ ენათა, მოცემულ შემთხვევაში – ლაკური და ხუნძური ენების მასალის მიხედვით. ამგვარი კვლევები, სხვა ენებისა თუ ენობრივი ჯგუფების მონაცემთა მიხედვითაც, შემდგომში საფუძველი შეიძლება გახდეს ამ საკითხების დამუშავებისა დადესტნურ ენებში მთლიანად“.

„ზემოთქმული თვალსაზრისიდან გამომდინარე, შესაძლებლად მივიჩნიეთ განხილულ იქნეს ასეთი ერთგვაროვანი ტიპის მოვლენები ორი ენის მონაცემთა მიხედვით და წარმოვადგინოთ მაქსიმალურად სრული ჩამონათვალი ამგვარი ენობრივი ერთეულებისა. ამას აქვს მნიშვნელობა ხუნძური და ლაკური ენების ურთიერთგავლენის (ურთიერთმიმსგავსებისა და ურთიერთშედწევის!) პროცესების შესწავლისათვის და იქნება ერთ-ერთი მთავარი პირობა მოცემული პრობლემის დამუშავებისა დადესტნურ ენათმეცნიერებაში“.

„ეს პრობლემა დაკავშირებულია დადესტნურ ენათა შედარებითი სემასიოლოგიის დამუშავებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ

დადესტნურ ენათა სემანტიკისა და სემასიოლოგიის საკითხები არც თუ ურიგოდაა დამუშავებული, მათ შორის რუსულ და რიგ სხვა ევროპულ ენებთან, უპირატესად ინგლისურთან და უფრო ნაკლებად გერმანულ და ფრანგულ ენებთან შეპირისპირებით, შედარებითი სემასიოლოგიის საკითხთა კვლევა დადესტნურ ენათმეცნიერებაში ჯერ არ დაწყებულა, ხოლო ასეთი კვლევების გარეშე შეუსწავლელი რჩება დადესტნურ ენათა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა და მათზე მეტყველთა მსოფლხატი ისტორიულ ასპექტში. მხოლოდ ასეთ კვლევებით შეიძლება იქნეს აღდგენილი ჩვენი ენების უტყუარი და ანთროპოცენტრისტული ისტორია“ (აბდულაევი 2013: 52-54, აბდულაევი 2015: 42-43).

არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისის შემოტანა კვლევის სფეროში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სხვაგვარად რთული ასახსნელი იქნებოდა ერთგვაროვან სტრუქტურულ და სემანტიკურ მოვლენათა არსებობა კავკასიის არამონათესავე ენათა კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაში (რაც ვერ აიხსნება მარტოოდენ ტიპოლოგიით), ამიტომ შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლა კავკასიურ ენათა და დიალექტთა მასალისა ამის გარეშე ვერ იქნებოდა სრულყოფილი.

დადესტნურ ენათა არეალური ურთიერთობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს სიტყვაწარმოებაში მორფემა **-ჩი** და მისი გავრცელება. ეს მორფემა დამახასიათებელია ისეთი სიტყვებისათვის, რომლებითაც აღინიშნება ადამიანის პროფესია-საქმიანობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა თუ სხვადასხვაგვარი თვისებები:

ხუნძურ ენაში: **ზაჰმათი** „მშრომელი“ (ზაჰმათ „გარჯა“, „მრძა“), **ჭულუჭი** „მოსამსახურე“ (ჭულუჯ „სამსახური“), **ფასტანჩი** „მეზოსტნე“ (ფასტან „ბოსტანი“), **ჩაქმაჩი** „მეჩექმე“ (ჩაქმა „ჩექმა“), **თოქენჩი** „მედუქნე“ (თოქენ „დუქანი“), **ჰოქოჩი** „მეურმე“ (ჰოქო „ურემი“), **ქუმექჩი** „დამხმარე“, „თანაშემწე“ (ქუმექ „დახმარება“), **ღალაღჩი** „მკალავი“ (ღალაღ „კალა“), **ჭაშტიჩი** „ჯალათი“ (ჭაშტი „ცული“, „ნაჯახი“), **ზურმაჩი** „მეზურნე“ (ზურმა „ზურნა“), **ყალიჩი** „მედოლე“ (ყალი „დოლი“), **ცეჟეჩი** „წინამძღოლი“ (ცეჟე „წინ“), **ამრუჩი** „მბრძანებელი“ (ამრუ „ბრძანება“), **ჭაყლუჩი** „მრჩეველი“ (ჭაყლუ „ჭკუა“, „გონება“), **ჰერესიჩი** „მატყუარა“ (ჰერესი „ტყუილი“), **ანიშჩი** „მეოცნებე“ (ანიშ „ნატვრა“, „ოცნება“), **ღალმაღირჩი** „შფოთის ამტეხი“ (ღალმაღირ „შფოთი“, „აურზაური“; ნასესხებია არაბულიდან. ეგვე სიტყვა შემოსულია ქართულშიც: აყალ-მაყალი), **ჭასჭასჩი** „სკვპტიკოსი“ (ჭასჭას „ეჭვი“, „უნდობლობა“), **ღაღლაჩი** „ფარისეველი“ (ღაღლა „ლოცვა, რომლის დროსაც რამდენჯერმე იმეორებენ სიტყვებს „ღაღლა ილლალაჰ“; საიდოვი 1967: 310) და სხვ.

ამასთან ერთად, ხუნძურ ენაში **ჩი** წარმოადგენს დამოუკიდებელ სიტყვასაც და „კაცს“, „ადამიანს“ ნიშნავს.

ლ.ჭირკოვის აზრით, **-ჩი** თურქულენოვანი სამყაროდან, კერძოდ, ყუმიკურიდანაა შემოსული ხუნძურში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს **-ჩი** სავსებით ემთხვევა თურქულ ენებში გავრცელებულ სიტყვაწარმოებით აფიქსს. იგი იმდენად შეუთვისებია ხუნძურ ენას, რომ მრავლობითი რიცხვი მისი მეშვეობით წარმოებულ სიტყვებს ისეთივე აქვთ, როგორც საკუთრივ ხუნძურ **ჩი**-ს („კაცი“, „ადამიანი“), ე. ი. **ჩაჩი**. ამრიგად, ვხედავთ ისეთი აღრევის ფაქტს ენაში, რომ ვეღარ გადაგვიწყვეტია ნასესხებია ეს ელემენტი ხუნძურ სიტყვებში, თუ საკუთარი **ჩი**-საგან („კაცი“, „ადამიანი“) არის მიღებული (ჭირკოვი 1948: 28-29).

აქვე ასეთ ვარაუდსაც კი გამოთქვამს ლ.ჭირკოვი: მიუხედავად იმისა, რომ **-ჩი** აფიქსი ფართოდაა გავრცელებული თურქული წრის ენებში, მაინც მისი სემანტიკა ამ ენათა ნიადაგზე ვერ აიხსნება. აღმოვჩნდით რა იმ ფაქტის წინაშე, რომ **ჩი** „ადამიანის“ სემანტიკით მოიპოვება ხუნძურ (იაფეტურ) ენაში, ვსვამთ კითხვას: უწინარესად თვითონ იაფეტური სისტემის ენათაგან ხომ არ მოხვდა იგი თურქულ ენებში (ჭირკოვი 1948: 29).

სპეციალისტები შენიშნავენ, რომ ლ. ჭირკოვის მოსაზრება თურქულ ენათა **-ჩი** სუფიქსის კავკასიური წარმომავლობის შესახებ, ალბათ, იაფეტური თეორიისადმი გარკვეული ანგარიშის გაწევა იყო, თორემ სინამდვილეში ლაპარაკიც ზედმეტია ამ სიტყვაწარმოებითი ელემენტის დაღესტნიდან გავრცელებაზე. აფიქსი **-ჩი** წარმოდგენილია მრავალ თურქულ ენაში, რომელთაც ვერ ექნებოდათ უშუალო შეხება დაღესტნურ ენებთან (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985: 52-53).

არნ. ჩიქობავა და ილ.ცერცვაძე წერდნენ: „ხუნძ. **-ჩი** სუფიქსის ბგერითი მსგავსება თურქული ენის ანალოგიურ სუფიქსთან (თურქ. კაუკ-**ჩი** „მენავე“, თულუხ-**ჩი**...) შემთხვევითია: ძირითადი და ამოსავალი სახე თურქული სუფიქსისა **-ჯი** არის (**-ჩი** ასიმილაციის შედეგად მიიღება); მერე: თურქ **-ჯი** (→ ჩი) ეტიმოლოგიურად გაურკვეველი ოდენობაა, ხოლო ხუნძ. **-ჩი**, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამოუკიდებელი სიტყვაა წარმოშობით და „კაცს“ ნიშნავს“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 172).

მაგრამ ფაქტობრივი ვითარება მაინც იმაზე მეტყველებს, რომ ლ.ჭირკოვის მოსაზრება **-ჩი** ელემენტის თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხობის შესახებ მართებულია. ამას მოწმობს, უპირველესად, ის გარემოება, რომ, ხუნძურის გარდა, **-ჩი** მრავალ დაღესტნურ ენაშია გავრცელებული. მაგალითად:

ლაკურში: **ავჩი** „მონადირე“ (ავ „ჯიხვი“, „ნადირი“), **ჯალაფი** „მკალავი“ (ჯალად „კალა“), **ზაკვი** „მეთაური“ (ზაკ „თავი“), **ქუმაგვი** „დამხმარე“ (ქუმაგ „დახმარება“), **არავაჩი** „მეურმე“ (არავა „ურემი“), **ზალაფი** „მომღერალი“ (ზალად „სიმღერა“), **ჩაფხუნჩი** „მძარცველი“ (ჩაფხუნ „ძარცვა“).... (მურყელინსკი 1957: 225-226; ხაიდაყოვი 1961: 128).

დარგულში: **ანჭი** „მეზაღე“ (ანჭ „ბაღი“), **ჯალაფი** „მკალავი“ (ჯალად „კალა“), **დალაფი** „მომღერალი“ (დალაფ „სიმღერა“... (მაჰომედოვი, 1972: 16-17);

ლეზგიურში: **ზაღმანჩი** „მეზაღე“, **დაღდამჩი** „მედოღე“ (დაღდამ „დოღი“), **ჩუნჭი** „ქურდი“ (ჩუნჭ- „პარვა“), **ჯულლუღი** „მოსამსახურე“ (ჯულლულ „სამსახური“), **ქოლხოზჩი** „კოლმეურნე“... (ჰაიდაროვი 1966, 72-73).

თაბასარანულში: **დემირჩი** „მჭედელი“ (დემირ „რკინა“), **ჯულლუღი** „მოსამსახურე“ (ჯულლულ „სამსახური“), **ჩექმეჩი** „მეჩექმე“ (ჩექმე „ჩექმეები“), **ქალხოზჩი** „კოლმეურნე“, **თანქი** „ტანკისტი“, **დაკლაფი** „მომხსენებელი“ (რუს. доклад „მოხსენება“) (მაჰომეტოვი 1965, 144) და სხვ.

აქ დასახელებულ და კიდევ სხვა დაღესტნურ ენებშიც **-ჩი** არ წარმოადგენს საკუთარ მასალას. სათანადო ენათა მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი ნასესხებია. როგორ გვაქვს ამ მხრივ საქმე თვითონ ხუნძურში?

დიდი ხნის მანძილზე ხუნძურს ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც აქვს ყუმიკურ ენასთან. დროთა განმავლობაში ხუნძურში ამ ენიდან შემოვიდა სიტყვათა გარკვეული წყება და მათგან ბევრს თან შემოჰყვა **-ჩი** სუფიქსიც. თვით ყუმიკურში იგი გვხვდება ვარიანტებით: **-ჩი** // **-ჩე** // **-ჩუ** // **-ჩუ**. ეს სუფიქსი თურქულ ენებშიც ისეთსავე სიტყვებს აწარმოებს, რომლებითაც აღინიშნება ადამიანის პროფესია, ხელობა, თვისებები, მიდრეკილებები და ა. შ. საკმარისია ხუნძურში არსებული ზოგი სიტყვა ყუმიკურისას შევუდაროთ, რომ **-ჩი** ელემენტის ნასესხობაც აშკარა გახდეს. ასე, მაგალითად:

ხუნძ. **თუქენჩი** „გამყიდველი“ (თუქენ „მაღაზია“), შდრ. ყუმიკ. **თუქენჩი** „id.“ (თუქენ „id.“);

ხუნძ. **დალაფი** „მკალავი“ (დალაფ „კალა“), შდრ. ყუმიკ. **ქალაფე** „id.“ (კალაფ „id.“);

ხუნძ. **ზადრაჩი** „მედროშე“ (ზადრაჩ „დროშა“), შდრ. ყუმიკ. **ზადრაფე** „id.“ (ზადრაფ „id.“);

ხუნძ. **არღანჩი** „მეგარმონე“ (არღან „გარმონი“), შდრ. ყუმიკ. **არღანჩე** „id.“ (არღან „id.“);

ხუნძ. **ღალმადირჩი** „სკანდალისტი“ (ღალმადირ „შფოთი“, „სკანდალი“), შდრ. ყუმიკ. **ყალმადალჩე** „id.“ (ყალმადალ „id.“, შდრ. ქართულში [← არაბ.]: აყალმაცალი);

ხუნძ. **ილჯიჩი** „მეჯოგე“ (ილჯი „ჯოგი“), შდრ. ყუმიკ. **იგლსეჩე** „id.“ (იგლსე „იდ.“);

ხუნძ. **ჯულუჯჩი** „მოსამსახურე“ (ჯულუჯ „სამსახური“), შდრ. ყუმიკ. **ყულუყჩუ** „id.“ (**ყულუყ** „id.“); და სხვ. (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985: 50).

ამრიგად, გარკვეულია, რომ ხუნძურ ენაში საკუთარი **ჩი**-ს („კაცი“, „ადამიანი“) გვერდით მართლაც არსებობს სხვა ენიდან შემოსული სიტყვაწარმოებითი აფიქსი. ამჟამად ორივე ეს ელემენტი ისეა ერთმანეთში არეული (როგორც ამას აღნიშნავდა ლ. ჟირკოვიც), რომ მათი გარჩევა ჭირს. სპეციალისტთა აზრით, ყუმიკური **-ჩი** სუფიქსის გამოსაცალკავებლად და ხუნძური სიტყვაწარმოების სისტემაში მისი ადგილის დასადგენად უკვე საჭიროა გამოწვლილვითი ანალიზი **ჩი**-ს გამოყენების ყველა შემთხვევისა (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985: 45).¹

ბევრად ნათელი ვითარება სუფევს ამ მხრივ სხვა დადესტურ ენებში, სადაც საკუთარი და ნასესხები მასალა ადვილად განირჩევა. მაგ., ლაკურში **-ჩი** ნასესხები აფიქსია (**ქუმეაჩი** „დამხმარე“, შდრ. ხუნძ. **ქუმეეჩი**), ხოლო **ჩუ** საკუთრივ ლაკურ სიტყვას წარმოადგენს (**ჰალმადჩუ** „ამხანაგი“, შდრ. ხუნძ. **ჰალმად ჩი** „ამხანაგი კაცი“) და იგი „კაცს“, „ადამიანს“ აღნიშნავს ხუნძურის მსგავსად (მურყელინსკი 1957: 225, 226).

რაც მთავარია, ნასესხები **-ჩი** სუფიქსი იმდენად ორგანულად შეეთვისა ხუნძურ ენას, რომ საკუთარ სიტყვადაც კი იქნა აღქმული და მისი ანალოგიით ბევრ ლექსემას გაუჩნდა დაბოლოებად „ქალის“ აღმნიშვნელი ფუძე: **ჭუეუე**, მაგ., თვითონ ყუმიკურიდან შემოსულ სიტყვასაც **ჯულუჯჩი** „მოსამსახურე“ დაუპირისპირდა ფორმა **ჯულუჯჭუეუე** „მოსამსახურე ქალი“ და ეს მოხდა სუფიქსის ხუნძურ ნიდაგზე გადააზრების წყალობით. ამჟამად სიტყვათა პარალელური წარმოება **-ჩი** // **-ჭუეუე** ელემენტებით გავრცელებული მოვლენაა, მაგ., **ზაჰმათჩი** „მშრომელი კაცი“ – **ზაჰმათჭუეუე** „მშრომელი ქალი“ (ზაჰმათ „შრომა“, „გარჯა“), **ამრუჩი** „მბრძანებელი კაცი“ – **ამრუჭუეუე** „მბრძანებელი ქალი“ (ამრუ „ბრძანება“), **შაჰარჩი** „მოქალაქე კაცი“ – **შაჰარჭუეუე** „მოქალაქე ქალი“ (შაჰარ „ქალაქი“), **ბუსურმანჩი** „მუსულმანი კაცი“ – **ბუსურმანჭუეუე** „მუსულმანი ქალი“ (ბუსურმან „მუსულმა-

¹ ნ. ჯიდალაევისა და ს. ალიხანოვის ნაშრომში ხუნძურის ფაქტები ძირითადად ყუმიკური ენის მონაცემების შუქზეა განხილული. ცხადია, არ უნდა გამოირიცხოს თურქული ჯგუფის სხვა ენათა ზეგავლენაც.

ნი“), **მისქინჩი** „ღარიბი კაცი“ – **მისქინჭუყუყუ** „ღარიბი ქალი“ (მისქინ „ღარიბი“, „საწყალი“), **ჰობოლჩი** „სტუმარი კაცი“ – **ჰობოლჭუყუყუ** „სტუმარი ქალი“ (ჰობოლ „სტუმარი“, „ყონალი“), **ლაღჩი** „მონა კაცი“ – **ლაღჭუყუყუ** „მონა ქალი“ (ლაღ „მონა“, „ტყვე“), **ანიშჩი** „მეოცნებე კაცი“ – **ანიშჭუყუყუ** „მეოცნებე ქალი“ (ანიშ „ნატვრა“, „ოცნება“), **ჟასჟასჩი** „სკეპტიკოსი კაცი“ – **ჟასჟასჭუყუყუ** „სკეპტიკოსი ქალი“ (ჟასჟას „ექვი“, „უნდობლობა“), **ჰერესიჩი** „მატყუარა კაცი“ – **ჰერესიჭუყუყუ** „მატყუარა ქალი“ (ჰერესი „ტყუილი“), **ზაყლუჩი** „მრჩეველი კაცი“ – **ზაყლუჭუყუყუ** „მრჩეველი ქალი“ (ზაყლუ „ჭკუა“, „გონება“), **მასხარაჩი** „ხუმარა კაცი“ – **მასხარაჭუყუყუ** „ხუმარა ქალი“ (მასხარა „ხუმრობა“, „მასხრობა“)..¹

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ მრავლობითში ხშირად განზოგადებულად იხმარება ხოლმე **-ჩაჭი** („კაცები“) მაშინაც კი, როცა ქალებს შეეხება საუბარი, ნაცვლად ასეთ დროს უფრო მოსალოდნელი **-რუჩაბი** („ქალები“) ფორმისა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნასესხებ სიტყვებში მოცემული ყუმიკური სუფიქსი **-ჩი** სრულიად ბუნებრივადაა დაქვემდებარებული ხუნძურ არსებით სახელ **ჩი**-ს („კაცი“, „ადამიანი“) პარადიგმას. მაგალითად:

ილჯიჩი „მეჯოგე“ (შდრ. ყუმიკ. **დღლჯგჩე** „id.“), **ჩი** „კაცი“, „ადამიანი“:

ერგ. **ილჯიჩიდას** „მეჯოგემ“, შდრ. **ჩიდას** „კაცმა“

ნათ. **ილჯიჩიდასულ** „მეჯოგისა“, შდრ. **ჩიდასულ** „კაცისა“

მიც. **ილჯიჩიდასე** „მეჯოგეს“, შდრ. **ჩიდასე** „კაცს“.

მრავლობითშია **ილჯიჩაბი** „მეჯოგეები“, **ჩაჭი** „კაცები“:

ერგ. **ილჯიჩაბაზ** „მეჯოგეებმა“, შდრ. **ჩაჭაზ** „კაცებმა“

ნათ. **ილჯიჩაბაზულ** „მეჯოგეებისა“, შდრ. **ჩაჭაზულ** „კაცებისა“

მიც. **ილჯიჩაბაზე** „მეჯოგეებს“, შდრ. **ჩაჭაზე** „კაცებს“ (ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985: 51).

როგორც აღნიშნავენ ნ.ჯიდალაევი და ს.ალიხანოვი, ხუნძების ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება, აგრეთვე პრესის, რადიოს ენა მოწმობს, რომ **-ჩი**-ს მეშვეობით ლექსემათა წარმოქმნა ცოცხალი და

¹ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ, მაგალითად, თაბასარანული ენა, სადაც **-ჩი** დაბოლოება სიტყვაში შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მოქმედ პირად ქალი იგულისხმება. ასეთ დროს **-ჩი** სუფიქსიან სახელს უბრალოდ, ამ სუფიქსის მოუცილებლად, საზღვრულად დაერთვის ხოლმე **დიშეპლი**, **ხგაირ** ან **შიჟ** „ქალი“: **თელეფუნჩი დიშეპლი** „ტელეფონისტი ქალი“ (**თელეფუნჩი** „ტელეფონისტი“), **ფაღჩი ხგაირ** „მკითხავი ქალი“ (**ფაღჩი** „მკითხავი“) და სხვ. (მაჰომეტოვი 1965: 144).

პროდუქტიული პროცესია ხუნძური ენის სიტყვაწარმოებაში (ჯიდალა-ევი, ალიხანოვი 1985: 51).

დალესტნურ ენათაგან განსხვავებით, ამ თურქულმა სუფიქსმა ფეხი ვერ მოიკიდა ქართულში, რადგან ჩვენმა ენამ მას დაუპირისპირა სიტყვაწარმოების საკუთარი საშუალებები: **მე-ბოსტნ-ე**, შდრ. ხუნძ. **ფასტან-ჩი** „id.“ (ფასტან „ბოსტანი“); **მე-დუქნ-ე**, შდრ. ხუნძ. **თოქენ-ჩი** „გამყიდველი“ (თოქენ „მაღაზია“); **მე-ჩექმ-ე**, შდრ. **ჩაქმა-ჩი**; **მე-ურმ-ე** (← მე-ურემ-ე), შდრ. ლაკ. **არაგა-ჩი** „id.“ (არაგა „ურემი“); **მე-ბად-ე**, შდრ. ლეზგ. **ბადმან-ჩი**; **მ-კალ-ავ-ი**, შდრ. ხუნძ. **ღალაჰ-ჩი**, ლაკ. დარგ. **ჯალაჰ-ჩი** „id.“ (ღალაჰ „კალა“); **მე-თა-ურ-ი** (← მე-თავ-ურ-ი), შდრ. ლაკ. **ბაკ-ჩი** „id.“ (ბაკ „თავი“); **მო-ნადირ-ე**, შდრ. ლაკ. **ავ-ჩი** „id.“ (ავ „ჯიხვი“, „ნადირი“) და სხვ.

თურქული სიტყვაწარმოებითი აფიქსის შემცველი სიტყვები ქართულსაც უსესხებია, მაგ., **სუფრაჯი** (შდრ. სუფრა), **სარაჯი** (იგივეა, რაც „მეუნაგირე“; შდრ. გვარი სარაჯიშვილი), **ლაფაჩი** (ამჟამად წარმოადგენს გვარსახელს), **ყაუხჩი** (შემორჩენილია გვარსახელში ყაუხჩიშვილი), **თოფჩი** (= „მეიარაღე“), შემონახულია გვარსახელში თოფჩიშვილი)... ამ სიტყვებში არსებული **-ჯი**, **-ჩი** ქართულში ცალკე მორფემებად არც აღიქმება; შდრ. **მე-თულუხჩ-ე** (← თურქ. თულუხ-ჩი) და სხვ.

დალესტნური ენებისათვის კი ბუნებრივი აღმოჩნდა **-ჩი** სუფიქსით ახალ ლექსემათა წარმოება თვით რუსულის გზით შემოსული სიტყვებისგანაც, მაგ., **ქოლხოზჩი** „კოლმეურნე“ (რუს. колхоз), **დაქლად-ჩი** „მომხსენებელი“ (რუს. доклад „მოხსენება“), **გიტარაჩი** „გიტარისტი“ (რუს. гитара), **თელეფონჩი** „ტელეფონისტი“ (რუს. телефон), **თანქჩი** „ტანკისტი“ (რუს. танк) და სხვ.

დალესტნის ენათა არეალური ურთიერთობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ხუნძური და ლაკური ენების უშუალო მეზობლად წარმოდგენილი დარგული ენის მონაცემები. როგორც აღნიშნავს ი. აბდულაევი, „ისტორიულ-შედარებითი ასპექტით დალესტნურ ენათა ურთიერთმიმართების განხილვისას მკვლევრები აღნიშნავენ ლაკური და დარგული ენების დიდ სიახლოვეს, რაც ზოგიერთ კავკასიოლოგს (არნ. ჩიქობავა, შ. გაფრინდაშვილი, ა. მაჰომეტოვი) აძლევდა საფუძველს იმისა, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოური და ლეზგიური ქვეჯგუფების გვერდით ცალკე გამოეყოთ დარგულ-ლაკური ქვეჯგუფი. ამასთან დაკავშირებით, ამ ენათა ურთიერთობის ბევრი ფაქტი ისტორიულ-შედარებით ასპექტში გაშუქებულ იქნა სპეციალურ ლიტერატურაში, რომელშიც გამოვლენილია ამ ენათათვის საერთო არაერთი მოვლენა“ (აბდულაევი 2015: 33).

ლაკურ და დარგულ ენებს შორის მკვლევარმა საკმაო რაოდენობით გამოავლინა ერთგვაროვანი ტიპის რთული სიტყვები, მყარი ლექსიკალიზებული შესიტყვებები და იდიომები, რომლებიც უეჭველად წარმოქმნილ არიან ამ (და სხვა დადესტნურ) ენათა კონვერგენტული განვითარების პირობებში (აბდულაევი 2015: 26, 36-37); შდრ., მაგ.:

ლაკ. **უსურ-სუ** „ნათესავეები“, „ნათესაობა“ : დარგ. **უზი-რუზი** „id.“ (ზედმიწ. „ძმა-და“);

ლაკ. **ბაკ-ჩან** „ტერფი“ : დარგ. **ბეკ-ყაშ** „id.“ (ზედმიწ. „თავი-ფეხი“);

ლაკ. **ბაკ-შარაში** „სათავე“ : დარგ. **ბეკ-შინიზ** „id.“ (ზედმიწ. „თავი-წყარო“);

ლაკ. **ბართ-ქა** „ხელის მტევანი“ : დარგ. **ბეკ-ნაყ** „id.“ (ზედმიწ. „თხემი/თავი-ხელი“);

ლაკ. **ჰივჩ-ჯურთ** „ხილი“ : დარგ. **შინც-ჯარ** „id.“ (ზედმიწ. „ვაშლი-მსხალი“);

ლაკ. **ჰუკა-ჰაჟაქ** „ტანისამოსი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“) : დარგ. **შალჯარ-ჰეჟა** „id.“ (ზედმიწ. „შარვალი-პერანგი“);

ლაკ. **ქულლა-მანსავ** „საბრძოლო მასალა“ (ზედმიწ. „ტყვია-თოფისწამალი“) : დარგ. **მანსაჟ-ჰარჰაა** „id.“ (ზედმიწ. „თოფისწამალი-ტყვია“);

ლაკ. **ჯათა-წუ** „მეურნეობა“ : დარგ. **ჯალი-წა** „id.“ (ზედმიწ. „სახლი-ცეცხლი“);

ლაკ. **ლუხჩი-სავ** „სამყარო“ : დარგ. **მუსნი-ზუზრი** „id.“ (ზედმიწ. „მიწა-ცა“);

ლაკ. **მარ-ჭან** „ნალები“ : დარგ. **ლუტი-ზაბულ** „id.“ (ზედმიწ. „ლურსმანი-ძირი“);

ლაკ. **ჭან-ჩან** „ნალი“ : დარგ. **ლუტი-ყაშ** „id.“ (ზედმიწ. „ძირი-ფეხი“);

ლაკ. **ურთაუ-შინ** „ფლორა“, „კლიმატი“ : დარგ. **ყარ-შინ** „id.“ (ზედმიწ. „ბალახი-წყალი“);

ლაკ. **თაუქუ-ჩუ** „შინაური პირუტყვი (ტვირთის მზიდავი და სატრანსპორტო საშუალება“) (ზედმიწ. „ვირი-ცხენი“) : დარგ. **ურჩი-ემჰე** „id.“ (ზედმიწ. „ცხენი-ვირი“);

ლაკ. **დახუ-ლასუ** „ვაჭრობა“, „აღებ-მიცემა“ : დარგ. **ასინ-ბიშინ** „id.“ (ზედმიწ. „გაყიდვა-აღება“);

ლაკ. **ბაჰუ-ბიზუ** „ყოფა-ცხოვრება“ (ზედმიწ. „არსებობა-ადგომა“) : დარგ. **ამზინ-ქასნი** „id.“ (ზედმიწ. „ადგომა-დაწოლა“);

ლაკ. **ითახ-ბიშუ** „საყვედური“ : დარგ. **დაჰლა-ბაჯ** „id.“ (ზედმიწ. „თვალში კვრა“);

ლაკ. **ჟუნბუთა / ჟუნმამა** „პაპა“ : დარგ. **ხალათა** „id.“ (ზედმიწ. „დიდი მამა“);

ლაკ. **ჟუნნაბავა** „ბებია“ : დარგ. **ხალანეშ** „id.“ (ზედმიწ. „დიდი დედა“);

ლაკ. **ჟუნჭუწუ** „მწყემსების მეთაური“ : დარგ. **ხალაბუკუნ** „id.“ (ზედმიწ. „დიდი მწყემსი“);

ლაკ. **ჟინვირიჩუ** „გმირი“ : დარგ. **ჭაჰლაბზა** „id.“ (ზედმიწ. „კარგი მამაცი“);

ლაკ. **ჟინხალა** „სიკეთე“, „მადლი“ : დარგ. **ჭაჰხარყ** „id.“ (ზედმიწ. „კეთილმოქმედება“, „სიკეთე“);

ლაკ. **შანბაკუ** „გზავჯვარედინი“ : დარგ. **ჭაჰყალ** „id.“ (ზედმიწ. „სამგაყოფა“);

ლაკ. **ქაჩილ ჯადუქულთ** „ფული“ : დარგ. (კუბაჩ.) **ხჷილ ბუქაქან** „id.“ (ზედმიწ. „მალის შეუჭმელი“);

ლაკ. **ბუთაალ ბაჰლიმ** „ძვირად“ : დარგ. **ათნალლა ყიმათ** „id.“ (ზედმიწ. „მამების ფასად“);

ლაკ. **ბიგკუ ნაწ** „სუსტი“, „არაფრის მაქნისი“ : დარგ. **ბიჭიჭუ ნეზ** „id.“ (ზედმიწ. „მკვდარი ტილი“) და სხვ.

5. კომპოზიტთა ეთნოლინგვისტური ანალიზი

კომპოზიტური სიტყვაწარმოების ეთნოლინგვისტური ასპექტით განხილვა გულისხმობს, ერთის მხრივ, შესწავლას ამა თუ იმ ეთნოგრაფიული რეალიის (კულტურა, სოციალური ყოფა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, რიტუალი, მსოფლხედვა, რწმენა-წარმოდგენები...) აღმნიშვნელი ნაწარმოები სიტყვებისა; გარკვევას იმისა, თუ რა სახელწოდება მოეპოვება სათანადო ეთნოგრაფიულ რეალიას, როგორ არის იგი სახელდებული კომპოზიტის მეშვეობით, და, მეორეს მხრივ, როგორი კონოტაციით შეიძლება გვევლინებოდეს ესა თუ ის ნაწარმოები სიტყვა ეთნოგრაფიული სინამდვილის კონტექსტში, როგორ არის შეპირობებული კომპოზიტის სემანტიკა კონკრეტული ეთნოგრაფიული რეალიის მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტრადიციული საზოგადოების დისკურსში გამოყენებული ესა თუ ის ენობრივი ერთეული შეიძლება გვევლინებოდეს ისეთი კონოტაციით, რაც უჩვეულოა თანამედროვე საზოგადოების მეტყველებისათვის და თანაც ეს კონოტაცია უშუა-

ლოდ არის შეპირობებული იმ სინამდვილით, რომელშიც ტრადიციული საზოგადოება ცხოვრობს და განსაზღვრულია ამ საზოგადოების მსოფლხედვითა და წარმოდგენებით.

შესაბამისად, იგულისხმება აღწერა და ანალიზი სიტყვის როგორც დენოტატიური მნიშვნელობის, ისე მისი დამატებითი მნიშვნელობისაც (კონოტაცია), რომელიც ხშირად განპირობებულია ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორებით. მეტადრე როცა საქმე ეხება დიალექტურ ლექსიკას, სათანადო რეალიების ცოდნის საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა ხოლმე. ეთნოლინგვისტური ანალიზი დიდად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საშუალებას იძლევა უფრო ფართოდ აღიწეროს და დახასიათდეს სიტყვაწარმოების სემანტიკა.

ენაში ორ სიტყვას შორის შესაძლებელია გაჩნდეს გარკვეული ასოციაციური მიმართება, თუ მათ ხმარებას ერთმანეთის გვერდით აქვს რეგულარული ხასიათი. მაგალითად, ქართულ ენაში **ია** სიტყვასთან მჭიდროდაა ასოციაციურად დაკავშირებული **ვარდი**, რაც სათანადოდ არის ასახული ენაში (განსაკუთრებით პოეტურ მეტყველებაში, ფოლკლორულ ტექსტებში...). გარკვეულ ხანაში კი, სპარსული პოეზიის გავლენით, **ვარდი** ასევე უკავშირდებოდა სიტყვას **ხულბული**.

ქართულისათვის ბუნებრივია, აგრეთვე, შეკავშირება **პური** და **ღვინო** სიტყვებისა, რომელთაგანაც მიღებულია კომპოზიტიც **პურ-ღვინო**; შდრ. **პურ-მარილი**, აფხაზური **ა-ჩეიჯკვა** „პურ-მარილი“, ზედმიწ. „პური და მარილი“ (გვანცელაძე 2011:352), შდრ., აგრეთვე, რუს. **хлеб-соль**.

ასევე, რეგულარული სახით შეინიშნება ანტონიმური მიმართება **თხა** და **მგელი** სიტყვებს შორის (განსაკუთრებით პოეზიაში; მაგ., ხალხური: *თხას უთხრეს, მგელი მამკვდარა / თხამ ნავარდი ქნა, გაიქცა / თხაო, ნუ გავხარებია / განა სამგლეთი დაიქცა... „ვეფხისტყაოსანში“: ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ თქვენნი, ინდოთა, თხანია; შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს...).*

რეგულარულად დაპირისპირებულ სიტყვათა წყვილია **ცა** და **დედამიწა**, რომელიც, გარდა ჩვეულებრივი გაგებისა (სამყაროს ორი ნაწილი), ქართულში გამოიყენება ხოლმე რაიმე ორი საგნის მეტად დიდი განსხვავებულობის, მათი მკვეთრი დაპირისპირების გამოსახატავად, მაგ., *როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან* (ასეთი შედარება, გარდა ქართულისა, სხვა ენებისთვისაც არ არის უცხო); ეს ორი სიტყვა მონაწილეობს, აგრეთვე, ადამიანის ასეთ დახასიათებაში (იდიომატურ გამოთქმაში): **ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქლამნად**.

სიტყვათა წყვილი **ცა** და **ქვეყანა** გამოიყენება სამყაროს აღსანიშნავად; **მზე** და **მთვარე** სიტყვათა წყვილი გვხვდება იდიომატურ გამოთქმაში **მზე** და **მთვარე ამოსდის მასზე**.

დღე და **მზე** სიტყვათა ერთმანეთის გვერდით რეგულარულად ხმარება სალიტერატურო ქართულში ასე აშკარად არ შეინიშნება, მაგრამ მოიპოვება ამ სიტყვათაგან შედგენილი რთული ზმნისართი **დღი-სით-მზისით**.

სიტყვათა წყვილი **ქარი** და **ცეცხლი** სალიტერატურო ქართულში ამჟამად კომპოზიტად ანუ ერთ სიტყვად არის ქცეული – **ქარცეცხლი**, მაგრამ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს განცალკევებულ სიტყვათა სახითაც, მაგ., გაწყრომის ფორმულაში: *ღვთისა და ბატონის ქარი და ცეცხლი!*

სიტყვათა წყვილი **ქარი** და **წყალი** სალიტერატურო ქართულში ამჟამად იშვიათია, მაგრამ მოიპოვება კომპოზიტური ზმნა **გა-ქარწყლ-ებ-ა**.

ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს **ნაცარი** და **მტვერი** კომპოზიტურ ზმნაში **გა-ცა-მტვერ-ებ-ა** ← გან-ნაცარ-მტვერ-ებ-ა, გა-აცა-მტვერ-ებ-ს ← გა-ნაცა-მტვერ-ებ-ს ← გან-ნაცარ-მტვერ-ებ-ს (შანიძე 1953, : 267).

თავი და **რიგი** სიტყვათა წყვილისაგან, მაერთებელი და კავშირის ჩამატებით, მიღებულია კომპოზიტი **თადარიგი** (თავ-ი-და-რიგი).

წესი და **რიგი** სიტყვებისაგან შედგენილია ფართოდ ხმარებული კომპოზიტი **წესრიგი** (წეს-ი-რიგი). ჩვეულებრივია მათი ხმარება განცალკევებულ სიტყვებადაც.

ჭირი და **ლხინი** სტაბილურად შეკავშირებულ სიტყვათა წყვილია (მაგ., **ჭირი იქა, ლხინი აქა... ჭირსა და ლხინში** და სხვ.), მაგრამ არ ქმნის კომპოზიტს. მისთვის ნიშანდობლივია სიტყვათა მიმდევრობის სტაბილურობაც, ანუ სიტყვათა ეს წყვილი, როგორც წესი, არ იხმარება შებრუნებული წყობითაც : ლხინი და ჭირი.

სული და **გული** იხმარება განცალკევებულ სიტყვებად, მაგ., *ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა* (რუსთველი), ასევე გამოთქმაში – *მთელი სულითა და გულით*. გვაქვს მათგან შედგენილი კომპოზიტიც **სულ-გულ-ობ-ა** (იშვიათად ხმარებული) და რთული ზედსართავი სახელი **უ-სულ-გულ-ო**.

სიტყვათა წყვილით **სისხლი** და **ხორცი** გამოიხატება მშობლიური, ახლო ნათესაური (აგრეთვე, ეთნიკური) კავშირი ადამიანებს შორის, მაგ., *ეს ჩემი შვილია, ჩემი სისხლი და ხორცი*. ანალოგიური რამ არ არის უცხო სხვა ენებისთვისაც. მათგან არის ნაწარმოები **-ეულ** დერივატის მეშვეობით კომპოზიტი **სისხლ-ხორც-ეულ-ი** „მეტად არსები-

თი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამ, ორგანული რამ“, აგრეთვე ზმნა **შე-სისხლ-ხორც-ებ-ა** „მტკიცედ, ორგანულად შეთვისება“.

თვალი და **ყური** სიტყვათა წყვილისაგან ნაწარმოებია ფართოდ ხმარებული კომპოზიტი **თვალყური** ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში **თვალყურს ადევნებს** „ყურადღებას აქცევს, ფიზიკურად აკვირდება, სდარაჯობს, ზედამხედველობს“. მისგან დერივაციულადაც არის ნაწარმოები რთული სიტყვები (**მე-ე** და **სა-ო** ცირკუმფიქსებით): **მე-თვალყურ-ე** „მოყურადე, ფიზიკურად დამკვირვებელი, ზედამხედველი“; **სა-თვალ-ყურ-ო** „დაკვირვების, ზედამხედველობის ობიექტი“, **სა-მე-თვალ-ყურ-ე-ო** „სადარაჯო, სადამკვირვებლო, საზედამხედველო“.

თვალი და **ტანი** სიტყვათა წყვილისაგან არის მიღებული კომპოზიტი **თვალ-ტან-ად-ი** „ლამაზი, მოხდენილი, წარმოსადეგი ადამიანი“ და სხვ.

გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მოხდეს სიტყვათა ზოგიერთი ამდაგვარი წყვილის გაკომპოზიტება, ანუ მათი გადაქცევა მყარ ლექსიკურ ერთეულებად, მაგრამ ლექსიკალიზაციის ეს პროცესი ენაში ყოველთვის არ ხორციელდება, ანუ გარკვეულ წყვილთა წევრები ერთმანეთის მიმართ კვლავაც რჩებიან ხოლმე ოდენ ასოციაციურად შეკავშირებულ, თუმცა მაინც განცალკევებულ სიტყვებად და არ ქმნიან კომპოზიტებს.

ლექსიკოლოგიური და სიტყვაწარმოებითი ანალიზის გარდა, მნიშვნელოვანია სიტყვათა წყვილების განხილვა გარკვეულ კონტექსტში მათი გამოყენების თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებოა ეთნოგრაფიული ტექსტები, რომლებიც გამოავლენენ ღირსსაცნობ ენობრივ მონაცემებს. ეთნოგრაფიული ტექსტი შეიცავს ამა თუ იმ წეს-ჩვეულებისა თუ რიტუალის აღწერილობას, რომელშიც დაუნჯებელია მრავალი მასალა, ლინგვისტური თვალსაზრისით ჯერაც შეუსწავლელი.

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა, მაგალითად, სიტყვათა ანალოგიური წყვილი **ძვალი** და **გვარი** (ან **გვარი** და **ძვალი**), რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა, მაგრამ ხევსურულ დიალექტში დასტურდება მისგან მიღებული კოორდინაციული კომპოზიტი **ძვალ-გვარი** (ან **გვარ-ძვალი**), რაც კრებითად აღნიშნავს „გვარს, მოდგმას, ნათესავებს“. შესიტყვებები: **გვარ-ძვალის მასაყვივნე-ბი**, **გვარ-ძვალს მასაყვილეს**, **გვარ-ძვალს მასთხრის** (ჭინჭარაული 2005); „გ ვ ა რ - ძ ვ ა ლ ი თ უნდა მავშორდათ ერთმანეთს ჩვენა-დ გიორგანი ერთის უნამუსო კახპაის გულისად“ (ბალიაური 1991: 92. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). პარალელი იძებნება სვანურ ენაში მყარ შესიტყვებათა სახით: **ჯიჯუიშ ნწთი** „ახლო ნათესავი“ (სიტყვასიტყვით „ძვლის

ნათესავი“), **ჯიჯუიმ ლიკუშე** „გვარში სისხლის აღრევა“ (სიტყვასიტყვით „ძვლის გატეხვა“) (თოფურია, ქალდანი 2000: 888), ანუ „ეგზოგამიის წესის დარღვევა“. ასეთ სახელდებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ხევსურთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ერთი ძველი ჩვეულება: თუ ერთმანეთის ნათესავი ქალ-ვაჟი დაარღვევდა ეგზოგამიის წესს, შეიყრებოდა მთელი გვარი. ისინი გათხრიდნენ შემცოდე ვაჟის ახლობელი მიცვალებულის საფლავს, ამოიღებდნენ იქიდან წვივის ძვალს, ორად გატეხდნენ, ერთ ნატეხს ერთ მხარეს გადააგდებდნენ, მეორეს – მეორე მხარეს და დაიძახებდნენ: „დღეის ამას იქით ჩვენ გაყრილნი ორთ გ ვ ა რ ი თ ა დ ა ც, ძ ვ ა ლ ი თ ა დ ა ც“ (გუჯუჯიანი 2010: 279¹; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ანალოგიური ჩვეულება სვანეთში უფრო ადრე იქნა მივიწყებული, მაგრამ ენაში შემოინახა მისი ოდინდელი არსებობის კვალი, ხსენებული შესიტყვების სახით (**ჯიჯუიმ ლიკუშე** „ეგზოგამიის წესის დარღვევა“, სიტყვასიტყვით „ძვლის გატეხვა“).

ქართულში **ძვალის გატეხა** გვხვდება იდიომატურ გამონათქვამად, მნიშვნელობით „სირცხვილის ჭამა, სახელის გატეხა, სააუგო საქმის ჩადენა, წვალება“. თ. სახოკიას თქმით, „აქ იგულისხმება ადამიანის ძვალის გატეხა ადამიანის მიერვე, რაც საშინელ ცოდვად, შეუნდობარ ბოროტებად ითვლება ქართველებში“ (სახოკია 1979: 838). იგივე იდიომი დადასტურებულია მეგრულშიც: **ძვალიმ ტახუა** „ძვალში ტეხა, ძვლის გადამსხვრევა, სირცხვილის ჭამა, სირცხვილის ჭმევა (გადატ.)“; **ძვალიმ მატახალი** „ძვალთამტეხი, სირცხვილის მჭმეველი (გადატ.)“; **ძვალიმ სატახო** „ძვლის გასატეხი, სამარცხვინო (გადატ.)“ (ქობალია 2010). ქართულსა და მეგრულში ამ იდიომის მნიშვნელობა, სვანური შესიტყვებისაგან განსხვავებით, ზოგადია, მაგრამ გარკვეული სემანტიკური კავშირი მაინც საგრძნობია: ქართ., მეგრ. „სააუგო, სამარცხვინო საქმის ჩადენა“ ~ სვან. „გვარში სისხლის აღრევა“.

ქართულ ენაში მოიპოვება შე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი - ტ ე ბ ი, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელები; ასეთი კომპოზიტებია, მაგალითად, **ხელ-ფეხი, ტან-ფეხი, თავ-ფეხი, მხარ-ხეჭი, გულ-მკერდი, ცხვირ-პირი, წვერ-ულვაში, თვალ-წარბი, გულ-ღვიძლი** და სხვ. ამ ტიპის ზოგიერთი კომპოზიტის გამოყენება საერთო ენაში ამავე დროს რამდენადმე შეზღუდულია, მაგ., **ყელ-ყური, გავა-წელი, კუჭ-ნაწლავი** უპირატესად სამედიცინო დარგის ტერმინებია.

¹ ამ ჩვეულების აღწერა წარმოდგენილია მ. ბალიაურის გამოუქვეყნებელ ეთნოგრაფიულ ნაშრომში, რომელიც აქ ციტირებულ მონოგრაფიაშია დამოწმებული (ბალიაური 1936).

ამასთანავე მოიძებნება ანალოგიური აგებულების ისეთი კომპოზიციებიც, რომლებიც დღეს იშვიათად თუ იხმარება და სალიტერატურო ქართულისათვის რამდენადმე უჩვეულოა. სომატიზმების შემცველ ამგვარ სიტყვას წარმოადგენს **ხელ-მხარი**.

ხელ-მხარი წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და მისი განმარტებაა უბრალოდ „ხელი და მხარი“. საილუსტრაციო მაგალითებად ახლავს: „ნადირს კბილი შეუკარი, მეკობრესა – ხ ე ლ-მ ხ ა რ ი“ (ხალხ.), „აი, ხ ე ლ-მ ხ ა რ ი შეგარჩინოთ ღმერთმა! – შეაქო პაატამ თავისი შეგირდები“ (ვ. ბარნ.) (ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.); ხუნძურ ენაში მოიპოვება მსგავსი კომპოზიტი **ღეჟ-ქჷერ** (← ღეჟ „მხარი“ + ქჷერ „ხელი“).

ხევსურულსა და ფშაურში, მაგალითად, არსებობს მყარი შესიტყვება **კელ-მჯარის ნათვლა, კელ-მჯარს გაინათლავს**. ასე ეწოდება კულტმსახურების ერთ-ერთ წესს: ჯვარ-ხატის მსახური სამსხვერპლო პირუტყვს დაკლავს და მის სისხლს, განწმენდის მიზნით, ხელეგზე იხურებს – „გაინათლება“¹ (ვაჟა-ფშაველა 1964: 89, მაკალათია 1984: 241, ოჩიაური 1991: 17, 38, 65, 101, 105, 133, 134, 158, 161, 176-179, 189, 2014, 223, 227, 238, 263, 283, 284; ჭინჭარაული 2005).

ღირსსაცნობია, რომ მეგრულშიც დასტურდება „ხ ე ლ ი“ და „მ ხ ა რ ი“ კომპონენტებისაგან შედგენილი სიტყვა **ხე-ხუჯობა**, ზედმიწ. „ხ ე ლ - მ ხ რ ო ბ ა“. ამ სახელწოდებით ცნობილია დღეობა, რომელსაც მკედლები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ახალი წლის წინა დღეს (ქობალია 1903: 112; მაკალათია 1941: 321-322; რეხვიაშვილი 1964: 153). ყურადღებას იქცევს ლოცვის ტექსტი, რომელიც ხეხუჯობაზე წარმოითქმოდა:

ხ ე ხ უ ჯ ი ბედნიერი დო მშვენიერი, ჩქიმი ხ ე დო ხ უ ჯ ი შ ი ნაქიმიწათ ჩქიმი გური გაახარი, ჩქიმი ხ ე დო ხ უ ჯ ი შ ი ჯგირობუას სი ქეგმორჩქინე. ხ ე შ ი ტახუა, ხ უ ჯ ი შ ი ჭუა მა დო ჩქიმი ჩილ დო სქუას შორიშა ქეგმომირაყით „ხ ე ლ მ ხ ა რ ი ბედნიერო და მშვენიერო, ჩემი ხ ე ლ ი ს ა და მ ხ რ ი ს ნაქნარით ჩემი გული გაახარე, ჩემი ხ ე ლ ი ს ა და მ ხ რ ი ს ჯანმრთელობით შენ დამაბერე. ხ ე ლ ი ს ტეხვა, მ ხ რ ი ს ტკივილი მე და ჩემ ცოლსა და შვილს შორის გაგვიქარვე“ (მაკალათია 1941: 321. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

მოხმობილი ტექსტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში რ ე - გ უ ლ ა რ უ ლ ი სახით გვხვდება ერთმანეთის გვერდით სიტყვები **ხე**

¹ ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“: ხევს. **განათვლა** „საკლავის დაკვლა და ხელზე მისი სისხლის ცხება“, **სანათლავი** „საკლავი, რომლითაც ინათლების“ (შანიძე 1984: 371).

(„ხელი“) და **ხუჯი** („მხარი“), რომელთა შეერთებითაც (ლექსიკალიზაციით) არის მიღებული კომპოზიტი **ხეხუნჯობა**.

ვაჟა-ფშაველამ წარმოადგინა აღწერილობა ხევსურეთში ძველად არსებული კატის დაკიდების რიტუალისა, რომლის ტექსტშიც ვხვდებით მოხსენიებას (სიტყვათა წყვილებით) გარემომცველი სინამდვილის ზოგი ობიექტისა: დანაშაულში ბრალდებული აიყვანდა კატას, ხეზე ჩამოკიდებდა და ყველას წინაშე წარმოთქვამდა ფიცს: „თუ მე ჩაჩაურის (ანუ სხვა ვინმე იქნება) ცხენ მამეპაროს, ეს კატაიმც იქნების ჩემის მკვდრისა და, ცოცხალისა და, ჯვარისა და, ტაბლისა და, სანთლისა და, წყლისა და, წისქვილისა და, მთისა და, ბარისა და...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 50; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

მოხმობილ ტექსტში სიტყვათა წყვილებია: **მკვდარი** და **ცოცხალი**, **ტაბლა** და **სანთელი**, **წყალი** და **წისქვილი**, **მთა** და **ბარი**.

ხევსურულში **წყალი** და **წისქვილი** გვევლინება კოორდინაციულ კომპოზიტადაც, მაგ., შესიტყვებაში **წყალ-წისქვილის სამცხნელო**, რაც ნიშნავს შემდეგს: მესისხლეობის წეს-ჩვეულების მიხედვით მკვლელს (მეწეულს) მოკლულის ოჯახისათვის უნდა გაეგზავნა საკლავი პირუტყვი და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო საფქვავე დაეფქვა, მანამდე კი სხვა სოფელში მიჰქონდა და იქ ფქვავდა (მაკალათია 1984: 84); ხევს. **სამცხნელო** ეწოდება ჯარიმას (პირუტყვის სახით). მხოლოდ მისი გადახდის შემდეგ ეძლეოდა ნება მკვლელს შეესრულებინა თავისი ცხოვრებისეული რომელიმე საქმე. ეს სიტყვა წარმოდგენილია მესისხლეობის წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ ქმედებათა ამსახველ კიდეც არაერთ შესიტყვებაში:

საქმის სამცხნელო ეწოდება საკლავს, რომლის მიცემის შემდეგაც მკვლელს შეეძლო ოჯახში საქმიანობა; **მიწა-წყლის სამცხნელო** – მკვლელის მიერ მოკლულის ოჯახისათვის ხარ-გუთნის გაბმის წინ გაგზავნილი საკლავი. მისი გადახდის შემდეგ ეძლეოდა მკვლელს ნება მიწა მოეხნა; **თიბად გასვლის სამცხნელო** – საკლავი, რომელიც მკვლელმა მოკლულის ოჯახს უნდა გაუგზავნოს თიბვის დაწყებამდე; **საფლავ-სამარხის სამცხნელო** – მკვლელს არ შეეძლო თავისი ოჯახის მიცვალებულის დამარხვა, სანამ ამის სამცხნელო საკლავს მოკლულის ოჯახს არ გაუგზავნიდა (მაკალათია 1984: 84).

ნ. ბალიაურს აღწერილი აქვს ხევსურეთის ტრადიციულ საზოგადოებაში ძველად არსებული რიტუალი, დაკავშირებული სანათესაოდან დისშვილების მოკვეტასთან, მათთან ნათესაური კავშირისა და ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტასთან, მათი გარკვეული ბრალე-

ულობის გამო. ყურადღებას იქცევს ამ რიტუალის შესრულებისას საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები:

„გაიგონეთ კ ა ც მ ა ’ დ ი ა ც მ, ბ ე რ მ ა ’ ა ხ ა ლ მ, ს ო ფ ლ ე ლ ’ ს ტ უ მ ა რ თ, მ ტ ე რ მ ა ’ მ ო კ ე თ ე მ, ც ა მ ა ’ დ ე დ ა მ ი წ ა მ, ქ ვ ა მ ა ’ ხ ე მ, სულმა, ჯვარმა, რომ ჩვენ ოთხ ძმან თავის ცოლ-შვილით, ორნ დანი უქმარშვილოდ, ვიკვეთთ დისწულებს...“ (ბალიაური 1991: 93; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ტექსტის მოხმობილ ამონარიდში, როგორც ვხედავთ, გამოიკვეთება სიტყვათა შემდეგი წყვილები: **კაცი** და **დიაცი**, **ბერი** და **ახალი**, **სოფლელი** და **სტუმარი**, **მტერი** და **მოკეთე**, **ცა** და **დედამიწა**, **ქვა** და **ხე**. ტექსტში რამდენადმე ასახულია ტრადიციული საზოგადოების შეხედულება გარემომცველი სინამდვილის შესახებ. რიტუალის შესრულებისას წარმოთქმული ეს სიტყვები მიმართულია არა მარტო ადამიანების, არამედ უსულო ობიექტებისადმიც (ცა, დედამიწა, ქვა, ხე). ზოგადად, ტრადიციული საზოგადოების დისკურსში ერთობ თვალსაჩინოა სხვადასხვა სპეციფიკური სიტყვები, ფრაზემები, წინადადებები, ტექსტები, პერფორმატივები და, აგრეთვე, გლოსოლალა, რომლებიც თან ახლავს ხოლმე ამა თუ იმ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ რიტუალს. ამასთან ერთად, სარიტუალო ტექსტები საყურადღებოა იმით, რომ მათთვის ნიშანდობლივია სტერეოტიპულობა, რეგულარულად გამოყენება; გარკვეულ სიტყვათა, ფრაზათა, წინადადებათა განმეორებადობა.

ტრადიციული საზოგადოების ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა და მსოფლხედვის დასახასიათებლად, ენობრივი ასახვის თვალსაზრისით, საყურადღებოა ზემოთმოხმობილი ეთნოგრაფიული ტექსტის ფრაგმენტში პოვნირი სიტყვათა წყვილი **სოფლელი** და **სტუმარი**, რომელიც ეთნოგრაფიულ ტექსტებში გვხვდება რეგულარული სახით. პოვნირია შებრუნებული წყობითაც, შეერთებითი კომპოზიტის სახით (**სტუმარ-სოფლელი**); შდრ., მაგ., სხვა ტექსტში:

„ღმერთო დალოცვილო, შენ გეხვეწების სულიცა, კაციც. ღმერთო მაღლიანო, შენ უშველი ამ სასმელისა-დ ტაბლის პატრონებს, ნურას მარჯესად მისცემ, ნუც სოფელშია-დ ძმა-სახლისკაცობაშია-დ შინ. დღეს ამას იქით სალხინო ტაბლა შაუცვალე-დ ამზადები. კარგად უმყოფი ეს ს ტ უ მ ა რ - ს ო ფ ლ ე ლ ე ბ ი ც“; „მასპინძლებო, პურ-სასმლის პატრონებო, თქვენ გადღეგრძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ღმერთმა ნუ გაგაცუდნასთ ნუც მთლისადა, ნუც მკვდრისად, ნუც მტერ-მაკეთისად, გაგიმარჯვასთ თქვენაც ს ტ უ მ ა რ - ს ო ფ ლ ე ლ ე ბ ო, გაგახარასთ თქვენაც, მანდილოსნებო, ქალ-ზლებო, გი-

ცოცხლასთ მზის საფიცარი“; „მასპინძლებო, ღმერთმ დაგლოცნასთ, გა-
დღეგრძელნასთ. დღეს ამას იქით სალხინო ტაბლა დაგამზადებევასთ.
კარგად გიმყოფასთ ეს ს ტ უ მ ა რ ს ო ფ ლ ე ლ ე ბ ი ც, ზალ-დედამ-
თილ, დედა-ქალებო, თქვენაც გაგახარნასთ, გიცოცხლნასთ სამამისახ-
ლოიც, შვილ-ბოლოიც. გაგახარნასთ თქვენაც ქალ-დიაცებო, გიცო-
ცხლასთ მზის საფიცარი. შაუნდნას სულ ნაცსენებს კი, ალლადამც ეჯ-
მარების იმების სულს, ვისადაც ნალოცი ას, გაქჩერებული ას ეს პური
და სასმელი“ (ოჩიაური 1980: 65; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.)¹.

თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ხევსურულ დიალექტში
სოფლელი და **სტუმარი** ერთმანეთის მიმართ ანტონიმებია, ხოლო სა-
ლიტერატურო ქართულისათვის უცხოა, როგორც ამ სიტყვების ასოცი-
აციურად ერთმანეთთან შეკავშირება, ისე მათი ოპოზიცია.

ამ თავისებურებას განაპირობებს ის, რომ ხევსურულ დიალექტ-
ში სიტყვა **სოფლელი** უფრო ვიწრო და კონკრეტული სემანტიკის შე-
მცველია და „თანასოფლელს, მეზობელს“ ნიშნავს და არა „სოფლის
მცხოვრებ ადამიანს“ ზოგადად, როგორც ეს არის სალიტერატურო ქარ-
თულში, ხოლო სიტყვა **სტუმარი** ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონ-
ში“ მოცემულია ბესარიონ გაბუურის ერთმნიშვნელოვანი და ნათელი
განმარტებით: „ს ტ უ მ ა რ ჩვენ გვიქვიან ს ხ ვ ა ს ო ფ ლ შ ი ი თ
მ ა ს უ ლ ს. თ ა ვ ი ს ს ო ფ ლ ი ს კ ა ც ს ტ უ მ ა რ ა რ ხ ქ ვ ი ა ნ“
(შანიძე 1984: 403; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). ბ. გაბუურის ეს განმარტებავე
ცალსახად არის მოხმობილი **სტუმარი** სიტყვასთან ა. ჭინჭარაულის
„ხევსურულ ლექსიკონში“ [ჭინჭარაული 2005].

თავის მხრივ, აღნიშნულ სიტყვათა ოპოზიცია ასახავს ხევსურე-
თის სოფლის ტრადიციული საზოგადოებისათვის ნიშანდობლივ კო-
ლექტივისტურ ცნობიერებას, დამყარებულს ამ საზოგადოების წევრე-
ბის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობაზე (ამ მოვლენის
ეთნოლოგიური ანალიზისათვის იხ. კანდელაკი 1998: 135-139): რო-
გორც წესი, ერთი სოფლისა თუ თემის მკვიდრნი ითვლებოდნენ საერ-
თო სალოცავის (ჯვარის) ყმებად; ჰქონდათ საკუთარი საზოგადოებრი-
ვი თვითმმართველობა; არსებობდა საერთო მიწათსარგებლობა; თანა-
სოფლელთათვის დამახასიათებელი იყო ურთიერთდახმარება; მოქმე-
დებდა ეგზოგამიის მკაცრი წესი, ანუ დაუშვებელი იყო თანასოფლე-
ლი ქალ-ვაჟის დაქორწინება (შდრ. ეთნოგრაფიულ ტექსტში: „ს ო ფ -

¹ გარდა ამისა, მოხმობილ ტექსტში თვალსაჩინოა სიტყვათა წყვილები და
კომპოზიტები: **სული** და **კაცი**, **პური** და **სასმელი**, **პურ-სასმელი**, **სასმელი** და **ტაბლა**,
ძმა-სახლისკაცობა, **მთელი** და **მკვდარი**, **მტერ-მაკეთე**, **ქალ-ზღები**, **ზალ-დედამ-**
თილი, **დედა-ქალები**, **სამამისახლო**, **შვილ-ბოლო**.

ლ ე ლ ე ბ ი ო რ თ. თ ა ვ ი ს დ ა ს ა ვ ი თ უ ნ და ს წ ა მ და ს ს ო ფ - ლ ე ლ თ ქ ა ლ ი“; იხ. ბალიაური 1991: 36; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.), ამიტომ გათხოვილი ქალები (რძლები), როგორც წესი, სხვა სოფლებიდან იყვნენ მოყვანილი; ინდივიდისათვის უმძიმეს სასჯელს წარმოადგენდა საზოგადოებიდან (სოფლიდან, თემიდან, გვარიდან) მოკვეთა და სხვ. ხევსურეთის სოფელი, ამრიგად, წარმოადგენდა ერთგვარ მიკროსამყაროს, რომლის მკვიდრთა მტკიცე ერთობის გამოძახილიცაა სწორედ **სოფლელი** სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა ხევსურულ დიალექტში – „თანასოფლელი“, „მეზობელი“.

კოლექტივისტური მენტალობის ასახვის თვალსაზრისით სხვა საყურადღებო მაგალითებიც იძებნება ეთნოგრაფიულ ტექსტში; მაგალითად, სოფლის წესის დამრღვევი ინდივიდის ოჯახსა და ნათესაობას საზოგადოება მუქარას უთვლის შემდეგი სიტყვებით: „ს ა ქ ო ნ ს ს ა ქ ო ნ შ ი ნ უ გ ა ღ რ ე ვ თ, ც ა ლ კ ე ი ყ ვ ე ნ ი თ!... ც ა ლ კ ე ჩ ვ ე ნ ს ო ფ ე ლ ი, ც ა ლ კ ე – თ ქ ვ ე ნ! ა რ ც მ კ ვ დ რ ე ბ ს დ ა ვ უ მ ა რ ხ ა ვ თ, ა რ ც ჯ ვ ა რ - ჯ ვ ა რ ი ს კ ა რ შ ი მ ა ვ უ შ ო ბ თ თ ქ ვ ე ნ ე ბ სა ხ ლ ი ს კ ა ც ე ბ ს, ა რ ც ს ა ქ ო ნ ს გ ა უ რ ე ვ თ ი მ ა თ ა ს“ (ბალიაური 1991:36; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). თვალსაჩინოა ნათქვამი **საქონს საქონში ნუ გარევთ**, რაც ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან მუქარის ადრესატებს აეკრძალებათ სოფლის საზოგადოების კუთვნილი საერთო სამოვრებით სარგებლობა; სოფელი აღარ იზრუნებს მათ საქონელზე ისევე, როგორც საკუთარზე. აქვე სოფლის საზოგადოება უარს ამბობს მომავალში დაეხმაროს მათ გასაჭირისა და უბედურების ჟამს („არც მკვდრებს და ვუმარხავთ...“) და ართმევს უფლებას სოფლის საერთო სალოცავში მისვლისა („არც ჯვარ-ჯვარისკარში მავუშობთ...“).

აღსანიშნავია **სტუმარი** სიტყვის გამოყენება ეთნოგრაფიულ (სარიტუალო) ტექსტში: „სოფლელეზო! მაგდიოდასთ ს ო ფ ე ლ შ ი შ ა - მ ა მ წ ყ ვ დ ე უ ლ ს ს ტ უ მ ა რ ს, პირიქით-პირაქათელს, რომ ქალს ვიკვეთა, ვიშორებ თავზეით იმის სახელ-სირცხვილთ, რახან ეეგეთა საქმე ქნა...“ (ბალიაური 1991: 50; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.); ან კიდევ: „გამიგონეთ სოფელმაც, მეთემემაც, პირიქითელ გ ა მ ა მ წ ყ ვ დ ე უ ლ ს ტ უ მ ა რ მ ა ც. ჩემს შვილს წაუყვანავის ისეთ ქალ ცოლად, რომენიც არ ეკუთვნოდ... მამიშორებავ შვილობით! დღესის გარდა იმის მამობას აღარ ვიტყვი, შვილი შვილად არ მინდ...“ (ბალიაური 1991: 36; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

აქ საყურადღებოა ზმნა **შა-მა-მწყვდ-ევ-ა**, რომელიც ხევსურულში კონკრეტულად სწორედ სტუმართან, მოსულ კაცთან დაკავშირებული სიტყვა ჩანს და იგი აღნიშნავს „სტუმრის მოსვლას, სტუმრობას“

(სწორედ ამ კონკრეტული და ცალსახა მნიშვნელობითაა მოცემული **შამამწყვდევა** ზმნის განმარტება ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონშიც“). ამ ზმნის მიმღობაა **შა-მა-მწყვდ-ე-ულ-ი** „სტუმრად მოსული“ და მისგანვე არის მიღებული შესიტყვება **შამამწყვდეული სტუმარი** „მოსული სტუმარი“. მოხმობილ ეთნოგრაფიულ ტექსტში იგივე მიმღობა გვხვდება სხვა ზმნისწინით გაფორმებულიც: **გა-მა-მწყვდ-ე-ულ-ი**. მიმღობის ორსავე ფორმაში წარმოდგენილი სხვადასხვა ზმნისწინები **შა-მა-** და **გა-მა-** იწვევს ამ ფორმათა მნიშვნელობის გარკვეულ განსხვავებასაც; კერძოდ, **შა-მა-** ზმნისწინიანი მიმღობა **შა-მა-მწყვდ-ე-ულ-ი** აღნიშნავს „სოფელში შიგნით შემოსულ სტუმარს“, ხოლო, ამისგან განსხვავებით, **გა-მა-** (← გად-მა- ← გარდ-მა-) ზმნისწინიანი ფორმა **გა-მა-მწყვდ-ე-ულ-ი** უნდა ნიშნავდეს „სოფელში მთის იქიდან გადმოსულ სტუმარს“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართულში სულ სხვა მნიშვნელობისაა ზმნის ძირი **-მწყვდ-**; შდრ. სალიტ. ქართ. და-**მწყვდ-**ევ-ა „ჩაკეტვა“, „რამე შემოზღუდულ სივრცეში ძალით მოთავსება (ადამიანისა, ცხოველისა...)“, „დატუსალება“; მისი მიმღობაა და-**მწყვდ-ე-ულ-ი**. სხვა ზმნისწინებით: გა-მო-**მწყვდ-**ევ-ა „id.“, ჩა-**მწყვდ-**ევ-ა „id“ და სხვ.

რას უნდა გამოეწვია ხევსურულში ზმნის სემანტიკის ასეთი თავისებურება? ეს მნიშვნელობა უნდა ასახავდეს გარკვეულ ობიექტურ ვითარებას მთიელთა ცხოვრებისა: ზამთრის პერიოდში, რაც საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა (თითქმის 5-6 თვე), ხევსურეთში დიდი ხნის განმავლობაში, თოვლის გამო, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და ჩაკეტილი იყო ხოლმე ხეობები, თემები, სოფლები. ხშირად შეუძლებელი იყო მგზავრობა, რის გამოც სხვა სოფელში სტუმრად მისული ვინმე შეიძლებოდა საკმაოდ დიდი ხნით ჩარჩენილიყო იქ და უკან ვერ დაბრუნებულიყო, ვიდრე გზა არ გაიხსნებოდა, ამიტომ სტუმრად მყოფი ადამიანი ასეთ პირობებში თითქოს მართლაც „დამწყვდეული“ იყო სხვა სოფელში.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ალ. ოჩიაურის მიერ მოთხრობილი ერთი პატარა ამბავი, რომლის კონტექსტიც შეიძლება გამოდგეს ხევსურული **შამამწყვდევა** // **გამამწყვდევა** ზმნის ამგვარი სემანტიკის ნათელსაყოფად: „თურმე ერთ ოჯახს სტუმრები მიუვიდნენ ზამთარში. მოვიდა დიდი თოვლი და მასპინძელთან დიდხანს დარჩნენ. აქაურ დიაცებს მოსწყინდათ მათი სტუმრობა და მოისურვეს შინ წასვლა მოაგონონ. დაღამების შემდეგ ერთმა დიაცმა გარეთ გაიხედა, შემოვიდა შინ და სტუმრების გასაგონად თქვა: ცა მოწმენდილია,

ძალიან კაი ამინდია და ხვალ კი ჩვენ სტუმრებსაც აღარა დაიჭერს შინ წასასვლელადო. სტუმრები მიხვდნენ ამ სიტყვის შინაარსს, გაიგეს, რომ მათი შინ წასვლა ეჩქარებოდათ დიაცებს, მაგრამ ვითომ ვერ გაიგონეს, ხმა არ ამოუღიათ. მერე ერთი სტუმარი გარეთ გავიდა და შემოსულმა დიაცების გასაგონად თქვა: „გაუდარებავ კი, მაგრამ ისეთ დიდ თოვლი, რო ერთ თვეს არ გავ გზა არცად, რო მეზობელ მეზობელსთან მივიდას, თორე შორს ხო ვერც ჩვენ წაოლთა, ვერც სხო, ვინაც თემში ას და მ წ ყ ვ დ ე უ ლ ი“ (ოჩიაური 1980: 41; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

გარკვეულწილად საყურადღებოა ხუნძურ ენაში „სტუმრის“ აღმნიშვნელი **ჰობოლ** სიტყვის სემანტიკა. ხუნძურში **ჰობოლ** სიტყვას, გარდა თავისი ცნობილი და გავრცელებული მნიშვნელობისა („სტუმარი“) მოეპოვება, აგრეთვე, კონოტაცია „სხვა სოფელი“ და შეიძლება გამოიყენებოდეს არამართო ადამიანის მიმართ, თუ იგი დაირთავს ატრიბუტივის მაწარმოებელ **-აბ** სუფიქსს (III კლასის ანუ ეწ. ნივთის კლასის სუფიქსს), მაგ., **ჰობოლ-აბ ჰოი** „სხვა სოფლის ძალი“ (ზედმიწ. „სტუმარი ძალი“). აღსანიშნავია, რომ დაღესტნის სოფელიც წარმოადგენდა ერთგვარ მიკროსამყაროს თავისი ტრადიციული ყოფა-ცხოვრებითა და კოლექტივისტური მენტალობით, ოღონდ ქართველ მთიელთა სოფლისგან მკვეთრად განსხვავდებოდა იმით, რომ დაღესტანში მოქმედებდა ენდოგამიის წესი, ანუ ქორწინება ხდებოდა თანასოფლელებს შორის, ხოლო სხვა სოფლების მაცხოვრებლებთან საქორწინო ურთიერთობა მიუღებლად ითვლებოდა¹.

ამის საპირისპიროა ქართველ მთიელებში მოქმედი ეგზოგამიის წესი, რამაც ასახვა ჰპოვა ენაშიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ენის მთის დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში, თუშურში) შეერთებითი კომპოზიტი **ქალ-ზალი**, რომელიც არის „კრებითი სახელწოდება სოფლის გასათხოვარი და გათხოვილი დედროვანისა“ (ბალიაური 1991:189; სიტყვის განმარტება ეკუთვნის თ. ოჩიაურს). ეთნოლოგიურ მეცნიერებას ალბათ გაუძნელდებოდა თავად შეექმნა ისეთი სპეციალური ტერმინი, რომელიც უფრო ბუნებრივი და ორგანული შესატყვისი იქნებოდა მთის სოფლის შინაგანი ტრადიციული ყოფისა, ვიდრე კომპოზიტი **ქალ-ზალი**. როგორც ზემოთაც აღინიშნა, აღმოსავ-

¹ მაგალითად, ერთ-ერთ ხუნძურ სიმღერაში ვხვდებით ასეთ სიტყვებს:

| | |
|------------------------|---|
| დუნძალ ბუგო, დუნ დიგო, | „სამყარო არის, მე [ქალი] ვარ, |
| დირ რაკ ლოლებ ჟო ჰეჰო, | ჩემი გულის გასახარი რამ არ არის, |
| დირ რაკ ლოლებ ჰარჩილა | ჩემი გულის გამხარებელი ქორი [ე.ი. ვაჟი] |
| ჩიდარ როსულან ბუგო. | სხვა სოფლიდან არის“. |

ლეთ საქართველოს მთიანეთში ეგზოგამიის წესის მიხედვით დაუშვებელი იყო ერთი და იმავე სოფლის ქალ-ვაჟის დაქორწინება¹. ამ წესმა კი სათანადო ასახვა ჰპოვა ენაშიც **ქალი** და **ზალი** სიტყვების დაპირისპირებით: მთის სოფელში **ზალი** ეწოდებოდა გათხოვილ პირს, რომელიც, წესის მიხედვით, აუცილებლად სხვა სოფლიდან უნდა ყოფილიყო მოყვანილი, ხოლო **ქალი** მთის კილოებში მნიშვნელობით არ არის იდენტური სალიტერატურო ქართულის იმავე სიტყვისა (მდედრობითი სქესის ადამიანი ზოგადად). მთის სოფელში **ქალი** ერქვა გასათხოვარ პირს, რომელიც იმავე სოფელში იყო დაბადებული და გაზრდილი. გათხოვების შემთხვევაში კი ისიც **ზალი** გახდებოდა, ოღონდ უკვე სხვა სოფელში.

დიალექტური სიტყვა **ქალი** ერთ-ერთი ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება სიტყვის სემანტიკა, მისი კონოტაცია უშუალოდ იყოს მოტივირებული მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილით. მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ნ. ბალიაურის ცნობა:

„ხევსურეთში ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალიშვილს ყველანი ეძახიან „ქალს“... გათხოვილ ქალს „ქალს“ აღარავინ დაუძახებს. სიტყვა „ქალი“ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ნახმარი იყოს დედაკაცებზეც, ქალიშვილებზეც და რძლებზეც, მაგრამ „დიაცი“ გათხოვილ ქალს ეთქმის, რაც არ შეიძლება სხვას დაუძახონ. ქალობით მას მიმართავენ თვისი მამულნი², გათხოვილი იქნება გაუთხოვარი, თუ უკვე ხანში შესული. რძალი გათხოვილ მულს, ქმრის სოფელელ ქალებს ქალს ვერ დაუძახებს, თუ იგი ახლად მიყვანილია. იგი „ქალს“ ეძახის თავისსა და თავის ქმრის ტოლ ქალებს. როდესაც ქალი მშობლებს სახლშია, მაშინ ის სტუმრად ყველასთან მოური-

¹ ვაჟა-ფშაველა თავის თხზულებაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ეგზოგამიის წესს ასე ახასიათებს: „ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ იმათ სიყვარულს ბოლო არა ჰქონდა. სამუდამოდ ერთმანეთისა ვერ გახდებოდნენ. ვაჟს უნდა თავის თემის გარეშე მოეძებნა საცოლე და ქალსაც ეგრეთვე საქმარე. რამდენჯერ თავის გულში სწყევლიდნენ შეუზრალეებელს, უღმერთო ჩვეულეზას, რომელიც სასტიკად უკრძალავს ერთის სოფლის და თემის ქალ-ვაჟის შეუღლებას და განა მარტო ქალ-ვაჟს, ქალწულებს შახეხება ეს ჩვეულება? დაქვრივებულმა დედაკაცმა, რაც უნდ ლამაზი, საქებური ადამიანი იყოს, გარეშე იმ სოფლისა, თემისა, რომელსაც მისი ქმარი ეკუთვნოდა, უნდა ეძებოს მეუღლე“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 136-137).

² ხეგს. **მამული**, მრ. **მამულნი** „გათხოვილი ქალის გვარის მამა-სახლიკაცები“ (შანიძე 1984: 353), „მამის გვარის ხალხი, ბიძაშვილები (ქალისთვის)“ (კინჭარაული 2005).

დებლად მიდის, ჰკოცნის როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს. იგი თავის სოფელ ელეთან ძალიან თამამია. ზოგიერთი ქალი, თუნდაც ხნიერიც იყოს, თუ ის მხიარულია, თავის სოფელში ისევე ცეკვავს, მღერის, ლექსობს, ტოტაობს ვაჟებთან, ეჭიდება მათ ცოლებს და ზოგჯერ მათ თვალწინაც წააქცევს, ხუმრობით აგინებს ვაჟებს, ხოლო რძლებს უგინებს ქმრებს, ამხიარულებს თავის ოჯახსა და სხვ. თუ იმ სოფელში მიცვალებულია, საიდანაც ქალია გათხოვილი და ეს უკანასკნელი მამისახლში მიდის, პირველად მიცვალებულის ოჯახში მივა, ტირის მის ტანისამოსზე ძმობით თავის ტოლებზე, მცირეწლოვანებზე ძმისწულობით, ხოლო თავისზე ხნიერებზე ბიძაობით. ქალებზე ტირის დობით, რძლებზე და დედაკაცებზე ზლობით ან ზალაობით, მოხუცებულ დედაკაცებზე კისახელს იმახის“ (ბალიაური 1991: 82-83. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ასევე საყურადღებოა ცნობა **ზალი** სიტყვასთან დაკავშირებით: „ქალი აკვანში დანიშნვიდან ქმართან დაბინავებამდე სოფლისა და იმ გვარის ზღად ითვლება, სადაც ის არის დანიშნული (როდესაც ქმართან მივა ქალი, მას უკვე დიაცს უწოდებენ“ (ბალიაური 1991: 103. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ქალი** („მდედრობითი სქესის ადამიანი ზოგადად“) და **რძალი** არ ქმნიან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილს, ხოლო მთის კილოებში იგივე სიტყვები ანტონიმებად გვევლინებიან¹; ანტონიმის კი წარმოადგენს სიტყვათა რეგულარული (და არა შემთხვევითი) დაპირისპირება, თანაც ისეთი დაპირისპირება, რომელიც ენაში უზუსტით არის დამკვიდრებული და საყოველთაოდ გავრცელებული (ფოჩხუა 1974: 37). როგორც ვხედავთ, **ქალი** და **ზალი** სიტყვათა რეგულარული დაპირისპირება მთის კილოებში უშუალოდაა განპირობებული მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილით.

ქიზიყური **ქალრძალი**, რომელიც შეტანილია „განმარტებით ლექსიკონშიც“, მხოლოდ გარეგნულად ჩამოჰგავს მთის კილოთა კომპოზიციას. იგი სრულიად განსხვავებული სტრუქტურისა და მნიშვნელობის სიტყვაა. წარმოადგენს განსაზღვრებით კომპოზიციას და მისი მნიშვნელობა, „განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, არის „ოთხიოდე წლის ჯვარდაწერილი პატარძალი“.

¹ სალიტერატურო ქართულში ანტონიმის მსგავს მაგალითად შეიძლება დავასახელოთ **რძალი** და **დედამთილი**, **რძალ-დედამთილი**, **რძალ-დედამთილიანი**.

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებისგან არის აგრეთვე წარმოებული ხევსურულ დიალექტში კომპოზიტი **მამკლავ-მამკვედრობა** (ოჩიაური 1980: 180-191), რომელშიც ანტონიმებად გვევლინება **მამკლავი** („მომკლავი“) და **მამკვედარი** („მოკლული“). ამ კომპოზიტით აღინიშნება ადამიანებს შორის ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა, ქცევათა და ქმედებათა მთელი სისტემა, რომელიც ტრადიციულ საზოგადოებაში უკავშირდებოდა მესისხლეობის ჩვეულებას. ალ. ოჩიაურის განმარტებით, **მამკლავ-მამკვედრობა** ეწოდება „იმას, როცა კაცი უკვე მოკლულია სხვისი ხელით და მომკლავის გვარი ითვლება მოკლულის გვარის მოსისხლედ“ (ოჩიაური 1980: 164). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მამკლავ-მამკვედრობა** ჰქვია დაძაბულ მდგომარეობას, რაც მკვლელობის შედეგად სუფევს ორ გვარს შორის. იგივე კომპოზიტი დადასტურებულია ფშაურ დიალექტშიც მნიშვნელობით „სისხლის ძიება“ (შანიძე 1984: 353).

ხევსურულში ანტონიმებად გვევლინება, აგრეთვე, **მთელი** („ცოცხალი“) და **მკვედარი**. მოიპოვება ამ სიტყვებისაგან შედგენილი შეერთებითი კომპოზიტი **მთელ-მკვედარი** კრებითი მნიშვნელობით: „ცოცხლები და მიცვალებულები“. ამ კომპოზიტისაგან არის აგრეთვე დერივაციულად ნაწარმოები (კონფიქსის მეშვეობით) **სა-მთელმკვედრო** „მძიმე ჭრილობისა ანდა მკვლელობის განზრახვის საზღაური ხუთი ძროხის რაოდენობით“ (ჭინჭარაული 2005), **სა-მთლ-ო-სა-მკვედრო** „თუ ჩხუბში დაჭრილი განსაცდელშია (არც მთელია და არც მკვედარი) შეიძლება შერიგება მოხდეს. მაშინ მომეტებულს აძლევენ (ვთქვათ, ოცდახუთ ძროხას), შემდეგ გინდ მოკვდეს, სისხლი არ დაედება. ამ შემთხვევაში **სამთლო-სამკვედრო** შესარიგებლად მიცემული ძროხებია“ (შანიძე 1984: 390).

შეერთებითი კომპოზიტს წარმოადგენს ხევსურულში **სწორფერი**, რომელიც მიღებულია **სწორ-ი** და **ფერ-ი** სიტყვათა შეერთებით. ფშაურში მისი შესატყვისია **წაწალი**.

სწორფრობა თავისებური და ხევსურეთის ტრადიციული ყოფისათვის ერთობ დამახასიათებელი, თუმცა დღეს უკვე გამქრალი და საბოლოოდ მივიწყებული ჩვეულებაა, ისევე როგორც ფშაური **წაწლობა**. ასე ეწოდება ქალ-ვაჟის განსაკუთრებულ ურთიერთობას, მათ სიახლოვეს. წესად იყო სწორფერი ქალ-ვაჟის ერთად წოლა, მაგრამ სქესობრივი კავშირი და სწორფერთა შეუღლებაც, რჯულის მიხედვით, მკაცრად იკრძალებოდა.

სწორფრული ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის ხევსურეთში მეტად ღირებულად და წმინდად მიიჩნეოდა, რაც გამოხატულია ფორმულით

სწორფრობა ხთის გაჩენილ. ამ ჩვეულების წარმოშობა, ხალხის აზრით, უკავშირდება აბესალომისა და ეთერის ამბავს. სწორედ ეს საერთო ქართული სატრფიალო-რომანტიკული თქმულება ხევსურეთში ანდრეზად¹ იქცა, რამაც ხელი შეუწყო სწორფრობის ჩვეულების საკრალიზაციას:

„სწორფრობა ხთის გაჩენილი. რაიც კაცნ გაჩენილავან, იცის ჩემ მამამ, იმის მემრავ ქალ-ვაჟს სრუ სდობნივავ ერთუცივ. წინავ უფრო სდობნივას ერთმანეთი, სურულით ჯოცილანავ წინან კაცნივ, იციან. ერთად წოლა ქვე არ ყოფილ. ეეგრ თუ უაზრებდიან ერთუცს. მემრ ღმერთს ათერი-დ, აზურსელ (ეთერი და აბესალომი) უნახიან სურულით დახოცილნი. ამდგარა-დ სურულ ქალ-ვაჟისად მაუშორებავ, ირმის რქაზე, თამაქოზედა, ქალის ფარაგზე გადაუტანავ. განა მე და შენ მოვიგონეთ წინწინ დობილ-ძმობილობაი“ (ბალიაური 1991: 11).

მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში სწორფრობის ჩვეულების მნიშვნელობა და სიმტკიცე ცხადია, ენაშიც ჰპოვებდა ასახვას და მართლაც ნიშანდობლივია ამ ჩვეულებასთან დაკავშირებული ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სხვადასხვა გამოთქმების მრავალფეროვნება, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ეთნოგრაფიულ ტექსტებსა თუ ფოლკლორში.

ხევსურულში ამ ჩვეულების აღმნიშვნელად დადასტურებულია, აგრეთვე, კომპოზიტები **წოლა-დგომა, დობილ-ძმობილობა, ქალ-ვაჟობა**. ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილის კონტექსტში თავისებური კონოტაციით გვევლინება ერთი შეხედვით სავსებით ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული თქმაც კი, როგორცაა **ვის იცნობ**. ნ. ბალიაური წერს: „ვ ი ს ი ც ნ ო ბ“ – ეს გამოთქმა ხევსურეთში ორგვარი მნიშვნელობის მატარებელია. პირველი: იგულისხმება რომელიმე პიროვნების ცნობა შეხედულებითა და ხასიათით, მეორე: ქ ა ლ ი ს ა და ვ ა ჟ ი ს ც ნ ო ბ ა ერთი მეორისა წოლის დროს, წოლით“ (ბალიაური 1991:15. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). აღსანიშნავია ენობრივი ეთიკეტის ფაქტებიც: „ხევსურეთში სწორფრები და საერთოდ ქალ-ვაჟები არ იტყვიან: მიყვარს, უყვარს, მიყვარხარო და სხვა. ამისი შესაფერი ტერმინებია: მ ო ს წ ო ნ ს, მ ი ნ დ, უ ნ დ. სიტყვა მ ი ყ ო რ ს, უ ყ ო რ ს

¹ ხევს. **ანდრეზი** „ძველი ცნობა, ზეპირი გადმოცემა ამა თუ იმ წესის, ჩვეულების, ადათის, მომხდარი ამბის შესახებ“ (ჭინჭარაული 2005). მთიელთა ცნობიერებაში ანდრეზი ორგანულადაა გადაჯაჭვული მათსავე ცხოვრებასთან. ანდრეზს აქვს უდიდესი მარეგულირებელი ძალა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, ზნე-ჩვეულებებისა, იდეოლოგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა. აკისრია ტრადიციულ ნორმათა სიცოცხლისუნარიანობის დაცვა-შენარჩუნების ფუნქცია (იხ., მაგ., ხარაძე 1951, ოჩიაური 1967, კიკნაძე 1984, კიკნაძე 2009 და სხვ.).

სწორფროზში არ იხმარება. ქალი მხოლოდ ქალზე იტყვის მიყორს, უყორს და სხვა. იტყვის აგრეთვე პატარა ბავშვებზე, ხბოზე, თიკანზე, ბატკანზე, კატის კნუტზე, ძაღლის ლეკვზე და სხვა. იტყვიან მოხუცებულზე: კარგი ბებერია და მიყვარსო. კარგად მაჩნავ – ეს სიტყვა ყველაზე ითქმევა, გარდა ქმრისა“ (ბალიაური 1991: 155-156. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

საყურადღებოა სიტყვა **ძმობილი**, რომელიც, განსხვავებით მთის კილოთაგან, სალიტერატურო ქართულში არ გამოირჩევა განსაკუთრებული კონოტაციური დატვირთვით. ხევსურულსა და ფშაურში კი ამ სიტყვის კონოტაცია შეპირობებულია მეტყველი კოლექტივის ტრადიციულ-ყოფითი სინამდვილის სპეციფიკით.

ძმობილობა ერქვა ქალ-ვაჟის განსაკუთრებულ ურთიერთობას, აღმოცენებულს სიყვარულის, სულიერი სიახლოვისა და ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე. დამძობილებული ქალ-ვაჟის ერთად წოლა წესად იყო, მაგრამ რჯული სასტიკად კრძალავდა სქესობრივ კონტაქტსა და მათ დაქორწინებას. უნდა აღინიშნოს, რომ ძმობილობა და სწორფროზა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, სავსებით ერთი და იგივე მანინ არ არის: ადამიანს შეიძლება სწორფერი ჰყავდეს, მაგრამ ძმობილად არ მიიჩნევდეს მას (ბალიაური 1991: 22-33).

ლინგვისტური თვალსაზრისით კი ის არის ღირსსაცნობი, რომ ქალ-ვაჟის ამგვარი თავისებური ურთიერთობა მეტყველებამიც თავისებურადაა ასახული სიტყვის სპეციფიკური კონოტაციის სახით: საინტერესოა, რომ სიტყვა **ძმობილი** ეწოდება როგორც ვაჟს, ისე ქალსაც. მაგალითად:

„არ გრცხვენინა, ბიჭო, რაად გაუწყერი შენს ძმობილს? აღარც სწვები მაგასთანა-დ, არც ჳმას სცემ“ (ბალიაური 1991: 172. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.), „ძმობილი ქალი ხევსური ვაჟისთვის დაზე მეტად შესანახი და მოსარიდებელია“ (ბალიაური 1991: 24. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.), „დღევანდელ სწორფერს როგორც ქალს, ისე ვაჟს მაშინ ეწოდებოდა სანდაური ძმობილი“ (ბალიაური 1991: 8. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

რატომ ეწოდა ქალს **ძმობილი**? ამგვარი სახელდების მიზეზი იქნებ ენობრივი ეთიკეტისა თუ ტაბუს ნიადაგზე შეიძლებოდა აგვეხსნა, მაგრამ, მეორე მხრივ სხვა ანალოგიური ფაქტი ქალის „ძმად“ სახელდებისა, თუნდაც ეთიკეტის ან ტაბუს თვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში სხვაგან არ დასტურდება არც ეთნოგრაფიული მასალით, არც ლინგვისტური მონაცემებით.

გარკვეულწილად საყურადღებოა ხუნძურ ენაში „მეგობრის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ჰუდულ**, რომელიც ნიშნავს, აგრეთვე, „სატრფოს“ – ვაჟსაც და ქალსაც; მაგ., ქიდაგო რიჭიჭელ ჭარცულალ კიჭალ, რიჭილიშ, ლე ჰუდულ, ბალებიშ ლე ყჷალ „მუდამ შეუხსნელი ვერცხლის დილები ხომ არ შევიხსნა სატრფოვ [ვაჟო], ხომ არ მოგეხვიო?“ (ხუნძური სიმღერები 1971: 165); ჟად დუდა ჰუდულალჷულ წჷარ კოჩადაჷ „ჰოი, სატრფოს [იგულისხმება ქალი] სახელი დაგვიწყებოდეს“ (ჰამზათოვი 1975: 64). სალიტერატურო ქართულში არც **მეგობარი**, არც **ძმობილი** ასეთივე პოლისემიურობით არ ხასიათდება.

ლაკურ ენაში საინტერესოა სიტყვა **ჰალმაღად**, რომლის მნიშვნელობებია „საქმრო“, „ქმარი“, მაგრამ გვხვდება „სატრფოს“ მნიშვნელობითაც; მაგალითად, ერთ-ერთ ხალხურ სიმღერაში:

| | |
|--|---|
| <p>თჷულ აზიზ ჰალმაღად ქა- ჩარუნნილ ჩურხ ცუ ცუმურ მურხირადნ ბურ- წილ ლავსრივავ?</p> | <p>„საყვარელი სატრფოს [ვაჟის] შაქ- რის ტანი რომელ ხესთან მიათრიეს ნეტავ მგლებმა?“</p> |
|--|---|

(ლაკური სიმღერები 1969: 163).

ეგვევ სიტყვა მოეპოვება ხუნძურსაც – **ჰალმად**, მაგრამ ამ ენაში იგი „ამხანაგს“ ნიშნავს და ამით თვალსაჩინოდ განსხვავდება ლაკური **ჰალმაღად** სიტყვისაგან. თვითონ ლაკურ ენაშიც სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს ამავე სიტყვისაგან ნაწარმოები კომპოზიტი **ჰალმახჩუ**, რომელშიც **ჰალმად** სიტყვასთან მეორე კომპონენტად წარმოდგენილია **ჩუ(ვ)** „მამაკაცი“ (**ღ** → **ხ** გამოწვეულია ფშვინვიერი **ჩ**-ს გავლენით). ამ კომპოზიტის მნიშვნელობა, ხუნძურის მსგავსად, ცალსახად არის „ამხანაგი“. ამავე დროს, საყურადღებოა ანალოგიურად აგებული კომპოზიტი **ჰალმახშარ**, რომელშიც მეორე კომპონენტად მოცემულია „ქალის“ აღმნიშვნელი **შარ**. ამ კომპოზიტის მნიშვნელობა, სიტყვასიტყვით გაგების მიხედვით, თითქოს უნდა ყოფილიყო „ამხანაგი ქალი“, მაგრამ **ჰალმახჩუ** კომპოზიტისაგან სემანტიკით იგი მკვეთრად განსხვავებულია, მიუხედავად მსგავსი აგებულებისა. იგი პოლისემიურია და ნიშნავს „საცოლეს“, „ცოლს“, აგრეთვე, „სატრფოს“, „საყვარელს“. მოიპოვება ამავე კომპოზიტის შემცველი მყარი შესიტყვებაც **ჰალმახშარ დან** „ცოლის შერთვა“, „დაქორწინება“, ზედმიწ. „ცოლის ქმნა“. ერთგვაროვანი აგებულების კომპოზიტთა (ჰალმახჩუ, ჰალმახშარ) სემანტიკური სხვაობის ფაქტი საინტერესოა გენდერული ასიმეტრიის ენობრივი ასახვის თვალსაზრისით.

ხევსურული **სწორფერი** კომპოზიციის შედგენილობა გამჭვირვალეა და არ საჭიროებს ეტიმოლოგიურ ანალიზს. როგორც უკვე აღინიშნა, იგი შედგება სიტყვებისგან **სწორ-ი** და **ფერ-ი**. ამათგან **სწორ-**კომპონენტი შეიცავს „ტოლი“-ს, „თანატოლი“-ს, „თანასწორი“-ს სემანტიკას (შდრ. **სწორ-ამხანაგი**, **სწორ-ამხანაგები**), ხოლო **ფერ-ი** წარმოდგენილია იმავე მნიშვნელობით, რასაც ქართულში გამოხატავენ ფორმები შე-სა-**ფერ-ი**-, შე-ჰ-**ფერ-ი**-ს; დიალ. (ხევს., ფშ., მოხ., თუშ.) **ფერი** „მსგავსი“, **ფერ-ებ-ა** „მსგავსება“, სა-**ფერ-ი** „შესაფერისი“, ე-**ფერ-ებ-ა** „ემსგავსება“, მი-ვ-ა-**ფერ-ე** „მივამსგავსე“ (შანიძე 1984: 412)... *ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა* (ანდაზა), *აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი* (ხალხ.)...

გარკვეულწილად საყურადღებოა ვითარება ხუნძური ენისა, სადაც „ფერის“ აღმნიშვნელი **ტიერ** სიტყვისაგან ნაწარმოები სახელები მნიშვნელობით რამდენადმე სიახლოვეს ავლენენ ქართულის მონაცემებთან („თანაგვარობის“, „ერთნაირობის“, „შესაბამისობის“ გამოხატვის თვალსაზრისით): **ტიერ-ილ-აჟ** (I კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (მამაკაცი), ზედმიწ. „ფერ-ის-ა“; **ტიერ-ილ-აჟ** (II კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (ქალი), ზედმიწ. „ფერ-ის-ა“; **ტიერ-ილ-ალ** „თანატოლები“, „მოასაკეები“ (მრ.რ.), ზედმიწ. „ფერ-ის-ა-ნი“ და სხვ.

ნათესაური და მოყვრული ურთიერთობის სისტემათა მრავალფეროვნებასა და სიმყარეს ტრადიციულ საზოგადოებაში კარგად ასახავს ასეთი ხევსურული სიტყვები (კომპოზიტები): **ქალ-მამისახლობა**, **დედიდა-მამიდაშვილობა**, **სიძე-ცოლისდობა**, **ზალ-ქმრეულობა**. (ბალიაური 1991: 70-120). ეს სიტყვები გამოიყენებოდა სწორფრულ ურთიერთობებშიც ¹.

დიალექტური კომპოზიტი **დისწულ-დედიძმა** (// დისწულ-დედი[ს]ძმა-ნ-ი) სტრუქტურის მხრივ წარმოადგენს ისეთსავე ტიპის კომპოზიტს, როგორცაა სალიტერატურო ქართულში **და-ძმა**, **დედ-მამა**, **ცოლ-ქმარი**, **ცოლ-შვილი**, **რძალ-დედამთილი** და სხვა. ეს სახეობა ნა-

¹ ნ. ბალიაურის ცნობით, „ერთია ნამდვილი სწორფრობა, ე. ი. წოლა ძმობილებთან. მეორეა: ზალქმრეულობა, ე. ი. სწორფრობა რძალსა და ქმრის ნათესავეს შორის. მესამე: სიძე-ცოლისდობა, ე. ი. სიძისა და ცოლის მოგვარე და ან ახლობელი ქალების სწორფრობა. მეოთხე: დედიდა-მამიდაშვილობა, ე. ი. სწორფრობა დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის. მეხუთე: დისწულ-დედიძმობა, ე. ი. დედის მახლობლებთან წოლა, ცხადია თავის ტოლებთან. მეექვსე: ქალ-მამისახლობა, ე. ი. ქალის წოლა თავის მოგვარეებსა და სოფლებთან პატივისცემის მიზნით. მეშვიდე: სწორფრობა უცხოებთან ჰირ-ლხინის დროს შეხვედრილ უცნობ ხევსურებთან. ყველა ესენი თავისი შინაარსის მიხედვით ერთიმეორესაგან განსხვავდებიან“ (ბალიაური 1991: 9)

თესაური ურთიერთობისა დღევანდელ ურბანულ ყოველდღიურობაში აღარ არის მკაფიოდ და საგანგებოდ გამოკვეთილი, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მაგალითად, **დისწულ-დედიძობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტრადიციული საზოგადოების ცხოვრებაში (ბალიაური 1991:83-95; ოჩიაური 1980:94-98). განსაკუთრებული ურთიერთობა დედის ძმასა და დის შვილს შორის ყურადღების საგანი გახდა მსოფლიოს ეთნოლოგიაში (არაერთი ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი ეს ნათესაური ურთიერთობა) და მისთვის გამოიყენება სპეციალური სამეცნიერო ტერმინიც – **ავუნკულატი** (ლათ. avunculus „დედის ძმა“).

ნ. ბალიაურის დახასიათებით, „დისწულ-დედიძობა ხევსურეთში ძალიან მტკიცე ნათესაობაა. დისწული დედიძმებთან ბევრნაირად არის დაკავშირებული როგორც ჭირში, ისე ლხინში. ქალი და ვაჟი დედიძმებისთვის სულ ერთია. თუ გვარში ვაჟი უფრო უყვართ ქალზე და მეტპატივს სცემენ, დედიძმები ორივეს ერთნაირად უყურებენ. თუ ქალი რაიმე მიზეზით თავის გვარეულებთან ვერ იცხოვრებს, ან მშობლები დაეხოცება, ან დააშავებს რამეს და სახლისკაცები მოიკვეთენ, თუ მას ქმარი არ ჰყავს, ან ქმარმაც თავი დაანება, მაშინ ქალი დედიძმებს შეეკედლება და იმათთან იწყებს ცხოვრებას. იქიდანვე გათხოვდება. იქ მოკვდება. იქვე დაბრუნდება, თუ სიბერის დროს დაელუპება ქმარშვილი და იქ ცხოვრება არავისთან შეეძლება. დისწულს დედიძმები ობოლს გაზრდიან, ვაჟს დააოჯახებენ, დაასაფლავებენ. თუ ვინმემ ობლობის დროს რაიმე დაითავისა, მისი სახლ-კარ-მამული ან ავეჯი, თუნდა მისი სახლისკაცები იყვნენ, დედიძმები ყველაფერს წაართმევენ. სახლს გაუკეთებენ. მისცემენ: ძროხას, ხარს, ცხვარს, ცხენს, დასაგებ-დასახურავს. გაუკეთებენ ავეჯეულობას, სამეურნეო იარაღებს, შეასწავლიან ყველაფერს ისე, როგორც წესია, მიიყვანენ და დააბინავებენ. ამის შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევენ. ზემოთ ჩამოთვლილიდან დედიძმები ყველაფერს თითოს მისცემენ, გარდა ცხვრისა. ცხვარს მისცემენ ხუთს ან ექვსს. ამაზე იტყვიან: „ყველა ის თესლ მივეცი“. ისინი ეტყვიან დისწულს: „თუ ეხლა ვერ იცხოვრ, ჩვენ ახლო-მახლო აღარ გაიარა-დ მაგვშორდი, აღარც სირცხვილი ას ჩვენზე შენი, აღარც სახელი, აღარც ცოდო-მადლი. გაგზარდი, დაგაბინავი, თესლ მაგეც ყველაისაი, მამული-დ, სახლ-კარ ჩაგაბარე-დ, ეხლა ღმერთმ ჯელ მაგიმართას, იცხოვრებ, შენ იცი, არ იცხოვრებ, შენ იცი“. დისწული დედიძმებს ეხმარება ყველაფერში, საქმეში, ჭირში, ლხინში. კიდევ იჩხუბებს მათი გულისთვის,

სისხლის ნიადაგზეც მოკლავს დედიძმათ მკვლელს, ოღონდ თავი¹ მას დაედება, რადგანაც ხევსურეთის რჯულით გვარის იქით სისხლი სხვას არ მოეთხოვება და არც მიეცემა. დისწული გაიტაცებს ქალს დედიძმათათვის, პატრონობს მათ ქალ-ზალს, ხშირად მიდის მათთან და რჩება იქ კვირაობით... დისწული იგლოვს დედიძმებს, მათ მიცვალებულს. ასევე იგლოვენ დედიძმანი. მათი და მათი შვილების მესამე, მეოთხე თაობამდე ერთიმეორესთან შეუღლება არ შეიძლება. ეს შეიძლება დედის შორეულ კაცებთან, თორემ ნამდვილი დედიძმებისა და დისწულების შთამომავლობა ერთიმეორესთან ვერ შეუღლებიან“ (ბალიაური 1991: 83-84; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). ტრადიციული საზოგადოების შეხედულება ამგვარი ნათესაური ურთიერთობის შესახებ თვალსაჩინოდ არის გამოხატული ხევსურეთში არსებული გამონათქვამითაც: „დისწული დედიძმათსავსკამს უკრძალავად დაჯდებავ, ის თუ დედიძმათ უწყალეს, სკამიმც ტიალად დახჩებავ“ (ბალიაური 1991: 47).

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკა, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, მრავალმხრივ არის საინტერესო; მაგ., მ. ქურდიანმა ყურადღება მიაქცია კომპოზიტურ სახელწოდებებში ერთ მოვლენას: „ქართულ ენაში სისხლით ნათესავთა ლექსიკურ-სემანტიკური ველი მარკირებულია (თანაც მაღალი მარკირების მქონე). ფორმალური თვალსაზრისით, მარკირება ასეა განხორციელებული: ერთ სიტყვად, კომპოზიტად არის შერწყმული პოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრული, რომლის პირველ წევრს წარმოადგენს უფროსი თაობის სისხლით ნათესავის (როგორც მამის, ისე დედის მხრიდან) აღმნიშვნელი ლექსემა, მეორე წევრს კი – კუთვნილებითი ნაცვალსახელი (პირისა და რიცხვის მიხედვით ე.წ. „ზრდილობიანი“ მრავლობითის ჩათვლით):

| | | |
|------------|------------|-------------------|
| მამაჩემი | მამაშენი | მამამისი |
| დედაჩემი | დედაშენი | დედამისი |
| ბიძაჩემი | ბიძაშენი | ბიძამისი |
| მამიდაჩემი | მამიდაშენი | მამიდამისი |
| დეიდაჩემი | დეიდაშენი | დეიდამისი და ა.შ. |

ველის სტრუქტურისათვის ნიშანდობლივია: ა) ათვლის წერტილად შთამომავლის (შვილის) თვალსაზრისის აღება, რომელიც ვერტიკალური ხაზით აღმავალი სისხლით ნათესავების მარკირებას ახდენს;

¹ ხევს. თავი „მოკლული ადამიანის სისხლი, – თავ-სისხლი“ (ჭინჭარაული 2006).

ბ) დადმავალი ვერტიკალური ხაზის არარსებობა (**შვილიჩემი* ან **შვილიშვილიჩემი* გამორიცხულია ამ სისტემაში); გ) ჰორიზონტალური ხაზის (**დაჩემი*, **ძმაჩემი*, **ბიძაშვილიჩემი* ან **ცოლიჩემი* – უმცროსი თაობის სისხლით ნათესავების მშობელი და ა.შ.) არარსებობა; დ) სისტემაში სისხლით არანათესავის მოხვედრა – ბიცოლაჩემი (დიალ. ძალოჩემი) იმ ნიშნით, რომ ის სისხლით ნათესავებს (თანაც შენი გვარისას, რადგან ბიძა = მამის ძმა) გიჩენს; ე) ბეზისა და ზაზუს / ჰაჰის ძმების სახელების მარკირებაში ვერმოხვედრა (ან მარკირებიდან ამოვარდნა)... საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ (IV ს.) მოხდა ამ ლექსიკურ სემანტიკური ველის გაქრისტიანებაც, ანუ შევსება ნათლიის აღმნიშვნელი ლექსებით“ (ქურდიანი 2001: 251-252):

ნათლიაჩემი // ნათლიაჩვენი

ნათლიაშენი // ნათლიათქვენი

ნათლიამისი // ნათლიამათი

„ანუ უფროსი თაობის სისხლით ნათესავებს შეემატა უფროსი თაობის სულით ნათესავი (ნათლობისმიერი მამა ან დედა), რომელზედაც იმავდროულად გავრცელდა ყველა ის წეს-ჩვეულებითი ტრადიცია, რომელიც სისხლით ნათესაობას ახასიათებდა (მაგ., ქორწინების აკრძალვა ნათლიისა და ნათლულის ოჯახებს შორის იმდენივე თაობით, რამდენიც დადგენილი იყო ქართული ტრადიციით ერთი დედამამის შთამომავალთათვის)“ (ქურდიანი 2001: 252)

როგორც ეთნოლოგიურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ხევსურთა მეტყველებაში ცოცხლად ყოფილა შემორჩენილი კომპოზიტი **ჰელდაკრული**, რაც „დანიშნულ ქალს ნიშნავს“, თუმცა თვით წესი ქალის ამგვარად (ხელის დაკვრით) დანიშვნისა მივიწყებულია. ეს სიტყვა სცოდნიათ ბარად ჩამოსახლებულ ხევსურებსაც (მელიქიშვილი 1986:44). იგივე კომპოზიტი წარმოდგენილია ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ და იქვე დაფიქსირებულია მისი ვარიანტიც – **ჰელდადებული** „ვისაც ხელი დაადეს და დანიშნეს, – დანიშნული ქალი“. თვითონ შესიტყვება („ჰელის დაკვრა“, „ჰელის დადება“), რომლისგანაც არის მიღებული ეს კომპოზიტები, ისევეა დავიწყებული, როგორც სათანადო წეს-ჩვეულება.

„ხელის დაკვრის“ წესი ქართველ მთიელთა შორის სცოდნიათ ხევსურებს. იგი არ დადასტურდა მეზობელ ფშავლებსა და თუშებში. ქალის დანიშვნა მის მხარზე ხელის დაკვრით ან ხელის ჩამორთმევით თავშეყრის ადგილებში ხდებოდა ხოლმე. ასეთ ქალზე ამბობდნენ: „ხელმოკიდებულია“, „ხელდაკრულია“. ხელის დაკვრა შეეძლო ვაჟის მამას, ბიძას, ბიძაშვილს, დეიდაშვილს და ვაჟის მეგობარს. თვითონ

ვაჟსაც შეეძლო ეთქვა ქალისათვის: „ცოლი ჩემი ხარ, ჩემი ხელმოკიდე-ბული ხარ, სხვაგან არა გაქვს ნება გათხოვებისო“. თუ ხელის დაკვრას ქალის ახლო ნათესავები შეესწრებოდნენ, ისინი ვაჟის მხარეს („ხელ-დამკვრელს“) ჩხუბს აუტეხდნენ, მაგრამ ქალი მაინც დანიშნულად ითვლებოდა (მელიქიშვილი 1986: 15).

ინტერესს იწვევს, ამ მხრივ, კახურში დადასტურებული ერთი სიტყვა, რომელიც წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ – **ხელდასადები** „დასანიშნად მირთმეული ნივთი, საწინდარი, წინდი“. ხომ არ უნდა იყოს ეს სიტყვა გამოძახილი აღნიშნული წეს-ჩვეულების ოდინდელი ფართო გავრცელებისა ქართველთა ყოფაში? თ. სახოკიას ცნობით, „როცა გაჩნდა შაქარი, რომელიც პირველში, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა (ყოველ შემთხვევაში, დიდი რაოდენობით), და ლითონის რისამე ბეჭედი, რომელიც შაქარზე არანაკლებ ძვირფასი უნდა ყოფილიყო, საქმრო საცოლეს უგზავნიდა ერთსაც და მეორესაც, და ორსავე ხელის დასადები, ე.ი. დასანიშნი დაერქვა“ (სახოკია 1979: 917).

საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიული მონაცემებითაც, ცნობილია ქალზე შეხებით მისი დათავისების ფაქტები; მაგალითად, აჭარის მთიანეთში თუ ვინმე ამა თუ იმ ქალის თხოვას პირველი დააპირებდა, მაშინ ჩვეულების მიხედვით, იგი სხვას არ მისცემდა იმის ნებას, რომ იმავე ქალის სათხოვნელად მასაც შუამავალი გაეგზავნა. გზად მიმავალ ქალიშვილს თავსაბურს მოხდიდნენ და დაიპატრონებდნენ (მგელაძე 2021: 77). სამცხე-ჯავახეთში დადასტურებულია **ხელისდადება, ხელის დაკვრა, ხელისადები**, რომლებიც საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგების დროს დაწინდვის სინონიმად გამოიყენებოდა. ამ რიტუალის დროს დასაწინდ ქალზე ხელის დადებისა და ხელის დაკვრის წესიც სრულდებოდა (იველაშვილი 1987:35). დედოფალზე ხელის დადება აჭარაში საქორწინო ცერემონიალის თანმხლები ჩვეულება იყო. მანდილის მოხდით ქალის დათავისების წესი ტაო-კლარჯეთსა და მის მომიჯნავე შავშეთ-იმერხევშიც არსებობდა. იგი ლაზებსაც სცოდნიათ (მგელაძე 1996:212-213; მგელაძე 2021: 77).

აღსანიშნავია, რომ ქალის დანიშვნის ამგვარი წესი ძველად არსებულია ჩეჩნეთშიც, სახელწოდებით **ქუგ თუზხარ** „ხელის დაკვრა“. ჩეჩნეთში „ასეთი წესით ქალის დანიშვნა ძირითადად იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ ქალი წინააღმდეგი იყო ქორწინებაზე. ხელის დადების უფლება ჰქონდა მხოლოდ ვაჟს, მის ძმობილს ან ბიძას (მამის მხრიდან), მაგრამ ამის გაკეთება სამარცხვინოდ ითვლებოდა და შემდგომში საქმის მოგვარება მოხუცებს ევალებოდათ. ქალის მშობლებთან მი-

სვლა და პატიების თხოვნა სავალდებულო იყო“ (მელიქიშვილი 1986: 16. ციტირებული ნაშრომის ტექსტში წეს-ჩვეულების ჩეჩნური სახელწოდება გვხვდება დაწერილობით – „ქუქთოდარ“). პანკისელ ქისტებში ამავე წესის (ხელის შეხებით ქალის დანიშვნის) სახელწოდება დადასტურებულია რამდენადმე განსხვავებული სახით – **ქუგ თუხნა ლანგარ**, ზედმიწ. „ხელის დაკვრით დაჭერა“ (მარგოშვილი 1985: 16).

ხევსურულშივე დასტურდება კომპოზიტი **ველგაკიდებული** „ვი-საც ხელი მოჰკიდეს // დანიშნული“ (ჭინჭარაული 2005). აქ მიმღეობის ფორმა გა-კიდ-ებ-ულ-ი = სალიტ. ქართ. მო-კიდ-ებ-ულ-ი (ე.ი. „ხელ-მოკიდებული“). ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“ ეგვე კომპოზიტი მოცემულია ბეს. გაბუურის განმარტებით: „ველსურეთში თუ ველ გააბ ქალს, გინდა გაექცას, მაშინავ ქალ სხვათ ვედარ წაუვ: ვ ე ლ - გ ა კ ი დ ე ბ უ ლ ი ც ო ლ ი ხ ქ ვ ი ა ნ“ (შანიძე 1984: 468; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ქართული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანესი და გამყოფელი ნაწილია **პ უ რ ი და ღ ვ ი ნ ო**, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა სულიერ კულტურასა და ენაში. ორივე ამ სიტყვისათვის დამახასიათებელია ერთმანეთის გვერდით რეგულარულად გამოყენება; მაგ., ხალხურ პოეზიაში:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი **პ უ რ ი**, ძველი **ღ ვ ი ნ ო**
წლიდან წლამდის გამყოლია.

ან კიდევ:

პ უ რ ს ა სჭამენ და **ღ ვ ი ნ ო ს** სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო,
არ ვიცი ვისა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

მსგავსადვე:

მუხრანელმა გოგომ მითხრა:
მუხრანამდე გადმომყო,
ღ ვ ი ნ ო ს გასმევ და **პ უ რ ს** გაჭმევ,
მერე ყანა მომიმკეო.

ამგვარი მაგალითები უხვად შეიძლება დაიძებნოს სხვადასხვა ტექსტებში. ღვინის კულტურასთან დაკავშირებული ენობრივი მასალა უხვადაა მოხმობილი და გაანალიზებული თ. ბერიაშვილის ნაშრომში (ბერიაშვილი 2016).

ამრიგად, ქართულ ენაში გვაქვს ასოციაციურად შეკავშირებულ სიტყვათა წყვილი **პური** და **ღვინო**. მისგან ნაწარმოებია შეერთებითი კომპოზიტი **პურ-ღვინო**, „საჭმელ-სასმელის“ ზოგადი მნიშვნელობითაც; მოეპოვება, აგრეთვე, სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული კონოტაცია.

თ. სახოკია ამის თაობაზე წერს: „პურ-ღვინო, როგორც პურ-მარლი, ქართული სუფრის მთავარი ელემენტებია. სუფრაზე მარტო პური და ღვინოც თუ არის, ასეთი სუფრა ს ა ვ ს ე დ ითვლება. მაშასადამე, კაცის პატივისცემად საკმარისია გქონდეს პური და ღვინო, რომ „სირცხვილი არ სჭამო“, მაგრამ ამავე დროს, სტუმარი, რომელსაც პურ-ღვინით გაუმასპინძლდნენ, მოვალეა თავისი მასპინძლის პატივისცემა დააფასოს, დაიხსომოს, პურისა და ღვინის გემოს მარად ტკბილად იგონებდეს. დიდ სააუგოდ ჩაეთვლება, თუ ეს ელემენტარული ვალი დაივიწყა, თუ თავისი მასპინძლის მიერ შეთავაზებულ პურსა და ღვინოს „ფეხი დაადგა“. ფ ე ხ ი ს დ ა დ გ მ ა კ ი გულისხმობს: არაფრად ჩაგდებას იმისას, რასაც ფეხი დაედგმის“ (სახოკია 1979:508).

დიალექტოლოგიური თავისებურებიდან აღსანიშნავია სიტყვათა წყვილი **პური** და **სასმელი** ხევსურულში და მისგან შედგენილი შეერთებითი კომპოზიტი **პურ-სასმელი**; მაგ., „მასპინძლებო, პ უ რ - ს ა - ს მ ლ ი ს პატრონებო, თქვენ გადღეგრძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ...“; „აღლადამე ევმარების იმების სულს, ვისადაც ნალოცი ას, გაქჩერებული ას ეს პ უ რ ი და ს ა ს მ ე ლ ი“ (ოჩიაური 1980: 65; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). სალიტერატურო ქართულისათვის ეს კომპოზიტი დამახასიათებელი არ არის. სპეციფიკური კომპოზიტია ხევსურულშივე **პურ-წყალი** „საჭმელ-სასმელის“ ზოგადი მნიშვნელობით (ანუ: **პური** = „საჭმელი“, **წყალი** = „სასმელი“). სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა, აგრეთვე, ხევსურული კომპოზიტი **პურ-ძმარი**, რომელიც ნიშნავს „დარიბულ საჭმელს“ (ჭინჭარაული 2005). აღ. ჭინჭარაულის ცნობით, „ზალა ძმრიდან ხევსურები საჭმელ ძმარს ამზადებენ: დიდი ხნის ძმარში – **ძველის ძმარ**-ში შეურევენ რძეს, ხაჭოს, ნაღებს და საჭმელ ძმარს ღებულობენ. **პურ-ძმარი** ღარიბი სუფრის ნიშანია და მას საპატიო სტუმარს არ მიუტანენ“ (ჭინჭარაული 1960: 269)

ქართულ ენაში სიტყვა **პური** „საჭმელის“ ზოგადი მნიშვნელობითაც რომ იხმარება, ხოლო შესიტყვება **პურის ჭამა** ნიშნავს „ჭამას“, ეს ცნობილი ფაქტია. უკვე ძველი ქართულიდანვე მოყოლებული უხვად მოიპოვება **პური** სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვები, კომპოზიტები, მყარი შესიტყვებები, იდიომები (სათანადო მასალა თავმოყრილი და გაანალიზებულია ს. ომიადის სტატიაში; იხ. ომიადე 2020: 297-307):

პურ-ობ-ა „ჭამა“, „ნადიმი“; **პურის ჭამა** „ჭამა“, „სადილობა“, „ვახშობა“; „ფატმანს **პური შეეკაზმა** ავთანდილის საწვეველად“ (ვეფხისტყაოსანი) = ფატმანს *სუფრა გაეშალა* ავთანდილის მისაწვევად. წვეულების გამართვის, სადილობისათვის სუფრის გაშლის მნიშვნელობით ძველქართულში დადასტურებულია, აგრეთვე, **ყოფა**: „...ყო **პური** დიდი მთავართა მისთათეს ათასთა კაცთა“; **მზა-ყოფა**: „...ჰრქუა, რადთა **მზა-ყოს პური** დიდი“; **დამზადება / განმზადება**: „...აჰა, ესერა, **პური** ჩემი **დამიმზადებიეს**, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს, და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას“; „და ცნა მოსლვამ მპარავთა და დღისივე **დაჰმზადა** მათთვის **პური**... არამედ მოვედით და ჭამეთ **პური**, რომელი **განგიმზადე** თქუენ“; **პურად-ჩინება** „ლხინში მიწვევა“ (სარჯველაძე 2001:174). **პურის-რთვა** „სადილზე მიწვევა“ (სარჯველაძე 2001:174). **პურისმტე-ყოფა** „მიპატიჟება“ (სარჯველაძე 2001: 174). **პურისმტეება** „სუფრასთან დასმა“ (სარჯველაძე 2001: 174). **პურად დაჯდომა** „ჭამა-სმის დაწყება“ (სახოკია 1979: 504); **პურისა უფალი** „მთავარი ტაძრისა“, „მასპინძელი“ (აბულაძე 1973:343); **პურისუფალი** „თამადა“, „ლხინის მომწესრიგებელი“ (სარჯველაძე 1995: 169). **პურად მისრული** „სტუმარი“ (აბულაძე 1973: 343). **პურის-მტე** „ერთად პურის მჭამელნი“ (ორბელიანი 1928: 275); **პურისმტეა** „თანამესუფრე“ (სარჯველაძე 2001: 174); **პურისმტეობა** „ჭამა“, „ქეიფი“; **პურისმტე-ყოფა** „ერთად ჭამა“ (სარჯველაძე 2001: 174); **პურისრთული** „თანამეინახე“ (სარჯველაძე, 2001: 174), შდრ. **პურის-რთვა** „პურის ჭამა“: „პურის-ერთო იგი“ (აბულაძე 1973: 343); **პურად მჯრი**, ახ. ქართ. **პურა(დ)მჯირი** „ძუნწი“; **პურშავი** „პურამჯირი, უპურმარლო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება“ (სახოკია 1979: 508); **პურად უხვ** „ხელგაშლილი“ და სხვ. (მასალა ამოკრეფილია ს. ომიადის ნაშრომიდან; იხ. ომიადე 2020: 301-303).

ქართულ ენაში საყურადღებოა იდიომატური გამონათქვამიც **თავისი პური მოჭამა**, რომელიც ძალზე იშვიათია. იგი დოკუმენტირებულია „განმარტებით ლექსიკონში“; მაგ., „*ჩვენ ჩვენ პური მოგვიჭამია (აკაკი)*“. მის ნაცვლად სალიტერატურო ქართულში გამოიყენება **დრო მოჭამა, დრომოჭმული**, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისთვის ამოსავალია სწორედ **პური** კომპონენტის შემცველი იდიომა და **დრო** აქ მოგვიანებით უნდა იყოს კომპონენტ **პურს** ჩანაცვლებული? ამ თვალსაზრისს განამტკიცებს იდიომაში წარმოდგენილი „ჭამის“ აღმნიშვნელი ზმნა, რომელიც, ცხადია, ბუნებრივი იქნებოდა, რომ სწორედ **პურ** კომპონენტთან ყოფილიყო შეკავშირებული; ხოლო „დროის შეჭმა“, ამ ერთი იდიომის გარდა, სხვაგან არც გვხვდება. დროსთან და-

კავშირებით მეორე, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის იდიომ-ში გვაქვს „მოკვლა“ სიტყვა (**დროის მოკვლა**). საინტერესოა ამ მხრივ ხუნძურ ენაში არსებული გამოთქმაც, რომელიც დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს (უსლარი 1889, განყ. II : 215): **ჩედ ქჷანა დოს ნუსიდე ჟახინეზან**, ზედმიწ. „პური ჭამა მან ასზე ასვლამდე“, ე.ი. ას წლამდე მიაღწია მან. ამის მსგავსად, ქართული იდიომი **თავისი პური მოჭამა**, მეტაფორულად უნდა გულისხმობდეს დაახლოებით ასეთ რამეს – „იმდენად დიდხანს იარსება, რომ თავისთვის შესაჭმელი პურიც გამოეღია და შემდგომი არსებობისათვის აღარაფერი დარჩენია მას“.

რა მნიშვნელობა და ღირებულებაც ქართულ კულტურაში აქვს პურს, ისეთივე ღირებულებისად დაღესტნის ხალხებში ხ ი ნ კ ა ლ ი გვევლინება. ხინკალი წარმოადგენს ყველაზე უფრო საკულტო კერძს. იგი არის სიმბოლო შეძლების, სიუხვის, ბარაქის, დოვლათის, ხვავრი-ელობის, კეთილდღეობისა; დაკავშირებულია სარიტუალო სუფრასთან, ზეიმთან, წეს-ჩვეულებებთან. კონცეპტი „ხინკალი“ ასახვას ჰპოვებს დაღესტნურ ენათა პარემიოლოგიურ და ფრაზეოლოგიურ ფონდში, ზეპირსიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში (კაზიმაჰომე-დოვა 2016: 7-8).

ჩრდილო კავკასიის ენებში ტერმინი „ხინკალი“ აღნიშნავს ცომისგან დამზადებულ სამი სახეობის კერძს:

1) სხვადასხვა ფორმის ცომის კერძი შიგთავსის გარეშე: თხელი ხინკალი, ატრიისებური ხინკალი, მსხვილი კვადრატული ხინკალი, თხელ ზოლებად დაჭრილი ცომი (რუს. *паша*) – ტინდიურ ენაში **ხი⁵კ⁵ა** „უმარილო ცომისაგან დამზადებული კერძი ატრიის ფორმისა“, ბაგვალურ ენაში **ხი⁵კა** „უმარილო ცომისგან მომზადებული ატრიისე-ბური კერძი“, ლეზგიურ და რუთულურ ენებში **ხინკარ** „კვადრატები თხლად გაბრტყელებული ცომისაგან“ და სხვ.

2) ცომის კერძი სხვადასხვანაირი შიგთავსით, მომზადებული ქვაბში: პელმენი, გირცი (ე.წ. „ვარენიკი“), დატენილი ხინკალი – თაბა-სარანულ ენაში **ძიქა ღაძი ხინკარ** „პელმენები“, **კაჩუნ ხინკარ** „ხინკალი, დატენილი საკვები ბალახეულით“; ჰუნზიბურ ენაში **კიმალის ხანკალა** „გირცი („ვარენიკი“) ყველით“; ლაკურ ენაში **დიკულ ხუნკრუ** „ხორცის ხინკალი (მრ.რ., შდრ. მხ. **ხუნკ** „ხინკალი“), **ქუნუქრალ ხუნკრუ** „კვერცხის ხინკალი“, **ნისირალ ხუნკრუ** „ხაჭოს ხინკალი“; თათურ ენაში **ინგარ ფოღ** „ხინკალი, დატენილი გარეული ხახვით“ და სხვ.

3) ცომის კერძი სხვადასხვანაირი შიგთავსით, მომზადებული ტაფაზე ან ღუმელში: შიგთავსიანი კვერი, ღვეზელი – ბეჟიტურ ენაში **კათულას ხოკა** „კარტოფილით დატენილი ღვეზელები“; ჩეჩნურ ენაში **ხინგალშ** „სიმინდის ან ხორბლის ფქვილის კვერები, დატენილი მონარშული გოგრის ფარშით“; ინგუშურ ენაში **ხინგალ** „ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარი კვერები, დატენილი გოგრის ფარშით ან ჭინჭრით“ და სხვ. (კაზიმაჰომედოვა 2016: 13).

კონცეპტი „ხინკალი“ უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული კონცეპტთან „ზეიმი, ლხინის სუფრა“. ხინკალი არ აღიქმება საქელებო კერძად, იგი საზეიმო სუფრის ატრიბუტია. მაგალითად, ხუნძური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ ნიმუშში ნათქვამია: ხინკაზოდა ტადე ბუსჷუნ დუცა ბალებ ჰაბ ჰანგი ბერთინ ბორხიზე ჭელა „ხინკალზე შენ მიერ დადებული ეს ხორციც ქორწილის გასაჩაღებლად იკმარებს“ (კაზიმაჰომედოვა 2016: 22).

ხუნძურ ენაში „ხინკლის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **ხინკ**, ხოლო მრავლობითის ფორმით იგი არის **ხინკალ** „ხინკლები“. საინტერესოა, რომ მრავლობითის ფორმას აქვს დამატებით ზოგადი მნიშვნელობაც – „საკვები პროდუქტები“; მაგ., ხინკალ ჰეჰოგო ხუტუგეგი „ღმერთმა არ ქნას, რომ უსაკვებოდ (ზედმიწ. „ხინკლების გარეშე“) დავრჩეთ“. **ხინკ** („ხინკალი“) ფუძისაგან ნაწარმოებია ზმნაც **ხინკ-ი-ყ-ლ-ი-ზე** „უსაკვებოდ დარჩენა“, „მოსავლის გარეშე დარჩენა“. მისი მასდარული ფორმაა **ხინკ-ი-ყ-ლ-ი** „საკვები პროდუქტების უქონლობა (ნაკლებობა)“, „მოსავლიანობა“, ზედმიწ. „უხინკლობა“. არსებობს კომპოზიცივ კრებითი მნიშვნელობით „რამე საჭმელი“ , „შესაჭმელი რამ“ – **ხინკ-მინკ**, ზედმიწ. „ხინკალი-მინკალი“. საინტერესოა კომპოზიტი **ხინკცომალ** „ბავშვობის მეგობრები“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 737), ზედმიწ. „ხინკალერთნი“ (← ხინკ „ხინკალი“ + ცომალ „ერთნი“, მხ.რ. ცო „ერთი“); შდრ. რუს. *одноклассники* „ერთად აღზრდილნი“ (მაგ., სკოლაში, სასწავლებელში და ა.შ.), ზედმიწ. „ერთმეფაფენი“ (*каша* „ფაფა“). **ხინკ** სიტყვას ვხვდებით სომატომიმებშიც: სალიტ. ხუნძ. **ჰატხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ჰატ-ი-ლ „ტერფის“ + ხინკ „ხინკალი“); ანდალალური დიალექტის სულრათლურ კილოკავში, ბაწადურ და ყაჰიბურ ნარეგ კილოკავებში – **ბოხილხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ბოხ-ი-ლ „ფეხის“ + ხინკ „ხინკალი“); **ნაქალზულ ხინკ** „მუხლის კვირისტავი“ (← ნაქალზულ „მუხლის“ + ხინკ „ხინკალი“). ლაკურ ენაში თავისებურებას წარმოადგენს თვითონ ადამიანის შედარებაც კი ხინკალთან: **ბურუგხაუ ხაუნკ** „გაბერილი ხინკალი“ – ასე ამბობენ ხუმრობით დიდლოყებიან მოღუმულ გოგონაზე (აბდულაევი 2018: 736).

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საყურადღებოა, აგრეთვე, მყარი გამონათქვამები, რომლებშიც თავისებურადაა აღბეჭდილი ეთნოსის მსოფლხედვა, ყოფითი რეალიები, რწმენა-წარმოდგენები და ა.შ. ამ მხრივ ხუნძურ ენაში მოიპოვება თავისებური ფორმები, რომლებითაც გადმოიცემა ძლიერი სურვილი, ნატვრა და წარმოგვიდგენენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ენის ექსპრესიულ-გამომსახველობითი უნარის შესაცნობად.

ამ ფორმათა შესახებ ჯერ კიდევ პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ ესენი არსებითი სახელებია, რომლებიც მთელი წინადადებებისგან შედგებიანო (უსლარი 1889, § 50: 56-57)¹. ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში მათ ეწოდებათ ნატვრითის ფორმები (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 292-293). განსაკუთრებით ხშირად იხმარებიან ეს ფორმები წყევლისას, აგრეთვე ვისიმე გალანძღვის ან დალოცვის დროს; შეიძლება გამოხატავდნენ შექება-მოწონებასაც, ითქმოდნენ საალერსო მნიშვნელობით და ხუმრობითაც.

როგორც ცნობილია, ნატვრითი ფორმა ხუნძურ ენაში იწარმოება ზმნისაგან -**დ** სუფიქსის მეშვეობით. წარმოებისას ამოსავალია ნამყო ძირითადი დროის ფორმა, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნამყო ძირითადის მაწარმოებელი ფორმანტი -**ნა** და სუფიქსი -**დ** უშუალოდ დაერთვის თემატურ ხმოვანს (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 292-293; საიდოვი 1954: 110). მაგალითად:

ნამყო ძირითადი დროის ფორმებია: ჟუკ-ა-**ნა** „იყო“, ჟაჭ-ა-**ნა** „მოვიდა“, ბოს-ა-**ნა** „აიღო“, „იყიდა“, ტი-უ-**ნა** „მისცა“...

მაგრამ ნატვრითში გვექნება: ჟუკ-ა-**დ**, ჟაჭ-ა-**დ**, ბოს-ა-**დ**, ტი-უ-**დ**...

წინადადებაში ეს ფორმები იხმარება შემასმენლად:

მუნ ჟოხაუნ **ჟუკად!** „შენ გაიხარე!“, ზედმიწ. „შენ გახარებული იყავ[კაცო]“;

მუნ ჟაყუნ **ჟუკად!** „გშოოდეს შენ!“, ზედმიწ. „შენ მოშიებული იყავ[კაცო]“;²

დურ რაკ **ბოხად!** „შენმა გულმა გაიხაროს!“ ნატვრ. ბოხა-ა-დ ← ნამ. ძირ. ბოხა-ა-ნა „გაუხარდა“ (ბოხა-ი-ზე „გახარება“);

დურ რუყ **ბუჰად!** „შენი სახლი დაიწვას!“ ნატვრ. ბუჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბუჰ-ა-ნა „დაიწვა“ (ბუჰ-ი-ზე „წვა“);

¹ პ. უსლარის სიტყვებით: «это суть существительные, в состав которых входят целые предложения, вроде сорви-голова, un va nu-pieds... ».

² მაგალითები პ. უსლარისაა (უსლარი 1889, § 136: 147). ამ ფორმებს იგი მოიხსენიებს ტერმინით Желательное наклонение.

ჭანკოდულ ტანჭაზ დურ ჩენ **ჯირშად** „ქათმის წიწილებმა მუცელი ამოგორტონ!“ ნატვრ. ჯირშა-ა-დ ← ნამ. ძირ. ჯირშა-ნა „ამოჩიქნა“ (ჯირშა-ი-ზე „ჩიქნა“)... (მაგალითები ეკუთვნის მ. საიდოვს; საიდოვი 1954: 110; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

ნატვრითის ფორმიანი გამოთქმების ადრესატი შეიძლება იყოს როგორც მეორე, ისე მესამე პირი: **ჟოხჟუნ ჟუკად** დოჟ! „გაიხაროს მან[მამაკაცმა]!“; **ჟაყუნ ჟუკად** დოჟ! „შიოდეს მას[მამაკაცს]!“; დოსჟულ რაკ **ბოხად!** „მისმა[მამაკაცის] გულმა გაიხაროს!“; დოსჟულ რუყ **ბუჟად!** „მისი[მამაკაცის] სახლი დაიწვას!“; **ჭანკოდულ ტანჭაზ** დოსჟულ ჩენ **ჯირშად!** „ქათმის წიწილებმა ამოგორტონ მას[მამაკაცს] მუცელი!“; შდრ. ლაკურში: ინა ჯატრალ ბუქივუმ! „შენ ყვავებმა, დე, დაგჯიჯგონ (შეგჭამონ)!“ და სხვ.

ლაკურ ენაში ნატვრითის ფორმათა წარმოებისას ზმნის ფუძეს დაერთვის სუფიქსები **-იფუმ** (მხ.რ.), **-იფუჯულ** (მრ.რ.). მაგალითები:

ინა ჯუნასა შიფუმ! „შენ დიდი გაზრდილიყავ!“; **ვილ უარმუ ლაჯი ბიფუმ** „შენი ცხოვრება გრძელი, დე, იყოს! („იდლეგრძელი!“) (ადუხოვა 2021: 112).

დალოცვის ფორმულებია ხუნძურში, აგრეთვე:

მუნ ჯაგო ხუტად „ცოცხალი დარჩენილიყავ!“ ნატვრ. ხუტ-ა-დ ← ნამ. ძირ. ხუტ-ა-ნა „დარჩა“ (ინფ. ხუტ-ი-ზე „დარჩენა“);

დუდე თალიჰ ლჟუდ „ბედნიერი იყავ!“ (ზედმიწ. „ბედნიერება დაგედოს“), ნატვრ. ლჟ-უ-დ ← ნამ. ძირ. ლჟ-უ-ნა „დადო“ (ინფ. ლჟ-ე-ზე „დადება“)... (მაგალითები პ. უსლარს ეკუთვნის, უსლარი 1889, § 185: 229).

ნატვრითის ფორმიანი გამოთქმები, ჩვეულებრივ, გვევლინებიან მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად, რომლებიც მზამზარეულად იხმარებიან ხოლმე მეტყველი კოლექტივის მიერ, თუმცა არ უნდა გამოირიცხებოდეს ინდივიდის შემოქმედებითი როლიც ამგვარ გამოთქმათა ახალი და ორიგინალური ვარიანტების შექმნა-ჩამოყალიბებაში.

ერთ-ერთ მყარ გამოთქმას წარმოადგენს ხუნძურში, მაგალითად, **ჰალ ჰაჯად**. იგი შეიცავს სიტყვას ჰალ „ჯანი“, „შეძლება“ (აგრეთვე „მდგომარეობა“) და ნატვრითის ფორმას ზმნისა ჰაჯ-ი-ნე „ჯანსაღად ყოფნა“, „კარგად ყოფნა“ (ნატვრ. ჰაჯ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჰაჯ-ა-ნა). მაგალითი:

კუდადა, ჰ ა ლ - ჰ ა ჯ ა დ, ბიცე ცო მარჰა! „ბაბუა, დღეგრძელ იყავ, გვიამბე ერთი ზღაპარი!“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 412; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). მ. მაჰომედხანოვს ეს გამოთქმა რუსულად გადმოაქვს ასე: «голубчик мой!», «душа моя!» (მაჰომედხანოვი 1993: 357).

ანალოგიური შედგენილობისაა ფრაზეოლოგიზმი **ბეტერ ჰაჯად**. აქ მოცემულია კომპონენტი ბეტერ „თავი“. პ. უსლარის განმარტებით, მისი მნიშვნელობაა «голова да бюджет здрава!» (უსლარი 1889, განყ. II: 219). იხმარება შორისდებულადაც: „გაუმარჯოს!“, «да здравствует!» (საიდოვი 1967: 78).

შდრ. ლაკურ ენაში: **ბაკ წულლუ ბივუა**, ზედმიწ. „თავი ჯანსაღად, დე, იყოს!“ (აბდულაევი 2013: 61, აბდულაევი 2015: 49).

მუნაჰალ ჩურად „ცოდვები ჩამოერეცხოს!“ – ითქმის მიცვალებულზე (უსლარი 1889, განყ. II: 217); მუნაჰ „ცოდვა“ (მრ. რ. მუნაჰალ), ნატვრ. ჩურ-ა-დ ← ნამ. ჩურ-ა-ნა, ინფ. ჩურ-ი-ზე „რეცხვა“, „დაბანა“.

წყევლისა და ლანძღვის ფორმულები:

რ. ჰამზათოვი წერდა: „ვფიქრობ, ოდესმე ვინმე დაღესტნელი ფოლკლორისტთაგანი თავს მოუყრის და წიგნად გამოსცემს მთიულურ წყევლებს, მაშინ ყველასათვის საჩინო იქნება, რაოდენი საზრიანობა და დახელოვნება, რაოდენი ფანტაზია ჰქონია მთიელს, რაოდენი გამომსახველობა ჩვენს ენას. ყოველ აულს თავისი წყევლა აქვს. უფროთხილდით წყევლა-კრულვათა ცეცხლით მდაგველ რისხვას! არის წყევლა, უხილავი ხლართით ხელ-ფეხის დაბორკვას რომ გიქადის, მეორე წყევლა კუბოში ჩაწვენით გემუქრება, მესამე წყევლა – შენსავე თეფშზე დაგაყრევინებს ორსავ თვალს, მეოთხე – წვეტიან ქვებზე ყირწი-ყურწით ახტუნავენს შენს თვალებს და ხრამში ჩაჩეხავს“ (გამზათოვი 1968: 250)¹.

მართლაც, ხუნძური ენა ავლენს ექსპრესიის ძლიერ და მრავალფეროვან უნარს, რაში დარწმუნებაც ადვილად არის შესაძლებელი, თუ გავეცნობით სათანადო ენობრივ მასალას.

ნატვრითის ფორმით არის გადმოცემული, მაგალითად, ასეთი რისხვა: **ალლაჰასულ ნაჰანა ბათად** „ღმერთმა დასწყევლოს!“, ზედმიწ.

¹ ეს გახლავთ ამონარიდი რ. ჰამზათოვის თხზულებიდან „ჩემი დაღესტანი“, რომელიც რუსული ენიდანაა თარგმნილი შ. ნიშნიანიძისა და თ. ჩიჯავადის მიერ (ამ თხზულების რუსული თარგმანის ავტორია ვ. სოლოუხინი); შდრ. ორიგინალური ტექსტი ხუნძურ ენაზე:

МагIарул хьандеязулги, нагIанабазулги тIехь гьабуни, гьeб цIалулел, цIуне гьeниб бугеб бегIераб цциналдаса: цояз рухула, цояз кьотIула, молотIа лъола, хабада заз бижула, берал гьадринире портула, бутIрул кIкIалахъа эхере гирун ганчIалъ рилула „хუნძურ ლანძღვა-გინებასა და წყევლებზე წიგნი თუ შეიქმნება, უფროთხილდით მასში, წამკითხველნო, გულის გამგმირავ (ზედმიწ. „ბასრ, მჭრელ“) მრისხანებას: ზოგი მათგანი (ე.ი. „წყევლა-კრულვა“) გვემს, ზოგიც ჭრის, საკაცეზე აწვენს, საფლავზე ეკაღბარდს აღმოაცენებს, თვალებს თეფშებზე დააყრევინებს, თავებს ხრამში გადაჩეხავს და ქვებში ჩაკარგავს“ (ჰამზათოვი 1975: 65). დღეს უკვე მოიპოვება ამგვარი მასალისადმი მიძღვნილი წიგნები (იხ. მაჰომედსალიჰოვი 2007; ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008).

„ალაპის წყევლა ეპოვნოს!“. მ. მაჰომედხანოვის განმარტება ასეთია: «да покарает его Аллах!» (მაჰომედხანოვი 1993: 17); ნაჰანა „წყევლა-კრულვა“, ნატვრ. ბათ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბათ-ა-ნა „იპოვა“ (ინფ. ბათ-ი-ზე „პოვნა“).

შდრ. ლაკურ ენაში: **ალლაჰნალ სი ლიქიფუმი** „ღვთის რისხვა და-ატყდეს თავს!“

ხუნძ. **მაშიცა ად** სალანძღავი გამოთქმაა, ზედმიწევნით ნიშნავს „ცრემლმა წაგიღოს!“ (ან „წაიღოს!“). მ. მაჰომედხანოვის განმარტებით: «Чтоб ты пропал! Чтоб тебе пусто было!» (მაჰომედხანოვი 1993: 204); მა-ჰუ „ცრემლი“ (ერგ. მაშიცა), ნატვრ. ა-დ ← ნამ. ძირ. ა-ნა „წავიდა“, „წაიღო“ (ინფ. ი-ნე „წასვლა“, „წაღება“).

მოლოდა ლ'უდ „საკაცეზე დაიდე!“ (ან „საკაცეზე დაიდოს!“); ხუნძურად მალი (ადგ. ბრ. მოლ-ო-და) ჰქვია გადასატან კიბეს, რომლითაც მიცვალებულს მიასვენებენ საფლავზე (უსლარი 1889, განყ. II: 128; ომარაშვილი 1989: 43)¹; ნატვრ. ლ'-უ-დ ← ნამ. ძირ. ლ'-უ-ნა „დადო“ (ინფ. ლ'-ე-ზე „დადება“).

როცა პირუტყვს უწყრებიან, ხუნძები ამბობენ **ყულფუდე ჰუდ** „საქელებოდ დაკლულხარ!“ ჰ. უსლარის ცნობით, **ყულფუ** (სალიტ. ხუნძ. ყულჰუ) ეწოდება ქელებისათვის განკუთვნილ პირუტყვს (უსლარი 1889, განყ. II: 155); ნატვრ. ჰ-უ-დ ← ნამ. ძირ. ჰ-უ-ნა „დაკლა“ (ინფ. ჰ-ე-ზე „დაკვლა“).

ჰჰან ჴჰად „მოკლულიმც მოსულხარ[კაცო]!“ (ან „მოკლულიმც მოსულა!“). ჰ. უსლარის განმარტებით: «приди убитый, т.е. проклятый» (უსლარი 1889, განყ. II: 222). აქ წარმოდგენილია ნამყოს აბსოლუტივის ფორმა ჰჰან ჴჰანისა ჴჰან-ზე „მოკვლა“; ნატვრ. ჴჰჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჴჰჰ-ა-ნა „მოვიდა“ (ინფ. ჴჰჰ-ი-ნე „მოსვლა“).

მუნ ნაჰე ჴუსუნგუტად „მუნ [კაცო] უკან ნუღარ დაბრუნებულხარ!“; ნატვრ. ჴუსუნგუტ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჴუსუნგუტ-ა-ნა „არ დაბრუნდა“.

ხადუბ ჰჰად – ეს ფრაზეოლოგიზმი შეიცავს ზმნისართს ხადუბ „შემდეგ“, „მერე“ და ნატვრითის ფორმას ჴჰინე „შეჰმა“; ნატვრ. ჰჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჰჰ-ა-ნა „შეჰამა“. ჰ. უსლარის მიხედვით, იგი ნიშ-

¹ საყურადღებოა ამ მხრივ საქართველოში არსებული საწყევარი გამოთქმაც **ჯალამბრით წასაღებო!** თ. სახოკიას ცნობით: „მეგრულად ჯალამბარი ერქვათ საკაცესათვის, რომელზედაც მიცვალებულს დააკრავდნენ და დასასაფლავებლად მიჰქონდათ სასაფლაოზე...ჯალამბარი შედგება ორი გრძელი ძელისაგან, რომელსაც შვიდი-რვა სანტიმეტრი დიამეტრი ექნება და სიგრძეც სამი მეტრი და რომელიც შეერთებულია ხის დაღვლარქნილი ტოტებით (სახოკია 1979: 948).

ნავს: «съешься вслед, т.е. пропади и ты» (უსლარი 1889, განყ. II: 113). მ. მაჰომედხანოვის განმარტება კი ასეთია: «пропади пропадом!», букв. «чтоб тебя съели потом!» (მაჰომედხანოვი 1993: 332).

ლაკურ ენაში ანალოგიური ფორმებია, მაგალითად:

ინა მწყლილ ივჭივუმი „შენ [კაცო] წყურვილით, დე, მოკვდე!“;

ინა ჩახუთქალულ ივჭივუმი „შენ [კაცო] ჭლექით, დე, მოკვდე!“;

ვილ ჯათაა ჩუჩივუმი „შენი სახლი, დე, დაიწვას!“ (შდრ. ხუნძ.

დურ რუყ ბუჰად „შენი სახლი, დე, დაიწვას!“);

ვილ ლწყა პწყ უჩივუმი „შენი მუცელი, დე, გასკდეს!“ (შდრ. ხუნძ.

დურ ჩენ ტუჰატად „შენი მუცელი, დე, გასკდეს!“);

შათრალ ბუქივუჯულ „მატლებმა, დე, შეგჭამონ [თქვენ]!“ (ადუ-ხოვა 2021: 112).

ერთობ დამახასიათებელია ნატვრითის ფორმიანი გამოთქმები, რომლებშიც ფიგურირებენ სხეულის ნაწილთა სხვადასხვა სახელწოდებები (სომატონიმები). მაგალითად, ხუნძურ ენაში:

ბეტერ ბექად „თავი გაუტყდეს!“ (// „გაგიტყდეს!“), ბეტერ „თავი“, ნატვრ. ბექ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბექ-ა-ნა „გატეხა“, „გატყდა“ (ინფ. ბექ-ი-ზე „გატეხვა“, „გატყდომა“).

ჰან თურად „ხორცი დაულპეს!“ (ჰან „ხორცი“), ქერენ თურად! „მკერდი დაულპეს!“ (ქერენ „მკერდი“), მუყულუყ თურად! „ყელი ჩაულპეს!“ (მუყულუყ „ყელი“, „ხორხი“); ნატვრ. თურ-ა-დ ← ნამ. ძირ. თურ-ა-ნა „დალპა“ (ინფ. თურ-ი-ზე „ლპობა“).

ჩენ ტუჰატად „მუცელი გაუსკდეს!“ (ჩენ „მუცელი“); ნატვრ. ტუჰატ-ა-დ ← ნამ. ძირ. ტუჰატ-ა-ნა „გასკდა“ (ინფ. ტუჰატ-ი-ზე „გასკდომა“).

მუყულუყ ბორლად „ყელი გაეხვრიტოს!“ (მუყულუყ „ყელი“, „ხორხი“); ნატვრ. ბორლ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბორლ-ა-ნა (ინფ. ბორლ-ი-ზე „გახვრეტა“).

ღალალ ჰულად „ნაწნავები დაგცვივდეს!“ – ასე ლანძღავენ ერთმანეთს ქალები (ღალ „ნაწნავი“, მრ. რ. ღალალ).

მიჯალ ჰულად „ულვაშები დაგეპუტოს!“ – ლანძღავს ქალი მამაკაცს (მიჯ „ულვაში“, მრ. რ. მიჯალ); ნატვრ. ჰულ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჰულ-ა-ნა, ინფ. ჰულ-ი-ზე „გაბრდღვნა“, „გაპუტვა“, აგრეთვე „გამელოტება“.

როგორც ცნობილია, ნატვრითის ფორმა ზმნის სხვა ფორმათაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი შეიძლება სუბსტანტივადაც გვევლინებოდეს და მოეპოვებოდეს სახელური ნიშნები. ამიტომაც წერდა პ. უსლარი, რომ ესენი არსებითი სახელებია, რომლებიც მთელი წინადადება-

ბისგან შედგებიანო (უსლარი, 1889, § 50: 56-57). უფრო ზედმიწევნით თუ დავახსიათებთ, ესენი წარმოადგენენ რთულ არსებით სახელებს (კომპოზიტებს), რომლებიც მიღებულნი არიან მყარ ექსპრესიულ გამოთქმათა ლექსიკალიზაციის შედეგად¹. მაგალითები ხუნძურიდან:

თალიპ-ყოსად ყუბატიჟე ინეგი ბეჰულა „არამზადა (ზედმიწ. „ის, ვისი ბედნიერებაც, დე, დაიკარგოს“) გარეთ გავიდეს შეიძლება“.

თუმანკულ გულლიცა **ქერენ-ბორლად** ჭაგო შაა დუცა თარაჟე „თოფის ტყვიით მკერდ-გასახვრეტი (ზედმიწ. „ის, ვისაც თოფის ტყვიამ მკერდი, დე, გაუხვრიტოს“) ცოცხალი რად დატოვე?“ (მაგალითები მ. საიდოვისა; საიდოვი 1954: 110, 122; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

საინტერესოა, რომ ზმნად გამოყენების შემთხვევაშიც კი ნატვრითის ფორმა სუფიქსად დაირთავს ხოლმე რიცხვის სახელურ ნიშანს. მაგალითად:

ჟოხუნ ჟუკად „გახარებულ იყავ!“ (//„იყოს!“), შდრ. მრავლობითი: როხუნ რუკად-აღ „გახარებულნი იყავით!“ (//„იყონ“).

ასევე: ჟაყუნ ჟუკად „მოშიებული იყავ!“ (//„იყოს!“), შდრ. მრავლობითი: რაყუნ რუკად-აღ! „მოშიებულნი იყავით!“ (//„იყონ“) (მაგალითები ეკუთვნის პ. უსლარს; უსლარი 1889, § 136: 147).

ცნობილია ისიც, რომ ნატვრითის ფორმა ისევე იცვლება ხოლმე ბრუნვათა მიხედვით, როგორც ჩვეულებრივი არსებითი სახელი. მაგალითები:

ნატვრითის ფორმა ერგატივში: ლ'იმაღ ჭ ა ჯ ა დ ი ც ა ბიცანა ჰაბ ხაბარ, ზედმიწ. „მან, ვისი ბავშვებიც, დე, ჯანსაღად იყონ, მითხრა ეს ამბავი“ (საიდოვი 1954: 110; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ნათესაობითში: ჭჟან ჟ ა ჭ ა დ ი ლ რუყ „წყეულის სახლი“, ზედმიწ. „სახლი იმისა, ვინც, დე, მოკლული მოვიდეს“ (უსლარი 1889, § 50: 57; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

¹ ლექსიკალიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა, მაგალითად, რუსულ ენაში ჩვენს თვალწინ გაჩენილი ზოგიერთი უახლესი ნეოლოგიზმიც. ამ ნეოლოგიზმების ფართოდ გავრცელება და დამკვიდრება უკრაინულ ინტერნეტ-რესურსებში, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკურ დისკურსში შედეგად მოჰყვა ყირიმის ანექსიას, სამარ მოქმედებებს უკრაინის ტერიტორიაზე (დონბასში) და მწვავე საინფორმაციო ომს რუსეთსა და უკრაინას შორის. ასეთ ვითარებაში გაჩნდნენ ეს ნეოლოგიზმები უკრაინის საზოგადოებაში, ცალკეულ მარტივ წინადადებათა თუ ფრაზების ლექსიკალიზაციის შედეგად, და ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ლექსებებად (ასევე – ჰემტეგებად, ინტერნეტ-მიმებად), მაგ., ихтамнеты (← их там нет), Крымнаш, Крымнашисты, Крымнашевцы (← ლოზუნგი «Крым Наш!»), мышебратья (← мы же братья), чётамухохлов (← что там у хохлов) და სხვ., რომელთა ნასახიც კი არ არსებობდა 2014 წლის გაზაფხულამდე.

მიცემითში: როყობ ბერთინ ჰ ა ბ უ დ ი დ ე შიბდად ბოტუნ ბუ-
გო?, ზედმიწ. „მას, ვის სახლშიც ქორწილი, დე, გამართულიყოს, ნეტა-
ვი რალა უნდა სურდეს?“ (საიდოვი 1954: 111; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

ლოკატივში: მანკოდულ ტანჭაზ ჩენ ჯ ი რ შ ა დ ი დ ა ჰ ა ბ ი მ ჟე-
გი ლაჭებიშ?, ზედმიწ. „მან, ვისაც ქათმის წიწილებმა მუცელი, დე,
ამოჩიჩქონ, ეს საქმე განა არ იცოდა?“ (საიდოვი 1954: 111; ხაზგასმა ჩე-
მია – ლ.ა.).

ამგვარი გაარსებითებული ფორმები ენაში ხშირად მკვიდრდები-
ან კომპოზიტთა სახით და ფართოდაც გამოიყენებიან, როგორც დამო-
უკიდებელი ლექსიკური ერთეულები.

ერთ-ერთი ასეთი ფართოდ გავრცელებული გამოთქმაა ხუნძურ-
ში **ებელ ხუად**. პ. უსლარი მას სიტყვასიტყვით ასე განმარტავს: «умри-
мать» („დედა, დე, მოკვდეს!“). იგი შეიცავს სიტყვას ებელ „დედა“ და
ნატვრითის ფორმას ზმნისა ხჷ-ე-ზე „მოკვდომა“, ნატვრ. ხჷ-ა-დ „დე,
მოკვდეს!“. პ. უსლარის ცნობით, ეს სიტყვა-გამოთქმა შეიძლება იხმა-
რებოდეს საალერსო მნიშვნელობით, თუ დედა მიმართავს ასე შვილს
(«Лучше бы матери твоей умереть, чем видеть тебя столь несчастным»;
შდრ ქართ. „მოგიკვდეს, შვილო, დედა!“). იგი ზოგჯერ ხუმრობითაც
ითქმის და ზოგჯერაც სალანძღავადო (უსლარი 1889, განყ. II: 75). ხში-
რად გვევლინება კომპოზიტურ არსებით სახელად: **ებელხუად**, ზედ-
მიწ. „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“ (კიდევ უფრო ზედმიწევნით –
„დედადემოკვდესი“); შდრ. ქართ. „დედა გენაცვალოს“, „მოგიკვდეს,
შვილო, დედა“... „ბიჭო, ნათელისძეო! რაად გი მაკვლავი, შე დ ე დ ა -
მ ო ს ა კ ვ დ ა ვ ო? რა იც, რო შენ დაასწრობ, განა ის გულჯელდაკრე-
ბილ დაგხვდების? იმის თოფიც ტყვიას ისრევს“ (მიმართავს დედა თა-
ვის შვილს; იხ. ბალიაური 1991: 43; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.)

მაგალითები ხუნძურიდან:

ჟად დ ი რ ე ბ ე ლ ხ ჟ ა დ, ჰანჟე მუნგი არმიდალდე უნ, დიცაა
შიბ ჰაბულებ? ნუწაა ყირუნ ტადე ჟაქულეჟ ჩი ჟუკინარო დიტე „ვაი,
მ ო გ ი კ ვ დ ე ს დ ე დ ა („ჩემო დედამკვდარო“), ახლა შენც ჯარში
მიდიხარ. მე რალა ვქნა? კარდახშულ სახლში მომხედავი არავინ მეყო-
ლება“ (ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008: 274).

ტოცებესეებ ნუხალა ყელებე მაშინა ბაჭარაბ ზამან ბუკანილა.
ჰელდე შჷეზეჷმან ყელესეზულ ჰადამაზდა მაშინა ბინუნცინ ბუკუნ
ჰეჰო. რადალდასა ნაჷე ქალხოზალულ აზბარალდა ცეებე ჰეზაბუნ ბუ-
კანილა ჰებ მაშინა. ცო კუდიდად ჰუჷჷუდალ „ჰალგონიდალ ჰადამალგი
რაჩუნ ბაჭარაბ ჰაბ ფაყირ ბაყუცა ხოლებ ბათილა, – დანგი აბუნ ყჷალ

წურაბ ხერ ბან ბუგო მაშინადალდა ცეზე, – ქჷანად, ქჷანად, ე ბ ე ლ ხ ჯ ა დ“, – ან ჰელჷიდე რაკ-მაკვი ჰაბულაგო „ის დრო ყოფილა, როდესაც ყელეზში პირველად მოვიდა მანქანა. მანამდე ყელეზის მცხოვრებთ მანქანა თვალთ არ ენახათ. დილიდანვე კოლმეურნეობის ეზოს წინ გაჩერებული ყოფილა ის მანქანა. ერთმა დედაბერმა თქვა: „ამდენი ხალხი რომ მოუყვანია, ეს საწყალი როგორი მშიერი იქნებაო“ და მთელი იღლია თივა დაყარა მანქანის წინ: „ჰამე, ჰამე, მ ო გ ი კ - ვ დ ე ს დ ე დ ა ო“, – ანუგეშებდა მას“ (ზღაპრები 1990: 89; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ეხელხუად** ხუნძურში გამოხატავს შექებასაც, კერძოდ, ადამიანის სიყოჩაღეზე მიუთითებს.

ანალოგიური აგებულებისაა სიტყვა **ემენხუად** (ვარიანტები: ამახუად, ემეხუად) „ის, ვისი მამაც, დე, მოკვდეს“. ეს სიტყვა-გამოთქმა წარმოადგენს ადამიანის საქებ ეპითეტს და გამოხატავს მოწონებას:

მოწიდე ჟურაბ ჟო კუტუნ ბუგო ე მ ე ნ ხ ჯ ა დ ი ც ა „თვის სამყოფი რამ მოიმარაგა ყ ო ჩ ა ღ მ ა“ (ბოკარიოვი 1949: 159; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.);

ა მ ა ხ ჯ ა დ ი ლ ქუთაქ ბუგო, ზედმიწ. „ძალა აქვს მას, ვისი მამაც, დე მოკვდეს“. მ.-ს. საიდოვის განმარტებით: «У него сила великая (особая формула у аварцев, говорится о здоровом, сильном и бодром человеке)» (საიდოვი 1967: 31; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.), ე.ი. „რა ღონიერია ეს მამაძალი!“.

ერთი შეხედვით, ამდაგვარი სიტყვა-გამოთქმები თითქოს უარყოფით ემოციებს უნდა იწვევდნენ ადრესატში, მაგრამ ამ საკითხზე ცალსახად მსჯელობა არ იქნებოდა გამართლებული. ჰ. მაჰომედსალი-ჰოვი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ წყევლას სახუმარო ხასიათი აქვს და საღალღობო ელფერს შეიცავს, რითიც ემოციური მრავალფეროვნება შემოაქვს ხალხის სამეტყველო ეთიკეტში. ასეთებია, მაგალითად, დურ ეხელ ხუად „შენი დედა, დე, მოკვდეს“, დურ ემენ ხუად „შენი მამა, დე, მოკვდეს“, დურ რაჭა ყოტად „შენი კუდი, დე, მოიჭრას“, დურ ინსულ ჟურუსალ ლჷუჷად „მამაშენს რუსები, დე, გამოელიონ“ და ა.შ. (მაჰომედსალიჰოვი 2007: 12).

ასეთივე გამოთქმა არსებობს ლაკურ ენაშიც: **ბავა დირჰივეუ** „ყოჩაღ!“ (აბდულაევი 2018: 103), ზედმიწ. „დედა, დე, მოკვდეს“ (სტრუქტურითაც და სემანტიკითაც იგი ემთხვევა ხუნძურის **ეხელ ხუად** გამოთქმას: ლაკ. ბავა „დედა“ + ნატვრ. დ-ი-რ-ჰ-ი-ვეუ „დე, მოკვდეს“; დ-ი-რ-ჰ-ან „მოკვდომა“); მაგ., აჰ ბ ა ვ ა დ ი რ ჰ ი ვ უ ე მურთა-

ზაალიდ წარადარ კირისა იხთილათ ბუვნა „აჰ, დ ე დ ა მ ო მ - კ ვ დ ა რ მ ა (= ვაჟკაცმა, გმირმა) მურთაზალიმ ცეცხლივით მწველი სიტყვა წარმოთქვა“ (ლაკური სიმღერები 1969: 38); ჰაჭრუ უთასიდა ბ ა ბ ა დ ი რ ჭ ი ვ უ ლ „განიერი მხრები დედამომკვდარისა“ (ლაკური სიმღერები 1969: 58). ლაკურში არსებობს, აგრეთვე, თავისებური გამოთქმა **ნითილ ლაყა ჯაჩიყუი** „დედის მუცელი (// საშო), დე, გასკდეს“ (ლაკური სიმღერები 1969: 63, 169). ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ ეს მეტად უშვერი გამოთქმაა, მაგრამ, სწორედაც რომ პირიქით, იგი წარმოადგენს საქებ ეპითეტს და გამოხატავს აღტაცებას ადამიანის მიმართ (= ქართ. „რა დედამ შობა ასეთი გმირი, ასეთი ვაჟკაცი!“ და მისთ.).

საინტერესო იქნება შესადარებლად მოვიხმოთ მაგალითები ქართული ენობრივი სამყაროდანაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, მაგალითად, ნ. ბალიაურის ასეთი ცნობა:

„გენაცვალეს“ და „შენი ჭირიმეს“ ხევსურეთში ნაკლებად ხმარობენ. როდესაც მოხუცებული ქალი ახალგაზრდა ქალს მკაცრ სიტყვას ეტყვის, იქნება იგი მისი გვარისა თუ არა, ეს სულ ერთია, ოღონდ სოფლელი იყოს, ეს სიმკაცრე უფრო გარეგნულია, შინაარსში კი სიტყვა ღრმა სიყვარულით არის გამთბარი (შინაურობის გამოხატველია ასე მაგალითად: ქ ა ლ ა ვ, ქ ა ლ - შ ა ვ ა ვ, ქ ა ლ უ კ ლ ო ვ, ა ი თ ა რ ი, დ ა ე გ დ ი, წ ა ი თ ა რ ე და სხვა მრავალი ამისთანა გამოთქმები უცხოთა და ყურმიუჩვეველს სხვანაირად ესმის, არასასიამოვნოდ: აქ კი პირიქით)“ (ბალიაური 1991:71. ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბალიაურის თხზულების ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისიც არის, რომ ტრადიციული საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ეთნოგრაფიული აღწერა წარმოდგენილია ამ საზოგადოების დისკურსთან ორგანულ კავშირში.

შესამღებელია კვლევის არეალის კიდევ უფრო გაფართოებაც და მსგავსი მასალის ძიება მსოფლიოს სხვა არაერთ ენაშიც. ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, ერთ-ერთი ადგილი სერვანტესის სახელგანთქმულ რომანში (სერვანტესი 1967: 107-108), რომლიდანაც საჭირო იქნება მოხმობა ვრცელი ამონარიდისა, სათანადო სიტყვა-გამოთქმის გამოყენების კონკრეტული კონტექსტის გასათვალისწინებლად:

„– მე კი ორი [შვილი] მყავს, – მიუგო სანჩომ, – მაგრამ ისეთები არიან, რომ შეიძლება პაპთან გაიგზავნონ საჩვენებლად, მეტადრე ქალი, ფრიად მშვენიერი არსებაა. თუ ღმერთი შემეწია, იმედი მაქვს გრავს ვისმე შევრთო.

– რამდენი წლისა გყავს ის მშვენიერი არსება, გრაფის ცოლი რომ უნდა გახდეს? – ჰკითხა მეორე საჭურველმტვირთველმა.

– თხუთმეტისა, ან იქნება ორი წლით მეტისა ან ნაკლებისა, – მიუგო სანჩომ, – საროსავით ტანწერწეტაა, აპრილის დილასავით ქორფაა და კურტნის მუშასავით ღონიერი.

– დალახვროს ღმერთმა! ერთად რამდენი ღირსება ჰქონია. გრაფის ცოლად კი არა, მწვანე ჭალაკის ნიმფად ყოფნაც უპრიანია იმისთვის. დახეთ იმ მ ე ძ ა ვ ს ა და მ ე ძ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ს ა, რა ტურფა რამ იქნება შეშის გუდურა აკიდებული!“

(ორიგინალის ენაზე შესაბამისი მონაკვეთი ჟღერს შემდეგნაირად: ¡Oh h i d e p u t a, p u t a, y qué rejoy debe de tener la bellaca! „აჰ, მ ე ძ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ი, მ ე ძ ა ვ ი, თანაც რა ჯანი ექნება ტურფას!“; იხ. სერვანტესი: 252).

„– ძალიან ტურფაა, – გააწყვეტინა სანჩომ, – მაგრამ არც ის და არც მისი დედა, და, არც ვინმე ჩვენგანი, ღვთის მადლით, მეძავი და მემრუშე არა ვყოფილვართ... თუ ღმერთი გწამთ, ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკეთ... ეგ თქვენი სიტყვები ვერაფრად მეჭაშნიკება.

– ქ ე ბ ი ს ა თქვენ არაფერი გცოდნიათ თქვენო მოწყალება, – მიუგო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, – განა არ გაგიგონიათ, მაგალითად, ცირკში, როდესაც კაბალეროს ხარისათვის შუბი მ ა რ - ჯ ვ ე დ უკრავს, ანუ რ ო დ ე ს ა ც ვ ი ს მ ე რ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე დ მ ო უ ხ დ ე ნ ი ა, მაშინ ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე: „შეხე იმ მ ე ძ ა ვ ს ა და მ ე ძ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ს, რა მარჯვედ მოახერხა, ანუ რა მარჯვედ სტკიცაო“. მაშინ ეს სიტყვები ლ ა ნ ძ დ ვ ა კ ი ა რ ა რ ი ს, პ ი რ ი ქ ი თ ქ ე ბ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს“.

(შდრ. ორიგინალის ენაზე: ¿Cómo y no sabe que cuando algún caballero da una buena lanzada al toro en la plaza, o cuando alguna persona hace alguna cosa bien hecha, suele decir el vulgo: «¡Oh h i d e p u t a, p u t o, y qué bien que lo ha hecho!», y aquello que parece vituperio, en aquel término, es a l a b a n z a notable? „როგორ არ იცით, რომ როდესაც მოედანზე ვინმე კაბალიერო შუბს კარგად აძგერებს ხოლმე ხარს, ან ვინმე კარგად იქმნის რამეს, მდაბიონი ჩვეულებრივ ამბობენ: „აჰ, მ ე ძ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ი, ბ ო ზ ი [კაცი], ეს რა კარგად ქნაო!“ და ის, რაც იმ სიტყვაში ლ ა ნ ძ დ ვ ა დ ჩ ა ნ ს, შესანიშნავი ქ ე ბ ა ა რ ი ს [სინამდვილეში]; იხ. სერვანტესი: 252).

„– დასწყევლოს ღმერთმა, – შეჰყვირა სანჩომ, – თუ ეგრეა და ა ხ - ლ ა ლ ა ნ ძ დ ვ ა ქ ე ბ ა და დ ი რ ს, მაშ, მეცა და ჩემი ცოლიც და მთელი ჩემი საგვარეულოც ხორცშესხმულ გაიძვერებად და მეძავებად

უნდა ვითვლებოდეთ, რადგან, რასაც ისინი რამეს ამბობენ, რასაც აკეთებენ, ყოველგვარი სალანძღავი და არასალანძღავი ქების ღირსია“ (ხაზგასმაცხველგან ჩემია – ლ.ა.).

მოხმობილ ამონარიდში თვალსაჩინოა თავისებური გამოყენება და კონოტაცია ესპანური კომპოზიციისა **Hideputa** „მეძავის შვილი“, რომელიც შესიტყვებისაგან არის მიღებული (← Hijo/a de puta). გარკვეული ანალოგიისათვის იქნებ გამოდგეს ქართული **მამაძაღლი**, რომელიც დიალექტურ მეტყველებაში (მაგ., კახურში) გამოიყენება ხოლმე ერთგვარი საალერსო მნიშვნელობითაც შინაურობაში (შეიძლება გამოხატავდეს რამდენადმე შექებასაც), მიუხედავად მისი აშკარად ინვექტიური შინაარსისა.

მნიშვნელობის განვითარება ხუნძური **ებელხუად** (ზედმიწ. „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“) სიტყვისა უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: ამოსავალს წარმოადგენდა საალერსო კონოტაცია, როცა დედა მიმართავდა შვილს ასე („დედაშენი¹, დე, მოკვდეს¹, შვილო¹“) და, ამრიგად, მიმართვა იქცა დადებითი კონოტაციის შემცველ სიტყვად. ამის შემდეგ სიტყვამ გაიფართოვა მოხმარების არე და, დედასთან ერთად, უკვე სხვებიც ასე მოიხსენიებდნენ ადამიანს. ასეთ პირობებში სიტყვამ შეიძინა კიდევ ერთი დადებითი კონოტაცია („ყოჩაღი“) და ადამიანის საქებ ეპითეტად იქცა. თუმცა სიტყვას მუდამ ვერ ექნება ოდენ ცალსახა მნიშვნელობა და, შესაბამისად, ხსენებული სიტყვაც, ბუნებრივია, ვერ ასცდა სახუმარო, დამცინავ თუ სალანძღავ კონტექსტში ხმარებას.

არსებობს, აგრეთვე, ანალოგიური აგებულების სიტყვა **იაცხუად**, რომელიც გამოიყენება დის მიერ ძმისადმი საალერსო მიმართვის ფორმად: „ძვირფასო, საყვარელო [ძმაო]“, ზედმიწ. „დაა, დე, მოკვდეს“ (იაცხუად „და“); შდრ ლაკურ ერთ-ერთ პოეტურ ტექსტში: **სურვალ ლიტვიგუი** „დები, დე, დაიხოცონ“ (ლაკური სიმღერები 1969: 58), ეი. „შენ მოგიკვდნენ დები, საყვარელო ძმაო“.

ანალოგიური სტრუქტურისაა ხუნძურში საალერსო მიმართვის ფორმა **კოდოხუად** „ბებო გენაცვალოს“, ზედმიწ. „ბებო, დე, მოკვდეს“ (კოდო „ბებია“), მაგრამ არ დასტურდება ასეთივე აგებულების კომპოზიტი, რომელიც „ძმის“ აღმნიშვნელ **ჟაცხუად** სიტყვას შეიცავდეს. მამაკაცის აღმნიშვნელ სიტყვათა (მაგ., ჟაცხუად „ძმა“, კუდადა „პაპა“, დაცხი „ძია“...) შემცველი ასეთი საალერსო მიმართვის ფორმები არ შეინიშნება, რაც გენდერული ასიმეტრიის ამსახველ ერთ-ერთ ფაქტს წარმოადგენს ენაში: მამაკაცთათვის მიუღებელი ჩანს გამოყენება ისეთივე საალერსო ფორმებისა, რაც ქალთა მეტყველებისათვის ჩვეულებრივია

(მაგ., ძმა ვერ ვერ ეტყვის ალერსით თავის დას: „მოგიკვდეს, დაო, შენი ძმა“ და ა.შ.). თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს „მამის“ აღმნიშვნელი **ემენ** სიტყვის შემცველი კომპოზიტი **ემენხუად** (ზედმიწ. „ის, ვისი მამაც, დე, მოკვდეს“), მაგრამ იგი არ არის საალერსო მიმართვის ფორმა და, როგორც ზემოთაც ვნახეთ, გამოიყენება ადამიანის საქებ ეპითეტად („ყოჩაღი“).

ნატვრითის ფორმა **ხუად** წარმოდგენილია, აგრეთვე, სიტყვაში **ბეტერჰანჩიხუად** „პატრონი, დე, მოკვდეს“; უფრო ზედმიწევნით იქნებოდა „პატრონდემოკვდესი“ (ბეტერჰანჩი „პატრონი“). ასე ამბობენ პირუტყვზე, როცა მას უწყრებიან („შე პატრონმკვდარო“, „მოგიკვდა პატრონი“ და მისთ.). შდრ. ლაკურ ენაში: **ხალლუ იგვიფუი** „(შენი) პატრონი, დე, მოკვდეს!“ (აბდულაევი 2013: 69, აბდულაევი 2015: 56).

ხუნძ. **ყულჰუდეკუდ** „ის, რაც ქელეხზე, დე, დაიკლას“ (ყულჰუ //ყულფუ „ქელეხი“, ნატვრ. ჯ-უ-დ ← ნამ. ძირ. ჯ-უ-ნა „დაკლა“, ინფ. ჯ-ე-ზე „დაკვლა“); მაგ., ყასი ჭაქა როყოზე ბაჭინჭო, ყულჰუდეკუდ! „სალამოს ძროხა შინ არ მოსულა, ის სამგლე (ზედმიწ. „ქელეხზე დასაკვლავი“)! (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 399); შდრ., აგრეთვე, **ხაბატეკუდ**, ზედმიწ. „ის, რაც საფლავზე, დე, დაიკლას“ (წყრომით ითქმის შინაურ პირუტყვზე, ფრინველებზე), **ხაბატეკუად**, ზედმიწ. „ის, რაც საფლავზე, დე, შეიჭამოს“ (ითქმის წყრომით საკვებ პროდუქტებზე) (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006: 723); ნატვრ. ქ-ა-დ ← ნამ. ძირ. ქ-ა-ნა „შეჭამა“ (ინფ. ქ-ი-ნე „შეჭმა“).

მოიპოვება, აგრეთვე, ფორმა **ქაფურგოხუად**, „ის, რაც მურდლად, დე, მოკვდეს“ (ითქმის პირუტყვზე) (ქაფურგო „ურჯულოდ“, „მურდლად“; ნატვრ. ხ-ა-დ ← ნამ. ძირ. ხ-ა-ნა „მოკვდა“, ინფ. ხ-ეზე „მოკვდომა“). ამის ანალოგიურია ლაკურ ენაში გამოთქმა **ჩაფურნუ იგვიფუი** „ურჯულოდ, დე, მომკვდარიყოს!“ (აბდულაევი 2013: 91, აბდულაევი 2015: 75) (ჩაფურნუ „ურჯულოდ“, ნატვრ. ი-ვ-ჭ-ი-ვუდ „დე, მოკვდეს“; ი-ვ-ჭ-ან „მოკვდომა“).

ხუნძური ენის ექსპრესიულ-გამომსახველობით თავისებურებათა საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სხვა არაერთი შთამბეჭდავი კომპოზიტიური არსებითი სახელიც, რომლებიც ანალოგიურადვე მიღებულნი არიან ნატვრითი ფორმის შემცველ მყარ გამოთქმათა ლექსიკალიზაციით:

რუყბუჰად „ის, ვისი სახლიც, დე, დაიწვას“, წარმოადგენს სალანძღავ სიტყვას, მიღებულს მყარი გამოთქმისაგან; შდრ. დურ რუყბუჰად! „შენი სახლი დაიწვას!“, დოსუღ რუყბუჰად! „მისი სახლი და-

იწვას!": რუყ „სახლი“, ნატვრ. ბუჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბუჰ-ა-ნა „დაიწვა“ (ინფ. ბუჰ-ი-ზე „წვა“); შდრ. ლაკურ ენაში: ვილ ჯათაა ჩაუჩაივუი „შენი სახლი, დე, დაიწვას!“ (აბდულაევი 2013: 63, აბდულაევი 2015: 51).

რიჟიბაყად „ნადირალა“. ხუნძურად რიჟი ეწოდება „გადაგვარე-ბულ ადამიანს“, „საზიზღარ პიროვნებას“ (ზედმიწ. „ქმნილება“ ← მასდ. ბ-იჟ-ი, ინფ. ბიჟ-ი-ზე „შექმნა“); ნატვრ. ბაყა-დ ← ნამ. ძირ. ბაყა-ნა „გახმა“, ინფ. ბაყა-ზე „გახმობა“; ზედმიწევნითი მნიშვნელობა ამ კომპოზიციისა, მამასადამე, იქნება: „ქმნილება (//არსება), რომელიც, დე, გახმეს“;

ბალაჰბაჰად, ზედმიწ. „ის, ვისთანაც უბედურება, დე, მოვიდეს“: ბალაჰ „უბედურება“, ნატვრ. ბაჰ-ა-დ ← ბაჰ-ა-ნა „მოვიდა“ (ინფ. ბაჰ-ი-ნე „მოსვლა“);

თალიჰყად, ზედმიწ. „ის, ვისი ბედნიერებაც, დე, დაილიოს“: თალიჰ „ბედნიერება“, ნატვრ. ყ-ა-დ ← ნამ. ძირ. ყ-ა-ნა (ინფ. ყ-ი-ნე „გამოლევა“, „ამოწურვა“);

ბანყოსად „არამზადა“, ზედმიწ. „ის, ვისი სვე-ბედიც, დე, დაიკარგოს“: ბანყი „ბედნიერება, „სვე-ბედი“; ნატვრ. ყოს-ა-დ ← ნამ. ძირ. ყოს-ა-ნა „დაიკარგა“ (ინფ. ყოს-ი-ნე „დაკარგვა“). ეს ფორმა გვხვდება -ად დაბოლოების გარეშეც, იმავე მნიშვნელობით: **ბანყოს**;

თათუხჟად, ზედმიწ. „ის, ვინც, დე, დაუძღურდეს“: თათუ „ძალა, შეძლება“; ნატვრ. ხჟ-ა-დ „დე, მოკვდეს“ ← ნამ. ძირ. ხჟ-ა-ნა „მოკვდა“. კომპოზიტი მიღებულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისაგან თათუ ხჟეზე „დაუძღურება“ (ზედმიწ. „ძალის მოკვდომა“);

ჩჟანთაბაჰად, ზედმიწ. „ის, ვისაც ჯიბე, დე, გაეხვრიტოს“: ჩჟანთა „ჯიბე“, ნატვრ. ბაჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბაჰ-ა-ნა „გაიხვრიტა“, „გაცვდა“ (ინფ. ბაჰ-ი-ზე „გახვრეტა“, „გაცვეთა“);

ბერალრაჰად, ზედმიწ. „ის, ვისაც თვალები, დე, ამოეთხაროს“: ბერალ „თვალები“, ნატვრ. რ-აჰ-ა-დ ← ნამ. ძირ. რ-აჰ-ა-ნა „ამოითხარა“, „ამოსთხარა“ [თვალი] (ინფ. ბ-აჰ-ი-ზე „ამოთხრა“);

ბეტერკუჟად, ზედმიწ. „ის, ვისაც თავი, დე, გადაპარსონ“: ბეტერ „თავი“, ნატვრ. კუჟ-ა-დ ← ნამ. ძირ. კუჟ-ა-ნა „გაპარსა“ (ინფ. კუჟ-ზე „პარსვა“);

გაბურყოტად, ზედმიწ. „ის, ვისაც კისერი, დე, მოეკვეთოს“: გაბურ „კისერი“, ნატვრ. ყოტ-ა-დ, ნამ. ძირ. ყოტ-ა-ნა „მოჭრა“ (ინფ. ყოტ-ი-ზე „ჭრა“);

ჰოდბეჟად, ზედმიწ. „ის, ვისაც კისრის მალა, დე, გადაუტყდეს“: ჰოდ „კისრის მალა“, ნატვრ. ბეჟ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბეჟ-ა-ნა „გატეხა“, „გატყდა“ (ინფ. ბეჟ-ი-ზე „გატეხვა“, „გატყდომა“);

ჰუმერჩუკად, ზედმიწ. „ის, ვისი სახეც, დე, გატყავდეს“: ჰუმერ „სახე“, ნატვრ. ჩუკ-ა-დ ← ჩუკ-ა-ნა „გატყავა“ (ინფ. ჩუკ-ი-ზე „გატყავება“);

კალწოროდ, ზედმიწ. „ის, ვისაც პირი, დე, გაეყინოს“: კალ „პირი“, ნატვრ. წორო-დ (ინფ. წორო-ზე „გაყინვა“);

რაკბორლად, ზედმიწ. „ის, ვისაც გული, დე, გაეხვრიტოს“: რაკ „გული“, ნატვრ. ბორლ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბორლ-ა-ნა „გახვრიტა“ (ინფ. ბორლ-ი-ზე „გახვრეტა“);

რაკყოტად, ზედმიწ. „ის, ვისაც გული, დე, ამოეკვეთოს“: რაკ „გული“, ნატვრ. ყოტ-ა-დ ← ნამ. ძირ. ყოტ-ა-ნა „გაჭრა“ (ინფ. ყოტ-ი-ზე „ჭრა“);

ტომბაკად, ზედმიწ. „ის, ვისაც კანი (ტყავი), დე, გააძრონ“: ტომ „ტყავი“, „კანი“, ნატვრ. ბაჯ-ა-დ ← ბაჯ-ა-ნა „გაიხადა“ (ინფ. ბაჯ-ი-ზე „გახდა“);

ხონტიბაყუად, ზედმიწ. „ის, ვისაც ჩანასახი [მუცელში], დე, გაუხმეს“: ხონტი „ჩანასახი“, ნატვრ. ბაყუა-დ ← ნამ. ძირ. ბაყუა-ნა „გახმა“ (ინფ. ბაყუა-ზე „გახმოზა“);

ჩეხბიკად, ზედმიწ. „ის, ვისაც მუცელი, დე, გაუსკდეს“: ჩეხ „მუცელი“, ნატვრ. ბიჯ-ა-დ ← ნამ. ძირ. ბიჯ-ა-ნა „გასკდა“ (ინფ. ბიჯ-ი-ზე „გასკდომა“, „გახეთქვა“);

ჩეხჩურად, ზედმიწ. „ის, ვისაც მუცელი, დე, დაბანონ“ (იგულისხმება მიცვალებულის განბანვა): ჩეხ „მუცელი“, ნატვრ. ჩურ-ა-დ ← ნამ. ძირ. ჩურ-ა-ნა (ინფ. ჩურ-ი-ზე „დაბანვა“, „რეცხვა“);

ჩიტაჟად, ზედმიწ. „ის, ვისაც ადამიანი (იგულისხმება ნათესაობა, ახლობლობა), დე, მოესპოს“: ჩი „ადამიანი“, „კაცი“; ნატვრ. ტაჟ-ა-დ ← ნამ. ძირ. ტაჟ-ა-ნა (ინფ. ტაჟ-ი-ზე „გაქრობა“, „მოსპობა“);

ჩურიბიხად, ზედმიწ. „ის, ვისი განბანვაც, დე, წახდეს“ (იგულისხმება განბანვა გარდაცვალების შემდეგ). მისი ვარიანტია: **ქაქიჩურიბიხად**, ზედმიწ. „ის, ვისი ლოცვა-განბანვაც (ე.ი. გაპატიოსნება გარდაცვალების შემდგომ), დე, წახდეს (ჩაიშალოს)“: ჩური „განბანვა“, ქაქ „ლოცვა“; ნატვრ. ბიხა-ა-დ ← ნამ. ძირ. ბიხა-ა-ნა (ინფ. ბიხა-ი-ზე „დანგრევა“, „წახდენა“, „ჩაშლა“)...

მოქმედი ორთოგრაფიითაც ამ ტიპის კომპოზიტები იწერება შერწყმულად, გადაბმით (დეფისის გარეშე), ვინაიდან უკვე დამოუკიდებელ ლექსებზე და აღიქმებიან სალიტერატურო ხუნძურში და არა შესიტყვებებად: **ახელხვად, რუხბუხად, რიჯიბაკვად, თალიხკვად** და ა.შ. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მკვეთრი ზღვარი ნატვრი-

თის ფორმიან კომპოზიტიურ არსებით სახელებსა და ასეთივე შედგენილობის ფრაზეოლოგიზმებს შორის, რამდენადაც ნატვრითი ფორმის შემცველ ნებისმიერ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას აქვს გასუბსტანტივების უნარი; მაგალითად:

ლ'აბწულგო ჰანჰანა ჰ ა ლ ჰ ა ჯ ა დ ი ც ა, ზედმიწ. „სამჯერ უკბინა მან, ვინც, დე, ჯანსაღად იყოს“ (← ფრაზეოლ. ჰალ ჰაჯად!);

მ ი ჯ ა ლ ჰ უ ლ ა დ ი ც ა ჰალალლი თეჰო, ზედმიწ. „მან, ვისაც ულვაშები, დე, დასცვივდეს, შესაძლებლობა არ დატოვა“ (← ფრაზეოლ. მიჯალ ჰულად!)... (მაგალითები ა. ბოკარიოვს ეკუთვნის; ბოკარიოვი 1949: 159; ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.)...

მყარ გამოთქმათა ლექსიკალიზაცია, ამრიგად, გვევლინება ხუნძური ენის სიტყვაწარმოების ერთ-ერთ შესანიშნავ საშუალებად, რომლის მეშვეობითაც ამ ენაში გაჩენილია თავისებური კომპოზიტები. ეს კომპოზიტები შეიძლება შედგებოდნენ ორი კომპონენტისაგან, როგორც, მაგ., **ებელ-ხჷად** „ის, ვისი დედაც, დე, მოკვდეს“, **რუყ-ხუჰად** „ის, ვისი სახლიც, დე, დაიწვას“, **მიჯალ-ჰულად** „ის, ვისაც ულვაშები, დე, დასცვივდეს“ და სხვ. გვხვდება უფრო რთული წარმონაქმნებიც, რომლებიც მთელ წინადადებასაც კი შეიძლება შეიცავდნენ. ისინი შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი სახით: **როყოზ ბერთინ ჰაბუდ** „სახლში ქორწილი, დე, გამართულიყოს“ → როყოზ-ბერთინ-ჰაბუდ (ზედმიწ. „სახლში-ქორწილ-დე-გამართულიყოსი[კაცი]“); **ჰანკოდულ ტანჰაზ ჩენ ჯირშად** „ქათმის წიწილებმა მუცელი, დე, ამოკორტნონ“ → ჰანკოდულ-ტანჰაზ-ჩენ-ჯირშად (ზედმიწ. „ქათმის-წიწილებმა-მუცელ-დე-ამოკორტნონი[კაცი]“) და სხვა.

მაგრამ აღნიშნული ტიპის წარმოებით (მყარ გამოთქმათა ლექსიკალიზაციით) ჯერ კიდევ არ ამოიწურება ხუნძური ენის ექსპრესიულ-გამომსახველობითი თავისებურებანი. ამ ენაში პოვნოვია მისთვის სპეციფიკური სხვა რთული წარმონაქმნებიც ადამიანის დასახასიათებლად და შესაფასებლად, რომლებიც სპეციალური შესწავლის საგანი ჯერ არ ყოფილა. აქვე წარმოვადგენთ ცნობებს ამ წარმონაქმნების შესახებაც.

ხუნძურ ენაში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა მარტივი და რთული (შედგენილი) ზედსართავები.

მარტივია, მაგ., **ლ'იკ-აბ** „კარგი“, **ქეშ-აბ** „ცუდი“, **კუდი-მ-აბ** „დიდი“, **ჰიტინ-აბ** „პატარა“, **ჯაჰ-აბ** „თეთრი“, **ჰეშერ-აბ** „შავი“, **ტარი-მ-აბ** „მსუქანი“, **ჰალაყ-აბ** „გამხდარი“ და სხვა მრავ.

რთული (შედგენილი, კომპოზიტური) ზედსართავები: **ზაზუ-ჯაჯაბ** „ქათქათა“ (ზედმიწ. „თოვლ-თეთრი“), **რახ-ჯაჯაბ** „რძესავით თეთრი“ (ზედმიწ. „რძე-თეთრი“), **ლაპ-ჭეჭერაბ** „ჭვარტლივით შავი“ (ზედმიწ. „ჭვარტლ-შავი“), **რას-ტერენაბ** „ბეწვივით წვრილი“ (ზედმიწ. „თმა-წვრილი“), **რაკ-ზაწადაჟ** „გულწრფელი“ (ზედმიწ. „გულ-სუფთა“), **ტულალ-ტერაბ** „ყავისფერი“ (ზედმიწ. „ღვიძლის ფერი“), **კუდი-კუდიამაბ** „დიდ-დიდი“, **ტერ-ტერაბ** „ფერად-ფერადი“ და სხვ.

გარდა ზემოხსენებული ზედსართავებისა, რომლებიც ისედაც კარგადაა ცნობილი, ხუნძურ ენაში შეიძლება გამოიყოს უფრო რთული წარმონაქმნებიც. მათ ვუწოდებთ **პ ა რ ე მ ი უ ლ ი ტ ი პ ი ს ა ტ - რ ი ბ უ ტ ი ვ ე ბ ს**, რამდენადაც სიახლოვეს ავლენენ ანდაზებსა თუ გამონათქვამებთან. ამ ტიპის ატრიბუტივები გამოიყენება ადამიანის ამა თუ იმ თვისების დახასიათებისა და შეფასებისათვის. ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული ექსპრესიულობა.

მოვუხმთ კონკრეტულ მაგალითს:

დასატა ქეთო ტარიამა, ბოტაობ ბოწი ჰალაყამ – ითქმის გაურჯელი და უყაირათო ქალის შესახებ.

აქ ზედსართავებია **ტარი-მ-ამ** „მსუქანი“ და **ჰალაყ-ამ** „გამხდარი“, რომლებიც გაფორმებულია II კლასის (ქალის) **-ამ** ნიშნით: „მსუქანი“ [ქალი], „გამხდარი“ [ქალი], რისი მეშვეობითაც გასაგები ხდება, რომ საუბარია ქალის შესახებ; მაგრამ **ქეთო** („კატა“) და **ბოწი** („საქონელი“) ნივთის კლასის სახელებია და ხსენებული ზედსართავები ამ სახელებთან, ერთი შეხედვით, თითქოს III კლასის (ნივთის) **-აბ** ნიშნით უნდა გვეჩინოდა გაფორმებული: **ტარი-მ-აბ**, **ჰალაყ-აბ**, რაც ასე არ არის.

საქმეც ის არის, რომ მთლიანად ეს გამონათქვამი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, წინადადება-ზედსართავს, რომელიც გვევლინება ქალის მახასიათებლად. მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება ასეთი:

„კერასთან-კატა-მსუქანი [ქალი], ბოსელში-საქონელ-გამხდარი [ქალი]“.

თუ ამ გამონათქვამს გადავაკეთებთ ისე, რომ ჩამოსცილდეს ზედსართავულობის გაგება, რაც მას მთლიანობაში ახლავს, მივიღებთ უბრალოდ აღწერას სიტუაციისა და არა ქალის კონკრეტული თვისების დახასიათება-შეფასებას. ამისათვის საკმარისია ზედსართავ სახელებს დავუერთოთ III კლასის (ნივთის) ნიშანი **-აბ**: **ტარი-მ-აბ** „მსუქანი [რამ]“, **ჰალაყ-აბ** „გამხდარი [რამ]“, ნაცვლად II კლასის (ქალის) **-ამ**

ნიშნისა: **ტარი-მ-ამ** „მსუქანი [ქალი]“, **ჰალაყ-ამ** „გამხდარი [ქალი]“ და, აგრეთვე, დავამატოთ მეშველი ზმნა **ბუგო** „არის“ (თუმცა შეიძლება მის გარეშეც). მივიღებთ ასეთ სურათს:

დასატა ქეთო ტარიამბ [ბუგო], ბოტობ ბოწი ჰალაყაბ [ბუგო]

„კერასთან კატა მსუქანი [არის], ბოსელში საქონელი გამხდარი [არის]“.

ამ შემთხვევაში გამოგვივიდა თხრობითი წინადადება უბრალოდ, რომელშიც ადამიანი (ქალი) სულაც არ ფიგურირებს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, პ. უსლარი ნატვრითის ფორმათა შესახებ წერდა, რომ ესენი არსებითი სახელებია, რომლებიც მთელი წინადადებებისგან შედგებიანო (უსლარი, 1889, § 50: 56-57), მსგავსი რამ შეიძლება ითქვას პარემიული ტიპის ატრიბუტივების შესახებაც, რომლებიც გვევლინებიან წინადადება-ზედსართავებად (ანდაზა-ზედსართავებად).

თვალსაჩინოებისათვის შევუდაროთ ერთმანეთს ნატვრითის ფორმიანი არსებითი სახელი და პარემიული ტიპის ატრიბუტივი:

ნატვრ. **ჰანკოდულ ტანჭაზ ჩენ ჯირშად** „ქათმის წიწილებმა მუცელი, დე, ამოკორტონ“ (წინადადება) → **ჰანკოდულ-ტანჭაზ-ჩენ-ჯირშად** „ის ადამიანი, ვისაც ქათმის წიწილებმა მუცელი, დე, ამოკორტონ“, უფრო ზედმიწევნით: „ქათმისწიწილებმამუცელდეამოკორტონი“ (არსებითი სახელი). ეს უკანასკნელი რომ ვაბრუნოთ, გვექნება ფორმები: ერგ. ბრ. **ჰანკოდულ-ტანჭაზ-ჩენ-ჯირშად-ი-ცა** „ქათმისწიწილებმამუცელდეამოკორტონმა“, ნათ. ბრ. **ჰანკოდულ-ტანჭაზ-ჩენ-ჯირშად-ი-ლ** „ქათმისწიწილებმამუცელდეამოკორტონისა“, მიც.ბრ. **ჰანკოდულ-ტანჭაზ-ჩენ-ჯირშად-ი-ე** „ქათმისწიწილებმამუცელდეამოკორტონს“ და ა.შ. მრავლობით რიცხვში: **ჰანკოდულ-ტანჭაზ-ჩენ-ჯირშად-ალ** „ქათმისწიწილებმამუცელდეამოკორტონები“.

დასატა ქეთო ტარიამბ, ბოტობ ბოწი ჰალაყაბ „კერასთან კატა მსუქანი [არის], ბოსელში საქონელი გამხდარი [არის]“ (წინადადება) → **დასატა-ქეთო-ტარიამბ-ბოტობ-ბოწი-ჰალაყაბ**, ზედმიწ. „კერასთანკატამსუქანიბოსელშისაქონელგამხდარი“ [ქალი] (ატრიბუტივი).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხუნძურ პარემიებში ანტონიმია „მსუქანი“ ~ „გამხდარი, „მჭლე“ რეგულარული ხასიათისაა; შდრ. მაგ., *შაქა ხახარალულ – ბეჩე ჰალაყაბ, ქეთო ტარიამალულ – ჰამა ჰალაყაბ*, ზედმიწ. „ძროხა-გამომწოვლის [ქალის] – ხბო გამხდარი, კატა-მსუქნის [ქალის] – ვირი გამხდარი“. ამ ანდაზაში გვხვდება ატრიბუტივები **შა-ქა-ხახარამ**, ზედმიწ. „ძროხაგამომწოველი [ქალი]“, რომელშიც ხახარ-

ად არის ნამყოს მიმღეობის ფორმა (II კლ.) ზმნისა ხახ-ი-ზე „წოვა“ და **ქეთო-ტარიამა**, ზედმიწ. „კატამსუქანი [ქალი]“, ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით: **მაქა-ხახარალულ**, ზედმიწ. „ძროხაგამომწოვლისა [ქალისა]“, **ქეთო-ტარიამალულ**, ზედმიწ. „კატამსუქნისა [ქალისა]“. ანტონიმის ანალოგიური მაგალითებია ანდაზებში: *ქემერ ქუერ – ტარიამაბ, ცო ქუერ – ჰალაყაბ*, ზედმიწ. „ბევრი ხელი – მსუქანი, ერთი ხელი – გამხდარი“; *რიცი ტარიამაბ, ტინ ჰალაყაბ* „ზაფხული მსუქანი, ზამთარი გამხდარი“; *საჟუ ტარიამაბ, ტაჟუ ჰალაყაბ* „თრთვილი მსუქანი, ჟანგი მჭლე“... (მაგალითები აქ და ქვემოთაც მოხმობილია ს. ალიხანოვისა და ზ. ალიხანოვის მიერ შედგენილი ანდაზების კრებულებიდან; იხ. ალიხანოვი 1974, ალიხანოვი ზ., ალიხანოვი ს. 2012).

ანალოგიურია დახასიათება მამაკაცისა:

ქჟანამ ტარიამაჟ, ჰალტი ჰალაყაჟ, ზედმიწ. „ჟამა-მსუქანი, საქმე-მჭლე [მამაკ.]“. ქალის მიმართ რომ ყოფილიყო იგივე თქმული, მაშინ იქნებოდა: **ქჟანამ ტარიამა, ჰალტი ჰალაყამ**.

ცალურ ლიკამ – ჩეზ ლიკამ, როს ლიკამ – ჟიგო ლიკამ, ზედმიწ. „განჯინა-კარგი [ქალი] – მუცელ-კარგი [ქალი], ქმარ-კარგი [ქალი] – თვითონაც კარგი [ქალი]“.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მიმღეობათაგან ნაწარმოები ატრიბუტივები პარემიული ტიპისა. მაგალითად:

ტარიამა ჟინცაგო ქუნემ, ჰალაყაბ როსასე ტოლემ „თვითონ მსუქნის მჭამელი [ქალი], ქმრისთვის მჭლის მიმცემი [ქალი]“;

მაქაილან ქუნ, ჰამა ბეჰარამ, ზედმიწ. „ძროხა არისო, ეგონა-რა, ვირის მომწველავი [ქალი]“;

წილიწ ხელებილან ლჟნოლარემ, ლიმ ტაზინებილან ჩეროლარემ, ზედმიწ. „ცოცხი გაფუჭდებო არ დამგველი [ქალი], წყალი გათავდებო არ გამრეცხავი [ქალი]“;

მაქა ქაქუნ ნახ ქჟარამ, როს ქაქუნ რუყ ქჟარამ „ძროხის ლანძღვით ერბოს მჭამელი [ქალი], ქმრის ლანძღვით სახლის მჭამელი [ქალი]“;

ბოსიზე ქარაბ თარამ, თეზე ქარაბ ბოსარამ „ასაღების დამტოვებელი [ქალი], დასატოვებლის ამღები [ქალი]“;

ბერცინალ'ა კამურამ, კაჰაზულ'ა იშიარამ – ბიშუნ ქუეშამ მათარამ, ზედმიწ. „ლამაზებს შორის მოტაცებული, თეთრებს შორის ამორჩეული – ყველაზე ცუდი გამომდგარი [ქალი]“;

ჟამ, ბერცინამ, ბერცინამ, ბეციჰოგო ხურ თარამ. ჟამ, ჭუჰარამ, ჭუჰარამ, ჭარაჰოგო ხურ თარამ „ვაი, ლამაზო, ლამაზო, მოუმკვლად ყანის დამტოვებელი [ქალო]. ვაი, მორთულ-მოკაზმული, გაუმარგლავად ყანის დამტოვებელი [ქალო]“;

ჩენ შორწარაჟ – ბერ ზაყარაჟ, რუყ ბერედაჟ – რაკ მისქინაჟ, ზედმიწ. „მუცელ-გამძარი [მამაკ.] – თვალ-მოშიებული [მამაკ.], სახლ-მდიდარი [მამაკ.] – გულ-ღარიბი [მამაკ.]“;

ჟაყიდალ ყულარაჟ, შორწიდალ ჟორხარაჟ „შიმშის დროს მობრილი [მამაკ.], სიმამლის დროს გამართული [მამაკ.]“;

ჟეგანი – ზიბილ უნთულეჟ, ჟაგანი – მუღ უნთულეჟ „თუ დაწვა – გვერდის ამტკივებელი [მამაკ.], თუ ადგა – ზურგის ამტკივებელი [მამაკ.]“;

შურუნყურყალდასაგი ქუას ბეტულეჟ, ზედმიწ. „კუსგანაც კი მატყლის ამომგლეჯი [მამაკ.]“ და სხვ.

ამგვარ ატრიბუტივთა თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათ რეალიზება ჰპოვეს შედარებით ვიწრო სფეროში – პარემიებში, ხოლო, მათგან განსხვავებით, ნატვრითის ფორმათა შემცველი კომპოზიტიური არსებითი სახელების გავრცელების არეალი უფრო ფართოა და გამოიყენებიან როგორც ფოლკლორსა და მწერლობაში, ისე ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაშიც.

ადამიანის მსგავსი დახასიათების მაგალითები, მხატვრული თვალსაზრისით, გვაქვს ქართულ ხალხურ პოეზიაში; მაგალითად:

ახალი პატარძალი ვარ,
ჭკუა ვერ მოვიგონეო,
ჩიქილით სახლი დავგავე,
ცოცხი ვერ მოვიგონეო,
ადგილზე ცომი მოვზილე,
ვარცლი ვერ მოვიგონეო,
კედელზე პური დავაკარ,
თონე ვერ მოვიგონეო,
საცერი ცეცხლსა მოვარქვი,
კეცი ვერ მოვიგონეო.

(კოტეტიშვილი 1961: 92-93).

აღნიშნული ტიპის ატრიბუტივების გარდა, ხუნძურ ენაში ადამიანის თვისებათა დახასიათებისათვის გამოიყენება დასრულებული შინაარსის მქონე და შედარებით ვრცელი ექსპრესიული მყარი გამო-

ნათქვამებიც, რომლებიც ხასიათდებიან გამოყენების მეტ-ნაკლები რეგულარულობით. მათ ფუნქციონირებას მეტყველებაში ძირითადად უზუსტი განსაზღვრავს, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში ოკაზიონალური მოვლენებიც არ გამოირიცხება. ამ ტიპის პარემიულ გამონათქვამთა რამდენიმე ნიმუში დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს თავის ხუნძურ სიტყვათკრებულში. ქართულში მათ ფუნქციურად შეესატყვისება ისეთი ტიპის გამონათქვამები, როგორცაა, მაგ., **ზამთარში თოვლს არ ასესხებს** (ითქმის ძუნწ ადამიანზე), **გუშინ რა ჭამა ის არ ახსოვს** (ითქმის გულმავიწყ ადამიანზე) და მისთ. :

მაგალითები:

კალდიზე ბორთა, ბაჭარჭეჩ „პირში ჩავარდი, წითელო ვაშლო!“ – ითქმის ადამიანზე, რომელსაც სურს ყველაფერი ხელის გაუნძრევლად და მუქთად მიიღოს.

ჰან ქიბე არაბ, ჰაჭუ? „ხორცი რა იქნა, წვნიანო?“ – ითქმის ირონიითა და ნიშნის მოგებით.

ქირე არალ დოლ ქუთულ? – **აბურაბილა ზონკოცა, კოროკუნ მიკალგუნ, მებთარაბ მებააღ** „სად წავიდნენ ის კატები? – უთქვამს თავს სიმთვრალისას, უღვაშების შერხევით“. – ამ გამოთქმით დასცინიან მკვებარა და მშიშარა ადამიანს; შდრ. ანდაზა: *მებთარაბ ზონკოცა ქათიდა ინსულ წარ წებარაბილა* „მთვრალ თავს კატისთვის მამის სახელი უკითხავს თურმე“.

სუნდასა ჟოხარაჟ ლ'ურდუდასა ბურუტ ჰადინ? „რამ გაგახარა, თიკანს რქების ამოსვლა რომ უხარია ისე?“; შდრ. ქართ. *ხბოს აღტაცება*, რუს. *щенячий восторг*.

ყუნწიზე ხუხა ჟუგო ჰაჟ „გასაკრეჭი ბატკანია ეს“. – ითქმის დოყლაპია, მოსულელო კაცზე.

ჰამიდე კერთანგი ჟოტულა დოლიდე დოჟ, ზედმიწ. „როგორც ვირს ჩოჩორი, ისე უყვარს მას [ქალს] იგი [კაცი]“ (დაცინვა).

ხაბალა მუსრუგი ბაცილა დოსა „საფლავიდან სუდარასაც კი ამოიღებს იგი“. – ითქმის ყოველგვარ სიმდაბლესა და დანაშაულზე წამსვლელ ადამიანზე.

ჩუკიცა ჰაჟურაჟ ჩი ჟუგო ჰაჟ „ეს ჩოხის წყალობით თუ არის კაცი“, ზედმიწ. „ჩოხით გაკეთებული კაცი არის ეს“; შდრ., აგრეთვე, **ჟიხიზე – ჩი, ჟათიზე – ჩუკა** „შეხედავ – კაცი, შეგრჩება ჩოხა“.

ბუსურმანლ'უნ ქაქ გურეჟ, ქაფურლ'უნ კანჩ გურეჟ, ზედმიწ. „მუსულმანობისათვის ლოცვა (ნამაზი) არა აქვს, ურჯულოობისათვის ჯვარი არა აქვს“. – ითქმის ურწმუნო ადამიანზე.

ქარშიცა კალ ბუჰანი, ხოლუე ჩი უუგო ჰაუ „წვნიანითაც თუ დაიწვა პირი, კვდება ეგ“. – ითქმის სუსტ, უძლურ ადამიანზე, რომლისთვისაც ოდნავი გაუფრთხილებლობაც კი სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

ჩედ ქჷნა დოს ნუსიდე უახინჷან, ზედმიწ. „პური ჭამა მან ასზე ასვლამდე“, ე.ი. ხანგრძლივად იცოცხლა.

ბოყილარო, ჰაბიჰან, ჰურულ წურალ მიკადა „არ გენდობი, მეწისქვილე, მტვრით სავსე უღვაშებზე“. – ითქმის ცბიერ ადამიანზე, რომელსაც სურთ თავი მოარიდონ. დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ.უსლარს (უსლარი 1889, განყ. II: 89).

არსებობს მისი ვრცელი ვარიანტიც, დიალოგის სახით:

– **ნუწა ყირე, ყოროლამ, ყუატიუ ხუტულეუ უუგინ; ყონო რიჰე,**

ჰურულმინ, ჰატალ ქუჩალელ რუგინ.

– **ბოყილარო, ჰაბიჰან, ჰურულ წურაბ მაგყიდა.**

– **ბოყა, ბოყა, ყოროლამ, დურგო ყუაჰაგი ხინინ.**

„ – კარი გამიდე, ქვრივო ქალო, გარეთ ვარ დარჩენილი; ურდული გახსენი, ანგელოზო, ფეხები მეყინება.

– არ გენდობი, მეწისქვილე, მტვრით სავსე წვერზე.

– მენდე, მენდე, ქვრივო ქალო, შენი ტომარაც დაიფქვება“.

სხვათა შორის, პ. უსლარს ერთი საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობაც აქვს მოყვანილი ხუნძურ სიტყვათკრებულში, „მეწისქვილე“ (ხუნძ. **ჰაბიჰან**) სიტყვასთან დაკავშირებით: მთიელები წისქვილს მოჯადოებულ ადგილად მიიჩნევენ, ხოლო მეწისქვილეს – გრძნეულადო (უსლარი 1889, განყ. II: 89). ანალოგიურ ფაქტად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ, აგრეთვე, სამჭედლოსა და მჭედლის საკრალიზაცია კავკასიის ხალხებში და მსოფლიოს არაერთი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ერთი მცირე ხუნძური პროზაული ტექსტიც, რომელიც ერთვის პ. უსლარის მონოგრაფიას „ხუნძური ენა“. ამ ტექსტში მოთხრობილია, რომ მარხვის თვის მეთხუთმეტე ღამეს ერთი ქვრივი ქალი სწორედ წისქვილში მიდის, რათა ღმერთს სამი სურვილის ასრულება შესთხოვოს (უსლარი 1889, განყ. II: 5-7). მეწისქვილის ცბიერებას შეიძლება პარალელი დაემდნოს ქართულ კულტურულ სივრცეშიც, თუ გავიხსენებთ, რომ ქართული ზღაპრების პერსონაჟი – ქოსატყუილა – სწორედ მეწისქვილეა ხელობით.

განხილული მასალა შეესაბამება ეთნოლინგვისტიკის (/ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის) თემას “ადამიანი ენაში“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეცნობა იმისა, თუ როგორ არის ასახული სხვა-

დასხვა ენობრივ მსოფლხედვაში ადამიანის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათი, მისი ცხოვრების წირი, შინაგანი თუ გარეგანი თვისებები და როგორ აფასებს ყოველივე ამას ენობრივი კოლექტივი. ადამიანის ამა თუ იმ თვისების შეფასებისას ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული ექსპრესიულობა. ხუნძური ენა გამორჩეულია, აგრეთვე, სათანადო ენობრივ ერთეულთა (ნატვრითის ფორმებიანი კომპოზიტების) წარმოების სპეციფიკით, რაც მას თვალსაჩინოდ განასხვავებს ქართულისაგან (ქართველურ ენათაგან, საერთოდ).

„ადამიანი ენაში“ პრობლემის კვლევის თვალსაზრისით, როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ენებში ასახულ სათანადო მონაცემთა გამოვლენა, მათი შედარებითი და შეპირისპირებითი შესწავლა. საყურადღებოა ქართული ენის დიალექტური მასალა, რომელიც სალიტერატურო ქართულის მონაცემებთან შედარებით თავისებურებას ამჟღავნებს სემანტიკითაც, სტრუქტურითაც; მაგალითად, ხევსურულში ნ. ბალიაურს აღწერილი აქვს სათანადო ერთეულები, მათი გამოყენების კონკრეტულ შემთხვევათა მიხედვით:

„თუ ქალს თეთრი ყელი აქვს, იტყვიან : **„ისეთ ლამაზ ქალ იყვ, რო ყელ-ყურ შუქთ უშობდ, ან „იმის ყელში ჩამდინარ წყალს დანახევდ კაცი“** (ბალიაური 1991: 81; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

ზუსტი ანალოგი დასტურდება ხუნძურ ფოლკლორში, სადაც ადამიანის სილამაზის გამომხატველ ერთ-ერთ ეპითეტს წარმოადგენს ასეთი შედარება: **შოყრობე უნებ ლინ ბინულა**, „ყელში ჩამავალი წყალი ჩანს“ (დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს; იხ. უსლარი 1889, განყ. II: 226). ერთ-ერთ დიალექტურ პოეტურ ტექსტში გვხვდება ამგვარადაც: **ხაჰაბ შუშინუსა ოლებ ლინ მადინ შოყრონისა ოლებ ქენყელ ბინულა**, ზედმიწ. „როგორც თეთრი [ე.ი. გამჭვირვალე] ჭურჭლიდან [ჩანს] ჩამავალი წყალი [ისე] მისი ყელიდან ჩამავალი საჭმელ-სასმელი ჩანს“ (ხუნძური სიმღერები 1971: 159).

„თუ ქალი ენერგიულია, ეძახიან „მუშას“. იტყვიან: **ეეს ქალ მგელი, მგელ ვაჟკაცის დასადარი, გამავალ-გამამავალი, ნიავეთ გახყვების, გაქცეულ მგელს გახპარსავს**. თუ ენადაჭერილია: **ეევ ისეთა ქალი, რო ნათქვამ გაგონილს მიწის ძირ ჩასდებს**. თუ ქალი ოჯახის შინაურ საქმეებს კარგად აკეთებს: **მესახლეი-ას**, თუ ქალი კარგად ქარგავს: **წიგნეზურად მწერელნ კელნი ხქონ**“ (ბალიაური 1991: 81; ბოლდით გამოყოფა ჩემია – ლ.ა.).

„თუ ქალს ცუდი ენა აქვს, მას ახლო არავინ მიეკარება. ეძახიან: „ენუკას“, „ენა ორ ტოლს“, „მაღლის ენისას“, „მაღლის ჯერჯალღოსას“, „ენა დაუქერს“. თუ ქალს ქურდობა დაბრალდა, მაშინ მას უძახიან „ცი-

ცას“, „ციცურიკას“, „კანტალას“, „ტატიკას“. თუ რამე ჭორი დაუვარდა, მაშინ მასზე იტყვიან: „კახპას“, „ბაზარგანას“, „გამყუარს“, „თხრამს“, „ბათხს“, „ზუბუქს“, „ქიქს“, „მათხრილ-მაზზარულს“, „მამრცხვენელს“, „მამთხრელს“. თუ ქალის გამო ჩხუბი მოხდა და ხალხი დაიჭრა, მაშინ მას ეძახიან: „სამერჯულეოს მქნელს“, „ნაწყლსისხლიანს“, „ძუკნას“, „კუტნას“. თუ ქალი ზარმაცია, არ უყვარს შრომა, მაშინ მასზე იტყვიან: „ტარაღანას“, „უტატოს“, „ტობზარს“, „ტაბარუკს“, „უჩოკვისძვლოს“, „ნაწყლტიტველს“. თუ ქალს ჩამობრანძული ტანისამოსი აცვია, მაშინ უწოდებენ: „ჩამაჩეჩილ-ჩამაგლეჯილს“, „გაკევილ-გაკევილს“, „ტილიან-ჭაჯიანს“. თუ ქალი ზანტია, ეძახიან: „დღნაბს“, „მკვდარს“, „მწერელ-ტყვეს“, „მწერელთმვილს“, „გადრუნებულს“, „მალრენილ-მამლეკილს“, „დადოროვილს“, „ენჩს“, „გაენჩებულს“, „გაბენტრებულს“, „გაციცულს“ (ბალიაური 1991: 80-81).

„ვაჟი თუ კარგი მოჩხუბარი არ არის, ეძახიან „კდალს“, „სადიაცეს“, „საფურეს“. თუ შრომა არ უყვარს: „უხეიროს“, „მირგვლივ მავალს“, „მშიერ-ტიტველს“. თუ ქალებთან თავ-დაუჭერია: „ბოზვტროკს“, „საწელე გაცსნილს“, „ბოტს“. თუ ვაჟი მატყუარაა: „მტყუან-მკუანს“, „გადამცემარ-გადამცემარს“, „წარახუას“, „ქარაფშუტას“, „წუნკალას“, „ძუა-მადლას“, „ლაქუცას“, „ქივქავს“. თუ ქალი ცქვიტია: „მქისეს“, „მარდს“, „ყოჩაღს“ (ბალიაური 1991: 81).

„თუ ქალის გამო მოხდა ჩხუბი, ე.ი. ქალმა გამოააშკარავა ყველაფერი და ჩხუბიც ამან გამოიწვია, მაშინ დაუძახებენ: „ნაწყლსისხლიანო, ენასისხლიანო!“ ვაჟის მეშვეობით თუ მოხდა: „კელ მაისვივ ამა... (სახელი იმ ადგილისა, სადაც ჭრილობა აქვს) შენ ქურდ-ბოზვობა ზედ გწერავ!“ (ბალიაური 1991: 31).

„ქალ-ვაჟისათვის დამახასიათებელი სიტყვები შემდეგია: ყირში, კოხი, უკოპო, უგვერდო, სვიტინი, კანიშნა, მიჯიგუდაი, უყუათოი, გაღუებული, ბლუი, ტლუი, მაყივლებული, არ დაღევისად დამრჩალი, გახლანგული, ფუდული, თაგაური, დიჩინი, გათინთლული, მაგრუმვილი, დაკრუმვილი, გაჩმეკილი, დამუმშკვილი, დაჭუჭკვილი, დაჩუნთვილი, გარაჩული, მაკუნკვილი, კარგაი, ჯერი, აყლაყუდაი, ჩადალაი, ღვრიტი, წმილი, თვალწყლიანი და სხვა“ (ბალიაური 1991: 156). სალიტერატურო ქართულზე თუ რომელიმე სხვა დიალექტზე მეტყველს ფრიად გაუჭირდება იმის გაგება, თუ კონკრეტულად რას უნდა ნიშნავდეს მეტი წილი ამ ატრიბუტივებისა.

კომპოზიციური მასალა, რომელიც უშუალოდ ასახავს ეთნოგრაფიულ რეალიებს, დაიმუშავა ტრადიციული ყოფისა და კულტურის ნებისმიერ სფეროში, როგორცაა, მაგ., მეურნეობა (მიწათმოქმედება,

მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, ნადირობა, მე-
თევზეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.), ხელოსნობა და ში-
ნამრეწველობა (ფეიქრობა, მჭედლობა, ქვის დამუშავება, ხის დამუშა-
ვება და სხვ.), მატერიალური კულტურა (დასახლება, საცხოვრებელი,
საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობები, სამეურნეო ნაგებობები, სამე-
ურნეო საგნები, სამუშაო და საბრძოლო იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივ-
თები, ტრანსპორტი, ტანსამოსი და სხვ), კვების კულტურა, ხალხური
მედიცინა, სოციალური ურთიერთობები (თემი, გვარი, ნათესაობა),
ხალხური მმართველობის ფორმები, ჩვეულებითი სამართალი, ოჯახი
და საოჯახო ყოფა, გენდერული ურთიერთობები, აღზრდის ხალხური
წესები, წინაპართა კულტი, მიცვალებულის კულტი, სტუმარმასპინ-
ძლობა, ეთიკეტი, საბრძოლო ხელოვნება, სპორტი, გართობა, თამაში,
მსოფლხედვა, იდეოლოგიური და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები
და სხვ., რაც ფაქტობრივად მოიცავს ადამიანისა და საზოგადოების
ცხოვრების ყველა სფეროს. ემპირიული მასალა იმდენად ვრცელია და
საკვლევი პრობლემატიკის საკითხებიც იმდენად გართო, რომ ყოვე-
ლივე ამას ცალკე შეიძლება მიეძღვნას სპეციალური მონოგრაფიული
ნაშრომები.

ნაწილი V

1. დიდოური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

როგორც ცნობილია, ძირითადად გამოიყოფა კომპოზიტების სამი სახეობა: **შეერთებითი** (resp. **კოორდინაციული**) **კომპოზიტები** (composita copulativa), **პოსესიური** (resp. **სუბორდინაციული**) **კომპოზიტები** (composita posesiva), **განსაზღვრებითი კომპოზიტები** (**composita determinativa**) (ოლსენი 2001; ბიზეტო, სკალიზე 2005: 9-10). სამივე ეს სახეობა ნიშანდობლივია როგორც ქართველურ, ისე დიდოურ ენათა კომპოზიტური სიტყვაწარმოებისათვის.

კოორდინაციული კომპოზიტები:

დიდოურ ენაში გავრცელებულ არსებით სახელთა კომპოზიტური სიტყვაწარმოებიდან ძირითადად გვხვდება ორკომპონენტისანი (resp. სამკომპონენტისანი¹) **კოორდინაციული** (**შეერთებითი**) **კომპოზიტები** (composita copulativa). კოორდინაციული კომპოზიტების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, დიდოურ და ბეჟიტურ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ ენებში სტრუქტურული მოდელები სიახლოვეს ამჟღავნებენ. კერძოდ, ქართულშიც და დიდოურ ენებშიც მოგვეპოვება კომპოზიციის ორ ქვესახეობა: 1) **შერწყმა** და 2) **რედუქციაცია**.

1) **შერწყმა:**

სახელურ კომპოზიტთა ამგვარი მოდელი ყველაზე პროდუქტიულია. მათი დიდი ნაწილი მიიღება ორსრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუძეთა) შეერთებით, რომლებიც სახელობით ბრუნვაში (resp. აბსოლუტივში) დგანან და დამოუკიდებელი ფუნქცია მოეპოვებათ. ამასთან, შერწყმული სახელები ჩვეულებრივ იმდენ ცნებას გამოხატავენ, რამდენ წევრსაც შეიცავს კომპოზიტი, მაგალითად: დიდ. **ენი-ბაბიუ** „დედ-მამა“, **მუჟი-ყური** „ქვეშაგები“, „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-სკამი“), **ღანა-ხედიუ** „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქალი-ქმარი“), **გედ-დელუ** „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“), **ჰამო-როკუ** „გულ-მკერდი“ (ზედმიწ. „მკერდი-გული“), **წერუ-წო** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), **ბუცი-ბუჯ** „ცის მნათობები“, „მზე-მთვარე“ (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), **ჰილუ-ოკო** „ნალ-ლურსმანი“, **დამბა-როჟი** „ლანძღვა-გინება“ (ზედმიწ. „ჩხუბი-სიტყვა“), **ზებოწი** „დათვ-მგელი“ და ა. შ.

¹ სამკომპონენტისანი კომპოზიტები იშვიათად შეინიშნება.

დიდოურ ენაში დასტურდება ისეთი თხზულფუძიანი სახელე-
ბიც, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ და მეტწილად ერთად იწერე-
ბიან, მაგ.: **წიქტაწი** (← წი-ქტა-წი) „ცეცხლი, ხანძარი“ (ზედმიწ. „ცე-
ცხლი-კვარი-ცეცხლი“), **წიყალწუ** (← წი-ყალწუ) „ტალკვესი, კაჟი“ (ზედ-
მიწ. „ცეცხლი-მნთები“), **ნოლწუქექა** (← ნოლწუ-ქექა) „ნაცარქექია“
(ზედმიწ. „ნაცარი-ქექია“) და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ამ სახის კომპოზიტები ჩვეულებრივ არ
განარჩევენ მთავარსა და დამოკიდებულ (დაქვემდებარებულ) კომპო-
ნენტებს, ვინაიდან მათ შორის შესაძლებლობისამებრ შესაბამისი კო-
ორდინაცია მყარდება. როგორც ირკვევა, თანაბარკომპონენტის კომ-
პოზიტებში (ტოლადშერწყმულ სახელებში – აკ. შანიძე) მახვილი, მარ-
ცვალთრაოდნობის გათვალისწინებით, ორსავე კომპონენტს მოუდის,
რაც მათ დამოუკიდებელ ფუნქციებზე მიგვანიშნებს.

სუბსტანტიურ კომპოზიტთა შედგენილობა, ცხადია, არსებითი
სახელების ერთმანეთთან ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან შე-
რწყმასაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით საკვლევ ენებსა და სხვა სა-
ხელებს შორის განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა:

ა) არსებითი+არსებითი¹: დიდ. **ბუცი-ბუჯ** „ცის მნათობები“, „მზე-
მთვარე“, **ჰამო-როკუ** „გულ-მკერდი“, **ხელაჲ-ტაჯ** „იარალი“ (ზედმიწ.
„ხანჯალი-დანა“), **აქი-აგ** „კარ-ფანჯარა“ (ზედმიწ. „ფანჯარა-კარი“)...

ბ) არსებითი+ზედსართავი (მიმღეობა): დიდ. **ჰუჰ-რეტიოსი**
„პირსახოცი“ (ზედმიწ. „პირ-ხელიანი“), **წიყალწუ** (← წი-ყალწუ) „ტალ-
კვესი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-ამნთები“), **ნოლწუქექა** ← ნოლწუ-ქექა „ნა-
ცარქექია“ (ზედმიწ. „ნაცარი-ქექია“)...

მარცვალთრაოდნობის მიხედვით, თხზული სახელების კომპო-
ნენტთა წყობაზე და თანამიმდევრობაზე დაკვირვებისას შემდეგი სუ-
რათი დაიხატება:

ა) კომპოზიტთა ერთი ნაწილი თანაბარმარცვლოვანი კომპონენ-
ტებისაგან შედგება: **ახ-ხილ** „გულ-ღვიძლი, შიგნეული“ (ზედმიწ. „მუ-
ცელი-მაჭიკი“), **კემა-ღუდი** „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“), **მუჟი-ყური**
„ქვეშაგები“, „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-სკამი“), **ღანა-ხედიჲ** „ცოლ-
ქმარი“ (ზედმიწ. „ქალ-ქმარი“)...

ბ) ქართულისაგან განსხვავებით, კომპოზიტთა მეორე კომპონენ-
ტი შეიძლება მარცვალთრაოდნობით პირველს ჩამორჩებოდეს: დიდ.
ჟელი-ქუდ, ზედმიწ. „ღობე-კალათა“, **წერუ-წო** „მშვილდ-ისარი“ (ზედ-
მიწ. „ისარი-მშვილდი“), **ბუცი-ბუჯ** „ცის მნათობები“, „მზე-მთვარე“

¹ კომპოზიტის მეორე კომპონენტი შეიძლება სხვადასხვა ლოკატიური ბრუნვის
ფორმით დაგვიდასტურდეს, იხ. (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 577).

(ზედმიწ. „მთვარე-მზე“), **შიტუ-რომ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „ჯამ-ჭურჭელი“)...

გ) საკვლევ ენათა სიტყვაწარმოება არც ისეთ კომპოზიტებს არის მოკლებული, რომლებშიც კომპოზიტის მომდევნო შემადგენელი წევრი წინამავალს მარცვალთრაოდენობით აღემატება, თუმცა ამგვარი წარმოება არაპროდუქტიულია, მაგ.: დიდ. **გედ-ღელუ** „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“), **წიყალუ** (← წი-ყალუ) „ტალკვესი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-ამნთები“), **ჯ'აზა-ალუკა** „რუხი, ლეგა“ (ზედმიწ. „შავი-თეთრი“) და მისთ.

დიდოურ ენაში დასტურდება ერთი წყება სახელებისა, რომლებიც სახელთა საწარმოებლად კომპოზიციასთან ერთად სუფიქსაციასაც იყენებენ. ამ ტიპის სახელები სინთეტური კომპოზიტების სახელით არიან ცნობილი, რომელთა საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სულ რამდენიმე მაგალითი: **ჟელი-ქუდ**, ზედმიწ. „ღობე-კალათა“ – **ჟელი-ქუდ-ჭუ** „კალათის მკეთებელი კაცი“, **კემა-ღუდი** „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“) – **კემა-ღუდ-შაჟ** „წვიმიანი“ და მისთ.

2) რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა :

სახელთა გაორკვეება არის დერივაციის ერთ-ერთ სახეობა და იგი, როგორც ჩანს, ენობრივ უნივერსალიას წარმოადგენს. ცხადია, ძირ-ფუძეთა და სახელთა რედუპლიკაცია დამახასიათებელია დიდოური ენათა სიტყვაწარმოებისთვისაც. კერძოდ, გამოიყოფა ოთხი ძირითადი ტიპი: 1) ფონემური¹, 2) მარცვლოვანი, 3) მორფემული², 4) ლექსემური (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 543; შდრ. აბდულაევი 1981: 11).

1) სახელთა **ფონემური** გაორკვეებისას სათანადო კომპონენტებში შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს ამა თუ იმ ფონემის ცვლილება. **ხმოვანმონაცვლეობითი** (resp. **თანხმოვანმონაცვლეობითი**) **რედუპლიკაცია** განსაკუთრებით დამახასიათებელია ბგერწერითი ლექსიკისთვის:

ა) **V~V: ფუხი-ფახი** „ჭექა-ქუხილი (თოფისა)“, **გუჰი-გეჰი** „ქუხილი (ზარბაზნისა)“, **რაჰი-მუჰი** „დასაყოლებელი“ (ზედმიწ. „?-?“), **ნუ-ზი-ნეზი** „ჩივილი, საჩივარი“ (ზედმიწ. „?-?“)...

¹ თითოეულ ტიპში, ფონეტიკური ცვლილების თავისებურების გათვალისწინებით, შეიძლება დამატებით გამოიყოს ქვეტიპებიც, ანდა ამგვარი კომპოზიტები სხვაგვარადაც დავაჯგუფოთ, იხ. (სანიკიძე 1977: 70; აბდულაევი 1981: 11; ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015).

² მორფემული რედუპლიკაციის მაგალითები საკუთრივ დიდოურში არ იძებნება.

ბ) განსაკუთრებულ ქვეტიპს ქმნიან ისეთი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტს თავკიდურად სონორი მ ან ველარული ქ შესაბამის თანხმოვნებს ენაცვლებიან, მაგ.: დიდ. **ხიხ-მიხ** „ბალახ-ბულახი“, **ქალათ-მალათ**¹, ზედმიწ. „ქალალდ-მალალდი“, **ცაც-მაც** „კარი-მარი“ (ზედმიწ. „კარი-?“), **კეტუ-მეტუ** „კატა-?“, **მუში-ქუში** „სუნთქვა“, **ქალათ-მალათ** (ზედმიწ. „ქალალდ-მალალდი“) და სხვ.

2) **მარცვლოვანი გაორკეცების** მაგალითები მცირეა: **რაჭი-მუჭი** „დასაყოლებელი“ (ზედმიწ. „?-?“), **ნუცო-ცოცო** „ტკბილეული“ (მდრ. ნუცი „თაფლი“)...;

3) **ლექსემური გაორკეცება**: დიდ. **უჟი-უჟი**, ზედმიწ. „ვაჟი-ვაჟი“, **ჟივ-ჟივ** „ჟივილ-ხივილი“, **ყვაყვადირუ** (← ყვად-ყვადირუ) „სარეკელა“ და მისთ.

დიდოურ ენაში დასტურდება ერთი წყება სახელებისა, რომლებიც სახელთა საწარმოებლად კომპოზიციასთან ერთად სუფიქსაციასაც იყენებენ. ამგვარი სინთეტური კომპოზიტები ჩვენს ყურადღებას იმითაც იქცევენ, რომ ერთი რომელიმე კომპონენტის სემანტიკით არიან აღჭურვილნი. საილუსტრაციო მაგალითები: **ჟელი-ქუდ**, ზედმიწ. „ღობე-კალათა“ – **ჟელი-ქუდ-ჯუ** „მეკალათე“, „კალათისმკეთებელი“, **კემა-ღუდი** „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“) – **კემა-ღუდ-შაჟ** „წვიმიანი“, **კუქ ბოდის** „ქუდს აკეთებს“ – **კუქ-ბოდისო-სი** „მექუდე“ და სხვ.

სუბორდინაციული კომპოზიტები:

დიდოურში ისევე, როგორც სხვა საანალიზო ენებში, შესაძლებლად გვესახება ცალკე გამოიყოს ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი კ ო მ - პ ო ზ ი ტ ე ბ ი , რომლებიც დიდწილად პოსესიურობას გამოხატავენ და დამოკიდებულ კომპონენტს **ნათესაობით** (resp. გენტიურ) **ბრუნვაში** სვამენ, მაგ.: **ასოსაშუნი** „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „ცის სარტყელი“), **კეტუსხეზო** „კნუტი“ (კეტუ „კატა“, ხეზო „ნაშიერი“), **ობიფუსე-სიჟ** „ბიძა“ (ობიფუს „მამის“, ესიჟ „ძმა“), **ციჭესგენი** „პანტა“ (ციჭეს „ტყის“, გენი „მსხალი“) და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესად სომატურ და ნათესაობის გამომხატველ სამკომპონენტთან ტერმინებში ნათესაობითი ბრუნვა -ს მარკერის ნაცვლად -ზ-ს გვიჩვენებს, რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს გამოიყოს მეორე ნათესაობითი (ბოკარიოვი 1959: 186). ჩვენ ადრე შესაძლებლობა გვქონდა, გვეჩვენებინა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა (არდოტელი 2007: 44). ირიბ ბრუნვათა ფორმებისმსა-

¹ შესაძლოა, ეს ქართული ენის გავლენა იყოს, მდრ. ცუდ-მადი, ყურე-მარე, ქობ-მახი და მისთ.

ზღვრელად გამოყენებული (-ზ ნიშნიანი) ნათესაობითი, რომელიც სამკომპონენტთან კომპოზიტებში იჩენს თავს, ფაქტობრივ ატრიბუტივთა დისტანციური დისიმილაციური გამჟღერების შედეგად მიღებულ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს და ცალკე ბრუნვად ვერ გამოიყოფა, მაგ.: **ენიფუსესიფი** „დეიდა“ (ზედმიწ. „დედის და“), შდრ. **ენიფუსესიფი** „დეიდაშვილი (ვაჟი)“ (ზედმიწ. „დედის დის ვაჟიშვილი“), **ესიფუსქიდ** „ძმის შვილი (გოგო)“, შდრ. **ესიფუსქიდესუსი** „ძმის შვილიშვილი“ (ზედმიწ. „ძმის შვილის ვაჟიშვილი“), **გუგიფოსლ’უზა** „ხერხემალი“ (ზედმიწ. „ზურგის ძვალი“), **გუგიფოსლ’უზარესრაფალ** „კუდუსუნი“ (ზედმიწ. „ზურგის ძვლის ბოლო“) და მისთ.

სახელობითის გარდა, პირველი (resp. მეორე) კომპონენტი შესაძლოა სხვა რომელიმე ბრუნვის (მიც., ლოკ.) სახითაც შეგვხვდეს:

ა) პირველი კომპონენტი **მიცემით ბრუნვაში**: დიდ. **წუდარჰაკ** ← წუდარ-ჰაკ (წუდა-რ მიც. „წითელს“ – ჰაკ „თესლა“) „შხამსოკო“, **ნაჰურალ** (ნაჰ.ურ-რ მიც. „მუხას“, ალ←ცალ „აული“) „მუხათაული“ (ზედმიწ. „მუხასაული“), **მაჰალალ** ← *მაჰარალ ← *მაჰარ-ალ ← *მაჰარ-ცალ (შდრ. დიდ. **მაჰა** „ქერი“-ცალ „აული“) „ქერთაული“, ზედმიწ. „ქერსაული“...;

ბ) მთავარი წევრი **ლოკატივში**: **ყირიფომაჰიტ** (← ყირიფო-მაჰიტ) „სკამკუდა“ (ზედმიწ. „სკამი+კუდზე“).

განსაზღვრებითი კომპოზიტები:

დიდოურ ენაში მეტ-ნაკლებად ფართოდ არის გავრცელებული სახელთა განსაზღვრებითი (resp. ატრიბუტიული) კომპოზიტების (composita determinativa) სიტყვაწარმოება. განსაზღვრებითი კომპოზიტი წარმოშობით სახელთა ატრიბუტულ შესიტყვებას წარმოადგენს, ამიტომ პრეპოზიციურ (resp. პოსტპოზიციურ) მსაზღვრელად შეიძლება ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი სახელი (იშვიათად – ზმნისართიც) მოგვევლინოს (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 235). საკვლევ ენაში მსაზღვრელი სახელი ძირითადად აბსოლუტივში დგას და საზღვრულთან მისი ლექსიკური კავშირი მკვეთრად გამოხატული არ არის. ამასთან ერთად, აბსოლუტივში მდგარი ზედსართავი განსაზღვრული ფორმით (**ალუკა-ნი** „თეთრი რომელიცა“, შდრ. **ალუკა** „თეთრი“) არის წარმოდგენილი, რაც ერთგვარად ამწელებს ლექსიკურ ერთეულებად გარდაქმნას და მათთანადო კვალიფიცირებას. ამ გარემოებით ჩანს შეპირობებული ის ორაზროვნება, რაც მათ კვალიფიკაციასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან თავისუფალი შესიტყვება ჩამოყალიბების (ლექსიკალიზაციის)

პროცესშია ან მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური კავშირის განმტკიცების შედეგად უკვე გარდაქმნილია ლექსიკურ ერთეულად. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამგვარი შესიტყვებები კომპოზიტებად მიგვაჩნია უპირატესად სემანტიკის გათვალისწინებით, რადგანაც **ერთ ცნებას** გამოხატავენ, წინადადებაში **ერთი წევრის ფუნქციას** ასრულებენ და სათანადო კომპოზიტის **კომპონენტებს შორის სხვა სიტყვის ჩასმას** შეუძლებელს ხდიან, მაგ.: **ჯაბანიადი** „ჭილყვავი“ (ზედმიწ. ჯაბანი „შავი“, აღი „ჩიტი“), **ნუცოტოსი ტუტ** „ფუტკარი“ (ზედმიწ. ნუცოტოსი „თაფლიანი“, ტუტ „ბუზი“), **ალუკანი მე** „არყის ხე“ (ზედმიწ. ალუკანი „თეთრი“, მე „არყი“), **შუბოლსილით** „ხელა“ (ზედმიწ. შუბოლსი „ბალახქვეშა“, ლით „ბოიკი“), **აეჟენიენიუ** „ბეზია“ (აეჟენი „მოხუცი“, ენიუ „დედა“, შდრ. ხევს. „ბერიდედა“¹), **გულუჩიესიიუ** „ძმა“ (ზედმიწ. „მამალი ძმა“), **წუიმაჟესიიუ** „და“ (ზედმიწ. „დედალი და“) და მისთ.

გარდა ამ ტიპის ატრიბუტული კომპოზიტებისა, დიდოურში გვხვდება სუბსტანტივმსაზღვრელიანი სახელები, რომლებშიც მთავარი წევრის ფუნქციით აბსოლუტივში მდგარი არსებითი სახელი გამოდის, მაგ.: **რელ-ჯიჯი** „ხორც-წვნიანი“, **მუჟმარ-ღუდი** „პარასკევ-დღე“, **ჯემა-ღუდი** „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“), **ისლუ-მეში** „მოზვერი“ (ზედმიწ. „სახარე-ხბო“), **თემ-ზიხ** „თივა, ბალახი“ (ზედმიწ. „სამყურა-ბალახი“) და ა. შ.

2. ბეჟიტური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

კოორდინაციული კომპოზიტები:

1) შ ე რ წ ყ მ ა :

ბეჟიტურ ენაშიც, დიდოური ენის ანალოგიურად, პროდუქტიულობით გამოირჩევა ორკომპონენტისანი (resp. სამკომპონენტისანი²) **კოორდინაციული** (შ ე რ თ ე ბ ი თ ი) **კომპოზიტები** (composita copulativa).

კოორდინაციულ კომპოზიტთა დიდი ნაწილი მიიღება ორსრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუძეთა) შეერთებით, რომლებიც სახელობით ბრუნვაში (resp. აბსოლუტივში) დგანან და დამოუკიდებელი ფუნქცია მოეპოვებათ. ამასთან, შერწყმული სახელები ჩვეულებრივ იმდენ ცნებას გამოხატავენ, რამდენ წევრსაც

¹ აქედან ჩანს ნაწარმოები სავ. სახელი „ბერიდედა“.

² სამკომპონენტისანი კომპოზიტები იშვიათად შეინიშნება.

შეიცავს კომპოზიტი, მაგალითად: ბეჟ. **ახა-წო** „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერა-ცეცხლი“, შდრ. ხევს. „ყვერფ-კერა“), **ბაბა-ცა** (საკ. ბეჟ.), **ბაბა-კიმა** (ჰუნზ.) „პურ-ღვინო“, „პურ-მარილი“ (ზედმიწ. „პური-ყველი“), **მუჭ-ყამ** „თავ-თმა“ (ზედმიწ. „თმა-თავი“), **ნაჟი-ხალუ** „ბოსტნეული“ (ზედმიწ. „ხახვი-ნიორი“), **ოჟე-ქიდ** „ჭიამაია“ (ზედმიწ. „ბიჭი-გოგო“) და მრ. სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამ სახის კომპოზიტები ჩვეულებრივ არ განარჩევენ მთავარსა და დამოკიდებულ (დაქვემდებარებულ) კომპონენტებს, ვინაიდან მათ შორის კოორდინაცია ურთიერთმეპირობებულობით მყარდება. როგორც ირკვევა, თანაბარკომპონენტის კომპოზიტებში (ტოლადშერწყმულ სახელებში – აკ. შანიძე) მახვილი მარცვალთრადენობის გათვალისწინებით ორსავე კომპონენტს მოუდის, რაც მათ დამოუკიდებელ ფუნქციებზე მიგვანიშნებს (შდრ. ბიზეტო, სკალიზე 2005: 9-10).

კომპოზიტთა შედგენილობა, ცხადია, არსებით სახელთა შერწყმით რეალიზდება. ამ თვალსაზრისით დიდოურ ენისაგან განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა:

ა) არსებითი+არსებითი: ბეჟ. **იიო-აბო** „დედ-მამა“, **მესედ-ოქრო** „ოქრო-ვერცხლი“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), **სინ-ბაწო** „გარეული ცხოველები“ (ზედმიწ. „დათვ-მგელი“), **ახ-ბალა** „კუჭ-ნაწლავი“, **ინჯ-ბოწი** „თუშური ცხვარი“ (ზედმიწ. „თუშ-ცხვარი“), **ჰეიო-აკო** „გულ-მკერდი“ (ზედმიწ. „მკერდ-გული“), **ოქქო-მესედ** „ოქრო-ვერცხლი“, **მოტო-ყამ** „თავ-პირი“ (ზედმიწ. „პირი-თავი“)...

ბ) ზედსართავი (მიმღეობა) + არსებითი: **ბესო-ხოი** „ოთხი წლის ცხვარი“ (ზედმიწ. „მჭამელი-ცხვარი“), **ბესო-ტიგა** „ოთხი წლის თხა“ (ზედმიწ. „მჭამელი-თხა“)²...

თხზული სახელების კომპონენტთა მარცვლიანობასა და თანამიმდევრობაზე დაკვირვებისას შემდეგი კანონზომიერებები დგინდება:

ა) კომპოზიტთა ერთი ნაწილი თანაბარმარცვლოვანი კომპონენტებისაგან შედგება: **ბოწი-ჰამან** „საქონელი“ (ზედმიწ. „წვრილფეხა საქონელი-მსხვილფეხა საქონელი“), **ბოჟი-ბოტი** „ნდობა“ (← ხუნძ. ბოჟი „რწმენა, ნდობა“ – ბოტი „სიყვარული“), **მესედ-ოქრო** „ოქრო-ვერცხლი“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), **ნაჟი-ხალუ** „ბოსტნეული“ (ზედმიწ. „ნიორი-ხახვი“)...

¹ კომპოზიტის მეორე კომპონენტი შეიძლება სხვადასხვა ლოკატიური ბრუნვის ფორმით დაგვიდასტურდეს, იხ. (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 577).

² შეიძლება ამგვარ კომბინაციებს სხვასაც წავაწყდეთ, თუმცა მათი ამოწურვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

ბ) სხვა რიგის კომპოზიტებში, ქართული ენისაგან განსხვავებით, მეორე კომპონენტი მარცვალთრაოდენობით შეიძლება პირველს ჩამორჩებოდეს: **მჟყრ-ზობ** „მოსავალი“ (ზედმიწ. „მარცვლეული-ბალახი“), **აზა-წო** „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერა-ცეცხლი“), **ზეტერჰან-აჟე** „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარი-ცოლი“), **ოჟე-ქიდ** „ქალ-ვაჟი“ (ზედმიწ. „ვაჟი-გოგო“)...

გ) ერთი წყების კომპოზიტებში მომდევნო შემადგენელი წევრი წინამავალს მარცვალთრაოდენობით სჭარბობს, თუმცა ამგვარი წარმოება ნაკლებპროდუქტიულია, მაგ.: ბეჟ. **სინ-ზაწო** „გარეული ცხოველები“ (ზედმიწ. „დათვი-მგელი“), **აზ-ზალა** „კუჭ-ნაწლავი“, **ჰოკ-მაჟე** „ხმა“ (ზედმიწ. „ხმა-სიტყვა“), **ზობ-ნახო** „უხეში საკვები“ (ზედმიწ. „ბალახითივა“), **ყამ-ხანა** „თავ-ფეხი“ და ა. შ.

გლოსოლალიური ასონანსის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს თითო-ოროლა კომპოზიტი, რომლებიც საკვლევ ენათა ფოლკლორში შეინიშნება, მაგ.: **კი-კუ** (საკ. ბეჟ.) „რიკ-ტაფელა“, **იწირ-ზიწირ**, **ზისან-თელი...** (ჰუნზ.), შდრ. ქართ. იწილო-ბიწილო, შავ-შავო გვრიტილო...; დიდ. **წუნტი-წვანტი** „დიდო-მიდო“ და მისთ.

2) რ ე დ უ ჰ ლ ი კ ა ც ი ა :

სახელთა გაორკეცების თვალსაზრისით, ძირ-ფუძეთა და სახელთა რედუპლიკაცია დამახასიათებელია ბეჟიტური ენის სიტყვაწარმოებისთვისაც. კერძოდ, საკუთრივ დიდოურის ანალოგიურად, გამოიყოფა ოთხი ძირითადი ტიპი: 1) ფონემური, 2) მარცვლოვანი, 3) მორფემული, 4) ლექსემური (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 543).

სახელთა გაორკეცებისას სათანადო კომპონენტებში შეიძლება არ მოხდეს ან მოხდეს ამა თუ იმ ფონემის ცვლილება:

1) **იდენტური გაორკეცება**, როგორც წესი, ნიშანდობლივია ბგერწერითი და სიმბოლურბგერიანი კომპოზიტებისათვის: **დამ-დამ** „ჭახანი“, „ჯახანი“, **ვიწ-ვიწ** „წრიპინი“, **დიც-დიც** „ბაჯბაჯი“, **ჰოც-ჰოც** „ჩორთით სიარულის ხმა“, **ყურყ-ყურყ** „ღულუნი“ და მისთ.

2) **ხმოვანმონაცვლეობითი რედუპლიკაცია** განსაკუთრებით დამახასიათებელია ბგერწერითი ლექსიკისთვის:

ა) **ო : ა :** **ჩიხი-ჩახი** „ნაჯღაბნი“, **დიპ-დაპ** „ზღართანი“, **ხის-ხას** „ფხანის ხმიანობა“, **ჩიფ-ჩაფ** „დგაფუნი“ ...;

ბ) განსაკუთრებულ ტიპს ქმნიან ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც **მ** მეორე კომპონენტს თავკიდურად დაერთვის: **ოზ-მოზ** „მუცელი და მისთ.“, **ეშ-მეშ** „ვაშლ-მავლი“, **აქრ-მანქრ** „ნიჩაბ-მიჩაბი“...;

გ) დასტურდება ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც მეორე კომპონენტს სონორი მ ან ველარული ქ შესაბამის თანხმოვნებს ანლაუტში ენაცვლებიან, მაგ.: **ტალო-მალო** „ქვა და მისთ.“, **ხილო-მილო** „შარვალ-მარვალი“, **შაიტან-ქაიტან** „ავსული“ („ემმაკი-?“) და სხვ.

შინაარსის მიხედვით, მრავალი სხვა ენის ანალოგიურად, კომპოზიტებს ყოფენ ერთცნებიან, ორცნებიან და მრავალცნებიან სახეობებად (შანიძე 1980: 148). ბეჟიტურში უხვად გვხვდება ერთ- და ორცნებიანი კომპოზიტები, ხოლო სამცნებიანი ცოცხალი კომპოზიტები თითქმის არ შეიმჩნევა: ა) ერთცნებიანი: **აზოცალა** (← აზო-ცალა) 1. „სიმამრი“, 2. „მამამთილი“, **მოამ-იყყო** („დიდი დათვის თანავარსკვლავედი“, ზედმიწ. „კევრი-ულელი“), **დულომანლ** (← დულო-მანლ) „დავიდარაბა, არეულ-დარეულობა“...; ბ) ორცნებიანი: **ჰუდო-წო**, ზედმიწ. „ცეცხლ-შეშა“, **ნუცო-ცოცო** „ტკბილეული“, **ბაბა-ცა** „პურ-მარილი“ და მისთ.

ცნობილია, რომ ერთცნებიანი კომპოზიტებისათვის ამოსავალია ორცნებიანი (resp. მრავალცნებიანი) კომპოზიტები და მათი ერთცნებიანად გარდაქმნა შემადგენელ კომპონენტთა თანდათანობითი სემანტიკური ნეიტრალიზაციით ხდება. ჩვეულებრივ დიდ. **წი-ქუა-წი** („ცეცხლი, ხანძარი“) ამჟამად ერთცნებიან სიტყვად აღიქმება, ვინაიდან ამ ენაზე მეტყველისათვის ამ კომპოზიტით ოდენ „ხანძრის“ შინაარსი გამოიხატება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ კომპოზიტის ახლანდელი სემანტიკა ცალ-ცალკე შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობას აღარ ემთხვევა. ბეჟ. **მოამ-იყყო** („დიდი დათვის თანავარსკვლავედი“, ზედმიწ. „კევრი-ულელი“) თხზულის სახელის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა, ბუნებრივია, აღარ ნაწევრდება, რადგანაც ხშირი ხმარებით, სემანტიკური გადაწვევითა და ცვლით ერთცნებიანად არის ქცეული.

სუბორდინაციული (resp. პოსესიური) კომპოზიტები:

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი, როგორც წესი, უშუალო შემადგენელთა შორის „დამატებითი“ ურთიერთმიმართება მყარდება (ბიზეტო, სკალიზე 2005: 9). ამ ტიპის კომპოზიტები, სტრუქტურის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე ქვეტიპად დაიყოს: ა) არადირითადი წევრი (მსაზღვრელი) მეტწილად გენიტივში დგას, მაგ.: სავ. ბეჟ. **გისნაცო** „მერქნიჭამია“ (ზედმიწ. „ფიცრის ტილი“), **აზოს აჯო** „დედინაცვალი“ (ზედმიწ. აზოს „მამის“, აჯო „ცოლი“), **აქლამოვასბიშე** „კოზაკი“ (ზედმიწ. აქლამოვას „აქლემის“, ბიშე „ხბო“), **იოს ისი** „დეიდა“ (ზედმიწ. იოს „დედის“, ისი „და“)...; ჰუნზ. **ჰოსწეწ** „წამწამი“ (ზედმიწ.

ჰოს „თვალის“, წეწ „წარბი“ = „თვალის წარბი“), **წაძსუნთი** „ტიფი“ (ზედმიწ. წა„ცეცხლი“, უნთი „ავადობა“) და სხვ.

ბ) გენტივში მდგარი მსაზღვრელი, გარდა ზემოთ მოყვანილი სტანდარტული ნათესაობითისა, ზოგჯერ კომპოზიტის პირველი კომპონენტის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს იკვეცს და არაიშვიათად აბსოლუტივის ფორმას ემთხვევა (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 555), მაგ.: საკ. ბეჟ. დიალ. **აზო-ისი** (← **აზო-ს ისი**) „მამიდა“ (ზედმიწ. „მამის და“), **ბულ’ი-ზოხ** (← **ბულ’ი-ს ზოხ**) „გლერტა“ (ზედმიწ. „ღორის ბალახი“), **აწაალ-ლ’იზო** (← **აწაალა-ს ლ’იზო**) „უძრახელა“ (ზედმიწ. „ცირცლის ფოთოლი“), **აწყი ჰელ’ე** (← **აწყი-ს ჰელ’ე**) „ლენცოფა“ (ზედმიწ. „თაგვის ნიგოზი“), **ოწსი-ციმა** (← **ოწსი-ს ციმა**) „ხეშავი“ (ზედმიწ. „ხარის ფსელი“), **ხაწკი-ლ’ენ** (← **ხაწკი-შ ლ’ენ**) „ჟოლო“ (ზედმიწ. „მერცხლის კენკრა“)....; ჰუნზ. დიალ. **დადიჩუმუხ** (← **დადე // დადე**, ყვაავი“ → ირ. ფ. **დადი-**, **ჩუმუხ** (← რუს. перемыха?) „შოთხვი“, „ხეშავი“, **ცანი-ჰაკ** (**ცანი-ს ჰაკ**) „გვირილა“ (ზედმიწ. „თხის ყვაავილი“) და სხვ.

გ) საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ძალზე იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა კომპოზიტის პირველი კომპონენტი ირიბი ფუძის სახით გვხვდება¹, მეორე კომპონენტი კი ნათესაობით ბრუნვაში დგას, მაგ.: **ცინა-მიცოს** (← ცაწ„მარილი“ → ირ. ფ. **ცინა-**, **მიცო-ს** „ცისტიტის“) „ცისტიტი“, **ლეა-ყამის** (← ლეაო „მკერდი“ → ირ. ფ. **ლეა-**, **ყამი-ს** „თავის“) „სურდო“ და მისთ.

სავარაუდოა, რომ ამ ტიპის კომპოზიტებში პირველი კომპონენტიც რომელიმე ირიბ ბრუნვაში იდგა, თუმცა მოგვიანებით მან დაკარგა ბრუნვის ნიშანი (შდრ. კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 556-557). თუ ამგვარი ინტერპრეტაცია დასაშვებია, მაშინ ეს ოდენობა მთლიანად ოდინდელ საზღვრულდაკარგულ კომპოზიტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნათესაობითის გარდა, იშვიათად მსაზღვრელი (არამთავარი წევრი) შესაძლოა სხვა რომელიმე ბრუნვის (ინსტრ., ლოკ.) ფორმითაც შეგვხვდეს:

ა) მსაზღვრელი ინსტრუმენტალისში: **ლ’ახა-მაჩე** (← **ლ’ახა-დ-მაჩე** ზედმიწ. „ნაკაწრით მიწა“) „სწრაფვა, მოცადეობა“.

ბ) მსაზღვრელი ლოკატივში: **აზა-წო** (← **აზა-ც-წო**) „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერაში ცეცხლი“) და მისთ.

¹ ამგვარი ფორმები ძალიან გვანან ქართ. „მამასახლისი“ ტიპის ფორმებს, თუმცა ქართულში მთავარი წევრი (მამა) ირიბ ბრუნვაში არ დგას.

განსაზღვრებითი კომპოზიტები:

განსაზღვრებითი კომპოზიტი (composita determinativa), როგორც ცნობილია, წარმოშობით სახელთა ატრიბუტულ შესიტყვებას წარმოადგენს, ამიტომ პრეპოზიციურ (resp. პოსტპოზიციურ) მსაზღვრელად შეიძლება ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი სახელი გვექონდეს. მსაზღვრელი სახელი ძირითადად აბსოლუტივში გვხვდება. ენათმეცნიერებს უჭირთ მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური კავშირის განმტკიცებისა და თავისუფალი შესიტყვების ლექსიკალიზაციის ხარისხის განსაზღვრა. ჩვენ ამგვარ შესიტყვებებს იმ შემთხვევაში მივიჩნევთ კომპოზიტებად, **თუ ერთ ცნებას გამოხატავენ, წინადადებაში ერთი წევრის ფუნქციას ასრულებენ და სათანადო კომპოზიტის კომპონენტებს შორის სხვა სიტყვის ჩასმას შეუძლებელს ხდიან.**

ბეჭიტურში გამოიყოფა კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი (მსაზღვრელი) შეიძლება შეგვხვდეს:

ა) აბსოლუტივში: **იუყოიო** „სიდედრი, დედამთილი“ (ზედმიწ. იუყო „დიდი“, იო „დედა“, შდრ. დიდედა „ბებია“), **წოდოლოძე** „მარწყვი“ (ზედმიწ. წოდოლო „შავი“, ძე „კენკრა“), **მაჟალო ეწ** „მაჟალო“ (ზედმიწ. მაჟალო „ველური“, ეწ „ვაშლი“), **ლჰკლიტაქო-ზოხ** „ბაბუაწვერა“ (ზედმიწ. ლჰკ „ჭრილობა“, ზოხ „ბალახი“ = „ჭრილობაზე (დასადები) ბალახი“), **წოდოლოძე** „მარწყვი“ (ზედმიწ. წოდოლო „შავი“, ძე „კენკრა“) და ა.შ.

ცნობილია, რომ განსაზღვრებითი კომპოზიტები უპირატესად წარმოიქმნება ატრიბუტული სინტაგმის გარდაქმნით, რომლებშიც დომინანტი წევრი საზღვრულად გამოყენებული სუბსტანტივია. ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიტი (პირ-მზე, გულ-მაგარი...) ენდოცენტრულისაგან (ძირმაგარა, თავსაბურავი...) დომინანტი წევრის ატრიბუტულ სინტაგმაში (resp. კომპოზიტში) შიგმყოფობით განსხვავდება (ჩიქოზავა 2011: 78). შემომოყვანილი ბეჭიტური მონაცემებიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს მსაზღვრელ-საზღვრულის ლექსიკალიზაციის პროცესი. ბეჭიტურ ენაში **მაჟალო ეწ** („მაჟალო“) ტიპის კომპოზიტებში ჯერ კიდევ არ უნდა იყოს ამგვარი ტრანსფორმაცია დასრულებული, მაგრამ **ლჰკლიტაქო-ზოხ** („ბაბუაწვერა“) ტიპის კომპოზიტებში, ჩვენი აზრით, ლექსიკალიზაციის პროცესი უკვე რეალიზებულია.

¹ -ქო სუფიქსდართული (resp. -ქო სუფიქსმოკვეცილი) სუბსტანტივი არაიშვიათად გამოდის პირველი კომპონენტის ფუნქციით (იხ. კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 554)

ბ) ბეჭიტურში მოგვეპოვება რიცხვმრავალი ჯგუფი კომპოზიტებისა, რომლებიც აბსოლუტივში სვამენ როგორც მთავარ, ისე არამთავარ კომპონენტს, მაგ.: **აკო-ვაცა** „გულითადი მეგობარი“ (ზედმიწ. „ძმა-მეგობარი“), **ინ-ზოწი** „თუშური ცხვარი“ (ზედმიწ. „თუშ-საქონელი“), **ციცი-მიჰნა** „ჩიტის სახელი“ (ზედმიწ. „ციცა-ჩიტი“), **ბაზაა-უოდო** „კვირადღე“ (ზედმიწ. „ბაზარ-დღე“), **ნიც-ზოხ** „შვიტა“ (ზედმიწ. „ფიჭვ-ბალახა“), **ქაჩრუქ-დიცი** „გვირილა“ (ზედმიწ. „ყვითელფერა-ყვავილი“) და მრ. სხვ.

გ) შეინიშნება ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა პირველი (არამთავარი) კომპონენტი ფუძისეული ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი. ამგვარი კომპოზიტები, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, მსაზღვრელგამარტივებულ კომპოზიტებად მიიჩნევა (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 556), რაც შეიძლება სისწორეს მოკლებული იყოს და უკავშირდებოდეს ხუნძური ენის გავლენას, მაგ.: ბეჭ. **ჩაჩან მიც**¹ (შდრ. ხუნძ. ჩაჩან მაწ „id.“) „ჩეჩნური ენა“, **ლარაჟ მიც** (შდრ. ხუნძ. ლარაჟ მაწ „id.“) „ყუმიკური ენა“, **არაშ-მაიდან** (შდრ. ხუნძ. ჭარაშ მაიდან „id.“) „მეორედ მოსვლის ადგილი“ და მისთ.

დ) გარდა ზემომოყვანილი ნიმუშებისა, ჰუნზიბურ დიალექტში გვხვდება სპეციფიკური კომპოზიტები, რომელთა სტრუქტურული მოდელი ასეთია: სუბსტანტივი+აბსოლუტივში+მრავალგზისობის გამომხატველი ზმნის ინფინიტივი+ი (ისაყოვი, ხალილოვი 2012: 259): **ლინ-ხუჟრლ-ი** (← ლინ^ნ „წყალი“, ხუჟრლ^ა „ხშირად დაღევა“) „თასი, ჭიქა“ (ზედმიწ. „წყალდასაღევი რამ“), **ჰინ-დონც-ი** (ჰინ^ნ „რძე“, დონც-ა „ხშირად გაწურვა“) „საწური, დოლბანდი“ (ზედმიწ. „რძეგამწურავი რამ“)...

ე) განსაკუთრებულ ტიპს ქმნიან ისეთი პოსტპოზიციური ატრიბუტული კომპოზიტები, რომლებშიც მეორე კომპონენტად მიმართებითი ზედსართავი სახელი (resp. მიმღეობა) გვხვდება, მაგ.: **ყოჟა-იჟე-დო** „დიდ-პატარა“ (ზედმიწ. ყოჟა „ბავშვები“ – იჟედო „მოგებული“), **აჟეგაჩრ** „მუნჯი, ყრუ-მუნჯი“ (ზედმიწ. აჟე „სიტყვა“, გაჩრ „უქონელი“ = „სიტყვაუქონელი“) და ა. შ.

პოსტპოზიციური კომპოზიტებიდან ყურადღებას იქცევენ ისეთებიც, რომელთა პირველ წევრს აბსოლუტივბრუნვიანი სუბსტანტივი წარმოადგენს, ხოლო მეორე წევრს კი სათანადო ზედსართავი, მაგ.:

¹ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გამოკვლევის ავტორები ანალოგიურ კომპოზიტების ხუნძურისაგან ნასესხობას აღიარებენ (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 556).

ბეჟ. **მაკო კეტო** „გულკეთილი, გულთბილი“ (ზედმიწ. „გული კარგი“), **ლპპ-წოდოლო** (ლპპ „მური, ჭვარტლი“ ← ხუნდ. ლაპ. „id.“, წოდოლო „შავი“) „მურივით შავი“ და მისთ.

3. ქართული, დიდოური და ბეჟიტური ენების კომპოზიტა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

კომპოზიტური სიტყვაწარმოება, როგორც ლექსიკური სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეობა, უნივერსალური ენობრივი მოვლენაა და ძველისძველ წარმოებას განეკუთვნება. სპეციალურ ლიტერატურაში ძველი და ახალი თაობის არაერთი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ამგვარი წარმოების არქაულობაზე და მის არსებობაზე ენათა ევოლუციის ადრეულ ქრონოლოგიურ დონეზე. თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ლინგვისტიკაში კომპოზიტებს სხვადასხვაგვარი პრინციპებით აღწერენ და ანალიზებენ (შანიძე 1980: 147-162; ჩიქობავა 1942; 2011: 78-82; ხაიდაყოვი 1961: 128-188; ჩიქობავა, ცერცვაძე 2016: 168-171; აბდულაევი 1981; 2010; აბდულაევი 1993; კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 542-597...). ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში უფრო მეტად აკ. შანიძის კვლევის მეთოდებსა და შედეგებს ემყარებიან, რაც, მიუხედავად მისი უდავო მეცნიერული ღირებულებისა, მაინც სრულად ვერ წარმოაჩენს ქართულ ენაში არსებულ რთულ სახელთა წარმოების საშუალებებსა და კანონზომიერებებს. ამასთან, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ზოგადად არის განხილული (შანიძე 1980: 147-162). მართალია, არნ. ჩიქობავა კომპოზიტა წარმოებისა და ფუნქციონირების ერთ კერძობით საკითხს (ეგზოცენტრულ კომპოზიტებს) სიღრმისეულად განიხილავს, თუმცა მთლიანობაში მას თხზულ სახელთა ანალიზი წარმოდგენილი არ აქვს (ჩიქობავა 2011: 78-82). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ქართველურ ენათა კომპოზიტების განხილვას კუთვნილი ადგილი დაეთმო და კვლევა-ძიება ბევრი კუთხით წარმატებული აღმოჩნდა (სანიკიძე 1977: 22-80; არონია 2010; ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015...). უცხოურ ენათმეცნიერებაშიც არ არის ერთიანი აზრი კომპოზიტა აღსაწერ და საკლასიფიკაციო საშუალებათა შესახებ, თუმცა ბოლო პერიოდის ნაშრომები მეთოდოლოგიურად შედარებით დახვეწილია (ჯაკენდოფი 1990; ჰასპელმათი 2002; ბიზეტო, სკალიზე 2005...).

უნდა ითქვას, რომ სხვადასხვაგვარი მეთოდებიდან ლინგვისტურ დალესტნოლოგიაში კომპოზიტებს მეტწილად დერივაციის

სტრუქტურისა და მეტყველების ნაწილთა მიხედვით აღწერენ. დადესტნურ ენებში, რომლებშიც რთული სიტყვების (resp. კომპოზიტების) წარმოებისას უპირატესად გავრცელებულია მორფოლოგიური საშუალება, კერძოდ, **შერწყმა, გაორკეცება და კონვერსია**, უფრო მეტ უპირატესობას მეორე მეთოდს ანიჭებენ (ხაიდაყოვი 1975: 13). ჩვენ ვირჩევთ სტრუქტურული აღწერის მეთოდს, ვინაიდან იგი უფრო სრულყოფილად და ლაკონიურად ახდენს კომპოზიტთა დახასიათებასა და მათ კლასიფიკაციას (შდრ. შანიძე 1980: 108-109, 119-120). ამასთანავე, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის გარემოება, რომ ცალკეული მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა სტრუქტურული მოდელების დახასიათებისას და მათ კვალიფიცირებისას სირთულეებს ვაწყდებით – მეორდება ერთი და იმავე ტიპის სტრუქტურული მოდელები და ხელოვნურად იზრდება გამოკვლევის მოცულობა (იხ. შანიძე 1984: 148; შდრ. კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 452-453).

როგორც ცნობილია, ძირითადად გამოიყოფა კომპოზიტების სამი სახეობა: 1) შ ე ე რ თ ე ბ ი თ ი (resp. კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი) კომპოზიტები (composita copulativa), 2) პ ო ს ე ს ი უ რ ი (resp. ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი) კომპოზიტები (composita posesiva), 3) გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (composita determinativa) (ოლსენი 2001; ბიზეტო, სკალიზე 2005: 9-10). სამივე ეს სახეობა ნიშანდობლივია როგორც ქართველურ, ისე დიდოურ ენათა კომპოზიტური სიტყვაწარმოებისათვის.

ზოგადად, მთის იბერიულ-კავკასიურ, კონკრეტულად კი, საკვლევ დიდოურ ენებში „სადერივაციო ცნებების“ (ე. სეპირი) გამოხატვა დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა, თუმცა სახელური (resp. ზმნური) კომპოზიტების სიტყვაწარმოებით არც ისე ღარიბია, რომ ამ ენათა სადერივაციო საშუალებების შესახებ გარკვეული წარმოდგენა არ შეგვექმნას. ამასთანავე, შესწავლის ამ ეტაპზე აქტუალურია დამატებითი სალექსიკონო ლინგვისტური მასალის მოპოვება და მისი ყოველმხრივი ანალიზი, რადგანაც კომპოზიტები არსებულ ლექსიკონებსა და სპეციალურ გამოკვლევებში დიდი სიუხვით არ არის წარმოდგენილი (ბოკარიოვი 1959: 183; იმნაიშვილი 1963: 160-163; მადიევა 1965: 57-58; ვან დენბერგი 1994: 54-56; არდოტელი 2007: 58-60). მეტადრე ეს ითქმის ერთი რიგის განსაზღვრებით კომპოზიტებზე, რომლებიც, მათი არამონოლითურობის გამო, ხანდახან სალექსიკონო ერთეულებად არც კი მიიჩნევა. გარდა ამისა, დიდოურ ენათა სიტყვაწარმოება როგორც აღწერთი, ისე შედარებითი თვალსაზრისით, ნაკლებშესწავლი-

ლია, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნება (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 452-453)¹.

ქართულში, დიდოურ ენათა ანალოგიურად, ძირითადად გვხვდება: 1) ორკომპონენტური (resp. სამკომპონენტური)² შეერთებითი (resp. კოორდინაციული) კომპოზიტები (composita copulativa), 2) პოსესიური (resp. სუბორდინაციული) კომპოზიტები (composita posesiva), 3) განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa)³.

კოორდინაციული კომპოზიტები ქართულში წარმოქმნილია ორი და მეტი თანაბარფუნქციანი სახელების (resp. ფუძეების) შერწყმა-შეერთებით. ამასთან, ფუძეთა სტრუქტურული რაგვარობისა და სახელთა შეერთების თავისებურებათა მიხედვით, სწორედ ეს ჯგუფი შეიძლება, თავის მხრივ, ორ ქვესახეობად გაიყოს: 1) შერწყმა და 2) რედუქლიკაცია.

ერთცნებიანი შეწყობილი კომპოზიტები (**ნიორწყალი, თავთავი...**), რომლებიც ჩვეულებრივ ერთად იწერებიან, ვერ ინარჩუნებენ სათანადო კომპონენტების მნიშვნელობებს, ხოლო ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტები (**დედ-მამა, ღარიბ-ღატაკი, ტყე-მინდორ-ველი, ქვა-კლდე-ღრე...**) კი სათანადო კომპონენტთა მნიშვნელობებს ინახავენ.

გარდა ამისა, შერწყმული სახელები, ფორმის მიხედვით, უნდა გაიყოს ორ ტიპად: ა) ერთფუძიანი, ბ) მრავალფუძიანი.

ა) ერთფუძიანი შერწყმული სახელები ორ- ან მრავალკომპონენტურიების უშუალო შემადგენელთა სრულად შერწყმისა და გაერთმნიშვნელებიანების საფუძველზე არიან მიღებული. ამგვარ კომპოზიტებს ერთ მარტივ სახელად მივიჩნევდით, რომ არა მათი საგანგებო სემანტიკა, მაგ.: **ძელქვა** (←ძელი+ქვა), **ქარიშხალი** (←ქარი+იშხარი⁴), **ეკალ-**

¹ ამ საკითხს დიდოურ ენებში განიხილავენ: ე. ბოკარიოვი (1959: 182-183), დ. იმნაიშვილი (1963: 160-163), ა. აბდულაევი (1981; 2010), ჰ. ვან დენ ბერგი (1995: 54-55), ნ. არდოტელი (2007: 58-60), ი. ისაყოვი, მ. ხალილოვი (2012: 229-262), ბ. კომრი, მ. ხალილოვი, ზ. ხალილოვა (2015: 452-597). მათგან, ა. აბდულაევი სპეციალურად შეისწავლა დიდოური ენის სიტყვაწარმოება, მ. ხალილოვი, ბ. კომრი, ი. ისაყოვითავე ერთობლივ მონოგრაფიებში ვრცლიანალიზი წარმოადგინეს, ხოლო ე. ბოკარიოვი, დ. იმნაიშვილი, ჰ. ვან დენ ბერგი და ნ. არდოტელი გაკვრით შეეხნენ ამ საკითხებს. ცხადია, ამ რიგის საკითხები დამატებით და სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, რათა დავრწმუნდეთ მის სიმდიდრესა თუ სიღარიბეში.

² ქართულში იშვიათად ოთხკომპონენტურიანი კი შეიძლება დაგვიდასტურდეს.

³ ოდნავ განსხვავებული დაჯგუფება, თავისებური სახით, აკ. შანიძის გამოკვლევაში უკვე არის წარმოდგენილი (შანიძე 1980: 152-153).

⁴ იშხარი (← ისხარი) „ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“ (საბა).

ჯაგი (←ეკალი+ჯაგი), **ეკალმუხა** (← ეკალი+მუხა), **თავგზა** (← თავი+გზა), **გველგესლა** (←გველი+გესლი/ა), **თავბედი** (← თავი+ბედი), **ქარბუქი** (← ქარი+ბუქი¹), **ნაცარტუტა** (← ნაცარი+ტუტა), **გვართომი** (← გვარი+ტომი), **ელფერი** (← ერ+ფერი ← იერ-ფერი²), **გველაძე** (← გველი+ძე), **გველვეშაპი** (← გველი+ვეშაპი), **ჭილყვავი** (← ჭილი+ყვავი), **ყურშა** (← ყურ+შავი), **ცვარმარგალიტი** (← ცვარა³+მარგალიტი) და ა.შ.

დასტურდება ისეთი მაგალითები, რომლებიც მოტივირებულია საგნის რაიმე ნიშან-თვისებით ან ადიექტივი გასუბსტანტივებულია ნომინაციის -ა სუფიქსის დართვით, მაგ.: **ქვაკაცა**, **მგელთავა**, **ვირთავა**, **ვირეშმაკა**, **შავნაზადა**, **ჯორცხენა**, **ბალტყემალა**, **ბოლოქანქარა**, **გუდაფხაკუნა** ფერეიდნ. „ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში)“, **გულჭადარა** კახ. „გაუთლელი, უკულტურო“, **შოლტკავი** კახ. „ფამფალაკში გაყრილი ძელი“ და მისთ.

ბ) მრავალფუძიანი ნაირ-ნაირ კომპონენტაანი კომპოზიტები ეწოდება ორი ან მეტი მარტივი ფუძის შემცველ სახელებს, რომლებშიც ცალკეულ კომპონენტებს საკუთარი მნიშვნელობა და განსხვავებული ფუნქცია მოეპოვებათ. ამგვარ სახელთა შერწყმისას პირველ ადგილზე ნაკლებმარცვლიანი ან ხმოვანფუძიანი (თანაბარმარცვლიანთა შემთხვევაში) კომპონენტები დაისმის, ხოლო ბრუნვის ნიშნებს კი მომდევნო სახელი დაირთავს. ამასთან, მრავალრიცხოვნობით გამორჩეული მრავალკომპონენტაანი კომპოზიტები, თავის მხრივ, შესაძლოა დაჯგუფდეს ორ ქვეტიპად: ა)მარტივკომპონენტაანი და ბ) რთულკომპონენტაანი.

მარტივკომპონენტაანი კომპოზიტების საილუსტრაციო მაგალითები: **დედ-მამა**⁴, **დედა-შვილი**, **ცოლ-შვილი**, **ნეფე-დედოფალი**, **ხარკამეჩი**, **მთა-ბარი**, **ციხე-ბურჯი**, **ცოდვა-მადლი**, **ცოდვა-ბრალი**, **გუდა-ნაზადი**, **გუდა-სტვირი**, **ციებ-ცხელება**, **ციხე-ქალაქი**, **ცოლ-ქმარი**, **მკითხავ-ქადაგი**, **ცოცხალ-მკვდარი**, **ცხვარ-ძროხა**, **ცხენ-იარაღი**, **თავ-პირი**, **ყელ-ყური**, **გულ-მკერდი**, **თვალ-წარბი**, **მხარ-ბეჭი**, **თავ-ფეხი**, **ხელ-ფეხი**, **წვერ-ყბა**, **ძვალ-რბილი**, **თორ-ახჯარი**, **თოფ-იარაღი**, **ფარხმალი**, **ცხვარ-საქონი**, **გზა-კვალი**, **ენა-პირი**, **პირ-კბილი**, **ოქრო-ვერ-**

¹ ბუქი „ქარიანი თოვლი“ (საზა).

² იხ. (შანიძე 1980: 157).

³ ცვარა „ცვარის ფორმის ორნამენტია ვერცხლისა“ (ჭინჭარაული 2005: 1031).

⁴ ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ახალ ქართულში, ფუძის გამარტივების მხრივ, გამონაკლისია (შანიძე 1980: 157). რაც შეეხება ძველ ქართულს, მასში უფრო გავრცელებული და ძველი ჩანს შებრუნებული წყობა (**მამა-დედაი**), **დედ-მამაი** ფორმას კი პირველად ადიშის ოთხთავში ადასტურებენ (სარჯველაძე 1997: 190).

ცხლი, ასო-ტანი კახ. „სხეული“, **ჩალამ-კალამი** იმერ. „ჩალამ-კალამი სარეველა ბალახია“, **ცხვირ-ბუკი** იმერხ. „ცხვირ-პირი“, **ტიალ-ოჭერი** ხევს. „უპატრონო მკვდარი“, **კრა-ჭრილობა, ქალ-ვაჟობა** ხევს. „სწორ-ფრობა“, **მვალ-გვარი** ხევს. „შთამომავლობა, მოდგმა“ და მრ. სხვ.

ბ) რთულკომპონენტიანი კომპოზიტები ერთ-ერთ (როგორც წესი, მეორე) კომპონენტად ორფუძიან კომპოზიტს (ჩვეულებრივ ნათესაობითში) გვიჩვენებენ, მაგ.: **სიძე-ცოლისძმა, გზირ-მამასახლისი, ბიძა-ძმისწული, დისწულ-დედისძმანი** ხევს. „დიშვილი და მისი ბიძა“, **დედ-მამისტანრ, სარტყელ-გულისპირი** კახ. „ქართული კაბის ნაწილი“, **ქალ-ქალიშვილი, ქალ-დიაცი** (← *ქალ-დედაკაცი) ხევს. „ზოგადად ქალი“ და მისთ.

ზოგადად, ქართველურ ენებში, კონკრეტულად, ქართულში გვხვდება რ ე დ უ კ ლ ი კ ა ც ი ს სხვადასხვა სახესხვაობა. ლ. სანიკიძე ქართველურ ენებში გამოყოფს გაორკეცების შვიდ სახეობას, რომლებიც ქართულსაც მიესადაგება (სანიკიძე 1977: 80). კონკრეტულად ქართულ ენაში უპირატესად გვხვდება ორი ტიპი: 1) ფონემური, 2) მარცვლოვანი.

1) მარტივი გაორკეცება: ფუძეგაორკეცებული სახელების წარმოება, როგორც ჩანს, ისტორიულად უფრო იყო გავრცელებული, რისი შედეგიც თვალნათლივ ჩანს იდენტურფუძიან სახელებში: **მა-მა, დე-და, ძუ-ძუ, გო-გო, ხა-ხა, წამ-წამ-ი, თავ-თავ-ი, კაჭ-კაჭ-ი, ყაპ-ყაპ-ი, გიზ-გიზ-ი, ლიც-ლიც-ი, ლაქ-ლაქ-ი, ქოთ-ქოთ-ი, ლას-ლას-ი, ლაპ-ლაპ-ი, ტა-ტან-ი** (← *ტან-ტან-ი) „ვარსკვლავთმორბედი“ (საბა), **ციმ-ციმ-ი** „მცირე წყალთ ჩამჭევლება“ (საბა), **წუმ-წუმ-ა** „გოგირდის კერასი“ (საბა), **ქან-ქან-ი** თუშ. „ციხეთა სანგრევი მოწყობილობა“ (გ. ცოც.) და სხვ. მისთ.

2) თავკიდურის ცვლილებით გაორკეცება: ა) გაორკეცება თავკიდური თანხმოვნის, ხმოვნის ან მარცვლის შეცვლით, მაგ.: **მუხ-ლუხ-ო, ყურე-მარე, ჩამი-ჩუმი, ხათრი-მათრი, ყივილ-ხივილი...**; ბ) გაორკეცება თანხმოვნის დართვით, მაგ.: **არე-მარე, უჩინ-მაჩინი...**;

3) თანხმოვნის დისიმილაციით გაორკეცება: როგორც ცნობილია, ორივე ფუძეში ერთდროული გაორკეცება ძალზე იშვიათია, მაგ.: **კორ-კოტ-ი** (← *კოტ-კოტ-ი) „დანაყილი ხვარბალი“ (საბა), **ცერ-ცეტ-ი, ჩერ-ჩეტ-ი, ყარ-ყატ-ი, ფარ-ფატ-ი, გვირ-გვინ-ი, დგან-დგარ-ი, ბარ-ბაც-ი** (← ხევს. ბაც-ბაც-ი), **გორ-გოლ-ა** (← გორ-გორ-ა), **კინ-კილ-ა, ქირ-ქილ-ი** (← თუშ. ქირ-ქირ-ი), **ბაგა-ბუგი, ქან-ქარ-ა** (← ქან-ქან-ა), **კან-კალ-ი** (← კან-კან-ი)...

4) გაორკვეცება პირველი ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვით: **ხუ-ხულ-ა** (← *ხულ-ხულ-ა), **ჭუ-ჭულ-ი** (← *ჭულ-ჭულ-ი), **წი-წილ-ა** (← *წილ-წილ-ა), **კო-კორ-ი** (← კორ-კორ-ი← *კვერ-კვერ-ი), **ბი-ბილ-ო** (← რბილ-რბილ-ო¹), **გუ-გუტ-ა** (← გუტ-გუტ-ა) ხევის. „გუ-გული“, **ჭუ-ჭუნ-ა** (← *ჭუნ-ჭუნ-ა) ხევის. „საქონლის ავადმყოფობა“, **ქუ-ქუნ-აკ-ი** (← *ქუნ-ქუნ-აკ-ი) ხევის. „კურტაკი“...;

5) მეორე ფუძის თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით გაორკვეცება: **ქუთ-უთ-ო** (ქუთ-ქუთ-ო), **მეჭ-ეჭ-ი** (←მეჭ-მეჭ-ი), **ბაც-აც-ა** (← ბაც-ბაც-ა), **პატ-ა** (← პატ-ატ-ა ← პატ-პატ-ა²), **ქუც-უც-ი** (←ქუც-ქუც-ი) ხევის. „მსხვილფეხა პირუტყვის უკანა ფეხის ძვლოვანი წანაზარდები“ (ა. არაბ.)...;

6) ტეხილი გაორკვეცება: მეორე კომპონენტის ბოლოკიდური თანხმოვანი ან მარცვალ დისიმილაციურად იკარგვის, მაგ.: **ჭურ-ჭელ-ი** (← *ჭურ-ჭურ-ელ-ი), **ჭაჭა** (← *ჭარ-ჭა)³...;

7) ღია მარცვლის ან მორფემის გაორკვეცება: ამგვარი გაორკვეცება მეტწილად მარტივ გაორკვეცებას თანხვდება და მისი მაგალითები შედარებით მცირერიცხოვანია: **ჯო-ჯო**, **ფა-ფა**, **ძა-ძა**, **ღიჭა-ღიჭა** იმერ. „ბალახოვანი მცენარე“ და მისთ.

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კომპოზიტის უშუალო შემადგენელთა შორის „დამატებითი“ გრამატიკული ურთიერთმიმართება მყარდება (ბიზეტო, სკალიზე 2005: 9). ძირითადი სპეციფიკური ნიშანი, რაც მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებს ახასიათებს და ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტებისაგან განარჩევს – მთავარ კომპონენტს სახელობითში მართავენ, არაძირითად წევრს (მსაზღვრელს) კი მეტწილად გენიტევში სვამენ. ამასთან, არაძირითადი წევრის გრამატიკული ფორმის გათვალისწინებით გამოიყოფა სამი სახეობა (შანიძე 1980: 155): ა) ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმით, როცა ერთცნებიანი კომპოზიტები ყალიბდება, მაგ.: **ხევის-ბერი**, **გულისყური** (← გულის-ყური), **გუთნის-დედა**, **ბედის-წერა**, **ნატვრის-თვალი**, **ცის-პირი**, **წის-ქვილი** (← წყლის-ფწვილი), **ხელის-გული**, **გულის-თქმა**, **გუთნის-დედა**, **ჯვრის-წერა**, **ცხის-პირი**, **გრემის-ხევი**, **ცისპირტეხა** (← ცის-პირ-ტეხა) ხევის. „განთიადი“ და მრ. სხვ.

¹ ბ. გიგინეიშვილის ეტიმოლოგია (გიგინეიშვილი 2016: 51).

² აკ. შანიძე მიხედვით, ეს საკუთარი სახელი ჯერ კიდევ არჩილთან დასტურდება (შანიძე 1980: 150).

³ ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე, მართალია, არქეტიპად **ჭარჭა**-ს აღადგენენ, მაგრამ ეს სახელი რედუპლიცირებული ჩანს.

იმვითად ვაწყდებით პოსტკოზიციურ წყობასაც, რომელიც უფრო ძველ ქართულს ახასიათებდა: **მამასახლისი** (← მამა-სახლ-ის-ი), **დიასახლისი** (← დედა-სახლ-ის-ი), **ასერგასისი** (← ას-ერგას-ის-ი) და მისთ.

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანმოკვეცილი ფორმით, მაგ.: **წუთი(ს)¹-სოფელი**, **კაცი(ს)-შვილი**, **მამი(ს)-ნაცვალი** „მეორე ქმარი დედისა“ (საბა), **ხუცი(ს)-შვილი**, **დი(ს)-შვილი**, **ძმი(ს)-შვილი**, **მამი(ს)-და**, **ბატი(ს)-თვალა** კახ. „წინდის ჭრელის სახეა“, **ბედი-კვერი** (← ბედის-კვერი, შდრ. ხევს. **ბედისკვერა**) კახ. „საახალწლოდ ქალისთვის თონეში გამოცხოვრებული კვერი“, **დედი(ს)-შობილა** ლეჩხ. „შიშველი, ტიტველი“, **ახორი(ს)-კარი** იმერხ. „ბოსლის წინა მხარე, წინკარი, რომელიც, ჩვეულებრივ, დახურულია“ და მრ. სხვ.

ამავე სახესხვაობაში გაერთიანდება „კაცი-ჭამია“² ტიპის კონტამინირებული თხზული სახელები, რომლებსაც პირველი კომპონენტი ნათესაობითში შეეწყობა და სახელზმნური სემანტიკით გამოირჩევიან: **კაცი-ჭამია**, **ხარი-პარია**, **ნარი-გლეჯია**, **ბელტი-ყლაპია**, **ჩიტი-რეკია**, **ნაცარ(თ)-ქექია**, **ქვა(თ)-სროლია** და მისთ.

ამ ბოლო ფორმებში მსაზღვრელი ნარ-თანთან მრავლობითში დგას. ანალოგიური კომპოზიტები: **მღვდელთ-მთავარი**, **ყურთ-ბალი-ში**, **ჯიშთ-საშენი**, **კაცთ-მოყვარე**, **გემთ-ბრუნვა**, **თიბათვე** (← თიბათ-თვე), **მზეთა-მზე** და სხვ.

გ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მთლიანად მოშლით, მაგ.: **ხელეჩო** (← ხელის+ეჩო), **კირდულაბი** (← კირის+დულაბი), **კირქვა** (← კირის+ქვა), **ხელსაქმე** (← ხელის+საქმე), **პირსახოცი** (← პირის+სახოცი), **ძალყურმენა** (← ძალთ+ყურმენა, შდრ. ხევს. „id.“), **ბაბუსაგძალა** (← ბაბუს+საგძალი/ა) იმერ. „წითელი კუნელი“ და ა. შ.

გარდა ნათესაობითი ბრუნვისა, სუბორდინაციული დამოკიდებულება არსებობს კომპოზიტის მთავარ წევრსა და რომელიმე ირიბ (მიც., მოქმ., ვით.) ბრუნვაში მდგარ დამოკიდებულ წევრს შორის. მართალია, რიცხობრივად ამგვარი კომპოზიტები მცირერიცხოვანია, მაგრამ სავსებით ჩამოყალიბებული სახე აქვთ. მეტადრე ეს ითქმის კომპოზიტებზე, რომელთა არამთავარი კომპონენტიც **მიცემით ბრუნვაში** ზის, მაგ.: **თავბრუ** (← თავს+ბრუ), **თავზარი** (← თავს+ზარი), **პირჯვარი** (← პირს+ჯვარი), **ნათელმხილველი** (← ნათელს+მხილველი), **ყელსახვევი** (← ყელს+სახვევი) და სხვ.

¹ აკ. შანიძის ანალოგიით, ბრუნვის ნიშნისეულ დაკარგულ -ს-ს ფრჩხილებში ვსვამთ.

² ამ ფორმათა შესახებ იხ. (შანიძე 1980: 583; არაბული 2001: 88-91...).

არამთავარი წევრი (მსაზღვრელი) **მოქმედებით** და **ვითარებით** **ბრუნვებში** შეზღუდულია: ა) მოქმედებითი: **ქვითხურო** (← ქვით+ხურო), ხელწერილი (← ხელით+წერილი), **ქვითკირი** (← ქვით+კირი), **წმითმატირალი** (← წმით-მოტირალი) ხევს. „მოთქმით, ძახილით მოტირალი“...; ბ) ვითარებითი: **მუცლადღება** (← მუცლად+ღება), **ავად-მყოფი** (← ავად+მყოფი) და მისთ.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი **გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი** კომპოზიტებიც ორი (resp. სამი) სიტყვის სინთეზირებულ ჯამს უდრის და ატრიბუტული სახელური შესიტყვებაა. მსაზღვრელად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი სრულმნიშვნელობიანი სახელი როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობით.¹ ამ ტიპის კომპოზიტებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ენდოცენტრულობა-ეგზოცენტრულობის კორელაცია, რაც შერწყმული სახელებისათვის ნაკლებად არის ნიშანდობლივი. კერძოდ, ავილოთ სუბსტანტივმსაზღვრელიანი კომპოზიტი **ფურირემი**, რომელიც სახელური შესიტყვებისაგან (**ფური ირემი**) მომდინარეობს და ენდოცენტრული ხასიათისაა. თანხმოვანფუმიანი **ფურირემის** ენდოცენტრულობას განაპირობებს მისი საზღვრული (**ირემი**), რომელიც კომპოზიტის სტრუქტურა-შინაარსის შიგნითაა და დამატებით აღარ განივრცობა. რაც შეეხება მსაზღვრელ სუბსტანტივს – **ფურს**, მას ატრიბუტულ სინტაგმაში აქვს დამოკიდებული წევრის როლი, რომელიც საზღვრულს ეთანხმებოდა ბრუნვაში. თხზულ სახელად გააზრებისას, რაც გამოწვეული ჩანს ფორმითაც (სახელობითი ბრუნვის ნიშნის მოშლით)² და სემანტიკითაც (იგი აღნიშნავდა ერთ არსებას), ატრიბუტული სინტაგმა კომპოზიტად გარდაიქმნა. ამგვარი კომპოზიტები არცთუ მცირეა: **მამაღმერთი** (← მამა+ღმერთი), **დედამიწა** (← დედა+მიწა), **დედაენა** (← დედა+ენა), **დედაბოძი** (← დედა+ბოძი), **ვაჟკაცი** (← ვაჟი+კაცი), **ხარკამეჩი** (← ხარი+კამეჩი), **ხარ-ირემი** (← ხარი+ირემი), **ქვანახშირი** (← ქვა+ნახშირი), **ქვამარილი** (← ქვა+მარილი), **ვირეშმაკა** (← ვირი+ეშმაკი) და მრ. სხვ.

ყურადღებას იქცევენ ისეთი სუბსტანტიური კომპოზიტები, რომელთაც პირველი კომპონენტი (უწინდელი მსაზღვრელი) ხმოვანფუმიანი აქვთ. ამ სახის კომპოზიტების პირველი ნაწილის ფუძე მეტწი-

¹ ეს დამოკიდებულია როგორც კომპოზიტის სტრუქტურაზე, ისე ქართული ენის ქრონოლოგიურ დონეზეც.

² აკ. შანიძეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ჩამოყალიბების პროცესში მყოფ თხზულ სახელთა ვითარება, როცა პარალელურ ფორმათა გამოყენება (გლეხ-//გლეხი-კაცი) ხელშესახებია (შანიძე 1980: 153).

ლად უცვლელია¹, მაგრამ თხზულ სუბსტანტიურ სახელთა წარმოქმნა მაინც რეალიზებულია, მაგ.: **დედამიწა** (← დედა+მიწა), **დედაენა** (← დედა+ენა), **მამაკაცი** (← მამა+კაცი), **ენამზე** (← ენა+მზე), **კლდეკარი** (← კლდე+კარი), **კატავენახა** (← კატა+ვენახა) იმერ. „კატაბარდა“ და მისთ.

ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ატრიბუტული სინტაგმის კომპოზიტად ქცევა მაინც სემანტიკურ გადაზრიანებაზე და გამოყენების სიხშირეზე არის დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, დასტურდება გარკვეული რაოდენობის კომპოზიტები, რომელთა წარმოებაში დიდი როლი უნდა ეთამაშა ნომინაციის -ა-ს დართვასაც, მაგ.: ქვა კაცი → ქვა კაცი → **ქვაკაც-ა**, მგელი (ვით) კაცი → მგელკაცი → **მგელკაცა**, შავი ზურგი → შავზურგი → **შავზურგა**, შავი თვალი → შავთვალი → **შავთვალა**, შავი ნაბადი → შავნაბადი → **შავნაბადა**, დედა ფუტკარი → დედაფუტკარი → **დედაფუტკარა**, ქათამი(ვით) ბარკალი → ქათამბარკალი → **ქათამბარკალა** იმერ. „მიქლიო, ერთგვარი სოკო“, ქვაბი(ვით) ქოთანი → ქვაბქოთანი → **ქვაბქოთანა** კახ. „თიხის ჭურჭელია შეჭამანდის გასაკეთებელი“, შვინდი(ვით) ანწლი → შვინდარწლი → **შვინდარწლა** კახ. „ხეა, შვინდსა ჰგავს“ და სხვ.

სავარაუდოა, რომ „შავთვალა“ ტიპის კომპოზიტებში ეგზოცენტრული შესიტყვებიდან სწორედ ნომინაციის -ა-ს დართვა იწვევდეს ენდოცენტრული კომპოზიტების ჩამოყალიბებას, რაც ხშირად სიტყვახმარებისა და მეტყველების ეკონომიის პრინციპთანაც ჩანს დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა „ძვალმაგარა“ ტიპის კომპოზიტებში, შდრ. ძვალი მაგარი → ძვალ-მაგარი (ადამიანი) → **ძვალმაგარა** და ა. შ. ხანდახან ეგზოცენტრულმა კომპოზიტმა შეიძლება დაკარგოს მსაზღვრელის ფუნქცია და ენდოცენტრულ კომპოზიტად (სუბსტანტივად) იქცეს (ჩიქობავა 2011: 80), მაგ.: პირ-უტყვი ცხოველი → **პირუტყვი**, სულ-დგმული კაცი → **სულდგმული** და მისთ.

ქართულ, დიდოურ და ბეჟიტურ ენებში შეერთებითი (კოორდინაციული) კომპოზიტები უპირატესად საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშან-თვისებებს ავლენენ, თუმცა თავს იჩენს ცალკეული გადახრებიც. ამ სახელთა საწარმოებლად დასტურდება ორი ძირითადი საშუალება: შერწყმა და რედუქლიკაცია².

¹ ცალკეული გამონაკლისები (მამფალი ← მამა-უფალი, მამ-პაპანი//←მამა-პაპანი) საერთო წესს ვერ შეცვლის.

² ანალოგიური დიქტომია სხვა ენებისთვისაც გამოიყენება, იხ. (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 167; შანიძე 1980: 147-152).

ყველა საკვლევ ენაში კოორდინაციული კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფუძეს წარმოადგენს, ხოლო ბრუნვის ნიშნები მომდევნო კომპონენტს დაერთვის (შანიძე 1980: 69). ამასთანავე, თხზვისას, არსებით სახელთა გარდა, ირწყმება სხვა სრულმნიშვნელობიანი სახელებიც (განსაკუთრებით, ზედსართავები), რომლებიც სუბსტანტივებთან კომბინაციას ქმნიან. გარდა ამისა, სახელთა გაორკვეებისას ყველა საკვლევ ენაში გამოიყოფა რედუპლიკაციის ოთხი ძირითადი ტიპი: 1) ფონემური, 2) მარცვლოვანი, 3) მორფემული, 4) ლექსემური. ამ ენათათვის უფრო მეტად დამახასიათებელია (1, 2).

შერწყმული რთული სახელების კომპონენტთა თანამიმდევრობა სამსავე საკვლევ ენაში უპირატესად არაფიქსირებულია, თუმცა შენიშნულია ფიქსირებული წყობის შემთხვევებიც (შანიძე 1980: 69; კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 543). ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა სახელურ კომპოზიტთა წყობის საკითხები, ვინაიდან ამ ტიპის სახელთა სტრუქტურაზე თვალის მიდევნებისას შეიძლება რელიქტის სახით დაცული ბევრი არქექტიპი ამოტივტივდეს და ბუნდოვანი საკითხი გაირკვეს. კერძოდ, დიდოურ და ბეჟიტურ ენათა ნათესაობის გამომხატველ ტერმინებში, როგორც წესი, კომპოზიტთა წყობა მყარი და ახალი ქართულის ანალოგიურია¹: დიდ. **ენი-ოზიჷ**, ბეჟ. **იოო-აზო** „დედ-მამა“. მართალია, ამჟამად საკვლევ დიდოურ (resp. დაღესტნურ) ენებში ზემოწარმოდგენილი წყობა ერთადერთია, მაგრამ ძველ ქართულში შეინიშნება საპირისპირო წყობა **მამა-დედაი**, **მამა-დედათაი** (აქედან: **მამულ-დედული**) კომპოზიტის სახით, რომელიც ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ იჩენს თავს. შებრუნებული წყობა „**დედა-მამაი**“ ძველ ქართულში მეტად იშვიათია და ქრონოლოგიურად გვიანდელი. მას პირველად ადიშის ოთხთავში (897 წ.) ადასტურებენ (სარჯველაძე 1997: 190; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 316). ძალზე სათუთა კლას-კატეგორიის მქონე ენებში, თუ პრეპოზიცია და კომპოზიტის პირველი კომპონენტი პრიორიტეტული იყო, „ქალის“ გამომხატველი სახელი წინ დაეყენებინათ. აქ ორი თვალსაზრისის წამოყენება შეიძლება: ა) ძვ. ქართ. **მამა-დედაი** ტიპის წყობა კავკასიურ ენებში ჯერ კიდევ გამოუვლენელია; ბ) ამ მოდელის კომპოზიტები ქრონოლოგიურად გვიანდელი და კლასოვანი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგდროინდელია². ეს მეორე თვალსაზრისი უფრო სარწმუნო ჩანს.

¹ ეს მოდელი გაბატონებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 67).

² ამ საკითხების გამოწვლილვითი და სიღრმისეული კვლევა ამჟამინდელი კვლევის მიზანს სცილდება.

საკვლევ ენებში კომპოზიტური სიტყვათქმნადობისას მსგავსებასთან ერთად გარკვეული განსხვავებაც შეინიშნება, რასაც დიდოურ ენათა კომპოზიტურ კომპონენტთა წყობის შედარებითი შეუზღუდაობა ქმნის. კერძოდ, მარცვალთრაოდნობის მიხედვით, თხზული სახელების კომპონენტთა წყობასა და თანამიმდევრობაზე დაკვირვებისას შემდეგი სურათი დაიხატება:

ა) ქართულისაგან განსხვავებით, დიდოურ ენებში კომპოზიტთა მეორე კომპონენტი შეიძლება მარცვალთრაოდნობით პირველს ჩამორჩებოდეს: დიდ. **წერუ-წო** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), **ზუცი-ზუჯ** „ცის მნათობები“, „მზე-მთვარე“ (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), **შიტუ-როა** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „ჯამ-ჭურჭელი“)...

ბ) ქართულის ანალოგიურად, საკვლევ დიდოურ ენათა სიტყვაწარმოება არც ისეთ კომპოზიტებს არის მოკლებული, რომლებშიც კომპოზიტის მომდევნო შემადგენელი წევრი წინამავალს მარცვალთრაოდნობით აღემატება, თუმცა ამგვარი წარმოება არაპროდუქტიულია, მაგ.: დიდ. **გედ-ღელუ** „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“), **წიყალუ** (← წი-ყალუ) „ტალკვესი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-ამნთე-ბი“), **ატ-კუდი** „საკვები“ (ზედმიწ. „ფქვილი-ცომი“) და მისთ.

ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ შ ი უ მთავრესია კომპოზიტის კომპონენტთა ურთიერთობა მთავარ და დაქვემდებარებულ წევრთა პოსესიურობის თვალსაზრისით, რაშიც წამყვანია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მთავარი წევრი და სახელობითში (resp. აბსოლუტივში) დასმული დამოკიდებული წევრი. ამ ასპექტით დიდოური და ქართული ენები არსებით განსხვავებას არ გვიჩვენებენ. კერძოდ, პოსესიური კომპოზიტების არამთავარი კომპონენტი ნათესაობითში დაისმის, ხოლო მთავარი კი სახელობითში (resp. აბსოლუტივში), მაგ.: **ასოს აშუნი** „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „ცის სარტყელი“, შდრ. ხევს. **მშვილდ-ისარანი**, ბაცბ. **ატყ-წაქი**, ზედმიწ. „მშვილდი-ისრები“), **კეტუსხეხოა** „კნუტი“ (ზედმიწ. „კატის კნუტი“), **ენიამუსესიუ** „ბიძა“ (ზედმიწ. „დედის ძმა“, შდრ. ხევს. **დედიძმა**) და სხვ.

მსგავსება-თანხვედნათა მიუხედავად, ცალკეული გადახრა-განსხვავებებიც შეინიშნება. კერძოდ, ქართულში დასტურდება ნათესაობით ბრუნვიანი პოსტპოზიციური კომპოზიტები **მამასახლისი** ტიპისა, რაც დიდოურ ენათა სინამდვილისთვის უცხოა. გარდა ამისა, საკვლევ დიდოურ ენათა კომპოზიტები, როგორც წესი, მოქმედებით- და ვითარებით ბრუნვიან კომპონენტებს მოკლებულნი არიან, ვინაიდან ეს ბრუნვები იქ არ მოგვეპოვება.

ზოგადი ხასიათის განსხვავება, რაც ქართულ და დიდოურ ენათა თხზულ სახელებს ახასიათებს, კომპოზიციის ნაირსაფეხურიანობა და არამონოლითურობაა. კერძოდ, ქართულ ენაში სუბორდინაციული კომპოზიტები კარგად ჩამოყალიბებულ-ჩამონაკვეთელია, დიდოურ ენებში კი, კომპოზიტთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, არაიშვიათად მათი ფორმირება საბოლოოდ დასრულებული არ ჩანს. ამიტომაც, რომ ხანდახან ჭირს ნათლად გარკვევა იმისა, მტკიცედ შერწყმულია კომპოზიტთა კომპონენტები (მაგ. **ქიდესუჟი** „შვილიშვილი“, ზედმიწ. „ქალიშვილის შვილი“), თუ ატრიბუტული სინტაგმის წევრებს წარმოადგენენ.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი ც, როგორც სხვა სახის თხზული სახელები, საკვლევ ენათა კომპოზიტური სიტყვაწარმოებისათვის ნიშანდობლივია. ამ სახის კომპოზიტთა სტრუქტურული მოდელების შედარებისას პირველი მსგავსება, რაც თვალში გვეცემა, ეს არის სუბსტანტივმსაზღვრელიანი სახელები, რომლებშიც მთავარი წევრის ფუნქციით აბსოლუტივში მდგარი არსებითი სახელი გამოდის, მაგ.: დიდ. **მუჟმარ-ღუდი** „პარასკევ-დღე“, **კემა-ღუდი** „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“), **თემ-ზის** „თივა, ბალახი“ (ზედმიწ. „სამყურა-ბალახი“)...; ბეჟ. **აკო-ვაცვა** „გულითადი მეგობარი“ (ზედმიწ. „ძმა-მეგობარი“), **ზაზამ-ჟოდო** „კვირადღე“ (ზედმიწ. „ბაზარ-დღე“), **ნიჭ-ზობ** „შვიტა“ (ზედმიწ. „ფიჭვ-ბალახა“), **ქაჩჩრუქ-დიცი** „გვირილა“ (ზედმიწ. „ყვითელფერა-ყვავილი“) და ა. შ.

როგორც ცნობილია, განსაზღვრებითი კომპოზიტები, როგორც წესი, სახელური შესიტყვევის გარდაქმნით წარმოიქმნება, რომლებშიც დომინანტი წევრი საზღვრულად გამოყენებული სუბსტანტივია. ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიტი (**პირ-მზე, გულ-მაგარი...**) ენდოცენტრულისაგან (**ძირმაგარა, თავსაზურავი...**) დომინანტი წევრის ატრიბუტულ სინტაგმაში (resp. კომპოზიტში) შიგმყოფობით განსხვავდება (ჩიქობავა 2011: 78). ზემომოყვანილი ბეჟიტური მონაცემებიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს მსაზღვრელ-საზღვრულის ლექსიკალიზაციის პროცესი. ბეჟიტურ ენაში **მაჟალო ეშ** „მაჟალო“ (ზედმიწ. „ველური ვაშლი“) ტიპის კომპოზიტებში ჯერ კიდევ არ უნდა იყოს ამგვარი ტრანსფორმაცია დასრულებული, მაგრამ **ლაჭლიტაქო-ზობ** („ბაბუაწვერა“) ტიპის კომპოზიტებში, ჩვენი აზრით, ლექსიკალიზაციის პროცესი უკვე რეალიზებულია.

ამრიგად, დიდოურ, ბეჟიტურ და ქართულ ენათა სინამდვილეში კომპოზიტთა საწარმოებლად დასტურდება ორი ძირითადი საშუალე-

ბა: შერწყმა და რედუქლიკაცია. ამასთან, კომპოზიტთა დიდი ნაწილი მიიღება ორსრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუნქთა) შერთებით, რომლებიც აბსოლუტივში (resp. სახელობითში) დგანან და დამოუკიდებელი ფუნქცია მოეპოვებათ. ამასთანავე, სუბორდინაციულ კომპოზიტთა არამთავარი წევრი, როგორც წესი, გენტივში ან რომელიმე ირიბ ბრუნვაში დგას. გარდა ამისა, ფორმობრივი და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევე დიდოური ენები თვალსაჩინო გავლენას განიცდიდნენ როგორც ახლომონათესავე ხუნძური ენისაგან, ისე ქართული ენისაგანაც.

კომპოზიტთა სემანტიკის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართულში, დიდოურსა და ბეჟიტურ ენებში. ლექსიკური მნიშვნელობების შემსწავლელ ენათმეცნიერების ქვედარგს ეწოდება სემანტიკა (resp. სემასიოლოგია – კ. რაიზიგი), რომელიც სწავლობს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ მნიშვნელობათა სისტემებს. ლექსიკოლოგიის ამ ქვედარგმა განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა, ვიდრე სემანტიკური სისტემების დამუშავების თანამედროვე სახეს მიიღებდა¹.

ენათა ლექსიკური მარაგის სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლისას სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი მეთოდოლოგიური წანამდგვრებია წარმოდგენილი. ხსენებული საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა თვალშისაცემია როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი (resp. შედარებით-შეპირისპირებითი) ანალიზის დროს. მოყოლებული ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ და როჟეს (როჯეტის) ინგლისური ენის თესაურუსიდან (1852 წ.) ბოლო დროის ნაშრომებამდე სხვადასხვა ენათა სპეციალისტები მაინც იქითკენ იხრებიან, რომ ლექსიკის საგნობრივი მიმართების კუთხით დასახასიათებლად უმჯობესია თემატური დაჯგუფება (ჩიქობავა 1938; 2008; ბალი 1951; დორნზაიფი 1959; სვოდეში, 1960; ფოჩხუა 1974; 1987; გამყრელიძე და სხვ. 2008: 351...).

თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში არნ. ჩიქობავა პირდაპირ წერს: „სახელების დაჯგუფება სემასიოლოგიური ნიშნის მიხედვით აადვილებს ცალკე დარგების ლექსიკის გათვალისწინებას, მაგრამ სიტყვის დაძებნა ჭირს“ (ჩიქობავა 1938; იხ. ახ. გამოც. 2008: 15). ბ. ფოჩხუა „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის შესავალში“ აღნიშნავს:

¹ სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ნაშრომი სემანტიკის ისტორიაზე, რომელშიც განხილული იქნებოდა მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდები უძველესი დროიდან დღემდე (იხ. აბულაძე 2000: 5-10).

„ამრიგად, ლექსიკის საგნობრივად (თემატურად) განლაგების მიმართ ინტერესი გააჩინა საკუთრივ ლექსიკოგრაფიულმა პრაქტიკამ. განმარტებით ლექსიკონთან მიმართების გარეშეც თავისთავად სასარგებლო იქნება ლექსიკის თემატური დალაგება“ (ფოჩხუა 1987: 21).

გარდა ზემონახსენები თემატური დაჯგუფების მხარდაჭერისა, წინა საუკუნის დასაწყისიდან ენათმეცნიერებაში შემოტანილია „სემანტიკური ველის“ ცნება, თუმცა მის გამოყენებას, არასათანადო დეფინიციისა და მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამო, ერთგვარი დაბრკოლებები ხვდება (იხ. ფოჩხუა 1987: 22).

ჩვენი აზრით, არამართო მარტივ სახელთა, არამედ კომპოზიტთა შემთხვევაშიც მიზანშეწონილი ჩანს თემატური კლასიფიკაციის მოშველიება. სუბსტანტიური კომპოზიტების თემატურად დაჯგუფება იმითაცაა გამართლებული, რომ ცალკეულ თემატურ ჯგუფებსა თუ ქვეჯგუფებში შედარებით სრულად აღირიცხოს სინონიმური სახელები და წარმოჩნდეს რანგობრივი ურთიერთდამოკიდებულება კომპოზიტის უშუალო შემადგენელთა შორის. ცნობილია, რომ კომპოზიტი, როგორც წესი, შეიცავს მთავარ კომპონენტს, რომელიც ძირითად მოდიფიკატორს უნდა წარმოადგენდეს (მაგურიე, ვისნიევსკი, სტორმისი 2010: 3). გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპოზიტის შემადგენლობაში ამა თუ იმ სახელს მეტ-ნაკლებად განსხვავებული სემანტიკა აქვს. მართალია, ზოგი შერწყმული სახელი იმდენ ცნებას გამოხატავს, რამდენ წევრსაც შეიცავს კომპოზიტი, თუმცა ამგვარ კომპოზიტებშიც კი კომპოზიტის ცალკეულ წევრთა სემანტიკა არ უდრის ცალკე აღებულ სახელთა მნიშვნელობების ჯამს. ეს ნიშნავს: სახელის საგნობრივი მიმართება კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებისას მინიმალურად მაინც იცვლება, რაც შეპირობებულია ახალი პარადიგმის წევრობით. ახალი კომპოზიტის შექმნა დაკავშირებული ჩანს ახალი და უფრო მომცველი სემანტიკის გადმოცემასთან, რომელშიც უშუალო შემადგენელთა რანგობრივ-სემანტიკური მიმართებები რელევანტურია. როგორც ცნობილია, ოდესღაც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც კომპოზიტებში თავისი მნიშვნელობის საფუძველზე შეუძლიათ ახალი ცნების გამოხატვა (ხაიდაყოვი 1961: 132). სათანადო მეთოდოლოგიის (ა. აღწერითი, ბ. შეპირისპირებითი, გ. შედარებითი მეთოდები) გამოყენებით ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია ცდა სემანტიკური ანალიზისა, რაც საანალიზო ენებში ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. მართალია, ბოლო დროს ზოგი საანალიზო ენისთვის შეიქმნა დეტალური აღწერითი გრამატიკა (კომ-

რი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 542-597), თუმცა სუბსტანტიურ კომპოზიტთა სემანტიკური საკითხების განხილვას სხვა მონათესავე თუ არამონათესავე ენებში მცირე ადგილი ეთმობა და ოდნავადაც ვერ ავსებს არსებულ ნაკლს.

რაც შეეხება კომპოზიტთა კლასიფიკაციას, ამგვარ შემთხვევაში ერთგვარ სირთულეს ქმნიან ე. წ. შერეული სემანტიკის კომპოზიტები, რომლებიც შედგებიან სხვადასხვა თემატურ ჯგუფში შემავალი კომპონენტებისაგან, მაგ.: საკ. დიდ. **ჰონ-მჟალი** „საძოვარი“ (ზედმიწ. „მთაცხვირი“), **გუტ-მუში** „შელოცვა“ (ზედმიწ. „ბოლ-სუნთქვა“), **ას-ქოტუ** „ღრუბელი“ (ზედმიწ. „ცა-ფარტენა“)...; ბეჟ. **აბოცალა** (← აბო-ცალა) 1. „სიმამრი“, 2. „მამამთილი“ (**აბო** „მამა“ – **ცალა** „ცალი?“), **ეზ-მეზ** „ვაშლ-მავლი“ და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის სახელური კომპოზიტები ცალკე უნდა განიხილებოდნენ იმ თემატურ ჯგუფში, რომელთანაც პოტენციურად ჩანან დაკავშირებული და აერთიანებენ სხვადასხვა თემატურ ჯგუფში შემავალ (resp. ონომატოპოეტურ) სახელებს.

მარტივი სახელების ანალოგიურად, კომპოზიტებისათვის თემატური ჯგუფების გამოყოფა პირობითია და დამოკიდებულია თხზული სახელების წარმოების პროდუქტიულობაზე. კომპოზიტთა სტრუქტურაში შემავალი სახელებიდან და მათი სემანტიკიდან გამომდინარე, გამოიყოფა რვა ძირითადი ჯგუფი, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება დამატებით ცალკეულ ქვეჯგუფებადაც დაიყოს: 1) ადამიანთა საქმიანობისა და ნათესაობის გამომხატველ სახელთა შემცველი კომპოზიტები; 2) სომატონიმებიანი კომპოზიტები; 3) ცხოველ-ფრინველთა სახელების შემცველი კომპოზიტები; 4) მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტები; 5) მშენებლობის ლექსიკის შემცველი კომპოზიტები; 6) არაცოცხალი ბუნების სახელთა შემცველი კომპოზიტები; 7) იარაღის სახელთა შემცველი კომპოზიტები; 8) აბსტრაქტულ სახელთა შემცველი კომპოზიტები.

1) ადამიანთა საქმიანობისა და ნათესაობის გამომხატველ სახელთა შემცველი კომპოზიტები. გაჩენის დღიდან ადამიანი რაღაც საქმიანობას მისდევდა და გარკვეულ ნათესაურ ურთიერთობაში იყო თავისი მოდგმის ხალხთან. ამგვარი სისხლისმიერი ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა ენაში ძველისძველია და უპირატესად ფუძეენობრივი მდგომარეობის გამომხატველ სიტყვიერ მარაგს მოიცავს. ნათესაობისა და ოჯახური ურ-

თიერთობის გამომხატველი საერთო-დადესტნური ქრონოლოგიური დონის ტერმინები გაცილებით მეტია, ვინემ მოგვიანო ხანისა და ფუძეენის დაშლის შემდეგდროინდელი ნასესხობანი. შესაბამისად, კომპოზიტებშიც ეს თანაფარდობა მეტ-ნაკლებად დაცულია. საგულისხმოა, რომ ამ რიგის კომპოზიტები მეტწილად სუბორდინაციულია და პოსესიურობის ნიშნით აღბეჭდილი. ამასთან, კომპოზიტთა ესა თუ ის კომპონენტი შეიძლება იყოს ძირეული სიტყვაც, შერეულიც (resp. ძირეულ-ნასესხებიც) და ნასესხები ლექსიკაც. უპირველესი ზოგადი სემანტიკური ნიშანი, რაც ნათესაობის სახელთა დიდი ნაწილის ანალიზისას თვალში გვეცემა, ეს არის მნიშვნელობითი მთლიანობა, მაგ.: საკ. დიდ. **კრში-კოც** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „კოვზ-ციცხვი“), **ქრუ-ობრუბი** // **ქრუ-ზაბიიუბი** „წინაპრები, მამა-პაპანი“ (ზედმიწ. „პაპა-მამანი“), საკ. დიდ. **მაჰ-მუში** : ბეჟ. **მუშრ-მჰჰ** „სუნი“ (ზედმიწ. „სუნ-სული“ : „სულ-სუნი“), **უქრუ-მესედ** // **უქრუ-მიცხრ**, ბეჟ. **ოქქო-მესედ** // **მესედ-ოქრო** „ძვირფასეულობა, ოქრო-ვერცხლი“ (← ქართ. **ოქრო** – ხუნძ. **მესედ** „ოქრო“) და სხვ.

თანაბარკომპონენტთან სუბსტანტიურ კომპოზიტებს, სემანტიკის მიხედვით, სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ. ბოლო დროის ერთ-ერთ ვრცელ ნაშრომში, რომელიც ბეჟიტური ენის აღწერით ანალიზს ეძღვნება (კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 546-553), კომპოზიტთა სემანტიკური კლასიფიკაცია ასეა წარმოდგენილი: 1) კომპოზიტის კომპონენტები განეკუთვნება სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს; 2) კომპოზიტის კომპონენტები განეკუთვნება ერთსა და იმავე სემანტიკურ ჯგუფს; 3) კომპოზიტის წევრები სინონიმურ სიტყვებს აერთიანებენ; 4) კომპოზიტის წევრები შეიცავენ სინონიმურ სიტყვებს; 5) კომპოზიტთა კომპონენტებიდან ერთი მთავარი წევრია, ხოლო მეორე მასზე დამოკიდებული; 6) კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი დანართივით დაერთვის საზღვრულს.

გარდა ზემომოყვანილი ჯგუფებისა, დამატებით შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფიც: 1. კომპოზიტები, რომლებსაც მარცვლოვანი რედუპლიკაციის დროს მეორე კომპონენტი ასემანტიკური აქვთ, მაგ.: საკ. დიდ. **ნუცო-ცოცო** „ტკბილეული“ (შდრ. **ნუცი** „თაფლი“), **გუჰი-გეჰი** „ქუხილი ზარბაზნისა“ (შდრ. **გუჰი** „გრუხუნი“)...; 2. შერეული კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტი არასუბსტანტიურია, მაგ.: დიდ. **ჰუჰ-რეტიგოსი** „პირსახოცი“ (ზედმიწ. „პირ-ხელიანი“), **ნოლუქეჰა** ← ნოლუ-ქეჰა „ნაცარქეჰა“ (ზედმიწ. „ნაცარ-ქეჰა“) და მისთ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, შევეცდებით ქვემოთ წარმოვადგინოთ საკუთრივ დიდოური და ბეჟიტური კომპოზიტების ანალიზი სათანადო ქართულ მასალასთან შეპირისპირებით, ვინაიდან ამ კუთხით კომპოზიტური (ლექსიკური) სემანტიკის კვლევა, თუ ცალკეულ შედარებებს არ გავითვალისწინებთ, ჯერჯერობით არ ჩატარებულა. ამ ნაკლზე ი. აბდულაევი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას: „შედარებითი სემასიოლოგიის საკითხების კვლევა დაღესტნურ ენათმეცნიერებაში ჯერ არ დაწყებულა, ხოლო ასეთი კვლევების გარეშე დაღესტნურ ენათა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა და ამ ენებზე მეტყველთა მსოფლხატი ისტორიულ ასპექტში შეუსწავლელი რჩება“ (აბდულაევი 2015: 43).

საკ. დიდ. : ბეჟ. : ქართ¹.

ატ-ქუდი: ზყრ-მყრ „სურსათი“ (ზედმიწ. „ფქვილ-ცომი“ : „ბურღულ-ქერი“). ადამიანთა სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტის სახელწოდებანიც და მათი სემანტიკაც მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყო იბერიულ-კავკასიურ ენებში იმის მიხედვით, თუ რა პირობებში უხდებოდა ამ ხალხებს სამეურნეო საქმიანობა. ცხადია, პურეულის გამომხატველი ლექსიკა ყველა ენაში იჩენს თავს, მაგრამ სიმინდის ბურღული და მისი აღმნიშვნელი სიტყვები მთიელი ტომებისათვის ნაკლებდამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, დიდოურ ენებში არაიშვიათად დასტურდება ამ კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკა.

ბარუსბაზიუ : აჯჯას აზო სიმამრი (ზედმიწ. ცოლის მამა)

ბარუსენიუ : აჯჯას იოსიდედრი (ზედმიწ. ცოლის დედა)

ბარუსესიუ : აჯჯას ის ცოლისძმა

ბარუსესიუ : აჯჯას ისი ცოლისდა

აღსანიშნავია, რომ ზემომოყვანილი ნათესაობის ტერმინები ძირითადად პოსესიურობას გამოხატავენ და დიდოურ ენებში მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით არიან წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერებაში ზუსტი კრიტერიუმი არ მოგვეპოვება იმის გასარკვევად, რა შემთხვევაში გვხვდება სახელური შესიტყვება და როდის გვაქვს კომპოზიტი. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: არ გამოირიცხება თეორიული შესაძლებლობა ე. წ. ლექსიკალიზებული მჭიდ-

¹ კომპოზიტური ფორმებიც და მნიშვნელობებიც ამ თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი ტექსტში.

რო შესიტყვება გარდამავალ საფეხურზე იყოს და სემანტიკურად აღიქმებოდეს როგორც სუბსტანტიურ სინტაგმად, ისე კომპოზიტად, შდრ. მეგრ. **გურ-დო-კიდირი** // → **გურ-კიდირი** „გულ-მკერდი“. ამასთან, ქართულში პირველი და მეორე თხზული სახელი აშკარად კომპოზიტია, ხოლო ფრჩხილებში მოქცეული მათი სემანტიკური შესატყვისები კი – ატრიბუტული სინტაგმები. მიუხედავად იმისა, რომ მესამე და მეოთხე კომპოზიტი (**გოლისძმა**, **გოლისდა**) ქართულშიც და დიდოურ ენებშიც ერთნაირი სტრუქტურული ყალიბისაა, პირველი, სემანტიკური თვალსაზრისით, უფრო მეტად მონოლითურია, აშკარად ერთ მთლიანობას წარმოადგენს და ერთადაც იწერება, თუმცა დიდოურ ენებში შესიტყვების ლექსიკალიზაციის პროცესი ბოლომდე დასრულებული არ ჩანს, ამიტომაც ჩამოყალიბებულ მთლიანობად ვერ აღიქმება და ცალ-ცალკე იწერება. აქედან დასკვნა: თანაბარი გრამატიკული ფორმის პირობებში განსხვავებული ფუნქციურ-სემანტიკური შედეგი მიიღება, რაც შეპირობებული უნდა იყოს, სინტაგმის ხმარების სიხშირის გარდა, სხვა ენობრივი ფაქტორებითაც: ა) ენობრივი სტატუსი (სალიტერატურო თუ სამწერლო ტრადიცია), ბ) შესიტყვების მდგრადობა, გ) სოციალური ინსტიტუტი და მისთ.

რაც შეეხება დიდოურ ენათა სინამდვილეში, ერთი მხრივ, „**სი-მამრის**“, „**მამამთილისა**“, ხოლო, მეორე მხრივ, „**სიდედრის**“, „**დედამთილის**“ შესაბამის მონაცემებს, ისინი როგორც ფორმოზრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მეტ არქაულობას ავლენენ, ვინაიდან ქართულში გადმოიცემიან ერთი ლექსემით, მაგ.: ბეჟ. **უყო აბო** (საკ. ბეჟ.), **გყუ აბუ** (ჰუნზ.) 1. „სიმამრი“, „მამამთილი“ (ზედმიწ. **დიდი მამა**), ბეჟ. **უყო იაო** (საკ. ბეჟ.), **იყუიიუ** (ჰუნზ.) „სიდედრი“, „დედამთილი“ (ზედმიწ. **დიდი დედა**).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში **სიმამრი** (← ***სი-მამრი**) და **სიდედრი** (← ***სი-დედრი** ← ***სი-მდედრი**) ისევე, როგორც **მამა** და **დედა**, სქესის გამომხატველ სახელებს უკავშირდება (ჯავახიშვილი 1992: 224-225).

ზემოთ დამოწმებული ჩვენებიდან გამომდინარე, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბეჟიტურ ენაში **სიდედრი** და **სიმამრი** სიძისათვის, ხოლო **მამამთილი** და **დედამთილი** რძლისათვის იყვნენ უფრო მეტად პატივსაცემი და სათაყვანებელი, ვიდრე თავისი მშობლები (ხალილოვი, ისაყოვი 1984: 36). დიდოურ ენათა მონაცემებს ქართულში შეესაბამება **დიდედა** (← **დიდი დედა**) „ბებია“. ქართულში ლოგიკურად მოსალოდნელი იყო

დიმამა (← **დიდი მამა**) ფორმაც, თუმცა ანალოგიური კომპოზიტი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. რაც შეეხება ჭან. **ნანადიდი** (← **ნანა დიდი** „ბებია“) კომპოზიტს, იგი, თუ პირველ კომპონენტსა (**ნანა**, შდრ. ჩეჩნ. **ნანა**¹ „id.“) და წყობას არ მივიღებთ მხედველობაში, ქართულისა და ბეჟიტური ენის ანალოგიურ ვითარებას ვაწყდებით (იხ. ჩიქობავა 2008: 38). ქართ. **მამამთილი** და **დედამთილი** სტრუქტურულად მსგავსი კომპოზიტებია, თუმცა მეორე კომპონენტის მნიშვნელობა, ცალკეული ეტიმოლოგიური ცდების მიუხედავად, ბოლომდე გარკვეული არ არის² (ყიფშიძე 1914: 284; ჩიქობავა 1938: 37-38; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 316-317; გიგინეიშვილი 2016: 121...).

ბარუ-ხეხი : **ჯიზან-ქულფათ** „ოჯახი, სახლელი“ (ზედმიწ. „ცოლ-შვილები“ : „ცოლ-შინაურები, ჯალაბობა“). საკუთრივ დიდოურ მონაცემს ბეჟიტურ ენაში მთლად ადეკვატური კომპოზიტი არ მოეპოვება, ვინაიდან კომპოზიტის მეორე კომპონენტი უშუალოდ „ბავშვებს“ კი არ აღნიშნავს, არამედ „თავისიანებს“, „ჯალაბობას“. გარდა ამისა, **ჯიზან** ხუნძურიდან ჩანს ნასესხები და ორ ცნებას (1. „ოჯახი“. 2. „ცოლი“) გამოხატავს. სპარსული წარმომავლობის ამ სახელს პარალელები არაერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში ეძებნება „ოჯახის“, „მძევალის“, „ცოლის“, „ბავშვის“... სემანტიკურად გადაწეულ-გადააზრიანებული მნიშვნელობებით. ჩვენი შეხედულებით, სემანტიკური ტრანსფორმაცია ასე ჩანს განვითარებული: **ოჯახი** → **ცოლი** → **ბავშვი**.

ენიფუ-ზაზიფუ : **იიო-აზო** (შდრ. ჰინ. **ოზუ-იიო** „მამა-დედა“) „მშობლები“ (ზედმიწ. „დედ-მამა“). სისხლისმიერი ნათესაობის გამომხატველი საანალიზო კომპოზიტი საკვლევ ენათა სინამდვილეში ორსრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან მარტივ სახელთა შეერთებით წარმოქმნილ საყოველთაოდ გავრცელებულ ჯგუფს განეკუთვნება. სემანტიკურად ეს კომპოზიტი ორპიკიანია, რადგან შინაარსის პლანში გამოხატულება, თუ პრეპოზიციურობის პრევალირებას არ მივიღებთ მხედველობაში, ორივე კომპონენტს თანაბარი აქვს და მიეკუთვნებიან ერთ სემანტიკურ ჯგუფს.

ენიფუსესიფუ : **იიოს ის** „ბიძა“ (ზედმიწ. „დედის ძმა“, შდრ. ხევს. **დედიძმა**). დიდოურ ენებში ისეთივე აღწერითი წარმოება გვაქვს, როგორც ძველ ქართულში (**დედის ძმა**, **მამის ძმა**), თუმცა ახალ ქარ-

¹ ამავე ძირისა ჩანს დიდ. **ენიჷ** („id.“), რომელსაც სიტყვათფარდობანი ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტსა და ზოგ ლეზგიურ ენაში უდასტურდება (ჯავახიშვილი 1992: 159).

² საინტერესოა, რომ ანდიურ ენებში მას სხვაგვარი ეტიმოლოგია მოეპოვება (გულდავა 1979: 182).

თულში ლექსიკალიზაციის შედეგად კომპოზიტად ჩამოყალიბდა და მის დიალექტებში დამატებითი სემანტიკური დატვირთვაც მიიღო. კერძოდ, მთის დიალექტებში (ხევს. **მამიმმა // მამი(ს)მმა, დედიმმა // დედი(ს)მმა**; თუშ. **დედიზმამ**, ფშავ. **დედიმმა...**) კომპოზიტების გარდა, რომელთაც პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთად შეიძლება დამატებითი მნიშვნელობაც ჰქონდეს, ხევსურულის ნარ-თანთან მრავლობითისა და თუშურის მხოლოლობითის ფორმებს თავისი კონოტაციები მოეპოვებათ (ჭინჭ., 2005: 315; 540; ცოც. 2012: 93), მაგ.: ხევს. **მამი(ს)მმანი** „მამის მოგვარეები, ბიძაშვილები“, **დედი(ს)მმანი**¹ „დედის ბიძაშვილები, დედის მოგვარეები, დედულები“: „დისწული **დედიმმათასა** სკამს უხატრავად დაჯდება...“; თუშ. **დედიზმამ** „დედის მმა ან უახლოესი პირი დედის საგვარეულოდან, რომელიც განსაკუთრებულად საკითხი კაცია ჭირისა თუ ლხინის დღეებში“. ამასთანავე, ფშაურის მხოლოლობითის ფორმასაც აქვთ დამატებითი მნიშვნელობა (ხორნაული 2000: 89).

ერიაუ : იცილოიო „ბებია“

ერიაუ : იცილოაზო „ბაბუა“

ერიაუ : იოსიო „ბებია“ („დედის დედა“)

როგორც ზემომოყვანილი ნათესაობის ტერმინები გვიჩვენებენ, საკუთრივ დიდოურში ოდენ ერთი ტერმინი **ერიაუ** („ბებია“) გვაქვს, რომელიც გენეზისურად **ერრუ**-ს („ძველი, მოხუცი“) უნდა უკავშირდებოდეს. მნიშვნელობათაგან არქისემა „**ძველი**“ უნდა იყოს, ხოლო თავიდან გადატანითი სახელდება „**მოხუცი**“ სათანადო ტერმინად მოგვიანებით ქცეულა. რაც შეეხება ბეჭიტურ ტერმინებს, პირველ და მეორე სახელწოდებაში, რომლებშიც დომინანტი წევრი საზღვრულად გამოყენებული სუბსტანტივია, ლექსიკალიზაციის პროცესი დასრულებული არ ჩანს. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ბეჭიტურში საკუთრივ დიდოური **ერრუ** („ძველი, მოხუცი“) სახელის სემანტიკურ ტოლფარდად დასტურდება **იცილო** 1. „ძველი“, „მოხუცი“. 2. „ბერიკაცი“. ხსენებულ მნიშვნელობათაგან, ცხადია, მეორე („ბერიკაცი“) მეორეული და გადატანითი ჩანს: **ძველი** → **ბერიკაცი**. ამასთანავე, შესაძლებელია მეორე ახსნის დაშვებაც: დიდ. **ერიაუ** (← **ერრუ+ენიაუ** „მოხუცი დედა“, შდრ. ხუნძ. **ჰება** „ბებია“ ← **ჰერამ ზაზა**², ზედმიწ. „მოხუცი დედა“).

¹ ხევსურულში რთულკომპონენტანი (ოთხწევრიანი) კომპოზიტიც კი ჩამოყალიბდა: **დისწულ-დედიმმა** (← დის წული-დედის მმა) → **დისწულ-დედიმმობა** „გამორჩეული ნათესაური ურთიერთობა ბიძასა და დისშვილს შორის“.

²იხ. (აზმაიფარაშვილი 2015: 18-19).

ქრუ-ობრები // ქრუ-ბაბიუბი : უმუშალ „წინაპრები, მამა-პაპანი“ (ზედმიწ. „პაპა-მამანი“). საკვლევ ენებში წინა თაობების (წინაპრების) ზოგად სახელად ჩვეულებრივ კომპოზიტი გამოიყენება, თუმცა ამ წესიდან გადახრას ბეჟიტური გვიჩვენებს, რომელშიც ხუნძური ნასესხობის მრავლობითი რიცხვის ფორმა დასტურდება: **უმუშალ** ზედმიწ. „მამები“. რაც შეეხება დიდოურ კომპოზიტს, იგი, კომპონენტთა წყობის გამოკლებით, ქართული ტოლფარდის ანალოგიურია: ქართ. **მამა-პაპანი** : საკ. დიდ. „პაპა-მამანი“ (ზედმიწ. „ბებერ-მამანი“; იხ. ზემოთ **ბაბუა, ბებია**).

კრტი-რომ : **ხატა-კეტი** ჭურჭელი (ზედმიწ. „თეფშ-ჭურჭელი“ : „თეფშ-კოვზი“). საგულისხმოა, რომ საკუთრივ დიდოურში ეგვევ კომპოზიტი სხვაგვარადაც არის წარმოდგენილი: **შრტუ-რომ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „ჭურჭელ-საოჯახო ჭურჭელი“). ამავე რიგისა ჩანს საკ. დიდ. **შრტუ-რომ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „ჭურჭელ-საოჯახო ჭურჭელი“, შდრ. ხევს. **ჯამ-ბუნაგი**).

მართალია, სამწერლო ქართულში ამჟამად **ჭურჭელია (ჯამ-ჭურ-ჭელი)** გაბატონებული, თუმცა ისტორიულად კომპოზიტი ისევე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, როგორც დიდოურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში, შდრ. ხევს. **ჯამ-ბუნაგნი, ჯამ-ქიტი** „ჯამ-ჭურჭელი“, ფშ. **ჯამ-კოვზი**: „იმაში არის **ჯამ-კოვზი**, ქიტი, ქაფქირი ხისია“ (ბაჩანა), თუშ. **ჯამ-წიწანაყრ** „ჯამ-ჭურჭელი“ და ა. შ.

მეწი-რატუ : **მოამ-მუტო** 1. „სალეწი საშუალება“. 2. ასტრ. „დიდი დათვის თანავარსკვლავედი“ (ზედმიწ. „კევრ-უღელი“). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დიდოურ ენებში ეს კომპოზიტი, გარდა უძველესი სალეწი ხელსაწყოთა, აღნიშნავს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს დიდი დათვის თანავარსკვლავედსაც, რაც ასტრონომიული სამყაროს ერთგვარი მსგავსებითი გადააზრიანების შედეგია. როგორც ცნობილია, იგი შედგება შვიდი ვარსკვლავისაგან, რომელთაგან ორი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია – **ალიოთი** და **დუბჰუ**. ამ მხრივ საგულისხმოა ხევსურული დიალექტის ჩვენება, რომელშიც დიდი დათვის თანავარსკვლავედის აღსანიშნავად დასტურდება მრავლობითობის ფორმიანი სიტყვა – **უღელანი** „ორი ვარსკვლავია ერთად, ძალიან ბრწინავენ“ (აკ. შან.). ხევსურული მონაცემი უნდა მიგვანიშნებდეს სწორედ ზემოდასახელებულ ორ კაშკაშა ვარსკვლავზე, რომლებიც დაუღლებულად (უღელში შებმულად) იქნენ გააზრებული. რაც შეეხება დიდოურ ენებს, ჩანს, რომ ეს ორი ვარსკვლავი უღლისა და კევრის ერთობლიობად მიიჩნეეს ამ კომპოზიტის შემქმნელებმა.

ობიექტისიფიკაცია : აბოს ის „ბიძა“ (ზედმიწ. „მამის ძმა“). ეს სახელი დაახლოებით იმგვარივე კომპოზიტია, როგორც **ენიფიქსიფიკაცია** : იბოს ის „ბიძა“ (იხ. ზემოთ).

ენის უფი : რქდის რქრ „შვილიშვილი“ (ზედმიწ. „ვაჟიშვილის ვაჟი“).

ენის ქიდი : რქდის ქიდი „შვილიშვილი“ (ზედმიწ. „ვაჟიშვილის გოგო“). მართალია, ერთმანეთის ანალოგიური ეს ორი თხზული სახელი დიდოფრ ენებში, ქართულისაგან განსხვავებით, უფრო სახელური შესიტყვებაა, ვინემ კომპოზიტი. მიუხედავად ამისა, მისი სემანტიკური თავისებურების გათვალისწინებით, ის მაინც კომპოზიტად განიხილება, ვინაიდან შესამჩნევია ტენდენცია ამგვარ შესიტყვებათა ლექსიკალიზაციისა. სხვათა შორის, გვხვდება სამკომპონენტისანი შესიტყვება, რომელშიც სემანტიკური ბირთვი ორ მსაზღვრელს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში: **ენის უფის უფი** : რქდილა რქდის რქრ „შვილთაშვილი“ (ზედმიწ. „ვაჟიშვილის შვილიშვილი“).

უფი-ქიდი : რქე-ქიდი „ბავშვები“, „ქალ-ვაჟი“ (ზედმიწ. „ვაჟ-გოგო“ : „გოგო-ვაჟი“). ეს თანაბარკომპონენტისანი კომპოზიტი ქართულშიც და დიდოფრ ენებშიც, თუ ბეჟიტური ენის არქაულ წყობას არ გავითვალისწინებთ, დიდი თავისებურებებით არ ხასიათდება. ერთგვარ განსხვავებას გვიჩვენებს სემანტიკური გადახრა-გადააზრებანი და დამატებითი კონოტაციები, შდრ. საკ. დიდი. **ქიდი-უფი** „ჭიამაია“; მოყოფ დიდალ.. **ალლაჰეს ზიამა**; ბეჟ. **რქე-ქიდი** „ჭიამაია (ზედმიწ. „ბიჭ-გოგო“).

უქრუ-მესედი // **უქრუ-მიცხირ** : **ოქქო-მესედი** // **მესედი-ოქრო** „მვირფასეულობა, განძი, ოქრო-ვერცხლი“ (← ქართ. ოქრო – ხუნძ. მესედი „ოქრო“, შდრ. დარგ. **მუთე**-ის ზედმიწ. „ოქრო-ვერცხლი“). ეს კომპოზიტი, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებში ფართოდ არის გავრცელებული.

უცხალ : **უცხალ**, **უცხალ** ბიძაშვილი (ვაჟი), **მაცხალ** : **მაცხალ**, **მაცხალ** „ბიძაშვილი (გოგო)“. სემანტიკური კორელაცია **ბიძაშვილი ვაჟი** – **ბიძაშვილი გოგო** ქართულ ენაში არ განირჩევა, თუმცა დანარჩენ საანალიზო ენებში მნიშვნელობის გარჩევა (ვაჟი-გოგო) კლასის ექსპონენტების (უ-მ) საშუალებით ხდება. ქართულში ეს სახელი ამკარად განსაზღვრებითი კომპოზიტია (ბიძაშვილი ← ბიძას შვილი, შდრ. ძვ. ქართ. **ბიძამენი**), თუმცა დიდოფრ ენებში ეს სახელები ადეკვატური მნიშვნელობებით ხუნძურიდან შეთვისებული ჩანს, შდრ. ხუნძ. **უცა** „ძმა“, **მაც** „და“. სპეციალურ ლიტერატურაში მეორე კომპონენტი **მალ** მიჩნეულია სუფიქსად (ჰასანოვა და სხვ. 1971: 128; ხაიდაყოვი 1973:

98...). მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ეს სახელი კომპოზიტიური აგებულებისა ჩანს, რაზედაც მიგვანიშნებს ახვახური ენის ჩვენება (**ყაცცი-ყაბი – ააცცი-ყაბი**)¹.

ყაბ-ყონო : **ყაბ-ყონო** „სახლის ავეჯეულ-ჭურჭელეულობა“. დიდოურ ენებში ფართოდ გავრცელებული ეს კომპოზიტი ხუნძური ენისგან ჩანს შეთვისებული, შდრ. ხუნძ. **ყაბ-ყონრ** „ავეჯეულობა, ჭურჭელეულობა სახლისა“. უნდა ითქვას, რომ დიდოურ ენებში ამ ნა-სესხობას თვალსაჩინო სემანტიკური ცვლილება არ განუცდია. აღსანიშნავია, რომ საკვლევ დიდოურ ენებში **ყაბ** ავეჯეულობის, ჭურჭელეულობის მნიშვნელობით ცალკეც იხმარება.

ქიქოს ესიფუ : **ჰრწს ის** „ძუძუძმა, ძუძუძტე“ (ზედმიწ. „ძუძუს ძმა“ : „რძის ძმა“). დიდოურ ენათა სინამდვილეში საანალიზო კომპოზიტის ლექსიკალიზაციის პროცესი დასრულებული არ ჩანს. გარდა ამისა, წინა კომპონენტში გარკვეული სხვაობაც ვლინდება: დიდ. **ქიქოს** „ძუძუს“, ბეჟ. **ჰრწს** „რძის“. მართალია, **ძუძუძ**², უპირველეს ყოვლისა, **რძეს** გულისხმობს, მაგრამ ბეჟიტურში მნიშვნელობა დავიწროებულია. სამაგიეროდ ამ თვალსაზრისით ქართულსა და დიდოურ მონაცემებს შორის სრული ანალოგია გვაქვს – კომპოზიტის მეორე კომპონენტი პირველ კომპოზიტში თანხვდება, მეორე კომპოზიტში კი თვალსაჩინოდ სხვაობს: ქართ. 1. **ძმა**, 2. **მტე** (მტევი?), დიდ. **ესიფუ** „ძმა“.

ღანა-ხედიუ : **აჯო-ბეტერჰან** (ჰუნზ. **ბეტერჰან-აჯე**) „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ცოლ-ქმარი“ : „მდედრ-პატრონი“). ენათა ტიპოლოგიის მიხედვით, საყოველთაოდ გავრცელებულია წყვილეულთა სემანტიკური გადასვლის ფაქტები: **კაცი** → **ქმარი**, **ქალი** → **ცოლი**. აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, საკუთრივ დიდოურში, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულში ამგვარი ტრანსფორმაცია ხელშესახებია, რაც სათანადო კომპოზიტებშიც დაჩნდება (ხევს. **კაც-დიაცნი** = „ცოლ-ქმარი“: საკ. დიდ. **ღანა³-ხედიუ** „ცოლ-ქმარი“, ზედმიწ. „ქალ-ქმარი“). ამასთან, ამავე ცნების აღსანიშნავად საკუთრივ დიდოურში შეინიშნება სხვა კომპოზიტიც, რომელშიც **ცოლი**, ორაზროვნების გარეშე, პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი: **ხედრამ-ბარუ** „მეუღლეები, ცოლ-ქმარი“

¹ ეს მოითხოვს სპეციალურ ეტიმოლოგიურ კვლევას.

² როგორც ცნობილია, ეს კომპონენტიც ქართულში კომპოზიტად არის მიჩნეული, შდრ. **ძუ** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 618), რასაც მხარს უჭერს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მონაცემებიც (გუდავა 1979: 72).

³ **ღანა** პოლისემანტიკურია – აღნიშნავს **ქალსაც** და **ცოლსაც**.

(ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“, შდრ. ხუნძ. **როს-ლადი** „id.“). ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება **აკო-ბეტერჰან** („მდედრ-პატრონი“), რომლის ინვერსიული ვარიანტი (**ბეტერჰან-აკე** „პატრონ-მდედრი“) ჰუნზიბურ დიალექტში იჩენს თავს. საანალიზო კომპოზიციის პირველი კომპონენტი **დედალს, მდედრს**, ხოლო მეორე კომპონენტი ხუნძური ნასესხობაა და **პატრონს** (ბატონ-პატრონს) აღნიშნავს. ხუნძური კომპოზიტი **ბეტერჰანჩი** (← **ბეტერჰან-ჩი** ზედმიწ. „ბატონ-კაცი“), როგორც ჩანს, „ქმრის“ (resp. „ბატონ-კაცის“, „პატრონ-კაცის“) მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (უსლარი 1889, II: 52). განცალკევებით დგას ბეჟიტური კომპოზიტი **აკო-ყოვა** („ახალბედა ცოლი“), რომლის ტოლფარდი დიდოურში გამოვლენილი არ არის. ამჟამად ხუნძური ენის ზოგ კილოკავ-თქმაში **ბეტერჰანჩი** ოდენ **ქმრის** მნიშვნელობის მქონეა.

ყაი-ყონო : **ყაი-ყონო** „სახლის ავეჯეულ-ჭურჭლეულობა“. დიდოურ ენებში ფართოდ გავრცელებული ეს კომპოზიტი ხუნძური ენისგანაა შეთვისებული, შდრ. ხუნძ. **ყაი-ყონო** „ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა სახლისა“. უნდა ითქვას, რომ დიდოურ ენებში ამ ნასესხობას თვალსაჩინო სემანტიკური ცვლილება არ განუცდია. აღსანიშნავია, რომ საკვლევ დიდოურ ენებში **ყაი** „ავეჯეულობის, ჭურჭლეულობის“ მნიშვნელობით ცალკეც იხმარება.

ჯაცა-წი : **ჰუდო-წო** „შეშა, საწვავი“ (ზედმიწ. „შეშა-ცეცხლი“). მიუხედავად იმისა, რომ დიდოურ ენებში პირველი კომპონენტი ფორმობრივად განსხვავებულია, მნიშვნელობათა მსგავსება-ერთობლიობა ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება ქართულს, კომპოზიტი დიდად გავრცელებული არ არის, თუმცა შეინიშნება **ცეცხლ-შეშის** სახით. საინტერესოა, რომ საკუთრივ დიდოურში შეშის მნიშვნელობით, დანარჩენი ორივე შესადარებელი ენისაგან განსხვავებით, დასტურდება კომპოზიტი **ჯაცა-ქუა** „შეშა, საწვავი“ (ზედმიწ. შეშა-კვარი). ეს კომპოზიტი იმ ძველი ვითარების გამომხატველი უნდა იყოს, როცა შეშა კერიაზე ანთებისას გამოიყენებოდა როგორც გათბობის, ისე განათების საშუალებადაც.

ჰალტი-ფრმა : **ჰალტი-ფრმა** „შრომა, საქმე, ხელობა“ (← ხუნძ. **ჰალტი** „სამუშაო“- სპარს. **ფრმა** „საქმიანობა, ხელობა“). საანალიზო კომპოზიტი, რომელიც შედგენილია მიახლოებით ერთნაირი სემანტიკის შემცველ ხუნძურ და სპარსულ სიტყვათა კომპოზიციით, ხუნძურიდან უნდა იყოს შესული დიდოურ ენებში.

გარდა ზემოგანხილული ადამიანთა საქმიანობისა და ნათესაობის გამომხატველ სახელთა შემცველი კომპოზიტებისა, ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკურ მასალაში გვხვდება თხზული სახელები, რომელთაც შესაბამისი მონაცემები არ უდასტურდება რომელიმე ერთ-ერთ დიდოურ ენაში. ამგვარი ვითარება შეიძლება შეპირობებული იყოს, ერთი მხრივ, რომელიმე შესადარებელ ენაში სათანადო კომპოზიტის უქონლობით, ხოლო მეორე მხრივ, ადეკვატურ სახელთა გამოუვლენლობით, რასაც დამატებითი ძიება ესაჭიროება. ცალკეულ ენათა მიხედვით, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამგვარ კომპოზიტებს, რომელთაც ქართულში მეტწილად სტრუქტურულ-სემანტიკური ფარდობანი მოეპოვება:

საკ. დიდ.

გედ-ღელუ : ტანსაცმელი (ზედმიწ. „ხალათ-შარვალი“)

გრრთო-მუჟი : ხელის წისქვილნი (ზედმიწ. „წისქვილ-ბუდე“)

ზულმუ-ჟეკუ : მჩაგვრელი (ზედმიწ. „მჩაგვრელ-კაცი“)

მუჟი-ყური : ლოგინი, ლეიბ-საბანი (ზედმიწ. „ლეიბ-ტახტი“)

რჟი-ხინკ : ნივრიანი ხინკალი (ზედმიწ. „ნიორ-ხინკალი“)

რჟი-მუჟი : ხემსი, წახემსება

რელ-ჯრტი : ხორციანი სუპი (ზედმიწ. „ხორც-ბულიონი“)

რელ-ცენ : რეთლ-ცენი (ზედმიწ. „ხორც-რძისეული“)

როკუღვეი : გართობა, თავშექცევა

ტილუ-ჰუგრლუ : როდინი და ფილთაქვა

ქუმქ-ღანაზი : დამხმარე (ქალი)

ქუმქ-ჟეკუ//ვულუჯ-ჟეკუ : მოსამსახურე, დამხმარე (კაცი)

ქრტა-ყური : ცელისა და ნამგლის პირის გამოსაყვანი ხელსაწყოები, გრდემლ-კვერი (ზედმიწ. „ხელკვერ-გრდემლი“), შდრ. საკ. დიდ. **ჩანთა-ყური** „ცელის გამოსაპირი ხელსაწყო“ (ზედმიწ. „საპირე-გრდემლი“)

ქეც-იზ: განწყობა, დასვენება, დროის გატარება (ზედმიწ. „წოლა-დგომა“, შდრ. ხევს. **წოლა-დგომა** „სწორფრობა“)

შეტუ-ბრტუ : ტანსაცმელი (ზედმიწ. „ტანსაცმელ-ნაწილი“)

ხიანთ-ჟეკუ : მოღალატე, გამცემი (ზედმიწ. „მოღალატე-კაცი“)

ჰყუ-ყალა : ოჯახი (ზედმიწ. „ოჯახ-ციხე?“)

ჰრბო-რიკი : რიკ-ტაფელა (ზედმიწ. „ჯობ-რიკი“); იხ. **არხელი-**

ჰიბო

ბეჟ.

: **ბაბა-ცა** (საკ. ბეჟ.), **ბაბა-კიმა** (ჰუნზ.) „პურ-ღვინო, პურ-მარილი“ (ზედმიწ. „პური-ყველი“)

: **ნუგო-ცოგო** „ტკბილეული“.

2) სომატონიმებიანი კომპოზიტები. ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ადამიანის სხეულის აღმნიშვნელ სახელებს – სომატონიმებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ და, სულიერ-მატერიალური კულტურის ისტორიის გამომხეურების გარდა, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებათ გარესამყაროს ენობრივი აღქმისა და აზროვნების ჩამოყალიბების გარკვევის თვალსაზრისით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ანატომიური ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფი ენის მთლიან სიტყვიერ საგანძურში ქმნის ძირითად ღერძს, რომლის გარშემო სხვა სემანტიკური ჯგუფები იყრიან თავს¹. ამგვარი სახელები, როგორც ცნობილია, ლექსიკის ძველისძველ ფენას მიეკუთვნება და რეკონსტრუირდება ფუძემენის ქრონოლოგიურ დონეზე (მეიე 1938: 404-408; ჩიქობავა 2008: 60-90; ფოჩხუა 1974: 315-316...). ცხადია, ცალკე აღებული სომატური სახელები თავისთავად მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა უფრო მეტად საყურადღებოა ამგვარ სახელთა შერწყმით წარმოქმნილი კომპოზიტები, რომელთა მოტივაციისთვის, სემანტიკური განვითარებისა და სათანადო ცვლილებებისთვის თვალის გადავლება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: „სომატური სახელები იმ სიტყვათმეხამების გავლენით, რომლებშიც ისინია ჩართული, სიტყვის მნიშვნელობის განვითარების, პოლისემიის წარმოქმნის ნიმუშებსაც გვაწვდიან (სინტაგმატიკის გავლენა პარადიგმატიკაზე)“ (სუხიშვილი 2010: 8; იხ. ბუდაგოვი 1963: 150).

საკვლევ ენათა სომატურ სახელებთან დაკავშირებულ ლექსიკაში, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა **კოორდინაციული კომპოზიტები**, რომლებიც მიღებულია სხეულის ნაწილების ორ სრულმნიშვნე-

¹ მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში კომპოზიტთა სიტყვაწარმოების განხილვისას სომატურ კომპოზიტთა სტრუქტურასაც ეხება არაერთი მკვლევარი (შანიძე 1980: 147-162; ჩიქობავა 1966:78-82; ბოკარიოვი 1959: 182-183; იმნაიშვილი 1963: 160-163; აბდულაევი 1981; ვან დენ ბერგი 1995: 54-55; არდოტელი 2007: 58-60; ისაკოვი, ხალილოვი 2012: 229-262; კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 452-597...), თუმცა ანალოგიური სახელები, ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, საკმარისად შესწავლილი არ არის.

ლობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუძეთა) შეთხზვა-შეერთებით. ამ თემატური ჯგუფის განხილვისას ქართულშიცა და დიდოურ ენებშიც წამყვანი ადგილი **თავისა** და **გულის** შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ. ამასთანავე, **თავთან** დაკავშირებული სომატური კომპოზიტების რიცხვი საგრძნობლად აღემატება **გულის** („ასოთა **ველმწიფის**“ – საბა) მონაწილეობით თხზულ სახელთა რაოდენობას¹.

რაც შეეხება ლექსემა **ხელთან** როგორც ადამიანის ყოფა-ცხოვრების მომგვარებელ იარაღთან, შესტიკულაციის ინსტრუმენტთან და მეტაფორულად გააზრებულ ძალაუფლების სიმბოლოსთან დაკავშირებულ კომპოზიტებს, ამგვარი სახელები რიცხობრივადაც და ფუნქციურადაც ჩამორჩება ზემოხსენებულ სომატონიმებს. ამ შემთხვევაში არ მართლდება ჟ. ვანდრიესის მოსაზრება **ხელ** ლექსემის ხმარების სიხშირის უნივერსალურობაზე (ვანდრიესი 1937: 203).

სალიტერატურო ქართულში „თავ“ ლექსემის შემცველ კომპოზიტთა სიმრავლე თვალშისაცემია: **თავ-ბოლო, თავ-ზურგი, თავ-კისერი, თავ-კუდი, თავ-ლაში, თავ-მალა, თავ-პირი, თავსისხლი, თავ-ტანი, თავ-ფეხი, თავ-ქორი, თავ-ყელი, თავ-ყური, თავ-ცხვირი** და ა. შ.

ისმის კითხვა: რამ შეაპირობა ქართულ კოორდინაციულ კომპოზიტებში ლექსემა **თავის** ესოდენ დიდი ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა და თხზვის სიხშირე?

ამა თუ იმ სომატურ სახელზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ლექსემის ფუნქციური როლი და სემანტიკური ველი, რომელიც თითოეულ სომატონიმს მოეპოვება. კერძოდ, ქართულში **თავი** რეალურადაც და მეტაფორულადაც კომპლექსური ორგანოა, რომელიც სხვადასხვა ქვეორგანოთა (ყურება-მხედველობის, სმენის, გემოს, მეტყველების, აზროვნების) ერთიანობას წარმოადგენს.² აქვე შეიძლება ითქვას, რომ **თავი** ქართულში ერთგვარად დაპირისპირებულად კია **ტანთან**, რაც ცნაურდება **თავ-ტანი** კომპოზიტით. მაშასადამე, **თავი-ტანი** სემანტიკური კორელაცია, თუ კომპოზიტის კომპონენტებს ანტონიმებად მივიჩნევთ, რეალურად იქნება წარმოდგენილი. **თავ**- ძირი ძველსა და ახალ ქართულში გამოყენებულია სხვადასხვა ფუძეების საწარმოებლად, რომელთაც ძირითად მნიშვნელობებთან ერთად განსხვავებული

¹ რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება იბერიულ-კავკასიურ ენებში ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები, იდიომები და სხვა ფიგურალური გამოთქმა-ფორმულები, რომელთა წარმოებაშიც **გულს** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (ჩიქობავა 2008: 82-83).

² **თავი** ქართულში კუთვნილებით ნაცვალსახელადაც კი არის ქცეული.

დენოტაციებიც აქვთ. დაუდგენელია ამ სომატონიმის არქისემა, ვინაიდან ქართველურ ენებში მას მოეპოვება ნაირგვარი მნიშვნელობები (შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 226-227): 1. თავი – ადამიანის სხეულის ნაწილი; 2. თავი – თავთავი; 3. თავი – წინამძღოლი; 4. თავი – დასაბამი, დასაწყისი; 5. თავი – ნაცვ. თვითონ; 5. თავი – ცალკე, წინ, განკერძოებით. ეს ბოლო მნიშვნელობა უფრო სვანურსა და მეტ-ნაკლებად ძველ ქართულს ახასიათებს, რაც შესაძლოა ერთ-ერთ არქისემადაც მივიჩნიოთ (შდრ. გიგინეიშვილი 2016: 183). იგი, როგორც აღინიშნა, ბევრი კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილია და უმთავრესად თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, მაგ.: **თავ-ყური**, **თავ-ცხვირი**, **თავ-ყბა**, **თავ-ლაში**, **თავ-პირი**, **თავ-ქოჩორი**, **თავ-შუბლი** და მისთ.

გარდა ზემომოყვანილი სახელებისა, **თავი** დასტურდება სხვა ანატომიურ სახელებთანაც, მაგ.: **თავ-ბოლო**, **თავ-ზურგი**, **თავ-კისერი**, **თავ-ყელი**, **თავ-კუდი**, **თავ-ტანი**, **თავ-ფეხი**, **თავ-ხელი** და სხვ.

ქართული ენის (განსაკუთრებით ფხოური წრის) დიალექტები ანალოგიურ კომპოზიტებს მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგენენ, რომლებშიც საანალიზო ლექსემა კვლავ თავკიდურად გვხვდება, მაგ.: ხევს. **თავ-გონი** – ჭკუა, მოფიქრება, გააზრება (ჭინჭარაული 2005, 382); **თავ-ენა** – მსჯელობის, საუბრის უნარი (ჭინჭარაული 2005, 382); **თავ-თორპილი** – თავი და პირისახე (ჭინჭარაული 2005, 384); **თავ-რქა-ნ-ი** – 1. რქები (ჩვეულებრივად ხატში შესაწირავად მიაქვთ ხოლმე). 2. თავი და რქები (ჭინჭარაული 2005, 388); **თავ-ცხვირი** – ცხვირ-პირი, სახე (ჭინჭარაული 2005, 396); **თავ-წვერი** – მოთავე, ვინც რასმე თავობს¹ (ჭინჭ. 2005: 396)...; თუშ. **თავ-პირი**: თავ-პირის დაპარსვა – (თავპირს იპარსავს) „ნაზამთრ ცხვარს, გაზაფხულზე, მომატებას რომ დაიწყებს, თავზე მატყლი გასცვივდება“ (ცოცანიძე 2012, 112); **თავ-ბოლო** – შნო, მარიფათი, შეძლება (ცოცანიძე 2012, 110)...

ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, **თავ-თორპილი** (თავი და პირისახე), მეორე მხრივ კი, **თავ-ცხვირი** (ცხვირ-პირი, სახე), რომელიც უფრო გავრცელებულია და სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრებული: „თავი და ცხვირი, – ცხვირ-პირი, პირისახე“ (ქეგლი IV ტ. 1955, 286). კომპოზიტი **ცხვირ-პირი**, რომელიც **თავ-ცხვირის** განსამარტავად არის მოხმობილი, სმანტიკური ასპექტით, ქვეკლასს წარმოადგენს, ვინაიდან **თავ-ცხვირი** (resp. **თავ-პირი**) მას მთლიანად მოიცავს. ამდენად, **ცხვირ-თავი** (resp. **პირ-თავი**), მეორე კომპონენტის პრიორიტეტულობის გამო, კომპოზიტის ფორმირება ნაკლებ მოსალოდნელი იყო. რაც

¹ ამ შემთხვევაში კომპოზიტი ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით.

შეეხება მეორე კომპოზიტი **თავ-თორპილს**, ხევსურულის ეს მონაცემი საყურადღებო იმ თვალსაზრისითაც არის, რომ კომპოზიტის მეორე ნაწილი ფონეტიკურად და სემანტიკურად საკმაოდ შეცვლილია: **თორპილი** ← **თოლ-პირი** ← **თვალ-პირი**¹. ამ კომპოზიტის სემანტიკური გადააზრინება და მნიშვნელობის დავიწროება ასე გვესახება: **თვალ-პირი** (თვალი და პირი) → **თოლ-პირი** (პირისახე) → **თორპილი** (ლოყა, დაწვი)².

საგულისხმოა, რომ კომპოზიტებში **თავი** ჩვეულებრივ წინ დგას, რაც შემთხვევითი არ ჩანს. პრეპოზიციურობა საზოგადოდ პრიორიტეტს წარმოადგენს და იმ საზოგადოების წევრებისთვისაც, რომელთა ცნობიერება-აზროვნებამაც ჩამოაყალიბა ამგვარი კომპოზიტები, სემასიოლოგიურად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო უფრო ფასეული წევრისთვის ადგილის წინ მიჩენა, სხვა შემთხვევაში თხზული სახელების უშუალო შემადგენელთა სხვაგვარ წყობასთან (გვაქვს **თავ-ცხვირი**, არ გვაქვს **ცხვირ-თავი**)³, ან მათ თავისუფალ მონაცვლეობასთან გვექნებოდა საქმე.

ამ თვალსაზრისით, დიდოური ენები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ვითარებას წარმოაჩენენ. კერძოდ, დიდოურ (resp. დაღესტნურ) ენებში, მართალია, **თავ-ფეხი** ქართულის ანალოგიურია (საკ. დიდ. ყიმ-ჯოშო, ზედმიწ. „თავ-ფეხი“, ბეჟ. ყამ-ხაბან „თავ-ფეხი“) ისევე, როგორც **ჯიგარი**, **შიგნეული** (**ახ-ბილ** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“, ზედმიწ. მუცელ-მაჭიკი, შდრ. პირიქით: **ინახუ-ახ**, ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“) (ისაყოვი, ხალილოვი 1986: 26), მაგრამ მინიმალურად განსხვავებული ან სხვა კომპოზიტები (თავ-ფეხი, ცხვირ-პირი, პირისახე...) განსხვავებული წყობით დასტურდება: საკ. დიდ. **კონჭუ-ყიმ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „წვივ-თავი“, შდრ. ყიმ-ჯოშო, ზედმიწ. „თავ-ფეხი“), **ჰუტ-მზალი** „სახე, პირისახე“ (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), **ჰუჭ-მალი** „სახე“ (ზედმიწ. „ლოყა-ცხვირი“), **ქოლ-რეტა** „ხელ-ფეხი“ (ზედმიწ. „ფეხ-ხელი“)...; ბეჟ. **მუჭ-ყამ** „თავ-თმა“ (ზედმიწ. „თმა-თავი“), **მოტო-ყამ** „თავ-პირი“ (ზედმიწ. „პირ-თავი“) და მისთ.

¹ ალ. ჭინჭარაული ძირითად ტექსტში სალექსიკონო ერთეულად იმოწმებს ოდენ **თვალ-პირს**, თუმცა კომპოზიტის (**თავ-თორპილი**) შემადგენლობაში ეს სახელიც სწორად არის განმარტებული, იხ. ზემოთ.

² ბოლო მნიშვნელობა დანამდვილებით დასტურდება ხევსურული დიალექტის მიღმახეურ თქმაში.

³ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა აიხსნას, სახელმძღვებელი ამა თუ იმ სახელს წინ დასმით რატომ ანიჭებდა უპირატესობას, ფუნქციურ-სემანტიკურად რატომ აღემატებოდა **ცხვირი პირს** (**ცხვირ-პირი** ანდა პირიქით) და ა. შ.

მამასადაძამე, ირკვევა, რომ დიდოურ ენებში, ქართულისაგან განსხვავებით, კომპოზიტის წევრთა წყობა არ არის შეზღუდული მარცვალთრაოდენობით და შედარებით თავისუფალია.

რაც შეეხება საკვლევ ენებში ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სომატონიმ **გულს**, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტებიც ხელშესახებად არის წარმოდგენილი: **გულ-გვამი, გულ-ღვიძლი, გულმკერდი, გულ-მუცელი, გულ-ფილტვი, გულყია** („ყელის ყანყრა-ტო“ – საბა), **გულგულა** და ა.შ.

ამ რიგის თხზულ სახელებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კოორდინაციულ კომპოზიტებში **გული** პრეპოზიციურად, როგორც წესი, ეწყვილება ოდენ **ტანის** ნაწილებს (იხ. ზემოთ), თუმცა პოსტპოზიციურად გამოყენების შემთხვევები უპირატესად დამახასიათებელია მთიდან გამოსული მწერლებისა და პოეტებისათვის (ვაჟა-ფშაველა, გ. ჯაბუშანიური...): **ყელ-გული** – ხალისი (ავთ. არაბ.) (ჭინჭარაული 2005, 939), შდრ. **გულ-ჯელ არაზე მიუდის** – არაფრის გაკეთების ხალისი და სურვილი არ აქვს (ჭინჭარაული 2005, 1143); **წელ-გულს მასწყვეტს** – ძალიან შეაწუხებს; წელსა და მკერდს წაართმევს (ჭინჭარაული 2005, 1072): „ხვალ გაითბობენ წელ-გულსა, თუ დღეს არიან ცივადა“ (ვაჟა).

ზემოწარმოდგენილი კომპოზიტებიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რედუპლიცირებულ **გულგულა**-ს, ყურადღებას იპყრობენ **გულ-ღვიძლი** და **გულყია**¹. სისხლის ფუნქციონირებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირველი კომპოზიტის წინა კომპონენტი ფუნქციონისემანტიკით მკვეთრად აღმატება მეორისას, რასაც ნათელყოფს მისი მეორე მნიშვნელობა – „იგივეა, რაც გული“ (ქეგლ II ტ. 2010, 1649). ლექსემა **გულის** ფორმა-შინაარსის შესახებ მოსაზრებები, პ. უსლარიდან მოკიდებული და უკანასკნელი ნაშრომებით დასრულებული, ცნობილია იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში და დამატებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ (იხ. ჩიქობავა 2008: 81-83; გიგინეიშვილი 2016: 98), მხოლოდ დავძენთ, რომ ბეჟიტურ ენაში ზუსტად ქართულის ანალოგიური კომპოზიტი შეიმჩნევა: საკ. ბეჟ. **ააკო-შებო** გულ-ღვიძლი. რაც შეეხება **ღვიძლს** როგორც პირდაპირი მნიშვნელობით („ნაღვლის გამომყოფი შინაგანი სეკრეციის ორგანო“), ისე გადატანითი მნიშვნელობებითაც (1. „სისხლით მონათესავე“; 2. „მშობლიური, თავისიანი“) ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება, თუმცა მეორე მნიშვნელობით ძალიან იშვიათად გამოიყენება (გელენიძე 1974: 112). აღსანიშნავია, რომ ქართული ენის დიალექტებში საანალიზო ლექსე-

¹ შებრუნებული წყობა ჩვეულებრივ არ შეინიშნება.

მას თვალსაჩინო სემანტიკური ცვლილებები განუცდია: იმერ. **ღვინჯა** (← ზან.) „ძალიან მწიფე ხილი“; ლეჩხ. **ყვინწლი** „ძლიერ მწიფე“; რაჭ. **ღვიძლი** „ლოღნოშოს და მისთანათა ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი“ და ა. შ.

ქართველურ ენათა სინამდვილეში **ღვიძლ**- ფუძის კანონზომიერ ბგერათშესატყვისებსა და სემანტიკურ გადახრაზე ჯერ არნ. ჩიქობავამ (ჩიქობავა 2008: 83), შემდეგ კი გ. როგავამ (როგავა 1979: 169-172) მახვილგონივრული დასკვნითი დებულებები წარმოადგინეს. ირკვევა, რომ **ღვიძლ** სახელს სემანტიკური ტრანსფორმაცია შემდეგნაირად განუცდია: **ღვიძლი** (ქართ., სვან.) → **შავ-ყვითლად დამწიფებული** (მეგრ.) → **ძალიან მწიფე** (იმერ., ლეჩხ.) → **ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი** (რაჭ.). ვარაუდობენ, რომ სომატურ ტერმინ **ღვიძლს** ძირითადი მნიშვნელობა გადატანით მნიშვნელობად (ღვიძლი ძმა, ღვიძლი და...) შეცვლილი უჩანს უკვე „ქილილა და დამანაში“: „ესე ყრმა, ჩემისა ღვიძლისა ნაკუეთი, შენ შეგითვისებია“ (სუხიშვილი 2010: 263-264). საინტერესოა, რომ დიდოურ ენებში უფრო **გული** გამოიყენება ამ ფუნქციით: ბეჟ. **იაკო-ვაცცა** „გულითადი მეგობარი“ (ზედმიწ. „გულ-მეგობარი“).

რაც შეეხება **გულყიას**, ეს კომპოზიტი მეორე კომპონენტად **ყია**-ს გვიჩვენებს, რომელიც, ს.-ს. ორბელიანის დეფინიციით, არის „ყელის ყანყრატო“. ამჟამად იგი ორგვარად განიმარტება: 1) სახმო სიმებს შორის გასწვრივ ნაპრალს ეძახიან ყიას (გ. ახვლედიანი); 2) ადგილი ისარზე, სადაც ფრთებია დაკრული (ალ. ჭინჭარაული). მეორე გადატანითი და მოტივირებული მნიშვნელობა აშკარად პირველი პირდაპირი მნიშვნელობის მსგავსებითიგადააზრიანება-გადაწევის შედეგია. თავად კომპოზიტის მნიშვნელობა ცალ-ცალკე აღებული კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს უფრო ნაკლებად უდრის, ვინემ **შიგნეულის**, **ჯიგრის** მნიშვნელობას.

გარდა **გულის** შემცველი კომპოზიტებისა, სალიტერატურო ქართულშიც და მის დიალექტებშიც დასტურდება „თვალთან“ დაკავშირებული თხზული სახელები, რომლებიც უფრო მეტად ვერ იკუთვნებენ პოსტპოზიციას, მაგ.: **თვალ-გული**, **თვალ-ტანი** (→ თვალტანადი), **თვალ-წამწამი**, **თვალ-წარბი**, **თვალ-კამარა**, **თვალ-პირი** და მისთ.

ქართული სომატური კომპოზიტების შედარება ჩვენს ხელთ არსებულ დიდოურ ენათა სათანადო მასალასთან ცხადს ხდის, რომ ამ ტიპის კომპოზიტები და ანალოგიური სემანტიკური გადახრა-გადაწევები, მიუხედავად ზოგი განსხვავებისა, იმ ენათათვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. კერძოდ, საკუთრივ დიდოურ ენაში ლექსემა **ჰამორი**

გამოხატავს **მკერდსაც** და **ხველასაც** (მეორე მნიშვნელობა პირველისგან არის განვითარებული: **მკერდი** → **ხველა**, **ნახველი**). იგი გამოიყენება კომპოზიტიში **ჰამო-როკუ** „გულმკერდი“ (ზედმიწ. „მკერდ-გული“), რომლის პირველ კომპონენტს პირვანდელი მნიშვნელობა („მკერდი“) მოეპოვება. ბეჟიტურში, მართალია, **მკერდს** რაიმე კონოტაცია არ უდასტურდება, მაგრამ **სურდოს** აღმნიშვნელ კომპოზიტიში (**ღეიმა-ყამის**, ზედმიწ. „მკერდ-თავის“ = სურდო, გრიპი) მისი სემანტიკური ველი, თავდაპირველ მნიშვნელობასთან მიმართებით, აშკარად გადაწეულია. გარდა ამისა, საინტერესო ჩვენებას გვაძლევს კომპოზიტი **ხოტორი-ყუბი** (საკ. დიდ.) „შიგნეული, ჯიგარი“ (ზედმიწ. „ფილტვ-ღვიძლი“, შდრ. **ახ-ბილ** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“, ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“), ე. ი. **შიგნეულის** აღსანიშნავად, ერთი მხრივ, გამოყენებულია **ფილტვ-ღვიძლი**, მეორე მხრივ, ზედმიწ. **მუცელ-მაჭიკი**, ხოლო, მესამე მხრივ, ზედმიწ. **ნაწლავ-კუჭი**. ცხადია, ამ კომპოზიტებისა თუ მათში შემავალი კომპონენტების სემანტიკური ველები მეტ-ნაკლებად განსხვავებული ჩანს და ისინი ერთმანეთს ვერ დაემთხვევა. დაახლოებით ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა კოორდინაციულ კომპოზიტებშიც.

სემანტიკური თვალსაზრისით, **სუბორდინაციული კომპოზიტები** უფრო მეტად სტანდარტიზებული და რაფინირებულია, ამდენად თითქოს დიდ თავისებურებებს არ უნდა ამჟღავნებდნენ. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის კომპოზიტებიც ავლენენ არაერთ საინტერესო ნიშან-თვისებას. სახელდობრ, ქართულ ენაში ომონიმური **წელი** (1. ანატომიური ორგანო; 2. წელიწადი; 3. სარტყლის ადგილი) საბასთან განმარტებულია **ნაწლევადაც**: „წელი ეწოდებიან **ნაწლევსა** (ხაზგასმა ჩვენია – ნ. ა.) კაცთასა, რომელ არს ურჩხი, კვალად წელი ეწოდებიან სიბასა კაცთასა და სხვათა ცხოველთასა, კვალად წელი ეწოდებიან წელიწადსა“ (საბა). ეს მნიშვნელობა ჩანს უწინარესი, ვინაიდან საანალიზო სახელი ზუსტ ფონემურ და სემანტიკურ შესატყვისობებს გვიჩვენებს ზანურში (ჩიქობავა 2008: 85-86). მაშასადამე, ამ სომატონიმის სემანტიკური გარდასახვა-გარდაქმნა (წელი → ნაწლევი) ფორმოზრვიანად ნათელიყოფილია: **წელი** → *ნა-წელ-ევ-ი → **ნაწლევი**.¹

ქართულისაგან განსხვავებით, დიდოურ ენათა სინამდვილეში „წელი“ აღწერთად იწარმოება: საკ. დიდ. **აშუნადმოჩი** „სასარტყელ ადგილი“, ბეჟ. **ცოტაყასმწაჩე** „სარტყლის ადგილი“.

¹ ეს ფუძე შეიძლება „წელვა“ ზმნასთანაც იყოს დაკავშირებული (ამაზე სხვა დროს).

ცნობილია, რომ დიდოურ ენებში ზოგი ანატომიური ორგანოს ნომინაციისთვის ფართოდ გამოიყენება მოდელი **მსაზღვრელი + ადგილი** (ისაკოვი, ხალილოვი 1986: 27). სწორედ ამ მოდელის მიხედვით არის ნაწარმოები არაერთი სომატონიმი, რომლებიც კომპოზიტიური წყვილულის წევრებად გვევლინებიან, მაგ.: საკ. დიდ. **პაპარუმოჩი** „მელოტი“ (ზედმიწ. „უთმო ადგილი“), **ჰოლქსი მოჩი** „შორისი“ (ზედმიწ. „ფეხისეული ადგილი“)....; ბეჟ. **აკრმაჩე** „ხალი“ (ზედმიწ. „ხალის ადგილი“), **ფოლლმაჩე** „ნაოჭი“ (ზედმიწ. „დანაოჭებული ადგილი“) და მისთ.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს სომატონიმი **საშვილოსნო**, რომლის სემანტიკურ ეკვივალენტად საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება პოლისემანტიკური **სი^ნ** (1. დათვი; 2. ბუდე; 3. საშვილოსნო), რომლის მეორე და მესამე მნიშვნელობები გენეზისურად ერთმანეთთან ჩანს დაკავშირებული: **ბუდე¹ → საშვილოსნო**. რაც შეეხება ჰუნზიბური დიალექტის მონაცემს, იგი საკუთრივ დიდოური მონაცემის ანალოგიურია: ჰუნზ. **ყარასმაჩე**, საკ. დიდ. **ხეხასმოჩი** საშვილოსნო (ზედმიწ. ბავშვის ადგილი). ანალოგიურ მოვლენას ადასტურებს ლ. აზმაიფარაშვილი ხუნძურში იმ განსხვავებით, რომ ანწუხურ დიალექტში მსაზღვრელად გამოყენებული **ჯიზან** („ოჯახი“), სემანტიკური ცვლილების საფუძველზე, „ბავშვად“ არის გადააზრიანებული (**ხიზანალჟულ ბაკ** „საშვილოსნო“, ზედმიწ. „ბავშვის ადგილი“) (აზმაიფარაშვილი 2015: 16). დაახლოებით მსგავს ვითარებას გვიჩვენებს ჩეჩნური კომპოზიტი: **ბერანჯა** „საშვილოსნო“ (ზედმიწ. „ბავშვის სახლი, სამყოფო“).

საკვლევ ენათა შორის სტრუქტურული მოდელის მსგავსებისა-საც შეიძლება გამოვლინდეს სემანტიკური სხვაობები. კერძოდ, ქართულში გვხვდება **გულისყური** „მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიწდომა და ქმნა“ (საბა); „ყურადღება, ინტერესი, გულისხმიერება“ (ქეგლ II ტ. 2010, 1633).

ზემომოყვანილი განმარტებებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ მთლიანობაში ეს კომპოზიტი დაცლილია პირდაპირი და ძველი მნიშვნელობისაგან. დიდოურ ენათა სათანადო ეკვივალენტს თუ შევუდარებთ, სტრუქტურული მსგავსების პირობებში თვალსაჩინო სემანტიკური

¹ **ბუდე** რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება საბასთან, მათგან უმთავრესია: 1) ფრინველთ სახლი; 2) საყოფელი მჭევთა; 3. ქუთუთო თვალთა. ხევსურულში სხვა მნიშვნელობათა შორის დასტურდება **ბუდენი** (ფურისა) „პროხის საშვილოსნო“. შესაძლოა, ოდესღაც ადამიანისთვისაც იგივე სახელი იყო გამოყენებული.

სხვაობა გვექნება, მაგ.: ბეჟ. **აკის ჰლან** (საკ. ბეჟ.), **რაკის ჰლა** (ჰუნზ.), საკ. დიდ. **როკუსაკიბაი** „აორტა“ (ზედმიწ. ბეჟ. „გულის ყური“, საკ. დიდ. „გულის ყურები“).

ადამიანის შეგრძნებებიდან აღსანიშნავია **მაკ-მეში** : **მეში-მაკ** „სუნი“ (ზედმიწ. „სუნ-სული“ : „სულ-სუნი“). მეტად საინტერესო ფაქტს ვაწყდებით ამ კომპოზიტი იმ თვალსაზრისით, რომ დიდოურ ენათა სინამდვილეში, თუ სათანადო კომპონენტთა წყობას არ მივიღებთ მხედველობაში, ზუსტად ერთნაირი ვითარება გვაქვს. მართალია, თარგმნისას ეს კომპოზიტი **სუნად** გადმოდის, თუმცა მისი ბადალი კომპოზიტი იქნებოდა **სუნსული** (← **სუნ-სული**, შდრ. საკ. დიდ. **მაკ** „სუნი“ – **მეში** „სული“).

ამრიგად, თითოეულ საკვლევ ენაში შესაბამისი ემპირიული მასალის სემანტიკური ანალიზი და ამ ანალიზით მიღებული მონაცემების ურთიერთშედარება იძლევა ზოგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: ა) სომატურ სახელებთან დაკავშირებულ კოორდინაციულ კომპოზიტებში წამყვანი ადგილი **თავისა** და **გულის** შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ; ბ) **თავთან** დაკავშირებული სომატურ კომპოზიტთა რიცხვი საგრძნობლად აღემატება **გულის** („ასოთა ჯელმწიფის“) მონაწილეობით თხზულ სახელთა რაოდენობას; გ) ქართულში **თავი** მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც სხვადასხვა ქვეორგანოთა ერთიანობას წარმოადგენს და მისი პროდუქტიულობა კომპოზიტებში ამითაც ჩანს შეპირობებული; დ) **თავი** ლექსემისთვის დამახასიათებელია პრეპოზიციურობა და იგი, უწინარესად, თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, მაგ.: **თავ-ყური**, **თავ-ცხვირი**, **თავ-ყბა**, **თავ-პირი** და მისთ.; ე) დგინდება არაერთი სემანტიკური რეინტერპრეტაცია: **თვალ-პირი** (თვალი და პირი) → **თოლ-პირი** (პირისახე) → **თორპილი** (ლოყა, ღაწვი), **ღვიძლი** (ქართ., სვან.) → **შავ-ყვითლად დამწიფებული** (მეგრ.) → **ძალიან მწიფე** (იმერ., ლეჩხ.) → **ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი** (რაჭ.), **ბუდე** → **საშვილოსნო...**; ვ) ქართული კომპოზიტების შედარება დიდოურ ენათა სათანადო ეკვივალენტებთან ამჟღავნებს როგორც მსგავსებებს, ისე განსხვავებებს.

3. ცხოველ-ფრინველთა სახელების შემცველი კომპოზიტები. საკვლევ ენებზე მეტყველი ხალხები ძველთაგანვე მისდევდნენ მეცხოველეობას, ვინაიდან სხვანაირად მთის მკაცრ პირობებში არსებობა შეუძლებელი იქნებოდა (ლუგუევი, მაკომედოვი 1994: 31). შინაური ცხოველ-ფრინველის მოშენება-მოვლასთან ერთად,

ცხადია, აქტუალური იყო გარეულ ნადირ-ფრინველზე ნადირობა და ამით თავის რჩენა. იმ ადგილ-გარემოში, სადაც დიდოური მოდგმის ხალხები და ქართველი მთიელები ცხოვრობდნენ, უხვად ბინადრობდა სხვადასხვაგვარი ნადირ-ფრინველი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკვლევი ენები ცხოველ-ფრინველთა გამომხატველი ლექსიკით საკმაოდ მდიდარია. მეტ-ნაკლებად მდიდარია ამგვარ სახელთა თხზვით მიღებული კომპოზიციებითაც, რომელთაგან ზოგიერთი ქვემოთ იქნება განხილული.

საკ. დიდ. : ზეფ. : ქართ.

ალლაჰესზიამა : **ალლაჰლისსოდრა** „ჭიამაია“ (ზედმიწ. „ალაჰის ძროხა“ : „ალაჰის ცხენი). ყურადღებას იქცევს დიდოურ ენათა ჩვენება, რომელშიც **ჭიამაია ალაჰის ძროხად** (საკ. დიდ.), **ალაჰის ცხენად** არის სახელდებული. ბუნებრივია, პოსესიური ტიპის თხზულ სახელში წამყვანი სემანტიკური როლი მეორე კომპონენტს ეკისრებოდა. შესაძლოა, ამ რიგის კომპოზიტივში მოჩანდეს ბევრი ხალხის იმგვარი რწმენა-წარმოდგენის კვალი, რომლის მიხედვითაც ჭიამაიები **ღვთის სისხლის წვეთად** მიიჩნეოდნენ და ხალხს უფლის ნებას ამცნობდნენ.

აქრი-ხური : კარო-კიმა „ყველი“ (ზედმიწ. „ყველი-მშრალი ყველი“ : „კეფირ-ყველი“). მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურად კომპოზიტის კომპონენტები სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვებია, მათ შორის გარკვეული მსგავსება მაინც არის. ყველის დამზადების ტექნოლოგია დიდოელებში საკმაოდ განვითარებული იყო და ყველის მრავალფეროვნებაც ამას უკავშირდება. ბეჟიტურში **კეფირთან** დაკავშირებული ყველის ნაირსახეობაც ამისი გამოძახილი ჩანს.

ჰაიჟან-ფრსუ // ჰაიჟან-ღურო: ბოწი-ჰამინ „საქონელი, პირუტყვი“ (← არაბ. „ცხოველ“ – დიდ. „საქონელი“ : ხუნძ. „წვრილფეხა საქონელი“ – არაბ. „მსხვილფეხა საქონელი“). დიდოელებში მეცხოველეობა, მიწათმოქმედებასთან ერთად, კარგად იყო განვითარებული. ისინი მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენებასა და მოვლა-პატრონობას. ბუნებრივია, რომ ამ დარგის აღსანიშნავად, ცალკეული სიტყვა-ფორმების გარდა, თხზული სახელებიც გვხვდება. კერძოდ, საკუთრივ დიდოურში დასტურდება არაბული და დიდოური სახელების თხზვით წარმოქმნილი კომპოზიციებიც. ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი არაბული წარმომავლობისაა, რომელიც ხუნძურის გზით (ხუნძ. **ჰაიჟან** „ცხოველი“) არის შემოსული და სემანტიკურადაც მეტ-ნაკლებად ადეკვატურია. მეორე კომპონენტად

საკუთრივ დიდოური სახელები (**ფოსუ** საქონელი, **ღურო** // **ღჭირო** „ძროხების ნახირი“) დასტურდება, რომელთაგან ზოგ სახელში ლექსიკურ-სემანტიკური დიფერენციაცია მეორეული მოვლენა ჩანს. კერძოდ, **ღურო** („ძროხების ნახირი“) კრებითობის გამომხატველი სახელი მიღებული უნდა იყოს კონკრეტული სახელისაგან, რასაც ადასტურებს ასახურ თქმაში გარჩენილი სიტყვის მნიშვნელობა **ღჭირო** „ძროხა“ (შდრ. ჰინ. **ღჭერო**, id.“).

რაც შეეხება ბეჟ. **ბოწი-ჰამმან** კომპოზიტის მნიშვნელობას, იგი ხუნძური ნასესხობაა და დაახლოებით იმავე სემანტიკური ველის მატარებელია, რაც წყარო-ენაში აქვს.

ლ'ანრაჯუ : **ზალ'ოხულ'ო** (ბეჟ.), **ზალ'ეხულ'ი** ← **ზალ'ე-ხულ'ი** (ჰუნზ.) „ქარიყლაპია“ (ზედმიწ. „ქარ-მსმელია“). მოტივაციის თვალსაზრისით, ამ სახელწოდება ყველა საკვლევ ენაში მეტ-ნაკლებად ერთგვარია. ბეჟიტურ და ქართულ ენებში იგი **ქარის მსმელს**, **ქარიყლაპიას** აღნიშნავს, ხოლო საკუთრივ დიდოურსა და ქართული ენის ზოგ დიალექტში (ხევს.) **მექარიას** (შდრ. საკ. დიდ. **ლ'აცი** „ქარი“) მნიშვნელობა აქვს.

ზე-ბრწი : **სინ-ბაწო** „გარეული ცხოველები“ (ზედმიწ. „დათვ-მგელი“). მართალია, სალიტერატურო ქართულში **გარეული ცხოველების ჯგუფი** აერთიანებს არაერთ სხვა ცხოველსაც, მაგრამ მასში, უპირველეს ყოვლისა, გარეული ცხოველებიდან მოიაზრება **დათვი** და **მგელი** როგორც კავკასიის ბუნებაში მობინადრე ძირითადი მტაცებელი ცხოველები. განსახილველი კომპოზიტი ზოგ დიალექტში **დათვ-მგლის** სახითაც გვხვდება და ერთი სემანტიკური ჯგუფის კუთვნილებანი არიან. როგორც ჩანს, ამ წყვილულში ფუნქციურ-სემანტიკურად **დათვს** ეკისრება ძირითადი ფუნქცია, ხოლო **მგელი** მასზეა დამოკიდებული. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ **დათვისა** და **მგლის** სემანტიკური ვარიაციები არ გვხვდება, რაც ამ სახელთა ხმარების სიხშირესა და სტაბილურობასთან ჩანს დაკავშირებული.

თუმ-თამაგა : **ინჯ-ბოწი** „თუშური ცხვარი“ (ზედმიწ. „თუმ-ჯიში“ : „თუმ-ცხვარი“). ამ კომპოზიტის კომპონენტები სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ანალიზისას ყურადღებას იქცევს დიდოური მონაცემი, რომელიც უშუალოდ ცხვარს კი არ აღნიშნავს, არამედ ცხვრის ჯიშს. კავკასიაში საყოველთაოდ გავრცელებული **თუშური** (მერინოსის ჯიშის) **ცხვარი** დიდოელთა შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაც ბეჟიტური კომპოზიტიდანაც თვალნათლივ ჩანს. ბეჟიტურ ენაში **ინჯ** თუმს აღნიშნავს, ხოლო **ბრწი** (← ხუნძ. **ბრწი** საქონე-

ლი, პირუტყვი), ცხვრის გარდა, ორივე საკვლევ დიდოურ ენაში **ქონე-ზა-სიმდიდრის** მნიშვნელობასაც შეიცავს, რაც ხუნძური სიტყვის მნიშვნელობის გადაწევისა და დავიწროებაზე მიგვანიშნებს. მართალია, **ცხვრის** მნიშვნელობით საკუთრივ დიდოური ენა ამ ლექსემას მოკლებულია, მაგრამ ბეჟიტურში მას წვრილფეხა საქონლის გამომხატველი ზოგადი სახელის მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, ბეჟიტურში, გარდა ხუნძური ნასესხობისა, თავს იჩენს წვრილფეხა საქონლის კონკრეტული მნიშვნელობის გამომხატველი **ხომ** (ბეჟ.), **ხორ** (ჰუნზ.) სახელიც. ეს გარემოება მიგვანიშნებს ცხვრის მნიშვნელოვან როლზე ამ ხალხთა სამეურნეო ყოფაში.

ყიმჭლი : **ლედდა-ტიტო** „თავკომბალა“ (ბეჟ. „ირმის ღიჭა“, „ირმის ეკალი“). დიდოურში **თავკომბალა** ორგანულად არის ნაწარმოები, თუმცა ბოლომდე ნათელი არ არის ბოლოკიდურად **-ლი** სემანტიკის ფუნქცია. რაც შეეხება ბეჟიტურ კომპოზიციას, იგი წარმომავლობით პოსესიური კომპოზიტი ჩანს: **ლედდა-ტიტო** (← **ლედდას-ტიტო** ← **ლედდას¹ ტიტო**, ზედმიწ. „ხარირმის ეკალი“). მაშასადამე, ბეჟიტურ და ქართულ კომპოზიტებს შორის არანაირი სტრუქტურულ-სემანტიკური მსგავსება არ გვაქვს.

ლ'იდ-ღ'ილ : **ლედ-ღელ** (ჰუნზ.) „ნადირი, შველ-ირემი“ (ზედმიწ. „ხარირემ-ფურირემი“). საგულისხმოა, რომ ორსავე საკვლევ დიდოურ ენაში კომპოზიტი სრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ თანხვედენას გვიჩვენებს, თუმცა მისი კომპონენტები განსხვავებულ სახელთა სემანტიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ეს კომპოზიტი ვერ დავადასტურეთ, თუმცა მისი კომპონენტები (**ლედ** „ირემი“, **ღანე** „შველი, ფურირემი“) სრულად შეესატყვისება დანარჩენ მონაცემებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველი კომპონენტი, რომელიც ირმის ზოგადი სახელიცაა და, ქართული-საგან განსხვავებით, **ხარირმის** ცნების გამომხატველიც. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ირმის ზოგად სახელად სახელდება დიდ. **აღა** „ირემი“ (ისაყოვი, ხალილოვი 1988: 117), თუმცა იგი სინამდვილეში **ჯიხვს, ნადირს** აღნიშნავს. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, იგი, ვფიქრობთ, ისტორიულად სათანადო სქესზე მისათითებელი ატრიბუტივი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც კომპოზიტური აგებულების **დედა-ლი ცხვრის** სახელში: საკ. დიდ. **ბეტ'ღუ** (ზედმიწ. „ცხვარ-დედალი“)

¹ ე. ბოკარიოვი **ლედდა** (ირემი) სიტყვაში **-და** სუფიქსს გამოყოფს (ბოკარიოვი 1959: 82), მაგრამ იგი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, **-ლა** სუფიქსისაგან ასიმილაციით ჩანს მიღებული (არდოტელი 2014: 117).

← ბეტ-ღუ ← *ბეტ-ღულ ← *ბეტ-ღუილ (მდრ. ბეჟ. ბეტ¹, id.). მაშასადამე, ამ კომპოზიტიშიც, როგორც ჩანს, არქეტიპად დაცული მეორე კომპონენტი სტრუქტურულად ამავე აგებულებისა ჩანს (**ღუილ**) და სემანტიკურად მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო: „ირემ-დედალი“ (მდრ. „ცხვარ-დედალი“) = ქართ. **ფურ-ირემი**.

ნუცოტოსი ტუტ : ნუცოდაჯ ტოტ „ფუტკარი“ (ზედმიწ. „თაფლიანი ბუზი“). სემანტიკური თვალსაზრისით, დიდოური ენები ამ კომპოზიტიშიც კანონზომიერ თანაფარდობას ამჟღავნებენ. მცირეოდენი განსხვავება ის არის, რომ ბეჟიტურ ენაში სუბორდინაციული კომპოზიტის არამთავარი წევრი დგას ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაში – პოსესივში, რაც თანაობას გადმოგვცემს: **ნუცოდაჯ ტოტ**, ზედმიწ. „თაფლთანა ბუზი“. თაფლის მკეთებელი მწერის სახელად ქართულში, გარდა **ფუტკრისა**, დასტურდება **თაფლის მწერი** (საბა), რომელიც მეტნაკლები სიზუსტით იმეორებს დიდოურ ენათა მონაცემებს.

რაც შეეხება ახალი ქართული **ფუტკრის** ეტიმოლოგიას, იგი სინქრონიულად კომპოზიტიური აგებულებისა არ ჩანს¹ და, ცხადია, ამით თვალსაჩინოდ განსხვავდება სათანადო დიდოური თხზული სახელებისაგან. კერძოდ, **ფუტკარ**- ფუძის პირვანდელი სემანტიკა ზმნური (resp. მიმღებური) უნდა ყოფილიყო, რაც ნიშნავდა არა **გამოკვირტვას**, არამედ **გამოყრას**, **გამოფურცვლას**, **გაფუებას** (არდოტელი 2003: 209-212).

ონრჩუ-კტუ : **გუდ-გედო** „შინაური ფრინველები“ (ზედმიწ. „ქათამ-კატა“). ამ შემთხვევაშიც დიდოურ ენათა კომპოზიტები სტრუქტურულ-სემანტიკურ მსგავსებას გვიჩვენებენ. ერთგვარი უცნაურობა ის არის, რომ კომპოზიტის მეორე წევრად **კატა** გამოდის. როგორც ჩანს, დოდოელებში ერთადერთი შინაური ფრინველი **ქათამი** იყო, რომელიც **კატას**თან დააწყვილეს. ამ მხრივ ქართული კომპოზიტი გადახრას გვიჩვენებს, ვინაიდან **ქათამთან** დიალექტებში შეთხზულია **ინდაური**: **ქათამ-ინდაური**.

ისლუ-მეში : **ოსდნსბიშე** „მოზვერი“ (ზედმიწ. „ხარ-ხბო“). მსგავსება ამ კომპოზიტიშიც თვალშისაცემია, თუმცა საკუთრივ დიდოურში თხზვა და ლექსიკალიზაცია დამთავრებულია, ბეჟიტურში კი პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. კომპოზიტის წევრები ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდებიან. ქართული, დიდოურ ენათაგან გან-

¹ ტ. ფუტკარამე ვარაუდობდა მის კომპოზიტიურ წარმომავლობას, თუმცა ქართველოლოგიაში ეს მოსაზრება გაზიარებული არ იქნა, იხ. (არდოტელი 2003: 209-212).

სხვაგვებით, სათანადო ცნებათა აღსანიშნავად კომპოზიტს მოკლებულია.

ქაქუ : **ქაქუტო, კუკუტო** (ჰუნზ.) „გუგული“ (შდრ. ხევს. **გუგუტა**). ამ ტიპის რედუპლიცირებული ბგერწერითი კომპოზიტები საყოველთაოდ ცნობილია მსოფლიო ენათა სინამდვილეში და ფართოდ არის გავრცელებული იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. ამ მხრივ დიდოური ენები არ წარმოადგენენ გამონაკლისს, ვინაიდან თვალნათლივ მოჩანს გაორმაგების სპეციფიკა: საკუთრივ დიდოური შედარებით მარტივი გაორკეცებით გამოხატავს გუგულის სემანტიკას, ხოლო ბეჭეტურ ენაში უფრო მეტად რთული სტრუქტურული ერთეულია წარმოდგენილი. მასთან, საკუთრივ დიდოური უახლოვდება სალიტერატურო ქართულს (**ქაქუ** : გუგული), ხოლო ბეჭეტური მთის კილოებს (**ბეჭ. ქაქუტო, კუკუტო** : ხევს. **გუგუტა**).

დალბაწ : **დალბაწ** „ლომი“ (ზედმიწ. „ფაფარ-მგელი“). დაღესტნურ ენათა სინამდვილეში ფართოდ გავრცელებული კომპოზიტური აგებულების ზოოლოგიური ტერმინი შერეული კომპონენტებისაგან შედგება: პირველი ნაწილი **დალ**, როგორც ვარაუდობენ, თურქული წარმომავლობისაა (თურქ. **იალ** „ფაფარი“), მეორე ნაწილი კი საკუთრივ დაღესტნურია და მგელს აღნიშნავს (ხაიდაყოვი 1973: 12; აბდულაევი 2015: 51-52). საკვლევ დიდოურ ენებში ეს კომპოზიტი ხუნძურიდან ჩანს შეთვისებული და დესემანტიზაციის გარეშე არის დაცული. საინტერესოა, რომ საანალიზო კომპოზიტის პირველ კომპონენტს ხუნძურშივე განუცდია გარკვეული სემანტიკური ცვლილება: თურქ. ფაფარი → ხუნძ. დალალი, გრძელი ბეწვი. იმის გათვალისწინებით, რომ დიდოელებით განსახლებულ არეალში ლომი არ ბინადრობდა, ასოციაციურად მათ ლომი თავიანთ სინამდვილეში არსებულ მტაცებელ ცხოველს – მგელს მიაშვავს და ენაში კომპოზიტი ამის მიხედვით შექმნეს.

ყოტისი ლოჭრო : **ტალის ლაფლაღე „კუ“** (ზედმიწ. „ქუჩის ბაყაყი“ : „ქვის ბაყაყი“). ეს ზოოლოგიური ტერმინიც უცხო იყო მთისთვის და მის გამოსახატავად თხზული სახელის საჭიროება დამდგარა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ იმ გეოგრაფიული გარემოსთვის უცხო ნივთებისა და ცხოველთა სამყაროს სახელებს გარკვეულწილად ხელოვნურობის დალი აზის, რაც მათი აღწერითი წარმოებით ცნაურდება. ამ შემთხვევაშიც **კუს** გამოსახატავად გამოყენებულია სინტაგმა-კომპოზიტი, რომელშიც მეორე კომპონენტად მთაში კუსთან მსგავსებით ყველაზე ახლომდგომი ცხოველი – **ბაყაყი** (← **ბაყ-ბაყი**) იქნა შე-

რჩეული, შდრ. ხუნდ. **შურუნ-ყურყ** „კუ“ (ზედმიწ. „ჯამ-ბაყაყი“). დიდოურ ენათაგან განსხვავებით, ქართულში ამ ცხოველის სახელად მსგავსი კომპოზიტი ნიშანდობლივი არ არის.

ანალოგიურადვეა ნაწარმოები **ჩაჩან აჭ** : **ჩაჩანაყო** „ვირთხა“ (ზედმიწ. „ჩაჩან-თავვი“). იმის გამო. რომ დიდოთა საცხოვრისში ვირთხები არ ბინადრობენ, მათ ვირთხის სახელდებისას გამოიყენეს უფრო მეტად დაბლობში მცხოვრები ჩეჩნების საცხოვრებელ ადგილას გავრცელებული ვირთხის მიხედვით ატრიბუტული სახელი – **ჩეჩნური**. არ არის გამორიცხული, რომ ამ კომპოზიტის წარმოქმნა მომხდარიყო ჩეჩენტა დეპორტაციის შემდეგ, როცა დიდოელები ჩეჩნეთის ბარში ჩამოსახლეს. ბარად კი, ცხადია, ვირთხის არსებობა-ბინადრობა ბუნებრივი მოვლენაა ისევე, როგორც ვირთხის ადგილას თავვის მსგავსებითი გამოყენება.

სირშალო // **შირშალო** : **შუგრშრუტ** 1) ცხენი. 2) ჭაკი (ზედმიწ. „ცხენ-ჭაკი“ : „ჭაკ-ცხენა“). გარდა შესაბამის კომპონენტთა პრეპოზიციისა (დიდ.) და პოსტპოზიციისა (ბეჟ.), ეს კომპოზიტიც დიდოურ ენათა შორის მსგავსებას გვიჩვენებს. საკუთრივ დიდოურში პირველი კომპონენტი **სირ** ← **სირიძო** და ბეჟიტურში მეორე კომპონენტი **შრუტ** თანაბარი სემანტიკის შემცველნი არ არიან – პირველი აღნიშნავს ზოგადად **ცხენსაც** და **ფაშატსაც**, ხოლო მეორე გამოხატავს მართოდენ **ცხენს**, **იაბოს**. რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს (საკ. დიდ. **შალო** : ბეჟ. **შუგრ**), აქ პირიქითაა: ბეჟიტურში აღნიშნავს ზოგადად **ცხენსაც** და **ფაშატსაც**, ხოლო დიდოურში იგი დესემანტიზებულია და ცალკე ლექსიკურ ერთეულად აღარ გვხვდება, თუმცა მისი ისტორიული მნიშვნელობის რეკონსტრუქცია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ირკვევა, რომ უწინ დიდოურშიც **შალო** (← **შაგო**) **ხრდალი ცხენის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ციკეს კეტუ : **უანაყას გედო** „ფოცხვერი“ (ზედმიწ. „ტყის კატა“). როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფოცხვერის აღსანიშნავადაც ასოციაციური სახელდების პრინციპია გამოყენებული – ფოცხვერი კატას არის მისგავსებული, რაც ორივე დიდოურ ენაში ერთგვარი წარმოებით (კომპოზიტის ტენდენციის მქონე მსაზღვრელ-საზღვრულით) არის რეალიზებული. ბუნებრივია, რომ ამ სახელურ შესიტყვებაში დომინანტურ წევრად მეორე კომპონენტი მიიჩნევა.

ციკეს ონოჩუ : **უანაყასგუდ** „ხოხობი“ (ზედმიწ. „ტყის ქათამი“). ეს სინტაგმა-კომპოზიტიც ზემომოყვანილი შესიტყვების ანალოგიურია.

ზემოგანხილული კომპოზიტების გარდა, მოგვეპოვება ცალეულები ამა თუ იმ დიდოურ ენაში, რომელთაც შეიძლება სამომავლოდ გამოუვლინდეთ ტოლფარდი თხზული სახელები. ქვემოთ მოვიყვანთ იმ რიგის კომპოზიტებს, რომელთაც ერთ-ერთ შესადარებელ ენაში ტოლფარდი ერთეული არ მოეპოვება:

საკ. დიდ.

ტიყურ-მუჟი : კრებ. კაზმულობა (ზედმიწ. „უნაგირ-საოფლე“)

ქრჭი-მუჟი//ღალო-მუჟი : აღკაზმულობა, კურტანი (ვირისა) (ზედმიწ. „ქოჭ-საფენი“ // „კურტან-ლეიბი“)

ჰუტ-ჰუმურ : მწერი

ჰრლუ-რკო : ნალები (ზედმიწ. „ნალ-ლურსმანი“)

ბეჟ.

: ზესო-ხოი ოთხი წლის ცხვარი (ზედმიწ. „მჭამელი-ცხვარი“)

: სიყაყუ, ჰიქეაყუ (ჰუნზ.) ციყვი (ზედმიწ. „ციყვ-თაგვა, წილ-თაგვა“)

4) მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტები. დიდოელ-ბეჟიტელთა განსახლების არეალი დაღესტნის მაღალმთიანეთში ზღვის დონიდან 1600-2200 მეტრზე მდებარეობს. ბუნებრივია, დიდოურ ენებზე მეტყველ ხალხთა ისევე, როგორც ქართველ მთიელთა გარემომცველი სამყარო, რომელიც უპირატესად ალპურ და სუბალპურ მდელოებს მოიცავს, მდიდარია ფიტონიმებით. აღსანიშნავია, რომ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების სახელწოდებანი, რომლებიც შეიძლება ძირეულიც იყოს და ნასესხებიც, არაიშვიათად გვხვდება მცენარეთა სახელებისაგან შედგენილ კომპოზიტებში. ქვემოთ წარმოდგენილია ამ ტიპის კომპოზიტების მიმოხილვა.

საკ. დიდ. : ბეჟ. : ქართ.

ზიხ-მიხ : **ახ-ზოხ** „ბალახ-ბულახი“. გლოსოლალიური ასონანსის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს დიდოური კომპოზიტი, რომელსაც ქართულსა და ბეჟიტურ ენებში ჩვეულებრივი გაორკეცებული კომპოზიტები ეფარდება. გარდა ამისა, თავად კომპოზიტის უშუალო შემადგენლები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სემანტიკას შეიცავენ. კერძოდ, საკუთრივ დიდოური კომპოზიტის პირველი კომპონენტის

მნიშვნელობა პოლისემანტიკურია (საკ. დიდ. **ზიხ** 1. ბალახი, თივა. 2. მცენარე) მაშინ, როცა ბეჟიტურსა და ქართულში მონოსემანტიკურ სიტყვას წარმოადგენს (ბეჟ. **ზიხ** „ბალახი“). ცხადია, ეს გარემოება გავლენას მოახდენს განსახილველ კომპოზიტთა შედარებისას მათ სემანტიკურ სახვადასხვაობაზე.

ზიხ-წრხუ: **ზიხ-ნახო** „ცუდი საკვები“ (ზედმიწ. „ბალახ-ბზე, თივა-ჩალა“). ამ კომპოზიტზე იგივე ითქმის, რაც ზემოწარმოდგენილ კომპოზიტზე, იმ განსხვავებით, რომ მეორე კომპონენტად გვაქვს პოლისემანტიკური სიტყვა: საკ. დიდ. **წრხუ** : ბეჟ. **ნახო** 1. „ჩალა“. 2. „ნამჯა, ბზე“.

ზიხ-ჭიჩი : **მჭყრ-ზიხ** „მოსავალი“ (ზედმიწ. „ბალახ-მოსავალი“ : „მარცვლეულ-ბალახი“). როგორც ჩანს, დიდოელთა ცნობიერებაში **ჭირნახულს** მარტოდენ მარცვლეული (ადამიანთა საკვები) არ ნიშნავდა, არამედ აქ იგულისხმებოდა **ბალახიც** → **თივაც** (ცხოველთა საკვები), რათა საქონელს ზამთარში თავი გაეტანა. ბეჟიტურ ენაში **ზიხ** („ბალახი“), როგორც წესი, მეორე კომპონენტად დასტურდება.

ზოჭუს ოზური : **ხილატაფა** (საკ. ბეჟ.), **ხელეტაფა** (ჰუნზ.) „მრავალმარღვა“ (ზედმიწ. „ჯიხვისთვალა“ : „მყესფოთოლა“). ეს კომპოზიტი მრავალმხრივ არის საინტერესო. სახელდობრ, იგი ყურადღებას იქცევს ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტის მონაცემით, რომელშიც ქართული **მრავალმარღვა მყესის ფოთლად** არის სახელდებული. ცხადია, ეს აშკარას ხდის მის საყოველთაოდ ცნობილ სამკურნალო თვისებებს, რაც ბეჟიტურ ენაშიცაა ასახული. გარდა ამისა, **მრავალმარღვა** გარეგნული (იკონური) მსგავსებით ჯიხვის თვალსაა შედარებული. დიდოურ ენაში, გარდა **ზოჭუს ოზური** კომპოზიტისა, **მრავალმარღვას** მნიშვნელობით დასტურდება შესიტყვება **ხერომიშაშაჭნილ'ებ**, რომლის ზედმიწევნითი თარგმანი იქნება **მარღვევნიანი ფოთოლი**, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჭრილობების მოსარჩენად მის სამკურნალო დანიშნულებას.

ფიჯ-მრჯ : **ნაჭი-ხალუ**(ბეჟ.), **ფიჯ-მრჯ** (ჰუნზ.) 1. „ბოსტნეული“. 2. „ხილი“ (ზედმიწ. „ხილ-ხული“ : „ნიორ-ხახვი“). ზოგადად **ხილის** აღსანიშნავად საკუთრივ დიდოურში გამოიყენება **ფიჯ** (← ხუნძ. „id.“), ხოლო ასონანსური **ფიჯ-მრჯ**¹ ბისემანტიკურია: 1. „ბოსტნეული“. 2. „ხილი“. ჰუნზიბური კომპოზიტი მთლიანად ხუნძური ნასესხობა ჩანს, მდრ. ხუნძ. **ფრჯ-მიჭ** უპირატესად „მშრალი ხილი“. რაც შეეხება სა-

¹ თუ, რა თქმა უნდა, **ჭ** ← **ჭ**, რაც ნაკლებმოსალოდნელია.

კუთრივ ბეჟიტურ კომპოზიტს, მისი ზუსტი სემანტიკური ტოლფარ-
დი, თუ წყობას არ გავითვალისწინებთ, ქართულში იქნება **ნიორ-ხახვი**
(შდრ. **ხახვი-ნიორი**). მაშასადამე, ეს უკანასკნელი კომპოზიტი ნათელი
დასტურია იმისა, რომ ბეჟიტელთა განსახლების არეალში **ხილი** არ
მოიწეოდა და **ხახვი-ნიორი** კი ხილად მიიჩნეოდა.

ღურა-მეჩა : ჟამა-მიც (საკ. ბეჟ.), **ჰრომიჩ** (ჰუნზ.) „ჰინჰრის-დე-
და“ (ზედმიწ. „საქონლის ჰინჰარი“ : „ძროხის ჰინჰარი“). განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას იქცევს დიდოური კომპოზიტის სემანტიკა, რომელ-
შიც ამჟამად **ღურა** (resp. **ღურო**) („ძროხების ნახირი“) აბსტრაქტიზირე-
ბული მნიშვნელობით გვხვდება, თუმცა ისტორიულად, საკუთრივ დი-
დოური ენის ზოგი თქმისა (ასახ. **ღურიო** „ძროხა“) და სხვა დიდოურ
ენათა მონაცემების გათვალისწინებით, ამ ენაშიც ძროხა უნდა აღენიშ-
ნა. მაშასადამე, ორივე საანალიზო დიდოურ ენაში ამ მცენარის არქისე-
მად რეკონსტრუირდება **ძროხის ჰინჰარი**.

ზემოგანხილულ სახელთა ანალოგიურად, ამ სემანტიკურ ჯგუფ-
შიც გვრჩება ცალეული კომპოზიტები, რომელთაც ქვემოთ წარმოვად-
გენთ:

საკ. დიდ.

თემ-ბიხ : ბალახი, თივა (ზედმიწ. „სამყურა-ბალახი“)

თემ-თათუ : ერთგვარი მსხვილფოთლიანი ბალახი (ზედმიწ. „სა-
მყურა-საჭმელი მცენარე“)

ინჰჰ-ზიკუ : სოკო (ზედმიწ. „ღვინიო-სოკო“)

ნაჰჰუკლა : (← *ნაჰჰურკა ← *ნაჰჰურკო ← *ნაჰჰუს რკო) რკო (ზედ-
მიწ. „მუხა-რკო“ ← მუხას რკო)

შოლ-ბიხ : სანელებელი, საკაზმი (ზედმიწ. „სარეველა-ბალახი“)

ბეჟ.

: **ამჩა-ჯიბო** რბილი ხორბალი

: **პლდ-მჟყრ** საკვები (ზედმიწ. „შვრია-ხორბალი“)

: **ანყალა-ბოხ** ძალთყურძენა (ზედმიწ. „ლენცოფა-ბალახი“)

: **ანყი-ჰელჟ** (ჰუნზ.) სვინტრი (ზედმიწ. „თავისი კაკალი“)

5) მ შე ე ე ბ ლ ო ბ ი ს ლ ე ქ ს ი კ ი ს შ ე მ ც ვ ე ლ ი კ ო მ -
პ ო ზ ი ტ ე ბ ი : დიდოურმა სახლმა ევოლუციის თავისი გზა განვლო
ერთოთახიანი საცხოვრებლიდან თანამედროვე მრავალთახიან და
რამდენიმე სართულიან სახლამდე. ბუნებრივია, მშენებლობის გა-

რთულებასთან ერთად საამშენებლო ლექსიკაც თანდათანობით მრავალფეროვნდებოდა და მდიდრდებოდა. მიუხედავად მდიდარი საამშენებლო სიტყვიერი მარაგისა, ამ რიგის ლექსემებით შედგენილი კომპოზიციები დიდი სიუხვით არ გამოირჩევა. შედარებით მეტ კომპოზიტს საკუთრივ დიდოური ენა გვიჩვენებს, რომელთა ეკვივალენტები ბეჭიტურ ენაში ვერ იძებნება, თუმცა მომავალში შეიძლება ამგვარი მასალა გამოვლინდეს. ქვემოთ განვიხილავთ მშენებლობის აღმნიშვნელი სიტყვებით შედგენილ კომპოზიტებს:

საკ. დიდ. : ბეჭ. : ქართ.

აქუ-ბრზო : აქო-ბოზა „სამუშაო იარაღები“ (ზედმიწ. „ნიჩაბ-თოხი“). ორსავე დიდოურ ენაში ერთგვარი კოორდინაციული კომპოზიტი მოგვეპოვება, რომლის წევრები ძირეული ლექსიკის ერთ სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან და მეტ-ნაკლებად ერთგვარი სემანტიკური ველები მოეპოვებათ. ამ თვალსაზრისით ქართულიც, თუ წყობას არ მივიღებთ მხედველობაში, დიდოურ ენათა მონაცემებს ეთანადება.

ბინა-ყამ // მინა-ყამ : ბინა-ყამ „ბინა, სადგომი“ (← ქართ. ბინა – ხუნძ. ქოხი). განსახილველი კომპოზიტის კომპონენტები ნასესხებია სხვა ენებიდან და ერთ სემანტიკურ ჯგუფში შედიან. მართალია, მათი სემანტიკური ჯამი არ უდრის კომპოზიტის ძირითად მნიშვნელობას, თუმცა ახლო დგას ადამიანის დროებით საცხოვრებელ ობიექტთან და კომპონენტები ერთმანეთთან არასრულ სინონიმურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ღუთქუ-მკვა : ბილ'ო-აზ კრებ. „მეურნეობა“ (ზედმიწ. „სახლ-ადგილი“ : „სახლ-კერა“). ამ შემთხვევაში კომპოზიტის კომპონენტები გარკვეულწილად დესემანტიზებულია. როგორც ვხედავთ, კომპოზიტის პირველი კომპონენტი ორსავე ენაში ერთ სემანტიკურ ჯგუფში შედის, თუმცა საკუთრივ დიდოურის მონაცემი მეორე კომპონენტი ამგვარ ინტერპრეტაციას მოკლებულია.

წიარტუ // წილტუ : აზა-წო „ბუხარი“ (ზედმიწ. „კერა-ცეცხლი“, შდრ. ხევს. ყვერფ-კერა). ბეჭიტურ ენაში **ბუხრის** აღმნიშვნელი კომპოზიტის კომპონენტები ერთ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდებიან, რასაც ქართულში ხევსურული დიალექტის **ყვერფ-კერა** ეტოლება. რაც შეეხება დიდოურ მონაცემს, მას სემანტიკაც და სტრუქტურაც კომპოზიტისა არ აქვს, ვინაიდან აღნიშნავს მოქმედ სახელს: **წიარტუ** „მოცეცხლე, საცეცხლური“, **წილტუ** „სამჭედლო, მემჭედლე“. მეორე მნიშვნელობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბუხარს სამჭედლოს

კონოტაციაც მოეპოვება. არც ის არის გამორიცხული, რომ ბუხარი ოდესღაც სამჭედლოს როლსაც ასრულებდა დიდოელებში.

ჭრღუ-რქჳ : **სიამო-ტიბე** „სახლ-სათივე“ (ორსართულიანი შენობა, რომლის პირველი სართული გომურია, მეორე კი – სათივე). დიდოურ ენებში პირველი კომპონენტი აღნიშნავს **სათივეს**, მეორე კომპონენტი კი – **გომურს**. ფაქტობრივ ეს კომპონენტები გენეზისურად ერთმანეთს არ უკავშირდებიან, თუმცა ერთ სემანტიკურ ჯგუფში იყრიან თავს.

ქვემოთ წარმოვადგენთ საკუთრივ დიდოურ კომპოზიტებს, რომლებსაც ბეჟიტურში სათანადო ეკვივალენტები ვერ გამოვუვლინეთ:

აზბარ-ყრო : სასახლე (ზედმიწ. „სასახლე-?“)

აქი-ყაც : სახლის მასალა, კარ-ფანჯარა (ზედმიწ. „ფანჯარა-კარი“)

აღურ-მუჟი : წისქვილ-ლეიბი

ლქხუ-ტიშ : სამშენებლო მასალა (ზედმიწ. „მორ-კოჭი“)

ჰიშიბუკუ-რქჳ : საკეტი (ზედმიწ. „კლიტე-გასაღები“)

ჰუთქუ-მწკა : სახლი, ქონება, მეურნეობა (ზედმიწ. „სახლ-ადგილი“); ასახ., საჰ. **ღუთკუ-მწკა**

ყაც-მანდა: კარ-ჩარჩო

ყაც-მაც : კარიდამისთ. (ზედმიწ. „კარი-?“)

ყაც-მრჩი: კარები (ზედმიწ. „კარ-ადგილი“)

6) **არაცოცხალი ბუნების სახელთა შემცველი კომპოზიტები** : არაცოცხალი ბუნების სახელთა შემცველი კომპოზიტები საკუთრივ დიდოურ ენაში საკმარისად გვხვდება, რასაც ვერ ვიტყვით ბეჟიტურ ენაზე. სულ რამდენიმე დიდოური კომპოზიტია, რომელთაც ეძებნება ბეჟიტური ეკვივალენტები:

ას-ქოტუ : **ჰას-მუს** „ღრუბელი“ (ზედმიწ. „ცა-ფარტენა“ : „ცა-ჭვარტლი“). ეს კომპოზიტი წარმოადგენს მხატვრული აზროვნების ნიმუშს, რაც ცხადყოფილია მეორე კომპონენტების მიმართებისას „არადირითად“ კომპონენტთან. საკუთრივ დიდოურ ენაში ეს რეალიზებულია **ფაფუკი ღრუბლით**, რომელიც შედარებულია **მატყლის ფარტენასთან**, ხოლო ბეჟიტური მონაცემის შემთხვევაში **შავი ღრუბელი** შედარებულია **ჭვარტლთან** და **მურთან**. მართალია, ამ კომპოზიტის ორივე კომპონენტი ერთ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება, თუმცა ისინი ძირითადად დესემანტიზებულნი არიან და ოდენ კომპოზიციაში ქმნიან **ღრუბლის** სემანტიკას. ხევსურულ დიალექტში **ცის სამყაროს** მნიშვნელობით თავჩენილი **ცა-ღრუბელნი** მეტ-ნაკლებად მიესადაგება

დიდოურ ენათა მონაცემებს, თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში კომპოზიტის კომპონენტები ნაკლებად არიან მოკლებულნი მნიშვნელობებს.

დუნიალ-ახირათ : **დუნნალ-ახირათ** რელიგ. „სააქაო-საიქიო, ქვესკნელ-ზესკნელი“. ეს ხუნძური კომპოზიტია და ორსავე დიდოურ ენაში, თუ მცირეოდენ სტრუქტურულ-სემანტიკურ ცვლილება-გადახრებს არ გავითვალისწინებთ, ძირითადი მნიშვნელობა მსგავსია. თუ უფრო ზედმიწევნით ვთარგმნით ქართულად, მაშინ გამოვა **დუნია-სა-იქიო**.

დუნიალ-რაზალ : **დუნნალ-ალამა** „მთელი ქვეყანა, კაცობრიობა“ (ზედმიწ. „სამყარო-კიდე“ : „სამყარო-საოცრება“). ეს კომპოზიტიც ხუნძური წარმომავლობისაა და მიახლოებით ისეთივე სემანტიკის მატარებელია, რაც წყარო-ენაში მოეპოვება.

იხილ'იხუ : **ეზე-ხაი** „წყალდიდობა“ (ზედმიწ. ბეჟ. „მდინარემღვრიე ნაკადი“). ბეჟიტური კომპოზიტის აგებულება და სემანტიკა ნათელია – იგი აღნიშნავს **მდინარისა** და **მღვრიე ნაკადის** ერთობლიობას, რომელშიც წამყვანი ფუნქცია წინამავალ კომპონენტს (ეზე „მდინარე“) უჭირავს (შდრ. **ხაი-ეზე** „ბობოქარი მდინარე“). რაც შეეხება საკუთრივ დიდოურ სახელს, მისი ეტიმოლოგია ბოლომდე ნათელი არ არის. მართალია, ცალკე გამოიყოფა **იხ**- სეგმენტი, რომელიც გენეზისურად პოლისემანტიკურ **იხ** (1. „გაზაფხული“. 2. „წყალდიდობა“. 3. „ღვარცოფი“) სიტყვასთან ჩანს დაკავშირებული, თუმცა მეორე ნაწილის გენეზისის გარკვევა ვერ ხერხდება. ქართულში **წყალდიდობა** და **დიდროა** ერთმანეთთან ჩანს დაკავშირებული და ორივე **დიდ**-ს უნდა უკავშირდებოდეს.

წიყალ'უ (← **წი-ყალ'უ**) : **წო-წიტ** „ტალკვესი, სანთებელა“ (ზედმიწ. „ცეცხლ-მწველი“ : „ცეცხლ-დანა“). ერთი თვალის გადავლებითაც ცხადი ხდება, რომ საკუთრივ დიდოური კომპოზიტის უშუალო შემადგენლები ერთ სემანტიკურ ჯგუფში იყრიან თავს. ამასთან, ქართულ და საკუთრივ დიდოურ ენებში სემანტიკურად ერთგვაროვანი სახელდებითი პრინციპია გამოყენებული, შდრ. ქართ. **ტალ-კვესი** : საკ. დიდ. **ცეცხლ-მწველი**. განყენებულად დგას ბეჟიტური კომპოზიტი, რომლის კომპონენტები სხვადასხვა სემანტიკური ტიპისანი არიან და არც სახელდებაა ბოლომდე შესადარებელ ენათა ანალოგიური.

კემა-ღუდი : **ჟოდო-ზოჯ** „ამინდი, წვიმიანი დღე, ავდარი“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“ : „დღე-მზე“). მეტად საინტერესო კომპოზიტია მრავალმნიშვნელობის თვალსაზრისით, ვინაიდან სათანადო კომპონენტები ერთ ან მონათესავე სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდებიან, მაგ-

რამ იმავდროულად, გენეზისური კავშირის მიუხედავად, ომონიმებს წარმოადგენენ. კერძოდ, ორსავე დიდოურ ენაში **დღე** რამდენიმე მნიშვნელობის მქონეა: საკ. დიდ. **ღუდი** 1. „დღე, შრომადღე“, 2. „ამინდი“, 3. „უბედურება, განსაცდელი“; ბეჟ. **ჟოდო** 1. „დღე, შრომადღე“, 2. „წვიმა“. საკუთრივ დიდოურში მე-3 მნიშვნელობა ქმნის ომონიმს, 1-ლი და მე-2 მნიშვნელობები დენოტატური მნიშვნელობის („შრომადღე“) გარეშე გენეზისურად ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდნენ. გარდა ამისა, ბეჟიტური უცნაურობას ავლენს იმ მხრივ, რომ **წვიმა** და **დღე** ერთი სიტყვა-ფორმით არის გამოხატული. როგორც ჩანს, ქართული **ავის** (**ავდარი**) ნაცვლად საკუთრივ დიდოურში ამ მნიშვნელობით **წვიმა** (**კრმა**) არის გამოყენებული, მაგრამ საკვლევ დიდოურ ენებში ატმოსფერული მდგომარეობის – **ამინდის** მნიშვნელობით **წვიმიანი დღის** გამოყენება ერთგვარად არალოგიკური ჩანს და შესაძლებელია ჩვეულებით რეალიასთანაც (რიტუალთან) იყოს დაკავშირებული.

კრმა-ყისი : **ონზ-ჟოდო** „ატმოსფერული ნალექი, თოვლ-ჭყაპი“ (ზედმიწ. „წვიმა-თოვლი“ : „თოვლ-წვიმა“). ატმოსფერული მდგომარეობის გამოხატველი მეორე ტერმინი უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგენს სემანტიკურ რეალობას. ამ კომპოზიტში **ჟოდო** ორაზროვნებას მოკლებულია და მოეპოვება მარტოოდენ **წვიმის** სემა ისევე, როგორც **ონზ** გამოხატავს მხოლოდ **თოვლის** მნიშვნელობას. ანალოგიური ვითარებაა საკუთრივ დიდოურში იმ განსხვავებით, რომ სათანადო კომპონენტთა შებრუნებული წყობა გვაქვს.

ჰონ-მჰალი // **ჰონ-კუნ** : **მწ-ეზე** (შდრ. **ბიზო-მწ** „მთა-გორაკი, საძოვარი“, ზედმიწ. „გორაკ-მთა“) „საძოვარი, იალაღი“ (ზედმიწ. „მთა-გორაკი“ // „მთა-ღელე“ : „მთა-ხევი“). სამსავე საკვლევ ენაში საანალიზო კომპოზიტის ორივე კომპონენტი ერთ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება და ზედმიწევნით ზუსტად წარმოგვიდგენს უშუალო შემადგენელთა მნიშვნელობების ჯამს. მართალია, ქართულში ამ კომპოზიტის გამოსახატავად მოგვეპოვება ლექსიკური მნიშვნელობის შემცველი ზოგადი სახელებიც (**საძოვარი**, **იალაღი**), თუმცა მისი ტოლფარდი კომპოზიტები (**მთა-გორაკი**, **მთა-ღელე**, **მთა-ხევი**), რომლებშიც კომპოზიტის დომინანტურ სემას **მთა** ქმნის, უკეთესად გადმოგვცემენ თხზული სახელის შესაბამის მნიშვნელობას.

სხვა ლექსიკური ჯგუფების ანალოგიურად, ამ ჯგუფშიც დასტურდება საკუთრივ დიდოური კომპოზიტები, რომელთაც ბეჟიტურში ეკვივალენტები არ უჩანთ:

საკ. დიდ.

ასოს აშუნი : ცისარტყელა

ბუცი-ბუც : ცის მნათობები, მზე-მთვარე (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), შდრ. საკ. დიდ. **ბუც-ბუცი** წილისყრის სახეობა (ზედმიწ. „მზე-მთვარე“).

მეზრ-ყეც : ჭაობი (ზედმიწ. „გუბე-ტლაპო“)

ტურ-ყეც : ატალახებული ადგილი (ზედმიწ. „სისველე-ტალახი“)

შემ-გრტი : 1. ნამქერი. 2. ნაგავსაყრელი, სანაგვე. 3. გროვა. 4. გორა (ზედმიწ. „გორა-ზვინი, გროვა-ბჯა“)

ცაბუცი : ორნამენტი შალის წინდებზე (ზედმიწ. „ვარსკვლავ-მთვარე“)

წი-ქუა-წი : ცეცხლი, ხანძარი (ზედმიწ. „ცეცხლი-კვარი-ცეცხლი“)

ჰური-ჰუფი : ღრმულები, ჩაღრმავებანი (ზედმიწ. „ღრმულ-ღრმული“)

7) ი ა რ ა ლ ი ს ლ ე ქ ს ი კ ა : ზოგადად იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა ენებში დიდი სიუხვით არ გამოირჩევა. მეტადრე ეს ითქმის აბჯრის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებისაგან შედგენილ კომპოზიტებზე, რითაც დიდოური ენები ღარიბია. ამ მხრივ სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებშიც ერთნაირი ვითარება არ გვაქვს, რასაც ცხადს ხდის ქვემოთ წარმოდგენილი სულ ოთხი-ხუთი კომპოზიტი:

ხელა-ტაჯ : **ხალა-ხეჩ** „ცივი იარაღი, ხმალ-ხანჯალი“ (ზედმიწ. „ხანჯალ-დანა“ : „ხანჯალ-შუბი“). აბჯრის აღმნიშვნელ ლექსიკური ერთეულებისაგან წარმოქმნილ კომპოზიტებში მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ **ხმლისა** და **ხანჯლის** მონაწილეობით შეთხზულ სახელებს უკავია, ამდენად ამგვარ კომპოზიტთა წევრები მეტწილად ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან. დიდოური ენებში ცივი იარაღებიდან **ხმალი** დიდად არ არის გავრცელებული, მას უფრო **ხანჯალი** ცვლის. სწორედ ამ უკანასკნელის გამოყენებით ყალიბდება ზემომოყვანილი კომპოზიტები, რომლებშიც დომინანტურ კომპონენტს **ხანჯალი** წარმოადგენს. მეორე კომპონენტად, ერთი მხრივ, **დანა** (საკ. დიდ. **ტაჯ**), მეორე მხრივ კი, **შუბი** (ბეჟ. **ხეჩ** ← ხუნძ.) სახელების გამოყენება მიგვანიშნებს, რომ იმ ენებში **ხმალი** და **დაშნა** ფართოდ გავრცელებული და დიდად პრიორიტეტული არ უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. **ხმალ-ხანჯალი**. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქართულში **დანა** ზოგადი ტერმინია: „არსებობს ტერმინი **დანა**-ც, მაგრამ იგი ფართო

ცნების შემცველია: იგი ზოგჯერ ხმალსაც ნიშნავს, ხანჯალსაც და სხვა იარაღსაც“ (ჭინჭარაული 1960: 305). უნდა ითქვას, რომ საკუთრივ დიდოურში **დანა**-ს ასეთი მრავალფუნქციური დანიშნულება ამჟამად არ აქვს, თუმცა ისტორიულად ეს სავარაუდოა. გარდა ამისა, საკვლევ დიდოურ ენებში **ფარის** შემცველი კომპოზიტებიც არ ჩანს, რაც ინტერესს ქართ. **ფარ-ხმლის** კუთხით აღძრავს.

მარალ-მათაჰ : **თოფი-მარალ** „იარაღი“ (ზედმიწ. „იარალ-ნივთი“ : „თოფ-იარაღი“). აბჯარ-საჭურვლის თურქული წარმომავლობის ზოგადი სახელწოდება **იარაღი** ორსავე კომპოზიტში იჩენს თავს და დომინანტური წევრის ფუნქციას ასრულებს. ამასთან, ბეჭიტური კომპოზიტი ქართულისაგან ჩანს შეთვისებული და მისი კომპონენტები ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან. საკუთრივ დიდოური კომპოზიტის პოსტპოზიციური წევრი ხუნძური ნასესხობაა, თუმცა სავარაუდოა მთლიანი კომპოზიტი ხუნძური წარმომავლობისაც იყოს, რასაც დამატებითი ეტიმოლოგიური კვლევა-ძიება სჭირდება.

ჩაჩმა-თუფი : **ჩახმა-თოფი** „ნარეზიანი შაშხანა“ (ზედმიწ. „საფანტ-თოფი“ : „ჩახმახ-თოფი“). სასროლი იარაღის სახელთა შემცველი კომპოზიტებიდან ძირითადად გვხვდება **თოფ-იარაღი**, **მშვილდ-ისარი** და **საფანტიანი** (ჩახმახიანი) **თოფი**. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთრივ დიდოურშიც და ბეჭიტურშიც არაძირითადი კომპონენტები (**საფანტი**, **ჩახმახი**) დომინანტურ კომპონენტს (**თოფი** ← თურქ.) წინ უძღვიან და ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან. საფიქრებელია, რომ დიდოურ ენებში კომპოზიტი ქართულიდან არის ნასესხები.

წერუ-წო : **წულუ-წაყა** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“). ძველისძველი სასროლი იარაღი **მშვილდ-ისარი** ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში. ცხადია, საკვლევ ენებზე მეტყველი ხალხის საბრძოლო აღჭურვილობაშიც ცივ სასროლ იარაღს **მშვილდ-ისარს** უწინ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. საგულისხმოა, რომ ზოგ დიალექტსა და ენაში მშვილდ-ისარი ცისარტყელასაც კი უწოდეს, მაგ.: ხევს. **მშვილდ-ისარანი**, ხუნძ. **ჭორბუტ** (← **ჭორ-ბუტ**) ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“, ბაცბ. **ატყ-წაქი**, ზედმიწ. „მშვილდ-ისრები“ და ა. შ. ამაზე მეტყველებს თითქმის ყველა ენაში კომპოზიტის სახით კარგად შემონახული სახელწოდება ამ იარაღისა, რომლის კომპონენტები ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან. თავად იარაღის ნაწილები უერთმანეთოდ უფუნქციოა, თუმცა კომპოზიტში პრიორიტეტი, როგორც ფოლკლორიდან და ეთნოგრაფი-

ული მასალიდანაც ჩანს, მშვილდს ეკავა. დიდოურ ენათა კომპოზიტში შემავალი სახელები ძირეული და საკუთრივ საერთო-დიდოურია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ არქაულობას. განსხვავება ქართულსა და საკვლევ დიდოურ ენებს შორის სათანადო წევრთა წყობის თავისებურებაში ვლინდება – დომინანტური კომპონენტიდან ამოსვლით ქართულ კომპოზიტს პრეპოზიცია ახასიათებს, დიდოური ენებისას – პოსტპოზიცია, რაც ამ ენათა კომპოზიტების ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშანია.

8) ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ყველა საკვლევ ენაში ხელშესახებად არის წარმოდგენილი ისეთი სახელები, რომელთაც, მართალია, ნივთიერი სახე არ აქვთ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ზოგადად, ნომინაციის, კერძოდ კი, კომპოზიციის ჩამოყალიბებაში. კომპოზიტები, რომელთა უშუალო შემადგენლებად აბსტრაქტულ სახელებს შეიცავენ, მეტწილად შეთხზულნი არიან მასდარებისაგან. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ტიპის კომპოზიტების მოკლე სემანტიკურ დახასიათებას:

ბაზარ-დღე : **ბაზარ-დღე** „კვირადღე“ (ზედმიწ. „ბაზარ-დღე“). დიდოურ ენებში კომპოზიტი **ბაზარ-დღე** კვირადღის ანალოგიით გვიან ჩანს ჩამოყალიბებული, შდრ. ხუნძ. **ჰატან** კვირა, **ჰატან ყო** „კვირა, კვირადღე“. **კვირადღის** აღსანიშნავად თითქმის ყველა დიდოურ ენაში დასტურდება ხუნძური ნასესხობა **ჰატან**, თუმცა პარალელურად იხმარება **ბაზარ-დღე**, რაც ხუნძურ **ჰატან ყო** („კვირა დღე“) კომპოზიტს ეფარდება. როგორც ვხედავთ, საანალიზო კომპოზიტში დომინანტურ წევრად **დღე** (იხ. ზემოთ **6**) მიიჩნევა, ხოლო ახალი სპარსულიდან ხუნძურის გზით შემოსული სიტყვა **ბაზარ** (→ **ბაზარ**) -არაძირითად წევრად.

ბიშ-ჰალა : **ბეს-ხულალ** „ჰამა, ქეიფი, ღრეობა, სმა-ჰამა“ (ზედმიწ. : „ჰამა-სმა“). მასდართაგან შედგენილი ეს კომპოზიტი **ქეიფის (ღრეობის)** მნიშვნელობით ფართოდ არის გავრცელებული საკვლევ ენათა სინამდვილეში. საკუთრივ დიდოურში დამატებით დასტურდება სინონიმური კომპოზიტი **ბიშ-ბუთა**, რომელშიც ცალკე აღებული **ბუთა** ნიშნავს **შეკრებას, თავმოყრას**. უდავოა, რომ ამ კომპოზიტის კომპონენტები ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, თუმცა მასში დომინანტური წევრის განსაზღვრა სირთულეებთან არის დაკავშირებული მეტადრე მაშინ, როცა წევრთა წყობა არაფიქსირებულია. დიდოურ ენათაგან კომპოზიტის პრეპოზიციური წევრი, ქართულისა-

გან განსხვავებით, ბოლოკიდურად მასდარის ნიშანს იკვეცს: საკ. დიდ. **ბიშ-ჰალ-ჰ** (← **ბიშ-ა-ჰალ-ჰ**), ბეჟ. **ბეს-ხულ-ალ** (← **ბეს-ალ-ხულ-ალ**), შდრ. ქართ. **სმ-ა-ჰამ-ა**.

ყურადღებას იქცევს ამავე კომპოზიციის გასუბსტანტივებული სახეობა დიდოურ ენებში: საკ. დიდ. **ბიშ-ჰალ-უ** „წვეულება, ლხინი“; ბეჟ. **ბეს-ხულ-ო** „წვეულება“. ამ სახესხვაობის ბადალი ქართულში არ გვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ სათანადო წევრთა სემანტიკას („წვეულება, ლხინი“) გავითვალისწინებთ, მაშინ დომინანტურ წევრად სავსებით შესაძლებელია მეორე კომპონენტი მივიჩნიოთ.

ბოჟი : **ბოჟი-ბოტი** (← ხუნძ. **ბოჟი** „რწმენა, ნდობა“ – **ბოტი** „სიყვარული“) „რწმენა, ნდობა“. ნდობა-რწმენისა და სარწმუნოების მნიშვნელობით გამოყენებულ ხუნძურ სიტყვას **ბოჟი** (საკ. დიდ.) ან ხუნძური სიტყვებით შეთხზულ კომპოზიტს **ბოჟი-ბოტი** (ბეჟ.) ქართულში შეესაბამება **რწმენა-სიყვარული**. ამ კომპოზიტში სათანადო კომპონენტები ერთგვარ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდებიან და დომინანტურ წევრად **ბოჟი** („რწმენა, ნდობა“) გამოიყოფა.

ნიჩ-ნამუს : **ნიც-ლამუს**, **აჰ-ლამუს** „მორიდებულობა, ხათრი, ღირსება“ (ზედმიწ. „სირცხვილ-ნამუსი, ხათრ-ნამუსი“). კომპოზიციის წევრები ერთ სინონიმურ ჯგუფში შედიან და ორივე თანაბარ სემანტიკურ ოდენობად მოიაზრება. ზემომოყვანილი ყველა კომპოზიტი ხუნძურიდან არის ნასესხები, რასაც საკუთრივ დიდოურში მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილება განუცდია: ხუნძ. **ნიც-ლამუს** → საკ. დიდ. **ნიჩ-ნამუს** (ასიმილაცია). გარდა ამისა, სემანტიკურადაც რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ მოსვლიათ, რაც მათ გვიანდელ ნასესხობაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მეორე ბეჟიტური (← ხუნძ.) კომპოზიტი სინონიმურ სახელთა (ხუნძ. **აჰ-ლამუსი**, ღირსება“ – არაბ. **ნამუს**) ერთობას ქმნის და წყარო-ენისეული მონაცემი უცვლელად არის დაცული.

სადაყა-ყულჰუ : **სადაყა-ყულჰუ** „ქელები“ (ზედმიწ. „მოწყალეობასულის მოსახსენებელი დღე“). არაბული სიტყვებისაგან შეთხზული კომპოზიტი ორსავე დიდოურ ენაში უცვლელად დასტურდება და მისი კომპონენტები ერთ სემანტიკურ ჯგუფში იყრიან თავს. ამასთან, საკუთრივ დიდოურ ენაში შეინიშნება შერეული (არაბ.-ბეჟ.) კომპოზიტი, რომელიც სემანტიკური მოტივაციით მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: **სადაყა-ღუდი** „მოწყალეობის გაცემის დღე“ (ზედმიწ. „მოწყალეობა-დღე“, შდრ. **ჟუმრუ-ღუდი** „მხიარულება“, ზედმიწ. „ცხოვრება-დღე“). ბოლო ორი კომპოზიტი საკუთრივ დიდოური ჩანს, თუმცა **სადაყა-**

ყულჰუ („ქელეხი“) შეიძლება მზა სახით ნასესხები კი არ იყოს, არამედ ჩამოყალიბებული იყოს საკვლევ ენათა საფუძველზე, რასაც დამატებითი ძიება სჭირდება.

ყადრუ-ყიმათ : **ყადრუ-ყიმათ** // **ყიმათ-ყადრუ** „ზრდილობა, წესიერება, ღირსება“. წინა კომპოზიციის ანალოგიურად, ესეც მიღებულია არაბული სიტყვებისაგან, რომლებიც შემოსული ჩანს ხუნძური ენის გზით. ორი უკანასკნელი კომპოზიტი როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკური მოტივაციის თვალსაზრისით უცხოა ქართული ენისთვის.

ყურადღებას იქცევს ერთი რიგის კომპოზიტები, რომლებსაც საკვლევ დიდოურ ენებში შესაბამისი შინაარსობრივი ეკვივალენტები არ უდასტურდება, თუმცა ქართულში სემანტიკური ანალოგიები მოეპოვებათ, მაგ.: საკ. დიდ. **გუტ-მუში** (resp. **მუში-გუტ**) „შელოცვა თვალცემულისათვის“ (ზედმიწ. „ბოლ-სუნთქვა, სულ-ბოლი“)¹, შდრ. ქართ.**სულდება** (← სულთ-ღება), **სუნთქვა** (← სულთქმა ← სულთ-თქმა ← ძვ. ქართ. **სულთ-თქმაა**); **მუში-ქუში** „სუნთქვა“, შდრ. ქართ. **ჯნაშა-ჯნუში** „ომში ჯვნეშა“ (საბა), შდრ. სვან. ლიშურიელ „ამოხვერა“; **ზრყი-ჯამი** (← ხუნძ. **ზიყი** „მარცვა, ქურდობა“ – **ჯამი** „ტაცება“) „ქურდობა, ტაცება მარცვა-გლეჯა“ (ზედმიწ. „მარცვა-ტაცება“), შდრ. ქართ. „მარცვა-გლეჯა, მარცვა-ტაცება, მარცვა-რბევა“ და მისთ.

ამრიგად, ქართულ, დიდოურ და ბეჟიტურ ენათა კომპოზიტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზისას ხელშესახებად წარმოჩნდება როგორც საერთო სემანტიკური ნიშან-თვისებები, ისე მოტივაციის განსხვავებული ნიმუშები. ამასთან, გასაგები მიზეზების გამო, უფრო მეტი მსგავსება ახლომონათესავე დიდოურ ენათა შორის ვლინდება, თუმცა ორივე ან ცალ-ცალკე ენობრივი ერთეული არაერთ სემანტიკურ პარალელს ქართულ ენასთანაც პოულობს.

კავკასიის მიწა-წყალზე გავრცელებულ ენათა ლექსიკური მონაცემების სემანტიკური კვლევა-ძიება ბევრად ჩამორჩება სტრუქტურულ კვლევა-ძიებას. ამ თვალსაზრისით, ხსენებულ ენებში ჯეროვნად დამუშავებული არ არის არა მარტო კომპოზიტიური სემანტიკა, არამედ კომპოზიტების კომპონენტთა – ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა შედარებითი სემანტიკური ანალიზიც არ ჩატარებულა. ეგვე ითქმის ამ საკითხთა არეალური ლინგვისტიკის ასპექტით შესწავლაზე (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 17). ამგვარი სისტემური ანალიზი აქტუალურია, ერთი მხრივ, ადამიანის აზროვნებისა და სიტყვის მნიშვნელობის

¹ აღსანიშნავია, რომ ქართულ მითოლოგიაში **სული** ბოლის სახით ვლინდება.

ცვლა-განვითარების საფეხურების აღსადგენად, მეორე მხრივ კი, სიტყვაწარმოების ტიპოლოგიურ თავისებურებათა გამოსავლენად და ენათა (resp. ხალხთა) გენეზისური ურთიერთმიმართების კანონზომიერებათა დასადგენად.

კავკასიის მონათესავე და არამონათესავე ენებში შეინიშნება იმგვარი სიტყვაწარმოებითი მსგავსებები, რაც დასტურდება კომპოზიტურ კომპონენტთა სინტაგმებსა და სემანტიკაში. სემანტიკური დერივაციის ამგვარი პარალელები მეტწილად **კოორდინაციულ კომპოზიტებში** იჩენს თავს, რაც შემჩნეულიცაა სპეციალურ ლიტერატურაში (ჩიქობავა 2008: 35-38; ხაიდაყოვი 1961: 257-270; კლიმოვი, ხალილოვი 2003; შაგიროვი 1982...).

ჩვენს ხელთ არსებული ლინგვისტური მასალის მიხედვით, ყველაზე მეტად სემანტიკური პარალელიზმი ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ კომპოზიტებში მქლავდება. კერძოდ, კავკასიის მონათესავე და არამონათესავე ენებში **მშობლების** აღმნიშვნელი კომპოზიტი დასტურდება სხვადასხვაგვარი წყობით და მისი კომპონენტები ერთ სემანტიკურ ჯგუფში შედიან, მაგ.: ქართ. **დედ-მამა** (ძვ. ქართ. **მამა-დედაა**, **მამა-დედათაა**, აქედან: **მამულ-დედული** ← ***მამა-ულ-დედაული**), ზან. **ნანა-ბაბა**, **ბაბა-ნანა** (ჰან.), **დიდა-მუმა** (მეგრ.), სვან. **დრ-მუ**, ადიღ. **მათგ-მანგ-ხგრ**, ჩერქ. **ანგ-ადგ**, ჩეჩნ. **დნ-ნანა**, ბაცბ. **დად-ნან//ნან-დად**, ხუნძ. **ეხელ-ემენ**, ანდ. **ილა-იმა**, ახვ. **ილა-იმა**, დიდ. **ენი-ოზიჟ**, ბეჟ. **იომ-აბო**, ლაკ. **ნინუ-ფჟუ**, დარგ. **ნეშ-დუდეშ**, ლეზგ. **დიდე-ბუზა**, თაბ. **აბიორ-ბაბარ**, წახ. **დექ-ედ**, რუთ. **დიდ-ნინ**, ბუდ. **დიდე-ადა**, უდ. **ბაბა-ნანა** „მშობლები, დედ-მამა, მამა-დედა“; შდრ. სომხ. **ჰაირიკ-მამ-რიკ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამა-დედა“).

მართალია, ამჟამად, იბერიულ-კავკასიური ენების მიხედვით, ზემოწარმოდგენილი წყობა (**დედ-მამა**) გავრცელებულია, თუმცა ბევრ მათგანში დასტურდება ინვერსიული (**მამა-დედა**), ან ორივენაირი (**მამა-დედა//დედ-მამა**) წყობაც. ძველ ქართულში შებრუნებული წყობა (**მამა-დედაა**) გაბატონებულია და წერილობითაც მკაფიოდ გამოხატული **მამა-დედაა**, **მამა-დედათაა** (აქედან: **მამულ-დედული**) კომპოზიტის სახით, რომელიც ჯერ კიდევ „**შუშანიკის წამებაში**“ იჩენს თავს. მასთან, **დედ-მამა** კომპოზიტში წინამავალ კომპონენტში ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა მის გასამარტივებლად ახალი ქართულის მიდრეკილება ჩანს (შდრ. მეგრ. **დიდა-მუმა** „id.“). შებრუნებული წყობა **დედა-მამაა** ძველ ქართულში მეტად იშვიათია და ქრონოლოგიურად გვიანდელი – მას პირველად ადიშის ოთხთავში (897 წ.) ადასტურებენ (სარჯველაძე 1997: 190; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 316). ამასთანავე,

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულ მწერლობაში არაკომპოზიტურად გამოყენებულ მშობელთა (← მამრისა და მდედრის) აღმნიშვნელ სახელებში **მამა დედა**-ს წინ უსწრებს, რაც თვალნათლივ ჩანს „**შუშანიკის წამებაშიც**“ (ვარსკენმა „იხილა...ამბოხი იგი და ტირილი **მამათაი** და **დედათაი**...“). ძალზე სათუთა კლას-კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებში, თუ პრეპოზიცია და კომპოზიტის პირველი კომპონენტი პრიორიტეტული იყო, **ქალის** გამომხატველი სახელი წინ დაეყენებინათ. ჩვენი თვალსაზრისით, **დედ-მამა** წყობისა და მოდელის კომპოზიტები ქრონოლოგიურად გვიანდელი და კლასოვანი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგდროინდელი ჩანს.¹

ანალოგიურსავე პარალელიზმს გვიჩვენებს **და-ძმის** აღმნიშვნელი კომპოზიტი, რომელიც სათანადო ენათა და კომპონენტთა წყობის მიხედვით არაერთგვაროვანია, თუმცა ისტორიულად აქაც **დედ-მამის** ანალოგიური ვითარება უნდა გვექნოდეს: ქართ. **და-ძმა (დობილ-ძმობილი)**, ზან. **და-დო-ჯიმა**², სვან. **ჯგმილ-დაჩვირ, ჯიმილ-დაჩურ** (ზედმიწ. ძმა-და)³, ჩეჩნ. **იშია-ჟაშა//ჟაშა-იშია**, ინგ. **იში-ჟოშა**, ბაცბ. **იში-ჟაშ**, ხუნძ. **ჟაც-მაც** (ზედმიწ. „ძმა-და“), ანდ. **ჟოც-მეც** (ზედმიწ. „ძმა-და“), ლოდ., კარ., ტინდ., ახვ. **ჟაც-მაც** (ზედმიწ. „ძმა-და“), ლაკ. **უსჟურ-სჟ** (ზედმიწ. „ძმა-და“), დარგ. **უძი-რუძი** (ზედმიწ. „ძმა-და“), რუთ. **შუ-რიში** (ზედმიწ. „ძმა-და“), უდ. **ჟიჩი-ხუნჩი** (ზედმიწ. „ძმა-და“); შდრ. აზერბ. **ბაჯგ-გარდაშ**, სომხ. **ქუაირ-მეხპაირ** (ზედმიწ. „და-ძმა“).

საყურადღებოა, რომ ჩეჩნურში, გარდა კომპონენტთა წყობის თავისუფალი მონაცვლეობისა, თვალსაჩინოა სემანტიკური გადაწვევაც: **და-ძმა → დამძობა → ნათესაობა**. ამასთან, სომხური კომპოზიტი სათანადო კომპონენტთა იმავე წყობით არის წარმოდგენილი, როგორც ისტორიულად ივარაუდება იბერიულ-კავკასიურ ენათათვის.

არანაკლებ საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის არასისხლისმიერი ნათესაობის გამომხატველი კომპოზიტი **ცოლ-ქმარი**, რომელიც კავკასიურ ენათა სინამდვილეში საკმარისი პროდუქტიულობით გამოირჩევა: ქართ. **ცოლ-ქმარი**, ზან. **ჩილ-ქომოჯი** (ჭან.), **ჩილ-დო-ქომონჯი**

¹ ამ საკითხების გამოწვლილვითი და სიღრმისეული კვლევა ამჟამინდელი კვლევის მიზანს სცილდება. ცხადია, თუ **დედისა** და **მამის** ეტიმოლოგიასაც გავითვალისწინებთ, **დედა** (← **დედ-ალ**), **მამა** (← **მამ-ალ** ← ***მამ-არ**), მაშინ საკითხებს ცალკე ვრცელი გაშუქება ესაჭიროება (ჯავახიშვილი 1992: 224-225).

² მეგრულში აშკარაა გაკომპოზიტების ტენდენცია, თუმცა ეს პროცესი ბოლომდე რეალიზებული არ არის (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 218).

³ საცნაურია, რომ **ძმა-და** წყობადაცულია სწორედ იმ ენობრივ ერთეულებში (ძვ. ქართ., სვან., ბაცბ...), რომლებიც ჩვეულებრივ მეტ არქაულობას ავლენენ.

(მეგრ., ზედმიწ. „ცოლი და ქმარი“), სვან. **ლიიეხუ-ლიქაშ** (ზედმიწ. „ცოლ-ქმრობა“), აფხ. **ხაწეი-ფხგსი**, ხუნძ. **როსა-ლადი** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), ჭამ. **ჰეკუა-ჰასა** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), ლოდ. **ქუნტა-ჰარქი** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), ახვ. **აკიხო //←აკი-ხევე** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), საკ. დიდ. **ღანა-ხედიუ**, ჰინ. **ხოდდო-ბარუ** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), ბეჟ. **აკო-ბეტერჰან** (ზედმიწ. „მდედრ-პატრონი“), ლაკ. **ლას-შარ** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), დარგ. **მურულ-ხუნულ** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), ლეზგ. **ღუნნი ფაზ** (ზედმიწ. „ქმარიც ცოლი“), უდ. **იშუ-ჩუბუზ** (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“) „მეუღლეები, ცოლ-ქმარი“.

ქართველურ ენათა გარდა, თვალშისაცემია წყობა **ქმარი+ცოლი**, რაც ამყარებს აზრს ამგვარი მოდელის პირველადობაზე. მართალია, საკუთრივ დიდოურსა და ბეჟიტურში პრეპოზიციურად გვხვდება **ცოლი**, თუმცა აქაც ეს კომპონენტი პოლისემანტიკურია: საკ. დიდ. **ღანა** 1.ქალი, 2. ცოლი; ბეჟ. **აკო** 1. ცოლი ← 2. *დედალი.

სომატონიმების შემცველი კომპოზიტებიდან აღსანიშნავია **გულ-მკერდი**, რომლის პირველი კომპონენტი ძალიან ხშირად გამოიყენება კომპოზიტებსა და იდიომებში (ჩიქობავა 2008: 82): ქართ. **გულ-მკერდი**, **გულისპირი**, ზან. **გურ-პიჯი**, **გუ-პიჯი** (ჭან.), **გურ-კიდირი** (მეგრ.), სვან. **გუი-გუამერ**, აფხ. **ა-გგ-შგგ**, აბაზ. **გჩფგ**, ბაცბ. **დაკიპჰენტერ** (ზედმიწ. „გულის წიბო“), ხუნძ. **ქერენ-რაკ** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), ბოთლ. **ნიხი-რაკუა** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), კარ. **ნიხი-რაკუა** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), ბაგვ. **ნიჰ-რაკუა** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), ახვ. **ტააზურაკუა ← ტააზუ-რაკუა** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), საკ. დიდ. **ჰამო-როკუ** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), ჰინ. **ხემა-როკე** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), ხვარშ. **ჰელე-ლოკუა** (ზედმიწ. „მკერდ-გული“), დარგ. **უკე-მიჯამ** (ყუბ.), **ურკი-მიჯირ** (სირხ.); შდრ. ყუმ. **ქექიურექ** „გულ-მკერდი“.

ზემოდამოწმებული კომპოზიტი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ენათა უმრავლესობაში ერთგვარი სემანტიკური პარალელები გვაქვს. მცირეოდენ გადახრებს გვიჩვენებენ ჭანური და ბაცბური კომპოზიტები, რომლებშიც მერე კომპონენტის სემანტიკა მკერდის მნიშვნელობას არ ემთხვევა, თუმცა იმავე სემანტიკური ჯგუფის წევრად გვევლინება. გარდა ამისა, ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში **გული** პრეპოზიციურად იხმარება, რაც მის მეტ ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვაზე მიგვანიშნებს.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, კომპოზიტი **თვალ-პირი**, რომელიც ქართულში მნიშვნელოვან სტრუქტურულ-სემანტიკურ ცვლილებებს ექვემდებარება: **თვალ-პირი** („თვალი და პირი“) → **თოლ-პირი**

(„პირისახე“) → **თორპილი** („ლოყა, ღაწვი“). სხვა საანალიზო ენებში იგი ასე წარმოგვიდგება: ქართ. **თვალ-პირი**, მეგრ. **თოლ-პიჯი**, **თო-პიჯი**, სვან. **ჟიშკუტ**, **უშკუტ** (1. „პირი“, 2. „სახე“), აფხ. **ახაჰგ** (ზედმიწ. „თავ-პირი“), ადიღ. **ნაფ** (ზედმიწ. „თვალ-ცხვირი“), ხუნძ. **ბერ-კალ** (ზედმიწ. „თვალ-პირი“, შდრ. **ქუერ-ბერ**, ზედმიწ. „ხელ-თვალი“), საკ. დიდ. **ჰუტ-მჩალი** „სახე“ (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), ჰინ. **ჰუტ-მალუ** „სახე, სიფათი“ (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), ლაკ. **მაი-მურჩ** (ზედმიწ. „ცხვირ-პირი“).

ქართულს ზუსტი სემანტიკური შესატყვისი მეგრულსა და ხუნძურში უდასტურდება, დანარჩენ ენებში მეტ-ნაკლებად დიფერენცირებული ვითარება გვაქვს – **თვალს** ანაცვლებს სხვა კომპოზიტის (**თავ-ცხვირი**) ელემენტები **თავი** ან **ცხვირი**, შდრ. ქართ. **ცხვირ-პირი** → **სახე** (ხევს.), ხუნძ. **ჰომერ-კალ** (ყელებ.) „ცხვირ-პირი“ → **ჰუმეკალ** (← **ჰუმერ-კალ**) „სახე“ (აზმაიფარაშვილი 2015: 22). სვანურში, მართალია, კომპოზიტი არ მოგვეპოვება, თუმცა **ჟიშკუტ** სემანტიკურად საინტერესოა – აღნიშნავს **პირსაც** და **სახესაც**: **პირი** → **სახე**.

ანალოგიურად განიხილება არაერთი კომპოზიტი: **თვალ-ყური**, **თვალ-წარბი**, **ხელ-პირი**, **თავ-კისერი**, **თავ-ფეხი** და მისთ.

შედარების თვალსაზრისით, საინტერესო ჩვენებას გვაწვდის **ცხოველ-ფრინველთა სახელების შემცველი კომპოზიტები**, რომლებიც საკვლევ ენათა სინამდვილეში დიდად სამეხარო არ არის. შეიძლება დავასახელოთ ზოგი მათგანი: ქართ. **ცხვარ-ძროხა**, **ცხვარ-საქონი**, ხუნძ. **მი-ბოწი**, **ჰაიჰტან-ბოწი**, საკ. დიდ. **ჰაიჰტან-ფრსუ** // **ჰაიჰტან-ღურო**, ჰინ. **ჰაიჰტან-ღუერო**, ბეჟ. **ბოწი-ჰამინ** (ზედმიწ. ხუნძ. „წვრილ-ფეხა საქონელი“ – არაბ. „მსხვილფეხა საქონელი“), ლაკ. **იჰალილ ჰაიჰტანთ** (ზედმიწ. „სახლის ცხოველები“) საქონელი, პირუტყვი.

საცნაურია, რომ პირველ ან მეორე კომპონენტად არაბული **ჰაიჰტან** („მსხვილფეხა საქონელი“) არის გავრცელებული. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ცხვარი (წვრილფეხა პირუტყვი), გარდა ქართულისა, კოორდინაციულ კომპოზიტებში ნაკლებად შეიმჩნევა.

იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკიდან ყურადღებას იპყრობს **ახჯრის** კომპონენტებიანი კომპოზიტი: ქართ. **ფარ-ხმალი**, ზან. **ფორ-დო-ოშხანი**, **ხამუ-დო-ფორი** (ზედმიწ. „დანა და ფარი“) (მეგრ.), სვან. **ფარ ი ხანგარდ** (ზედმიწ. „ფარი და ხმალი“), ადიღ. **ჩათჰ-ფადუჩ**, ყაბ. **შგ-ფადუჩ**, **ჯათჰ-ფადუჩ** (ზედმიწ. „ხმალ-ფარი“), ინგ. **თურ-თურს** (ზედმიწ. „ხმალ-ფარი“), ბაცბ. **თურ-ფარ** (ზედმიწ. „ხმალ-ფარი“), საკ. დიდ. **ბალჰა-ტაჯ** (ზედმიწ. „ხანჯალ-დანა“), ბეჟ. **ბალჰა-ხეჩ** (ზედმიწ. „ხანჯალ-შუბი“) „ფარ-ხმალი“, „ფარ-შუბი“.

თვალშისაცემია ქართველურ ენებში აღწერითი წარმოება, რომელშიც უფრო მეგრული აუდავნებს გაკომპოზიტების ტენდენციას. ამასთან, ფარის აღსანიშნავად ლექსემები მეტწილად ნასესხობებია (ყუმ. **ჯალჯან**, აზერ. **გალხან**) და არაიშვიათად აღწერითიც, მაგ. ხუნძ. **ცებე ქოლებ მახ**, „წინ დასაჭერი რკინა“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართულში ესოდენ პროდუქტიული წარმოება ამ რიგის თხზული სახელებისა სხვა საანალიზო ენებში სათანადოდ არ არის გამოხატული. ცივი იარაღების სახელები, რომელთა თხზვითაც უნდა მიგველო სათანადო კომპოზიტები, აუცილებელი კანონზომიერებით (ობიექტური რეალობის – თავდაცვა-თავდასხმითი ომების არსებობით) უნდა ყოფილიყო შეპირობებული. ვფიქრობ, ამ რიგის სათანადო ლექსიკა ჯერ კიდევ სათანადოდ გამოვლენილი ჩანს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძველისძველი სასროლი იარაღის გამომხატველი კომპოზიტი – **მშვილდ-ისარი**, რომელსაც კავკასიელ ხალხთა ყოფაში უწინ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამას მოწმობს მისი ფართოდ გავრცელებულობა და პროდუქტიულობა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: ქართ. **მშვილდ-ისარი**, ზან. **შქვილ-დო-კობული**, **ქა-შქვილი** (→//**ქა-შვილი**) დო **ქა-საგანი** (მეგრ.), სვან. **ცხულაქემანტ**, **ცხუი-ცგქემანდ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), **კემანდ-ცხუი**, **კემდ-ცხუი**, აფხ. ა-**ხგც-ხგმფალ**, აბაზ. **ხგრხგც←ხგრ-ხგც** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ადიღ. **შაზზა-შა**, ჩეჩნ. **ყად-ფხა**¹, ინგ. **ყად-ტანსქ**, ბაცბ. **ატყ-წაქ-ი** (მრ.), ხუნძ. **ჰორბუტ ← ჰორბუტ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ანდ. **ლერწენ ← ლერ-წენ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ახვ. **ლექო ← ლე-ჰო ← *ლე-ჰორ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), საკ. დიდ. **წერუ-წო** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ჰინ. **წერუ-წა** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ბეჟ. **წულუ-წასა** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ლაკ. **ქურთა-ჰატარაკ** (ლიტ.), **ქურთა-ჰატარაწ** (არაკ.), დარგ. **ურგი-დერგა** (ლიტ.), **ურქა-დირჯა** (წუდახ.) (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“) „მშვილდ-ისარი“; შდრ. ყუმ. **ოყ-ყადა**, ოს. **ჰათ-არდგენ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“) „მშვილდ-ისარი“.

ზემოწარმოდგენილი კომპოზიტი მკაფიოდ გამოხატავს კოორდინაციულ კომპოზიტთა სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებათა ძირითად პარადიგმას.

ამ კომპოზიტთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ **ცისარ-ტყელას** გამომხატველი **განსაზღვრებითი** (composita determinativa)

¹ ჩეჩნურში დასტურდება სუბორდინაციული კომპოზიტიც **ფხონწყად** „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარის მშვილდი“).

კომპოზიტი, რომელსაც ქართველურშიც და კავკასიურ ენათა სინამდვილეშიც სემანტიკური ანალოგები მოეპოვება. საილუსტრაციო მაგალითები: **ცისარტყელა** ← **ცის-სარტყელა** ← **ცის სარტყელი**, ზან. **ცაშ-ოტკაპუ** ← **ცაშ-ოტკაპუ** (ჭან.), **ცაშოტყაფუ** ← **ცაშ-ოტყაფუ** (მეგრ.), სვან. **დეფე-ლწრტყ**, აფხ. **ა-ცაყა** ← **ა-ცა-ყა** (ზედმიწ. „ტყავ-თალი“), უბ. **ზამჩაჭა**, საკ. დიდ. **ასოს აშუნი**, **ალლაჰეს აშუნი** (ზედმიწ. „ცის სარტყელი“, „ღმერთის სარტყელი“), ჰინ. **აშუნე** („სარტყელი“), ლაკ. **საურულქურთა** ← **საურულ-ქურთა** (ზედმიწ. „ცის მშვილდი“, „ცის რკალი“), თაბ. **დერქაუჭიმირ** ← **დერქაუ-ჭიმირ** (ზედმიწ. „მშვილდისარი“) ცისარტყელა.

სწორედ ეს ბოლო კომპოზიტი ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ **მშვილდის (მშვილდ-ისრის)** სახელწოდება ანალოგიითა და ასოციაციით ცისარტყელაზე არის გადასული: **მშვილდი (მშვილდ-ისარი)** → **ცისარტყელა**. ამგვარი სემანტიკური გადაწევა-გადასვლა, გარდა თაბასარანულისა, ნიშანდობლივია ზოგი სხვა ენობრივი ერთეულისთვის: ბაცბ. **ატყ-წაქ-ი** (მრ.) „ცისარტყელა“, შდრ. ხევს. **მშვილდ-ისარანი** (= ცისარტყელა).

გარდა ამისა, სხივთა გარდატეხის (ფერთა გამის) **ცის სარტყლად** აღქმა და შესაბამისი სახელდება მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სხვადასხვა წარმომავლობის ენებში შეიძლება დადასტურდეს ნომინაციის ერთგვაროვანი მოვლენები, მაგ.: გერმ. Regenbogen ← regen-bogen, ინგლ. rain-bow, რუს. *ра-дуга ცისარტყელა (ზედმიწ. „წვიმის მშვილდი“).

ამრიგად, კავკასიის ენათა სინამდვილეში კომპოზიტთა სემანტიკის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი იძლევა ზოგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: ა) კავკასიის მონათესავე და არამონათესავე ენათა მიხედვით, **სემანტიკური პარალელიზმი** მეტწილად ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ კომპოზიტებში მქადავდება; ბ) კომპოზიტთა სემანტიკური დერივაციისას ანალოგებით **კოორდინაციული კომპოზიტები** გამოირჩევიან; გ) კლას-კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენები, პრეპოზიციის პრიორიტეტულობის გამო, **დედ-მამა** წყობის კომპოზიტები ქრონოლოგიურად გვიანდელი უნდა იყოს; დ) საკვლევ კომპოზიტთა კომპონენტები სემანტიკური ვარიაციულობით ხასიათდებიან, თუმცა ადრეულ ქრონოლოგიურ საფეხურებზე მათი მნიშვნელობები ძირითადად მსგავს არქისემებამდე დაიყვანება; ე) კომპოზიტთა შედარებისას თვალნათლივ ჩანს სემანტიკური დიფერენციაციის კვალი, რაც მკაფიოდ აირეკლება თხზულ სახელთა სათანადო კომპონენტების ცვლილებებში.

4. კომპოზიტთა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით

იბერიულ-კავკასიურ ენებში ლექსიკური მონაცემების სემანტიკური შესწავლა ბევრად ჩამორჩება სტრუქტურული ხასიათის კვლევებს. სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის გამოთქმული უკმაყოფილება, რომელიც, არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, რთული სიტყვების შესწავლას უკავშირდება (კლიმოვი, ხალილოვი 2003: 17). 1975 წელს არნ. ჩიქობავა წერდა: „ენის შესწავლისას კულტურასთან კავშირში, უწინარეს ყოვლისა, აპელირებენ ლექსიკის მონაცემებით“, ანდა: „სიტყვის შესწავლისას მნიშვნელოვანია მისი გამოყენების არეალის დადგენა“. ეს ეხება როგორც საკუთარ სიტყვებს, ისე ნასესხებსაც“ (ჩიქობავა 1975: 35-36). რთული სიტყვების სისტემატური ანალიზი, არეალური და შედარებითი ლინგვისტიკის თვალსაზრისით, აქტუალურია, ერთის მხრივ, ადამიანის აზროვნების ცვლილების (განვითარების) ქრონოლოგიური დონეებისა და სიტყვების მნიშვნელობის რეკონსტრუქციისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოების ტიპოლოგიური უნივერსალების გამოსავლენად და ენების (resp. ხალხების) გენეტიკური ურთიერთობის კანონზომიერებათა დასადგენად.

კავკასიის მონათესავე და არამონათესავე ენებში დასტურდება ისეთი სიტყვაწარმოებითი შეხვედრები, რაც ცხადყოფილია კომპოზიტური კომპონენტების სინტაგმებითა და სემანტიკით. სტრუქტურული და სემანტიკური ხასიათის ამგვარი პარალელიზმები ყველაზე ხშირად გვხვდება კოორდინაციულ კომპოზიტებში, რაც სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილია (ჩიქობავა 1975: 35-36; ხაიდაყოვი 1961: 132; არდოტელი 2007: 58-60 ...).

ჩვენს ხელთ არსებული ენობრივი მასალით თუ ვიმსჯელებთ, უდიდესი სტრუქტურული და სემანტიკური პარალელიზმები ვლინდება ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ კომპოზიტებში, რომლებიც მეტწილად დაკავშირებული იზოგლოსებია. კერძოდ, საკვლევ ენებში მშობლების აღმნიშვნელი კომპოზიტი გვხვდება კომპონენტების ფიქსირებული თანმიმდევრობით, თუმცა მისი კომპონენტები შედის იმავე სემანტიკურ ჯგუფში, მაგ.: ქართ. **დედ-მამა** (ძვ. ქართ. **მამა-დედაი, მამა-დედათაი**), ზან. **ნანა-ზაზა, ზაზა-ნანა** (ჭან.), **დიდა-მუმა** (მეგრ.), სვან. **დრ-მუ**, ადიღ. **ათგ-ანგ-ხგრ**, ყაბ. **ანგ-ადგ**, ჩეჩნ. **დნ-ნანა** // **ნან-დად**, ხუნძ. **ებელ-მენ**, ანდ., ახვ. **ილა-იმა**, დიდ. **ენი-ოზიტ**, ბეჟ.

იძო-აბო, ლაკ. **ნინუ-ფუ**, დარგ. **ნემ-დუდემ**, ლეზგ. **დიდე-ბუზა**, თაბ. **აბიბ-ბაბარ**, წახ. **დექ-ედ**, რუთ. **დიდ-ნინ//ნინ-დიდ**, ბუდ. **დიდე-ადა**, უდ. **ბაბა-ნანა** „მშობლები“ (ზედმიწ. „დედა-მამა“, „მამა-დედა“); შდრ. სომხ. **ჰამრიკ-მამრიკ** "id." (ზედმიწ. „მამა-დედა“).

მართალია, ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში სინქრონიულ დონეზე კომპონენტების ზემოაღნიშნული თანმიმდევრობაა (**დედა-მამა**) გავრცელებული, მაგრამ ბევრ მათგანში ინვერსიული (**მამა-დედა**), ანდა ორივენაირი (**მამა-დედა // დედა-მამა**) ფორმებიც დადასტურებულია. ძველ ქართულ ენაში შეინიშნება საპირისპირო რიგი (**მამა-დედა**), რომელიც პირველად გვხვდება შუმანიკის წამებაში (V ს.). შებრუნებული წყობა (**დედა-მამა**) ძალზე იშვიათია ძველ ქართულ ენაში და ქრონოლოგიურად გვიან პერიოდს მიეკუთვნება – ეს პირველად "ადიშის ოთხთავში" (897) დასტურდება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 316). ძალიან საეჭვოა, რომ კლას-კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებში, თუ პრეპოზიციურობა პრიორიტეტული იყო, მაშინ წინ მეორე კლასის სახელი დაეყენებინათ. ჩვენი აზრით, **დედა-მამა** მოდელის კომპოზიტები ქრონოლოგიურად გვიანდელია და გრამატიკული კლასის სისტემის შემდეგ ჩანს ჩამოყალიბებული.

ამგვარი პარალელიზმი ვლინდება კომპოზიტში, რომლის შემადგენელი წევრები არიან **და** და **მმა**: ქართ. **და-მმა**, ზან. **და-დო-ჯიმა** (მეგრ.), სვან. **ჯგმილ-დაჩჷირ**, ჩეჩნ. **იშა-შაშა // შაშა-იშა**, ბაცბ. **აშ-ვაშრ**, ხუნდ. **შაც-მაც**, ანდ. **შოც-მეც**, კარ., ტინდ., ახვ. **შაც-ი-მაცი**, ლაკ. **უსურ-სუ**, დარგ. **უბი-რუბი**, რუთ. **შუ-რიში**, უდ. **შიჩი-ხუნჩი** „ძმა და და“ (ზედმიწ. „ძმა-და“, „და-ძმა“); შდრ. სომხ. **ქუდრ-მეხპამრ** "id." (ზედმიწ. „და-ძმა“).

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნურ ენაში, გარდა შესაბამისი კომპონენტების თავისუფალი მონაცვლეობისა, შეინიშნება აგრეთვე სემანტიკური ცვლა: **და + მმა** → **ძმოზა** (ზედმიწ. „და-ძმოზა“) → **ნათესაობა**. ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ სომხური კომპოზიტი წარმოდგენილია შესაბამისი კომპონენტების იგივე სისტემით, რაც ისტორიულად არ ივარაუდება იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ზემოწარმოდგენილი კომპოზიტების გარდა, ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი სახელებიდან ყურადღებას იქცევს **ქალ-ვაჟი** (resp. **გოგო-ბიჭი**), რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენებში ფართოდ არის გავრცელებული და მოიცავს ენათა უმრავლესობას. ამასთანავე, ამ კომპოზიტის შემცველი წყვილობითი ანტონიმური სახელები, **და-ძმის** ანალოგიურად, მყარად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და

ერთგვარად კრებითობის გამომხატველ იზოსემას ქმნიან, მაგ.: ქართ. **ქალ-ვაჟი** (resp. **გოგო-ბიჭი**), სვან. **ზურნალ-ღუაჟმარე** (ზედმიწ. „ქალ-ვაჟკაცი“), ჩეჩნ. **კანთ-აჟო**, ინგ. **კანქ-აიციგ** (ზედმიწ. „ვაჟ-გოგო“), ბაცბ. **აოჰ-ვოჰ**, ხუნდ. **ჟას-მას** (ზედმიწ. „ვაჟ-გოგო“), დიდ. **ჟეი-ქიდ**, ბეჟ. **ოჟე-ქიდ** „შვილები“, „ქალ-ვაჟი“ (ზედმიწ. „ვაჟ-გოგო“ : „გოგო-ვაჟი“). ეს ანტონიმებიანი კომპოზიტი ქართველურშიცა და ნახურ-დაღესტნურ ენებშიც ერთგვარ თავისებურებებს ამჟღავნებს. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ამ კომპოზიტს სემანტიკური გადახრა-გადააზრებანი და დამატებითი კონოტაციები მოეპოვება. კერძოდ, ქართულში **„ქალიშვილის“** აღსანიშნავად ოდენ ზოგადი სახელწოდებაა (**ქალი**) გამოყენებული, ხოლო სვანურში კი დამატებით მეორე კომპონენტიც კომპოზიტად არის ქცეული (**ღუაჟმარე** ← **ღუაჟ-მარე**, ზედმიწ. „ვაჟ-კაცი“), რაც შეპირობებული ჩანს **„ვაჟიშვილის“** მეტი პრიორიტეტულობის წარმოსაჩენად. რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ ენებს, აქ პირველ ადგილზე, როგორც წესი, **„ვაჟი“** დაისმის, თუმცა ბაცბურში ეს წესიც ირღვევა, რაც შეიძლება შემდგომი გადააზრებების (ქართულის გავლენის) შედეგად იყოს. დიდოურ ენათა სინამდვილეში საანალიზო იზოსემა მეტ გადახრებს გვიჩვენებს: შდრ. საკ. დიდ. **ქიდ-ჟეი** „ჭიამაია“; ბეჟ. **ოჟე-ქიდ** „ჭიამაია“ (ზედმიწ. „ბიჭ-გოგო“).

საინტერესოა ნათესაობის გამომხატველი კიდევ ერთი ანტონიმურ-სუბორდინაციული კომპოზიტი **ცოლ-ქმარი**, რომელიც სპეციალური ლიტერატურიდანაც კარგად ცნობილია (ჩიქობავა 2008: 49-50; კლიმოვი, ხალილოვი 2003: 58...). ხსენებული კომპოზიტი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უფრო მეტად გავრცელებულია საკვლევ ენებში: ქართ. **ცოლ-ქმარი**, ზან. **ჩილ-ქომოჯი** (ჭან.), **ჩილ-დო-ქომონჯი** (მეგრ.), სვან. **ხეხუ-ჭაშ**, ჩეჩნ. **მაირა-ზუდა**, ბაცბ. **მარ-ფსტუ**, ხუნდ. **როს-ლადი**, ლოდ. **კუნტა-ჰარქი**, ჭამ. **ჰეკუა-ჰას**, ახვ. **აკიხაო** (← **აკი-ხევე**), დიდ. **ღანა-ხედიუ**, ბეჟ. **აჯო-ხეტერჰან** (ზედმიწ. „მდედრ-პატრონი“), **ხეტერჰან-აკე** (ჰუნზ.) „ცოლ-ქმარი“.

წყვილეულთა სემანტიკური გადაწევისა და გადასვლის შემთხვევები, რაც საკვლევ ენათა სინამდვილეში ხდება, ცნობილია: **კაცი** → **ქმარი**, **ქალი** → **ცოლი**. ინტერესს იწვევს სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაციები: კომპონენტის მნიშვნელობის დავიწროება (სვან. **კაცი** → **კაჩი** → **ჭაჩი** → **ჭაშ**, „ქმარი“), ან დამატებითი კონოტაციები (ლოდ. **ჰარქი** 1. ცოლი ← 2. მდედრი, დედალი), ანდა დიალექტური ნაირსახეობანი (ახვ.: რატლ. **არკი-ხევე** → ტლიან. **არკი-ხეუ** → ცეკ. **აკხიფ**), რაც დაკავშირებულ იზოგლოსათა სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილებებით არის შეპირობებული.

აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, საკუთრივ დიდოურში, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულში ამგვარი ტრანსფორმაცია ხელშესახებია, რას სათანადო კომპოზიტებშიც დაჩნდება (ხევეს. **კაც-დიაცნი** = ცოლ-ქმარნი : საკ. დიდ. **ღ'ანა'-ხედიჲ** „ცოლ-ქმარი“, ზედმიწ. „ქალ-ქმარი“). ამასთან, ამავე ცნების აღსანიშნავად საკუთრივ დიდოურში შეინიშნება სხვა კომპოზიტიც, რომელშიც **ცოლი**, ორაზროვნების გარეშე, პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი: **ხედრიჲ-ზარჲ** „მეუღლეები, ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“, შდრ. ხუნძ. **როს-ლ'ადი** „id.“). ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება **აკო-ბეტერჰან** (ზედმიწ. „მდედრ-პატრონი“), რომლის ინვერსიული ვარიანტი (**ბეტერჰან-აკე** „პატრონ-მდედრი“) ჰუნზიბურ დიალექტში იჩენს თავს. საანალიზო კომპოზიტის პირველი კომპონენტი **დედალს**, **მდედრს**, ხოლო მეორე კომპონენტი ხუნძური ნასესხობაა და **პატრონს** (ბატონ-პატრონს) აღნიშნავს. ხუნძური კომპოზიტი **ბეტერჰანჩი** (← **ბეტერჰან-ჩი** ზედმიწ. „ბატონ-კაცი“), როგორც ჩანს, ქმრის (resp. ბატონ-კაცის, პატრონ-კაცის) მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (უსლარი 1889, II: 52). განცალკევებით დგას ბეჟიტური კომპოზიტი **აკო-ყოვა** („ახალბედა ცოლი“), რომლის ტოლფარდი დიდოურში გამოვლენილი არ არის. ამჟამად ხუნძური ენის ზოგ კილოკავ-თქმაში **ბეტერჰანჩი** ოდენ **ქმრის** მნიშვნელობის მქონეა.

სომატონიმების შემცველი კომპოზიტებიდან უნდა აღინიშნოს **„მკერდი“** (ზედმიწ. „გულ-მკერდი“), რომლის პირველი კომპონენტი **გული** ძალიან ხშირად გამოიყენება რთულ სიტყვებსა და იდიომებში. იგი, როგორც არნ. ჩიქობავა წერს, „...წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების... ამთვისებლად“ (ჩიქობავა 2008: 82), მაგ.: ქართ. **გულ-მკერდი**, **გულისპირი**, ზან. **გურ-პიჯი** // **გუ-პიჯი** (ჭან.), **გურ-კიდირი** (მეგრ.), სვან. **გჷი-გჷმმერი**, აფხ. **ა-გ'გ-შფ'გ**, აბაზ. **გ'ჩფგ** ← **გ'ჩფგ**, ბაცბ. **დაკინფჷნტერ**, ხუნძ. **ქერენ-რაკ**, ბოთლ., კარ. **ნიხი-რაკუა**, ბაგვ. **ნიჰ-რაკუა**, ახვ. **ტაბურაკუა** ← **ტაბურაკუა**, დიდ. **ჰამო-როკუ**, ჰინ. **ხემა-როკე**, ხვარშ. **ჰელე-ლოკუა**, დარგ. **უკე-მიკაჲ**.

კომპოზიტის ზემოაღნიშნული ფორმები ნათლად გვიჩვენებენ, რომ შესასწავლი ენების უმრავლესობაში ერთი და იგივე სტრუქტურული და სემანტიკური პარალელიზმებია, თუმცა ზუსტი იზოგლოსების დადგენა, სათანადო მასალის უკმარობის გამო, გამწვანებულია.

¹ **ღ'ანა** პოლისემიურია – აღნიშნავს **ქალსაც** და **ცოლსაც**.

ზანური ენის ჭანურ დიალექტსა და ბაცბურში კომპოზიტები ავლენენ მცირე გადახრებს, რომლებშიც პოსტპოზიტიური კომპონენტის სემანტიკა მთლიანად არ შეესაბამება **გულმკერდის** (ზედმიწ. **გულ-მკერდის**) მნიშვნელობას, თუმცა, როგორც ჩანს, ის იმავე სემანტიკური ჯგუფის წევრია. გარდა ამისა, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში **გული** წარმოდგენილია წინა პოზიციაში, რაც მის დიდ ფუნქციურ და სემანტიკურ დატვირთვაზე მიგვითითებს.

ყურადღებას იქცევს რთული სიტყვა „**სახე**“ (ზედმიწ. „თვალ-პირი“), რომელიც ქართულ ენაში ექვემდებარება მნიშვნელოვან სტრუქტურულ და სემანტიკურ ცვლილებებს: **თვალ-პირი** („თვალი და პირი“) → **თოლ-პირი** („სახე“) → **თორპილი** („ლოყა“). სხვა საკვლევ ენებში ასე გამოიყურება: მეგრ. **თოლ-პიჯი**, **თო-პიჯი** (შდრ. **გურ-პიჯი** „მკერდი“), სვან. **ჟიშკუ**, **უშკუ** (1. „პირი“, 2. „სახე“), აფხ.**ახაჰგ** (ზედმიწ. „თავ-პირი“), ბაცბ. **იოჰ-ქოტრ**, ხუნძ. **ბერ-კალ** (ზედმიწ. „თვალ-პირი“), დიდ. **ჰუტ-მჰალი** (ზედმიწ. „პირ-თვალი“), ბეჟ. **ჰუტ-მალუ** (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), ლაკ. **მაი-მურჩ** (ზედმიწ. „ცხვირ-პირი“).

ქართული კომპოზიტის ზუსტი სემანტიკური შესატყვისობა გვხვდება მეგრულ და ხუნძურ ენებში, ხოლო სხვა ენობრივ ერთეულებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარებაა – **თვალი** იცვლება სხვა წევრებით („თავი-ცხვირი“) – **თავით** ან **ცხვირით**; შდრ. ქართ. **ცხვირ-პირი** → **სახე** (ხევს.), ხუნძ. (ყელებ.) **ჰომერ-კალ** → „სახე“ (ზედმიწ. „ცხვირ-პირი“), შდრ. ტოხ. **ჰუმე-კალ** (← **ჰუმერ-კალ**) „სახე“ (ზედმიწ. „სახე-პირი“) (აზმაიფარაშვილი 2015: 22). მართალია, სვანურ ენაში კომპოზიტს ვერ ვხვდებით, მაგრამ თავჩენილი ფორმა **ჟიშკუ** სემანტიკურად მეტად საინტერესოა – ნიშნავს **პირსაც** და **სახესაც**: **პირი** → **სახე** (← პირის სახე).

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი სომატონიმებიანი კომპოზიტი **კუჭ-ნაწლავი**, რომელიც ნახურ-დაღესტნურ ენებში, მართალია, ქართულის ანალოგიურია, თუმცა ცალკეული განსხვავებები კომპონენტთა წყობისა და შემცველობის მიხედვით მაინც გვაქვს, მაგ.: ქართ. **კუჭ-ნაწლავი**, ჩეჩნ. **დუოგ-ფახ** (ზედმიწ. „გულ-ფილტვი“), საკ. დიდ. **ახ-ბილ** (ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“, შდრ. **ინახუ-ახ**, ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“), ბეჟ. **ახ-ბალა** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“.

ზემოხსენებული ენების გარდა, შეიძლება ეს კომპოზიტი სხვა მონათესავე ენებშიც ანალოგიურად იყოს წარმოდგენილი, რასაც სათანადო მასალა სჭირდება. ამასთან, ჩეჩნურ ენაში, მართალია, ამ მნიშვნელობით **დუოგ-ფახ** (ზედმიწ. „გულ-ფილტვი“, შდრ. დიდ. **ხოტო-**

რი-ყუბი „ჯიგარი“, ზედმიწ. „ფილტვ-ღვიძლი“) დასტურდება, მაგრამ უშუალოდ სიტყვა-ფორმა **კუჭ-ნაწლავის** გამომხატველი კომპოზიტის არსებობაც ვერ გამოირიცხება (პავლოვი 1988: 58; იხ. ხალიდოვი, თი-მაევი 2013: 544).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უძველესი იარაღის – **მშვილდის** აღმნიშვნელ კომპოზიტს **მშვილდ-ისარი**, რომელსაც ადრე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიელ ხალხთა ცხოვრებაში. ამას მოწმობს საკვლევ ენათა სინამდვილეში მისი ფართო გავრცელება და პროდუქტიულობა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელო-ბით: ქართ. **მშვილდ-ისარი**, ზან. **შქვილ-დო-კოპული**, ქა-**შქვილი-დო-ქა-საგანი** (მეგრ.), სვან. **ცხულაჲქემანტ**, **ცხუი-ცგქემანდ** (ზედმიწ. „ისარი-მშვილდი“), **კემანდ-ცხუი**, **კემდ-ცხუი** (ზედმიწ. „მშვილდი-ისარი“), აფხ. **ა-ხგც-ხემფალ**, აბაზ. **ხგრხგც** ← **ხგრ-ხგც**, ადიღ. **შ-გზზა-შ-ზ**, ჩეჩნ. **’ად-ფზა**, ინგ. **’ად-ტასქ**, ბაცბ. **ატყ-წაქ-ი(მრ.)**, ხუნძ. **კორზუტ** ← **კორ-ზუტ**, ანდ. **ლ’ერწენ** ← **ლ’ერ-წენ**, ახვ. **კარაკო** ← ***კარა-ლ’ერ-კო**, დიდ. **წე-რუ-წო**, ჰინ. **წერუ-წა**, ბეჟ. **წულუ-წაყა**, ლაკ. **ქურთა-კატარაკ**, **ქურთა-კატარაწ**, დარგ. **ურგი-დერგა** (სალიტ.), **ურქა-დირკა** (წუდახ.) „მშვილ-დი და ისარი“ (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“, „ისარ-მშვილდი“); შდრ. ყუმ. **ოყ-ჟააა**, ოს. **ჟათ-არდგნ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“).

ზემოაღნიშნული კომპოზიტი ნათლად გამოხატავს კოორდინა-ციული კომპოზიტების სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურე-ბათა ძირითად პარადიგმას. ძველი საბრძოლო იარაღი – **მშვილდი**, რომელიც საკვლევ ენებში ჩვეულებრივ კომპოზიტის სახით (**მშვილდ-ისარი**) დასტურდება, უპირატესად სინონიმური თხზული სახელი უნ-და ყოფილიყო სხვა არამონათესავე ენათა სინამდვილეშიც (იხ. ზემოთ ყუმ., ოს.). ამასთანავე, კომპოზიტის შესაქმნელად და სათანადო იზო-ლექსას ჩამოსაყალიბებლად საანალიზო სახელის წყვილუელობასაც უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი.

ამ მხრივ გასათვალისწინებელია ადიექტიური კომპოზიტი (**ცი-სარტყელა**), რომელსაც სემანტიკური ანალოგი და იზოგლოსა მოეპო-ვება როგორც ქართველურ, ისე კავკასიურ ენებში, მაგ.: ქართ. **ცისარ-ტყელა** ← **ცის-სარტყელა** ← **ცის-სარტყელი**, ზან. **ცაშ-ოტყაპუ** (ჰან.), **ცაშოტყაპუ** ← **ცაშ-ოტყაპუ** (მეგრ.), სვან. **დეცე-ლარტყ**, აფხ. **ა-ცაყა**, უბ. **ზამმზაწ**, დიდ. **ასოს აშუნი** (ზედმიწ. „ცის სარტყელი“), **ალლაჰის აშუნი** (ზედმიწ. „ალაჰის სარტყელი“), ჰინ. **აშუნე** (ზედმიწ. „ქამარი“), ლაკ. **სურულქურთა** ← **სურულ-ქურთა** (ზედმიწ. „ცის მშვილდი“), თაბ. **დერქაჟუჰიმირ** ← **დერქაჟ-ჰიმირ** (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“) „ცისარ-ტყელა“.

სწორედ ეს უკანასკნელი კომპოზიტი იპყრობს ყურადღებას იმ მხრივ, რომ მშვილდის სახელი (**მშვილდ-ისარი**) ცისარტყელაზე ანალოგიითა და მსგავსებითი ასოციაციით არის გადატანილი: **მშვილდი** („მშვილდ-ისარი“) → **ცისარტყელა**. გარდა თაბასარანული ენისა, ასეთი სემანტიკური გადახრა-გადაწევა დამახასიათებელია ზოგიერთი სხვა ენობრივი იზოსემასთვისაც: ბაცბ. **ატყ-წაქ-ო** (მრ.), შდრ. ხევს. **მშვილდ-ისარა**-ნი „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „მშვილდ-ისრები“).

ამასთან, ცაში სხივების (ფერების) გარდატეხის ერთგვაროვანი აღქმა და შესაბამისი სახელდება მეტად მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სხვადასხვა წარმოშობის ენებშიც შეიძლება გამოვლინდეს ნომინაციის ერთგვარი სტრუქტურულ-სემანტიკური მოვლენები. კერძოდ, ზოგ ინდო-ევროპულ ენაში ამის დამადასტურებელი მაგალითები ნამდვილად გვხვდება, რაც აფართოებს ამ იზოსემას გავრცელების არეალს: გერმ. **regen-bogen** ← **regen-bogen**, ინგ. **rain-bow**, რუს. **Радуга** ←* **ра-дуга** (შდრ. ძვ. ოს. **არდუნგა** ←***რადუნგა** „მშვილდი“) „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „წვიმის მშვილდი“, „წვიმის რკალი“).

ნასესხებ კომპოზიტა საკითხისათვის. ქართველები უხსოვარი დროიდან მეზობლობდნენ მათ მოსაზღვრე კავკასიელ ხალხებთან, რაც მეტ-ნაკლებად ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდანაც. მეტადრე ეს ითქმის დიდოელებთან კახელების, თუშებისა და ფშავ-ხევსურების (resp. ფხოველების) მრავალსაუკუნოვან მეზობლობასა და ხანგრძლივ ენობრივ კონტაქტებზე, რაც სათანადოდ უნდა ასახულიყო, ზოგადად, ქართული ენის, კონკრეტულად, მთის კილოების ლექსიკურ საგანძურში. ცხადია, ამჯერად ჩვენი დაინტერესებაც განპირობებულია იმით, რომ გაირკვეს, არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, რა ენობრივი გავლენა მოუხდენია აპრიორულად აღებულ ენობრივ კონტაქტებს, ზოგადად, ქართულ და დიდოურ ენათა ლექსიკურ მარაგზე, კონკრეტულად კი, მის კომპოზიტურ სიტყვაწარმოებაზე. კერძოდ, კავკასიოლოგიაში უკვე გამოვლენილ ლექსიკური შეხვედრების გვერდით შესაძლებელია თუ არა კომპოზიტური ნასესხობანი და როგორია ამგვარ ნასესხობათა თავისებურებანი. გარდა ამისა, ინტერესს იწვევს თავად კომპოზიტის უშუალო შემადგენელთა სესხების მიმართულების დადგენისა და ეტიმოლოგიის გარკვევის საკითხებიც. ამ პრობლემას აქტუალობას მატებს ისიც, რომ მარტივ ლექსიკურ ნასესხობათა მიმართ დიდი ინტერესის მიუხედავად (ჯავახიშვილი 1992 (1937); ტრუბეცკოი 1973; ჩიქობავა 1953; 1987...; კლიმოვი 1972...;

გუდავა 1954; იმნაიშვილი 1959; ჭინჭარაული 1975; ხალილოვი 2004...), თხზულ სახელთა სესხების პრობლემატიკა და შესაბამისი სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაცია საკვლევ ენებში ჯეროვნად არ არის გამოკვლეული.

ცხადია, სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებანი და ჩვენს ხელთ არსებული ლინგვისტური მასალა მარტივი სახელების ანალიზისას გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ლექსიკური შეხვედრების განხილვის შედეგად ძირითადად გამოიყოფა ექვსი წესი (ზვიადაური (არდოტელი) 1997: 97; შდრ. გუდავა 1954: 701). შესაბამისი ლექსემა:

1. სხვა ენობრივი წყაროდან მომდინარეობს: ქართ. **კატა**, დიდ. **კეტუ**, ბეჟ. **კატა** (შდრ. რუს. **кот**, ინგლ. **cat**) „კატა“;

2. გენეზისურად საერთო წარმომავლობისაა: ს.-ქართვ. ***ძარ** „ყინვა“ : ს.-დალ. ***ცორ** „ზამთარი“, „სიცივე“;

3. ერთი ენიდან მეორეში არის შეთვისებული: დიდ. **უჟი** „ვაჟი“ → ქართ. **ვაჟი** „id.“;

4. ბგერწერითი (resp. ხმაბაძვითი) ლექსიკის კუთვნილებაა: ლათ. **tibi** (მიც.), შდრ. დიდ. **დებე**-რ (მიც.) „შენ“;

5. ფორმობრივი მსგავსება ტიპოლოგიური (ბგერწერითი) ხასიათისაა: ქართ. **გუგული**, ხევს. **გუგუტა**, შდრ. დიდ. **გუგუ**, ბეჟ. **ქუქუტო** „გუგული“;

6. უკუსესხების შედეგია: ქართ. **ჭყიმი** // **ჭყიმა** (საბა) → ჩეჩნ., ბაცბ. **ჭიმ** ('id.') → ხევს. **ჭიმა**, თუშ. **ჭიმრბოტ**. „Anthriscussylvestris“, „მრავალწლიანი ბალახი ქოლგოსანთა ოჯახისა...“ (ქეგლ), ქართ. **ღვთისმშობელი** → ჩეჩნ., ინგუშ. **თიშოლი** / **თუშოლი** → ხევს. **ტოშოლ/ა** „სარიტუალო კვერი“ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში მარტივ სუბსტანტიურ ნასესხობათა შესახებ არაერთი ნაშრომი მოგვეპოვება, თუმცა საკვლევ ენებში კომპოზიტურ ნასესხობებზე სპეციალური ნაშრომები საძებარია. მართალია, ზოგ ნაშრომში შეიძლება იშვიათად წავაწყდეთ ცალკეულ კომპოზიტურ ნასესხობასაც, მაგრამ ამგვარი შემთხვევები არსებით ვითარებას ვერ ცვლის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამჟამად ჩემი განხილვის საგანია საკვლევ ენებში ნასესხები სუბსტანტიური კომპოზიტები, რომელთა განხილვისას ვიყენებთ **დესკრიპციულ**, **შედარებით**, **შეპირისპირებით** და **ტიპოლოგიურ** მეთოდებს. ამასთანავე, აუცილებელია ეთნოლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებაც.

კომპოზიტურ ნასესხობათა კვლევისას მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რით განსხვავდება კომპოზიტური ნასესხობანი მარტივი ლექსიკური შეხვედრებისაგან. ამასთან მჭიდრო კავშირშია გაკომპოზიტების კუთვნილებითობის განსაზღვრა – გარკვეული კომპოზიტი წყარო-ენიდან ისესხა ენამ თუ თხზვა მსესხებელ ენაში განხორციელდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საყურადღებოა ლინგვისტურ მასალაზე ჩვენება იმისა, თუ სესხებისას რა ფორმოზოგ-სემანტიკურ ცვლილებებს განიცდიან ამა თუ იმ კომპოზიტის უშუალო შემადგენლები, როგორ ხდება მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაცია და რა ქრონოლოგიურ დონის მონაცემებია. საბოლოო ჯამში ამგვარმა კვლევამ ერთგვარად ხელი უნდა შეუწყოს სათანადო ენათა დივერგენციულ და კონვერგენციულ ცვლილებების შესწავლასაც. ამასთან ერთად, აქტუალურია იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეულ ჯგუფებს შორის სესხების დომინანტურობის კოეფიციენტის დადგენა, რომელშიც ქართული ენის მნიშვნელოვან როლზე საუბრობენ. მ. ხალილოვი საგანგებოდ აღნიშნავს: „უკანასკნელთა (ენათა – ნ. ა.) შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ქართულ ენას, რომლის ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის არეალურმა კონტაქტებმა მათში დატოვეს მრავალგვარი ნაკვალევი“ (ხალილოვი 2004: 7).

კომპოზიტურ კომპონენტთა წარმომავლობის გათვალისწინებით, ძირითადად გამოიყოფა კოორდინაციულ სუბსტანტიურ კომპოზიტთა სამი ტიპი: (1) ძირეულ სახელთა თხზვით მიღებული კომპოზიტები, რომელთა უშუალო შემადგენელთა გენეზისი, როგორც წესი, ცნობილია ან მიჩნეულია პოტენციურად ძირეულ სიტყვებად; (2) ძირეული და ნასესხები ლექსემებით წარმოქმნილი ჰიბრიდული კომპოზიტები, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება საკვლევ ენათაგან ან სხვა ენობრივი წყაროდან მომდინარე ლექსიკური ერთეულები (ჰაუგენი 1950: 352); (3) მარტოოდენ ნასესხები ლექსემებით თხზული კომპოზიტები, რომლებიც წყარო-ენიდან შეიძლება შეთვისებული იყვნენ კომპოზიტის სახით, ან ცალკეული ლექსემების სახით, რომელთა გაკომპოზიტება მსესხებელ ენაში მოხდა. საილუსტრაციო მაგალითები:

(1) (ა) ქართ. **დედ-მამა**, დიდ. **ენი-ობიუ**, ბეჟ. **იიო-აბო** „მშობლები“ (ზედმიწ. „დედ-მამა“), (ბ) ქართ. **მშვილდ-ისარი**, საკ. დიდ. **წერუწო** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ბეჟ. **წულუ-წაცა** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), (გ) ქართ. **ცოლ-ქმარი**, საკ. დიდ. **ღ'ანა-ხედიუ**, ბეჟ. **აკო-ბე-**

ტერჰან (ზედმიწ. „მდედრ-ჰატრონი“), d) ქართ. **გულ-მკერდი**, დიდ. **ჰამო-როკუ**¹ (ზედმიწ. „მკერდ-გული“)...

(2) (ა) ქართ. **ხახვ-ნიორი**, ბეჟ. **ნაჟი-ხალუ** (← ხუნდ.-ქართ.) „ბოსტნეული“, (ბ) ქართ. **კვირა-დღე** (← ბერძნ.-ქართ.), დიდ. **ბაზარ-ღუდი** (← ხუნდ. ← თურქ.-დიდ.), ბეჟ. **ბაზაღოდო** (← ხუნდ.- ← თურქ.-ბეჟ..) „კვირადღე“ (ზედმიწ. „ბაზარ-დღე“), (გ) ბეჟ. **კალმახ-ჩუშა** (← ხუნდ. ← ქართ.-ხუნდ.) „კალმახი“ (ზედმიწ. „კალმახ-თევზი“), (დ) ხუნდ. **აჟან-ბოწი**, სავ. დიდ. **ჰაჟან-ფრსუ** // **ჰაჟან-ღურო**, ბეჟ. **ბოწი-ჰამან** (ზედმიწ. ხუნდ. „წვრილფეხა საქონელი“ – არაბ. „მსხვილფეხა საქონელი“) „ცხვარ-საქონელი“, (ე) სავ. დიდ. **ბაღამ-ტაჯ** (ზედმიწ. „ხანჯალ-დანა“), ბეჟ. **ბაღამ-ხეჩ** (ზედმიწ. „ხანჯალ-შუბი“, შდრ. ხუნდ. ხეჩ „შუბი“) „ფარ-ხმალი“, „ფარ-შუბი“ და მისთ.;

(3) (ა) ქართ. **ოქრო-ვერცხლი** (← ბერძნ.-ქართ.), დიდ. **უქრუ-მესედ** (← ხუნდ. ← ქართ. ← ბერძნ.-ხუნდ.), ბეჟ. **მესედ-ოქრო** // **ოქრო-მესედ** (← ქართ. ← ბერძნ.-ხუნდ.) „ძვირფასეულობა“, „განძი“ (ზედმიწ. „ოქრო-ვერცხლი“, „ვერცხლ-ოქრო“), (ბ) ქართ. **სინდის-ნამუსი** (← ბერძნ.-არაბ.), დიდ. **ნიჩ-ნამუს** (← ხუნდ.-არაბ.), ბეჟ. **ნიც-ლამუს** (← ხუნდ.-არაბ.) „სინდისი“, „პატიოსნება“, (გ) დიდ. **ჰალტი-ფრშა**, ბეჟ. **ჰალტი-ფრშა** „შრომა“, „საქმე“, „ხელობა“ (ზედმიწ. ხუნდ. „სამუშაო“, „საქმიანობა“ – სპარს. „საქმიანობა“, „ხელობა“), (დ) დიდ. **ბინა-ყაი** (← ქართ.-ხუნდ.) „ბინა“, „სადგომი“, (ე) **თოფ-იარაღი** (← ქართ. ← თურქ.), დიდ. **მარაღ-მათაჰ** (← თურქ.-ხუნდ.), ბეჟ. **თოფი-მარაღ** (← ქართ.-თურქ.) „იარაღი“, „შეიარაღება“ (ზედმიწ. „იარაღ-ნივთი“, „თოფ-იარაღი“), (ვ) დიდ., ბეჟ. **ღალბაწ** (← თურქ.-ხუნდ.) „ლომი“ (ზედმიწ. „ფაფარ-მგელი“), (ზ) ბეჟ. **ბოჟი-ბოტი** (← ხუნდ. **ბოჟი** „რწმენა“, „ნდობა“ – **ბოტი** „სიყვარული“) ‘რწმენა’, „ნდობა“ (ზედმიწ. **ბოჟი** „რწმენა“, „ნდობა“ – **ბოტი** „სიყვარული“) და ა. შ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ამჟამად ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა (2) და (3) ტიპის მაგალითები, რომლებშიც მოცემულია უშუალო და სხვა ენათა მეშვეობით ნასეხები კომპოზიტები. (2) ტიპის მაგალითებიდან ყურადღებას იქცევს (ა), (გ) და (ე). ა) ქართ. **ხახვ-ნიორი**, ბეჟ. **ნაჟი-ხალუ** „ბოსტნეული“ (ზედმიწ. „ნიორ-ხახვი“). სა-

¹ მ. ხალილოვი ამ კომპოზიტის ქართულ კალკზე ამხვილებს ყურადღებას (ხალილოვი 2004: 190). ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ანალოგიური კომპოზიტი არც სათანადო კომპონენტთა წყობით ეთანადება და იგი, დიდოურ ენათა გარდა, სხვა დადესტნურ ენებშიც დასტურდება: ხუნდ. **ქერენ-რაკ**, ბოთლ., კარ. **ნიხი-რაკუა**, ბავგ. **ნიჰ-რაკუა**...('id.').

ანალიზო კომპოზიტი ხუნძური რაჟი („ნიორი“)და ქართული ხახვი სახელთა შერწყმით ჩანს ბეჟიტურ ენაში ნასესხობანი ჩამოყალიბებული. (გ) მაგალითში კალმახ-ჩუჭა საყურადღებოა პირველი კომპონენტი, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, რაც ხუნძური ენით გაშუამავლებულ საფეხურს გვაგარაუდებინებს. ეს კომპოზიტი წარმოქმნილი უნდა იყოს ხუნძურში და შემდეგ ამ უკანასკნელიდან (სავარაუდოა ანწუხური დიალექტის გზით) ამავე ფორმით ბეჟიტურ ენაში შესული. რაც შეეხება (ე) კომპოზიტს, საკ. დიდ. **ბალაბ-ტაჯ** (ზედმიწ. „ხანჯალ-დანა“), ბეჟ. **ბალაბ-ხეჩ** (ზედმიწ. „ხანჯალ-შუბი“, შდრ. ხუნძ. ხეჩ ‘შუბი’) „ფარ-ხმალი“, „ფარ-შუბი“, რასაც ხუნძ.ხეჩ („შუბი“) ქმნის. ცხადია, ეს კომპოზიტიც მსესხებელი ენის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო.

ყველაზე მეტად საინტერესო მაინც (ზ) ტიპის კომპოზიტებია, რომლებში შემავალი ორივე კომპონენტი უშუალოდ ან სხვა ენის მეშვეობით არის ნასესხები. ამ ტიპიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია (ა), (ბ), (ე), (ვ). კერძოდ, ქართულში ძვირფასეულობის აღსანიშნავი კომპოზიტი (ა) ჰიბრიდულია, ვინაიდან ბერძნულ და ქართულ სახელთა შერწყმით არის მიღებული, რაც უშუალო სესხებით შესულა დიდოურ ენაში (დიდ. უქრუ-მიცხირ). ბეჟიტურ ენაში ქართულის გზით შეთვისებული და ხუნძურიდან ნასესხები სახელების კომპოზიცია გვაქვს ბეჟ. **მესედ-ოქრო // ოქქო-მესედ** (← ქართ. ←ბერძნ.-ხუნძ.), რაც საკუთრივ ბეჟიტურ ნიადაგზე ჩანს წარმოქმნილი (შდრ. გიგინეიშვილი 2016: 159).

(ბ) ბეჟ. **ნიჩ-ნამუს, ნიც-ლამუს** „მორიდებულობა“, „ხათრი“, „ღირსება“ (ზედმიწ. „სირცხვილ-ნამუსი“) ხუნძური ენიდან (ხუნძ. **ნიჩ** „სირცხვილი“ – არაბ. **ნამუს** „ნამუსი“) არის ნასესხები, რასაც დიდოურ ენებში ფონეტიკური ცვლილებები განუცდია: ხუნძ. **ნიჩ-ლამუს** → საკ. დიდ. **ნიჩ-ნამუს** (ასიმილაცია), ბეჟ. **ნიც-ლამუს**. გარდა ამისა, წყარო-ენისეული მონაცემის სემანტიკა უცვლელად არის დაცული, რაც მათ გვიანდელ ნასესხობაზე მიგვანიშნებს.

(ე) იარაღის გამომხატველ კომპოზიტში (ქართ. **თოფ-იარაღი**, დიდ. **მარაღ-მათაჰ**, ბეჟ. **თოფი-მარაღ** „იარაღი“ ზედმიწ. დიდ. „იარაღ-ნივთი“, ბეჟ. „თოფ-იარაღი“) თურქული კომპონენტის (**იარაღ**) შემცველი ბეჟიტური კომპოზიტი ქართულისაგან ჩანს შეთვისებული, ხოლო საკუთრივ დიდოური კომპოზიტის პოსტპოზიციური წევრი ხუნძური ნასესხობაა, თუმცა, სავარაუდოა, მთლიანი კომპოზიტი ხუნძური წარმომავლობისაც იყოს.

(ვ) ქართ. **ლომის** გამომხატველი კომპოზიციური აგებულების ზოოლოგიური ტერმინი, ზოგადად, დაღესტნურ ენათა სინამდვილეში, კონკრეტულად, დიდოურ ენებში (დიდ. **ღალბაწ**, ბეჟ.**ღალბაწ** „ლომი“, ზედმიწ. „ლომ-მგელი“) შერეული კომპონენტებისაგან შედგება: პირველი ნაწილი **ღალ**, როგორც ვარაუდობენ, თურქული წარმომავლობისაა (თურქ. **ღალ** „ფაფარი“), მეორე ნაწილი კი საკუთრივ დაღესტნურია და **მგელს** აღნიშნავს (ხაიდაყოვი 1973: 12; აბდულაევი 2015: 51-52). საკვლევ დიდოურ ენებში ეს კომპოზიტი ხუნძურიდან ჩანს შეთვისებული და დესემანტიზაციის გარეშე არის დაცული. საინტერესოა, რომ საანალიზო კომპოზიტის პირველ კომპონენტს ხუნძურშივე განუცდია გარკვეული სემანტიკური ცვლილება: თურქ. **ფაფარი** → ხუნძ. **დალალი**, **გრძელი ბეწვი**. როგორც ცნობილია, ხუნძებით (resp. დიდოელებით) დასახლებულ არეალში ლომი არ ბინადრობდა, ასოციაციურად ამ ხალხმა ლომი მათ სინამდვილეში არსებულ მტაცებელ ცხოველს –**მგელს** მიამსგავსა და ენაში კომპოზიტი ამის მიხედვით შექმნა.

საინტერესოა, რომ განსხვავებული კლასის შემცველი სახელები-საგან შედგენილ კომპოზიტში, როგორც წესი, მრავლობითის ან ძირითადი კომპონენტის კლასი და რიცხვი აისახება (ვან დენ ბერგი 1994: 54). ამასთან ერთად, ნასესხებმა კომპოზიტმა შეიძლება კლასი იცვალოს, რაც უცხო ენობრივ გარემოში კომპოზიტთა სემანტიკურ რეინტერპრეტაციასთან ჩანს დაკავშირებული, მაგ.: დიდ. **რაჟი-ხინკ** (IV კლ.) ← ხუნძ. **რაჟი-ხინკ** ‘id.’ (III კლ.) ზედმიწ. „ნიორ-ხინკალი“, **ქიდ-უჟი** „ქალ-ვაჟი“ (მრ. I კლ.), **ქიდ-უჟი** (I+II → III კლ.) „ჭიამაია“ (ზედმიწ. „ქალ-ვაჟი“) და ა. შ.

საკვლევ ენებში დასტურდება ნასესხები სუბორდინაციული კომპოზიტებიც, რომლებიც გავრცელებისა და სესხების თავისებურებებით მეტწილად კოორდინაციული კომპოზიტების ანალოგიურია. როგორც წესი, ნათესაობითში მდგარი ნასესხები კომპოზიტი პირველი კომპონენტის ბრუნვის ნიშანს იკვეცს და აბსოლუტივის ფორმას (resp. ფუძეს) ემთხვევა (შდრ. ხალილოვი 2004: 189-190), მაგ.: ბეჟ. **ლედი-ჩირი** (← ლედვის ჩირი) „ჩირი“, **ზაღლი-უბანი** (← ზაღლის უბანი ← ძაღლის უბანი) „უბნის სახელი“, **აზოცალა** (← *აზოს ცალა ← *აზოს ცალი, ზედმიწ. „მამის ცალი“) „მამინაცვალი“, **დალაქ-წიტ** (← დალაქისწიტ ← დალაქის წიტ, ზედმიწ. „დალაქის დანა“) „ბლაგვი დანა“ და მისთ. ბოლო მაგალითებიდან ორივე ჰიბრიდული კომპოზიტის ნიმუშია, რომელთაგან ერთ-ერთი ქართული კომპონენტია.

ამრიგად, ნასესხებ კომპოზიტებზე დაკვირვება ცხადყოფს: (ა) კომპოზიტთა სესხების თვალსაზრისით, საკვლევ ენათა ურთიერთგავლენა ორმხრივია, მაგრამ ლექსიკურ ერთეულთა სესხებასავით ხელშესახები არ არის. (ბ) მარტივ სახელთა ანალოგიურად, ქართულიდან და ხუნძურიდან ნასესხები კომპოზიტები მეტია, შედარებით მცირეა ნახურ-დადესტნური ენებიდან შემოსული რთული სახელები. (გ) ჰიბრიდული კომპოზიტები (2), როგორც წესი, წარმოქმნილია სხვადასხვადროული ლექსიკური ნასესხობებისა და ძირეული სიტყვების შერწყმის გზით, ხოლო ნასესხები კომპოზიტები – შეთვისებულ სახელთა გაკომპოზიტების საფუძველზე, ანდა წყარო-ენისეულისავე კომპოზიტის სახით. (დ) წყარო-ენისეულ და მსესხებელ ენაში წარმოქმნილ კომპოზიტთა გამიჯვნა ხდება შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდების გამოყენებით – თუ მსესხებელ ენაში სათანადო კომპოზიტის უშუალო შემადგენლები დამოუკიდებელ ლექსემებად არ დასტურდება, მაშინ წყარო-ენისეულ კომპოზიტთან გვექნება საქმე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია დიალექტთა და ახლომონათესავე ენათა ლინგვისტური მონაცემებიც. (ე) საკვლევ ენათა შორის სტატისტიკურად ვარკვევთ სესხების დომინანტურობის საკითხს, რომელშიც ქართულ ენას წამყვანი ადგილი უჭირავს. ხელშესახებია აღმოსავლურ ენათაგან ნასესხები მასალაც. (ვ) მარტივ სახელთა ანალოგიურად, გვაქვს ძველი, საშუალო და ახალი კომპოზიტური ნასესხობანი, თუმცა მათი რელატიური ქრონოლოგიის განსაზღვრა, ამ ენობრივ ერთეულთა დამწერლობისა და წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, მეტისმეტად გამძნელებულია. მიუხედავად ამისა, კომპოზიტის ადაპტაციის ხარისხის განსაზღვრით, მისი გავრცელებითა და უშუალო შემადგენელთა სემანტიკის სათანადო ისტორიულ ეპოქებთან მისადაგებით შეიძლება შესაძლებელი გახდეს სესხების ქრონოლოგიის დადგენა.

5. კომპოზიტთა ეთნოლინგვისტური ანალიზი

ქართველურ და ნახურ-დადესტნურ ენათა კომპოზიტების ეთნოლინგვისტური კვლევა რამდენადაც აქტუალურია, იმდენად ყურადღებამიუქცეველი და ნაკლებშესწავლილია ხსენებულ ენებში¹. ეს შე-

¹ ამ მხრივ თითო-ოროლა საყურადღებო ნაშრომი არსებით ვითარებას ვერ ცვლის იბ. Г. Ворошил, О некоторых культовых терминах в удинском языке. Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. II, Тбилиси, 1975, С. 261-264; И. Х. Абдуллаев, Междугестанские и межкавказские языковые контакты. Махачкала, 2015; ლ. აზმაიფარაშვილი, სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლინგვისტური შესწავლისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XLVIII. თბილისი, 2020, გვ. 9-53...

პირობებული ჩანს, ერთი მხრივ, საკითხის მრავალპლანიანობით და სირთულით, მეორე მხრივ კი, ისეთი მრავალმხრივი სპეციალისტების ნაკლებობით, რომლებიც სათანადო ენათმეცნიერულ დისციპლინათა ცოდნისა და მასალის ფლობის გარდა, დასპეციალებულნი იქნებოდნენ ეთნოგრაფიაში, ფსიქოლინგვისტიკაში, ეთნოლინგვისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღინიშნება ზემოხსენებულ მომიჯნავე მომართულებათა შორის მჭიდრო კავშირის შესახებ: „ეთნოლინგვისტიკა შეისწავლის ენას ეთნოსთან მისი მიმართების ასპექტში (ენა : ეთნოსი), ისევე როგორც ფსიქოლინგვისტიკა განიხილავს ენას ზოგად ასპექტში – ენა : ადამიანის ფსიქიკა, გამოყენებითი ენათმეცნიერება – ენა : ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობა, სოციოლინგვისტიკა – ენა : ადამიანთა საზოგადოება (სოციუმი)“ (ტოლსტოი 2013: 19). გარდა ამისა, ინტერდისციპლინური კვლევების საჭიროა განსწავლა ლინგვოკულტუროლოგიაში, ისტორიაში, ფოლკლორისტიკასა და მითოლოგიაში. სწორედ ამ ახლომონათესავე დარგთა მეტ-ნაკლები გათვალისწინებით, შევეცდებით ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა მყარი შესიტყვებებისა და კომპოზიტების შესწავლას.

კომპოზიტური თეონიმები. ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენებში დასტურდება ისეთი ეთნოლინგვისტური სიტყვაწარმოებითი შეხვედრები, რაც ცხადყოფილია კომპოზიტური სახელებითა და მყარი შესიტყვებებით. კავკასიის ხალხთა ენებსა და ეთნოლოგიაში თავჩენილი ამგვარი სახელური შესიტყვებანი ხშირი გამოყენებისა და ლექსიკალიზაციის საფუძველზე არაიშვიათად კომპოზიტებადაც არიან შეთხზულ-ჩამოყალიბებული. ეთნოლინგვისტური ხასიათის პარალელიზმები, რომლებიც თხზული სახელებია ან შერწყმის ტენდენციას ამჟღავნებენ, მეტწილად სუბსტანტივთა კოორდინაციულ კომპოზიტებში შეინიშნება. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ საკულტო-რელიგიური და მითოლოგიური ტერმინ-შესიტყვებანი, რომლებიც ძველისძველ ქრონოლოგიურ შრეებს განეკუთვნებიან. ნარატიული წყაროების სიმცირის ან უქონლობის პირობებში ეთნოლინგვისტური შესწავლა გაძნელებულია, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ალ. ჭინჭარაული: „ამიტომ ამ ქვეყნისა და ხალხის ისტორია ვაინახურ ენობრივ მასალაში, მის ტოპონიმიკაში, წეს-ჩვეულებებსა და ხალხურ სიტყვიერებაში უნდა ვეძიოთ“ (ჭინჭარაული 1979: 241).

ქართულ წარმართულ პანთეონში ჯერ **მთვარის**, შემდეგ კი **მზის** კულტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაც ცხადყოფილია ნუმინომატიკური მასალით („ანბანის პირველი ასო-ნიშანი არის მთვარის,

ანუ მთვარის ღმერთის, იდეოგრამა“), ფოლკლორული ტექსტებით („მზევ, შინა და, მზევ, გარეთა, მზევ, შინ შემოდიო! ეემ მზის მადლმ! ჩემ ძმათ მზემ!“), მითოლოგიური პერსონიფიცირებული სახით („მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი“) და საკულტო-რელიგიური ტექსტებით – სადიდებლებით („დიდება მზესა, მზის მყოლ ანგელოზთა, დიდება დიდს კვირაესა...“) (პატარიძე 1980: 169; კიკნაძე, მამისიმედიშვილი, მახაური 1998: 66-67). გასაგები მიზეზების გამო, ქართულ სინამდვილეში კომპოზიციის სახით **მზეკაცი** (შდრ. **მზეკაბუკი**) არ დასტურდება, მაგრამ მოგვეპოვება **ღმერთკაცი** „რელიგიური რწმენით ღმერთთან გათანაბრებული ადამიანი“ (ქეგლი). გარდა ამისა, ხელშესახებია ეთნონიმი **მზექალი**, რომელიც ძველ რქმენა-წარმოდგენებში ქალღვთაებას წარმოადგენდა. ამას ერთგვარად განამტკიცებს ის გარემოება, რომ ხევსურულ კილოში **მზექალი** ხატის ენაზე **მზეს** ნიშნავს, რომელიც სოლარულ მითებში ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება. სპეციალური ლიტერატურულიდანაც ცნობილია, რომ „...მზე, ვითარცა დედა ღმერთი, ქართული წარმართული პანთეონის სათავეში იდგა სწორედ წინარექრისტიანულ ხანაში“ (ოჩიაური 1954: 129). ამასთან მჭიდრო კავშირში უნდა განიხილებოდეს დარ-ავდრის ღვთაება **პირიმზეც**. ზოგადად მზის კულტი გავრცელებული იყო მთლიანად კავკასიაში, მეტადრე სამხრეთ დაღესტანში (ჰაჯიევი 1991: 83).

ნახურ წარმართულ პანთეონში გვხვდება ერთ-ერთი ღვთაების სახელი **წიუ**, რომელიც ასეა წარმოდგენილი: ჩეჩნ. **წუ**¹, ქისტ. დ. **წიუ**,²ინგ. **წუუ**, წ.-თუშ. **წიბ**. პ. უსლარი ამ სახელს შემდეგნაირად განმარტავს: „წარმართი ჩეჩნების ღმერთი, რომელსაც თავყანს სცემენ ზოგიერთი კლდის, ჭალის, ქვების სახით“ (უსლარი 1888: 227). ეგევე სახელი თავს იჩენს მეორე სალოცავის სახელწოდებაში (**თუშოლიწიუ**), რომელიც ჩეჩნეთის მოსაზღვრე სოფლის – მუცოს მახლობლად არის განლაგებული და პირველი კომპონენტი ეტიმოლოგიურად **ღვთის-მშობელს** უკავშირდება (ჭინჭარაული 1979: 245). აღსანიშნავია, რომ **თუშოლიწიუ** „თუშოლის სალოცავი (სამლოცველო)“ ჩეჩნეთის მთიანეთში კიდევ ორ ადგილას გვხვდება (სულეიმანოვი 1976: 88). გარდა

¹ ერთ-ერთ კომპოზიციურ ტოპონიმში **წუნტელოთ**. უთურგაიძე სწორედ ამ სალოცავს ხედავს: **წუნტელო** (← წუნ-ტე-ლო, ზედმიწ. „ხატისგორთანა“) (უთურგაიძე 1966: 100-101).

² ა. სულეიმანოვს სწორედ ეს ფორმა მოჰყავს, როცა მაისტის მიკროტოპონიმას ეხება: „მაისტის ტერიტორიაზე ბევრია უძველესი რელიგიური ძეგლები, ე. წ. **სიელინგო, წივ, თიშუოლ...** (ხაზი ჩემია – ნ. ა.)“ (სულეიმანოვი 1976: 82).

ამისა, ჩეჩნეთის მთიანეთში დასტურდება არაერთი მიკროტოპონიმი (**წან არა** „ღვთის ველობი“, **წენავლახ** „ღვთის კორომი“, **ფულა ლომუ-რაწიჭ**, ზედმიწ. „სალოცავი (წიჭ) ფულას მთიდან...“), რომლებშიც თავს იჩენს სწორედ ამ უზენაესი წარმართული ღვთაების გამომხატველი სახელი.

ინგუშურ ენაში ყურადღებას იქცევს კომპოზიტური აგებულების კულტმსახურების ტერმინი **წაისაგ** ← **წაი-საგ** (← **წაი** „ღვთაება“ – **საგ** „კაცი“ = „წმინდა კაცი“, „ღვთისკაცი“) „ქურუმი“ → „ხევისბერი“. ამ ღვთაების სახელი წ.-თუშ. **წიბ** შეიძლება დაუკავშირდეს ხუნძ. **წობ**-ს (შდრ. წ.-თუშ. **წ, ბ** : ხუნძ. **წ, ბ**), რომელიც გადახრილ-გადააზრიანებული მნიშვნელობით „**წყალობას**“, „**მოწყალებას**“ გამოხატავს (ხუნძ. **რაჰმუ-წობ** „გულმოწყალება-წყალობა“), თუმცა ამ ღვთაების ამოსავალი სემანტიკა შემონახულია ანდ. **წობ** („ღმერთი“, შდრ. ჯამ. **წობე** „წყალობა“) ლექსემის სახით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წოვა-თუშურში **წიბ**, ზოგი კონტექსტის მიხედვით, წმინდანს გამოხატავს. კერძოდ, ს. მაკალათიას მონოგრაფიაში დამწყალობების ტექსტი მოყვანილია რედაქტორის – თ. უთურგამისეული თარგმანით: **დალე, ლამრეწიბორე, ლეტლევან, რჯულ-საქრისტიანუნ!** „ღმერთო, მთის წმინდანებო (ხაზი ჩემია – ნ. ა.), უშველეთ ჩვენ რჯულ-საქრისტიანოს!“ (მაკალათია 1983: 222).

საგულისხმოა, რომ ი. გიულდენშტედტი ანდიურში ასახელებს **წოჭ** (შდრ. ქისტ. წიჭ, წ.-თუშ. წიბ) ფორმას, რომელშიც ბოლოკიდურად **ჭ, რ** თანხმოვნების გვერდით **ბ** თანხმოვნიც იჩენს თავს და, კლასნიშნებისადმი მსგავსების მიუხედავად, ჩვენს ყურადღებას დეტერმინანტული სუფიქსისაკენ წარმართავს (გუდავა 1964: 36-37; აზმაიფარაშვილი 2006: 37). როგორც ღვთაების, მნიშვნელობა გამოკრთის იდეომებსა და ლოცვა-წყევლის ფორმულებშიც: **ბიჩასულ წობ** „ბეჩედის წყალობა“, ალაჰასა **წობ** ლეგი! „ალაჰმა წყალობა მოგცეს (ზედმიწ. დადვას)!“ ალაჰასა **წობ** ლეგი! „ალაჰმა წყალობა არ მოგცეს (ზედმიწ. „არ დადვას“)“ და მისთ. მნიშვნელობის ტრანსფორმაცია-დავიწროება, როგორც ცნობილია, განპირობებულია ისლამის გაბატონებით, რასაც კონტამინირებული ფორმაც (**წობ-ალლაჰ** „წობ-ალაჰი“, შდრ. **ბეჩედ-ალლაჰ** // **ალლაჰ-ბეჩედ** „ღმერთ-ალაჰი“ →// „ალაჰ-ღმერთი“) ცხადყოფს. რ. სეფერბეკოვი აღნიშნავს: «ისევე როგორც დანარჩენი ხუნძები, ტლესერუხელებიც უწინ თაყვანს სცემდნენ თავის უზენაეს ღვთაება წობს. ისლამის გავრცელების შედეგად ამ ღვთაების სახელწოდება ტრანსფორმირდა ცნებად „ღვთის წყალობა“. იმავე დროს ხუნძურ ენა-

ში შემორჩა ტერმინი ბეჩედ, რომელიც უწინ აღნიშნავდა სხვა უზენაეს ღვთაებას, ხოლო ისლამის მიღების შემდეგ ტრანსფორმირებულ იქნა გაუპიროვნებელი „ღმერთის“ კატეგორიაში, ალაჰის სინონიმად. ამრიგად, ბეჩედ ეს არის ალაჰი, ხოლო წობ – მისი თვისება“ (სეფერბეკოვი 2016: 89). დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვაწყდებით ჩეჩნურ ენაში, რომელშიც დასტურდება ძველი წარმართული ღვთაებისა და მოგვიანებით გაბატონებული ღმერთის შესიტყვებით მიღებული თეონიმი **ცალლაჰ + დეელა** (ზედმიწ. „ალაჰ ღმერთი“). სპეციალურ ლიტერატურაში მას შემდეგნაირად ხსნიან: „უკანასკნელი მაგალითი (ალლაჰ + დეელა) გვიჩვენებს, რომ ისინი წარმოიქმნენ ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდებში, თუმცა ახალი რელიგიის გამოჩენას, ახალი ტერმინოლოგიით, არ გამოუწვევია ძველი ტრადიციების დავიწყება. ვფიქრობთ, ეს არის სულიერი ღირსების მაჩვენებელი ხალხისა, რომელიც ინახავს ნამდვილ ღირებულებებს, ისტორიის რომელ პერიოდსაც არ უნდა განეკუთვნებოდნენ ისინი“ (ტაბიძე, შავხელიშვილი 2012: 29). ამგვარი ენობრივი მონაცემები ნათელყოფს, რომ ფესვგადგმული რწმენა-წარმოდგენების პირობებში ძალდატანებით (მეტწილად ცეცხლითა და მახვილით) გავრცელებული რელიგია მთლიანად ვერ განდევნის არსებულ შეხედულებებს და ამოძირკვავს ძველი სარწმუნოების ფესვებს, არამედ ხალხი შესისხლხორცებულ რწმენას ვერ ელევად და იმავდროულად იძულებულია თავს მოხვეუდეს იდეოლოგიასაც გაუწიოს ანგარიში.

ცხადია, ხუნძურში, როგორც აღინიშნა, მანამდე ანდიური ენის ანალოგიური ვითარება უნდა გვექონოდა, რომელშიც **წობ** დღესაც **ღმერთს** აღნიშნავს. ანდიურ ენაში დასტურდება კვირის სახელწოდება (**წობოლ ყო** „კვირა“, ზედმიწ. „ღვთის დღე“), ცისარტყელის სახელი (**წობორწიუ**, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი, რკალი“), ორონიმი (**წობოლ გოჰ** „ღვთაების მწვერვალი“), რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებს ისტორიულად ამ ღვთაების არსებობას. გარდა ამისა, დიდოეთის ტერიტორიაზე მიუთითებენ თეთრი ფერის ლოდს, რომელსაც **წობ-ალლაჰ** („წობ-ალაჰი“) ჰქვია (აგლაროვი 2002: 209), თუმცა ეს შეიძლება ხუნძური ენის გავლენაც იყოს. სათანადო მნიშვნელობის ამგვარი გადაწვევად ააზრიალება (**ღვთაება** → **წყალობა**), სემანტიკის გარდაქმნის თვალსაზრისით, სავსებით დასაშვებია. შესაძლოა, თუშურ დიალექტში თავჩენილი სალოცავის სახელი **წოროტაჰ**¹ (← **წორო-ტა-ჰ** „ხატზე“) ამავე

¹ თუ, რა თქმა უნდა, ხუნძური წარმომავლობისა არ არის: **წერ** „ყინული“ – **წორო-ტა** „ყინულზე“.

წარმომავლობისა იყოს. საინტერესოა, რომ დარგულ და ლეზბიურ ენებში **ცა** და **ღვთაება** ერთი ლექსემით გადმოიცემა (დარგ. **ცაბ**, ლეზბ. **ცაუ**), რომელსაც ძველად ცისა და ციურ მნათობთა (განსაკუთრებით **მზის**) წარმართული უზენაესი ღვთაების გამოხატვა ეკისრებოდა (ჰა-ჯიევი 1991: 155).

საანალიზო თეონიმი ერთგვარ სემანტიკურ პარალელიზმს ავლენს უდიურ ენაში გ. ვოროშილის მიერ განხილულ კომპოზიტური აგებულების თეონიმთან, რომლის ეტიმოლოგია ასეა წარმოდგენილი: **ბეიში** (← **ზედიში** ← **ზედ** „მზე“ – **იშუ** „მამრი“, „მამაკაცი“) (ვოროშილი 1975: 262). რაც შეეხება ხუნძურ ენაში თავჩენილ კომპოზიტურ თეონიმ **ჭუყუ-ალლაჰ**-ს, იგი ტოლფარდია ქართული კომპოზიტისა **ქალღმერთი**. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ოდითგანვე მოხსენიებული და საქართველოს ტერიტორიაზე მრავალგან ფონეტიკური სახესხვაობებით დადასტურებული **წობენი** / **წუბანი** / **წობანი** უკავშირდებოდას **წოვა**-ს ან ჩეჩნ. **წუ+ბენე** (საღვთო სახლი), მით უფრო – წოპი, წოპა („წვერი“, „წვეტი“...) სახელებს (ითონიშვილი 1992: 133-140). ამავე რიგში შემოვა წმინდა ნინოს მიერ მთელთა გაქრისტიანების ადგილი **წობენი**. ცხადია, ზემომოყვანილი მიკროტოპონიმები თუ ორონიმები იმ წარმართული ღვთაების სახელთან ჩანს დაკავშირებული, რომელიც ჩეჩნ. **წუდა**, ხუნძ. **წობ** ღვთის სახელთან პოულობს პარალელს. სავარაუდოა, **წობენი** / **წუბანი** / **წობანი** წარმომავლობით მრავლობითის ფორმები იყოს (ამაზე სხვა დროს). ქართულ მითოლოგიაში ცნობილია „**ნადირთა წინამძღოლი**“ (საბა) და მფარველი ღვთაება – **ოჩოპინტე** / **ოჩოპინტრე** (ხევს.), **ოჩონპეტრეა** (თუშ.), **ოჩოპინტრა** (რაჭ.) (მდრ. მეგრ. **ოჩოკოჩი** ← **ოჩო-კოჩი** „ოჩო-კაცი, ურჩი კაცი“), რომელიც თხზული სახელი ჩანს: **ოჩო-პინტე**. ცნობილია, რომ **ბოჩი** ← **ვოჩი** (ჯავახიშვილი 1992: 217) ძველი წარმართული ღვთაება („**ქართველთა კერპი**“ – კირ.) იყო, რომელიც ზემოხსენებული კომპოზიტის ნაწილია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. ქურდიანი ერთგვარად იზიარებს ივ. ჯავახიშვილისეულ ეტიმოლოგიას, თუმცა დამატებით აღადგენს ს.-ქართვ. არქეტისს **ტაგ**-ი („მამალი რქოსანი ცხოველი“) (ჯავახიშვილი 1992: 175-180; ქურდიანი 2007: 411).

რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ ენებს, აქ **ალლაჰის** ექსპანსიას გამოუდევნია ეს ღვთაება, თუმცა იგი (ხუნძ. **ბეჩედ** ← **ბეჩ-ედ** „ღმერთი“) რელიქტურად შემორჩენილა ხუნძ და ცალკეულ ანდიელ-დიდოელ ხალხებში. ამ მხრივ საინტერესოა ზოგი ანდიური ენის (ჰამ., კარ.,) ჩვენება, რომლებშიც **ბეჩედ** ამაჟამადაც უმთავრესი ღმერთის სემანტი-

კის შემცველია. ხუნძურში ამ სახელიდან არის ნაწარმოები **ბეჩედაბ** („მდიდარი“), რაც, ალაჰთან შედარებით, **ბეჩედ**-ის უწინარესობას უსვამს ხაზს. ამავე ენაში დასტურდება კონტამინირებული ფორმებიც: **ბეჩედ-ალაჰ**, **ალლაჰ-ბეჩედ**, **ალაჰასულ ბეჩედ** (ზედმიწ. „ალაჰის ღმერთი“).

რაც შეეხება დიდოურ ენებს, წარმოდგენილია **ღმერთის** როგორც ლოკალური (**ბეჩედ**), ისე გვიან გავრცელებული (**ალლაჰ**) თეონიმები. სავარაუდოა, რომ გენეზისურად ქართ. **ბოჩი** ხუნძურსა და ზოგ სხვა ენაში დადასტურებულ **ბეჩედ** („ღმერთი“) თეონიმს უკავშირდებოდეს. კერძოდ, ხუნძური ფორმა **-ედ /-დ** დერივატივით ნაწარმოები ჩანს (შდრ. რენ-**ედ**). ამასთანავე, ხელშესახებად წარმოდგენილი მასდარული **ბეჩელ** (1. „გამდიდრება“, 2. „სიმდიდრე, ავლადიდება“) და ნათესაობითის **ბიჩასულ** („ღვთის“) ფორმები დამატებითი არგუმენტია **-დ**-ს გვიანდებლობისა: **ბეჩე** → **ბეჩედ** → **ბეჩედაბ**.

წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება **ელია** უკავშირდება წმინდა ელია წინასწარმეტყველს, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გაწარმართებული წმ. ელია, როგორც ღვთაება, „...ცეცხლოვანი ეტლით დაქრის ზეცაში და განაგებს სეტყვას, ელვას, ქუხილს, წვიმას და გვალვას“ (ბუბულაშვილი 2007: 25). ქართველურ ენათა (ზან. **ალ / ელ**: ელიობა/ვიობა, სვან. **ელ, იელ, იელმა**: ელმა-მელმა „ელიას ალი“) გარდა, იგი თავისებური ტრანსლიტერაციით წარმოდგენილია ზოგ სხვა საკვლევ ენაშიც, მაგ.: ჩეჩნ. **სთაელა / სიელა** (← ***სთაგ-იელა / საგ-იელა** „კაც-ღვთაება“, ზედმიწ. „კაც-ელია“: **სთაელა**-ყად „ელიას მშვილდი“), ინგ. **სიელა** (← ***საგ-იელა** „id.“: **სიელა**-ყად „id.“), ადიღ. **ელე / ელმა**. გარდა ამისა, დადასტურებულია **სიელა-სათა**, როგორც ხელოვნებისა და ქალიშვილების მფარველი ღვთაება, რომელშიც პირველი კომპონენტი იგივე **სიელა** (← ***საგ-იელა**) არის, ხოლო მეორე კომპონენტს კი რომაულ ღვთაება **სატურნს** უკავშირებენ, რაც ძნელად გასაზიარებელია (სულეიმანოვი 1976: 163). ჩეჩნეთის მთიანეთში ვაწყდებით არაერთ თხზულ მიკროტოპონიმს, რომლებშიც ამ ღვთაების სახელი იკითხება, მაგ.: **სიელ-ჰელი** „სიელას (ღვთის) ვანი“, **სიელა-ეტა** „სიელაზე“, **სიელფინა** „სიელას (ღვთის) ტამარი“, **სთაელაზშითიგ** „ელვა“ (ზედმიწ. „ღვთის ჩირაღდანი“) და მისთ.

ჩვენი თვალსაზრისით, ვინაიდან ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენებში წმ. ელია წარმართულ **კაც-ღვთაებად** იქნა საქართველოში გაგებული და მას ბუნების მოვლენათა მართვა-განგება მიეკუთ-

ვნა, იოლად გაიკაფა გზა ჩრდილო კავკასიაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა ნახურ ენებში მისი გავრცელება **კაც-ელიად** და წარმართულ ღვთაებადვე დამკვიდრება.

ვაინახურ მითოლოგიაში გავრცელებულია კომპოზიტიური აგებულების სახელი **დელი-მალხ** მზის ღვთაება (ზედმიწ. „ღვთის მზე“), რომლის პირველი კომპონენტი ქართველურ ნადირობის ღვთაებასთან – **დალთან** პოულობს პარალელს (შდრ. წ.-თუმ. **დალ** // **დალქ**) (გელოვანი 1983: 124). მას კუთვნილი ადგილი უნდა სჭეროდა ქართულ წარმართულ პანთეონში (შდრ. მისამღერი სიტყვები: **დელი-დელა, დალა-ლე, დალი-დალალე...**), თუმცა ამჟამადაც იგი კარგად არის დაცული სვანურში, როგორც ნადირობის მაცდური ქალღმერთი: **დალ** (ზს., ლნტ.), **დალ** (ლშხ.). თავად ნახურ წარმართულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთის სახელი **ალლაჰის** წინმსწრებადაა წარმოდგენილი: ჩეჩნ. **დელა**, ინგ. **დილა**. ინგუშეთში, სოფ. არზთან, გამოვლენილი სალოცავის სახელწოდება მეორე კომპონენტად ღმერთს შეიცავს: **ბოლომ-დილა** „ბოლომ-ღვთაება“. ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ხევსურულ დიალექტში პოვნიერი კომპოზიტი – **დალამფარი** // **დელამფარი** „დიდი ფარი“ (ჭინჭარაული 2005: 275, 317). ამავე დიალექტის მიღმახეურ თქმაში ანალოგიური მნიშვნელობით გავრცელებულია **დელიმფარი**.

ჩვენი აზრით, ზემომოყვანილ ფორმათაგან ამოსავალი ხევსურულში უფრო ფართოდ გავრცელებული **დელამფარი** ჩანს და იგი ჩეჩნური ენისაგან უნდა იყოს შეთვისებული (შდრ. ჩეჩნ. **დელა** „ღმერთი“ – ნათ. **დელან: დელან სურთ** „ხატი“ ზედმიწ. „ღვთის ხატი“). მაშასადამე, ერთი მხრივ, ჩეჩნური, მეორე მხრივ კი, ქართული სიტყვების ერთმანეთთან შერწყმით წარმოქმნილი ატრიბუტული სინტაგმა ჰიბრიდული კომპოზიტის სახით მოგვევლინა: **დელამფარი** (← ჩეჩნ. **დელანფარი**) „დიდი ფარი“ (ეტიმოლ. „ღვთის ფარი“).

თეონიმებთან მიმართებით ყურადღებას იპყრობს ადიექტიური კომპოზიტი **ცისარტყელა**, რომელსაც ფუნქციურ-სემანტიკური იზოგლოსა მოეპოვება როგორც ქართველურ, ისე კავკასიურ ენებში, მაგ.: ქართ. **ცისარტყელა** ← **ცის-სარტყელა** ← **ცის-სარტყელი**, ზან. **ცაშ-ოტკაპუ** (ჭან.), **ცაშოტყაპუ** ← **ცაშ-ოტყაპუ** (მეგრ.), სვან. **დეცე-ლარტყ**, დიდ. **ასოს აშუნი** (ზედმიწ. „ცის სარტყელი“), **ალლაჰის აშუნი** (ზედმიწ. „ალაჰის სარტყელი“), ლაკ. **სურულქურთა** ← **სურულ-ქურთა** (ზედმიწ. „ცის მშვილდი“), თაბ. **დერქაუჭიმირ** ← **დერქაუ-ჭიმირ** (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“) „ცისარტყელა“ (← „ცის სარტყელი“).

ზემომოყვანილი თაბასარანული კომპოზიტი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ მშვილდის სახელი (**მშვილდ-ისარი**) ანალოგი-ითა და მსგავსებითი ასოციაციით ცისარტყელაზე არის გადატანილი: **მშვილდი** (მშვილდ-ისარი) → **ცისარტყელა**. გარდა თაბასარული ენი-სა, ასეთი სემანტიკური გადახრა-გადაწევა ნიშანდობლივია ზოგიერ-თი სხვა ენისთვისაც: ბავშ. **ატყ-წაქ-ი** (მრ.), ხუნძ. **ნურ, ნურალჟულ კა-მური** (ზედმიწ. „სხივის კამარა, ციური ნათების თაღი“), კარ. **წორიწინ** (← **წორი-წინ**, ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“), ჭამ., ახვ. **კარაჟო** (← ***კარი // ჭა + ლეჟო**, ზედმიწ. „ცეცხლის ისარი“), შდრ. ხევს. **მშვილდ-ისარა**-ნი „ცისარტყელა“.

ყველაზე საინტერესო **ცისარტყელას** თავდაპირველი სახელდე-ბისას მაინც ის არის, რომ იგი დაკავშირებულია წარმართულ ღვთაე-ბებთან და პერსონიფიცირებულად გამოხატულია კომპოზიტით, მაგ.: ჩეჩნ. **სთაელაყად** (← **სთაელა-ყად**, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“ ← „*კაც-ელიას მშვილდი“), ინგ. **საელაყად** (← **საელა-ყად**, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“ ← „*კაც-ელიას მშვილდი“), წ.-თუმ. **დალენ კატყ-წა-ქი** „ცისარტყელა“ (ზედმიწ. „ღვთის მშვილდ-ისარი“), ანდ. **წობორწიუ** „ცისარტყელა“, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“), კარ. **წორწინ** (← **წობორ-წინ**, ზედმიწ. „ღვთის მშვილდი“), შდრ. ყუმ. **თენგრიჯააისი** (ზედმიწ. „ღმერთის მშვილდი“).

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ხევსურეთში დევ-კერპებ-თან მორკინალი **იაქსარი** დევთა ამოწყვეტისას გამოჰკიდებია უკანას-კნელ დევს, რომელსაც **ახუდელაურის** ტბაში ჩაუსწვრია. ლახტმომარ-ჯვებული იაქსარი თავადაც ჩაჰყოლია და შეუმუსრია დევები, თუმცა სისხლში მხარნი გაბმიან და ველარ ამოსულა მანამდე, სანამ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი არ შეუწირავთ. დაახლოებით ანალოგიური სიუჟე-ტები დიდოელთა მითოლოგიაშიც იჩენს თავს იმ განსხვავებით, რომ მათ რწმენა-წარმოდგენებში ტბასთან ცხვრის დაკვლას და სისხლის ტბაში ჩაღვრას საკულტო დანიშნულება ჰქონდა. მსხვერპლთმეწირვის რიტუალს განსაკუთრებით გვალვისას ასრულებდნენ სოფ. შაიტლთან ახლომდებარე მთაზე (**ხილოტ-ოსტო**, ზედმიწ. „ხილოტლო-ხარზე“), ვინაიდან იგი ნაყოფიერებისა და შვილიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა (მეგრულიძე 1951: 283).

ამრიგად, კომპოზიტურ თეონიმებზე დაკვირვება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენებზე მეტყველ ხალხთა მითოლოგიაში ძირითადი ადგილი ეჭირა წარმართულ ან გა-წარმართებულ ღვთაებებს, რომლებიც ერწყმოდნენ რეინტერპრეტირე-

ბულ მონოთეისტურ ღვთაებებსა და წმინდანებს. ამასთანავე, ხაზგასასმელია ისიც, რომ მონოთეისტური წარმომავლობის ღვთაებები და წმინდანები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება წარმართულ ღვთაებებად ქცეულიყვნენ (წმ. ელია წინასწარმეტყველი, ღვთისმშობელი...), კომპოზიტის ერთ-ერთ წევრად გვევლინებიან. გარდა ამისა, იშვიათად დასტურდება ისეთი თხზული თეონიმებიც, რომლებიც მონოთეისტური და პოლითეისტური ღმერთების სახელთა თხზვით მიიღება.

კომპოზიტური სომატონიმები. ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სახელები –სომატონიმები უაღრესად მნიშვნელოვანია სულიერ-მატერიალური კულტურის ისტორიის, ენობრივი მსოფლხედვის ჩამოყალიბებისა და საგანთა სახელდების მოტივაციის გამოსამხეურებლად. მეტადრე საყურადღებოა ამგვარ სახელთა თხზვით წარმოქმნილი კომპოზიტების ეთნოლინგვისტური შესწავლა, რომელთა სახელდების მოტივაციასა და სტრუქტურულ-სემანტიკურ ცვლილებებზე ყურადღების გამახვილება საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

სომატონიმების ეთნოლინგვისტური ანალიზის დროს მნიშვნელოვანი ადგილი **თავისა** და **ხელის** შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ, რომლებითაც მდიდარია ქართული ენა. სალიტერატურო ქართულში უფრო მეტად „თავ“ ლექსემის მქონე კომპოზიტთა სიმრავლეა ხელშესახებად თავჩენილი: **თავ-ბოლო, თავ-ზურგი, თავ-კისერი, თავ-კუდი, თავ-ლაში, თავ-მალა, თავ-პირი, თავსისხლი, თავ-ტანი, თავ-ფეხი, თავ-ქოჩორი, თავ-ყელი, თავ-ყური, თავ-ცხვირი** და ა. შ.

თავი ბევრი კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილია და მეტწილად თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, რომელთაგან ამჟამად ყურადღებას იქცევს კონოტაციური მნიშვნელობის შემცველი **თავ-მეთავობა** (ხევს.) – ხევსურეთის ადათობრივი სამართლის მიხედვით მიღებული წესები, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მეგვლე მესისხლის ანუ მეთავის მიმართ... (აკ. შანიძე)¹. **თავმეთავ(ე)ობა** (resp. **თავმესისხლეობა**) ალ. ოჩიაურის მიერ განიმარტება მამკლავ-მამკვდრობად, რაც იგივე მოსისხლეობაა (ოჩიაური 2019: 407). ანალოგიური მნიშვნელობით, ნახურ ენებში, გარდა **ჭირ** (← ქართ. ჭირი) ტერმინისა, დასტურდება: ჩეჩნ. **ფჰა / ფჰჰანაშ** (ახიური დიალ. **მოს-თაჰალლა**, ქისტ. დიალ. **ფჰა / ფჰჰენიშ** „id“.), ინგ. **ფჰა / ფჰჰანაშ** „შურისგება“, „მტრობა“. გარდა ამისა, ჩეჩნურში შეიმჩნევა **ჟაჰ-დალლა** „მო-

¹ აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბილისი, 1984.

შურნეობა“, „მტრობა“. რაც შეეხება დაღესტნურ ენებს, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვითარება დასტურდება. ამ ენებში წინწამოწეულია **სისხლის** პრიმატი, **თავს** კი ნაკლები მნიშვნელობა ექცევა, მაგ.: ხუნძ. **ბიდულ ყისას რეწელ**, დიდ. **ჰიწიკა** (← **ჰიწა** „ზღვევა“, **იკა** „წასვლა“), **იოსრეწელ** (← **იოს** „სისხლის“, **რეწელ** (← ხუნძ.) „სამაგიერო“, „მისაგებელი“), ბეჟ. **იოწოიოლ**, **რეწელბოიოლ** (ზედმიწ. „სამაგიეროს ქმნა“) „სისხლის ძიება“, „შურისძიება“, „მტრობა“.

ქართული ენის ზოგ დიალექტში (ხევს., თუშ...) კომპოზიტური სომატონიმი **თვალ-გული** არაიშვიათად გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ.: ხევს. **თვალ-გული**-აქვ „თვალ-ყურს ადევნებს, ყურადღებას აქცევს“. **თვალ-გულის** ძლევა – ყურადღებით ყოფნა განსაკუთრებით სოფლის სადარაჯოზე და ცხოველთაგან თავდაცვის დროს. დიდოურ ენებში „**თვალის ჭერა**“ ქართულის ანალოგიურია (შდრ. დიდ. **ოზური ბისა** „თვალის ჭერა“, „ყურადღების მიქცევა“), მაგრამ პრედიკატულ სინტაგმაში წარმოდგენილი კომპოზიტი ბეჟიტურში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგ.: ბეჟ. **ჰაა-ქრ** „თვალ-ხელი“: **ჰაა-ქროხალ** „თვალ-ხელის ჭერა“.

საკვლევ ენებში სტრუქტურული თანხვედნისას შეიძლება გამოვლინდეს სემანტიკური გადახრები, თუმცა მთის კავკასიურ ენებში დამატებითი მნიშვნელობების გამოვლენა, მათი აქტუალობისდა მიუხედავად, გამწვანებულია, მაგ.: ქართ. **გულისყური** „ყურადღება, ინტერესი, გულისხმიერება“ (ქეგლ), ჩეჩნ. **დეგა ლერგ** „გულისყური“, შდრ.: ბეჟ. **ააკის ჰაა** (საკ. ბეჟ.), **რაკის ჰაა** (ჰუნზ.), საკ. დიდ. **როკუსაჰაიბი** „აორტა“ (ზედმიწ. ბეჟ. „გულის ყური“, საკ. დიდ. „გულის ყურები“).

ზემოწარმოდგენილი მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მსგავსება-განსხვავებებს, რაც შესასწავლ ენათა შორის დასტურდება – სრული სტრუქტურული თანხვედნის არსებობისას სემანტიკურ გადახრას ოდენ დიდოური ენები ამჟღავნებენ.

ქართულ ენაში **საცოლის დაწინდვა-დანიშვნის** მნიშვნელობით დასტურდება **ხელის დადება** (ხევს. **კელის დაკვრა**, **კელისმაკიდება**, ფშ. **კელის გაკიდება**, შდრ. თუშ. **კელმიცემა**, id.), რომლის ანტონიმიც სხვა სომატონიმს – **თავს** იყენებს (**თავის დანებება**). ხევსურულ დიალექტში თავჩენილი კომპოზიტების სიმრავლე (**კელდაკრული**, **კელდადება**, **კელმაკიდებული**, **კელგაკიდებული**) ნათელი დასტურია იმისა, რომ ისტორიულად ეს წესი ფართოდ იყო ფესვგადგმული ქართველ მთიელებში.

ეთნოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული ენის მთის დიალექტებში დღემდე დაცული ფრაზეოლოგიური შესიტყვება თავდაპირველად „პირველყოფილი ადამიანისათვის ვინმეზე ან რამეზე **ხელის დადება**“ გამოხატავდა ვისიმე ან რისამე შეპყრობას, დასაკუთრებას, მითვისებას. განსაკუთრებით, როცა მამრს უნდოდა მდედრს დაუფლებოდა.

...როცა მამაკაცი შედარებით უფრო „ადამიანი“ გახდა, თავის ცხოვრების თანამგზავრად თვალშიმოსულ მდედრს თავზე ხელს დაადებდა ან ქუდს ესროდა და ამით გამოხატავდა თავის სურვილს: ქუდნასროლი ან ხელდადებულ ქალის სათავისოდ მიჩნევისა. შემდეგში **ხელის დადება** გადაიქცა სიმბოლოდ წინდისა, საკუთრებისა“ (სახოკია 1955: 203-204; 1979:917).

ზემოხსენებული წესის სინამდვილეს მეგრული ენის პრედიკატული სინტაგმა **ქუდიშ ფაჩუა** („ქუდის სროლა“) გვიდასტურებს, რომელიც ამჟამადაც გვხვდება და ისტორიულადაც ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ **ქალის დანიშვნის** ანალოგიური წეს-ჩვეულება გავრცელებული ყოფილა ვაინახებშიც (მელიქიშვილი 1986: 16). კერძოდ, ჩეჩნ. **ქუგ თუზხარ** (ქისტურ დიალექტში **ქუგ თუზხან ლნგარ**, ზედმიწ. „ხელის დაკვრით დაჭერა“) „დანიშვნა“ (ზედმიწ. „ხელის დაკვრა“), ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, ქართული შესიტყვების ანალოგიურია და ბევრ საინტერესო რეალიას ჰყენს ნათელს. ლ. აზმაიფარაშვილი ამ მყარ შესატყვისობაზე მსჯელობისას სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „...აღნიშნული წეს-ჩვეულების შესახებ დღეს რომ არ არსებულებოდა არავითარი ეთნოგრაფიული ცნობა, კომპოზიტი კელდაკრული („დანიშნული ქალი“) დარჩებოდა სრულიად გაუგებარი წარმომავლობის ოდენობად და მისი ეტიმოლოგიის დადგენის მცდელობაც წმინდა ვარაუდების სფეროს ვერ გასცდებოდა“ (აზმაიფარაშვილი 2020: 25).

დაღესტნურ ენათა სინამდვილეშიც უნდა ეარსება **ქალის დაწინდვის** ამავე წესს, თუმცა მისი კვალი რელიქტურადღა შეინიშნება ზოგ ენაში. ამასთან, სათანადო სინტაგმის უქონლობა ან იშვიათობა არ ნიშნავს, რომ ამგვარი შესიტყვებები საკვლევ ენებში საერთოდ არ გვაქვს. ხუნძურ ენაში **ქალის დანიშვნა**, როგორც წესი, **მას აბიზე** „ქალიშვილის (მო)კითხვა, დაწინდება“ (**აბურაი მას** „დანიშნული ქალიშვილი“) ან **მას ჰარიზე** „ქალიშვილის თხოვნა“ პრედიკატული შესიტყვებებით გადმოიცემა. ახვახურში, ბეჟიტურსა და დიდოურ ენებში მსგავ-

სი მნიშვნელობით გვხვდება კომპოზიტიური შესიტყვებები: ახვ. **რაწე-რაჩუნულა** „ნიშნის დადება, დანიშვნა“, ბეჟ. **ქიდნისილალ** „გოგოს მოკითხვა“, „გოგოს დანიშვნა“, დიდ. **ქიდესირა** „გოგოს (მო)კითხვა“, „გოგოს თხოვნა“.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ კორელაცია ეთნოგრაფიული სინამდვილის ფაქტსა და კომპოზიტს შორის, რეგულარულობის თვალსაზრისით, ხელშესახებია ტრადიციული საზოგადოების წიაღში. ამგვარი საზოგადოებები ამჟამად მოშლილია, ან მოშლის გზაზე დგას, ამიტომაც გაძნელებულია სათანადო ლექსიკურ ერთეულთა დაძებნა და გამომზეურება.

ნათესაობის გამომხატველ სახელთა შემცველი კომპოზიტები. ნათესაობის სახელთა შემცველი კომპოზიტების ეთნოლინგვისტური ანალიზისას ყურადღებას იქცევს ისეთი თხზული სახელები, რომლებიც გვარისმიერ ან უახლოეს სისხლისმიერ ნათესაობას გამოხატავენ: **გვარ-ძვალი (ძვალ-გვარი), გვარტომი, გვარჩამომავლობა, გვარიშვილობა, ძმა-ბიძაშვილობა, ძმაშინში, ძმისწული, ბიძა-ძმისწულნი, დისწული, დისწულ-დედიძმანი** და ა. შ.

სომატონიმ **ძვალთან**, როგორც ქიმიურად უხრწნელ და ფიზიკურად გამძლე ნაწილთან დაკავშირებული კომპოზიტების სიმრავლე მის ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვაზე მიგვანიშნებს ქართული ენის ზოგ მთის დიალექტში. რბილთან (ხორცთან) შედარებით, თანაბარმარცვლიან კომპოზიტებში **ძვლის** ფუნქციურ-სემანტიკური ღირებულება და უპირატესობა პრეპოზიტიურობითაც მქდავენდება, მაგ.: **ძვალ-გვარი, ძვალ-რბილი, ძვალ-ტყავი, ძვალ-სისხლი** და მისთ.

საგულისხმოა, რომ **ძვალი** კომპოზიტში **გვარ-ძვალი**¹ პოსტპოზიციური წყობითაც დასტურდება, რაც სუბორდინაციული კომპოზიტი ჩანს (შდრ. **გვარტომი**) და ხევსურული დიალექტის კუთვნილებაა. შესაძლოა, გვარის ერთიანობა და გამძლეობა **ძვლის** სრულყოფილება-სა და სიმტკიცესთან ასოცირდებოდა, ხოლო მისი დანაწევრება-დაყოფა კი გვარიდან უღირსი საქციელისთვის მოკვეთის სარიტუალო წესის შესრულებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. კერძოდ, როგორც სპეციალური ლიტერატურა გვამცნობს, ადამიანის ძვლის გატეხა „...საშინელ ცოდვად, შეუნდობარ ბოროტებად ითვლება ქართვე-

¹ ისტორიული ვითარების ნათელსაყოფად უფრო ადეკვატური განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი დეფინიცია ჩანს: „ბუნებრივი გზით განვითარებული (უცხოთა შეურეველი) გვარი“ შდრ. „შთამომავლობა, მოდგმა“ (ჭინჭარაული 2005: 1054).

ლებში“ (სახოკია 1955: 139). მაშასადამე, გვარის ერთიანობის რღვევა და დაშლა მის წევრებს შორის რაიმე სერიოზული უთანხმოების შემთხვევაში ძვლის გატეხით უნდა ყოფილიყო გამოხატული (შდრ. ძალისთვის, კატისთვის... თავის მოჭრა). ამ ვარაუდს ერთგვარად განამტკიცებს სვანური ენის მონაცემი, რომელშიც სახელური სინტაგმა **ჯიჯუიმ ლიკუშე** „ძვლის გატეხვა; გადატ. გვარში სისხლის აღრევა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 888), ისტორიულად სწორედ ამგვარი რიტუალის არსებობას დაგვაშვებინებს. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებას ასახავს ზან. **ძვალიმ მატახალი** (**ძვალიმ ტახუა** „ძვლის ტეხვა“) (მეგრ.) ზედმიწე. „ძვლის მტეხელი“ („გვარის დამაზიანებელი“). გვარს, როგორც სისხლისმიერი ნათესაობის გამომხატველ ერთ-ერთ დიდ ერთეულს, უკავშირდება ზოგი სხვა კომპოზიტიც, რომელთა შედგენილობა მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა: **გვარტომი**, **გვარჩამომავლობა**, **გვარიშვილობა** და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისმიერი ნათესაობის გენეალოგიურ ხეზე ყველაზე ახლო დგანან და და ძმა. ამ ლექსემების შემცველი კომპოზიტი **და-ძმობა** თავად, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, დიდ ყურადღებას არ იქცევს, თუმცა მათგან ნაწარმოები კომპოზიტი **დობილ-ძმობილობა** მრავალმხრივ არის საინტერესო. კერძოდ, **დობილობა** („დად გაფიცვა“) და **ძმობილობა** („ძმადნაფიცობა“) სრულიად დამოუკიდებელი აბსტრაქტული სახელები ქმნიან კომპოზიტს, რომელიც საწესჩვეულებო რიტუალს გულისხმობს და ორ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობა-დაახლოებით იწყება¹.

აღსანიშნავია, რომ ბოლოხან ამ წეს-ჩვეულებას ვრცლად ეხება ლ. აზმაიფარაშვილი და მართებულად შენიშნავს: „რატომ ეწოდა ქალს ძმობილი? ამგვარი სახელდების მიზეზი იქნებ ენობრივი ეთიკეტისა თუ ტაბუსნიდაგზე შეიძლებოდა აგვეხსნა, მაგრამ, მეორე მხრივ სხვა

¹ საინტერესოა, რომ **დობილი** დამატებითი კონოტაციებითაც დასტურდება: ხევს. „ავადმყოფობის გამომწვევი ანგელოზები“; ფშ. „ხატის შიკრიკები, წვრილმანი ავადმყოფობების გამავრცელებელი ანგელოზები, რომლებიც ქალების სახით წარმოიდგინებიან“ (ხორნაული 2000, 165); თუშ. **დობილიან** „ბავშვების ერთგვარი ავადმყოფობა“. ეს სახელი მრავლობითის ფორმით თავისი ნიშის მქონე სალოცავსაც აღნიშნავს ხევსურეთში, კერძოდ, სოფ. არდოტში. ალ. ოჩიაური გვამცნობს, რომ არდოტში „დობილი ვითომ ყველა სალოცავებს ჰყავს. მიქიელს უფრო მძლავრი დობილები ჰყვანან, რომელთაც მეტი ვნება შეუძლიათ“ (ოჩიაური 1988: 45). აქედან ცხადი ხდება, რომ დობილი ხატის ერთგვარ სადამსჯელო ძალას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას უფრო განამტკიცებს **ხატის დობილი** სინონიმები **სენ-სამსალანი** და **წვრილეული**, რომლებიც „ჯვართ ენით“ არის საცნაურყოფილი.

ანალოგიური ფაქტი ქალის „ძმად“ სახელდებისა, თუნდაც ეთიკეტის ან ტაბუს თვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში სხვაგან არ დასტურდება არც ეთნოგრაფიული მასალით, არც ლინგვისტური მონაცემებით“ (აზმაიფარაშვილი 2020: 16).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, **ძმობილი** მიახლოებით ერთგვარად განიმარტება: ა) „ძმად შექმნილი“ (საბა), ბ) „ფიც-ნაჭამი ვერცხლით“ (შანიძე 1984: 448), გ) 1. „ძმად მიჩნეული, ძმის მაგიერი; ძმადნაფიცი“; 2. „ძუძუს მოზიარე“...(ქეგლ), დ) 1. „ძმადნაფიცი“. 2. „საყვარელი, გულისტოლი“ (ჭინჭარაული 2005: 1058) და ა. შ. ირკვევა, რომ ხევსურულში მას დამატებითი კონოტაცია (**გულისტოლი**) მოეპოვება, რაც შეპირობებულია ტრადიციულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ჩვეულების – **ძმობილობის** (სწორფრობის) არსებობით. მართალია, ხევსურულ დიალექტში დასტურდება კომპოზიტი **დობილ-ძმობილობა**, მაგრამ მას ერთგვარად ხელოვნური ტერმინის ელფერი გადაჰკრავს, ვინაიდან მოეპოვება სხვა სემანტიკური ველებით მეტ-ნაკლებად განსხვავებული სინონიმები: **სწორფრობა**, **ძმობილობა**, **ქალ-ვაჟობა**, **წოლა-დგომა**. ლ. აზმაიფარაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „...ძმობილობა და სწორფრობა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, სავსებით ერთი და იგივე მაინც არ არის: ადამიანს შეიძლება სწორფერი ჰყავდეს, მაგრამ ძმობილად არ მიიჩნევდეს მას“ (აზმაიფარაშვილი 2020: 16). აქვე პრობლემური ხდება **ქალის** ძმობილად შერაცხვა, რაც ოდენ ძმობილად გამხდარ (ნაძმობილარ) **ქალიშვილს** მიემართება. ცხადია, კომპოზიტში **დობილ-ძმობილობა** დობილი (ქალი) და ძმობილი (ვაჟი) ორივე მოიაზრება, თუმცა საწესჩვეულებო სტატუსის მქონე ტერმინში **ძმობილობა** ქალიც **ძმობილი** (არა **ძმა!**) ხდება, ვინაიდან წეს-ჩვეულების სათავეს დამდებ ტრადიციულ საზოგადოებაში მამაკაცის პრიმატი იყო და ენობრივი რეალიზაციაც სათანადოდ განხორციელებულა. ამასთან ერთად, ძმობილობის ტოლფარდად დამძობილებაც (და-ძმობილება) გამოიყენება, რაც უფრო მეტად თუშეთშია გავრცელებული. გარდა ამისა, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხევსურულში, ფშაურსა და თუშურ დიალექტებში ტერმინი **დობილი** (resp. **დობილნი**) მითოლოგიურ არსებათა გამოსახატავად იხმარება და ამასაც უნდა შეეხლუდა **დობილის** სემანტიკური არეალი. რაც შეეხება ამ წეს-ჩვეულების გამომხატველ **წოლა-დგომას**, ამ კომპოზიტში მკაფიოდ არის წარმოჩენილი სწორფერთა გამოცდის სარბიელი და ამ გამოცდის ჩაბარების დინამიური პროცესი. ანალოგიური წარმოების კომპოზიტს ვაწყდებით დიდოურ ენაში **ქეც-იზა**, რომლის შინაარსიც

შორს არ დგას სათანადო ხევისურული მნიშვნელობისაგან: დიდ. **ქეც-ოზ** „განწყობა, დასვენება, დროის გატარება“ (ზედმიწ. „წოლა-დგომა“).

მამრობითი სქესის მიხედვით, და-ძმური ურთიერთობის შემდეგ ყურადღების ცენტრში ექცევა კომპოზიტი **ძმა-ბიძაშვილი, ძმა-ბიძაშვილობა**, რომელიც ორკომპონენტის და სამსახელიან კომპოზიტს წარმოადგენს. ცალკე აღებული **ბიძაშვილი** (ძვ. ქართ. **ბიძა-ძენი**) და **ბიძაშვილობა** ფუნქციურ-სემანტიკურად არ უდრის **ძმა-ბიძაშვილობას**. ამ ბოლო კომპოზიტში მოიაზრება ყველაზე ახლო სისხლისმიერ ნათესავთა ერთობა, რომელიც გვარში **და-ძმის** შემდეგ არსებობს და გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება. ამგვარ ნათესაურ ჯგუფში შედიან მამრობითი სქესის ადამიანები, რომელთა მონაწილეობა უხუცესთა თაოსნობით ხევისურული რჯულ-სამართლის მოთხოვნათა აღსრულებაში სავალდებულოა: ხატში დაფიცება (ხელსმოკიდების ვალდებულება), მოკვეთა, სისხლის აღება, ჭირ-ლხინში თანადგომა და ა. შ. ხევისურულ დიალექტში კომპოზიტთან **ძმა-ბიძაშვილი** (ახლო ბიძაშვილები) ფუნქციურ-სემანტიკურად ახლოს დგას **ძმა-სახლისკაცები** და **ძმა-შინში**. მიუხედავად მსგავსებისა, ამ კომპოზიტთა სემანტიკური ველები ერთმანეთს მაინც ვერ ფარავს: პირველი კომპოზიტი **ძმა-სახლისკაცები** („ძმა და ბიძაშვილები, ბიძაშვილები“ – ჭინჭარაული 2005: 1057) ამჟამად უფრო ძმას და ოჯახში მყოფ მამაკაცებს მიემართება, ხოლო მეორე კომპოზიტი ჩვეულებრივ ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმით დასტურდება (**ძმა-შინშ-ნ-ი**) და მნიშვნელობით უფრო ახლოს დგას **ძმა-ბიძაშვილ-თან**.

ბოლო კომპოზიტში ყურადღებას იქცევს მეორე კომპონენტი, რომლის შესახებაც სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ეტიმოლოგიის დადგენის ცდები (გონიაშვილი 1940: 600; ხარაძე 1940: 513-515; ჭინჭარაული 2009: 220...), რომლებშიც გამოთქმულია მოსაზრება მისი ნახური წარმომავლობის შესახებ. მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო ი. დემერიევი, რომელმაც განიხილა ნახური ენებიდან შინში (ჩეჩნ. **შიჩა**, ინგ. **შეჩა**, წ.-თუშ. **შიჩჲ** „ბიძაშვილი“¹) სესხების შესაძლებლობა, მიგვითითა ფონეტიკურ დაბრკოლებაზე (**ჩ** → **წ**) და არსებული ეტიმოლოგიის ჰიპოთეტურობაზე (დემერიევი 1978: 234-239).

ჩვენი თვალსაზრისითაც, ზემოწარმოდგენილი ნათესაობის ტერმინის წარმომავლობა და მისი ნასესხობად მიჩნევა ნაკლებ დამაჯერებელია. შესაძლოა, **შინში** საკუთრივ ქართულისა და მისი დიალექტე-

¹ წოვა-თუშურში იგი მარტოოდენ **დეიდაშვილს** აღნიშნავს (ქადაგიძეები 1984: 680).

ბის საფუძველზევე აიხსნას. კერძოდ, ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში თავჩენილი ტერმინი ფონეტიკური სახესხვაობით დადასტურებული აქვს ს.-ს. ორბელიანს: **შნიში** „დეიდაშვილი, მამიდაშვილი“. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონიდან მოყოლებული ამ ტერმინს მსგავსივე განმარტებით იმეორებენ მომდევნო პერიოდის ლექსიკოგრაფები და ლექსიკონები. ამასთან, ს.-ს. ორბელიანს **შინება** მასდართან **დეიდას შვილის** მნიშვნელობით მოჰყავს **შინშიც**, რომელიც გავრცელებულია მთის ზემოხსენებულ დიალექტებში.

ვგიქრობ, საანალიზო სახელი გენეზისურად დაკავშირებული ჩანს **შინ** ზმნისართთან. შეიძლება დავასახელოთ **შინში**ს მიღების ორი გზა: ა) რედუპლიკაცია: **შინ-შინ** → **შინში**; ბ) ნანათესაობითარი სახელობითი: ***შინ-ის¹** (შდრ. ხევს. **შინიშინ** ← ***შინ-ის შინ** „თავთავიანთ სახლებში“) → ***შინ-ის-ი** → **შინს-ი** → **შინში-ი** (ასიმილაცია, შდრ. ***შარ-ს** → **შარ-შ**, იხ. შანიძე 1980: 589). კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვესახება მეორე ვარიანტი, რომელშიც **სახლისი**-ს (მამა-სახლისი) ანალოგიური წარმოებით ჩანს წარმოქმნილი. ამასთანავე, აქ გასათვალისწინებელია სულხან-საბასეული ფორმა **შნიში**, რომელიც არქექტიპად **შინიში²** ფორმის დაშვებას გვაპარაუდებინებს. როგორც ჩანს, სალიტერატურო ქართულში მახვილი მეორე მარცვალს ეცემოდა, ხოლო სათანადო დიალექტებში – თავკიდურ მარცვალს, რამაც გამოიწვია უმახვილო ხმოვნის რედუქცია. ამგვარი გენეზისის დაშვებას მისი სემანტიკაც უჭერს მხარს. კომპოზიტი **ძმა-შინში** ფუნქციურ-სემანტიკურად **ძმა-ბიძაშვილს** ეთანადება, რომელშიც ძმა (resp. ძმები) და გარკვეული ვალდებულებების მქონე ყველა ახლონათესავი (უპირველეს ყოვლისა, ბიძაშვილები) მოიაზრება.

რაც შეეხება დაღესტნურ ენებს, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში **ბიძაშვილი** მეტწილად **-შალ** დერივატით იწარმოება, რომელშიც **ბიძაშვილი კაცი** და **ბიძაშვილი ქალი** ჩვეულებრივ გაირჩევა კლას-ნიშნის საშუალებით, მაგ.: ხუნძ. **ჟ-აც-შალ** „ბიძაშვილი“ (კაცი), ხუნძ. **ფ-აც-შალ** „ბიძაშვილი“ (ქალი). ანალოგიური ვითარება გვაქვს დანარჩენ

¹ იგულისხმება შინაური **ადამიანი** „ახლომონათესავე კაცი, შდრ. მნიშვნელობით ახლომდგომი **სახლიკაცი** (← **სახლისკაცი** ← **სახლ-ის კაცი**) „ძმა, ბიძაშვილი“. საფიქრებელია, ამ ტერმინში იყოს არეკლილი იმ დროის ვითარება, როცა დიდი ოჯახის წევრები და მათი მომსახურე პირები ამგვარად იწოდებოდნენ, მოგვიანებით კი ამ ტერმინს, დიდი ოჯახის ტრადიციის მოშლის შემდეგ, მნიშვნელობა დაუვიწროვდა.

² ცხადია, აქ ტრანსპოზიციის არსებობისთვის სათანადო პირობები არ მოგვეპოვება.

ენებში, თუმცა დიდოური ენები აღწერით ფორმებსაც გვიჩვენებენ, მაგ.: დიდ. **ზაზიი უზესიუს უჟი**, ზედმიწ. „მამის ძმის ვაჟი“, **ზაზიი უზესიუს ქიდ** „მამის ძმის ქალიშვილი“ და ა. შ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბეჟიტელების თუხუმში ჯგუფების სახით გაერთიანებული იყო **ილუსაჰლუ** („მამათა შთამომავლები“), რომელშიც, თავის მხრივ, შედიოდნენ მამიშვილობები (ცალკეული ფრაქციები) სახელწოდებით **აზოს ბილო**, ზედმიწ. „მამის სახლი“. სწორედ ასეთ ჯგუფში ერთიანდებოდნენ **ძმა-ბიძაშვილები**, რომელიც პატრონიმულ პრინციპს ეფუძნებოდა (ლუგუევი, მაჰომედოვი 1994: 128).

არანაკლებ საინტერესოა ნათესაობის გამომხატველი სუბორდინაციული კომპოზიციები **ძმისწული**, **ბიძა-ძმისწულნი**, მაგრამ ეთნოლოგიური თვალსაზრისით უფრო მეტ ყურადღებას იქცევს **დისწული**, **დისწულ-დედიძმობა**, რაშიც მამაკაცები მოიაზრებიან და ეთნოლოგიაში ავუნკულატის (ლათ. Avunculus) სახელით არის ცნობილი.

ხევსურულ დიალექტში სათანადო კომპოზიტი მხოლოდობით რიცხვში არ იხმარება, რაც თავისთავად საინტერესოა კრებითობისა და მრავლობითობის ურთიერთმიმართების ასპექტით. კომპოზიტის ცალკეული წევრები ერთიანობაში კი არ მოიაზრება, არამედ ცალკე დამოუკიდებელ სახელებად აღიქმება და ნარ-თან-იან მრავლობითში იხმარება: **ბიძა-ძმისწულნი** (შდრ. **ბიძა-ძენი**), **დისწულ-დედიძმანი**. დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვაწყდებით თუშურში, რომელშიც დედიძმის ოჯახობის გამოსახატავად კომპოზიტი **დედიძმან** ფორმით იხმარება. ამასთანავე, აშკარაა, რომ მთის დიალექტები მკაფიოდ განარჩევენ **ბიძას** (მამის ძმას) **დედიძმისაგან**, რაც დამყარებული ჩანს არსებულ ტრადიციებზე და სოციალურ თავისებურებებზე.

ღირსსაცნობია, რომ გათხოვილი ქალი თავის მამულთ (თავისიანებს) დიდად აფასებს და შვილებსაც შთააგონებს მათ პატივისცემას. ცნობილია, რომ **დისწულ-დედიძმათა** ურთიერთობა გამსჭვალულია ურთიერთდაფასებით, რაც ლაკონიურად და შთამბეჭდავად არის გამოხატული ხალხურ პოეზიაში: „დისწული დედიძმისაგან არ გაიცვლების სხვაზედა“. საგულისხმოა, რომ დისწულს დედიძმის ოჯახში სპეციალური სკამი ჰქონდა, რაც პატივისცემის გამოხატულება უნდა ყოფილიყო (შდრ. საგვარეულო სკამი ხატში). ხევსურეთსა და თუშეთში დოდის გამართვისას **დედიძმის ცხენი** (თუშ. **დედიზმათ ცხენი**) ცალკე ერეოდა და ილოცებოდა. თუშ. **დედიზმაი** დედის ძმა ან უახლოესი

პირი დედის საგვარეულოდან, რომელიც განსაკუთრებულად საკითხი კაცია ჭირისა თუ ლხინის დღეებში. შდრ. ფშ. **დედიძმა** დედის ძმა და დედის ბიძაშვილები, ახლო ნათესავები, დაახლოებით დედის ხნისანი (ხორნაული 2000: 89).

რაც შეეხება ნახურ-დადესტნურ ენებს, ნახურ ენათა სინამდვილეში ნათესაური ურთიერთობები უპირატესად სუფიქსაციით გამოიხატება. კერძოდ, ჩეჩნ. **ნენახურ** // **ნენახრ**, „დედეულები, დედულები“, „დედისიანი“. ამასთანავე, **ბიძისა** (მამის ძმისა) და **დედიძმის** გამოსახატავად აღწერითი წარმოება დასტურდება: ჩეჩნ. **დენ ვაშა** „ბიძა“ (ზედმიწ. „მამის ძმა“), **ნენან ვაშა** (ზედმიწ. „დედის ძმა“), ინგ. **და-ვოშა** „ბიძა“ (ზედმიწ. „მამის ძმა“), **ნენა ვაშა** (ზედმიწ. „დედის ძმა“), წ.-თუშ. **დადევაშ** „ბიძა“ (ზედმიწ. „მამის ძმა“), **ნანგაშ** (ზედმიწ. „დედის ძმა“). გარდა ამისა, ჩვეულებრივ გამოიყენება მარტივი ფორმებიც, რომელთა გენეზისმა შეიძლება სახელურ სინტაგმებთან (მამის ძმა, დედის ძმა) მიგვიყვანოს, მაგ.: ჩეჩნ. **დეცა** „ბიძა, ბიძია“ (← *მამის ძმა), **დეცა, ნეცა** (იშვიათად) „დედიძმა“ (← *დედის ძმა).

ჩეჩნურ ენაში დადასტურებულია რამდენიმე თხზული სახელი, რომლებიც ძირითადი სუბსტანტივისა **დაწა** („სახლი“) სახელის კომპოზიციით წარმოიქმნება (ხალიდოვი, თიმაევი 2013: 411), მაგ.: **სთუნ-წა**, ზედმიწ. „ცოლის სახლი“, ე. ი. ცოლეურები, **მარწა**, ზედმიწ. „ქმრის სახლი“, ე. ი. ქმრეულები, შდრ. ხევს. **მამისახლი** „დაბადების ადგილი (ქალისთვის), მამის მოგვარეები, ბიძაშვილები“ (ჭინჭარაული 2005: 540). ერთგვარი პარალელიზმი ვლინდება ანდიურ **ჰაყუ**-სთან, რომელიც ჩვეულებრივ სახლს, საცხოვრებელს აღნიშნავს, თუმცა დამატებითი კონოტაციით მამისახლს, მამის ნათესაობასაც გამოხატავს (აგლაროვი 2002: 166). ხუნძურ ენაში მას შეეფარდება აღწერითად ნაწარმოები ტერმინი **ცო რუყალჷულ ზადამალ** „სახლეული, მამისახლი“, ზედმიწ. „ერთი სახლის ხალხი“. ამასთან, ხუნძურში **დედიძმის** აღსანიშნავად, სალიტ. **იმზალ**, ანწ. **შემზალ** სახელთა გარდა, გამოიყენება **დაცი** (ანდალ. **აცი**, ყარახ. **უაცი**...„id.“), რომელსაც კნინობით-მოფერებითი ელფერი დაჰკრავს, შდრ. ჩეჩნ. **დეცა** „ბიძა, დედიძმა“. ამ კომპოზიციის ეტიმოლოგიის დადგენა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, ვინაიდან ხუნძური ენის დიალექტებს სრული ფორმები და შესიტყვებანი დაცული აქვს, მაგ.: ანწ. **დადაუაცი** (ბუჰნ.), **დიდელუაცი** (ჭად.), ყარ. **დადილუაცი** „ბიძა, დედიძმა“ (ზედმიწ. „მამიძმა“). მაშასადამე, **დადაუაცი** ← **დადალუაცი**, „დედიძმა“ (← „დედის ძმა“) (აზმაიფარაშვილი 2015: 18). დიდოურ ენებში საანალიზო კომპოზიტი სახელურ-

რი სინტაგმით არის წარმოდგენილი, მაგ.: დიდ. **ენიფუს ესიფ**, ბეჟ. **იფოს ის** „ბიძა“ (ზედმიწ. „დედის ძმა“, შდრ. ხევს. „დედიძმა“). ხსენებულ ენებში ძველ ქართულის ანალოგიური წარმოება მოგვეპოვება (**დედის ძმაჲ, მამის ძმაჲ**), თუმცა ახალი ქართული ჩამოყალიბებულ კომპოზიტებს გვიჩვენებს. კერძოდ, მთის დიალექტებში ლექსიკალიზაციის პროცესი დასრულებულია და სათანადო კომპოზიტი (ხევს. **მამიძმა // მამი(ს)ძმა, დედიძმა // დედი(ს)ძმა**; თუშ. **დედიზმაჲ**, ფშავ. **დედიძმა...**) ყოფით რეალიებში დიდი ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევა.

სხვა დამატებითი მაგალითების დასახელებაც შეიძლება, თუმცა კომპოზიტური სიტყვაწარმოების ზემომოყვანილი ნიმუშები თვალნათლივ გვიჩვენებენ ყოფითი რეალიების, ტრადიციული საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებისა და წეს-ჩვეულებათა შესრულების შესატყვისობებს სათანადო ენობრივ ფაქტებთან. ცხადია, ეთნოგრაფიული სინამდვილე ენობრივად (ვერბალურად) სისრულით ვერ გამოვლინდება, თუმცა არაიშვიათად კომპოზიტებში ასახულია ისეთი ეთნოფსიქოლოგიური ნიუანსები, რაც ჩვეულებრივი ეთნოლოგიური აღწერისა და ფოლკლორული გადმოცემებისთვის ნიშანდობლივი შეიძლება არც იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილის ფაქტსა და მის ენობრივ გამოხატულებას შორის ადეკვატურობა ხანდახან დარღვეულია. ეს შეპირობებული ჩანს, ერთი მხრივ, ეთნოგრაფიული სინამდვილის დაუცველობით, მეორე მხრივ კი, თავად ამგვარი რეალობის ენობრივი რეალიზების სირთულით, რისი ახსნაც ეთნოგრაფიული სინამდვილის გამომწვეურების გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება.

ნაწილი VI

1. ლეზგიური ენის კომპოზიტიური სიტყვაწარმოება

ლეზგიური ენისათვის დამახასიათებელია არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება. კომპოზიტთა შორის ჭარბობს შ ე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი, რომელიც ორი (ან მეტი) დამოუკიდებელი, თანაბარუფლებიანი სიტყვისაგან შედგება. შეერთებითი კომპოზიტების კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს ა) კომპოზიტისა და კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობა და ბ) კომპოზიტის სტრუქტურა (აგებულება).

შ ე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი (composita copulativa):

შეერთებითი კომპოზიტების უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს მისი კომპონენტების ლექსიკურ მნიშვნელობათა ჯამს, მაგ., **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“), **მეს-მარდან** „საბან-ლეიბი“ (ზედმიწ. „ლეიბ-საბანი“; **მეს** „ლეიბი“, **მარდან** „საბანი“) და სხვ. ზოგჯერ კომპოზიტის მნიშვნელობა უფრო ფართოა, მაგ., **მეს-მარდან** საბანისა და ლეიბის გარდა აღნიშნავს ყოველგვარ ქვეშაგებსა და გადასაფარებელ-თეთრეულს.

ზოგიერთი ამდაგვარი კომპოზიტი იძენს კნინობით მნიშვნელობას, მაგ., **გადა-ბაზარ** „ბრბო“, „ქაოტური შეკრება“, **ლუთუ-ფთუ** „ცბიერი მატყუარა“, „გაქექილი“...

კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები:

1) სინონიმური (სრული სინონიმები ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები): **ფად-ჯერეხ** „უცხო მხარე“ (**ფად** „მხარე“ + **ჯერეხ** „მხარე“, „კიდე“); **ჟედილ-ჟაჟან** „ახალგაზრდა“ (პოეტ.) (**ჟედილ** „ახალგაზრდა“ + **ჟაჟან** (პოეტ.) „ახალგაზრდა“); **რახუნ-ლჟჟუნ** „ურთიერთობა“ (**რახუნ** „საუბარი“, „ურთიერთობა“ + **ლჟჟუნ** „საუბარი“)...

2) ანტონიმური: **ჩილერ-ცაჟარ** „მსოფლიო“, „სამყარო“ (**ჩილერ** „მიწა (მრ. რ.)“ + **ცაჟარ** „ცა“ (მრ. რ.); **ლჟეჟი-ჟეხი** „ყველა“, „დიდიან-პატარიანად“ (**ლჟეჟი** „უმცროსი“ + **ჟეხი** „უფროსი“); **ჰჰინ-ჰურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ჰჰინ** „წერა“ + **ჰურუნ** „გადაშლა“)...

ასოციაციური: **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“); **ხჟა-სთხა** „ნათესავი“ (**ხჟა** „შვილ“ + **სთხა** მმა“); **წამკარას** „შეშა“ (**წამ** „ფიჩხი“ + **კარას** „შეშის ნაჭერი“); **ჯჟალ-სტალ** „ნალექი“ (**ჯჟალ** „წვიმა“ + **სტალ** „წვეთი“)...

ერთცნებიანი კომპოზიტების გარდა ამ ტიპს მიეკუთვნება ორ-
ცნებიანი კომპოზიტებიც, მაგ., **ჩან-თან** „სული და ხორცი“ (ზედმიწ.
„სული და სხეული, ტანი“); **ჩინარ-ლილერ** „პირი და ხელი“ (ზედმიწ.
სახეები და ხელები)...

შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტებად შეიძლება მოგვე-
ლინოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა. ამ ტიპის
კომპოზიტებს ერთნაირი კომპონენტები შეადგენს. დასტურდება შემ-
დეგი მოდელები: 1) არსებითი სახელი + არსებითი სახელი; 2) ზედ-
სართავი სახელი + ზედსართავი სახელი; 3) ზმნა + ზმნა. შესაბამისად,
ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე კომპონენტი სხვა მეტველების
ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე მათგან ნაწარმოები კომპოზიტი, მაგ., **ყე-
წილ-წიმი** „ახალი ტანსაცმელი“ (**ყეწილ** „შიშველი“ + **წიმი** „ახალი“);
ტუნ-ჯუნ „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტუნ** „ჭამა“ + **ჯუნ** „სმა“) და ა. შ.

პირველი ტიპი (არსებითი სახელი + არსებითი სახელი) ყველაზე
პროდუქტიულია შეერთებით კომპოზიტთა შორის. აქ გამოსარჩევია
სამი მოდელი:

ა) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მხო-
ლოდობით რიცხვში: **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დე-
და“ + **ბუბა** „მამა“); **ტუარ-ტან** „დიდება“, „ცნობადობა“ (**ტუარ** „სახელი“
+ **ტან** „ხმა“, „ხმაური“)...

ბ) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მრავ-
ლობით რიცხვში: **ტყეერ-ყალარ** „ბალახები“, „მცენერები“ (**ტყეერ** „ბა-
ლახები“, „თივა“ + **ყალარ** „ღეროები“);

აღსანიშნავია, რომ გვხვდება პარალელური ფორმები, სადაც ერ-
თმანეთს ენაცვლება მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში მდგარი
კომპონენტებისაგან შემდგარი კომპოზიტები, მაგ., **გაჭ-ჭალ / გაჭარ-
ჭალარ** „მეტყველება“, „საუბრები“ (ზედმიწ. სიტყვა/სიტყვები + ლექ-
სი/ლექსები); **კუალ-იულ / კუალერ-ჯარ** „მთელი ქონება“ (ზედმიწ. სა-
ხლი / სახლები + დლე / დლეები)... აღსანიშნავია, რომ ასეთი პარალე-
ლური ფორმებიდან უფრო მეტად გამოიყენება კომპოზიტები მრავ-
ლობით რიცხვში მდგარი კომპონენტებით.

გ) რთული არსებითი სახელი + სუფიქსი -**ტალ**: **იარ-დუსტატალ**
„მეგობრობა“ (**იარ-დუსტ** „მეგობარი“)...

აქ ყველაზე პროდუქტიულია პირველი მოდელი.

2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი. ლეზგიურ ენაში
შეერთებითი კომპოზიტების წარმოების ეს ტიპი არ არის პროდუქტი-
ული და აქ ერთი მოდელი დასტურდება – ორი ზედსართავი სახელის

მარტივი ფუძის შეერთება, მაგ., **ყეწილ-წიმი** „ახალი ტანსაცმელი“ (**ყეწილ** „შიშველი“ + **წიმი** „ახალი“); **კუწ-ცურუ** „ბედ-უბედობა“ (**კუწ** „მლა-შე“ + **ცურუ** „მჟავე“)...

3) ზმნა + ზმნა. ამ ტიპის შეერთებითი კომპოზიტები ორი მოდელის მიხედვით იწარმოება:

ა) მასდარი + მასდარი: **ტუნ-ჭუნ** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტუნ** „ჭამა“ + **ჭუნ** „სმა“); **ქჰინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქჰინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“); **ჭინ-ხთუნ** „სიარული“, „ურთიერთობა“ (**ჭინ** „სიარული“, **ხთუნ** „დაბრუნება“)...

ბ) იმპერატივი + იმპერატივი: **ალად-ჭმა** „სირბილი“, „სიარული“ (უმიზეზო); ლაქია (**ალად** „იარე!“ + **ჭმა** „დაბრუნდი!“)...

პირობითად ამ ტიპსვე მივაკუთვნებთ ორი მიმდებარისაგან შედგენილ კომპოზიტებს: **ათამ-ჭტემ** „სტუმარი“, „ჩამოსული“ (**ათამ** „მოსული“ + **ჭტემ** „წასული“); **ქისამ-ილისამ** „ჩუმჩუმელა“ (**ქისამ** „უთქმელი“ + **ილისამ** „მიმწოლი“, „მიმჭერი“)...

ამას გარდა, ლეზგიურ ენაში დასტურდება შეერთებითი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ მოეპოვება, **მუყუა-ყილი** „ნათესაობა“ (ზედმიწ. „ნათესავი“, „ნათესაური“ + ?); **ჭაბ-ჭაყახ** „ჭურჭელი“, „სამზარეულოს აქსესუარები“ (ზედმიწ. „თეფში“ + ?)...

არსებითი სახელი როგორც შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტი შეიძლება იყოს კონკრეტული, აბსტრაქტული ან ნივთიერებათა აღმნიშვნელი. მაგალითად, კომპოზიტებში **ხუა-სთხა** „ნათესავი“ (ზედმიწ. „შვილ-ძმა“), **იჩ-ჩუხუერ** „ხილი“ (ზედმიწ. ვამლ-მსხალი“) კომპონენტები კონკრეტულ არსებით სახელებს მიეკუთვნება, კომპოზიტებში **დერდი-ჰალ** „მწუხარება“, „დარდი“ (ზედმიწ. „დარდი-მდგომარეობა“), **უან-სეს** „ხმა“, „ხმაური“, „ჭორი“, „ამბავი“ (ზედმიწ. „ხმა“, „ბგერა“- „ხმა“, „ხმაური“) – აბსტრაქტული არსებითი სახელებისაგან შედგება, ხოლო კომპოზიტებში **აკარ-ჭემერ** „სურსათი“ (ზედმიწ. „ხორც-ზეთი/ცხიმი“), **ერეყ-ჩეხირ** „ალკოჰოლი“ (ზედმიწ. „არაყ-ღვინო“) შედგება ნივთიერებათა არსებითი სახელებისაგან.

აღსანიშნავია, რომ სულიერი და უსულო არსებითი სახელები შეერთებით კომპოზიტებში დასტურდება, როგორც წესი, თავისივე ჯგუფის არსებით სახელებთან, მაგ., **კექ-უერჩ** „მინაური ფრინველი“ (ზედმიწ. „მამალ-დედალი“), **ფაბ-აბალ** „ოჯახი“ (ზედმიწ. „ცოლ-შვილი“); **ხურ-კუალ** „მშობლიური მხარე“ (ზედმიწ. „სოფელ-სახლი“), **ჭაბ-ტურ** „ჭურჭელი“ (ზედმიწ. „თებშ-კოვზი“).

შეერთებით კომპოზიტთა უმრავლესობა არანაწარმოებ ფუძეთაგან შედგება, მაგ., **მეზ-ღუელ** „დარწმუნება“ (ზედმიწ. „ენა-ნაფხვენი“), **ქაშ-მეყ** „მიმშილ-სიცივე“ და ა.შ.. ზოგიერთი კომპოზიტი ზმნური სხვადასხვა პრევერბის მეშვეობით ნაწარმოები ფუძეებისაგან შედგება, მაგ., **ქუკუნ-ჩუხუნ** „ჩხუბი“, „გარჩევა“, „სკანდალი“ (**ქუკ-უნ** „ჩხუბი“ + **ჩუხ-უნ** „კაწვრა“), **აცუყუნ-ჯარადუნ** „ავეჯი“, „წესრიგი სახლში“ (**აცუყ-უნ** „ჯდომა“ + **ჯარად-უნ** „ადგომა“)...

ამას გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, ლეზგიურ ენაში გვხვდება კომპოზიტები, რომელიც **-ტალ** სუფიქსით არის გაფორმებული (ეს სუფიქსი აბსტრაქტულ არსებით სახელებს აწარმოებს), მაგ., **მარ-დუსტატალ** „მეგობრობა“ (**მარ-დუსტ** „მეგობარი“), **მარუ-წარუტალ** „სიჭრელე“ (**მარუ-წარუ** „ჭრელი“)...

განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa):

მ. ჰასპელმათის აზრით, ლეზგიურს საერთოდ არ მოეპოვება აღნიშნული კომპოზიტები, რასაც ვერ გავიზიარებთ. ლეზგიურში არაიშვიათად გვხვდება composita determinativa.

განსაზღვრებითი კომპოზიტები ზოგადად წარმოიქმნება მსაზღვრელ-საზღვრულის ლექსიკალიზაციის გზით. ამ ტიპის კომპოზიტები ლეზგიურ ენაში კომპონენტთა შერწყმისას წარმოქმნილი ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1) მატერიალური ცვლილებების გარეშე წარმოებული განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ყურუ-ყერებ** „ნაჭრის სიგრძე, გრძელი მხარე“ (**ყურუ** „მშრალი“ + **ყერებ** „კიდე“);

2) მცირე მატერიალური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ხალად-ხუა** „დეიდაშვილი (მამაკაცი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **ხუა** „ვაჟიშვილი“);

3) მნიშვნელოვანი მატერიალური ცვლილებებით წარმოქმნილი განსაზღვრებითი კომპოზიტები, მაგ., **ხადე** „ბებია“ (**(ხუ)ბა-(დინ)** „მამის“ + **(დი)დე** „დედა“)...

განსაზღვრებითი კომპოზიტები სამ ჯგუფად იყოფა სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისითაც:

1) მოტივირებული კომპოზიტები, ანუ ამ კომპოზიტების ლექსიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობისაგან, მაგ., **ხალად-რუმ** „დეიდაშვილი (ქალი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **რუმ** „ქალიშვილი“);

2) ნაწილობრივ მოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **ჯიზილჯუმ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილბალულ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალულ** „თევზი“);

3) არამოტივირებული კომპოზიტები, მაგ., **აღუ-ტურ** „ძუნწი“ (**აღუ-(დინ)** „შხამის“, „საწამლავის“ + **ტურ** „კოვზი“)...

აგებულების მიხედვით *composita determinativa* ლეზგიურ ენაში შედგება, ერთი მხრივ, წარმოშობით არსებითი სახელისა (სახელობით-ში) ან გასუბსტანტივებული მიმღეობისაგან (საზღვრულის კომპონენტი) და, მეორე მხრივ, არსებითი სახელისაგან (როგორც წესი – გენტივის, ზოგჯერ კი – სახელობითისა ან IV ლოკატიური ბრუნვის ფორმით), რიცხვითი სახელისაგან, ზედსართავისა ან მიმღეობისაგან (მსაზღვრელის კომპონენტი).

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი ნომინატივში + არსებითი სახელი ნომინატივში: უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელის განსაზღვრებითი კომპოზიტები ლეზგიურ ენაში იშვიათია, მაგ., **ჯუზა-ფად** „ჩრდილის მხარე“ (**ჯუზა** „ჩრდილი“ + **ფად** „მხარე“); **წამ-ლაფან** „ელვა“ (**წამ** „ცეცხლი“ + **ლაფან** ← **აღფან** „მეტეორიტი“); ამავე ტიპს მიეკუთვნება სპარსული, არაბული და თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, მაგ., თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტია **ჯიზილ** „ოქრო“: **ჯიზილ-ჯუმ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილ-ბალულ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალულ** „თევზი“)... ან ირანული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტია **ქარ** „საქმე“: **ზიიან-ქარ** „მავნებელი“ (**ზიიან** „ზიანი“, „ზარალი“ + **ქარ** „საქმე“); **დაჭე-ქარ** „ჩხუბისთავი“, „წამქეზებელი“ (**დაჭე** „დავა“, „ჩხუბი“, „ომი“ + **ქარ** „საქმე“); ლეზგიურ ენაში ამ ჯგუფის 15 ლექსემა დასტურდება.

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი გენტივში + არსებითი სახელი ნომინატივში: ეს მოდელი ლეზგიურ ენაში პროდუქტიულია. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეტიპი:

ა) პირველმა კომპონენტმა დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, თუმცა ინარჩუნებს მის მნიშვნელობას, მაგ., **ყასუმხურ** „ყასუმკენტი“ (ზედმიწ. **ყასუმ(-ან)** „ყასუმის“ (საკ. სახელი) + **ხურ** „სოფელი“; **ჩუქტა-ტურ** „საწვნი“, „ჩამჩა“ (**ჩუქტა(-დინ)** „ქვაბის“ + **ტურ** „კოვზი“)... ამავე ქვეტიპს უნდა განეკუთვნებოდეს აღმოსავლური ენებიდან ნასესხები რთული არსებითი სახელები, რომელთა მეორე კომპონენტია სპარსული **ხანა** „შენობა“, „შენობა-ნაგებობის შიდა სივრცე“. ეს ლექსემა ლეზგიურ ენაში ცალკე არ გვხვდება, მხოლოდ კომპოზიტებში, რო-

მელთა რაოდენობა დაახლ. სამ ათეულს შეადგენს, მაგ., **ქარ-ხანა** „ქარ-ხანა“ (**ქარ** „საქმის“ + **ხანა**), **უსთარ-ხანა** „სახელოსნო“ (**უსთარ** „ოსტატის“ + **ხანა**); **ქთაბ-ხანა** „ბიბლიოთეკა“ (**ქთაბ** „წიგნის“ + **ხანა**)...

ბ) მეორე ქვეტიპს განეკუთვნება ისეთი კომპოზიციები, რომელთა პირველმა კომპონენტმა ნაწილობრივ დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მაგ., **ყარყუ-ლუშ** „ღამურა“ (**ყარყუ(ნ)** „ტყავის“ + **ლუშ** „ფრთა“...

გ) მესამე ქვეტიპს განეკუთვნება სახელები, რომელთა პირველ კომპონენტს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს, მაგ., **ირან-დიდე** „სიდედრი“ (**ირან/მარან** „პატარძლის“, „შეყვარებულის“ + **დიდე** „დედა“; **ყულან-თარ** „ხერხემალი“ (**ყულან** „შუა“ (გენ.) + **თარ** „ხე“)...

იშვიათად გვხვდება ამ მოდელის კომპოზიციები, რომელთა პირველი ან მეორე კომპონენტი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ., **თაფარი-კუათ** „ცრუპენტელა“, „მატყუარა“ (**თაფარი(ნ)** „ტყუილების“ + **კუათ** „გუნდა“); **ყილინ-ფაცარ** „კოტრიალი“ (**ყილინ** „თავის“ + **ფაც-არ** „თათები“)... მეორე მოდელი ლეზგიურ ენაში პროდუქტიულია.

სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით + არსებითი სახლი სახელობითში ლეზგიურ ენაში არაპროდუქტიულია. სულ გამოვლენილია ამ მოდელის რამდენიმე სახელი, მაგ., **რეყე-ყულ** „ავშანი“, „აბზინდა“ (**რეყე** IV ლოკ. **რეყ** „გზა“, „გასასვლელი“ + **ყულ** „ტერფი“, „ცეკვა“);

იმ კომპოზიქტთა რიცხვი, რომელთა პირველი კომპონენტია ზედსართავი სახელი, ლეზგიურ ენაში არ არის დიდი, მაგ., **მარდი-რუმ** „ცისარტყელა“ (**მარდი** „მაღალი“, „გრძელი“ + **რუმ** „ქალიშვილი“); **წი-მი-ჭარზ** ქალის საკუთარი სახელი, ზედმიწ. „ახალი მთვარე“; გვხვდება ამ მოდელის კომპოზიციები, რომელთა ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტი ნასესხებია, მაგ., **დედ-ზამან** „ძველი დრო, ეპოქა“ (**დედ** „ძველი“ + **ზამან** (არაბ.) „დრო“, „ეპოქა“; **ათა-ბუზა** „წინაპარი“ (**ათა** (თურქ.) „უფროსი“, „პაპა“ + **ბუზა** „მამა“); **აღსაჯალ** (თურქ.) „ავტორიტეტის მქონე მოხუცი“ (ზედმიწ. „თეთრი წვერი“)... ამავე მოდელს მიეკუთვნება ზოგიერთი ოიკონიმი, მაგ., **წიმი-ხჸრ** (ზედმიწ. „ახალი სოფელი“), **მარუ-დალ** (ზედმიწ. „წითელი მთა“)...

რთული არსებითი სახელები, რომელთა პირველი კომპონენტია რიცხვითი სახელი, ლეზგიურ ენაში იშვიათია და იწარმოება ორგვარად: რიცხვითი სახელი + არსებითი სახელის ნომინატივის ფორმა

მხოლოდობითში, მაგ., **ყუე-ჯათ** „ორი შრე“ (**ყუე(დ)** „ორი“ + **ჯათ** „შრე“)...

მეორე მოდელი იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მასში მეორე კომპონენტად გვხვდება არსებითი სახლის მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ., **ფუდ-ჭერ** „სამგლოვიარო რიტუალები“ (**ფუდ** „სამი“ + **ჭერ (აიჭერ)** „ღამეები“); **ყუე-რიკარ** „ეჭვი“, „მერყეობა“ (**ყუე(დ)** „ორი“ + **რიკ-არ/რიკ-ერ** „გულები“)...

გამოვლენილია ერთადერთი მაგალითი მესამე ქვეტიპისა, რომელიც რიცხვითი სახელისა და მიმღეობისაგან შედგება: **ყუეთ-ხუერარ** „ტყუპები“ (**ყუეთ (ყუედ)** „ორი“ + **ხუერ-არ** „დაბადებულები“) და ა. შ.

რთული არსებითი სახელები, რომლებიც არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან შედგება იწარმოება სამგვარად:

მიმღეობა + არსებითი სახელი ნომინატივში, მაგ., **თურ-ჭუ** „ხორცის ღვეზელი“ (**თურ** „ჩადებული“ + **ჭუ** „პური“);

არსებითი სახელი ნომინატივში + მიმღეობა + არსებითი სახელი ნომინატივში: **რად-ეკეკადა-ფად** „აღმოსავლეთი“ (**რად** „მზე“ + **ეკეკადა** „ამოსული“ + **ფად** „მხარე“ (ზედმიწ. „მზეამოსული მხარე“);

კომპოზიტი, რომელიც შედგება არსებითი სახელისაგან IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით და მიმღეობა -**უაიდი** (ა**უაიდი**) „მყოფი“, მაგ., **უილლე-უაიდი** „ის, რაც თვალშია“ (ზედმიწ. თვალში მყოფი“); **რიკე-უაიდი** „ის, რაც გულშია“ (ზედმიწ. გულში მყოფი“)...

არსებით სახელთა რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა ლეზგიურ ენაში:

ფუძის გაორკეცება, ანუ რედუპლიკაცია თხზული ფუძეების შედგენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ლეზგიურ ენაში. რედუპლიკაციის აქვს როგორც ლექსიკური (ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოება), ასევე გრამატიკული (სიტყვის გრამატიკული ფორმების წარმოება) ფუნქცია.

რედუპლიკაცია ლეზგიურ ენაში ორგვარი ელემენტების გაორკეცვით მიიღწევა: პირველი - დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, მაგ., **წარწარ** „პრიალი“, „ლაპლაპი“ (**წარ** „ხაზი“, „სტრიქონი“), ხოლო მეორე - ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე ელემენტებია, მაგ., **ლიპლიპ** „ქორი“...

ლეზგიურ ენაში შეიძლება გამოვყოთ რედუპლიკაციის ოთხი სახეობა:

1. დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე „სუფთა“ ფუძეების გაორკეცება, მაგ., **ღუეკი-ღუეკი** „პატარა“, „პაწაწუნა“ (**ღუეკი** „პატარა“); **ხუემ-ხუემ** „ყაყაჩო“ (**ხუემ** „სიხარული“);

2. გაორკვეებული სახელები ფონეტიკურად შეცვლილი მეორე კომპონენტით. მეორე კომპონენტს რეალურად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს და რითმას ჰქმნის პირველ კომპონენტთან. აქ შეგვიძლია გამოვყოთ სამი ქვესახეობა:

ა) მეორე კომპონენტში შეცვლილია ხმოვნები, მაგ., **გადა-გუდი** „ბავშვები“, „არასერიოზული ადამინები“ (**გადა** „ბიჭი“, „ყმაწვილი“), **აზარ-ჟოჟი** „ავადმყოფობა“, „სნეულება“ (**აზარ** „ავადმყოფობა“), **კარ-ჯუჩ** „ყველანაირი ბალახი“, „ბალახი და მისი მსგავსი“, შდრ. ქართ. **ბალახ-ბულახი** (**კარ** „ბალახი“);

ბ) მეორე კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი, მაგ., **ქას-მას** „ვიღაცა“ (**ქას** „პირი“, „პიროვნება“, „ადამიანი“), **თარ-მარ** „ხეები“, „ყოველგვარი ნარგავი“ (**თარ** „ხე“); **ხიიარ-შიიარ** „განსაკუთრებული შემთხვევა (ქორწილი, ზეიმი, დაკრძალვა, გაცილება, შეხვედრა)“ (**ხიიარ** „ხეირი“);

გ) მეორე კომპონენტს ჩამატებული აქვს **მ** თანხმოვანი, მაგ., **იჩ-მიჩ** „ვაშლი და მსგავსი“ (**იჩ** „ვაშლი“).

3. შერეული რედუპლიკაცია – ფუძის გაორკვეება აფიქსაციის თანხლებით. მათ რიგში შეიძლება იყოს სუფიქსი, პრეფიქსი, ინფიქსი, ფლექსია და კავშირებით ნაწილაკი **-ნი**; მაგ., **ააალ-ქუაალ** „ბავშვები“ (**ააალ** „ბავშვი“ + პრეფიქსი **ქ-**), **ჟურება-ჟურე** „ნაირ-ნაირი“ (**ჟურე** „სახეობა“ + სუფიქსი **-ბა**), **ჩირხჩირ** „ნაცნობი“, „მეგობარი“ (**ჩირ** მიმდებარე ფორმა ზმნისა **ჩირხუნ** „ცნობა“, „ნაცნობობა“ + ინფიქსი **-ხ-**), **გურბა-გურ** „ბარბაროსი“, „ველური“ (**გურ** „ხმაურიანი“ + სუფიქსი **-ბა**); **აუყნი-აუყ** „ზუსტი ცენტრი“ (**აუყ** „ცენტრი“, „შუა“ + **-ნი** ნაწილაკი). არის გაორკვეებული ფუძეები, რომელთა ორივე კომპონენტიც გართულებულია ფლექსიით, მაგ., **აუყ-უ-აუყ-ჟარ** „სამბო“ (**აუყ** „წელი“), **ჟურება-ჟურეჟალ** „მრავალფეროვნება“ (**ჟურება-ჟურე** „ნაირ-ნაირი“ (**ჟურე** „სახეობა“ + სუფიქსი **-ბა**) + სუფიქსი **-ჟალ**)...

4. ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე ბგერითი კომპლექსებისაგან შემდგარი გაორკვეებული სახელები, მაგ., **ლიპლიპ** „ქორი“, **ქუშ-ქუშ** „ჩურჩული“, **ღურღურ** „ბუზღუნი“, **ლალლალ** „ლაქლაქი“...

რედუპლიკაცია არსებით სახელთა წარმოების პროდუქტიული ხერხია ლეზგიურ ენაში. შედარებით იშვიათად გვხვდება გაორკვეებული ფუძეები ზედსართავსა და რიცხვით სახელთა შორის.

რედუპლიცირებული ზედსართავი სახელების მაწარმოებლებად ხან არსებითი სახელი, ხან კი - ზედსართავი სახელი გვევლინება, მაგ.:

არსებითი სახელი: **ბიებიე** „რბილი“ (ხორცი, კუნთი) (**ბიე** „თაღლითი“, „მატყუარა“);

ზედსათავი სახელი: **ღუეჟი-ღუეჟი** „პატარა“, „პაწაწუნა“ (**ღუეჟი** „პატარა“), **გუტუ-გუტუ** „ძალიან წვრილი, უწვრილესი“ (**გუტუ** „წვრილი“), **წიმი-წიმი** „უახლესი“ (**წიმი** „ახალი“), **მარუ-მარუ** „უწითლესი“, „ძალიან წითელი“ (**მარუ** „წითელი“)...

უმნიშვნელო რაოდენობა ზედსართავი სახელებისა შერეული რედუპლიკაციით არის ნაწარმოები, მაგ., **ჟურება-ჟურე** „ნაირ-ნაირი“ (**ჟურე** „სახეობა“ + სუფიქსი **-ბა**), **ქუაინი-ქუაი** „საუკეთესო“, „ნარჩევი“ (**ქუაი** - მიმღებური ფორმა **ქუა** ზმნისა (მყოფობას აღნიშნავს რაიმეს შორის ან ქვეშ) + **-ნი** ნაწილაკი), **აჟაი-აჟაჩირ** „ერთადერთი“ **აჟაი** - მიმღებური ფორმა **აჟა** ზმნისა „ყოფნა“ + **-ჩირ** უარყოფის აღმნიშვნელი სუფიქსი)...

რთული რიცხვითი სახელი ლეზგიურ ენაში რედუპლიკაციის მეშვეობით იწარმება, მაგ., **სა-სად** „ერთ-ერთი“, **ჟად-ჟად** „ხუთ-ხუთი“, **ფუდჯად-ფუდჯად** „სამოც-სამოცი“, **აღზურ-აღზურ** „ათას-ათასი“...

2. უდიური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება

უდიურ ენაში კომპოზიტური წარმოება განსაკუთრებით დამახასიათებელია ზმნისთვის (მარტივ ზმნათა რიცხვი უდიურში დიდი არ არის, ამიტომ ზმნათა კომპოზიტურ წარმოებას ფართო გასაქანი მიეცა), თუმცა არსებით სახელთა შორის (ისევე როგორც სხვა სახელებში) რთული (თხზული) ფუძეები საკმაოდ მრავალფეროვანია.

როგორც ცნობილია, კომპოზიტები შედგენილობის მიხედვით ორი სახისაა:

1) რედუპლიკაციით ანუ ფუძის გაორმაგებით წარმოქმნილი კომპოზიტები: **გორ-გორ** „ლატანი“, **ზიმ-ზიმ** „რყევა“, „რხევა“, **კიწ-კიწი** „ცოტ-ცოტა“ (**კიწი** „ცოტა“), **კორი-მორი** „მიხვეულ-მოხვეული“ (**კორი** „მრუდე“), **ხაშხაშაშ** „თვეობით“ (**ხაშ** „თვე“)...

2) ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: **ბაბა-ნანა** „დედ-მამა“ (ზედმიწ. „მამა-დედა), **ბინ-ბაგ** „ნეფე-დედოფალი“ (ზედმიწ. „პატარძალი-ნეფე“), **ფახ-ლახუპ** „ლობიოს ფლავი“ (**ფახლა**[ა] „ლობიოს“, **ხუპ** „ფლავი“), **ჟომობ-ბერღალ** „მეწისქვილე“ (**ჟომობ** „წისქვილი“, **ბერღალ** „მეჭველი“)...

კომპოზიტები უნდა დავყოთ ორ დიდ ჯგუფად – **შეერთებით** და **განსაზღვრებით** კომპოზიტებად:

შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa), მაგ., **ნანა-ბაბა** „დედ-მამა“; **იშუ-ჩუბუხ** „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“); **ხუნჩი-ვიჩი** „და-ძმა“; **კოჯ-მეც** „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლ-ბუდე“); **ღუსმე-შუმ** „ყველი-[და]-პური“; **იორდან-დრშაგ** „საბან-ლეი-ბი“; **ელალ-თალალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ბოხი-ჩოჩალო** „მხარ-შველ-გამომტანი“, „მსახური“...

განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa): ამ ტიპის კომპოზიტებს მიეკუთვნება, მაგ., **აჯ-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ბულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-ჯამ** „გულღია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **ჯამ** „ღია“); **მუჭა-ნაყ** „რძე“ (**მუჭა** „ტკბილი“ + **ნაყ** „დო“); **ხებაჟი-ჭან** „ერბო“ (**ხებაჟი** „დამდნარი“ + **ჭან** „ცხიმი“, „ქონი“); **ქალ-ნანა** „ბები“, **ქალ-ბაბა//ქალ-პაპა** „ბაბუა“ (**ქალ** ← **ქალა** „დიდი“ + **ნანა** „დედა“; **ბაბა//პაპა** „მამა“); **ნეპნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნეპ-ნა[ა]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ბაბა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ბაბა-[ა]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭანაყნა-ჩო** „ნაღები“ (**მუჭანაყ-ნა[ა]** „რძის“ + **ჩო/ჩ'ო** „პირი“); **ქენე-ელ** „ქვამარილი“ (**ქენე[ა]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **ყენა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**ყენა[ა]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **ჭანა-ხუპ** „ერბოს ფლავი“ (**ჭან-ა[ა]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუპ** „ფლავი“); **ქალა-უკლა** „დიდგულა“, (**ქალა** „დიდი“ + **უკლა** „გულიანი“); **ქალა-ბოხ'ბოხ'ლა** (**ქალა** „დიდი“ + **ბოხ'ბოხ'ლა** „ცხვირიანი“); **პა-ჩოლლა** „ორპირა“ (**პა** „ორი“, **ჩოლლა** „პირიანი“); **კოკოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ხალიკუნ-ღარ** „ბიძამვილი“ [დედის მხრიდან]; **თურინ-ლეკერ** „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“); **ხე-ზაპკალო** „წყლის მზიდველი“, „მეთულუხე“; **ხორაგ-ბოხალო** „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მხარშველი“); **ქომოხ-ბერხალო** „მეწის-ქვილე“ (ზედმიწ. „წისქვილის მფქველი“)...

აგებულიების მიხედვით კომპოზიტები უდიურ ენაში შეიძლება დავყოთ:

სუბსტანტიური კომპოზიტები (არსებითი სახელი + არსებითი სახელი):

ორი ან სამი არსებითი სახელის ფუძისაგან თხზული კომპოზიტები (composita determinativa): **ხაშ-ბაბა** „ნათლია“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ბაბა** „მამა“); **ხაშ-ნანა** „ნათლიდედა“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ნანა** „დედა“), **ხაშ-ბაბა-ჩუბუხ** „ნათლის ცოლი“ (**ხაშ-ბაბა** + **ჩუბუხ** „ცოლი“, „დედაკაცი“); **ფულ-დეშიკ** „ხარბი“, „გაუმადლარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშიკ** „ნახვრეტი“)... სამი არსებითი სახელის ფუძისაგან შემდგარი კომპოზიტები უდიურ ენაში იშვიათად გვხვდება.

ორი არსებითი სახელის ფუძისაგან შედგენილნი (composita copulativa): **ნანა-ზაზა** „დედ-მამა“, „მშობლები“; **იშუ-ჩუბუბ** „ცოლ-ქმარი“; **ხუნჩი-ვიჩი** „და-ძმა“; **კოჯ-მეც** „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლ-ბუდე“); **იორღან-დრშაგ** „საბან-ლეიბი“; **ღუსმე-შუმ** „ყველი- [და]-პური“...

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მეორე – მარტივფუძიანი არსებითი სახელი: **ნეპნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნეპ-ნა[ა]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ზაზა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ზაზა-[ა]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭ'ანაყნა-ჩო** „ნაღები“ (**მუჭ'ანაყ-ნა[ა]** „რძის“ + **ჩო/ჩ'ო** „პირი“); **ქენე-ელ** „ქვამარილი“ (**ქენე[ა]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **ყენა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**ყენა[ა]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **ჭანა-ხუბ** „ერბოს ფლავი“ (**ჭან-ა[ა]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუბ** „ფლავი“); **კო-კოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ბერლოკოჯ** „გომური“ (ზედმიწ. „საქონლის სახლი“); **ხალიკუნ-ღარ** „ბიძამვილი“ [დედის მხრიდან]; **ხალახინწარ** „დეიდაშვილი გოგონა“ (**ხალა[ა]** „დედის“, **ხინწარ** „ქალიშვილი“); **თურინ-ლეკერ** „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“); **ხენედანლანქ** (ვართ.) / **ხენედანლანა** (ნიჯ.) „ბოლოქანქარა“ (**ხენე[ა]** „წყლის“ + **დანლანქ** „დალაქი“); **ფინ-ხაშ** „თვალის ჩინი“ (ზედმიწ. „თვალის სინათლე“), **ჰინტაშუმაკ** „დედალი ინდაური“ (ზედმიწ. „ინდაურის დედალი“), **ყანაქო** (← **ყან-ნაქო**) „სიდედრი“ (**ყანა[ა]** „ცოლისძმის“ + **ნაქო** „დედა“)...

საკუთარი სახელისაგან და საზოგადო არსებითი სახელისაგან შედგენილნი: **მაირამდანდ** „მარიამ მამიდა“, **მაირამხალა** „მარიამ დეიდა“; **მარიამ-ნანა//მაირამ-ნანა** „მარიამ-დედა“, „ღვთისმშობელი“...

სუბსტანტიურ-ადიექტიური კომპოზიტები (არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი ან პირიქით):

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი არსებითი სახელის ფუძეა, ხოლო მეორე – მსაზღვრელი სიტყვა: **აჯ'-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ'** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ბულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-ჰამ** „გულღია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **ჰამ** „ღია“); **ზა-ჰანკოწ** „წელმოხრილი“ (**ზაჰან** „წელი“, „ზურგი“ + **კოწ** „მოხრილი“), **ბულკოწ** „თავდახრილი“ (**ბულ** „თავი“ + **კოწ** „მოხრილი“)...

კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი მსაზღვრელი სიტყვაა, ხოლო მეორე – არსებითი სახელის ფუძე: **მუჭ'ანაყ**

„რძე“ (**მუჭა** „ტკბილი“ + **ნაყ** „დო“); **ხეზაქი-ჭან** „ერბო“ (**ხეზაქი** „დამდნარი“ + **ჭან** „ცხიმი“, „ქონი“); **ქალ-ნანა** „ბეზია“ (შდრ.: ქართ. **დიდე-და** ← **დიდი-დედა** „ბეზია“, **ბერ-დედა** (თუმ.) „ბეზია“), **ქალ-ზაზა//ქალ-პაპა** „ბაბუა“ (**ქალ** ← **ქალა** „დიდი“ + **ნანა** „დედა“; **ზაზა//პაპა** „მამა“); **ცამფი-აღალა** „ჟუჟუნა წვიმა“ (ზედმიწ. „ჭრელი წვიმა“); **ცამფი-დადალ** „ჭრელი მამალი“; **მუჭაშუმ** „ნამცხვარი“ (**მუჭა** „ტკბილი“ + **შუმ** „პური“), **აღუზაი** „ველური ალუბალი“ (**აღუ** „მწარე“ + **ზაი** „ალუბალი“)...

არსებითი სახელის ფუძისა და გასუბსტანტივებული მსაზღვრელი სიტყვისაგან შედგენილნი: **ხე-ზაპკალო** „წყლის მზიდველი“, „თულუხჩი“; **ხორაგ-ზოხალო** „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მზარშველი“); **ქომოხ-ბერხალო** „მეწისქვილე“ (ზედმიწ. „წისქვილის მფქველი“)...

ადიექტიური კომპოზიტები (ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი):

კომპოზიტები, რომელთა პირველ წევრად იხმარება ატრიბუტული სიტყვა, ხოლო მეორე წევრად – არსებითი სახელიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელი: **ქალა-უკლა** „დიდგულა“, (**ქალა** „დიდი“ + **უკლა** „გულიანი“); **ქალა-ზოხ'ზოხ'ლა** (**ქალა** „დიდი“ + **ზოხ'ზოხ'ლა** „ცხვირიანი“); **პა'-ჩოლლა** „ორპირა“ (**პა'** „ორი“, **ჩოლლა** „პირიანი“); **ქალაბუქუნლა** „ლიპიანი“ (**ქალა** „დიდი“ + **ბუქუნლა** „მუცლიანი“), **კაიუკლა** „გულღია“ (**კაი** „ღია“ + **უკლა** „გულიანი“)...

ნუმერალური კომპოზიტები (რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი): **საწწე** „თერთმეტი“, **ხიბეწწე** „ცამეტი“, **პა'ყო** „ორმოცი“, **ბიპყო** „ოთხმოცი“, **საყოჯო** „ოცდახუთი“, **საყოვულ'** „ოცდაშვიდი“, **საყოვუნწე** „ოცდაცხრამეტი“, **პა'ყოპა'** „ორმოცდაორი“, **პა'ყოზიპეწწე** „ორმოცდაოთხმეტი“, **ხიპყო** „სამოცდაექვსი“, **ხიპყომულეწწე** „სამოცდათვრამეტი“, **ბიპყოსა** „ოთხმოცდაერთი“, **ბიპყოვიწ** „ოთხმოცდაათი“, **საზაჩ** „ასი“, **ზაჩპა'** „ას ორი“, **საპაზარ** „ათასი“...

პარტიციპულ-პარტიციპული (ორი მიმღეობისაგან შედგენილნი): **ელალ-თადალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ზოხი-ჩიჩალო** „მზარშველ-გამომტანი“, „მსახური“ (მსახური, რომელიც ამზადებს საჭმელს და ემსახურება ვისმე სუფრაზე); **არცი-ამზალო** „ამდგომ-დამჯდომი“...

სუბსტანტიურ-პარტიციპული (არსებითი სახელი + მიმღეობა ან პირიქით): **ბულზაპკალ** „წინამძღოლი“, „მეთაური“, „მოთავე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“), **გონთაცი** „გახუნებული“, „ფერწასული“

(გონ „ფერი“ + თაცი „წასული“), ხეზაპკალ „მეთულუხე“ (ზედმიწ. „წყლის მზიდველი“), ხორაგბოხალ „მზარეული“ (ზედმიწ. „საჭმლის მზარმაველი“), ფოფბარი „თმაგაცვივნი“ (ფოფ „თმა“ + ბარი „გაცვივნი“), პიწუმკალ „წურბელა“ (პი „სისხლი“ + წუმკალ „მწოველი“), ხეზაქიკჷან „ერბო“ (ხეზაქი „დამდნარი“ + კჷან „ცხიმი“, „კარაქი“)...

ადიექტიურ-ადვერბიალური (ზედსართავი სახელი + ზმნისართი): თიქოყა „ციცაბო დაღმართი“ (თიქ „ვერტიკალური“, ოყა „დაბლა“, „ქვემოთ“)...

ნუმერალურ-სუმსტანტიური (რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი): სახულ „მარტოხელა“, „განმარტოებული“ (სა „ერთი“, ხულ „თავი“), საჯჷრან „ერთფეროვანი“ (სა „ერთი“, ჯჷრან „ჯური“, „სახეობა“)... კვირის დღეთა სახელწოდებანიც (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით) ამ მოდელით არის ნაწარმოები: პაშამატ „ორშაბათი“, ხიბშამატ „სამშაბათი“, ბიპშამატ „ოთხშაბათი“, კომშამატ „ხუთშაბათი“. ნიჯურ დიალექტში რაოდენობითი რიცხვითი სახელის ნაცვლად რიგობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული: სამჯი დი „ორშაბათი“ (ზედმიწ. „პირველი დღე“), ფაშჯი დი „სამშაბათი“ (ზედმიწ. „მეორე დღე“), ხიბიმიჯი დი „ოთხშაბათი“ (ზედმიწ. „მესამე დღე“), ბიფიმიჯი „ხუთშაბათი“ (ზედმიწ. „მეოთხე დღე“).

ნუმერალურ-ადიექტიური (რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი): საქულლა „ცალხელა“ (სა „ერთი“, ქულლა „ხელიანი“), სათურრა „ცალფეხა“, „ხეიბარი“ (სა „ერთი“, თურრა „ფეხიანი“), პა'თურრა „ორფეხა“ (პა' „ორი“ + თურრა „ფეხიანი“)...

ნუმერალურ-პარტიციპული (რიცხვითი სახელი + მიმღეობა): პა'დოფკალ „ორლულიანი“ (პა' „ორი“ + დოფკალ „გამხეთქი“)...

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უდიურში არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელია ათემატური კომპოზიტიური წარმოება. კვლევის ამ ეტაპზე არ არის გამოვლენილი არც ერთი სპეციალური აფიქსი, რომელიც თხზული ფუძეების შედგენაში მონაწილეობს.

სემანტიკური თვალსაზრისით კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანი, ორცნებიანი ან ორზემეტცნებიანი. ორცნებიანი კომპოზიტი გამოხატავს ორ ცნებას ანუ უდრის კომპონენტთა შინაარსის ჯამს: ორღან-დრშაგ „საბანლეიბი“ (ორღან „საბანი“, დრშაგ „ლეიბი“), უყნახოდ „კაკლის ხე“ (უყნა[მ] „კაკლის“, ხოდ „ხე“), ხეყუჭკალ „წყლის მყლაპავი“ (ხე „წყალი“, ყუჭკალ „მყლაპავი“)...

ერთცნებიანი კომპოზიციების კომპონენტები კი სემანტიკურ ერთიანობად არის ქცეული, დაჩრდილულია მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა: **პა'ჩოლა** „ორპირი“ (**პა'** „ორი“, **ჩოლა** „პირიანი“), **ბერეჩო** „ბალიშისპირი“ (**ბერე[მ]** „ბალიშის“, **ჩო** „პირი“), ჟენეელ „ქვამარილი“ (**ჟენე[მ]** „ქვის“, **ელ** „მარილი“), **მაწიყე** „შაქარი“ (**მაწი** „თეთრი“, **ყე** „ქვა“), **ბელ'კელალ** „ადმოსავლეთი“ (**ბელ'** „მზე“, **კელალ** „ადმოსავალი“)...

არსებით სახელთა რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა უდიურ ენაში:

უდიურში, სხვა ენათა მსგავსად, კომპოზიციის ერთ-ერთ სახეს ფ უ ძ ე თ ა გ ა ო რ კ ე ც ე ბ ა ანუ რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი ა წარმოადგენს. უდიურში რედუპლიკაცია კომპოზიტთა მიღების საკმაოდ გავრცელებული გზაა. გაორკეცებულია:

ა) სიტყვის ფუძე: **კოწ-კოწ** „მოხრილი“ (**კოწ** „მოხრილი“, „ჩამოწეული“), **ხური-ხური** „წვრილ-წვრილი“ (**ხური** „წვრილი“)...

ბ) დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვალნი (სინქრონიულ დონეზე), რომელიც გაორმაგების შედეგად იქცევა ლექსიკურ ერთეულად: **ყუმყუმ** „ლოკოკინა“ (შდრ.: ქართ. ლოკოკინა ← ლოკ-ლოკ-ინ-ა ?), **დამდამ** „დილა“ (შდრ.: **დამნუნ** (**დამ-ნ-უნ** ?) „ხვალ“), **ტუტუ** (-**ფსუნ**) „კანკალი“, **ხა'ხა'** „გატეხილი“, **ბი'ბი'** „ხიდი“, **ფუმ-ფუმ**: **მაწი ფუმფუმ** „ფილტვი“, **მა'ან ფუმფუმ** „ღვიძლი“, „თირკმელი“... ფუძეგაორკეცების დროს კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტთა დაკავშირება სხვადასხვაგვარია:

ა) მარტივი დაკავშირება, როდესაც მეორდება მარტივი ფუძეები ყოველგვარი დამაკავშირებლისა და ფონეტიკური ცვლილების გარეშე: **აბუზაბუზ** „დიდად“, „ფრიად“ (**აბუზ** „დამატება“, „დანამატი“), **ბიზ-ბიზ** „ყალყუე“ (**ბიზ** „სადგისი“), **ბიპ-ბიპ** „ოთხ-ოთხად“ (**ბიპ** „ოთხი“), **ზოლ-ზოლ** „ზოლებიანი“ (**ზოლ** „ზოლი“), **თიქან-თიქან** „ნაწილ-ნაწილ“ (**თიქან** „ნაწილი“, „წილი“), **ყურუწ-ყურუწ** „მრგვალ-მრგვალი“ (**ყურუწ** „მრგვალი“), **განენ-განენ** „ადგილ-ადგილ“, „ალაგ-ალაგ“ (**განენ** „ყველ-გან“)...

მარტივი დაკავშირების შემთხვევებია აგრეთვე, როცა გვაქვს ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე მარცვალთა გამეორება: **ტრა-ტრა** „ტოროლა“ (შდრ.: ქართ. **ტოროლა**), **ბია-ბია** „კუნელი“, **გუმგუმ** „საცერი“ (შდრ.: **გუმგუმ-ფესუნ** „ლილინი“)... ბ) კომპონენტები შეერთებულია -**ბა**- დამაკავშირებელი ელემენტით: **ჩობაჩო** „პირისპირ“ (**ჩო** „პირი“, „სახე“), **ღიბაღი** „დღედადღე“ (**ღი** „დღე“), **უსენზაუსენ** „წლითი წლად“ (**უსენ** „წელი“), **შანჰარბაშანჰარ** „ქალაქ-ქალაქ“ (**შანჰარ** „ქალაქი“),

გაზაგა „ყველგან“ (**გა** „ადგილი“), **ჯურნაჯურნ** „სხვადასხვაგვარი“ (**ჯურნ** „სახეობა“, „გვარი“), **ჯიზაჯი** „შუაზე“, „სანახევროდ“ (**ჯი** „ნახევარი“; შდრ.: ქართ. ნახევარი)... ერთგან -**ჰა**- ნაწილაკიც ჩანს დამაკავშირებლად – **ტიტაჰატიტა** „გაქცევა“, „სირბილი“ (შდრ.: **ტიტეს** „სირბილი“, „გაქცევა“). გ) რედუპლიკაცია სუფიქსაციით: **ლიპლიპ-კალ** „საფეთქელი“, „კეფა“, **ფოსფოს-კალ** „ბუმბული“ (შდრ.: ქართ. **პოს-ლ-იკ-ა** ან **ბუსუსი** ← ***ბუს-ბუს-ი**), **ჯირჯირ-კალ** „ჭრიჭინა“...

რედუპლიკაციის დროს ადგილი აქვს ფონეტიკურ ცვლილებებს:

ა) ერთ-ერთ კომპონენტში (როგორც წესი, პირველ კომპონენტში) იკარგება ბოლოკიდური თანხმოვანი ან ხმოვანი: **ქაქალა** (ნიჯ.) ← **ქალ-ქალა** (ვართ.) (← **ქალა-ქალა**) „დიდ-დიდი“, „დიდრონი“ (**ქალა** „დიდი“), **კიწ-კიწი** (← **კიწიკიწი**) „ცოტ-ცოტა“, „მცირედი“ (**კიწი** „ცოტა“), **პგნა-პგნ** „ჩურჩული“, **მომოწ** (← **მოწ-მოწ** ?) „ცინგლი“, „წვინტლი“, **კო-კოწ** (← **კოწ-კოწ** ?) „ქათამი“...

ბ) კომპოზიტის მეორე წევრს ბოლოში დაერთვის ხმოვანი: **ბულ-ბულა** „ერთად“ (შდრ.: **ბულ** „თავი“), **თურ-თურა** „ფეხდაფეხ“ (შდრ.: **თურ** „ფეხი“)...

გ) შეცვლილია კომპოზიტის მეორე წევრის თავკიდური თანხმოვანი: **კორი-მორი** (← **კორი-კორი**) „მიხვეულ-მოხვეული“ (**კორი** „მრუდე“), **კორწიმორწი** (← **კორწი-კორწი** ?) „თეთრყვავილა“, **კოტორ-მოტორ** „ნაჭრები“ (**კოტორ** „ნაჭერი“, „ნატეხი“), **კაკულლა-მაკულლა** „საბავშვო თამაში“, **დორო-მორო** „აბდაუბდა“...

დ) კომპოზიტის ერთ-ერთ წევრში (როგორც წესი, მეორეში) შეცვლილია ხმოვანი ან შეცვლილია ხმოვანი და წინ დაერთვის თანხმოვანი: **მალ-მულ** „ცოტა“ (**მალ** „ცოტა“, „პატარა“), **ქარ-ქურ** „ნარევი“, „არეულ-დარეული“ (**ქარ** „ნარევი“), **ადდა-ბუდდა** „მიმოფანტული, მიმოყრილი“...

3. ქართული, ლეზგიური და უდიური ენების კომპოზიტთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

სამსავე საკვლევ ენაში (ქართული, ლეზგიური, უდიური) კომპოზიტთა სტრუქტურა არსებითად მსგავსია. შე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ - პ ო ზ ი ტ ე ბ ი ს კომპონენტებად შეიძლება მოგვევლინოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მიმღეობა. ამ კომპოზიტს ერთნაირი კომპონენტები შეადგენს. დასტურდება შემდეგი მოდელები: 1) არსე-

ბითი სახელი + არსებითი სახელი; 2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი; 3) მიმღეობა + მიმღეობა. ქართულსა და უდიურში დასტურდება ორი ზმნისართისაგან შედგენილი კომპოზიტები (ქართ. **აქა-იქ**, უდ. **ტიამა-მიამა** „id“ და სხვ. მისთ.), ხოლო ლეზგიურში ორი ზმნური ფორმისაგან შედგენილი კომპოზიტები: მასდარი + მასდარი ტიპისა: **ტუნ-ჯუნ** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტუნ** „ჭამა“ + **ჯუნ** „სმა“); **ქპინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქპინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“); **ჭინ-ხთუნ** „სიარული“, „ურთიერთობა“ (**ჭინ** „სიარული“, **ხთუნ** „დაბრუნება“)... იმპერატივი + იმპერატივი ტიპისა: **ალად-ჯმა** „სირბილი“, „სიარული“ (უმიზეზო); ლაქია (**ალად** „იარე!“ + **ჯმა** „დაბრუნდი!“)... აღსანიშნავია, რომ პირველი ტიპის კომპოზიტები (მასდარი + მასდარი) ქართულისთვისაც დამახასიათებელია, მაგ., **ჭამა-სმა**, **მისვლა-მოსვლა** და მისთ.

ამრიგად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე კომპონენტი სხვა მეტველების ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე მათგან ნაწარმოები კომპოზიტი, მაგ., ლეზგ. **ყეწილ-წიმი** „ახალი ტანსაცმელი“ (**ყეწილ** „შიშველი“ + **წიმი** „ახალი“); **კუ-ცურუ** „ბედ-უბედობა“ (**კუ** „მლაშე“ + **ცურუ** „მუავე“); **ათამ-ჭჭემ** „სტუმარი“, „ჩამოსული“ (**ათამ** „მოსული“ + **ჭჭემ** „წასული“); **ქისამ-ილისამ** „ჩუმჩუმელა“ (**ქისამ** „უთქმელი“ + **ილისამ** „მიმწოლი“, „მიმჭერი“)... უდ. **ელალ-თაღალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ზოხი-ჩიჩალო** „მხარშველ-გამომტანი“, „მსახური“ (მსახური, რომელიც ამზადებს საჭმელს და ემსახურება ვისმეს სუფრაზე); **არცი-ამზალო** „ამდგომ-დამჯდომი“... ქართ. **დიდ-პატარა**, **მიყრილ-მოყრილი**, **აქა-იქ** და სხვ. მისთ.

ორი არსებითი სახელისაგან შემდგარი შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტები, როგორც წესი, მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. გამონაკლისია ლეზგიური ენა, რომელშიც გვხვდება მრალობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი კომპონენტები, მაგ., **ჭყყერ-ყალარ** „ბალახები“, „მცენერეები“ (**ჭყყერ** „ბალახები“, „თივა“ + **ყალარ** „ღეროები“);

აღსანიშნავია, რომ გვხვდება პარალელური ფორმები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში მდგარი კომპონენტებისაგან შემდგარი კომპოზიტები, მაგ., **გაჭ-ჭალ / გაჭარ-ჭალარ** „მეტყველება“, „საუბრები“ (ზედმიწ. სიტყვა/სიტყვები + ლექსი/ლექსები); **კუალ-მუდ / კუალერ-ჭარ** „მთელი ქონება“ (ზედმიწ. სახლი / სახლები + დღე / დღეები)...

შეერთებით კომპოზიტთა უმრავლესობა არანაწარმოებ ფუძეთაგან შედგება. ლეზგიურ ენაში კი ზოგიერთი კომპოზიტი ზმნური სხვადასხვა პრევერბის მეშვეობით ნაწარმოები ფუძეებისაგან შედგება, მაგ., **ქუკუნ-ჩუხუნ** „ჩხუბი“, „გარჩევა“, „სკანდალი“ (**ქუკუნ** „ჩხუბი“ + **ჩუხუნ** „კაწვრა“), **აცყყუნ-ჯარალუნ** „ავეჯი“, „წესრიგი სახლში“ (**აცყყუნ** „ჯდომა“ + **ჯარალუნ** „ადგომა“)...

ამას გარდა, ლეზგიურ ენაში გვხვდება კომპოზიტები, რომელიც **-ტალ** სუფიქსით არის გაფორმებული (ეს სუფიქსი აბსტრაქტულ არსებით სახელებს აწარმოებს), მაგ., **მარ-დუსტალ** „მეგობრობა“ (**მარ-დუსტ** „მეგობარი“), **ჟურება-ჟურეთალ** „მრავალფეროვნება“ (**ჟურება-ჟურე** „სხვადასხვა“, „განსხვავებული“); **მარუ-წარუტალ** „სიჭრელე“ (**მარუ-წარუ** „ჭრელი“)...

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი ქართულში, ლეზგიურსა და უდიურში შეიძლება შემდეგი სახისა იყოს: 1) წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრული. ამასთან, მსაზღვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტული და მართული (ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი). 2) განსაზღვრებითი კომპოზიტი, რომლის კომპონენტებს შორის გამოხატულია ურთიერთობა სხვადასხვა ბრუნვის საშუალებით.

ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება შეგვხვდეს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა.

არსებითი მსაზღვრელად. თუ ფუძე თანხმოდანფუძიანია, ქართულში ასეთი ტიპის მსაზღვრელი შეიძლება სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ შეეხარდოს საზღვრულს, ან მის გარეშე, მაგ., **ფურ-კამეჩი**, **ფურ-ირემი**, **ხარ-ირემი**, **ქალ-ბატონი**, მაგრამ: **ქალი-შვილი**, **პირი-სახე** და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ლეზგიურში ეს მოდელი შეზღუდულია, როგორც წესი, ამ ტიპს მიეკუთვნება სპარსული, არაბული და თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, მაგ., თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები: **ჯიზილ-ჯაუშ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯაუშ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილ-ბალულ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალულ** „თევზი“)... ან ირანული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები: **ზი-მან-ქარ** „მავნებელი“ (**ზი-მან** „ზიანი“, „ზარალი“ + **ქარ** „საქმე“); **დატე-ქარ** „ჩხუბისთავი“, „წამქეზებელი“ (**დატე** „დავა“, „ჩხუბი“, „ომი“ + **ქარ** „საქმე“)...

უდიურში ასეთი სტრუქტურის განსაზღვრებითი კომპოზიტები დასტურდება, თუმცა ეს გამოწვეული უნდა იყოს გენიტივის ნიშნის სრული შეკვეცით და სახელობითი ბრუნვის (აბსოლუტივის) ფორმას-

თან ფორმოზრევი მიმსგავსებით, მაგ., **ხაშ-ზაზა** „ნათლია“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ზაზა** „მამა“); **ხაშ-ნანა** „ნათლიდედა“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ნანა** „დედა“), **ხაშ-ზაზა-ჩუბუხ** „ნათლის ცოლი“ (**ხაშ-ზაზა** + **ჩუბუხ** „ცოლი“, „დედაკაცი“); **ფულდეშიკ** „ხარბი“, „გაუმადარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშიკ** „ნახვრეტი“)...

ქართულსა და უდიურში მსაზღვრელი ზედსართავი სახელისა ან მიმღობის სახით შეიძლება პრეპოზიციასა და პოსტპოზიციამდე იყოს, ხოლო ლეზგიურში მსაზღვრელი მხოლოდ პრეპოზიციურია (გამონაკლისია რამდენიმე კომპოზიტი, რომელიც შედგება არსებითი სახელისაგან IV ადგილობრითი ბრუნვის ფორმით და მიმღობა -**ჟაიდი** (**აჟაიდი**) „მყოფი“, მაგ., **ჟილლე-ჟაიდი** „ის, რაც თვალშია“ (ზედმიწ. თვალში მყოფი“); **რიკე-ჟაიდი** „ის, რაც გულშია“ (ზედმიწ. გულში მყოფი“)). პოსტპოზიცია უდიურში შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ ატრიბუტულმსაზღვრელიან შეერთებით კომპოზიტებში, მაგ., **აჯ-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ზულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“ (**ზულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-ჯამ** „გულღია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **ჯამ** „ღია“); **ზა-ჭანკოწ** „წელმოხრილი“ (**ზაჭან** „წელი“, „ზურგი“ + **კოწ** „მოხრილი“), **ზულკოწ** „თავდახრილი“ (**ზულ** „თავი“ + **კოწ** „მოხრილი“)...

მსაზღვრელი პოსტპოზიციამი ქართულში: **ხორც-მეტი, სვეტი-ცხოველი**...: გეოგრაფიული სახელები: **ტაზა-ხმელა, ჭალა-დიდი, ნინო-წმინდა, დაბა-ძველი** და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში გვაქვს რამდენიმე მართულმსაზღვრელიანი შეერთებითი კომპოზიტი, რომელიც შებრუნებულად იწარმოება (ძველი წარმოება): **მამა-სახლისი, დია-სახლისი** (← ***დედა-სახლისი**).

რიცხვითი სახელი კი კომპოზიტებში სამივე ენაში ყოველთვის პირველ ადგილზეა და ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ას-ფურცელა, ორ-ღობე, ორ-წყალი** (ადგილი, სადაც ფშავისა და ხევსურეთის არაგვი ერთდებიან), **ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი** და სხვ. ლეზგიურში დასტურდება საინტერესო მოდელი, რომელშიც მეორე კომპონენტად გვხვდება არსებითი სახლის მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ., **ფუდ-ჭერ** „სამგლოვიარო რიტუალები“ (**ფუდ** „სამი“ + **ჭერ** (**მიჭერ**) „ღამეები“); **ჯაჟე-რიკარ** „ეჭვი“, „მერყეობა“ (**ჯაჟე(დ)** „ორი“ + **რიკ-არ/რიკ-ერ** „გულები“)... გამოვლენილია ერთადერთი მაგალითი, რომელიც რიცხვითი სახელისა და მრავლობით რიცხვის ფორმით წარმოდგენილი მიმღობისაგან შედგება: **ჯაჟეთ-ხაჟერარ** „ტყუპები“ (**ჯაჟეთ** (**ჯაჟედ**) „ორი“ + **ხაჟერ-არ** „დაბადებულები“) და ა. შ.

მართული მსაზღვრელი წარმოდგენილია არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. აღსანიშნავია, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება სამივე ენაში დაიკარგოს სულ ან ნაწილობრივ. ნაწილობრივ დაკარგვაში იგულისხმება თანხმოვნის ჩამოცილება მხოლოდობითი რიცხვის ფორმაში, მაგ., ლეზგიურში პირველ კომპონენტს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს: **ირან-დიდე** „სიდედრი“ (**ირან/მარან** „პატარძლის“, „შეყვარებულის“ + **დიდე** „დედა“; **ყულან-თარ** „ხერხემალი“ (**ყულან** „შუა“ (გენ.) + **თარ** „ხე“) და სხვ.;

ნაწილობრივ დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მაგ., **ყარ-ყუ-ლუჭ** „ლამურა“ (**ყარყუ(ნ)** „ტყავის“ + **ლუჭ** „ფრთა“ და სხვ.;

დაკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, თუმცა ინარჩუნებს მის მნიშვნელობას, მაგ., **ყასუმხურ** „ყასუმკენტი“ (ზედმიწ. **ყასუმ(-ან)** „ყასუმის“ (საკ. სახელი) + **ხურ** „სოფელი“; **ჩუქუბ-ტურ** „საწვნი“, „ჩამჩა“ (**ჩუქუბ(-დინ)** „ქვების“ + **ტურ** „კოვზი“)..

უდიურში: გენტივის ნიშანი ნაწილობრივ დაკარგულია: **ნებნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნებ-ნა[მ]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ზაბა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ზაბა-[მ]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭანაყნა-ჩო** „ნალები“ (**მუჭანაყ-ნა[მ]** „რძის“ + **ჩო/ჩ'ო** „პირი“); **ჭენე-ელ** „ქვამარილი“ (**ჭენე[მ]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **უყნა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**უყ-ნა[მ]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **ჭანა-ხუბ** „ერბოს ფლავი“ (**ჭან-ა[მ]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუბ** „ფლავი“) და სხვ.;

გენტივის ნიშანი შენარჩუნებულია: **კოკოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ხერდოკოჯ** „გომური“ (ზედმიწ. „საქონლის სახლი“); **ხალიკუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან]; **ხალახინარ** „დეიდაშვილი გოგონა“ (**ხალა[მ]** „დეიდის“, **ხინარ** „ქალიშვილი“); **თურინ-ლეკერ** „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“)..

ქართულში: ბრუნვის ნიშნის სრული შეკვეცით: **თავ-დაცვა, ხელ-საქმე, ღორ-მუცელა, ბაკურ-ციხე, ცხვირ-სახოცი, პირ-სახოცი, თავ-საბურავი** და სხვ.;

ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ შეკვეცით: **მამი-და, დეი-და** (← *დედის-და), **შვილი-შვილი, ოჯახი-შვილი, მამული-შვილი, ბატონი-შვილი, დედი-ნაცვალი, მამი-ნაცვალი, ტანი-სამოსი, წუთი-სოფელი** და სხვ.;

ბრუნვის სრული ნიშნით: **ქინძის-თავი, ცის-კარი, ალვის-ხე, გუთნის-დედა, ჭირის-უფალი, თავის-უფალი, ხელის-უფალი, ერის-თავი, ჯარის-კაცი, ერის-კაცი, კარის-კაცი, ძმის-წული, დის-წული, გულის-ყური, ხევის-ხერი, ენკენის-თვე, ღვინობის-თვე** და სხვ.

კომპოზიტიში შემავალი მართული მსაზღვრელი შეიძლება ორივე რიცხვის ფორმით იყოს გადმოცემული, მაგ., ქართულში: სრული მაწარმოებლით: **სულთა-მხუთავი, მკათა-თვე, მიწათ-მოქმედება, ხუროთ-მოძღვარი, მზეთ-უნახავი, გულთ-მისანი, ურიათ-უბანი** (სოფ.) და სხვ. (ქართულში მართული მსაზღვრელი მრავლობითში, როგორც წესი, წარმოდგენილია **თან**-იანი ფორმით.); მაწარმოებლის შეკვეცით: **წყალ-სადენი, ჰაპან-წყვეტა, თიბა-თვე, პაპა-ნაქება** და სხვ.

ლეზგიურ ენაში მრავლობითი რიცხვის ფორმით შეიძლება იყოს გადმოცემული როგორც მსაზღვრელის, ისე საზღვრულის კომპონენტი: **თაფარი-კუათ** „ცრუპენტელა“, „მატყუარა“ (**თაფარი(ნ)** „ტყუილეზის“ + **კუათ** „გუნდა“); **ყილინ-ფაგარ** „კოტრიალი“ (**ყილინ** „თავის“ + **ფაგ-არ** „თათები“)... მეორე მოდელი ლეზგიურ ენაში უფრო პროდუქტიულია.

ნათესაობითი ბრუნვის გარდა, განსაზღვრებითი კომპოზიტი ქართულში შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვა ბრუნვის ფორმითაც: მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი. დასახელებულ ბრუნვათა მაწარმოებლები შეიძლება იყოს დაკარგული ან შეკვეცილი.

1. მოთხრობითი: **ღმერთმან-ი** (← **ღმერთმან იცის**), **ერთმან-ე(რ)თი**.

2. მიცემითი: **თავს-ლაფი, თავ(ს)-ზარი, თავ(ს)-გადასავალი, თავ(ს)-სახვევი, თავ(ს)-მდები, გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი, პირ(ს)-ჯვარი, ყელ(ს)-სახვევი, ყელ(ს)-საბამი, ხელ(ს)-ქვეითი, ჯვარ(ს)-ცმა** და სხვ.

3. მოქმედებითი: **ქვიტკირი** (← **ქვითკირი**), **ხელ(ით)-ნაწერი, ხელ(ით)-წერილი**.

4. ვითარებითი: **ყურად-ღება, ყოვლად-წმინდა, ავად-მყოფი**.

ლეზგიურ ენაში დასტურდება განსაზღვრებითი კომპოზიტები, რომელთა მსაზღვრელის კომპონენტი წარმოდგენილია IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით. სულ გამოვლენილია ამ მოდელის რამდენიმე სახელი, მაგ., **რეყე-ყულ** „ავმანი“, „აბზინდა“ (**რეყე** IV ლოკ. **რეკ** „გზა“, „გასასვლელი“ ფორმისა + **ყულ** „ტერფი“, „ცეკვა“)...

რ ე დ უ ჰ ლ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი : საკვლევ ენებში რედუქციკაციის სხვადასხვა სახესხვაობა გვხვდება. ფუძის გაორკეცება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: მარტივი, თანხმოვნის შენაცვლებით, თანხმოვნის ჩავარდნით, ხმოვნის შენაცვლებით, დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით.

1) მარტივი გაორკეცების გზით არის მიღებული, ისეთი სახელები, როგორცაა, მაგ., ქართ. **მა-მა, დე-და, პა-პა, *ზე-ზა (ზეზია), *ზა-ზა (ზაზუა), გო-გო, ძუ-ძუ, ხა-ხა, წამ-წამ-ი, თავ-თავ-ი, კაჭ-კაჭ-ი, ძერ-ძერ-უკ-ი, წყალ-წყალა (წინწყარა, თოხიტარა), ყაპ-ყაპ-ი, ქონა-ქონა (დანდური), ია-ია (გურ. ია), მყრალა-მყრალა, გიზ-გიზ-ი, ლიც-ლიც-ი, ლაქ-ლაქ-ი, ქოთ-ქოთ-ი, ლას-ლას-ი, ლაპ-ლაპ-ი, ობ-ობ-ა, ჯო-ჯო, ფა-ფა, ძა-ძა, ღიჭა-ღიჭა** იმერ. „ბალახოვანი მცენარე“; ლეზგ. **ლიპლიპ** „ქორი“, **ქუშქუშ** „ჩურჩული“, **ღურღურ** „ბუზღუნ“, **ლალლალ** „ლაქლაქი“; უდ. **ტრა-ტრა** „ტოროლა“ (შდრ.: ქართ. **ტოროლა**), **ზია-ზია** „კუნელი“, **გუმგუმ** „საცერი“ (შდრ.: **გუმგუმ-ფესუნ** „ღიღინი“)...

ფუძეს გაორკეცებამდე შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა; მაგ., დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფუძეებია: ლეზგ. **ღუჭი-ღუჭი** „პატარა“, „პაწაწუნა“ (**ღუჭი** „პატარა“); **ხუშ-ხუშ** „ყაყაჩო“ (**ხუშ** „სიხარული“); უდ. **აბუზ-აბუზ** „დიდად“, „ფრიად“ (**აბუზ** „დამატება“, „დანამატი“), **ბიზ-ბიზ** „ყალყზე“ (**ბიზ** „სადგისი“), **ბიპ-ბიპ** „ოთხ-ოთხად“ (**ბიპ** „ოთხი“), **ზოლ-ზოლ** „ზოლებიანი“ (**ზოლ** „ზოლი“), **თიქ-თიქ** „ნაწილ-ნაწილ“ (**თიქ** „ნაწილი“, „წილი“), **ყურუწ-ყურუწ** „მრგვალ-მრგვალი“ (**ყურუწ** „მრგვალი“), **განენ-განენ** „ადგილ-ადგილ“, „ალაგ-ალაგ“ (**განენ** „ყველგან“)...

2) გაორკეცებული სახელები ფონეტიკურად შეცვლილი მეორე კომპონენტით. მეორე კომპონენტს რეალურად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს. აქ შეიძლება იყოს შეცვლილი ხმოვანი ან თანხმოვანი, ანდა ჩამატებული ჰქონდეს თანხმოვანი (ყველაზე ხშირად **მ** კონსონანტი), მაგ., ლეზგ. **გადა-გუდი** „ზავშევი“, „არასერიოზული ადამინები“ (**გადა** „ბიჭი“, „ყმაწვილი“), **აზარ-უზუზ** „ავადმყოფობა“, „სნეულება“ (**აზარ** „ავადმყოფობა“), **ჭარ-ჭურ** „ყველანაირი ბალახი“, „ბალახი და მისი მსგავსი“ (**ჭარ** „ბალახი“), **ქას-მას** „ვიღაცა“ (**ქას** „პირი“, „პიროვნება“, „ადამიანი“), **თარ-მარ** „ხეები“, „ყოველგვარი ნარგავი“ (**თარ** „ხე“); **ხიშირ-შიშირ** „განსაკუთრებული შემთხვევა (ქორწილი, ზეიმი, დაკრძალვა, გაცილება, შეხვედრა)“ (**ხიშირ** „ხეირი“); **იჩ-მიჩ** „ვაშლი და მსგავსი“ (**იჩ** „ვაშლი“); უდ. **ბულ-ბულა** „ერთად“ (შდრ.: **ბულ** „თავი“), **თურ-თურა** „ფეხდაფეხ“ (შდრ.: **თურ** „ფეხი“); **კორი-მორი** (← **კორი-კორი**) „მიხვეულ-მოხვეული“ (**კორი** „მრუდე“), **კორწი-მორწი** (← **კორწი-კორწი** ?) „თეთრყვავილა“, **კოტორ-მოტორ** „ნაჭრები“ (**კოტორ** „ნაჭერი“, „ნატეხი“), **კაკულლა-მაკულლა** „საბავშვო თამაში“, **დორო-მორო** „აბდაუბდა“; **მალ-მულ** „ცოტა“ (**მალ** „ცოტა“, „პატარა“),

ქარ-ქურ „ნარევი“, „არეულ-დარეული“ (**ქარ** „ნარევი“), **ადდა-ბუდდა** „მიმოფანტული, მიმოყრილი“; ქართ. **ბალახ-ბულახი** და მისთ.

ქართულში მეორე კომპონენტს შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებები მოსდის:

ა) თანხმოვნის დისიმილაციით გაორკეცება, მაგ.: **ცუნ-ცულა**, **წერ-წეტი** (← ***წებ-წეტი**), **კერ-კეტი**, **კირ-კიტი** (→ ფრინველის სახელი **კირ-კიტ-ა**), **კორ-კოტ-ი** (← ***კოტ-კოტ-ი**), **ცერ-ცეტ-ი** (← ***ცებ-ცებ-ი**), **ჩერ-ჩეტ-ი**, **ყარ-ყატ-ი**, **ფარ-ფატ-ი**, **ფირ-ფიტ-ი**, **გვირ-გვინ-ი**, **დგან-დგარ-ი**, **ზარ-ზაც-ი**, **გორ-გოლ-ა** (← **გორ-გორ-ა**), **კინ-კილ-ა**, **ქირ-ქილ-ი**, **ზაგა-ზუგი**, **ქან-ქარ-ა** (← **ქან-ქან-ა**), **კან-კალ-ი** (← **კან-კან-ი**), **ღირ-ღიტ-ა**. იშვიათად თანხმოვანი დისიმილაციას გამო ცვლილებას განიცდის ორივე კომპონენტში, მაგ., **ზან-ზალ-აკ-ი** (***ზარ-ზარ-აკ-ი**) და სხვ.

ბ) გაორკეცება ხმოვნის შენაცვლებით. როგორც წესი, ხმოვანი მეორე კომპონენტში იცვლება. ზოგჯერ ასეთი ტიპის კომპოზიტი სიმრავლის აღნიშნავს, მაგ., **გორ-გური** „გორები“, ანდა პეიორატიული მნიშვნელობა აქვს, მაგ., **ბიჭ-ბუჭები**.

გ) გაორკეცება თავკიდური თანხმოვნის ცვლილებითა ან დართვით: ა) გაორკეცება თავკიდური თანხმოვნის შეცვლით, მაგ.: **მუხ-ლუხ-ო**, **ჩამი-ჩუმი**, **ხათრი-მათრი**, **ჟივილ-ხივილი...**; ბ) გაორკეცება თანხმოვნის დართვით, მაგ.: **არე-მარე**, **უჩინ-მაჩინი**, **ინჩი-ბინჩი...**

თანხმოვნის ჩანაცვლება **მ** თანხმოვნით, ანდა **მ** თანხმოვნის ჩამატება ძალზე გავრცელებულია თურქულ, ირანულ და სხვა აღმოსავლურ ენებში. ამდენად, ძნელია იმის თქმა, ნასესხებია თუ ქართულ ნი-ადაგზეა შექმნილი ისეთი კომპოზიტები, როგორცაა, მაგ., **ხურდა-მურდა**, **ხათრი-მათრი** თუ მისთ.

3) უდიურსა და ქართულში გავრცელებულია გაორკეცებული ფუძეები, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტში იკარგება ბოლოკიდური თანხმოვანი ან ხმოვანი: უდ. **ქაქალა** (ნიჯ.) ← **ქალქალა** (ვართ.) (← **ქალა-ქალა**) „დიდ-დიდი“, „დიდრონი“ (**ქალა** „დიდი“), **კიწ-კიწი** (← **კიწი-კიწი**) „ცოტ-ცოტა“, „მცირედი“ (**კიწი** „ცოტა“), **პგა-პგა** „ჩურჩული“, **მომოწ** (← **მოწ-მოწ** ?) „ცინგლი“, „წვინტლი“, **კოკოწ** (← **კოწ-კოწ** ?) „ქათამი“...

ქართ. გაორკეცება პირველი ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვით: **ბე-ბერ-ი**, **კუ-კურ-ი**, **ხუ-ხულ-ა** (← ***ხულ-ხულ-ა**), **ჭუ-ჭულ-ი** (← ***ჭულ-ჭულ-ი**), **წი-წილ-ა** (← ***წილ-წილ-ა**), **წი-წიპ-ო**, **კო-კორ-ი** (← **კორ-კორ-ი** ← ***კვერ-კვერ-ი**), **გო-გორ-ა** (გურ. ხის ურმის თვალი), **ბი-ბილ-ო** (← **რბილ-რბილ-ო**)...

მეორე ფუძის თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით გაორკეცება: **ქუთ-უთ-ო** (**ქუთ-ქუთ-ო**), **მეჭ-ეჭ-ი** (← **მეჭ-მეჭ-ი**), **ზაც-აც-ა** (← **ზაც-ზაც-ა**), **პაატ-ა** (← **პატ-ატ-ა**← **პატ-პატ-ა**), **პაწ-აწ-ა**, **პაწ-აწ-ინ-ა** და სხვ.

ზოგჯერ იკარგება მთლიანი მარცვალი ან მარცვლის ბოლოკიდური თანხმოვანი, მაგ., **ჭურ-ჭ-ელ-ი** (← ***ჭურ-ჭურ-ელ-ი**), **კაწა** (← ***კარ-კა**)...

4) შერეული რედუქლიკაცია – ფუძის გაორკეცება აფიქსაციის თანხლებით. ლეზგიურში მათ რიგში შეიძლება იყოს სუფიქსი, პრეფიქსი, ინფიქსი, ფლექსია და კავშირებით ნაწილაკი **-ნი**; მაგ., **აძალ-ქუძალ** „ბავშვები“ (**აძალ** „ბავშვი“ + პრეფიქსი **ქ-**), **ჭურება-ჭურე** „ნაირ-ნაირი“ (**ჭურე** „სახეობა“ + სუფიქსი **-ბა**), **ჩირხჩირ** „ნაცნობი“, „მეგობარი“ (**ჩირ** მიმდებარე ფორმა ზმნისა **ჩირხუნ** „ცნობა“, „ნაცნობობა“ + ინფიქსი **-ხ-**), **გურბა-გურ** „ბარბაროსი“, „ველური“ (**გურ** „ხმაურიანი“ + სუფიქსი **-ბა**); **აყენი-აყე** „ზუსტი ცენტრი“ (**აყე** „ცენტრი“, „შუა“ + **-ნი** ნაწილაკი). არის გაორკეცებული ფუძეები, რომელთა ორივე კომპონენტიც გართულებულია ფლექსიით, მაგ., **აყე-უ-აყე-ურ** „სამბო“ (**აყე** „წელი“)... უდიურში გავრცელებულია მოდელი, რომელშიც კომპონენტები შეერთებულია **-ბა-** დამაკავშირებელი ელემენტით: **ჩობაჩო** „პირისპირ“ (**ჩო** „პირი“, „სახე“), **ღიბაღი** „დღედადღე“ (**ღი** „დღე“), **უსენბა-უსენ** „წლითი წლად“ (**უსენ** „წელი“), **შაჰარბაშაჰარ** „ქალაქ-ქალაქ“ (**შაჰარ** „ქალაქი“), **გაბაგა** „ყველგან“ (**გა** „ადგილი“), **ჯურბაჯურ** „სხვადასხვაგვარი“ (**ჯურ** „სახეობა“, „გვარი“), **ჯიზაჯი** „შუაზე“, „სანახევროდ“ (**ჯი** „ნახევარი“; შდრ.: ქართ. ნახევარი)... ერთგან **-ჰა-** ნაწილაკიც ჩანს დამაკავშირებლად – **ტიტაჰატიტა** „გაქცევა“, „სირბილი“ (შდრ.: **ტიტეს** „სირბილი“, „გაქცევა“). ამას გარდა, დასტურდება რედუქლიკაცია სუფიქსაციით: **ლიბლიბ-კალ** „საფეთქელი“, „კეფა“, **ფოსფოს-კალ** „ბუმბული“ (შდრ.: ქართ. **პოს-ლ-იკ-ა** ან **ბუსუსი** ← ***ბუს-ბუს-ი**), **ჯირ-ჯირ-კალ** „ჭრიჭინა“...

5) ქართულში გავრცელებულია გაორკეცება მარცვლის შენაცვლებით: **გიჟ-მაჟი**, **ქობ-მახი**, **კუჭ-მაჭი**, **ცოტა-მატა** (ვაჟა), **ყურე-მარე** და სხვ. მისთ.

შ ე ე რ თ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ლ ე ქ - ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ს ა კ ვ ლ ე ვ ე ნ ე ბ შ ი (ქართული, ლეზგიური, უდიური) წარმოადგენს მისი კომპონენტების ლექსიკურ მნიშვნელობათა ჯამს, მაგ., ლეზგ. **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“), **მეს-მარდან** „საბან-ლეიბი“ (ზედმიწ. „ლეიბ-საბანი“; **მეს** „ლეიბი“, **მარდან** „საბანი“ და სხვ. ზოგჯერ კომპოზიტის მნიშვნელობა

უფრო ფართოა, მაგ., ლეზგ. **მეს-მარღან** საბანისა და ლეიზის გარდა აღნიშნავს ყოველგვარ ქვეშაგებსა და გადასაფარებელ-თეთრეულს.

ზოგიერთი ამდაგვარი კომპოზიტი იძენს კნინობით მნიშვნელობას, მაგ., ლეზგ. **გადა-ზაზარ** „ბრბო“, „ქაოტური შეკრება“, **ლუთუ-ფთუ** „ცბიერი მატყუარა“, „გაქექილი“...

კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები:

1) სინონიმური (სრული სინონიმები ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები): ლეზგ. **ფად-ჯერეხ** „უცხო მხარე“ (**ფად** „მხარე“ + **ჯერეხ** „მხარე“, „კიდე“); **ყედელ-ყაჟან** „ახალგაზრდა“ (პოეტ.) (**ყედელ** „ახალგაზრდა“ + **ყაჟან** (პოეტ.) „ახალგაზრდა“); **რახუნ-ლჷქუნ** „ურთიერთობა“ (**რახუნ** „საუბარი“, „ურთიერთობა“ + **ლჷქუნ** „საუბარი“); ქართ. **ძალ-ღონე**, **შიშველ-ტიტველი**, **ხედ-იღბალი**, **ღარიბ-ღატაკი**, **ალალ-მართალი** და სხვ.

2) ანტონიმური: ლეზგ. **ჩილერ-ცაჟარ** „მსოფლიო“, „სამყარო“ (**ჩილერ** „მიწა (მრ. რ.)“ + **ცაჟარ** „ცა“ (მრ. რ.)); **ღჷქი-ჭეხი** „ყველა“, „დიდიან-პატარიანად“ (**ღჷქი** „უმცროსი“ + **ჭეხი** „უფროსი“); **ქჷინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქჷინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“); ქართ. **მთა-ბარი**, **ტყე-ველი**, **დედალ-მამალი**, **სიკვდილ-სიცოცხლე**, **დიდ-პატარა**, **უფროს-უმცროსი**, **ცოცხალ-მკვდარი**, **ავ-კარგი**, **ტყე-მინდორ-ველი** და სხვ.

ასოციაციური: ლეზგ. **დიდე-ხუზა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ხუზა** „მამა“); **ხჷა-სთხა** „ნათესავი“ (**ხჷა** „შვილ“ + **სთხა** ძმა“); **წამ-კარას** „შეშა“ (**წამ** „ფიჩხი“ + **კარას** „შემის ნაჭერი“); **ჯჷალ-სტალ** „ნალექი“ (**ჯჷალ** „წვიმა“ + **სტალ** „წვეთი“); ქართ. **დედ-მამა**, **ცოლ-შვილი**, **ქმარ-შვილი**, **და-ძმა**, **ხელ-ფეხი**, **მხარ-ხეტი**, **მხარ-თემო**, **ცხვირ-პირი**, **თვალ-წარბი**, **წვერ-ულვაში**, **გუდა-ნაზადი**, **დანა-ჩანგალი**, **სასმელ-საჭმელი**, **პურ-ღვინო**, **სახლ-კარი** და სხვ.

სემანტიკური თვალსაზრისით შეერთებითი კომპოზიტი არის იმდენი ცნების შემცველი, რამდენ კომპონენტსაც შეიცავს. მაგალითად, ორცნებიანი კომპოზიტი გამოხატავს ორ ცნებას ანუ უდრის კომპონენტთა შინაარსის ჯამს: უდ. **ორღან-დრშაგ** „საბან-ლეიბი“ (**ორღან** „საბანი“, **დრშაგ** „ლეიბი“), ლეზგ. **ჩან-თან** „სული და ხორცი“ (ზედმიწ. სული და სხეული, ტანი); **ჩინარ-ღილერ** „პირი და ხელი“ (ზედმიწ. სახეები და ხელები)...

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი საკვლევ ენებში სამ ჯგუფად იყოფა სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისითაც:

1) მოტივირებული კომპოზიტები, ანუ ამ კომპოზიტების ლექსიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობისაგან, მაგ., ლეზგ. **ხალად-რუმ** „დეიდაშვილი (ქალი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **რუმ** „ქალიშვილი“); უდ. **ხალიკუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან];

2) ნაწილობრივ მოტივირებული კომპოზიტები, მაგ., ლეზგ. **კაიზილჯუმ** „მიმინო“ (**კაიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **კაიზილბალუდ** „ორაგული“ (**კაიზილ** „ოქრო“ + **ბალუდ** „თევზი“);

3) არამოტივირებული კომპოზიტები, მაგ., ლეზგ. **აღუ-ტურ** „ძუნწი“ (**აღუ-(დინ)** „შხამის“, „საწამლავის“ + **ტურ** „კოვზი“); უდ. **ფულდეშიკ** „ხარბი“, „გაუმადლარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშიკ** „ნახვრეტი“)...

სემანტიკური თვალსაზრისით კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანი, ორცნებიანი ან ორზემეტცნებიანი. ერთცნებიანი კომპოზიტების კომპონენტები კი სემანტიკურ ერთიანობად არის ქცეული, დაჩრდილულია მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა: **პაჩოლა** „ორპირი“ (**პა** „ორი“, **ჩოლა** „პირიანი“), **ბერეჩო** „ბალიშისპირი“ (**ბერე[ა]** „ბალიშის“, **ჩო** „პირი“), **ჟენე[ა]** „ქვამარილი“ (**ჟენე[ა]** „ქვის“, **ელ** „მარილი“), **მაწიჟე** „შაქარი“ (**მაწი** „თეთრი“, **ჟე** „ქვა“), **ბელჭეღალ** „ადმოსავლეთი“ (**ბელ** „მზე“, **ჭეღალ** „ადმოსავალი“)...

ორცნებიანი: **უყნახოდ** „კაკლის ხე“ (**უყნა[ა]** „კაკლის“, **ხოდ** „ხე“), **ხეყუკკალ** „წყლის მელაპავი“ (**ხე** „წყალი“, **ყუკკალ** „მელაპავი“)...

რ ე დ უ პ ლ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი საკვლევებში შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფუძეების გაორკეცება, მაგ., ლეზგ. **ღუეჭი-ღუეჭი** „პატარა“, „პაწაწუნა“ (**ღუეჭი** „პატარა“); **ხუემ-ხუემ** „ყაყაჩო“ (**ხუემ** „სიხარული“); უდ. **აბუზ-აბუზ** „დიდად“, „ფრიად“ (**აბუზ** „დამატება“, „დანამატი“), **ბიზ-ბიზ** „ყალყზე“ (**ბიზ** „სადგისი“), **ბიპ-ბიპ** „ოთხ-ოთხად“ (**ბიპ** „ოთხი“), **ზოლ-ზოლ** „ზოლებიანი“ (**ზოლ** „ზოლი“), **თიქ-თიქ** „ნაწილ-ნაწილ“ (**თიქ** „ნაწილი“, „წილი“), **ყურუწ-ყურუწ** „მრგვალ-მრგვალი“ (**ყურუწ** „მრგვალი“), **განენ-განენ** „ადგილ-ადგილ“, „ალაგ-ალაგ“ (**განენ** „ყველგან“)...

2. ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე ბგერითი კომპლექსებისაგან შემდგარი გაორკეცებული სახელები, მაგ., ლეზგ. **ლიპლიპ** „ქორი“, **ქუმქუმ** „ჩურჩული“, **ღურღურ** „ბუზღუნი“, **ლალღალ** „ლაქლაქი“; უდ. **ტრა-ტრა** „ტოროლა“ (შდრ.: ქართ. **ტოროლა**), **ზია-ზია** „კუნელი“, **გუმ-გუმ** „საცერი“ (შდრ.: **გუმგუმ-ფესუნ** „დიღინი“)...

4. კომპოზიტების აგებულება და სემანტიკა სხვა ლეზგიურ ენებში

ლეზგიურ ენებში დასტურდება შეერთებული კომპოზიტების შემდეგი ძირითადი მოდელები: 1) არსებითი სახელი + არსებითი სახელი; 2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი; 3) მიმღეობა + მიმღეობა. უდიურში დასტურდება ორი ზმნისართისაგან შედგენილი კომპოზიტები (მაგ., უდ. **ტიამ-მიამ** „აქა-იქ“), ხოლო ლეზგიურში ორი ზმნური ფორმისაგან შედგენილი კომპოზიტები: მასდარი + მასდარი ტიპისა: **ტუნ-კუნ** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**ტუნ** „ჭამა“ + **კუნ** „სმა“); **ქვინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქვინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“); **ჭინ-ხთუნ** „სიარული“, „ურთიერთობა“ (**ჭინ** „სიარული“, **ხთუნ** „დაბრუნება“)... იმპერატივი + იმპერატივი ტიპისა: **ალად-ჯმა** „სირბილი“, „სიარული“ (უმიზეზო); ლაქია (**ალად** „იარე!“ + **ჯმა** „დაბრუნდი!“)... ამდენად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე კომპონენტი სხვა მეტველების ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე მათგან ნაწარმოები კომპოზიტი, მაგ., ლეზგ. **ყეწილ-წიმი** „ახალი ტანსაცმელი“ (**ყეწილ** „შიშველი“ + **წიმი** „ახალი“); **კუ-ცურუ** „ბედ-უბედობა“ (**კუ** „მლაშე“ + **ცურუ** „მჟავე“); **ათამ-ჭჭეი** „სტუმარი“, „ჩამოსული“ (**ათამ** „მოსული“ + **ჭჭეი** „წასული“); **ქისამ-ილისამ** „ჩუმჩუმელა“ (**ქისამ** „უთქმელი“ + **ილისამ** „მიმწოლი“, „მიმჭერი“); თაბ. უდ. **ელალ-თადალო** „მომსვლელ-წამსვლელი“; **ზოხი-ჩიჩალო** „მხარშველ-გამომტანი“, „მსახური“ (მსახური, რომელიც ამზადებს საჭმელს და ემსახურება ვისმე სუფრაზე); **არცი-ამზალო** „ამდგომ-დამჯდომი“...

ორი არსებითი სახელისაგან შემდგარი შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტები, როგორც წესი, მხოლოებითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, თუმცა სხვადასხვა ენაში ხშირად გვხვდება მრალლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი კომპონენტები, მაგ., ლეზგ. **უყეყერ-ყალარ** „ბალახები“, „მცენერეები“ (**უყეყერ** „ბალახები“, „თივა“ + **ყალარ** „ღეროები“); თაბ. **აჟმარ-ბაჟარ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამები და დედები“), **მაჟარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ. „ცები და მიწები“), **კულარ-ჩირქარ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „თავები და ფეხები“), **ხუმარ-გათარ** „ძაღვები-კატები“, **ხუმარ-ჯანაჟარ** „ძაღვები-მგლები“; ად. **გაგარ-ბუჟარ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამები და დედები“), **მირკურ-ლიკარ** „ფილტვები“ (ზედმიწ. „გულები და ღვიძლები“ – **მირკურ** „გული“, **ლეკ** „ღვიძლი“), **კილარ-თურმარ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „თავები და ფეხები“), **ზაჟარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ. „ცები და მიწები“)...

აღსანიშნავია, რომ გვხვდება პარალელური ფორმები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში მდგარი კომპონენტებისაგან შემდგარი კომპოზიტები, მაგ., ლეზგ. **გაჭ-ჭალ / გაჭარ-ჭალარ** „მეტყველება“, „საუბრები“ (ზედმიწ. სიტყვა/სიტყვები + ლექსი/ლექსები); **კუალ-იულ / კუალერ-ჯარ** „მთელი ქონება“ (ზედმიწ. სახლი / სახლები + დლე / დლეები)...

შეერთებით კომპოზიტთა უმრავლესობა არანაწარმოებ ფუძეთა ჯამს წარმოადგენს. ლეზგიურ ენაში კი ზოგიერთი კომპოზიტი ზმნური სხვადასხვა პრევერბის მეშვეობით ნაწარმოები ფუძეებისაგან შედგება, მაგ., ლეზგ. **ქუკუნ-ჩუხუნ** „ჩხუბი“, „გარჩევა“, „სკანდალი“ (**ქუკუნ** „ჩხუბი“ + **ჩუხ-უნ** „კაწვრა“), **აცუყუნ-ჯარადუნ** „ავეჯი“, „წესრიგი სახლში“ (**აცუყ-უნ** „ჯდომა“ + **ჯარად-უნ** „ადგომა“)...

ამას გარდა, ლეზგიურ ენებში გვხვდება კომპოზიტები, რომლებიც სხვადასხვა სუფიქსებითა ან კავშირებით არის გართულებული, მაგ., ლეზგ. **მარ-დუსთუალ** „მეგობრობა“ (**მარ-დუსთ** „მეგობარი“), **ჭურება-ჭურეთალ** „მრავალფეროვნება“ (**ჭურება-ჭურე** „სხვადასხვა“, „განსხვავებული“); **მარუ-წარუთალ** „სიჭრელი“ (**მარუ-წარუ** „ჭრელი“); თაბ. **შიტნა-ჟი-ლურ** „ცოლ-ქმარი“, **აჟანა-ბაჟ** ან **დადანა-გაგამ** „მშობლები“ (ზესმიწ. „მამა-დედა“), **ჩენა-ჩი** „მმა და და“, **იშინა-მიც** „დე-დამე“, **ჯიზილნა-მარს** „ოქრო-ვერცხლი“; აღ. **ხეჟედნა-ი-ლედ** „ცოლ-ქმარი“; რუთ. **ნინ-რ-დიდ** „დედ-მამა“, **ლუ'ლ-რ-რაქბერ** „კარ-ფანჯრები“ (ზედმიწ. „ფანჯარა და კარები“); წახ. **იედ-რ-დჟ** „დედ-მამა“, **ჩოჯ-რ-იჩი** „მმა და და“...

შეერთებითი კომპოზიტების უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობა ლეზგიურ ენებში წარმოადგენს მისი კომპონენტების ლექსიკურ მნიშვნელობათა ჯამს, მაგ., ლეზგ. **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“), **მეს-მარდან** „საბან-ლეიბი“ (ზედმიწ. „ლეიბ-საბანი“; **მეს** „ლეიბი“, **მარდან** „საბანი“ და სხვ. ზოგჯერ კომპოზიტის მნიშვნელობა უფრო ფართოა, მაგ., ლეზგ. **მეს-მარდან** საბანისა და ლეიბის გარდა აღნიშნავს ყოველგვარ ქვეშაგებსა და გადასაფარებელ-თეთრეულს.

ზოგიერთი ამდაგვარი კომპოზიტი იძენს კნინობით მნიშვნელობას, მაგ., ლეზგ. **გადა-ბაზარ** „ბრბო“, „ქაოტური შეკრება“, **ლუთუ-ფთუ** „ცბიერი მატყუარა“, „გაქეჭილი“...

კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები:

1) სინონიმური (სრული სინონიმები ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები): ლეზგ. **ფად-ჭერებ** „უცხო მხარე“ (**ფად** „მხარე“ + **ჭერებ** „მხარე“, „კიდე“); **ჟელილ-ჭაჭან** „ახალგაზრდა“ (პოეტ.) (**ჟელილ** „ახალგაზრდა“ + **ჭაჭან** (პოეტ.) „ახალგაზრდა“); **რახუნ-ლუქუნ** „ურთიერთობა“ (**რახუნ** „საუბარი“, „ურთიერთობა“ + **ლუქუნ** „საუბარი“) და სხვ.

2) ანტონიმური: ლეზგ. **ჩილერ-ცაჭარ** „მსოფლიო“, „სამყარო“ (**ჩილერ** „მიწა“ (მრ. რ.) + **ცაჭარ** „ცა“ (მრ. რ.)); **ღუქი-ჭეხი** „ყველა“, „დიდიან-პატარიანად“ (**ღუქი** „უმცროსი“ + **ჭეხი** „უფროსი“); **ქვინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქვინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“); თაბ. **აიშ-აიდ** „დღე-ღამე“ (ზედმიწ. „ღამე-დღე“); წახ. **აიშ-ხ'ამ** „დღე-ღამე“ და სხვ.

ასოციაციური: ლეზგ. **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“); **ხუბ-სთხა** „ნათესავი“ (**ხუბ** „შვილი“ + **სთხა** „მამა“); **წამ-კარას** „შეშა“ (**წამ** „ფიჩხი“ + **კარას** „შეშის ნაჭერი“); **ჭაჭალ-სტალ** „ნალექი“ (**ჭაჭალ** „წვიმა“ + **სტალ** „წვეთი“); თაბ. **შიტნა-ჟი-ლურ** „ცოლ-ქმარი“, **აჭაინა-ზაჭ** ან **დადაინა-გაგამ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამა-დედა“), **ჩენა-ჩი** „მამა და და“, **აიშ-ნა-აიდ** „დღე-ღამე“, **ჯაიზილნა-მარს** „ოქრო-ვერცხლი“; ად. **ხეუდნა-ი-ლედ** „ცოლ-ქმარი“; რუთ. **ნინ-რ-დიდ** „დედ-მამა“, **ნინ-რგშ** დედა-შვილი (ქალიშვილი), **ღუ'ლ-რ-რაქებერ** „კარ-ფანჯრები“ (ზედმიწ. „ფანჯარა და კარები“); წახ. **აიდ-რ-დაქ** „დედ-მამა“, **იჩრ-ჩოჯ** || **ჩოჯ-რ-იჩი** „და-მამა“ და სხვ.

სემანტიკური თვალსაზრისით შეერთებითი კომპოზიტი არის იმდენი ცნების შემცველი, რამდენ კომპონენტსაც შეიცავს. მაგალითად, ორცნებიანი კომპოზიტი გამოხატავს ორ ცნებას ანუ უდრის კომპონენტთა შინაარსის ჯამს: უდ. **ორღან-დრშაგ** „საბანლები“ (**ორღან** „საბანი“, **დრშაგ** „ლები“), ლეზგ. **ჩან-თან** „სული და ხორცი“ (ზედმიწ. სული და სხეული, ტანი); **ჩინარ-დილერ** „პირი და ხელი“ (ზედმიწ. სახეები და ხელები); თაბ. **აჭმარ-ზაჭარ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამები და დედები“), **აზა-ზაზ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამა-დედა“), **ზაა-რიშ** „ბავშვები“ (ზედმიწ. „ბიჭი-გოგო“), **მაჭარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ. „ცეხი და მიწები“), **კულარ-ჩირქარ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „თავები და ფეხები“), **ხუმარ-გათარ** „ძაღვები-კატები“, **ხუმარ-ჯანაჭარ** „ძაღვები-მგლები“; ად. **გაგარ-ზუჭარ** „მშობლები“ (ზედმიწ. „მამები და დედები“), **მირკურ-ლიკარ** „ფილთვები“ (ზედმიწ. „გულები და ღვიძლები“ – **მირკურ** „გული“, **ლეკ** „ღვიძლი“), **კილარ-თურზარ** „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „თავები და ფეხები“), **ზაჭარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ.

„ცები და მიწები“); რუთ. **ნინ-რ-დიდ** „დედ-მამა“, **ნინ-რგშ** დედა-შვილი (ქალიშვილი), **ლუ'ლ-რ-რაქზერ** „კარ-ფანჯრები“ (ზედმიწ. „ფანჯარა და კარები“); წახ. **იედ-რ-დაქ** „დედ-მამა“, **იჩრ-ჩოჯ || ჩოჯ-რ-იჩი** „ დამა“ და სხვ.

ლუზგიურ ენებში არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელია განსაზღვრებით კომპოზიტა ათემატური წარმოება. კვლევის ამ ეტაპზე არ არის გამოვლენილი არც ერთი სპეციალური აფიქსი, რომელიც თხზული ფუძეების შედგენაში მონაწილეობს.

ლუზგიურ ენათა მდგომარეობის შედარება-შეპირისპირებამ, როგორც განსაზღვრებითი კომპოზიტების ანალიზის თვალსაზრისით, ისე ატრიბუტული სინტაგმის ანალიზის თვალსაზრისითაც, რომელიც, როგორც ცნობილია, განსაზღვრებითი კომპოზიტების წარმოქმნის წყაროა, მიგვიყვანა გარკვეული არქეტიპების გამოვლენის შესაძლებლობასთან:

განსაზღვრებითი კომპოზიტების კომპონენტთა წყობა უნდა ყოფილიყო მყარი.

ლუზგიური ენებისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პრეპოზიცი. მხოლოდ უდიურში სისტემურად დასტურდება როგორც პრეპოზიცია, ისე პოსტპოზიცია, მაგ., **აჯ'-მაწი** „გულთეთრა“, „თრითინა“ (**აჯ'** „მკერდი“ + **მაწი** „თეთრი“); **ბულ-ზაპკალ** „მეთაური“, „მოთავე“, „თავმჯდომარე“ (**ბულ** „თავი“ + **ზაპკალ** „გამწევი“); **უკ-კამ** „გულლია“, „გულახდილი“ (**უკ** „გული“ + **კამ** „ღია“); **ბაჰან-კოწ** „წელმოხრილი“ (**ბაჰან** „წელი“, „ზურგი“ + **კოწ** „მოხრილი“), **ბულ-კოწ** „თავდახრილი“ (**ბულ** „თავი“ + **კოწ** „მოხრილი“)...

უდიურში დადასტურებული ვითარება მეორეულია, მიუხედავად იმისა, რომ ატრიბუტული სინტაგმის პოსტპოზიცია უკვე დასტურდება კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში.

გამოირჩეოდა განსაზღვრებითი კომპოზიტების ორი მოდელი:

1. გენტივში დასმული არსებითი სახელი + არსებითი სახელი აბსოლუტივში. ზოგიერთ ლუზგიურ ენაში (მათ შორის – უდიურშიც) გავრცელებული მოდელი არსებითი სახელი აბსოლუტივში + არსებითი სახელი აბსოლუტივში უნდა იყოს მეორეული და გამოწვეულია გენტივის ნიშნის შეკვეცით, მაგ., უდ. **ხაშ-ზაზა** „ნათლია“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ზაზა** „მამა“); **ხაშ-ნანა** „ნათლიდედა“ (**ხაშ** „ნათელი“, „სინათლე“ + **ნანა** „დედა“), **ხაშ-ზაზა-ჩუზუხ** „ნათლის ცოლი“ (**ხაშ-ზაზა** + **ჩუზუხ** „ცოლი“, „დედაკაცი“); **ფულ-დეშვიკ** „ხარბი“, „გაუმადლარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშვიკ** „ნახვრეტი“)...

აღსანიშნავია, რომ ეს მოდელი შეზღუდულად, თუმცა დასტურდება სხვა ლეზგიურ ენებშიც, მაგ., ლეზგ. **ჯიზილ-ჯუმ** „მიძინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილ-ბალულ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალულ** „თევზი“), **ზიძან-ქარ** „მავნებელი“ (**ზიძან** „ზიანი“, „ზარალი“ + **ქარ** „საქმე“); **დაჭე-ქარ** „ჩხუბისთავი“, „წამქეზებელი“ (**დაჭე** „დავა“, „ჩხუბი“, „ომი“ + **ქარ** „საქმე“); თაბ. **ჰაწ-მიშარ** „შუალამე“ (**ჰაწ** „შუა“, „ნახევარი“, **მიშ** „ლამე“, **მიშარ** „ლამეები“), **ჰაწ-მანათ** „ორმოცდაათმანეთიანი“; ად. **სერე-იშარ** „შუალამე“ (**სერე** „შუა“, „ნახევარი“, **იშ** „ლამე“, **იშარ** „ლამეები“), **სერე-მანათ** „ორმოცდაათმანეთიანი“...

დასტურდება გარდამავალი მოდელი, როდესაც დაკარგულია არა მთლიანად გენტივის ნიშანი, არამედ ოდენ მისი კონსონანტური შემადგენელი, მაგ., პირველ კომპონენტს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს: ლეზგ. **ირან-დიდე** „სიდედრი“ (**ირან/მარან** „პატარძლის“, „შეყვარებულის“ + **დიდე** „დედა“; **ყულან-თარ** „ხერხემალი“ (**ყულან** „შუა“ (გენ.) + **თარ** „ხე“); უდ. **კოკოწუნ-კოჯ** „საქათმე“ (ზედმიწ. „ქათმის სახლი“); **ბერლოკოჯ** „გომური“ (ზედმიწ. „საქონლის სახლი“); **ხალიკუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან]; **ხალახინარ** „დეიდაშვილი გოგონა“ (**ხალა[მ]** „დეიდის“, **ხინარ** „ქალიშვილი“); **თურინ-ლეკერ** „ფეხსაცმელი“ (ზედმიწ. „ფეხის ჭურჭელი“) და სხვ.;

ნაწილობრივ დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მაგ., ლეზგ. **ყარყუ-ლუტ** „ლამურა“ (**ყარყუ(ნ)** „ტყავის“ + **ლუტ** „ფრთა“; უდ. **ნებნა-ტიკ** „ძილის გუდა“ (**ნებ-ნა[მ]** „ძილის“ + **ტიკ** „გუდა“); **ბაბა-კოჯ** „მამის სახლი“ (**ბაბა-[მ]** „მამის“ + **კოჯ** „სახლი“); **მუჭანაყნა-ჩო** „ნაღები“ (**მუჭანაყ-ნა[მ]** „რძის“ + **ჩო/ჩო** „პირი“); **ქენე-ელ** „ქვამარილი“ (**ქენე[მ]** „ქვის“ + **ელ** „მარილი“); **უყნა-ხოდ** „ნიგვზის ხე“ (**უყნა[მ]** „ნიგვზის“ + **ხოდ** „ხე“); **კანანა-ხუპ** „ერბოს ფლავი“ (**კანან-ა[მ]** „ერბოს“, „ცხიმის“ + **ხუპ** „ფლავი“), რუთ. **უნნი-ტალ** (← **უნნიდ-ტალ**) „ჭიპლარი“, **ბეგიტულ** (← **ბეგიდ-ტულ**) „ნეკნი“ და სხვ.;

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, თუმცა შენარჩუნებულია მისი მნიშვნელობა, მაგ., **ყასუმხურ** „ყასუმკენტი“ (ზედმიწ. **ყასუმ(-ან)** „ყასუმის“ (საკ. სახელი) + **ხურ** „სოფელი“; **ჩუქტა-ტურ** „საწვინე“, „ჩამჩა“ (**ჩუქტა(-დინ)** „ქვაბის“ + **ტურ** „კოვზი“)...

2. ატრიბუტივი (ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა) + არსებითი სახელი აბსოლუტივში.

საზღვრული კომპონენტი ყოველთვის იყო წარმოდგენილი არსებითი სახელის წმინდა ფუძის სახით (დღეს ამ წესიდან გარკვეულ

გადახვევას უდიური ენა გვიჩვენებს). საზღვრულის კომპონენტი, როგორც წესი, მხოლოდობითში იყო, ხოლო რიცხვით სახელთან მსაზღვრელის კომპონენტად იყო წარმოდგენილი მხოლოდ მხოლოდობითი რიცხვის ფორმით. ლეზგიურში დასტურდება საინტერესო მოდელი, რომელშიც მეორე კომპონენტად გვხვდება არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ., **ფუდ-ჭერ** „სამგლოვიარო რიტუალები“ (**ფუდ** „სამი“ + **ჭერ** (**მიჭერ**) „ღამეები“); **ყუე-რიკარ** „ეჭვი“, „მეწყობა“ (**ყუე(დ)** „ორი“ + **რიკ-არ/რიკ-ერ** „გულები“)...

ლეზგიურ ენებში დასტურდება განსაზღვრებითი კომპოზიტები, რომელთა მსაზღვრელის კომპონენტი წარმოდგენილია სხვადასხვა ლოკატიური ბრუნვის ფორმით; მაგ., ლეზგ. – IV ადგილობითი ბრუნვის ფორმით, მაგ., **რეყე-ყულ** „ავშანი“, „აზინდა“ (**რეყე** IV ლოკ. **რეკა** „გზა“, „გასასვლელი“ ფორმისა + **ყულ** „ტერფი“, „ცეკვა“); თაბ. (ადგილობითი ბრ. ფორმა) **ყუჭაკაქიმ** (**ყუჭაკა-მიშ**) „იღლია“...

რუთულურში დასტურდება კომპოზიტი, რომელიც ზმნისართული განსაზღვრებისა (**ხურად** „წინა“) და ადგილობით ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საზღვრულისაგან (**მიღ-ა** „დღე“) შედგება – **ხურად-მიღა** „გუშინწინ“.

განსაზღვრებითი კომპოზიტები ლეზგიურ ენებში სამ ჯგუფად იყოფა სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით:

1) მოტივირებული კომპოზიტები, ანუ ამ კომპოზიტების ლექსიკური მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობისაგან, მაგ., ლეზგ. **ხალად-რუმ** „დეიდაშვილი (ქალი)“ (**ხალა-დ(ინ)** გენ. ფორმა **ხალა** „დეიდა“ + **რუმ** „ქალიშვილი“); უდ. **ხალიკუნ-ღარ** „ბიძაშვილი“ [დედის მხრიდან];

2) ნაწილობრივ მოტივირებული კომპოზიტები, მაგ., ლეზგ. **ჯიზილ-ჯუმ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილ-ბალუდ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალუდ** „თევზი“);

3) არამოტივირებული კომპოზიტები, მაგ., ლეზგ. **აღუ-ტურ** „ძუნწი“ (**აღუ-(დინ)** „შხამის“, „საწამლავის“ + **ტურ** „კოვზი“); უდ. **ფულ-დეშოკ** „ხარბი“, „გაუმადლარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშოკ** „ნახვრეტი“)...

სემანტიკური თვალსაზრისით კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანი, ორცნებიანი ან ორზემეტცნებიანი. ერთცნებიანი კომპოზიტების კომპონენტები კი სემანტიკურ ერთიანობად არის ქცეული, დაჩრდილულია მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა: უდ. **პაჩოლა** „ორპირი“ (**პა** „ორი“, **ჩოლა** „პირიანი“), **ბერეჩო** „ბალიშისპირი“ (**ბერე[მ]**

„ბალიშის“, ჩო „პირი“), ჟენეელ „ქვამარილი“ (**ჟენე[ა]** „ქვის“, **ელ** „მარილი“), **მაწიყე** „მაქარი“ (**მაწი** „თეთრი“, **ყე** „ქვა“), **ზეღ'ჭეღალ** „აღმოსავლეთი“ (**ზეღ'** „მზე“, **ჭეღალ** „აღმოსავალი“)...

ორცნებიანი: უდ. **უენახოდ** „კაკლის ხე“ (**უენა[ა]** „კაკლის“, **ხოდ** „ხე“), **ხეყუჭკალ** „წყლის მელაპავი“ (**ხე** „წყალი“, **ყუჭკალ** „მელაპავი“);

ლუზგიურ ენებში გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი რ ე დ უ პ ლ ი კ ა ც ი - ის მოდელს შორის გამოირჩევა ე. წ. დისტრიბუტიული მრავლობითობის აღმნიშვნელი სახელები, მაგ. ლუზგ. **თჷარ-თჷარ** „მარცვალ-მარცვალ“, **სტალ-სტალ** „წვეთ-წვეთ“, თაბ. **თქი-თქი** „ნაჭერ-ნაჭერ“, „ცოტ-ცოტა“ (**თქი** „ნაჭერი“); **ლიტან-ლიტან** „წვეთ-წვეთ“; ბუდ. **დას-თა-დასთა** „დასტა-დასტა“ „ჯგუფ-ჯგუფად“; **ლაქა-ლაქა** „ლაქა-ლაქა“; უდ. **კოტორ-კოტორ** „ნაჭერ-ნაჭერ“ (**კოტორ** „ნაჭერი“, „ნაწილი“, „ნატეხი“; რუთ. **კაბალ-კაბალ** „ჯგუფ-ჯგუფად“; ად. **ჯუთ-ჯუთ** „წყვილ-წყვილად“ და ა.შ.

მეორე დიდი ჯგუფია აბსტრაქტული დროითი სემანტიკის გამო-მხატველი სახელები, მაგ., რუთ. **კვბ-კვბ** „ხშირად“, **არა-არა** „ზოგჯერ“, „დრადადრო“ (**არა** „შუალედი“, „ინტერვალი“)...

სხვა სემანტიკური ჯგუფები ლუზგიურ ენებში იშვიათად გვხვდება.

ლუზგიურ ენებში ძალზე გავრცელებულია ე. წ. ექო-რედუპლიკაციის ეს სახეობა, ლუზგიური ენების გარდა, საგრძნობია სხვა დადესტურ ენებშიც. ლუზგიურ ენებში ყველაზე გავრცელებულია სტრუქტურული მოდელი, რომელშიც გაორკეცებული ფუძის მეორე კომპონენტში საწყისი თანხმომავანი იცვლება მ-თანხმომავნით. ასეთი კომპლექსები, როგორც წესი, საგანთა სახეობასა და მის მსგავს საგნებს აღნიშნავს, მაგ., ლუზგ. **ჷერჩ-მერჩ** „ქათამი და სხვა შინაური ფრინველი“ (**ჷერჩ** „ქათამი“); **აქ-მაქ** „ხორცი და სხვა ხორცის პროდუქტები“ (**აქ** „ხორცი“); ად. **გურ** „ფინჯანი“ - **გურ-მურ** „ფინჯანი და სხვა ჭურჭელი“, **ქან** „ტანსაცმელი“ - **ქან-მან** „ტანსაცმელი და მსგავსი“.

ხშირად ასეთი ტიპის რედუპლიცირებული კომპოზიტები პეიორატიული მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ლუზგიურ ენებში დასტურდება ექო-რედუპლიკაციის სხვა ტიპებიც. შეიძლება შეგვხვდეს სხვა მონაცვლე თანხმომავნიც, მაგ., რუთ. **უენ-ბუენ** „ისა-ესა“; **რუგ-დუგ ჰგენ** „დამსხვრევა“; იხრ. **და'ფა-შა'ტა** „ჩხუბი“, „სკანდალი“, „უთანხმოება“; **და'ფგრ-ჩა'ფგრ** „ძველმანები“, „უსარგებლო ნივთები“...

ექორედუპლიკაციის სხვა მოდელი ხმოვანთა მონაცვლეობით იწარმოება, მაგ., ბუდ. **ჰამ-ჰუმ** „ხმაური“, „დავიბარაბა“; რუთ. **თარაფ-თურფ** „ხმაური“, „სკანდალი“; **შეი-შეი** „ყოველგვარი წვრილმანი ნივთები“; ბუდ. **ჰამელ-გიმელ** „ბავშვი“...

იქიდან გამომდინარე, რომ ფუნქციონალური დატვირთვა ამ მოდელებისა მსგავსია, გვხვდება სხვადასხვა სახის დუპლეტები, მაგ., რუთ. **გადა-გუდი** „არასერიოზული ადამიანი“ (ზედმიწ. ბიჭი) და **გადა-ზადა** (იგივე მნიშვნელობის)...

როგორც ჩანს, ექორედუპლიკაცია ლეზგიურ და სხვა დაღესტურ ენებში წარმოიქმნა თურქული ენების გავლენით.

გრამატიკული რედუპლიკაცია, არსებითი სახელის გარდა, დასტურდება სხვა სახელებშიც.

ზედსართავ სახელებში გამოსაყოფია მოდელი, რომელიც არსებითი სახელის გაორკვევითაა მიღებული და აღნიშნავს მრავლობითობას, მაგ., ბუდ. **ჩილჩილ** „ჭორჭორიანი“ (**ჩილ** „ჭორჭორი“), უდ. **ზოლ-ზოლ** „ზოლიანი“ (**ზოლ** „ზოლი“)...

ასევე, ხშირ შემთხვევაში, რედუპლიკაციის მეშვეობით ლეზგიურ ენებში იწარმოება ოდნაობითი ხარისხი, მაგ., უდ. **ქეჯე-ქეჯე** „მომჯავო“...

რედუპლიკაციის როლი ლექსიკის განვითარების თვალსაზრისით ლეზგიურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი. რედუპლიკაცია სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ცალკეულ ლექსიკურ მაგალითებშია შენიშნული (მაგ., ხაიდაყოვი 1973: 14; გიგინეიშვილი 1977: 96; თალიბოვი 1980: 197 და სხვ.), ხოლო მისი სისტემური კვლევა არ ყოფილა. თან მკვლევრები რედუპლიკაციის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ რედუპლიცირებული და არარედუპლიცირებული ფორმების დაპირისპირების შემთხვევაში. შევეცდებით წარმოვადგინოთ ფორმები, რომლებიც გაორკვევებული ფუძეებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საერთოდაღესტურ ან საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე.

საერთოდაღესტური ქრონოლოგიური დონე:

ფრინველთა სახელწოდებანი:

„გუგული“ – ლეზგ. **ქუქუბ**, თაბ. **ქუქუმ**, ად. **ქექუ**, რუთ. **გიგუბ**, წახ. **გუქი**, არჩ. **გუქუ**, კრიწ. **გუგუ**, ბუდ. **გუგუბ**, უდ. **ქუფქუფ** ~ ხუნძ. **გაგუ**, ანდ. **გიგუ**, ბოთლ., გოდ., კარ. **გუგუ**, ახვ. **გიგუ**, ბაგვ. **გიგო**,

დარგ. **გიგუთ**, ლაკ. **ჩიქუ**, ხინ. **გუქუ**, ბეჟტ. **ქუქუტო**, ხვარშ. **ქუქუ**. იხ. (ბოკარევი 1961, 62; ლექსიკა 1971, 154; ხაიდაყოვი 1973, 16; გიგინეიშვილი 1977, 78; ზაჰიროვი 1987: 20). ხმაბაძვითი ლექსემაა. ზოგიერთ ენაში ფუძე გართულეულია ექსპრესიული სუფიქსებით (ლუზგ. -**ჰ**, ბუდ. -**ტ** და ა. შ.). ამ ხმაბაძვითი ფუძის გავრცელების შესახებ კავკასიის სხვა ენებში იხ., მაგ., (აბაევი 1958: 506). იხ. აგრეთვე ლექსემები **წერო** და **კოდალა**.

მწერთა სახელწოდებანი:

„ბუზი“ – ლუზგ. **ტუტ**, აღ., ბუდ. **ტუტ**, რუთ. **დგდ**, წახ. **ტობ** „ფუტკარი“, არჩ. **ტანტ** „id“, კრიწ. **ტგტ**, უდ. **თათ** ~ ხუნძ., დიდ., ხვარშ., ჰინ. **ტუტ**, ანდ. **ტანტა**, ბოთლ. **ტუნტ**, ლოდ., ტინდ. **ტუნტუ**, კარ. **ტუტუ**, ახვ. **ტიტი**, ბავგ. **ტუნტუ**, ჭამ. **ტუნტ**, ბეჟ. **ტობ**, დარგ. **ტენტ**. იხ. ლექსიკა 1971, 156; ხაიდაყოვი 1973, 20; კლიმოვი, ალექსეევი 1980: 285; ზაჰიროვი 1987: 21-22). გენეზისურად აგრეთვე უკავშირდება ჩეჩნ. **ტოდ** და ბაცბ. **ტუტ** „კრაზანა“ (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 998-999).

„კალია“ – ლუზგ. **წიწ**; თაბ. **წიწ**; ბურშ. **წირწირ ალი** // **წირწინ ალი**; რუთ. **წგწ**; წახ. **წითა**; გილმ. **წით**; უდ. **ცეც** „ჩრჩილი“; სხვ. ნახ.-დად.: დარგ. **წერწ**, ჩეჩნ. **წოზ** და სხვ. იხ. აგრეთვე: (თალიბოვი 1980: 296; ბოკარევი 1981: 78; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 823 [ს.-ლუზგ. ***წიწ** // **წიწა**]). იხ. აგრეთვე ლექსემები **კუტკალია**, **ჭიანჭველა**, **ხოჭო**, **კოდო**.

სხეულის ნაწილები:

„მუხლი (ანატ.)“ – თაბ. **ყამყ**, აღ. **ყუყუ**, რუთ. **ყუყ** ~ დარგ. **ყუყა**, **ყუყუა**, დიდ. **ყანყუ**, ჰინ. **ყაყუ** „ლულოვანი ძვალი“; იხ. (ლექსიკა 1971: 114; ზაჰიროვი 1987: 28; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 908).

„მკერდი (ქალის)“ – ლუზგ. **მამ**, თაბ. **მემე**, **ნენეი**, არჩ. **მამ**, კრიწ. **მამ**, ბუდ. **მემ** ~ ხუნძ., დარგ. **მამა**, ბეჟ. **მომოლა**, ჰუნზ. **მომლა**. იხ. (ლექსიკა 1971: 108; თალიბოვი 1980, 270; ზაჰიროვი 1987: 28. უკავშირდება ჩეჩნ. **მამაგ** ფორმას (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 806). როგორც ჩანს მიეკუთვნება ე. წ. საბავშვო ლექსიკას. გვხვდება რედუპლიცირებული სინონიმური ძირიც, რომელიც ასევე საერთო-ნახურ-დადესტურ ლექსიკას მიეკუთვნება (იხ. ხუნძ. **ქექე** და სხვ.).

„ყელი“, „ხორხი“ – ყანდ. **ყარყარ**; აღ. **ყურყ**; რუთ. **ყაყარ**; არჩ. **ყაყარა** „ცხოველის ყელი“; უდ. **ჭოჭ**; ნიჯ. **ჭიდ** (?); ლუზგ. **ჭუჭ** „ჩიყვი“, „ნემსის ყუნწი“ (?); სხვ. დად.: ჰინ. **ყეყ** „ყელი“, „ხორხი“, ლაკ. **ყაყარი** „ყელი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: (ლექსიკა 1971: 106; თალიბოვი 1980: 307; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 473, 909 [ს.-ლუზგ. ***ყარყ** // ***ყარყარ**]).

იხ. აგრეთვე **ბარძაყი**, **კვერცხი**, „*testiculus*“, **თვალის გუგა**, **კორფლი**, **ნერწყვი**.

მცენარეთა სახელწოდებანი:

„წიფელი“ – ლეზგ. **ფიფ-ინ თაარ**; თაბ. **ფირფ-უნ ჰარ**; კრიწ. **ფიფ**; ბუდ. **ფიფ**; უდ. **ფუფ // ფუფნა ხოდ**; ს.-ლეზგ. ***ფირფ**. სხვ. დალ.: ანდ. **ფიფი** „პლატანი (ჩინარა)“ და სხვ. (ხაიდაყოვი 1973: 53; მუსაევი 1978: 82; ზაჰიროვი 1987: 33; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 873).

„ეკალი“ – ლეზგ. **ცაზ**, **ცაცუნ**; თაბ. **ზაზ**; დიუბ. **ძაძა**; ად. **ზაზ**; რუთ. **ზაზ**; წახ. **ზაზა**; არჩ. **ცაც**; უდ. **ცაც**; სხვ. დალ.: ხუნდ. **ზაზ**; ლაკ. **ცაც** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1930: 84; ლექსიკა 1971: 164; გინეიშვილი 1977: 84; თალიბოვი 1980: 293; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 1091 [ს.-ლეზგ. ***ცაცა**]).

იხ. აგრეთვე **ტოტი**.

საერთოდადესტნური წარმოშობის გაორკეცებული ფუძეები გვხვდება ლექსემებში, რომლებიც მომცრო საგნებსა ან მათ ერთობლიობას აღნიშნავენ:

„კენჭი“ – ლეზგ. **ხირხემ**, თაბ., რუთ. **ხაზა’ლ** — ხუნდ. **ხახი** «ხრეში» და სხვ. იხ. (ზაჰიროვი 1987: 45; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1073). ლეზგიურ ენებში ფუძეს აქვს დართული მოგვიანო წარმოშობის სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის აფიქსები.

„ფუნთუშა“, „მცირე ზომის პური“ – თაბ. **ქიქი**, ად. **ქუქალ-აი**, რუთ. **გუგალ-აი**, არჩ. **გერგე-ბოს** „ცომის გაბრტყელება“, უდ. **ქიქომ** „გამომცხვარი პურის ნაჭერი“ — დარგ. **გერგ** „მრგვალი პური“, ხუნდ. **გურგა** „მომცრო მრგვალი პური“, კარ. **ჰენგო** „პური“. იხ. (ხაიდაყოვი 1973: 67; ზაჰიროვი 1987: 48. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 : 474).

„კვერცხი“ – ად. **ღარაღა’ლ**; რუთ. **ღგღგღ**; უდ. **ჯოჯლა**; ს.-ლეზგ. ***ჯანჯა**. სხვ. დალ. ჰუნდ. **ჯონჯლა** (სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 906).

„კვერცხი“ (1); „*testiculum*“ (2) – თაბ. დიუბ. **ყურყურ** (2) ; ხნუხ. **ყგღყ III** (2); წახ. **ყყყ** (2); ბუდ. **ყალყყ**; უდ. ვართ.-ზინ. **ჯაჯაფუნ** „ერბო-კვერცხი“; ს.-ლეზგ. ***ყოლოყ**. უდიურში ემატება გაურკვეველი ფუქციის მქონე სუფიქსი -**ფუნ**. სხვ. დალ.: დარგ. ჩირად. **ჯულყყ** „მარცვალი“, ხვარშ. ინხ. **ყყყლე** „კაკალი“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 933).

გაორკეცებული ფუძეებით წარმოდგენილია ზოგიერთი საერთოდარესტნური ზედსართავი სახელიც:

„ყვითელი“ – ად. **ჯუ’ჯე-ჭე**, თაბ. **ღათხუ**, არჩ. **ხახა** ~ ლაკ. **ჯაჯისა**, ხუნდ. **ჯაჰაბ** „თეთრი“, დარგ. **ბუჯუტა**;

„რბილი“ – ლეზგ. **ფურფუ**, თაზ. **ფურფუ**, უდ. **ფოფ** „მამლის ბი-
ბილო“ — ანდ. **ფაფა**, ბოთლ. **ფაფა**, ახვ. **ჰუჰჰუჰადა**, ტინდ. **ფაფა-ზ**, ჭამ.
ფაფა-ზ, ბაგვ. **ფაფა-ზ**, ლოდ. **ფაფა** „მსუბუქი“, „რბილი“, ბეჟ. **ზაზ**, ჰინ. **ზაზ**
„წვერი“.

„მრგვალი“ – თაზ. **გერგმი**; ად. **გილგენ-ჭ**; იხრ. **გერგენგ-დ**; წახ.
გზგვრა-ნ; წახ. კილ. **გერგგ-რან**; მიშლ. **გილგილენ**; არჩ. **გუქი** (შესაძ-
ლებელია, ← ლაკ. **ქურქი**-); კრიწ. **გურ-გუმ**; ბუდ. **გუნგურ-ტი**; ვართ.-
ზინ. **ქაქანიქ**, ნიჯ. **ქანქორომ**; სხვ. დად.: ლაკ. **ქურქი-სა**, ხუნძ. **გურ-
გინა-ზ**, ახვ. **გიგადა**, კარ. **გირგანუზ**, ტინდ. **კორკალუზ**, ჭამ. **კორაკუზ**,
ბაგვ. **გურგინაზ**, ლოდ. **გირგამუ**, ანდ. **გორგომა**, ბეჟ. **გომორდიმო**,
ხვარშ. **კორკოლოლ**, ჰინ. **გურგელი**, ჰუნზ. **გერდუ**, იხ. აგრეთვე: (ლექ-
სიკა 1971: 221; გიგინეიშვილი 1977: 68; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 438
[ს.-ლეზგ. *ქ(ე)ლქომ // -ნ]).

საერთოლენგიური ქრონოლოგიური დონე:

„ბუ“ – თაზ. დიუბ. **გუგუნამ**; ყანდ. **გუგუ ტიფ**; ად. ბურშ. **ქუქ-
ბა'გუ**; უდ. **გუ'გელ**; ს.-ლეზგ. ***გუგუ-მ**. ბგერწერითი სიტყვაა რეფლექ-
სების მცირე რაოდენობით.

„ჭიანჭველა“ – ლეზგ. **ცეგუ**, **ცექ ურე**; ხლუტ. **ცუეზ**, მრ.
ცუეცუერ; თაზ., ყანდ. **ზიმზ**; ად. **ზაზზ**; რუთ. **ძეძეზ**; წახ. **სემსალე (?)**;
არჩ. **ზიმზი // ზიმზუ**; კრიწ. **ძ ზ**; ალიკ. **ზ ზ**; უდ. **იზაქ**; ს.-ლეზგ.
***ციმიც**. მსგავსი ლექსემები გვხვდება სხვა დადესტურ ენებშიც, მაგ.,
ახვ. **ცოცოლო** „ხოჭო“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 325).

„კვერნა“ – თაზ. **წურწულ**, ლეზგ. **წუნულ**, ად. **წუნულ**, არჩ. **წუ-
წულ**, წახ. **სიულეწმა**, რუთ. **სგრგწალ**. იხ. (ხაიდაყოვი 1973, 12; ზაჰი-
როვი 1987: 73). ფუძის სტრუქტურის შეცვლა წახურსა და რუთულურ-
ში, როგორც ჩანს, მოხდა დასავლურ-სამურულ ქრონოლოგიურ დონე-
ზე. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 909) რედუპლიცირებულ
კორელატებს აღნიშნავენ სხვა მთის კავკასიურ ენებშიც.

„კაჭკაჭი“ – თაზ. **ჭარჭარ**, ად. **ჭარაჭაალ**, რუთ. **ჭარაჭა'ალ**.
იხ. (ხაიდაყოვი 1973 : 41; ზაჰიროვი 1987: 74). ხმაბაძვითი ფუძეა. ს. ნი-
კოლაევი და ს. სტაროსტინი [1994: 921] რედუპლიცირებულ კორელა-
ტებს შენიშნავენ ზოგიერთ სხვა მთის კავკასიურ ენაშიც. იქვე აღნიშ-
ნულია ფონეტიკური მსგავსება ლეზგ. **ქერექულ** და კრიწ. **კერაქელ**
„კაჭკაჭი“ ფორმებთან.

„მწყერი“ – ლეზგ. **პაპიმ** «ტოროლა», თაბ. **პა'მპულ**, არჩ. **პა'რპგლა**. იხ. (ზაჰიროვი 1987: 74). ფუძეები გართულელებულია სხვადასხვა სიტყვაწარმოებით აფიქსებით. ლეზგიური ენების გარეთ პარალელები არ მოეძებნება. ხმაბადვითი სიტყვაა.

„მამალი“ – თაბ. **დათ**; აღ. ფიტ. **თათ**; რუთ. **დადალ**; წახ. **და-დალ**; უდ. **დადალ**; ს.-ლეზგ. ***დად**. სხვა დარესტნურ ენებში დასტურდება მსგავსი ფუძე: დარგ. ჩირალ. **თათა**, ხაიდ. **თათაღ** „მამალი“ და სხვ. (ნიკოლაევი, სტარსტინი 1994: 397). საყურადღებოა მსგავსება ქართვ. ***დედა-ლ**- ლექსემასთან (კლიმოვი 1964: 72).

„ჭიყყელა“ – ლეზგ., რუთ. **ქუაქ**, თაბ. **ქამქ**, აღ. **ქახქ**, კრიწ. **ქვაქ**, წახ. **ქოქ** „ლარვა“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 206-207) ადარებენ ხუნძურ-ანდიური ენების არარედუპლიცირებულ ფორმებს (ხუნძ. **ნუქა**; ახვ. **უნქა**). ამრიგად, სავარაუდებელია, რომ ამ ფუძის რედუპლიკაცია განხორციელდა საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე.

„კრაზანა“, „მაწუხელა“ – ლეზგ. **ბუღბუღ**, თაბ. **ბუღბუღ** „ფუტკარი“, აღ. **ბუღბუღამ** „ბაზი“, რუთ. **ღუზად** „ფუტკარი“, კრიწ. **ბუღბუღუ**. იხ. (ზაჰიროვი 1987: 73). გარე პარალელები არ ეძებნება.

„მუშმულა“: ლეზგ. **ქიცაქ**, აღ., ბურკ. **ქირიქ**, თფილ. **ქითაქ**, ქომ. **ქიდიქ**, წახ. **ქვღვქ**, კრიწ. **ქითქ**, ბუდ. **ქიდიქ**, უდ. **ქენექ**. იხ. (თალიბოვი 1980: 279; ბოკარევი 1981: 65; ზაჰიროვი 1987: 78). აქ შესაძლებელია რედუპლიკაცია გამოწვეული იყოს **-ქ** ექსპრესიული სუფიქსის დართვით.

„ხახვი“ – ლეზგ. **ჩიჭექ**, აღ., თფილ. **ჭიჭაკ**, კრიწ. **ჭიჭექ**, ბუდ. **ჭი-ჭექ**. იხ. (ზაჰიროვი 1987: 78). სუფიქსური წარმოება ექსპრესიული ფუძისაგან ***ჭიჭ** „ხაო“, „ფოჩი“.

„მამა“ – ლეზგ., იარკ., ახტ., ფიძ., ყურად. **ბუზა** „მამა“; რუთ. **ბაბა** „პაპა“; ბუდ. **ბუზუ** „პაპა“; უდ. **ბაბა** „მამა“; ს.-ლეზგ. ***ბაბა-მ**. იხ. აგრეთვე: აზ. **ბაბა** „პაპა“ (ამით უნდა იყოს განპირობებული მეორე მნიშვნელობის გაჩენა ლეზგიურ ენებში). ე. წ. საბავშვო სიტყვა. გვხვდება სხვა დალესტნურ ენებშიც, შდრ. დიდ. **ბაბ-მუ** „მამა“ და სხვ. (სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 286). ზოგიერთი მკვლევარი (ლექსიკა 1971: 132) აქ არარედუპლიცირებული ფუძის რეკონსტრუირებას ახდენს ***აფამ**.

„კუთხე“, „მუხლი“ – ლეზგ., თაბ. **პიპ** „კუთხე“, არჩ. **პომფ** „მუხლი“ (ანატ.), კრიწ. **ფიფ**, ბუდ. **ფეფ**. იხ. (ზაჰიროვი 1987: 83). გარე პარალელები არ ეძებნება.

„წამწამი“ – ლეზგ. **კაკამ**, წახ. (გელმ.) **კაქ**, კრიწ. **კვავ** „ქუთუთო“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 74). ლეზგიურ ენაში მრავლობითობა გადმოცემულია -**ამ** სუფიქსის მეშვეობით.

„ტყავი“ – ლეზგ. **ყიციყ**, თაბ. **დიდიყ**, აღ. **ყიადიყ**, რუთ. **ჭვდგყ**, არჩ. **ყონყ**, ბუდ. **ყინჯყყ** „ტიკი“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 74). შესაძლებელია, რომ ამ ლექსემაში რედუპლიკაცია წარმოქმნილია შემთხვევით – **ყ** ექსპრესიული სუფიქსისა და ანლაუტის თანხმოვნის დამთხვევის შედეგად.

„თავის ქალა“ – ლეზგ. **ქუზ**, თაბ. **გუზ**, აღ. **გუზ**, რუთ. **გუზუი** (-**ი** სუფიქსით არის გართულელებული, რომელიც კინოზობით-ალერსობით სახელებს აწარმოებს) „თხემი (თავის)“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 77). ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 450-451) პოულობენ პარალელებს ლეზგიური ენების გარეთაც: ხუნძ. **გუანგუარა**, ჰუნზ. **გოგორ**, ლაკ. **ქარქ** და სხვ. გვაქვს ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვე ლექსემასთან „მრგვალი“.

„ჩიყვი“ – თაბ. **ღიუღღიუდ**, წახ. **ღო'ტ**, ბუდ. **ყატყატ** „ფაშვი“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 77). წახურში ლექსემამ დერედუპლიკაცია განიცადა, თუმცა გვხდება რედუპლიცირებული ვარიანტიც – **ღვრღვ'ტ**. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 468) პოულობენ პარალელებს სხვა დადესტნურ ენებშიც: დარგ. **ჭუდჭუდი** და სხვ.

„კვერცხის ნაჭუჭი“ – ხნუხ. **პვპვლ**; წახ. **პა'პა'ლ**; უდ. **ფუ'შფა'ლ**; ს.-ლეზგ. ***პა'პა'ლ**.

„მწვერვალი“ – ლეზგ. **კუკ**, თაბ. **კაკ** (წვერსაც აღნიშნავს), აღ. **კიკუტ**, **კუკ** (ბურშ.), რუთ. **კპკ**, **კიკ** (შინ.), ბუდ. **კიკ** „წვერი“. იხ. (თალიბოვი 1960: 300; ბოკარევი 1961: 74; ლექსიკა 1971: 179-180; ზაჰიროვი 1987: 81). ბგერწერითი სიტყვა. საყურადღებოა, რომ აფხაზურ-ადიღურსა (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 733) და ქართველურ ენებშიც (კლიმოვი 1964: 75) ეს ლექსემა რედუპლიცირებული ფორმით აღდგება.

„დიდი ქვა“, „კაჭარი“ – ლეზგ. **ხუახ**, რუთ. (მიუხრ.) **ხუახ** „კუზი“, არჩ. **ხონხ**. იხ. (ხაიდაყოვი 1973: 71; ზაჰიროვი 1987: 81). ექსპრესიული ლექსემაა, რომელიც დიდი ზომის საგანს აღნიშნავს. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1070) აფხაზურ-აბაზურ მასალას უდარებენ.

„ქვიშა“ – თაბ. (ხივ.) **სიმს**, წახ. **სოც**. არჩ. **სარსი**. იხ. (ზაჰიროვი 1987: 87). ბგერწერითი ლექსემაა. ლეზგიური ენების გარეთ პარალელები არ ეძებნება.

„ტალახი“, „ტლაპო“ – ლეზგ. **ხურხ**, არჩ. **ჰერჰ**. „ლორწო“, რუთ. (ხნუხ.) **ხურხ**. ექსპრესიული ბგერასიმბოლური ხასიათის ლექსემაა. გარე პარალელები არ ეძებნება.

„ბებერა“ – ლეზგ. **ქურქურ**, ად. **ქურქურ**, კრიწ. **გგრგგრ** „ჩირ-ქგროვა“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 86). ბგერწერითი ფუძეა.

„ხაო“, „ფოჩი“ – ლეზგ. **ჭიჭ**, **ჩიჭედი** „ხაო“, თაბ. **ჭიჭ** „ხაო“, რუთ. **ჭიჭ**, „ხახვის ფოჩები“, კრიწ. **ჭიჭ** „სამყური“, ბუდ. **ჭიჭ** „მცენარეს სახეობა“, უდ. **ჩაჩიჩი** „ფოჩი“, ს.-ლეზგ. ***ჭიჭ**. იხ. (ზაჰიროვი 43 1987; 87). უდიურში ემატება ექსპრესიული სუფიქსი -ქ. ექსპრესიული ბგერწერითი ფუძეა.

„ლავაში“ – რუთ. **კიკერ**, არჩ. **კურკუნი** „მრგვალი, ნახვრეტისანი ლავაში“, კრიწ. **კუკ**, ბუდ. **კუკ**. იხ. (თალიბოვი 1980: 289; ზაჰიროვი 1987: 84. ს.ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი უდარებენ ხინალულურ და აფხაზურ მასალას (1994: 736).

„უნაგირი“ – ლეზგ. **ფურარ**, თაბ. **ფირფირ**, ად. **ფურარ**, რუთ. **ფაფგრ**, **ფგფგირ** (ხნუხ.) (?). იხ. (ხაიდაყოვი 1973: 88; თალიბოვი 1980: 277; ზაჰიროვი 1987: 85). ლეზგიურსა და აღულურში მოხდა დერედუპლიკაცია.

„ფინჯანი“, „ლანგარი“ – ლეზგ., თაბ. **კუაკა** „ხის ლანგარი“, არჩ. **კოკ** „გრძელი ღრმა ხის ლანგარი“, კრიწ. **კუკამ** „დიდი თიხის ფინჯანი“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 85). კრიწულში ერთვის ექსპრესიული სუფიქსი -მ.

ჩურჩული – ლეზგ., ად. **ქუშქუშ**, რუთ. **კუშკუშ**, წახ. **ქუშკუშ**. იხ. (თალიბოვი 1980: 316; ზაჰიროვი 1987: 86). ხმაბაძვითი ლექსემაა.

„ტვირთი“ – თაბ. **ღაღ**, ად. (ბურშ.) **ჭაჭ**, არჩ. **ჯოჯ** „ზურგი“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 921) ამ ლეზგიურ იზოგლოსას უდარებენ შემდეგ ფორმებს: ხინ. **ყაღა** „ზურგი და მხრები“, დიდ. **ყოფ**, ჰინ., ხვარშ. **ყოგ** და სხვ.

საერთოდადესტნურ ლექსიკურ ფონდში გვაქვს საწინააღმდეგო მაგალითებიც, როდესაც ლეზგიურ ენეთა არარედუპლიცირებულ ფორმებს სხვა დადესტნურ ენებში შეესატყვისება რედუპლიცირებული ფორმები. შდრ.:

„ცარიელი“ – ლეზგ. **ყერი**, თაბ. **ყიარ**, ად. **ყიარე-ჭე**, რუთ. **ყარ-დგ**, წახ. **ყარა-ნ**. იხ. (მაჰომეტოვი 1966: 340. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 921). სხვა დადესტნური ენები: დიდ. **ყოყორუ**, ჰინ. **ყოყორუ**, ინხ. **ყოყორუ**. შესაძლებელია დიდოურ ენებში გვქონდეს მეორეული რედუპლიკაცია.

მეორეული რედუპლიკაციის შემთხვევები გვაქვს სხვადასხვა ლეზგიურ ენაშიც; მაგ., **აღმოსავლეთ-სამურულ ენებში**:

ლეზგ. **თაჷდ** (ასევე ამისგან ნაწარმოები **თაჷთაჷბ**), თაზ. **დჷდ** (ასევე ნაწარმოები **დჷდჷბ**), აღ. **დჷტ**, **თუთ** „ყელი“, რუთ. **დჷდჷჷჷ** „ხა-ხა“. ხმაბაძვითი სიტყვაა. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 736) უდარებენ შემდეგ ფორმებს: ხუნდ. **დად** (→ არჩ. **დად**), ახვ. **დადი**, კარ. **დიდუ**, ბაგვ. **დარგ** „სადღვებელი“, „დოქი“, „ბორბალი“, ლაკ. **დიჷდუ** „მეგაფონი“, დარგ. **დიად** „საყვირი“. ჩვენი აზრით, ლეზგიური მასალა აზერბაიჯანულ **დჷდჷჷ** „დუდუკი“, „ბუკი“, „სალამური“ ფორმას უკავშირდება, ისევე როგორც უდ. **თაჷთაჷა**, წახ. **დიჷტდიაკ**, რუთ. **თჷთაჷგ** „id“;

ლეზგ. **ქეჷ**, თაზ. **ქარჷ**, აღ. **ქარჷ**, **ქირჷ** „ფრჩხილი“. რედუპლიკაცია, როგორც ჩანს, გამოწვეულია მრავლობითობის აღნიშვნით. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 45 689-690) უდარებენ შემდეგ ფორმებს: ახვ. **ქეჷ**, დარგ. **ქეჷ** „ღრძილი“;

ლეზგ. **ყიტაჷტ**, თაზ. **ყიატყიატ**, აღ. **ყიატყიატ** „წისქვილის ერთგვარი დეტალი“. ხმაბაძვითი სიტყვაა;

ლეზგ. **კუკუშ**, თაზ. **კუკუშ**, აღ. **კუკ** „მთის წვერი“. ლეზგიურსა და თაზასარანულში დამატებულია ინოვაციური ექსპრესიული სუფიქსი -შ;

ლეზგ. **წალწამ**, თაზ. **წალწამ**, აღ. **წალწამ** „გადატყევილი“. ნათლად გამოხატავს ექსპრესიულ სემანტიკას;

თაზ. **ყიურყ**, აღ. (ხუდ.) **ყურყ** „ბოხჩა“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 936) უდარებენ ლაკურ **ჭურჭ** ფორმას (→ არჩ. **ჭერჭ** „ბოხჩა“).

ლეზგიურ ენაში: დჷლად (← **ჷლად** (ხლუტ.)) „გველი“ ~ თაზ. **მალაჷჯჷ**; დიუბ. **მჷლაჷჯ**; აღ. **მალჷჯ**; ბურკ. **მალაჷჯჷ**; რუთ. **მულუზ**; წახ. **მეჯ**; არჩ. **მილიხუჷ**; ბუდ. **მულაჷც**; უდ. **მეჯ**; ხინ. **მოჷ** „ჭია“ სხვ. დად.: დარგ. **მილიჯა** და სხვ. იხ. აგრეთვე: (გიგინეიშვილი 1977: 97; ხაიდაყოვი 1973: 11; ზაჰიროვი 1981: 21; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 817 [ს.-ლეზგ. ***მულაჯჷ**]).

ჭურჭულარ „მაცვალი“ ~ თაზ. **ურხარ** „მახველი“, აღ. **ჭულა მენერ**, რუთ. **ხურ**, წახ. **ხურა** „ჟოლო“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 78; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1065).

აღულურ ენაში: ყურყ ~ რუთ. **ყერკ** „სირსველი“, არჩ. **ყარკა-ჩ**: „ჩამოდონძილი“. მ. ალექსეევმა (1985: 112) არჩიბულში გამოყო ექსპრესიული სუფიქსი -ჩ. როგორც ჩანს, რედუპლიკაცია ამ ლექსემაში აღულურში ფონეტიკური პროცესებით არის გამოწვეული;

ყაბყ „ჩრჩილი“ ~ დარგ. (ჩირ.) **ყიკჷ** „ჩრჩილი“, ლაკ. **ყაჷი** „მატლი“, „ჭია“; ხუნდ. **ჭაჷეკ**, ანდ. **ჭიკა** „ჭია (ხორცში)“ (ნიკოლაევი, სტა-

როსტინი 1994: 46 912). როგორც ჩანს, ადულური ფორმა ნასესხებია დარგულიდან, ხოლო მას შემდეგ განიცადა მეტათეზა და მეორეული რედუქლიკაცია;

რუთულურსა და წახურ ენაში: რუთ. **ჰირჰიმ-დგ**, წახ. **ჰირჰიმან** ~ ლეზგ. **ჴმწჴ** „მლაშე“, თაბ. **ჴჰრუ**, აღ. **ჴჴჴე-ჴ**, ლაკ. **ყურჰი** (**ყ**- პრეფიქსით), ახვ. **ჴიკუდა** „მჟავე“. იხ. (ზაჰიროვი 1987: 59);

რუთ. **ხენგხ** „ბავშვი“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1063) ლეზგიური ენების გარეთ პოულობენ პარალელებს: ჩეჩნ., ინგ. **ხოვხარ**, ხუნძ. **ხოხო** „ბატკანი“, დიდ. **ხეხ-ხი**, ჰინ. **ხეხ-ხე** „ბავშვები“, ხვარშ. **ჰიჰა**, ინხ. **ჰუჰო** „მცირე ხნის ცხოველი“. შესაბამისად, თუ გავიზიარებთ მათ მოსაზრებას, მაშინ რუთულური ფორმა არის საერთონახურ-დაღესტნური წარმომავლობის, ხოლო სხვა ლეზგიურ ენებში იგი დაკარგულია;

წახ. **ტიტ** „ყვავილი“ ~ არჩ. **ტი**, ლაკ. **ტუტი**, ხუნძ. **ტიჰ**. იხ. (ლექსიკა 1971, 168; ხაიდაყოვი 1973, 65; ზაჰიროვი 1987: 38; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1006). შესაძლოა უკავშირდებოდეს უდ. **ტიტიჰ** „ყვავილი“ (ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1006).

წახ. **ხეხერჩენ** ~ თაბ. **ფსინჰ**, **ბისიმჰი** (დიუბ.), აღ. **ბიშიე**, უდ. (ვართ.) **ბაჩანა** „მარცხალი“.

კრიწულსა და ბუდუხურ ენებში: კრიწ. **ხან** „სითხე“, ბუდ. **ხი-ხი** „წვნიანი“. მიეკუთვნება ე. წ. საბავშვო ლექსიკას. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 1063) უკავშირებენ, აგრეთვე, ლეზგ., თაბ. **ხან**, არჩ. **ლამჰ** (← ***ჰამჰ**), უდ. **ხოხო-ფესუნ**, ლაკ. **ხამა**, დარგ. **ხამნა** „ქაფი“. მათი აზრით, რედუქლიკაცია ამ ლექსემაში მოხდა ჯერ კიდევ ლეზგიურ-დარგულურ ერთობაში;

კრიწ., ბუდ. **ყირიყ** „ფადარათი“. არ არის გამორიცხული, რომ რედუქლიკაცია ამ მაგალითში შემთხვევითია – **ყ** ექსპრესიული სუფიქსის დართვის შედეგადაა წარმოქმნილი.

კრიწ. **ჰერჰურ** „ჭაობი“, ბუდ. **ჰირჰირ** „მიტოვებული ადგილი“. ექსპრესიული ხასიათის მქონე ლექსემაა. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 555) ბუდუხურ ლექსემას უკავშირებენ კრიწულს: **ჰერან** „გამოქვაბული“.

კრიწ. **ტატან** „ბოხობი“ (-**ხ** ექსპრესიული სუფიქსით). შესაძლოა, აგებული იყოს აზ. **ფაფაგ** „ბოხობი“, „ქუდი“ (→ წახ. **ფაფახ**, ლეზგ. **ბაჰახ**) მიხედვით. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 997) უკავშირებენ შემდეგ ფორმებს: ლოდ. **ტატა**, ხვარშ. **ტუტარ**.

არჩიულ ენაში: ყუაყუარ-თუ ~ აღ. **ყურე-ჭ** „ვიწრო“. ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი (1994: 736) უკავშირებენ ხუნძ. **ჭუარა-**, **ჭოჭა-**, კარ. **ჭორა-**, ახვ. **ჭუარადა-**, ჭამ. **ჭორა-**, ტინდ. **ჭუარა-**, ბეჟ. **ჭაჭალო**, დარგ. **ჭაჭა-სი**. ის, რომ ხუნძურში გვაქვს როგორც რედუპლიცირებული, ისე არარედუპლიცირებული კორელატები, გვაფიქრებინებს ორი ტიპის ფუძეთა გრამატიკული ან ლექსიკურ-სემანტიკური კორელაციის აღბათობას საერთოდადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე.

ლეზგიურ ენებში დასტურდება რედუპლიკაციის პარალელურად განვითარების შემთხვევები. ასე, მაგალითად:

მწარე: ლეზგ. **თუყულ**, თაბ. **ყუტლი**, **ყურყლი** (დიუბ.), აღ. **ყულ-ყულ-ჭ**, რუთ. **დყგ'ლდგ**, კრიწ. **ყატყულ**, არჩ. **ყალა**. იხ. (თალიბოვი 1960: 301; 1980: 307; ლექსიკა 1971: 219; გიგინეიშვილი 1977: 103; ზაჰიროვი 1987: 89; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 912). აქ გვაქვს ექსპრესიული რედუპლიკაციის სემანტიკური მოტივაცია: უსიამოვნო გემოს აღნიშვნა. თუ თაბასარანულსა და აღულურში, შესაძლოა, გვქონდეს საერთო რედუპლიცირებული ფუძე, კრიწულში რედუპლიკაცია დამოუკიდებლად განვითარდა. დადესტნური ენებიდან რედუპლიკაცია ამ ლექსემაში დასტურდება დარგულ ენაშიც.

გვაქვს „შემთხვევითი“ რედუპლიკაციის მაგალითებიც. „შემთხვევითი“ რედუპლიკაცია შეიძლება იყოს გამოწვეული ფონეტიკური პროცესებით (მეტწილად – ასიმილაციით), ზოგჯერ კი – მორფოლოგიურით, კერძოდ – ფუძისეული ფონემისა და მაწარმოებელი სუფიქსის დამთხვევით. სხვა წყარო „შემთხვევითი“ რედუპლიკაციის, რომელსაც აგრეთვე არაფერი აქვს საერთო ნამდვილ რედუპლიკაციასთან, არის სესხება. ამოსავალი ფორმა გამსესხებელ ენაში არის რედუპლიცირებული, თუმცა ამას არავითარი გავლენა არ აქვს ნასესხები ლექსემის კვალიფიკაციაზე მსესხებელ ენაში, მაგ.:

არჩ. **ჭაჭა**, წახ. **ჭეჭეიბგ** „ჭაჭა“ ← ქართ. **ჭაჭა**. მ. ხალილოვი (2004: 299) ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევს ჩეჩნ. **ჭაჭა** „ჭაჭა“;

ზოგჯერ კი რედუპლიკაცია გვაქვს ნასესხებ ლექსემაში, თუმცა სესხებას არ უკავშირდება, მაგ., წახ. **გოგ** „სიმწვანე (მცენარეების)“, „აჯეჯილებული ყანა“. ნასესხებია აზერბაიჯანულიდან: **გომ** „ცა“; „ლურჯი“; „მწვანელი“.

ამრიგად, რედუპლიკაციის ფუნქციონირების სპეციფიკა ლეზგიურ ენებში გვიჩვენებს, რომ ეს ლინგვისტური ფენომენი მათში წარმოდგენილია სამი ფუნქციონალური სახით:

- 1) როგორც ისტორიულად პირველადი ნომინაციის საშუალება;
- 2) როგორც მეორეული ნომინაციის საშუალება;
- 3) როგორც სიტყვათცვლილების (ფლექსიის) საშუალება.

აღსანიშნავია, რომ პირველი ორი დამახასიათებელია არსებითი სახელისათვის ყველა ლეზგიურ ენაში, ხოლო მესამე – სახელისთვის თითქმის არ არის ნიშანდობლივი და მეტწილად ახასიათებს ზმნას, ფუნქციურად და სემანტიკურად კი სხვადასხვაგვარად ვლინდება.

5. კომპოზიტთა ანალიზი არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით

ლეზგიურ ენებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ინდოევროპული, სემიტური და, განსაკუთრებით, ალთაური ენები. ეს ზეგავლენა საგრძნობია ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე - ლექსიკის, ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის და სხვა. არსებით სახელთა კომპოზიტური სიტყვაწარმოება არ არის ამ მხრივ გამონაკლისი.

ლეზგიურ ენებში არაიშვიათია ირანული, სემიტური და ალთაური ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, მაგ., თურქული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტია **ჯიზილ** „ოქრო“: ლეზგ. **ჯიზილ-ჯუმ** „მიმინო“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ჯუმ** „ჩიტი“, „ფრინველი“); **ჯიზილ-ბალუდ** „ორაგული“ (**ჯიზილ** „ოქრო“ + **ბალუდ** „თევზი“)... ან ირანული ენებიდან ნასესხები კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტია **ქარ** „საქმე“: ლეზგ. **ზიიან-ქარ** „მავნებელი“ (**ზიიან** „ზიანი“, „ზარალი“ + **ქარ** „საქმე“); **დჷტე-ქარ** „ჩხუბისთავი“, „წამქეზებელი“ (**დჷტე** „დავა“, „ჩხუბი“, „ომი“ + **ქარ** „საქმე“); ლეზგიურ ენაში ამ ჯგუფის 15 ლექსემა დასტურდება. ამავე ქვეტიპს უნდა განეკუთვნებოდეს აღმოსავლური ენებიდან ნასესხები რთული არსებითი სახელეები, რომელთა მეორე კომპონენტია სპარსული **ხანა** „შენობა“, „შენობა-ნაგებობის შიდა სივრცე“. ეს ლექსემა ლეზგიურ ენაში ცალკე არ გვხვდება, მხოლოდ კომპოზიტებში, რომელთა რაოდენობა დაახლ. სამ ათეულს შეადგენს, მაგ., **ქარ-ხანა** „ქარხანა“ (**ქარ** „საქმის“ + **ხანა**), **უს-თარ-ხანა** „სახელოსნო“ (**უსთარ** „ოსტატის“ + **ხანა**); **ქთაბ-ხანა** „ბიბლიოთეკა“ (**ქთაბ** „წიგნის“ + **ხანა**)...

აღსანიშნავია, რომ განსაზღვრებითი კომპოზიტების ეს სტრუქტურული მოდელი არსებითი სახელი ნომინატივში + არსებითი სახელი ნომინატივში, რომელსაც მიეკუთვნება ზემოთ წარმოდგენილი

კომპოზიტები, ლეზგიურ ენაში იშვიათია და, როგორც ჩანს, მისი გაჩენა ალთაური და ირანული ენების გავლენას უნდა უკავშირდებოდეს.

ამას გარდა, ხშირად გვხვდება კომპოზიტები, რომელთა ორივე ან ერთი კომპონენტი ნასესხებია, მაგ., ლეზგ. **დედ-ზამან** „ძველი დრო, ეპოქა“ (**დედ** „ძველი“ + **ზამან** (არაბ.) „დრო“, „ეპოქა“; **აღსაჯალ** (თურქ.) „ავტორიტეტის მქონე მოხუცი“ (ზედმიწ. „თეთრი წვერი“) **ათა-ბუზა** „წინაპარი“, **ატაბუზა-მარ** „წინაპრები“ (**ათა** (თურქ.) „უფროსი“, „ბაბუა“ + **ბუზა** „მამა“), შდრ. სხვა ლეზგიურ ენებში: თაბ. **ათაბაბ-მირ**, რუთ., ბუდ., უდ., ხინ., **ათაბაბა**, კრიწ. **ათებაბა** „წინაპრები“...

ლეზგიურ ენებში ძალზე გავრცელებულია ე. წ. ექო-რედუპლიკაცია. რედუპლიკაციის ეს სახეობა, ლეზგიური ენების გარდა, საგრძნობია სხვა დარესტურ ენებშიც. ლეზგიურ ენებში ყველაზე გავრცელებულია მოდელი, რომელშიც გაორკეცებული ფუძის მეორე კომპონენტში საწყისი თანხმოვანი იცვლება **მ**- თანხმოვნით. ასეთი კომპლექსები, როგორც წესი, საგანთა სახეობასა და მის მსგავს საგნებს აღნიშნავს, მაგ., ლეზგ. **ჟერჩ-მერჩ** „ქათამი და სხვა შინაური ფრინველი“ (**ჟერჩ** „ქათამი“); **მაქ-მაქ** „ხორცი და სხვა ხორცის პროდუქტები“ (**მაქ** „ხორცი“); აღ. **გურ** „ფინჯანი“ - **გურ-მურ** „ფინჯანი და სხვა ჭურჭელი“, **ქან** „ტანსაცმელი“ - **ქან-მან** „ტანსაცმელი და მსგავსი“.

ხშირად ასეთი ტიპის რედუპლიცირებული კომპოზიტები პეიორატიული მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ლეზგიურ ენებში დასტურდება ექო-რედუპლიკაციის სხვა ტიპებიც, რომლებშიც შეიძლება შეგვხვდეს სხვა თანხმოვანი, მაგ., რუთ. **უენ-ბუყენ** „ისა-ესა“; **რუგ-დუგ ჰყყენ** „დამსხვრევა“; იხრ. **და'ჟჷ-შა'ჟჷ** „ჩხუბი“, „სკანდალი“, „უთანხმოება“; **ლა'ფგრ-ჩა'ფგრ** „ძველმანები“, „უსარგებლო ნივთები“...

ექო-რედუპლიკაციის კიდევ ერთი მოდელი ხმოვანთა მონაცვლეობით იწარმოება, მაგ., ბუდ. **ჰამ-ჰუმ** „ხმაური“, „დავიდარაბა“; რუთ. **თარაფ-თურუფ** „ხმაური“, „სკანდალი“; **შეა-შუა** „ყოველგვარი წვრილმანი ნივთები“; ბუდ. **ზაიელ-გიიელ** „ბავშვი“...

იქიდან გამომდინარე, რომ ფუნქციონალური დატვირთვა ამ მოდელებისა მსგავსია, გვხვდება სხვადასხვა სახის დუპლეტები, მაგ., რუთ. **გადა-გუდი** „არასერიოზული ადამიანი“ (ზედმიწ. ბიჭი) და **გადა-ბადა** (იგივე მნიშვნელობის)...

როგორც ჩანს, ექო-რედუპლიკაცია ლეზგიურ და სხვა დადესტურ ენებში წარმოიქმნა თურქული ენების გავლენით. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ მაგალითებს აზერბაიჯანული ენიდან.

აზერბაიჯანულში დასტურდება ექო-რედუპლიკაციის რამდენიმე მოდელი: გაორკეცებული ფუძე, რომლის მეორე კომპონენტს დამატებული აქვს მ- თანხმოვანი, მაგ., **წათ-მწათ** „რადაც ხორცი“, **უმაგ-მუმაგ** „ბაღობა“, „წვრილფეხობა“, **ადგლ-მადგლ** „სუსტი ჭკუა“...

გაორკეცებული ფუძე, რომლის მეორე კომპონენტის საწყისი თანხმოვანი იცვლება მ- თანხმოვნით, მაგ., **ფულ-მულ** „რადაც ფული“ (პეიორ.), **დუზ-მუზ** „რადაც მარილი“, **გაზ-მაზ** „რადაც ბატი“, **ქულ-მულ** „რადაც ყვავილი“...

ხმოვანთა შეცვლა მეორე კომპონენტში ასევე ხშირია აზერბაიჯანულში. როგორც წესი, არალაბიალიზებული ხმოვანი იცვლება ლაბიალიზებული ხმოვნით, მაგ., **ქადგზ-ქუდღუზ** „ქალაქის გროვა“, **ადამ-ქლამ** „რადაც ჯოხები“, **დამირ-დუმურ** „რადაც რკინა, ჯართი“...

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კომპოზიტებს აზერბაიჯანულ ენაში, კრებითობისა და საგანთა განზოგადების გადმოცემის გარდა, აქვს პეიორატიული მნიშვნელობაც და ირონიას შეიცავს ამ საგნების მიმართ.

6. კომპოზიტთა ეთნოლინგვისტური ანალიზი

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კომპოზიტები, რომლებიც საპირისპირო გენდერის აღმნიშვნელი კომპონენტებისაგან შედგება. მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ კომპოზიციის ეს მოდელი კავკასიის ენებში საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშან-თვისებებს ავლენს, მაგ., „მშობლების“ აღმნიშვნელი ლექსემა ამ ენებში აგებულია კომპოზიციის საერთო მოდელის მიხედვით – „დედა“+„მამა“: ქართ. **დედ-მამა**, მეგრ. **დიდა-მუმა**, სვან. **დიიმუ**, ბაცბ. **ნან-დად**, ხუნძ. **ებელ-ემენ**, ლაკ. **ნინუ-ფუ**, დარგ. **ნეშ-დუდეშ** და სხვ. ლეზგიურ ენებშიც დასტურდება ამ მოდელის კომპოზიტები, იხ.: ლეზგ. **დიდე-ბუბა**, რუთ. **ნინ-რ-დიდ**, წახ. **იედ-რ-დაქ** „დედ-მამა“, ბუდ. **დიდე-ადა**, ხინ. **დადა-ბეი** „მშობლები“... აღსანიშნავია, რომ ლეზგიურ ენათა უმეტესობაში სხვა მოდელია წარმოდგენილი – „მამა“ + „დედა“: თაბ. **აჟმარ-ბაჟარ** (ზედმიწ. „მამები-დედები“), **აბა-ბაბ** „მშობლები“, **აჟამან-ბაჟ** ან **დადამან-გაგამ**, აღ. **გაგარ-ბუჟარ** (ზედმიწ. „მამები-დედები“), **დარ-ბაჟ**; რუთ. **დიდ-ნინ**, წახ. **დაქ-იედ**, **დექ-ედ** (რუთულურსა და წახურში „დედა“ + „მამა“ ვარიანტიცაა დასაშვები, იხ. ზემოთ), კრიწ. **ფამ-თამ**, არჩ. **აბამ**, უდ. **ბაბა-ნანა** „მშობლები“. თაბასარანულში, ამას გარდა, დასტურდება საინტერესო კონსტრუქცია: **აბიორ-ბაბარ** „მშობლები“ (ზედმიწ. ბაბუები-ბებიები“).

შესაძლებელია, რომ მოდელი „მამა“+“დედა“ ლეზბიურ ენებში გაჩენილიყო არეალური ენების გავლენით, შდრ. სომხ. **ჰამრიკ-მამრიკ** „მშობლები“ (სიტყვასიტყვით: „მამა-დედა“), თუმცა „დედა“ + „მამა“ მოდელი ქართველურ ენებშიც გვიანდელი ჩანს. **დედა-მამამ** ფორმა ძველ ქართულში იშვიათია და ქრონოლოგიურად გვიანდელია (პირველად IX საუკუნის ბოლოს გვხვდება ადიშის ოთხთავში (897 წ.), მაშინ როდესაც **მამა-დედამ, მამა-დედათამ** ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ დასტურდება.

მსგავსი კომპოზიციები: ლეზგ. **ვახ-სთხა** „და-ძმა“, თაბ. **ჩენა-ჩი** „ძმა და და“, წახ. **იჩი-ჩოჯ || ჩოჯ-ი-იჩი** „და-ძმა“, რუთ. **შუ-რიში** (ზედმიწ. ძმა-და), უდ. **ხუნჩი-ვიჩი** „და-ძმა“, შდრ. ქართ. **და-ძმა**, ზან. **და-დო-ჯიმა**, სვან. **ჯგმილ-დაჩვირ, ჯიმილ-დაჩურ** (ზედმიწ. ძმა-და), ჩეჩნ. **იშია-ტაშა//ტაშა-იშია**, ინგ. **იში-ტოშა**, ბაცბ. **იში-ტაშ**, ხუნძ. **ტაგ-მაცა** (ზედმიწ. ძმა-და), ანდ. **ტოც-მეც** (ზედმიწ. ძმა-და), ლოდ., კარ., ტინდ., ახვ. **ტაგ-მაცა** (ზედმიწ. ძმა-და), ლაკ. **უს-უ-სუ** (ზედმიწ. ძმა-და), დარგ. **უმი-რუმი** (ზედმიწ. ძმა-და); აზერბ. **ბაჯგ-გარდაშ**, სომხ. **ქუი-მეხპამ** (ზედმიწ. და-ძმა)...

ლეზგ. **ღჷლნი-ფახ** „ქმარ-ცოლი“ (ზედმიწ. ქმარიც-ცოლი), თაბ. **შიტანა-ჟი-ლურ** „ცოლ-ქმარი“, ად. **ხეტედნა-ი-ლედ** „ცოლ-ქმარი“, უდ. **იშუ-ჩუბუხ** „ქმარ-ცოლი“, შდრ. ქართ. **ცოლ-ქმარი**, ზან. **ჩილ-ქომოჯი** (ლაზ.), **ჩილ-დო-ქომონჯი** (მეგრ. ზედმიწ. ცოლი და ქმარი), სვან. **ლი-ეხტ-ლიჭაშ** (ზედმიწ. ცოლ-ქმრობა), აფხ. **ხაწეი-ფხ^ბგსი**, ხუნძ. **როს-ძადი** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), ჭამ. **ჰეკტა-ჰასა** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), ლოდ. **ქუნტა-ჰარქი** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), ახვ. **აკიხო//←აკი-ხევე** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), დიდ. **ღანა-ხედიტ**, ჰინ. **ხოდდო-ბარუ** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), ბეჟ. **აჯო-ხეტერჰან** (ზედმიწ. მდედრ-პატრონი), ლაკ. **ლას-შარ** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი), დარგ. **მურულ-ხუნულ** (ზედმიწ. ქმარ-ცოლი)...

ამ კომპოზიციების წყობა არაერთგვაროვანია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგ., ქართ. **და-ძმა**, შდრ. ხუნძ. **ტაგ-მაცა** „ძმა და და“ (სიტყვასიტყვით: „ძმა-და“); ანალოგიურად: ქართ. **ცოლ-ქმარი**, შდრ. ხუნძ. **როს-ღადი** „ქმარი და ცოლი“ (სიტყვასიტყვით: „ქმარი-ცოლი“).

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესო კომპოზიცია, მაგალითად, ლეზბიურში **ფუდ-ჭერ** „სამგლოვიარო რიტუალები“ (**ფუდ** „სამი“ + **ჭერ** (**მიჭერ**) „ღამეები“). როგორც ჩანს, ამ კომპოზიციის წარმოშობა მაჰმადიანობამდელ პერიოდს უკავშირდება, რადგან ისლამის მიმდევრები მიცვალებულს იმავე დღეს მარხავენ.

საინტერესო აგებულებებისაა ლეზბიური კომპოზიტი **მარდი-რუმ** „ცისარტყელა“ (**მარდი** „მაღალი“, „გრძელი“ + **რუმ** „ქალიშვილი“). ასეთი სემანტიკის მქონე კომპონენტებისაგან შემდგარი „ცისარტყელის“ აღმნიშვნელი კომპოზიტი არ გვხვდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, შდრ., მაგ., „ცისარტყელას“ აღსანიშნავად ერთგვაროვანი სახელდება ქართველურ ენებში: ქართ. **ცი(ს)-სარტყელა**, მეგრ. **ცაშ-ორტყაფუ**, სვან. **დეცე-ლარტყ** (სამსავე ენაში სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა: „ცის სარტყელი“), შდრ. დიდოურ ენაში: ასოს-აშუნი (სიტყვასიტყვით: „ცის ქამარი“). თავისებურებას გვიჩვენებს „ცისარტყელის“ სახელწოდება ჩეჩურსა და ინგუშურში: ჩეჩნ. **სთიელა-ყად**, ინგუშ. **სიელა-ყად**, სიტყვასიტყვით: „სთელას მშვილდი“ (**სთიელა/სიელა** – წვიმის, ცეცხლისა და კერიის წარმართული ღვთაება ვაინახურ მითოლოგიაში). „ცისარტყელის“ აღმნიშვნელი კომპოზიტი პარალელებს წარმოგვიდგენს კავკასიის სხვადასხვა ენებსა და დიალექტებში, მაგ., ქართული ენის მთის დიალექტებში: **მშვილდ-ისარანი** „ცისარტყელა“, ბაგბ. **ყატყ-წაქი** (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“), ხუნძ. (დიალ.) **კორ-ხუტ** (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“) და სხვ. იმავე რიგისა „ცისარტყელის“ აღმნიშვნელი ლექსემები სხვა ლეზბიურ ენებში: თაბ. **დერქუჭიმირ** (ზედმიწ. „მშვილდ-ისარი“), კრიწ. **ტამ** (ზედმიწ. „მშვილდი“), ბუდ. **ტამ** (ზედმიწ. „მშვილდი“), შდრ. ყუმ. **ოყ-ყადა**, ოს. **ჰათ-არდგენ** (ზედმიწ. ისარ-მშვილდი)... სხვა ეტიმოლოგია ეძებნება ამ კომპოზიტს რუთულურში: **ხა'ლ-ა-ჟაზ** „ცისარტყელა“ (**ხა'ლ** „ცა“, **ჟაზ** „მთვარე“, „ნალი“, -**ა** ლოკატიური ბრ. ნიშანი).

აგრეთვე საყურადღებოა ლეზბიური კომპოზიტი **ყარყუ-ლუჷ** „ღამურა“ (**ყარყუ(ნ)** „ტყავის“ + **ლუჷ** „ფრთა“). ის ეხმიანება სხვა დადესტნურ ენებში გავრცელებულ „ღამურის“ აღმნიშვნელ კომპოზიტებს.; მაგ., ხუნძ. **ყონ'ოლ'ალკაჩ** „ღამურა“. ხსენებული კომპოზიტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ხუნძურში უნდა ყოფილიყო „ტყავიანი მერცხალი“ (აზმაიფარაშვილი 2015: 20-21).

ამას გარდა, ეთნოლინგვისტური და ეთნოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო სემანტიკის მქონე კომპოზიტებად გვეჩვენება: ლეზბ. **ხუა-სთხა** „ნათესავი“ (**ხუა** „შვილ + **სთხა** ძმა“), **კუ-ცურუ** „ბედუბედობა“ (**კუ** „მლაშე“ + **ცურუ** „მჟავე“), **ქპინ-ჭურუნ** „დამწერლობა“, „წერის ცოდნა“ (**ქპინ** „წერა“ + **ჭურუნ** „გადაშლა“), **ხურ-კუალ** „მშობლიური მხარე“ (ზედმიწ. „სოფელ-სახლი“), **მეზ-ღუელ** „დარწმუნება“ (ზედმიწ. „ენა-ნაფხვენ“), **აცყუნ-ჭარაღუნ** „ავეჯი“, „წესრიგი სახლში“ (**აცყუნ-უნ** „ჯდომა“ + **ჭარაღ-უნ** „ადგომა“), **ყურუ-ყერებ** „ნაჭრის

სიგრძე, გრძელი მხარე“ (**ყურუ** „მშრალი“ + **ყერეხ** „კიდე“), **აღუ-ტურ** „ძუნწი“ (**აღუ-**(**დინ**) „შხამის“, „საწამლავის“ + **ტურ** „კოვზი“), **წამ-ლა-ფან** „ელვა“ (**წამ** „ცეცხლი“ + **ლაფან** ← **ალფან** „მეტეორიტი“ (კავკასიის ალბანეთსაც აღნიშნავს)), **ყულან-თარ** „ხერხემალი“ (**ყულან** „შუა“ (გენ.) + **თარ** „ხე“), **ყილინ-ფაგარ** „კოტრიალი“ (**ყილინ** „თავის“ + **ფაგ-არ** „თათები“), **რეყე-ყულ** „ავშანი“, „აზინდა“ (**რეყე** IV ლოკ. **რეკ** „გზა“, „გასასვლელი“ + **ყულ** „ტერფი“, „ცეკვა“)...

უდ. **ბინ-ბანგ** „ნეფე-დედოფალი“ (ზედმიწ. „პატარძალი-ნეფე“); **მუჭა-ნაყ** „რძე“ (**მუჭა** „ტკბილი“ + **ნაყ** „დო“), **ფულდეშიკ** „ხარბი“, „გაუმადლარი“ (**ფულ** „თვალი“, **დეშიკ** „ნახვრეტი“), **კოჯ-მეც** „სახლ-კარი“ (ზედმიწ. „სახლ-ბუდე“), **ხენედალლანქ** (ვართ.) / **ხენედალლამ** (ნიჯ.) „ბოლოქანქარა“ (**ხენე[მ]** „წყლის“ + **დალლანქ** „დალაქი“), **ცამფი-აღალა** „ჟუჟუნა წვიმა“ (ზედმიწ. „ჭრელი წვიმა“), **მაწიყე** „შაქარი“ (**მაწი** „თეთრი“, **ყე** „ქვა“)...

თაბ. **მაჭარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ. „ცები და მიწები“), **კერი-მალ** „საქონელი“ (ზედმიწ. შავი საქონელი), **კარუ-ლიკ** „ღვიძლი“ (ზედმიწ. შავი ღვიძლი), **ყულან-დაჟი** „ჟუნჟრუკი“ (ზედმიწ. თავის ვირი), **ღულან-ჟაყუ** „ბელურა“ (ზედმიწ. სოფლის ჩიტი), **ტუბ-ჟაყუ** „ჩიორა“, „ჩიტუნა“ (ზედმიწ. თითი-ჩიტი)...

ად. **ზაჭარ-ჯილარ** „მსოფლიო“ (ზედმიწ. ცები და მიწები), **მირკურ-ლიკარ** „ფილტვები“ (ზედმიწ. „გულები და ღვიძლები“ – **მირკურ** „გული“, **ლეკ** „ღვიძლი“), **ულინ-ჭარქ** „ქუთუთო“ (ზედმიწ. „თვალის ნაჭუჭი“), **კერე-მალ** „საქონელი“ (ზედმიწ. შავი საქონელი) და სხვ.

რუთ. **ღ'უნანდ-ღ'ა'** „ლავიწი“ (ზედმიწ. მხრის ხიდი), **ხგლგდ-ყუან** „ხელისგული“ (ზედმიწ. ხელის ძირი), **წამად-ხალ** „სამზარეულო“ (ზედმიწ. ცეცხლის სახლი/ოთახი), **ჭირიდ-ღუბალ** „კელა“ (ზედმიწ. გარეული ფუტკარი)...

წახ. **ულენა-ხ'ანე** „თვალის გუგა“ (ზედმიწ. თვალის ვარსვლავი), **ხგლენ-ყონექ** „ხელისგული“ (ზედმიწ. ხელის ძირი), **ჟუნუნენ-დან** „ჭიპი“ (ზედმიწ. მუცლის ლოყა) და სხვ. მისთ.

ლიტერატურა

აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Москва-Ленинград.

აბდულაევი 1981 – А. К. Абдуллаев, Словообразование в цезском языке (АКД), Махачкала.

აბდულაევი 1993 – З. Г. Абдуллаев, Даргинский язык. III. Словообразование. Москва.

აბდულაევი 2010 – А. К. Абдуллаев, Словообразование в дидойском (цезском) языке. Махачкала.

აბდულაევი 2007 – И.Х. Абдуллаев, Очерки по исторической грамматике лакского языка (Морфология). Махачкала.

აბდულაევი 2007 – И.Х. Абдуллаев, О двух «кавказизмах» иранского происхождения (čaуana и xizan). – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბილისი.

აბდულაევი 2010 – И.Х. Абдуллаев, Лакский язык в историко-сравнительном освещении. Морфология. Махачкала.

აბდულაევი 2013 – И.Х. Абдуллаев, Междагестанские языковые схождения: 1. Материалы и исследования по аварско-лакским языковым взаимоотношениям. Махачкала.

აბდულაევი 2015 – И.Х. Абдуллаев, Междагестанские и межкавказские языковые контакты: Историко-этимологические и ономастические исследования. Махачкала.

აბდულაევი 2018 – И.Х. Абдуллаев, Лакско-русский словарь. Махачкала, 2018.

აბდულაევი, ელდაროვა 2003 – И.Х. Абдуллаев, Р.Г. Эльдарова, Вопросы лексики и словообразования лакского языка. Махачкала.

აბრეგოვი 2000 – А. Н. Абрегов, Исследования по лексике и словообразованию адыгейского языка. Майкоп.

აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва.

აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

აბულაძე 2000 – ლ. აბულაძე, ლექსიკური სემანტიკის ისტორიიდან. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV. თბილისი.

აგლაროვი 2002 – М. А. Агларов, Андийцы: Историко-этнографическое исследование. Махачкала.

ადუხოვა 2021 – Ж. М. Адухова, Типовая структура пожелания зла в лакском языке. – Кавказские языки: генетико-типологические общности и ареальные связи. Сборник статей по материалам VII Международной научной конференции. Махачкала.

აეგლ 2012 – Толковый словарь адыгейского языка, т. II. Майкоп.

აეგლ 2014 – Толковый словарь адыгейского языка, т. III. Майкоп.

ავალიანი 1995 – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი. თბილისი.

ავიძბა 2010 – ლ. ავიძბა, დაავადების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინისათვის აფხაზურ ენაში. – ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II. თბილისი.

აზმაიფარაშვილი 2006 – ლ. აზმაიფარაშვილი, არსებით სახელთა დერივაციული წარმოება ხუნძურში (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი). თბილისი.

აზმაიფარაშვილი 2015 – ლ. აზმაიფარაშვილი, ხუნძური ენის დიალექტური ლექსიკის თავისებურებანი. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII. თბილისი.

აზმაიფარაშვილი 2020 – ლ. აზმაიფარაშვილი, სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლინგვისტური შესწავლისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XLVIII. თბილისი.

ალექსეევი 1985 – М. Е. Алексеев, Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис. Москва.

ალექსეევი, ათაევი 1998 – М. Е. Алексеев, Б. М. Атаев, Аварский язык. Москва.

ალექსეევი და სხვ. 2012 – М. Е. Алексеев, Б. М. Атаев, М. А. Магомедов, М. И. Магомедов, Г. И. Мадиева, П. А. Саидова, Дж. С. Самедов, Современный аварский язык. Махачкала.

ალიხანოვი 1974 – С.З. Алиханов, Авар халкъиял кицаби ва абиял. Мах1ачхъала.

ალიხანოვი 1994 – С.З. Алиханов, Словообразование аварского языка (АКД). Махачкала.

ალიხანოვი ზ., ალიხანოვი ს. 2012 – Авар кицаби ва абиял. сост. Зайирбек и Саид Алихановы. Махачкала.

ალიჰაჯიევა 2008 – З.А. Алигаджиева, Пережитки домонотеистических верований и обрядов у аварцев-андалальцев в XIX-начале

XX в. (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук). Махачкала.

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი.

არაბული 2001 – ავთ. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთ-ქმნადობის სისტემა ქართველურ ენებში. თბილისი.

არდოტელი 2003 – ნ. არდოტელი, **ფუტკარ**- ფუძის ეტიმოლოგიისათვის. – საენათმეცნიერო ძიებანი, XV. თბილისი.

არდოტელი 2007 – ნ. არდოტელი, დიდოური ენა. თბილისი.

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.

არდოტელი 2011 – ნ. არდოტელი, პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები ბეჟიტურ ენაში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIX. თბილისი.

არდოტელი 2014 – ნ. არდოტელი, ბეჟიტური ენა. თბილისი.

არდოტელი 2020 – ნ. არდოტელი, სომატურ სახელებთან დაკავშირებული კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულში, დიდოურსა და ბეჟიტურ ენებში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII. თბილისი.

არდოტელი 2021 – ნ. არდოტელი, ზოგი კომპოზიტური თეონიმის ეთნოლინგვისტური ანალიზისთვის ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში. – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.

არდოტელი 2021 – Н. А. Ардотели, К некоторым деривационным изоглоссам субстантивных композитов в иберийско-кавказских языках. – Кавказские языки: генетико-типологические общности и ареальные связи. Сборник статей по материалам VII международной научной конференции. Махачкала.

არონია 2010 – ი. არონია, კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში. თბილისი.

ახვლედიანი 1919 – გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი. ტფილისი.

ახვლედიანი 1960 – Г. С. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I. Тбилиси.

ბალი 1951 – Ch. Bally, Traité de stylistique française. Vol. II. Genève-Paris.

ბალიაური 1936 – მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (ინახება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ბალიაური 1991 – ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში. თბილისი.

ბალიაური, მაკალათია 1940 – მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. – კრ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III. თბილისი.

ბაუერი 1978 - L. Bauer, The Grammar of Nominal Compounding, Odense University Press.

ბაუერი 2017 - L. Bauer, Compounds and Compounding, Cambridge Studies in Linguistics 155.

ბერიაშვილი 2016 – თ. ბერიაშვილი, ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტ „ღვინის“ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ქართულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია). თელავი.

ბერიძე 2001 - თ. ბერიძე, კომპოზიტები საშუალო ქართულში (ავტორეფერატი). თბილისი.

ბეროზაშვილი 2010 – თ. ბეროზაშვილი, პოლისემიური სიტყვა *პირი* იდიომატურ გამოთქმებში. – ტიპოლოგიური ძიებანი, VI. თბილისი.

ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. თბილისი.

ბიზეტო, სკალიზე 2005 – B. Bisetto .and S. Scalise, The classification of compounds.–Lingue e Linguaggio. University of Bologna.

ბოედერი ვ. 2015 - ქართული სიტყვის მორფოლოგიური და სინტაქსური თვისებები. – ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი.

ბოკარიოვი 1949 – А. А. Бокарев, Синтаксис аварского языка. Москва-Ленинград.

ბოკარიოვი 1959 – Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана.

ბოკარიოვი 1961 – Е. А. Бокарев, Введение в сравнительное изучение дагестанских языков, Москва.

ბოკარიოვი 1981 – Е. А. Бокарев, Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва.

- ბოძაშვილი 1988** – ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშავლები. თბილისი.
- ბუბულაშვილი 2007** – ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. თბილისი.
- ბუდაგოვი 1963** – Р. Будагов, Сравнительно-семасиологические исследования. Романские языки, Москва.
- ბუკია 2010** – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.
- ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, I. თბილისი.
- ბლაჟბა 1964** – Х. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка. Тбилиси.
- გაკი 1989** – В. Г. Гак, Вступительная статья о сопоставительном методе. – Новое в зарубежной лингвистике, V. Москва.
- გამზათოვი 1968** – რ. გამზათოვი, ჩემი დაღესტანი. თარგმნეს შ. ნიშნიანიძემ და თ. ჩიჯავაძემ. – „ცისარტყელა“. საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის აღმანახი, I. თბილისი.
- გამყრელიძე და სხვ. 2008** – თ. გამყრელიძე, ზ. კვიციანი, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი.
- გელენიძე 1974** – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში. თბილისი.
- გელოვანი 1983** – აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.
- გენკო 1998** – Н. А. Генко, Абхазско-русский словарь. Сухуми.
- გვანცელაძე 1997** – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულელებანი. – კრებული „გიორგი როგავას“. თბილისი.
- გვანცელაძე 1997ა** – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- გვანცელაძე 1998** – ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბილისი.
- გვანცელაძე 2000** – თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. – ჟურნ. „არტანუჯი“, №10. თბილისი.

გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართველური ენების შემსწავლელთათვის, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, ტ. I. თბილისი.

გვანცელაძე 2011 – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი.

გიგინეიშვილი 1970 – Б. К. Гигинейшвили, Общедагестанская система взрывных согласных. – “Мацне”, серия языка и литературы, №4.

გიგინეიშვილი 1977 – Б. К. Гигинейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков. Тбилиси.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ). თბილისი.

გიუნაშვილი 1987 – ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო. თბილისი.

გიურერი 2017 – A. Güerer, Compound Formation in Karachay-Balkar. Implications for the Marker. – sI, Necmettin Erbakan Üniversitesi, Konya.

გოგატიშვილი 2006 – გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I. თბილისი.

გონიაშვილი 1940 – თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან (რეზიუმე რუსულად, ფრანგულად). – ენიმკის მოამბე, ტ. V-VI. თბილისი.

გუდავა 1954 – ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XV, №10. თბილისი.

გუდავა 1954 – ტ. გუდავა, ხუნძური ჭუჭუ „ქალი“ სიტყვის შედგენილობისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI. თბილისი.

გუდავა 1964 – Т. Е. Гудава, Консонантизм андийских языков. Тбилиси.

გუდავა 1979 – Т. Е. Гудава, Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тбилиси.

გუჯეჯიანი 2010 – რ. გუჯეჯიანი, ნათესაობის სტრუქტურა და ნათესაური ურთიერთობის ფორმები. – საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით [ავტორები: რ. თოფჩიშვილი, რ. გუჯეჯიანი, თ. ლუღუშაური, გ. გოცირიძე, ხ. იოსელიანი, ქ. ხუციშვილი, თ. ქამუშაძე, თ. ქურდოვანიძე]. თბილისი.

დადაევი, სეფერბეკოვი 2012 – Ю. У. Дадаев, Р. И. Сефербеков, Мифологические персонажи традиционных верований аварцев-салатавцев. – Вестник Дагестанского научного центра, №45. Махачкала.

დათუკიშვილი 1990 – ქ. დათუკიშვილი, რედუპლიკაცია ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

დანელია 1981 – კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, კალკური კომპოზიტები.– თსუ, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, № 27. თბილისი.

დაუნინგი 1977 – P. Dawning, On the Creation and Use of English Compound Nouns, Linguistic Societi of America, Vol. 53, N 4.

დაფქვიაშვილი 1955 – თ. დაფქვიაშვილი, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი. თბილისი.

დადესტნის ხალხები 2002 – Народы дагестана. Ответственные редакторы С. А. Арутюнов, А. И. Османов, Г. А. Сергеева. Москва [Религиозные верования. Автор: А. А. Ярлыкапов].

დეშერიევი 1953 – Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык. Москва.

დეშერიევი 1960 – Ю. Д. Дешериев, Современный чеченский литературный язык. Ч. 1. Фонетика. Грозный.

დეშერიევი 1963 – Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный.

დეშერიევი 1967 – Ю. Д. Дешериев, Чеченский язык. – Сб. Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки. Москва.

დეშერიევი 1967 – Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык. – Сб. Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки. Москва.

დეშერიევი 1978 – Ю. Д. Дешериев, К вопросу о взаимодействии картвельских и нахских языков. – Арнольду Степановичу Чикобава (сборник, посвященный 80-летию со дня рождения). Тбилиси.

დორნზაიგი 1959 – F. Dornseiff, Die Deutsche Wortschatz nach Sachgruppen. Berlin.

ელდაროვა 2001 – Р.Г. Эльдарова, Состав слова и словообразование в школьном курсе лакского языка. – Современные проблемы кавказского языкознания и тюркологии. Вып.3. Махачкала, 2001.

ელდაროვა 2003 – Р.Г.Эльдарова, Редупликация и её роль в лакском языке. – в кн.: Абдуллаев И.Х. Эльдарова Р.Г. Вопросы лексики и словообразования лакского языка. Махачкала, 2003.

ვაისგერბერი 1950 – L. Weisgerber, Vom Weltbild der deutschen Sprache. Düsseldorf.

ვაჟა-ფშაველა 1964 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII. მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები. თბილისი.

ვაჟა-ფშაველა 1964 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი.

ვანდენბერგი 1995 – H. A. Vanden Berg, Grammar of Hunzib (with texts and lexicon). Leiden.

ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.

ვოროშილი 1975 – Г. Ворошил, О некоторых культовых терминах в удинском языке. – Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. II. Тбилиси.

ზაპიროვი 1987 – В. М. Загиров, Историческая лексикология языков лезгинской группы. Махачкала.

ზექალაშვილი 2020 – რ. ზექალაშვილი, მეტაფორიზაცია და მეტაფორული სამედიცინო ტერმინები. – ტერმინოლოგიის საკითხები, IV. კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს. თბილისი.

ზვიადაური 1997 – ნ. ზვიადაური, ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქართული ენის მთის დიალექტებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. VI. თბილისი.

ზიმერი 1972 – Zimmer K. E. Appropriateness conditions for nominal compounds, Working papers on Language Universals, Stanford University 8.

ზღაპრები 1990 – Аваразул халкъиял маргъаби. Махачкала.

თალიბოვი 1960 – Б. Б. Талибов, Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы. – Учен. зап. ИИЯЛ, т. VII. Махачкала.

თალიბოვი 1980 – Б. Б.Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011 – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით [ავტორები: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ.სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე]. თბილისი.

თოფურია 1933 – ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა. ტფილისი.

თოფურია 1940 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II. – ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, შრომები, III. თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1970 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა. – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული I. თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი. თბილისი.

იაკოვლევი 1960 – Н.Ф. Яковлев, Морфология чеченского языка, Грозный.

იველაშვილი 1987 – თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში. თბილისი.

ითონიშვილი 1992 – ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი.

იმნაიშვილი 1957 – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი.

იმნაიშვილი 1959 – დ. იმნაიშვილი, ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისათვის პანკისის ქისტურში. – იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, XI. თბილისი.

იმნაიშვილი 1975 – დ. იმნაიშვილი, მეცხოველეობის ლექსიკის ზოგი ჯგუფი ჩაჩნური ენის დიალექტებში. – იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. II. თბილისი.

იმნაიშვილი 1970 – ივ. იმნაიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში. – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, თბილისი.

იმნაიშვილი 1963 – Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

იორდანიშვილი 1934 – ს. იორდანიშვილი, ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის, ნაკვ. VII. ტფილისი.

ისაყოვი, ხალილოვი 1986 – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Соматические названия в цезских языках. – Проблемы отраслевой лексики дагестанских языков: соматические термины. Махачкала.

ისაყოვი, ხალილოვი 1988 – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Названия животных в цезских языках. – Отраслевая лексика дагестанских языков: названия животных и птиц. Махачкала.

ისაყოვი, ხალილოვი 2001 – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Гунзибско-русский словарь. Москва.

ისაყოვი, ხალილოვი 2012 – И. А. Исаков, М. Ш. Халилов, Гунзибский язык. Махачкала.

ისტ. შედ. ლექსიკა 1971 – Сравнительно-историческая лексика дагестанских языков. Москва.

კაზიმაჰომედოვა 2016 – А. А. Казимагомедова, Лексико-семантическое и лингвокультурологическое наполнение концепта «хинкал» в дагестанских языках (АКД). Махачкала.

კანდელაკი 1998 – მ. კანდელაკი, ერთობის ფენომენი ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში. – ქართველური მემკვიდრეობა, II. ქუთაისი.

კასლანბია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I. Сухуми.

კასლანბია 2005ა – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II. Сухуми.

კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия, Животноводческая лексика в абхазском языке. Сухуми.

კვახაძე 2014 – ალ. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-კილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.

კობრიკი, კომასოვი 1988 – А. Е. Кибрик, С. В. Кодзасов, Сопоставительное изучение дагестанских языков. Глагол. Москва.

კობრიკი, კომასოვი 1990 – А. Е. Кибрик, С. В. Кодзасов, Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика. Москва.

კიზირია 1961 – ა. კიზირია, კომპოზიტთა შედგენილობისა და მართლწერის ზოგი საკითხისათვის. – სკოლა და ცხოვრება № 6. თბილისი.

კიზირია 1981 – ა. კიზირია, კომპოზიტები ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V. თბილისი.

კიკვიძე 2000 – ზ. კიკვიძე, კომპონენტთა თანმიმდევრობის საკითხი ზოგიერთ ტოლად შერწყმულ კომპოზიტში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI. თბილისი.

კიკნაძე 1984 – ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბილისი.

კიკნაძე 2009 – ზ. კიკნაძე, ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები. თბილისი.

კიკნაძე, მამისიმედიშვილი, მახაური 1998 – ზ. კიკნაძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური, ჯვარ-ხატთა სადიდებლები. თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. Москва.

კლიმოვი 1972 – Г. А. Климов, О некоторых словарных общностях картвельских и нахско-дагестанских языков. – Этимология. Москва.

კლიმოვი, ხაიდაყოვი, შაგიროვი 1978 – Структурные общности кавказских языков. Москва [Глава I. Лексические общности. Авторы: Г.А. Климов, С.М. Хайдаков, А.К. Шагиров].

კლიმოვი, ხალილოვი 2003 – Г.А. Климов, М.Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики. Москва.

კოკოვი 1974 – Дж. Н. Коков, Адыгская (Черкесская) топонимия. Нальчик.

კომრი, ხალილოვი 2010 – Б. Комри, М. Халилов, Словарь языков и диалектов народов Северного Кавказа. Сопоставление основной лексики. Лейпциг-Махачкала.

კომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015 – Б. Комри, М. Халилов, З. Халилова, Грамматика бежтинского языка. Лейпциг-Махачкала.

კოტეტიშვილი 1961 – ვახტ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია. თბილისი.

ლაკური სიმღერები 1969 – Лакрал лахьи балайрду (Лакские эпические песни). Махачкала.

ლანდერი 2016 – Y. Lander, Word formation in Adyghe, Word-formation. – An International Handbook of the Languages of Europe, Vol. 5, Berlin/Boston.

ლაუერი 1995 – S. Lauer, Corpus Statistics Meet the Noun Compound: Some Empirical Results, Microsoft Institute, Australia.

ლებენი 1983 – W. R. Leben, Some nouns and noun phrases in Nzema, Current Approaches To African Linguistics.

ლევი 1978 – J.N. Levi, The Syntax and Semantics of Complex Nominals, New York.

ლისი 1960 – R. B. Lees, The Grammar of English nominalizations, Bloomington, Indiana University Press.

ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ -შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი.

ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში. – „საიუბილეო კრებული აკაკი შანიძეს“. თბილისი.

ლომთათიძე 1981ა – ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში. თბილისი.

ლომთათიძე 1997 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურ წასესხებ სიტყვათა ფუძეების აუსლაუტის ა-ური ვოკალიზაცია. – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესიის თეზისებში. თბილისი.

ლუგუევი, მაჰომედოვი 1994 – С. А. Лугуев, Д. М. Магомедов, Бежтинцы (Капучинцы, Хъванал) в XIX-нач. XX вв. Махачкала.

მაგუირე, ვისნიევსკი, სტორმსი 2010 – Ph. Maguire, E. J. Wisniewski, G. Storms, A Corpus Study of Semantic Patterns in Compounding. იხ. <https://doi.org/10.1515/cllt.2010.003>

მადიევა 1965 – Г. И. Мадиева, Грамматический очерк бежтинского языка. Махачкала.

მადიევა 1981 – Г. И. Мадиева, Морфология аварского литературного языка. Махачкала.

მაკალათია 1941 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.

მაკალათია 1984 – ს. მაკალათია, ხევსურეთი. თბილისი.

მაკალათია 1985 – ს. მაკალათია, ფშავი. თბილისი.

მარგოშვილი 1985 – ლ. მარგოშვილი, პანკისელი ქისტების წესჩვეულებები და თანამედროვეობა. თბილისი.

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.Пб.

მატასოვიჩი 2010 – R. Matasović, A Short Grammar of East Circassian (Kabardian), Zagreb.

მაყაშვილი 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი.

მაციევი 1961 – Чеченско-русский словарь. Составил А.Г. Мацев. Москва.

მაციევი 1973 – А. Г. Мацев, Очерки лексикологии современного чеченского языка. Грозный.

მაჭავარიანი 1966 – გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ

(ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში. – იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, XV. თბილისი.

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში. თბილისი.

მაჭავარიანი 2017 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები (აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით), თბილისი.

მაჰომედოვა 2020 – Р. М. Магомедова, Особенности отражения магических представлений в аварском фольклоре. – Вестник Дагестанского государственного университета. Серия 2. Гуманитарные науки. 2020. Том 35. Вып. 4. Махачкала.

მაჰომედოვი 1972 – М.-Г. З. Магомедов, Именное словообразование в даргинском языке. Махачкала.

მაჰომედოვი, ალიხანოვი 2008 – М. И. Магомедов, С. З. Алиханов, Словообразование в аварском языке. Махачкала.

მაჰომედსალიძოვი 2007 – Благопожелания и проклятия аварцев. Тексты, переводы, комментарии. Составитель Х.Г. Магомедсалихов. Махачкала.

მაჰომედხანოვი 1993 – М. М. Магомедханов, Аварско-русский фразеологический словарь. Москва.

მაჰომეტოვი 1965 – А. А. Магометов, Табасаранский язык. Тбилиси.

მაჰომეტოვი 1986 – А. А. Магометов, Рефлексы фарингализованных согласных в агульском языке. – Ежегодник иберийско-кавказского языкознания. Тбилиси, т. XV.

მგელაძე 2021 – ბ. მგელაძე, ხალხური მმართველობისა და ჩვეულებითი სამართლის ისტორია განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია). ბათუმი.

მეგრელიძე 1951 – И. В. Мегрелидзе, Археологические находки в Дидо. – Советская археология, т. XV. Москва-Ленинград.

მეიე 1938 – А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков. Москва-Ленинград.

მელიქიშვილი 1986 – ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბილისი.

მესხიშვილი 2006 – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

მიქაილოვი 1959 – Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, Москва-Ленинград.

მიქაილოვი 1964 – К. Ш. Микаилов, К вопросу о составе основы имени существительного в аварском языке. – Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. XII (серия филологическая). Махачкала.

მიქაილოვი 1965 – К. Ш. Микаилов, Об одном словообразовательном суффиксе аварского языка. – Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. XV (серия филологическая). Махачкала.

მიქელაძე 1976 – მ. მიქელაძე, ნასესხები სიტყვები ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში, თსუ შრომები, ტ. 174. თბილისი.

მიქელაძე 2011 – მ. მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია. თბილისი.

მრევლიშვილი 1957 – მ. მრევლიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67. თბილისი.

მურყელინსკი 1957 – Г. Б. Муркелинский, Словообразование в лакском языке (материалы). – Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, т. II. Махачкала.

მურყელინსკი 1971 – Г. Б. Муркелинский, Грамматика лакского языка, часть I (фонетика и морфология). Махачкала.

მუსაევი 1978 – М.-С. М. Мусаев, Лексика даргинского языка (Сравнительноисторический анализ). Махачкала .

ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 – S. L. Nikolayev, S. A. Starostin, A North Caucasian etymological dictionary. Moscow.

ნიკოლსკაია 1959 – З. Я. Никольская, Религиозные представления и земледельческие обряды аварцев. – Сб. Вопросы истории религии и атеизма, VII. Москва.

ოლსენი 2001 – S. Olsen, Copulative Compounds: a Closer Look at the Interface Between Syntax and Morphology. Yearbook of Morphology.

ოლსენი 2016 – New impulses in word-Formation 2016 (edited by Susan Olsen).

ომარაშვილი 1989 – ნ. ომარაშვილი, მიცვალებულის კულტი და საფლავების თაყვანისცემა ავარიელებში. – კრებ.: ეთნოგრაფიული გამოკვლევები. თბილისი.

ომარაშვილი 2001 – ნ. ომარაშვილი, მიწათმოქმედების კულტურა და აგრარული წეს-ჩვეულებები ხუნძებში. – ჟურნ. „ამირანი“. კავკასიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, IV-V. თბილისი-მონრეალი.

ომიაძე 2020 – ს. ომიაძე, ლექსემა *პურის* სინტაგმატურ-დერივაციული ველი. – ტერმინოლოგიის საკითხები, IV. კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს. თბილისი.

- ონიანი 1966** – ალ. ონიანი, ქართული იდიომები. თბილისი.
- ონიანი 1989** – ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბილისი.
- ორბელიანი 1928** – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით). ტფილისი.
- ოქროს მარცვლები 1985** – XI. К. Казиев, С. М. Хайбуллаев, М.Г. Габдулаев, Меседил мугьал. МахIачхъала.
- ოქსფორდის საცნობარო წიგნი კომპოზიტების შესახებ 2009** – The oxford handbook of compounding (ed. By Rochelle Lieber and Pavol Stekauer).
- ოჩიაური 1954** – თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბილისი.
- ოჩიაური 1967** – თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი.
- ოჩიაური 1980** – ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში. თბილისი.
- ოჩიაური 1988** – ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი: ხევსურეთი (არხოტის თემი). თბილისი.
- ოჩიაური 1991** – ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბილისი.
- ოჩიაური 2019** – ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში. თბილისი.
- პავლოვი 1988** – И. П. Павлов, Парные слова в современном чувашском языке. – Исследования по этимологии и грамматике чувашского языка. Чебоксары.
- პალასი 1887, 1889** – П. С. Паллас, Сравнительные словари всех языков и наречий, собранные всевысочайшей особы. Санктпетербург, ч. I, ч. II.1.
- პატარიძე 1980** – რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული. თბილისი.
- პაუნდერი 2000** – A. Pounder, Trends in Linguistics; Processes and Paradigms I Word-Formation Morphology. Berlin, New York.
- ჟირკოვი 1936** – Аварско-русский словарь. Составил проф, Л. И. Жирков, Москва.
- ჟირკოვი 1948** – Л. И. Жирков, Словообразование в аварском языке. – Языки Дагестана, вып. I. Махачкала.
- ჟირკოვი 1955** – Л. И. Жирков, Лакский язык. Москва.
- რალ 1964** – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба. Сухуми.

რამაზანოვა 2005 – М. Р. Рамазанова, Лакско-русский фразеологический словарь. Махачкала.

როგავა 1979 – გ. როგავა, ქართულ ღვიძლ-ფუძის ამოსავალი სახეობისათვის. – არნოდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბილისი.

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბილისი.

საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი.

საიდოვა 2008 – П. А. Саидова, Диалектологический словарь аварского языка. Москва.

საიდოვი 1954 – М.-С. Саидов, Развернутые члены предложения в аварском языке, Языки Дагестана, вып. II. Махачкала.

საიდოვი 1967 – Аварско-русский словарь. Составил М.-С. Саидов. Москва.

სანიკიძე 1966 – ლ. სანიკიძე, ფუძის გაორკეცება ბაცბურში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV. თბილისი.

სანიკიძე 1968 – ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

სანიკიძე 1977 – ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. IV. თბილისი.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა. თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ). თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი.

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში (დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.

სელიმოვა 2009 – З. О. Селимова, Структурная и лексико-грамматическая характеристика сложных имен в современном лезгинском литературном языке (Автореферат). Махачкала.

სეპირი 1961 – E. Sapir, Die Sprache. Eine Einführung in das Wesen der Sprache. München.

სერვანტესი 1967 – მიგელ დე სერვანტეს საავტორო, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II: მახვილონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. თარგმანი ნიკო ავალიშვილისა. წიგნი II. თბილისი.

სერვანტესი – Miguel de Cervantes, El Ingenioso Hidalgo Don Quijote de La Mancha.

სეფერბეკოვი 1998 – Р. И. Сефербеков, Номенклатура теонимов народов Дагестана. – IX международный colloquium европейского общества кавказоведов. Посвящается 100-летию со дня рождения академика А.С. Чикобава. Тезисы докладов. Махачкала.

სეფერბეკოვი 2002 – Р. И. Сефербеков, К характеристике некоторых мифологических персонажей аварцев-койсубулинцев. – Сб. Государство и религия в Дагестане. Информационно-аналитический бюллетень, № 3 2002. Махачкала.

სეფერბეკოვი 2016 – Р. И. Сефербеков, Из мифологии, фольклора и обрядовой культуры аварцев-тленсерухцев: синкретизм традиционных верований ислама. – Исламоведение, т. 7, №4. Махачкала.

სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009 – Р. И. Сефербеков, М.Р. Сефербеков, Мифологические персонажи традиционных верований аварцев-каратинцев. – Известия вузов. Северо-Кавказский регион. Общественные науки, №5. Махачкала.

სვოდეში 1960 – М. Сводеш, Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов (на материале племен эскимосов и североамериканских индейцев). – Новое в лингвистике. Выпуск 1. Москва.

სტეკაუერი 2012 – Р. Stekauer, Word-formation In the world's languages, Cambridge university.

სულამანიძე 1990 – ლ. სულამანიძე, ე. წ. აფხაზურ-ადიღურ-ჩერქეზულ ელემენტთა შესახებ ქართველურ საკუთარ სახელებში. – ჟურნ. „განთიადი“, № 10.

სულეიბანოვა 2009 – М. У. Сулейбанова Композитное словообразование в нахских языках (Диссертация), Грозный.

სულეიბანოვი 1976 – А. С. Сулейманов, Топонимия Чечено-Ингушетии, I Часть. Горная Чечня. Грозный.

სუხიშვილი 2010 – თ. სუხიშვილი, სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ტაბიძე, შავხელიშვილი 2012 – М. Табидзе, Б. Шавхелишвили, От Кавказа к Кавказу... Лингвокультурологические исследования: проблемы и решения. Часть I. Пятигорск.

ტოლსტოი 2013 – Н. И. Толстой, С. М. Толстая, Славянская этнолингвистика (Вопросы теории). Москва.

ტრუბეტკოი 1930 – N. S. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. Bd. XXXVII, Heft 2. Wien. [ხელახლა გამოქვეყნებულია: Трубецкой Н. С. Избранные труды по филологии. Москва, 1987].

ტრუბეტკოი 1973 – N. Trubetzkoy, Ostkaukasische Wörter für Frau, Weibchen, Gattin. – Die Sprache. Zeitschrift für Sprachwissenschaft, Bd. XIX. H. 1.

ტულუში 2007 – ა. ტულუში, გურიაში აფხაზურ-ადიღური ტოპონიმებისა და გენეონიმების გაჩენის მიზეზისა და დროის საკითხისათვის. – ქართველური ონომასტიკა, III, თბილისი

უთურგაიძე 1966 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი.

ულაკოვი, გუზეევი 2016 – М. З. Улаков, Ж. М. Гузеев, Современный карачаево-балкарский язык, часть I, Нальчик.

უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис.

უსლარი 1888 – П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. II. Чеченский язык. Тифлис.

უსლარი 1889 – П.К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык. Тифлис.

ფარეულიძე 2003 – რ. ფარეულიძე, ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.

ფოჩხუა 1966 – ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV. თბილისი.

ფოჩხუა 1973 – ბ. ფოჩხუა, არქაული სიტყვაწარმოება საქმიან ლექსიკაში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII. თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი.

ფოჩხუა 1987 – ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I. თბილისი.

ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ. 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1955 – ქართლის ცხოვრება, მატანე ქართლისად, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II. თბილისი.

ქაჯაია 2002ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III. თბილისი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1955-1964.

ქირია და სხვ. 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია. თბილისი.

ქობალა 1903 – И. Кобалия, Из мифической Колхиды.– Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXXII, отд. III. Тифлис.

ქობალა 2010 – ა. ქობალა, მეგრული ლექსიკონი. თბილისი.

ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე. თბილისი.

ქურდიანი 2001 – მ. ქურდიანი, მაღალი მარკირების მქონე ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ველის ქრისტიანიზაციის შემთხვევა ქართულში. – ქართველური მემკვიდრეობა, V. ქუთაისი.

ქუსიკიანი 1950 – И. К. Кусикьян, Грамматика современного армянского языка. Москва.

ღლონტი 1981 – ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიენაბი. ტ. III, თბილისი.

ღლონტი 1988 – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1933 – ს. ყაუხჩიშვილი, Varia. კომპოზიტები, X ნაკვეთი. ტფილისი.

ყაუხჩიშვილი 1952 – თ. ყაუხჩიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 47. თბილისი.

ყიფშიძე 1914 – Иос. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и славарем. С.-Петербург.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. თბილისი.

ზაგიროვი 1977 – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва.

შაგიროვი 1989 – А. К. Шаги́ров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва.

შანიძე 1930 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია. ტფილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1. თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.

შანიძე 1984 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I: ქართული კილოები მთაში. თბილისი.

შაყრილი 1986 – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Словарь абхазского языка, т. I. Сухуми.

შაყრილი 1987 – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Словарь абхазского языка, т. II. Сухуми.

შახმანოვა 2001 – Н. М.-Э. Шахманова, З.Э. Шахманова, К вопросу о сложных существительных в лакском языке. – Современные проблемы кавказского языкознания и тюркологии. Вып. 3. Махачкала.

შახმანოვა 2005 – З. Э. Шахманова, Словообразование существительных в лакском языке (АКД). Махачкала.

შენგელია 1999 – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი). თბილისი.

შულცე 2016 – W. Schulze, Word formation in Udi, Word-formation. – An International Handbook of the Languages of Europe, Vol. 5, Berlin/Boston.

ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსზემოური კილო, თბილისი.

ჩირიკბა 2016 – V. A. Chirikba, Abkhaz Word Formation. – Word-formation. An International Handbook of the Languages of Europe, Vol. 5, Berlin/Boston.

ჩიქობავა 1935 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ნაწილი 1. ტფილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი. (იხ. აგრეთვე, შრომები. IV. თბილისი, 2008).

ჩიქობავა 1939 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი. თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი.

ჩიქობავა 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჩიქობავა 1953 – არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა "ზღუარი" და "სამხარი".– იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V. თბილისი.

ჩიქობავა 1966 – არნ. ჩიქობავა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის ენაში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №5. თბილისი.

ჩიქობავა 1975 – Арн. Чикобава, Отраслевая лексика и научная актуальность ее изучения. – Ежегодник иберийско-кавказского языкознания, II. Тбилиси.

ჩიქობავა 1975 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჩიქობავა 1987 – არნ. ჩიქობავა, **ახო** და **ვაჟი** სიტყვების ეტიმოლოგიისათვის. – ეტიმოლოგიური ძიებანი. თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, შრომები. VII. თბილისი.

ჩიქობავა 2011 – არნ. ჩიქობავა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. – შრომები, V. თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

ჩოქაევი 1968 – К. З. Чокаев, Морфология чеченского языка. Грозный.

ჩოქაევი 1970 – К. З. Чокаев, Словообразование имен существительных в чеченском литературном языке. Грозный.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2011 – მ. ჩუხუა, -ყვა დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ ენებში. – ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ტ. II, ბათუმი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ცერცვაძე 1948 – ი. ცერცვაძე, ხუნძური ენის აწმურ დიალექტი. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II. თბილისი.

ცოცანიძე 2012 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი. თბილისი.

ცხადაია 2003 – ვ. ცხადაია, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები. თბილისი.

ჭაბაშვილი 1993 – მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. X, 1993.

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб.

ჭარაია 1997 – ვ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.

ჭინჭარაული 1960 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი.

ჭინჭარაული 1975 – А. Чинчараули, Грузинско-нахские схождения в отраслевой лексике. – Ежегодник иберийско-кавказского языкознания, II. Тбилиси.

ჭინჭარაული 1979 – ალ. ჭინჭარაული, ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი. 1. თუმოლი. – არნოლდ ჩიქობავას (დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბილისი.

ჭინჭარაული 2009 – ალ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ. თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. თბილისი.

ხაიდაყოვი 1961 – С. М. Хайдаков, Очерки по лексике лакского языка. Москва.

ხაიდაყოვი 1973 – С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. Москва.

ხაიდაყოვი 1975 – С. М. Хайдаков, Система глагола в дагестанских языках. Москва.

ხალიდოვა 2004 – М. Р. Халидова, Устное народное творчество аварцев. Махачкала.

ხალიდოვი და სხვ. 2015 – А. И. Халидов, А. Д. Тимаев, М. Р. Овхадов, Грамматика чеченского языка. Грозный.

ხალილოვი 1999 – М. Ш. Халилов, Цезско-русский словарь. Москва.

ხალილოვი 2004 – М. Ш. Халилов, Грузинско-дагестанские языковые контакты. Москва.

ხალილოვი 2004 – Х. М. Халилов, Устное народное творчество лакцев. Махачкала.

ხალილოვი 2015 – М. Ш. Халилов, Бежтинско-русский словарь. Махачкала.

ხალილოვი, ხალილოვა 2016 – М. Khalilov, Z. Khalilova, Word formation in Avar. – Word-formation. An International Handbook of the Languages of Europe, Vol. 5, Berlin/Boston.

ხანგერევი 2004 – М. Д. Хангереев, Словообразование в аварском языке. Махачкала.

ხარაძე 1940 – Р. Л. Харадзе, К вопросу о родстве в Хевсурети. – ИИЯИМК, V-VI. Тбилиси.

ხარაძე 1951 – რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო. – „მომომხილველი“, ტ. II. თბილისი.

ხახიაშვილი 2009 – ნ. ხახიაშვილი, ცისარტყელას აღმნიშვნელი ლექსიკისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVII. თბილისი.

ხორნაული 2000 – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი. თბილისი.

ხუნძ.-რუს. ლექს. 2006 – Аварско-русский словарь. Под редакцией М. М. Гимбатова. Махачкала.

ხუნძური სიმღერები 1971 – Аваразул кьалул кучӀдул ва балладаби (Героические песни и баллады аварцев). Махачкала.

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი; მეორე გამოცემა: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X. თბილისი.

ჯაკენდოფი 1990 – R. Jackendoff, Semantic Structures. Cambridge.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, ტ. 3, თბილისი.

ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

ჯანაშია 2010 – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Тбилиси.

ჯანაშია 2015 – რ. ჯანაშია, უბიხური ენა, თბილისი.

ჯაფარიძე 1966 – ზ. ჯაფარიძე, მესაქონლეობის ლექსიკა (სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე). – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV, თბილისი.

ჯაფარიძე 1975 – З. Н. Джапаридзе, О системе обозначения возраста домашних животных в аварском языке. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, II, თბილისი.

ჯიდალაევა 2003 – З. Н. Джидалаева, Композиты-повторы в лакском языке. – Проблемы общего и дагестанского языкознания. Махачкала.

ჯიდალაევი 1984 – Н. С. Джидалаев, Термины родства и свойства в лакском языке. – Отраслевая лексика дагестанских языков. Махачкала.

ჯიდალაევი 1986 – Н. С. Джидалаев, Соматические слова и вопросы словообразования в лакском языке. – Проблемы отраслевой лексики дагестанских языков: Соматические термины. – Махачкала.

ჯიდალაევი, ალიხანოვი 1985 – Н. С. Джидалаев, С.З. Алиханов, Генезис аварского словообразовательного элемента -чи. – Сб. Тюркско-дагестанские языковые взаимоотношения. Махачкала.

ჰაიბულაევა, ჰაიბულაევი 2008 – М. М. Хайбулаева, М. Х. Хайбулаев, Авар-гIурус рогъразул ва реццалъул словарь. Махачкала.

ჰაიბულაევი, ჰაიბულაევი 2004 – Авар-гIурус соматикиял фразеологизмабазул словарь. Составители: М. Хайбулаев, М. Хайбулаева. Махачкала.

ჰაიდაროვი 1966 – Г. И. Гайдаров, Лексика лезгинского языка. Махачкала.

ჰამზათოვი 1975 – Расул Хамзатов, Данде гьарурал асарал. Проза. VI том. Дир Дагъистан. Махачкала.

ჰარუნოვა 1985 – К. И. Гарунова, К вопросу о терминологии родства в некоторых говорах южного наречия аварского языка. – В сб.: Проблемы отраслевой лексики дагестанских языков: Термины родства и свойства. Махачкала.

ჰასანოვა და სხვ. 1971 – С. М. Гасанова, Г. Х. Ибрагимов, П. Т. Магомедова, У. А. Мейланова, Б. Б. Талибов, Сравнительно-историческая лексика дагестанских языков. Москва.

ჰასპელმათი 2002 – М. Haspelmath, Understanding Morfology. London.

ჰაუგენი 1950 – E. Haugen, The Analysis of Linguistic Borrowing.– Language. Vol. 26, N2.

ჰაჯიევი 1991 – Г. А. Гаджиев, Доисламские верования и обряды народов Нагорного Дагестана. Москва.

ჰაჯიევა 1986 – С. Г. Гаджиева, О некоторых вопросах слово-сложения в лакском языке. – Вопросы словообразования дагестанских языков. Махачкала.

ჰოკეტი 1973 – Ch. F. Hockett, Man's Place in Nature. New York.

ჰუმბოლდტი 1984 – В. фон Гумбольдт, Избранные труды по языкознанию. Москва.